www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფანტასტიკური
ბიბლიოთეკა



დიმიტრი გლუხოვსკი

მეტრო 2034

ფანტასტიკური
ბიბლიოთეკა

დიმიტრი გლუხოვსკი

მეტრო 2034

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნები
ბათუმში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხიმკი
დიბენკოს ქუჩა
ბელომორსკაია
რეჩნოი ვაგზალი
ვოდნი სტადიონი
ვოიკოვსკაია
სოკოლი
აეროპორტი
დინამო
ბელორუსკაია
მაიაკოვსკაია
ტვერსკაია
ნოვოსლობოდსკაია
ალტუფევო
ბიბირევო
ოტრადნოე
ვლადიკინო
ვერხნიე ლიხობორი
ოკრუჟნაია
პეტროვსკო-რაზუმოვსკაია
ბუტირსკი ხუტორი
ტიმირიაზევსკაია
შერემეტევსკაია
დმიტროვსკაია
მარინა როშჩა
საველოვსკაია
მენდელეევსკაია
დოსტოევსკაია
მიტიშჩი
ჩელობიტევო
მედვედკოვო
ბაბუშკინსკაია
სვიბლოვო
ბოტანიკური ბაღი
ვედეენხა
ალექსეევსკაია
რიჟსკაია
მშვიდობის გამზირი
ტრუბნაია
ცვეტნოი ბულვარი
სრეტენსკი ბულვარი
კომსომოლსკაია
კრასნიე ვოროტა
ჩისტიე პრუდი
ტურგენევსკაია
ლუბიანკა
კუზნეცკი მოსტი
ოხოტნი რიადი
თეატრალნაია
ალექსანდროვის ბაღი
ბოროვიცკაია
ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა
რევოლუციის მოედანი
კიტაი-გოროდი
ტაგანსკაია
მარქსისტსკაია
ტრეტიაკოვსკაია
ნოვოკუზნეცკაია
პოლიანკა
კულტურის პარკი
ბარიკადნაია
ზუბოვსკაია
ფრუნზენსკაია
სპორტივნაია
ვორობიევი გორი
უნივერსიტეტი
ვერნადსკის გამზირი
იუგო-ზაპადნაია
ლენინის გამზირი
აკადემიჩესკაია
ფროფსოიუზნაია
ახალი ჩერიომუშკი
კალუჟსკაია
ბელიაევო
კონკოვო
თბილი ბუნაგი
იასენევო
ბიტცევსკის პარკი
ოლიმპიური სოფელი
ვოსტრიაკოვო
ტერეშკოვო
სოლნცევო
ვოროვსკოე შოსე
ნოვოპერედელკინო
ბელომორსკაია
ოკტომბრის ველი
პოლეჟაევსკაია
ბეგოვაია
1905 წლის ქუჩა
კრასნოპრესნენსკაია
მოლოდიოჟნაია
კუნცევსკაია
პიონერსკაია
ფილიევსკის პარკი
ბაგრატიონოვსკაია
ფილი
კუტუზოვსკაია
გამარჯვების პარკი
მინსკაია
ვინნიცკაიას ქუჩა
ოჩაკოვო
მიზურინის გამზირი
სტუდენჩესკაია
კიევსკაია
ფილიოვო
ბალჩუგი
ბაბუშკინსკაია
ბალაკინა
ბოლშევიკოვ
ბოლშევიკოვ
ბოლშევიკოვ

პროლოგი

2034 წელი.

მთელი მსოფლიო დანგრეულია, კაცობრიობა კი – თითქმის მთლიანად განადგურებული. ნახევრად დანგრეული ქალაქები რადიაციის გამო საცხოვრებლად უვარგისია. დანამდვილებით არავინ იცის, მაგრამ ამბობენ, რომ მათ მილმა ინყება გადამნვარი, უსასრულო უდაბნოები და გადაგვარებული ტყეები.

ცივილიზაცია გადაშენების პირასაა. მოგონებები ადამიანის სიდიადეზე იგავებად და ლეგენდებად იქცა. მას შემდეგ, რაც მინიდან ბოლო თვითმფრინავი აფრინდა, ოცნელზე მეტი გავიდა. ჟანგისგან შეჭმული რკინიგზა არსაით მიდის. დაუმთავრებელი საუკუნის მშენებლობა ნანგრევებად იქცა. რადიოეთერი ცარიელია, კავშირგაბმულობის თანამშრომლებმა მილიონჯერ მომართეს რადიომიმღებები სიხშირეზე, საიდანაც ადრე ნიუ-იორკი, პარიზი, ტოკიო და ბუენოს-აირესი მაუწყებლობდა, მაგრამ ახლა მხოლოდ საცოდავი ზუზუნი ისმის.

მხოლოდ ოცმა ნელიწადმა ჩაიარა რაც *ეს* მოხდა, მაგრამ ადამიანი უკვე აღარაა დედამიწაზე ბატონი. რადიაციისგან შობილი არსებები ადამიანზე ბევრად უკეთ შეეგუვნენ ახალ სამყაროს. კაცობრიობის ეპოქა დასასრულს მიუახლოვდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სულ რამდენიმე ათეულ ათას ადამიანს არ სჯერა ამის. ისინი მოსკოვის მეტროში ცხოვრობენ – ყველაზე დიდ საფარში, რაც კი ოდესმე ადამიანს აუშენებია; ადამიანის უკანასკნელ თავშესაფარში.

იმ დღეს ისინი მეტროში აღმოჩნდნენ და ამიტომ გადარჩნენ. მათ ჰერმეტული ჭიშკრები იცავს რადიაციისა და დედამიწის ზედაპირზე მცხოვრები ურჩხულებისგან, ნახმარი ფილტრებით ფილტრავენ წყალსა და ჰაერს. მცოდნეების მიერ აწყობილი დინამომანქანებით გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას, მიწისქვეშა ფერმებში ამრავლებენ სოკოსა და ღორებს.

მმართველობის ცენტრალური სისტემა დიდი ხნის წინ დაემხო და სადგურები ჯუჯა სახელმწიფოებად იქცა. აქ ადამიანები ერთიანდებიან იდეის, რელიგიის ან, უბრალოდ, წყლის ფილტრების გარშემო.

ეს არის სამყარო ხვალინდელი დღის გარეშე. აქ არ არის ადგილი ოცნებების, გეგმებისა და იმედებისთვის. გრძნობების ადგილას ინსტინქტებია, რომელთაგან უმთავრესია გადარჩენა – ნებისმიერ ფასად.

ამ წიგნში მოთხრობილი ისტორიის შესავალი წაიკითხეთ რომანში „მეტრო 2033“.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 1
„სევასტოპოლსკაიას“ დაცვა

ისინი არც სამშაბათს დაბრუნდნენ, არც ოთხშაბათს და არც ბოლო ვადად დათქმულ ხუთშაბათს. პირველი საგუშაგო ოცდაოთხი საათის განმავლობაში მორიგეობდა და რომელიმე გუშაგს დახმარების თხოვნის თუნდაც ექო რომ გაეგონა ან მკრთალი შუქი მაინც შეემჩნია „ნახიმოვსკის გამზირიდან“ მომავალი გვირაბის ბნელსა და ნესტიან კედელზე, მაშინვე გაგზავნიდა დამრტყმელ რაზმს.

დაძაბულობა ყოველ საათს მატულობდა. სპეციალურად ასეთი დავალებებისათვის მომზადებული საუკეთესო მებრძოლები წამითაც არ ხუჭავდნენ თვალს. ბანქოს დასტა, რომლითაც განგაშიდან განგაშამდე დრო გაჰყავდათ ხოლმე, უკვე მეორე დღე-ღამე იყო, მაგიდის უჯრაში იდო. ჩვეულებრივი ლაყბობა ჯერ ჩუმმა, მღელვარე საუბრებმა, შემდეგ კი დუმილმა შეცვალა – ყველას იმედი ჰქონდა, რომ პირველი გაიგონებდა უკან მომავალი ქარავნის ექოს. მასზე ძალიან ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

„სევასტოპოლსკაია“ მიუდგომელ ბასტიონად აქციეს მისმა მცხოვრებლებმა. ნებისმიერმა მათგანმა – ხუთი წლის ბიჭუნამაც და ჭარმაგმა მოხუცმაც კარგად იცოდა იარაღის ხმარება. ტყვიამფრქვევები ბუდეებით, მავთულხლართებით, ძველი რელსებისაგან დამზადებული ტანკსაწინააღ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მდევნო ზღარბებით დაცული ეს ერთი შეხედვით აუღებელი სადგური დაცვების პირას იყო.

მის აქილევსის ქუსლად საბრძოლო მასალების მუდმივი უკმარისობა იქცა.

ყველა სხვა სადგურის მცხოვრებლები უმალ მიატოვებდნენ თავიანთ საცხოვრებელს, როგორც დატბორილ გვირაბს ვირთხები, იმას რომ შესჯახებოდნენ, რასაც ყოველდღიურად უმკლავდებოდნენ „სევასტოპოლსკაიას" მცხოვრებლები. ძლევამოსილი ჰანზაც კი – წრიული ხაზის სადგურების თანამეგობრობა – ხარჯების გადათვლის შემდეგ ალარ გამოყოფდა ძალებს „სევასტოპოლსკაიას" დასაცავად, თუნდაც მას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონოდა.

მეტროში ელექტროენერგია საკმაოდ ძვირი ღირდა და „სევასტოპოლსკაია", რომელმაც მეტროში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ჰიდროელექტროსადგური ააგო, ელექტროენერგიის გაყიდვით მიღებული მოგებით ჰანზას საბრძოლო მასალებს ყუთებით უკვეთდა და მოგებაც რჩებოდა.

გრუნტის წყლები, რაც „სევასტოპოლსკაიასთვის" წყალობაც იყო და წყევლაც, მას ყოველი მხრიდან უვლიდა, როგორც სტიქსი – ქარონის დანჯღრეულ ნავს. წყლები აბრუნებდნენ ადგილობრივი თვითნასწავლი ინჟინრების მიერ გვირაბებში, მღვიმეებსა და კალაპოტებში აგებული ათეულობით წისქვილის დოლაბებს და შუქსა და სითბოს აძლევდნენ სადგურსაც და მთელ წრიულ ხაზსაც.

მეორე მხრივ კი, წყლები დაუღალავად უთხრიდნენ ძირს საყრდენებს, შლიდნენ ცემენტის დუღაბებს, მთავარი დარბაზის კედლის მიღმიდან უნანავებდნენ სადგურის ფხიზელ მოსახლეობას და საშუალებას არ აძლევდნენ მათ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აეფეთქებინათ ზედმეტი, გამოუსადეგარი გადასასვლელები, საიდანაც „სევასტოპოლსკაიასკენ“ – როგორც შხამიანი მრავალფეხა ხორცსაკეპისაკენ – შეუჩერებლად მოცოცავდა კოშმარული ქმნილებების ურდო.

სადგურის მკვიდრთა გუნდი, რომელიც ჯოჯოხეთისკენ მიექანებოდა, სამუდამოდ იყო განწირული იმისათვის, რომ ეპოვა და ამოევსო ხვრელები, რადგან მათმა გემმა დიდი ხნის წინ გაცურა, მშვიდი ნავსადგური კი უბრალოდ აღარ არსებობდა.

ურჩხულთა შეტევები ერთდროულად „ჩერტანოვსკაიასა“ და „ნახიმოვსკის“ გამზირებიდან უნდა მოეგერიებინათ... საშინელი არსებები სამხრეთის გვირაბებიდან კანალიზაციის მლვრიე წყალს სავენტილაციო შახტებით მოჰყვებოდნენ.

თითქოს მთელი სამყარო უტევდა „სევასტოპოლსკაიას“ და ძალებს არ იშურებდა, რომ ეს სადგური მეტროს რუკიდან გაექრო. იქაურები კი თავგანწირვით იბრძოდნენ თავიანთი სადგურის გადასარჩენად.

მაგრამ როგორი მარჯვეებიც უნდა ყოფილიყვნენ აქაური ინჟინრები, როგორი გამოცდილი და ულმობელი მებრძოლებიც უნდა აღეზარდა სადგურს, ვერავინ შეძლებდა „სევასტოპოლსკაიას“ დაცვას ტყვიების, პროჟექტორის ნათურების, ანტიბიოტიკებისა და ბინტის გარეშე. დიახ, სადგური ელექტროენერგიას გამოიმუშავებდა და ჰანზაც კარგად იხდიდა ამისთვის, მაგრამ წრიულ ხაზს ელექტროენერგიის სხვა მომწოდებლებიც ჰყავდა და საკუთარი წყაროც ჰქონდა, ხოლო „სევასტოპოლსკაიას“ მკვიდრნი ამ შემოსავლის გარეშე ერთ თვესაც ვერ გაძლებდნენ. ყველაზე საშიში კი საბრძოლო მასალების გარეშე დარჩენა იყო.

„სერპუხოვსკაიასაკენ“ ჰანზაში სავაჭროდ ყოველ კვირას მიდიოდა კარგად დაცული ქარავანი და მაშინვე უკან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბრუნდებოდა. ეს წესრიგი შეუცვლელი იყო, სანამ დედამიწა ბრუნავდა, მიწისქვეშ წყლები მოედინებოდა და მეტროს მშენებლების მიერ აგებული თაღები მყარად იდგა.

მაგრამ ამჯერად ქარავანი იგვიანებდა, თანაც უკვე იმდენ ხანს, რომ ცხადი იყო, რაღაც საშინელი და გაუთვალისწინებელი მოხდა, რისგანაც ის ვერც ბრძოლებში გამოწრთობილმა მძიმედ შეიარაღებულმა მებრძოლებმა დაიცვა და ვერც ჰანზას ხელისუფლებასთან წლობით ნალოლიავებმა ურთიერთობამ.

წრიული ხაზისკენ მიმავალ ტელეფონის კაბელებსაც რაღაც დაემართა, კავშირი ჯერ კიდევ ორშაბათს გაწყდა, ხოლო მათ საძებრად გაგზავნილი ბრიგადა უკან ხელმოცარული დაბრუნდა.

* * *

მაგიდასთან დაკიდებული მწვანეაბაჟურიანი ნათურა გაყვითლებულ ფურცელზე ფანქრით შესრულებულ ნახაზებსა და დიაგრამებს ანათებდა. ნათურა ორმოცვატიანი იყო, მაგრამ არა იმიტომ, რომ ელექტროენერგიას ზოგავდნენ, არამედ იმიტომ, რომ კაბინეტის მეპატრონეს მკვეთრი სინათლე არ უყვარდა. ადგილობრივი წარმოების სიგარეტის ნამწვით გადავსებულ საფერფლეს საზიზღარი კვამლი ასდიოდა და ღრუბლად იკვრებოდა დაბალ ჭერში.

სადგურის უფროსმა შუბლი მოიწმინდა, ხელი ჩაიქნია და ნახევარი საათის განმავლობაში უკვე მეხუთედ გახედა საათის ციფერბლატს ერთადერთი თვალით. შემდეგ თითები გაატკაცუნა და მკაცრი სახით წამოდგა.

– გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. დროის გაყვანას აზრი არა აქვს.

მაგიდის მეორე მხარეს მჯდომმა, დალაქავებულ ბუშლატსა და გაცვეთილ ცისფერ ბერეტში გამოწყობილმა მხნე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოხუცმა რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხველა აუტყდა და ხელების საესავით სიგარეტის კვამლის გაფანტვას შეეცადა. ბოლოს, როგორც იქნა, სული მოითქვა და სადგურის უფროსს უკმაყოფილოდ შუბლშეკრულმა განუმარტა:

– ვლადიმერ ივანოვიჩ, მოდი, კიდევ ერთხელ გაგიმეორებ: სამხრეთის მიმართულებიდან ჩვენ ვერავის მოვხსნით. ბოლო კვირის განმავლობაში უკვე სამი დაჭრილია და მათგან ერთი ძალიან მძიმედაა. ასე რომ, სამხრეთის შესუსტების უფლებას არ მოგცემ! იქ შახტებზე და ლიანდაგებს შორის გადასასვლელებზე პატრულირებისათვის მუდმივად საჭიროა მზვერავების ორი სამეული, ხოლო ჩრდილოეთით, შემხვედრი ბრიგადების გარდა, თავისუფალი არავინაა. ბოდიშს გიხდი. სადაც გინდა, იქ ეძებე.

– პერიმეტრის მეთაური შენ ხარ და თვითონვე ეძებე! – შეულრინა სადგურის უფროსმა, – მე კი ჩემ საქმეს მივხედავ. ერთი საათის შემდეგ ჯგუფი უნდა გავიდეს. მესმის, მე და შენ სხვადასხვანაირად ვაზროვნებთ. ხომ არ შეიძლება მხოლოდ ამწუთიერი პრობლემები გადავჭრათ?! იქნებ იქ რალაც მეტად სერიოზულია?!

– მე კი ვფიქრობ, ვლადიმერ ივანოვიჩ, რომ შენ ცხელ გულზე ილებ გადაწყვეტილებას. არსენალში 5.45-კალიბრიანი თუთიის ორი გაუხსნელი ყუთი გვაქვს, კვირა-ნახევარს ნამდვილად გვეყოფა. სახლში ბალიშის ქვეშაც იმდენი მაქვს, – მოხუცმა ჩაიცინა და ყვითელი, დიდი კბილები გამოაჩინა, – ერთი ყუთი ნამდვილად შეგროვდება. ტყვია კი არა, ხალხი გვიჭირს.

– არა, უბედურება სხვა რამეა. თუ ტყვია-წამლის მოწოდების პრობლემა არ მოგვარდა, ორი კვირის თავზე სამხრეთის გვირაბებში პერმეტული ჭიშკრების გადაკეტვა მოგვიწევს, რადგან საბრძოლო მასალის გარეშე მათ შეკა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჟუბას ვერ შევძლებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი წისქვილების ორ შესამედს ველარ დავათვალიერებთ და ველარც შევაკეთებთ, რაც კიდევ ერთი კვირის თავზე მათ მწყობრიდან გაჩოსვლას გამოიწვევს. ჰანზაზე კი ელექტროენერგიის გათიშვა არავის გაახარებს. უკეთეს შემთხვევაში, ისინი სხვა შიშწოდებლის ძებნას დაიწყებენ. უარეს შემთხვევაში... თუმცა, ელექტროენერგია რა მოსატანია?! გვირაბები, უკვე ხუთი დღეა, ცარიელია. იქნებ ჩამოინგრა ან წყალმა ამოხეთქა? ვაითუ, მოწყვეტილები ვართ?

– მოიცა რა, ნუ აზვიადებ! დენის კაბელები წესრიგშია. მრიცხველებიც მუშაობს და ჰანზას ელექტროენერგიაც მიეწოდება. რამე რომ ჩამონგრეულიყო, აუცილებლად გაიგებდი. დივერსია რომ იყოს, სატელეფონო ხაზებს კი არა, დენის კაბელებს გადაგვიჭრიდნენ. რაც შეეხება გვირაბებს – ჩვენთან კარგ დროშიც კი არავინ მოდიოდა. მხოლოდ „ნახიმოვსკის გამზირი" და იქიდან გამოღწევა რად ღირს... სხვისი ვაჭრები აქ ალარ დადიან. ცხადია, ეს ბანდიტებმაც იციან, ტყუილად კი არ ვუშვებდით ბანდიტებიდან ერთ-ერთს ცოცხლად. ასე რომ, სულ ტყუილად ვარდები პანიკაში.

– სათქმელად ადვილია, – ჩაიბურტყუნა ვლადიმერ ივანოვიჩმა, თვალზე აკრული სახვევი აიწია და ოფლი მოიწმინდა.

– ჯანდაბას, სამეულს მოგცემ, მეტი კი მართლა ალარ შეიძლება, – დაუთმო მოხუცმა, – და ამდენს ნულარ ეწევი. თავსაც იწამლავ და მეც მწამლავ! ჯობია, ჩაი დავლიოთ...

– სიამოვნებით, – ხელები მოიფშვნიტა უფროსმა და ტელეფონში ჩასძახა: – ისტომინი ვარ, მე და პოლკოვნიკს ჩაი შემოგვიტანეთ.

– მორიგე ოფიცერიც გამოიძახე, სამეულზე თადარიგს დავიჭერ, – უკარნახა პერიმეტრის მეთაურმა და ბერეტი მოიხადა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისტომინს ჩაი ყოველთვის თავისი ჰქონდა, „ვედეენხადან", განსაკუთრებული, უმაღლესი ხარისხისა. ყველას როდი შეეძლო თავისთვის ასეთი ფუფუნების უფლება მიეცა – მეტროს მეორე ბოლოდან მოტანილი და ჰანზაზე სამჯერ დაბეგრილი ჩაი ისეთი ძვირი ღირდა, რომ თავად სადგურის უფროსიც უარს იტყოდა თავის სისუსტეზე, რომ არა ძველი კავშირები „დობრინინსკაიაზე", სადაც ვიღაცასთან ერთად იბრძოდა ოდესღაც და საიდანაც თვეში ერთხელ ჰანზადან დაბრუნებულ ქარავანს ყოველთვის მოჰქონდა ღია ფერის შეკვრა, რომელსაც ისტომინი თვითონ აკითხავდა.

წლის წინ „სევასტოპოლსკაიაზე" ხმა გავარდა ახალი და საშინელი საფრთხის შესახებ, რომელიც „ვედეენხას" და, საერთოდ, მთელ ნარინჯისფერ ხაზს ემუქრებოდა: „ვედეენხაზე" ზემოდან ჩამოდიოდნენ უცნობი, თითქმის უხილავი და პრაქტიკულად უძლეველი მუტანტები, რომლებიც ადრე არასდროს ენახათ და რომელთაც თურმე ადამიანთა ფიქრების წაკითხვა შეეძლოთ. ამბობდნენ, სადგური დაეცა, ჰანზამ კი, მუტანტების თავიდან ასარიდებლად, მშვიდობის გამზირის მომდევნო გვირაბი ააფეთქაო. ამის გამო, ჩაი ჯერ საოცრად გაძვირდა, ბოლოს კი საერთოდ გაწყდა. ისტომინი სერიოზულად შეშფოთდა. თუმცა, რამდენიმე კვირის თავზე ვნებათაღელვა დაცხრა და „სევასტოპოლსკაიაზე" დაბრუნებულმა ტყვიებითა და ნათურებით დატვირთულმა ქარავანმა კვლავ მოიტანა არომატული ჩაი.

სანამ პერიმეტრის მეთაურს ფაიფურის ოქროსვარაყიან ფინჯანში ჩაის უსხამდა და მის არომატულ ოხშივარს იყნოსავდა, ისტომინმა სიამოვნებისაგან თვალებიც კი მილულა. შემდეგ თავისი ფინჯანიც შეავსო, მძიმედ დაეშვა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სკამზე და ვერცხლის კოვზი ააწკარუნა საქარინის ნატეხის ჩაიში გასახსნელად.

ცოტა ხანს ეს მელანქოლიური წკარუნი იყო ერთადერთი ხმა, რომელიც თამბაქოს ბოლით გაჯერებულ ოთახში ისმოდა. შემდეგ ის გვირაბიდან მომავალმა ზარის წყვეტილმა ხმამ გადაფარა.

– განგაშია!

პერიმეტრის მეთაური ასაკისთვის შეუფერებლად სწრაფად გავარდა ოთახიდან. სადღაც შორს თოფმა იგრიალა, რასაც ავტომატების ჯერი მოჰყვა. პლატფორმაზე სამხედრო ჩექმები აბრაგუნდა, შორიდან კი პოლკოვნიკის ბოხი ხმით გაცემული ბრძანება მოისმა.

ისტომინიც გაიწია კარადასთან დაკიდებული ავტომატისკენ, მაგრამ ხელზე ხელი წაივლო, ამოიოხრა, ხელი ჩაიქნია, მაგიდასთან დაბრუნდა და ჩაი მოსვა. პოლკოვნიკის ჩაის ჯერაც ორთქლი ასდიოდა. იქვე ეგდო სიჩქარეში დაყენებული მისი ცისფერი ბერეტი. სადგურის უფროსი დაეჯღანა ქუდს და ბურდღუნით ძველ თემას დაუბრუნდა ახალი არგუმენტებით, რომლებიც კამათისას არ გაახსენდა.

* * *

„სევასტოპოლსკაიაზე" არაერთი ბოროტი ხუმრობა დადიოდა იმის შესახებ, თუ რატომ ერქვა მის მეზობელ სადგურს „ჩერტანოვსკაია". აზრად არავის მოსდიოდა, ორ სადგურს შორის, გვირაბის სილრმეში განთავსებული ელექტროსადგურის წისქვილები დაუსახლებელ „ჩერტანოვსკაიაზე" გადაეტანა, რაც ბევრად უფრო მოსახერხებელი იქნებოდა. ინჟინერთა ჯგუფები, რომლებიც დაცვის თანხლებით მიდიოდნენ სადგურების დასამონტაჟებლად თუ გენერატორების შესამოწმებლად, ვერ ბედავდნენ, „ჩერ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტანოვსკაიას" პლატფორმას ას მეტრზე მეტად მიახლოებოდნენ. ურნმუნოების გარდა, ამ მოგზაურობისას ყველა უჩუმრად იწერდა პირჯვარს, ზოგი კი ყოველი შემთხვევისთვის, ოჯახს ემშვიდობებოდა.

„ჩერტანოვსკაია" საშიში სადგური იყო და ამას ყველა გრძნობდა, ვინც მას თუნდაც ხუთას მეტრზე მიუახლოვდებოდა. მძიმე დამრტყმელი რაზმები, რომლებსაც „სევასტოპოლსკაიადან" უშვებდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როცა გაფართოების იმედი ჰქონდათ, უკან განახევრებულები და განადგურებულები ბრუნდებოდნენ. უმეტეს შემთხვევაში კი საერთოდ ვერ ბრუნდებოდნენ. შიშისგან დორბლმომდგარი მებრძოლები კოცონთან იმდენად ახლოს სხდებოდნენ, რომ ტანსაცმელი ეწვოდათ, თუმცა მაინც ვერაფრით თბებოდნენ. აკანკალებულები ძლივს იხსენებდნენ, რაც თავს გადახდათ და მათი ამბები არასოდეს ჰგავდა ერთმანეთს.

ამტკიცებდნენ, რომ „ჩერტანოვსკაიას" მთავარი გვირაბის განშტოებები სადღაც უფსკრულში ეშვებოდა და ბუნებრივი გამოქვაბულების გრანდიოზულ ლაბირინთს უერთდებოდა, სადაც, ხმების მიხედვით, ათასი უწმინდური არსება დაძრწოდა. იმ ადგილს, საიდანაც გვირაბი უფსკრულში ეშვებოდა, სადგურზე „კარიბჭეს" ეძახდნენ – პირობითად, რადგან ეს ადგილი არც ერთ სევასტოპოლსკაიელს არ ენახა. თუმცა, იყო ერთი შემთხვევა, როცა „კარიბჭე" ნახა დიდმა სადაზვერვო ჯგუფმა, რომელმაც „ჩერტანოვსკაია" გადალახა. ჯგუფს თან ჰქონდა ტელეფონის მსგავსი გადამცემი. მეკავშირემ სწორედ ამ გადამცემით ამცნო „სევასტოპოლსკაიას", რომ მზვერავები ქვემოთ თითქმის მართობულად მიმავალი ვიწრო დერეფნის წინ იდგნენ. მეტის თქმა ველარ მოასწრო, მაგრამ სანამ კავშირი გაწყდებოდა, „სევასტოპოლსკაიას" ხელმძღვანელობას ესმოდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთხმად როგორ არაადამიანურად ღრიალებდნენ მებრძოლები. ერთი ტყვიაც კი არ გავარდნილა. ყოველი მებრძოლი თითქოს ხვდებოდა, რომ ჩვეულებრივი იარაღი მათ ვერ დაიცავდა. ბოლოს დანაყოფის მეთაურის ხმაღა ისმოდა – „კიტაი-გოროდიდან" დაქირავებული მკვლელისა, რომელიც თავისი მტრის ნეკა თითების შეგროვების პობით იყო ცნობილი. მისი ხმა ძლივს აღწევდა, რადგან ალბათ შორს იდგა გადამცემისგან, რომელიც მეკავშირეს გაუვარდა ხელიდან, თუმცა სადგურის უფროსმა მის სიკვდილისწინა ხრიალში მაინც გაარჩია – უბრალო ლოცვა, რომელსაც მორწმუნე მშობლები ასწავლიან ხოლმე ბავშვებს.

ამ შემთხვევის შემდეგ აღარც უცდიათ „ჩერტანოვსკაიაზე" გასვლა. ერთხანს „სევასტოპოლსკაიას" მიტოვებასა და პანზასთან ახლოს გადასვლასაც კი ფიქრობდნენ. თუმცა, ეს დაწყევლილი სადგური, როგორც ჩანს, ადამიანთა სამფლობელოს საზღვარი იყო. მართალია, საზარელი არსებები თავს აბეზრებდნენ „სევასტოპოლსკაიას" მკვიდრთ, მაგრამ მათ მოგერიებას გონივრულად ორგანიზებული თავდაცვით, თუ საკმარისი საბრძოლო მასალაც ჰქონდათ, და სრულიად უმსხვერპლოდ ახერხებდნენ ხოლმე.

ბლოკპოსტებთან ზოგჯერ ისეთი არსებები მოცოცავდნენ, რომელთა შეჩერებაც მხოლოდ ფეთქებადი ტყვიებითა და მაღალვატიანი ელექტროხაფანგებით იყო შესაძლებელი. მათ აქ შინაურულად ვამპირებს ეძახდნენ.

– აი, კიდევ ერთი, ზემოთ, მესამე მილში!

ჭერიდან სანახევროდ მოგლეჯილი პროჟექტორი ჩამომხრჩვალივით ერთ მავთულზე ქანაობდა და მორიგეობით აჩენდა ხან პარვით მომავალი მუტანტების დაგრეხილ ფიგურებს, ზამბარებივით რომ იწელებოდნენ და მერე ისევ იკუმ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შებოდნენ, ხანაც გუშაგების შეშინებულ თვალებს. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ადამიანთა და ურჩხულთა ლანდები.

ბლოკპოსტი საკმაოდ მოხერხებულად იყო მოწყობილი. გვირაბების შეერთების ადგილას – იქ, სადაც ატომურ ომამდე არც ისე დიდი ხნის წინ მეტრომშენმა კონსტრუქციის მშენებლობა წამოიწყო, მაგრამ დასრულება ვერ მოასწრო, „სევასტოპლსკაიას" მოსახლეობას ნამდვილი ციხე-სიმაგრე აეგო ორი ტყვიამფრქვევით, სილის ტომრების მეტრნახევრიანი საფრით, ტანკსაწინააღმდეგო ზღარბებითა და შლაგბაუმით, ელექტროხაფანგებითა და სიგნალიზაციით. თუმცა, ასეთი დაცვაც კი არასაიმედო ხდებოდა მაშინ, როცა ვამპირები ისე ესხმოდნენ თავს, როგორც იმ დღეს.

ცხვირდასისხლიანებული მეტყვიამფრქვეველ რაღაცას გაურკვევლად ბურტყუნებდა და გაოცებული დაჰყურებდა თავის გასისხლიანებულ ხელებს. მისი გაჭედილი „პეჩენეგის"[1] გარშემო კი ჰაერი სიცხისაგან თრთოდა. მეტყვიამფრქვეველმ ერთხელაც ამოიოხრა, თავით ჩაემხო თავისი მეზობლის – ტიტანისჩაფხუტიანი ძლიერი მებრძოლის – მხრებში და მიყუჩდა. ნამის შემდეგ წინიდან სულისშემძვრელი კივილი გაისმა – ვამპირები უტევდნენ.

ჩაფხუტიანი მებრძოლი ბრუსტვერზე ნამოდგა, გასისხლიანებული მეტყვიამფრქვეველ მოიშორა და წინ ავტომატის გაბმული ჯერი მიუშვა. რუხმა, საზიზღარმა, გლუვმა არსებამ მოკრუნჩხული წინა თათები გაჭიმა და თავდასხმისათვის მოემზადა. ვამპირები წარმოუდგენელი სისწრაფით მოძრაობდნენ, მცირე შანსსაც კი არ უტოვებდნენ ტომრებს ამოფარებულ ადამიანებს, ამიტომ ამ პუნქტში მხოლოდ ძალიან სწრაფი და მოხერხებული გუშაგები მორიგეობდნენ.

---

[1] პეჩენეგი – ერთგვარი რუსული ტყვიამრქვევი (მთარგმნ.).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გასროლის ხმამ კივილი გადაფარა, ასკილოიანი მკვდარი ვამპირი მძიმედ დაეცა ბრუსტვერზე და ტომრებს ბული აადინა.

– მგონი, მორჩა...

ჭერში გადაჭრილი მილებიდან მომავალი საშინელ არსებათა ნაკადი მართლაც შეწყდა. გუშაგები ფრთხილად ამოვიდნენ საფრიდან.

– საკაცეები მოიტანეთ და ექიმი გამოიძახეთ!

მებრძოლმა, რომელმაც ბოლო ვამპირი მოკლა, ავტომატის ლულას ხიშტი მიამაგრა და აუჩქარებლად დაუყვა ბრძოლის ველზე მკვდრებსა და დაჭრილ ვამპირებს. ეშვებიან ყბებს ჩექმით უსრესდა და სწრაფად და ზუსტად უყრიდა ხიშტს თვალის ბუდეში. შემდეგ, დაღლილი, ქვიშიან ტომრებს ზურგით მიეყრდნო, გვირაბისკენ გაიხედა, ჩაფხუტი მოიხსნა და მათარა მოიყუდა.

სადგურიდან დამხმარე ძალა მაშინ მოვიდა, როცა ყველაფერი უკვე დასრულებული იყო. პერიმეტრის მეთაურს სამხედრო ბუშლატი გადაეღელა, მძიმედ სუნთქავდა და თავის იარებს წყევლიდა.

– საიდან მოვუყვანო სამეული?!

– რაზე ლაპარაკობთ, დენის მიხაილოვიჩ? – ჰკითხა ერთ-ერთმა გუშაგმა.

– ისტომინი ითხოვს, სასწრაფოდ სამი მზვერავი გავაგზავნოთ „სერპუხოვსკაიაზე“. ქარავნის გამო ღელავს. საიდან მოვუყვანო სამი მზვერავი? ზუსტად ახლა ხომ...

– ქარავნის შესახებ ისევ არაფერი ისმის? – არც შემობრუნებულა, ისე იკითხა გუშაგმა.

– არაფერი, მაგრამ არც ისე დიდი დროა გასული. ბოლოს და ბოლოს, რა უფრო საშიშია? თუ სამხრეთი არ დავიცავით, ერთ კვირაში მაგ ქარავანს აქ აღარავინ დახვდება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მებრძოლმა უსიტყვოდ დაუქნია თავი. არც მაშინ უპასუხია მეთაურისთვის, როცა მასა და მის თანამებრძოლებს ბუზღუნით ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა ვინმეს სურვილი, „სერპუხოვსკაიაზე“ წამსვლელთა სამეულში მოხალისედ ჩაწერილიყო; არადა, იცოდა, სადგურის უფროსი მანამ არ მოეშვებოდა პოლკოვნიკს, სანამ ის მოხალისეების სამეულს არ შეადგენდა.

მსურველების შეკრება დიდად არ გასჭირვებია მოხუცს – გუშაგთა უმეტესობისთვის იმაზე დიდი საფრთხის წარმოდგენა, რაც ამ ბლოგპოსტზე ხდებოდა, შეუძლებელი იყო.

ექვსი მსურველიდან პოლკოვნიკმა სამი აარჩია, რომლებიც, მისი აზრით, ახლა ნაკლებად სჭირდებოდა „სევასტოპოლსკაიას“. ეს სწორი გადაწყვეტილება აღმოჩნდა, რადგან „სერპუხოვსკაიაზე“ გაგზავნილი ამ სამეულიდან უკან ერთიც აღარ დაბრუნებულა.

* * *

ქარავნის საძებნელად მზვერავთა გაგზავნიდან სამი დღის თავზე პოლკოვნიკს უკვე ეჩვენებოდა, რომ მას ზურგს უკან ჭორავდნენ და ალმაცერად უყურებდნენ. მისი გამოჩენისთანავე ყველაზე ცხარე კამათიც კი წყდებოდა. ყველგან დაძაბული დუმილი სუფევდა და ამ დუმილში ისმოდა უთქმელი მოთხოვნა: პოლკოვნიკს აეხსნა და გაემართლებინა თავისი საქციელი.

მისი მოვალეობა იყო „სევასტოპოლსკაიას“ თავდაცვითი პერიმეტრის უსაფრთხოების დაცვა, ის ტაქტიკოსი იყო და არა სტრატეგი, სწორედ ამიტომაც, არ ჰქონდა უფლება, ისედაც თითებზე ჩამოსათვლელი ჯარისკაცები ასე მიმოეფანტა და საეჭვო თუ არა, უაზრო დავალებებზე გაეგზავნა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საბი დღის წინ პოლკოვნიკი თავისი გადაწყვეტილების სისწორეში ღრმად იყო დარწმუნებული, მაგრამ ახლა, როცა ყოველი შეშინებული, გამამტყუნებელი, ეჭვიანი მზერა ზურგში ესობოდა, რწმენა შეერყა. სინამდვილეში, ჰანზამდე მისვლისა და უკან დაბრუნებას, – გზად მოსალოდნელი ბრძოლებისა და დამოუკიდებელ მცირე საფგურებზე გაჩერების ჩათვლით, ერთ დღე-ღამეზე მეტი არ სჭირდებოდა. ესე იგი...

პოლკოვნიკი თავის ოთახში ჩაიკეტა, ბრძანა, არავინ შემაწუხოსო და დუდლუნით მეასედ შეუდგა იმის განხილვას, თუ რა შეიძლებოდა მოსვლოდათ ვაჭრებსა და მზვერავებს.

„სევასტოპოლსკაიაზე" ჰანზას ჯარის გარდა არავისი ეშინოდათ. საფგურის შესახებ რამდენიმე მნახველის მიერ მოყოლილი არაერთი ჭორი იმაზე, თუ როგორ უჭირდათ საფგურის მკვიდრთ გადარჩენა, არაკების მოყვარულთა მიერ ატაცებული ამბები მთელ მეტროში ვრცელდებოდა და თავის საქმეს აკეთებდა. მოგვიანებით საფგურის უფროსობაც მიხვდა ასეთი სახელის სარგებელს და თავადვე დაიწყო ხელის შეწყობა. ინფორმატორებსა და მექარავნეებს, მოგზაურებსა და დიპლომატებს ოფიციალურად ჰქონდათ ნება დართული, რაც შეიძლება საშინელი სიცრუე შეეთხზათ „სევასტოპოლსკაიას" და, საერთოდ, მთელი ხაზის შესახებ.

მხოლოდ ერთეულებმა თუ იცოდნენ საფგურის ნამდვილი მომხიბვლელობა და მნიშვნელობა. ბოლო წლებში უმეცარმა ბანდიტებმა სულ რამდენჯერმე სცადეს ბლოკპოსტის ძალით გარღვევა, მაგრამ „სევასტოპოლსკაიას" საბრძოლო მანქანამ ყოველგვარი სირთულის გარეშე მოიგერია დაქსაქსული დანაყოფი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დასაზვერად მიმავალი სამეულს კი მკაფიო ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს და მკაცრად გააფრთხილეს, საფრთხის შემთხვევაში, ბრძოლაში არ ჩარეულიყო და რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნებულიყო უკან.

ასევე საშიშ ადგილად ითვლებოდა „ნაგორნაია" – არც ისეთი საშინელი, როგორც „ჩერტანოვსკაია", მაგრამ მაინც საკმაოდ სახიფათო და ავბედითი, და „ნახიმოვსკის გამზირი", რომლის ზედა ჩაჭედილი ჰერმეტული ჭიშკარი სრულად ვერ იცავდა სადგურს საზარელი არსებებისგან. „სევასტოპოლსკაიას" არ უნდოდა გასასვლელების აფეთქება: „ნახიმოვსკის" ასასვლელებით სტალკერები სარგებლობდნენ. პროსპექტზე, როგორც მას სადგურზე ეძახდნენ, მარტო გასვლას ვერავინ ბედავდა, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, მზვერავთა სამკაციან ჯგუფს იქ მოხეტიალე საშინელი არსებები ვერ მოეგერიებინა.

ჩამოინგრა? მიწისქვეშა წყლებმა ამოხეთქა? დივერსია? გამოუცხადებელი ომი ჰანზასთან? ახლა ისტომინს კი არა, მას უნდა გაეცა პასუხი დაკარგული მზვერავების ცოლებისთვის – ქალებისთვის, რომლებიც მიტოვებული ძაღლებივით მოდიოდნენ პოლკოვნიკთან, რათა სევდიანად ჩაეხედათ მის თვალებში და იმედი და სიმშვიდე ეპოვათ. მას ყველაფერი უნდა აეხსნა გარნიზონის ჯარისკაცებისთვისაც, რომლებსაც ჯერ კიდევ სჯეროდათ მისი და ზედმეტ შეკითხვებს არ სვამდნენ; უნდა დაემშვიდებინა აღელვებული თანასადგურელები, საღამოობით, სამუშაოს შემდეგ რომ იკრიბებოდნენ სადგურის საათთან, რომელზეც ქარავნის გასვლის დრო დაინიშნეს.

სადგურის უფროსს, ისტომინს, ბოლო დღეებში სულ უფრო ხშირად ეკითხებოდნენ სადგურზე განათების შემცირების მიზეზს და მოითხოვდნენ, ნათურები ისევ ძველე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბურად გაეჩხჩხტენინათ. სინამდვილეში, ნათურები ძველებურად ანათებდა. წყვდიადი საფეხურზე კი არა, ადამიანების სულში გრიგალებოდა.

„სერპუხოვსკაიასთან" საფილტვოანი კავშირის აღდგენა ვერ ხერხდებოდა. პოლკოვნიკმა, ისევე, როგორც „სევასტოპოლსკაიას" ბევრმა სხვა მკვიდრმა, დაკარგა ძალიან მნიშვნელოვანი – ადამიანებთან სიახლოვის განცდა.

სანამ კავშირგაბმულობა მუშაობდა, სანამ ქარაგანი რეგულარულად დადიოდა, „სევასტოპოლსკაიას" ნებისმიერ მკვიდრს თავისუფლად შეეძლო საფეხურის დატოვება. ყველამ იცოდა, რომ მათი საფეხურიდან ხუთიოდე გადასასვლელის იქით იწყებოდა ნამდვილი მეტრო... ცივილიზაცია...

ალბათ ასევე სჯეროდათ ოდესლაც არქტიკაში ჩაკარგულ პოლარელებს, რომლებიც საშეცნიერო ინტერესებისა თუ მაღალი ანაზღაურების გამო ნებაყოფლობით მიდიოდნენ და თვეობით ებრძოდნენ ყინვასა და მარტოობას. ცივილიზაციამდე რამდენიმე ათასი კილომეტრია, მაგრამ ის მაინც სადღაც აქვეა, გვერდით, სანამ რადიო მუშაობს, ხოლო თვეში ერთხელ თვითმფრინავების გუგუნი მოისმის, რომლებიც პარაშუტებით კონსერვების ყუთებს ყრიან.

დრო გადიოდა. პოლკოვნიკმა თანდათან დაიჯერა, რომ „სერპუხოვსკაიაზე" გაგზავნილ მზვერავებს ველარასოდეს ნახავდა, თუმცა, ვერ ბედავდა, პერიმეტრის დაცვიდან კიდევ მოეხსნა სამი მებრძოლი და ამბის გასაგებად გაეშვა უცნობი საფრთხის ან უეჭველი სიკვდილის პირისპირ. მეორე მხრივ, არც პერმეტული ჭიშკრების დაშვებას, სამხრეთის გვირაბების გადაკეტვას და დიდი დამრტყმელი რაზმის მობილიზებას ჩქარობდა. დაბნეული, ნატრობდა, გამოჩენილიყო ვინმე, ვინ მის ნაცვლად მიიღებდა გადაწყვეტილებას, თუნდაც მცდარს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პერიმეტრის მეთაურმა ამოიოხრა, კარი ოდნავ გამოაღო, ქურდულად მიმოიხედა და გუშაგს დაუძახა.

– სიგარეტი ხომ არ გაქვს? იცოდე, ეს ბოლოა და როგორც არ უნდა გეხვეწო, მეტი აღარ მომცე. და სიტყვაც არავისთან დაგცდეს.

* * *

ნადიამ, ჩასკვნილმა და ლაქლაქა ქალმა, თივთიკის თავსაფრითა და ჭუჭყიანი წინსაფრით, ხორცითა და ბოსტნეულით სავსე ცხელი ქვაბი მოიტანა და გუშაგებიც გამოფხიზლდნენ. კარტოფილი, კიტრი და პამიდორი აქ ნამდვილ დელიკატესებად მიიჩნეოდა: „სევასტოპოლსკაიას" გარდა ბოსტნეულით გამასპინძლება წრიული ხაზისა და პოლისის ორიოდე რესტორანს თუ შეეძლო და იმიტომ კი არა, რომ შემორჩენილი თესლების გასახარებლად სასათბურე პირობები არ იყო, არამედ იმიტომ, რომ ჯარისკაცთა მენიუს გასამრავალფეროვნებად კილოვატობით ელექტროენერგიის ხარჯვა არც ერთ საფგურს არ ულირდა.

ბოსტნეული მეთაურთა სუფრაზეც კი მხოლოდ დღესასწაულებზე ხვდებოდა, მას ძირითადად ბავშვებისთვის იმეტებდნენ. ისტომინს დიდი ძალისხმევა დასჭირდა მზარეულების დასარწმუნებლად, მებრძოლების მენიუში ღორის ხორცთან ერთად მოხარშული კარტოფილი და თითო პამიდორი დაემატებინა.

მისმა დაჟინებამ გაამართლა: ნადიას გამოჩენისთანავე გუშაგებს სახეები ებადრებოდათ და დაკარგული ქარავნისა და დაგვიანებული მზვერავების შესახებ მომაბეზრებელი საუბრის სურვილიც უცებ უქრებოდათ.

– მთელი დღეა, „კომსომოლსკაიაზე" ვფიქრობ, – ამოიოხრა მეტროპოლიტენის დაბამბულ ქურთუკში გამოწყო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბილმა ჭალარა მოხუცმა, რომელიც კარტოფილს თავის ალუმინის ჯაფში ფცქვნიდა, – ნეტავ იქ მომახვედრა და ერთხელაც მანახა იქაური მოზაიკა. მოსკოვის ყველაზე ლამაზი სადგურია.

– მოიცა რა, პომეროს. ეგ შენ გგონია ეგრე, რადგან იქ ცხოვრობდი და გიყვარს ეგ სადგური, – მაშინვე შეეკამათა გაუპარსავი, მსუქანი მოხუცი, რომელსაც ყურებიანი ქუდი ჩამოეცხო თავზე, – „ნოვოსლობოდსკაიას" ვიტრაჟებზე და „მაიაკოვსკაიას" პაეროვან სვეტებსა თუ ფრესკებით მოხატულ ჭერზე რალას იტყვი?

– მე „რევოლუციის მოედანი" უფრო მომწონდა, – მორცხვად ალიარა ასაკოვანმა და მორცხვმა სნაიპერმა, – ვიცი, რომ სისულელეა, მაგრამ ბავშვობიდან ვგიჟდებოდი ამ სადგურზე – მკაცრ მატროსებსა და მფრინავებზე, ძალლებიან მესაზღვრეებზე.

– რატომ არის სისულელე? ძალიანაც სიმპათიური კაცები არიან ბრინჯაოში ჩამოსხმული, – მხარი აუბა ნადიამ, რომელიც ქვაბის ძირს ფხეკდა, – ეი, ბრიგადირო, უვახშმოდ არ დარჩე!

მალალი, მხარბეჭიანი მებრძოლი, რომელიც მანამდე განმარტოებით იჯდა, აუჩქარებლად მიუახლოვდა კოცონს, თავისი წილი ვახშამი აიღო და თავის ადგილს დაუბრუნდა – გვირაბთან ახლოს.

– სადგურზე გამოდის ხოლმე? – ჩურჩულით იკითხა მსუქანმა და თავით სიბნელეში ჩაძირული ზურგისკენ ანიშნა.

– კვირაზე მეტია, აქედან ფეხი არ გაუდგამს, – ჩურჩულითვე უპასუხა სნაიპერმა, – საძილე ტომარაში ათენებს. რა ნერვები აქვს... სამი დღის წინ, როცა ვამპირებმა კინალამ რინატი დაგლიჯეს, დადიოდა და ამოწმებდა, ყველა ნამდვილად მკვდარი იყო თუ არა. თავისი ხელით დახო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცა დაჭრილები, – ჩექმები და ავტომატი სულ სისხლიანი ჰქონდა, თვითონ კი კმაყოფილი იყო.

– ადამიანი კი არა, მანქანაა... – ჩაიბურტყუნა აყლაყუდა მეტყვიამფრქვეველმ.

– მის გვერდით ძილისაც კი მეშინია. გინახავს, რა აქვს სახეზე? თვალებში ვერ ვუყურებ.

– მე კი, პირიქით, მხოლოდ მის გვერდით ვგრძნობ თავს მშვიდად, – მხრები აიჩეჩა მოხუცმა ჰომეროსმა, – რას გადაეკიდეთ? კარგი ადამიანია, უბრალოდ, დასახიჩრებულია. სილამაზე სადგურებზეა მნიშვნელოვანი. შენი „ნოვოსლობოდსკაია“ კი, სხვათა შორის, უგემოვნო სადგურია! ფხიზელი თვალით მისი ვიტრაჟების ყურება შეუძლებელია... მომინდომა ვიტრაჟები!

– და ჭერზე კოლმეურნეობის თემაზე შესრულებული მოზაიკა არაა უგემოვნო?

– კი მაგრამ, „კომსომოლსკაიაზე“ სად ნახე მსგავსი რამ?

– კარგი რა, მთელი საბჭოთა ხელოვნება ან კოლმეურნეობაზეა, ან გმირ მფრინავებზე, – გაბრაზდა მსუქანი.

– აბა, აბა, სერიოჟა, შენ მფრინავებს თავი დაანებე! – გააფრთხილა სნაიპერმა.

– „კომსომოლსკაიაც“ ნაგავია და „ნოვოსლობოდსკაიაც“, – გაისმა დაბალი, ყრუ ხმა.

მოულოდნელობისაგან მსუქანს სიტყვა ყელში გაეჩხირა და ბრიგადირს მიაჩერდა. დანარჩენებიც მაშინვე მიყუჩდნენ: ის თითქმის არასდროს მონაწილეობდა მათ საუბარში. პირადად მისთვის დასმულ შეკითხვებსაც კი ან ძალიან მოკლედ პასუხობდა ან სულაც უპასუხოდ ტოვებდა.

ისევ ასე ზურგით იჯდა მათკენ და თვალს არ აშორებდა გვირაბს.

– „კომსომოლსკაიაზე“ თაღები ძალიან მაღალია, სვეტები კი წვრილი, მთელი პლატფორმა გზებიდან იცხრილე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბილმა ჭალარა მოხუცმა, რომელიც კარტოფილს თავის ალუმინის ჯამში ფცქვნიდა, – ნეტავ იქ მომახვედრა და ერთხელაც მანახა იქაური მოზაიკა. მოსკოვის ყველაზე ლამაზი სადგურია.

– მოიცა რა, ჰომეროს. ეგ შენ გგონია ეგრე, რადგან იქ ცხოვრობდი და გიყვარს ეგ სადგური, – მაშინვე შეეკამათა გაუპარსავი, მსუქანი მოხუცი, რომელსაც ყურებიანი ქუდი ჩამოემხო თავზე, – „ნოვოსლობოდსკაიას" ვიტრაჟებზე და „მაიაკოვსკაიას" ჰაეროვან სვეტებსა თუ ფრესკებით მოხატულ ჭერზე რალას იტყვი?

– მე „რევოლუციის მოედანი" უფრო მომწონდა, – მორცხვად აღიარა ასაკოვანმა და მორცხვმა სნაიპერმა, – ვიცი, რომ სისულელეა, მაგრამ ბავშვობიდან ვგიჟდებოდი ამ სადგურზე – მკაცრ მატროსებსა და მფრინავებზე, ძალლებიან მესაზღვრეებზე.

– რატომ არის სისულელე? ძალიანაც სიმპათიური კაცები არიან ბრინჯაოში ჩამოსხმული, – მხარი აუბა ნადიამ, რომელიც ქვაბის ძირს ფხეკდა, – ეი, ბრიგადირო, უვახშმოდ არ დარჩე!

მაღალი, მხარბეჭიანი მებრძოლი, რომელიც მანამდე განმარტოებით იჯდა, აუჩქარებლად მიუახლოვდა კოცონს, თავისი წილი ვახშამი აიღო და თავის ადგილს დაუბრუნდა – გვირაბთან ახლოს.

– სადგურზე გამოდის ხოლმე? – ჩურჩულით იკითხა მსუქანმა და თავით სიბნელეში ჩაძირული ზურგისკენ ანიშნა.

– კვირაზე მეტია, აქედან ფეხი არ გაუდგამს, – ჩურჩულითვე უპასუხა სნაიპერმა, – საძილე ტომარაში ათენებს. რა ნერვები აქვს... სამი დღის წინ, როცა ვამპირებმა კინაღამ რინატი დაგლიჯეს, დადიოდა და ამოწმებდა, ყველა ნამდვილად მკვდარი იყო თუ არა. თავისი ხელით დახო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცა დაჭრილები, – ჩექმები და ავტომატი სულ სისხლიანი ჰქონდა, თვითონ კი კმაყოფილი იყო.

– ადამიანი კი არა, მანქანაა... – ჩაიბურტყუნა აყლაყუდა მეტყვიამფრქვეველმ.

– მის გვერდით ძილისაც კი მეშინია. გინახავს, რა აქვს სახეზე? თვალებში ვერ ვუყურებ.

– მე კი, პირიქით, მხოლოდ მის გვერდით ვგრძნობ თავს მშვიდად, – მხრები აიჩეჩა მოხუცმა ჰომეროსმა, – რას გადაეკიდეთ? კარგი ადამიანია, უბრალოდ, დასახიჩრებულია. სილამაზე სადგურებზეა მნიშვნელოვანი. შენი „ნოვოსლობოდსკაია" კი, სხვათა შორის, უგემოვნო სადგურია! ფხიზელი თვალით მისი ვიტრაჟების ყურება შეუძლებელია... მომინდომა ვიტრაჟები!

– და ჭერზე კოლმეურნეობის თემაზე შესრულებული მოზაიკა არაა უგემოვნო?

– კი მაგრამ, „კომსომოლსკაიაზე" სად ნახე მსგავსი რამ?

– კარგი რა, მთელი საბჭოთა ხელოვნება ან კოლმეურნეობაზეა, ან გმირ მფრინავებზე, – გაბრაზდა მსუქანი.

– აბა, აბა, სერიოჟა, შენ მფრინავებს თავი დაანებე! – გააფრთხილა სნაიპერმა.

– „კომსომოლსკაიაც" ნაგავია და „ნოვოსლობოდსკაიაც", – გაისმა დაბალი, ყრუ ხმა.

მოულოდნელობისაგან მსუქანს სიტყვა ყელში გაეჩხირა და ბრიგადირს მიაჩერდა. დანარჩენებიც მაშინვე მიყუჩდნენ: ის თითქმის არასდროს მონაწილეობდა მათ საუბარში. პირადად მისთვის დასმულ შეკითხვებსაც კი ან ძალიან მოკლედ პასუხობდა ან სულაც უპასუხოდ ტოვებდა.

ისევ ასე ზურგით იჯდა მათკენ და თვალს არ აშორებდა გვირაბს.

– „კომსომოლსკაიაზე" თაღები ძალიან მაღალია, სვეტები კი წვრილი, მთელი პლატფორმა გზებიდან იცხრილე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბა; როგორც ხელისგულზე, ისე ჩანს. გადასასვლელების გადაკეტვაც საკმაოდ რთულია. „ნოვოსლობოდსკაიაზე" კი კედლები ისეა დაბზარული, ერთი ხელყუმბარაც კი ეყოფა მთელი სადგურის მინასთან გასწორებას. აღარც ვიტრაჟები არსებობს. კარგა ხანია, დაიმსხვრა.

შეპასუხება ვერავინ გაბედა. ბრიგადირმა კი მცირე პაუზის შემდეგ დაამატა:

– სადგურზე მივდივარ, თან ჰომეროსი მიმყავს, ცვლა ერთ საათში შეიცვლება. ბრიგადირობას არტური გასწევს.

სნაიპერი რატომღაც წამოხტა და თავი დაუქნია, თუმცა ეს ბრიგადირს არ დაუნახავს. მოხუციც წამოდგა და ფაცხაფუცხით შეუდგა მიმოფანტული ბარგი-ბარხანის ზურგჩანთაში ჩაყრას, თავისი ნილი კარტოფილის შეჭმა აღარ გახსენებია. მებრძოლი კოცონთან მთელი სალაშქრო აღჭურვილობით, ჩაფხუტითა და დიდი ზურგჩანთით მივიდა.

– ნარმატებას გისურვებთ! – სნაიპერმა გაყინული ხელების ფშვნეტით გააყოლა თვალი განათებულ გადასარბენზე მიმავალ ორ ფიგურას – ძლიერ ბრიგადირსა და გამხდარ ჰომეროსს და განკარგულება გასცა: – მგონი აცივდა, ნახშირი მიამატეთ.

ბრიგადირს მთელი გზა ხმა არ ამოუღია, მხოლოდ დაეაზუსტა, მართლა მემანქანის თანაშემწე და ლიანდაგების დარაჯი იყო თუ არა ადრე ჰომეროსი. მოხუცმა ეჭვით შეხედა, თუმცა უარყოფა არ უცდია. „სევასტოპოლსკაიაზე" ყველას ეუბნებოდა, მემანქანე ვიყავიო, ლიანდაგების დარაჯობაზე კრინტსაც არავისთან სძრავდა – ღირსეულ სამსახურად არ მიაჩნდა.

ბრიგადირი დარაჯებს ცივად მიესალმა და სადგურის უფროსის კაბინეტში დაუკაკუნებლად შევიდა. თმააბურ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძგნული, დალლილი, დაბნეული ისტომინი და პოლკოვნიკი გაკვირვებულები წამოდგნენ და მოსულს მიეგებნენ. ჰომეროსმა შესვლა ვერ გაბედა, ზღურბლზე შეჩერდა.

ბრიგადირმა ჩაფხუტი მოიხადა, პირდაპირ ისტომინის ფურცლებს დააგდო და გადაპარსულ თავზე ხელი გადაისვა. ნათურის შუქზე ახლა უკვე კარგად ჩანდა მისი დამახინჯებული სახე: მარცხენა ლოყა თითქმის მთლიანად დამწვარი ჰქონდა, თვალი წვრილ ნაპრალად ქცეოდა, ყურებიდან ტუჩის კუთხეებამდე იისფერი ნაწიბური გასდევდა. ჰომეროსი, რომელიც, წესით, უკვე შეჩვეული უნდა ყოფილიყო ამ სახეს, ახლაც, როგორც პირველი შეხვედრისას, კანკალმა აიტანა.

– პირადად წავალ წრიულზე, – პირდაპირ საქმეზე გადავიდა ბრიგადირი, სალამი არც გახსენებია.

ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ჰომეროსს ადრეც სმენოდა, რომ ბრიგადირს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა სადგურის ხელმძღვანელობასთან – ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ის შეუცვლელი მებრძოლი იყო. ახლა კი მიხვდა, რომ დაზვერვის ბრიგადირი საერთოდ არ ემორჩილებოდა ხელისუფლებას.

აი, ახლაც თითქოს ამ ორი ასაკოვანი, დალლილი კაცის თანხმობას კი არ ელოდებოდა, არამედ ბრძანებას აძლევდა მათ და ამ ბრძანების უსიტყვოდ შესრულებას ითხოვდა. ჰომეროსმა უკვე მერამდენედ გაიფიქრა: „ვინ არის ეს კაცი?!“

პერიმეტრის მეთაურმა სადგურის უფროსს გადახედა, თითქოს შეკამათებაც დააპირა, მაგრამ ხელი უსიტყვოდ ჩაიქნია.

– როგორც გენებოს, ჰანტერ... აზრს მაინც ვერავინ შეგაცვლევინებს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 2
დაბრუნება

ზღურბლზე მოკრძალებით მდგარი მოხუცი გაფაციცებული უსმენდა. ეს სახელი, უფრო სწორად, მეტსახელი, „სევასტოპოლსკაიაზე“ აქამდე არასდროს გაეგონა. თუმცა, თავადაც ხომ მეტსახელით მოიხსენიებდნენ – „ნიკოლაი ივანოვიჩს“ აღარავინ ეძახდა და, ისტორიებისა და ამბებისადმი დაუცხრომელი სიყვარულის გამო, ძველი ბერძენი მითოლოგის სახელით მიმართავდნენ.

„...თქვენი ახალი ბრიგადირი“, – ასე წარუდგინა მხარბეჭიანი და მძიმეჩაფხუტიანი ახალმოსული პოლკოვნიკმა დაბღვერილ გუშაგებს. ახალმოსულმა მათი ცნობისმოყვარე მზერა არად ჩააგდო და გულგრილად აქცია ზურგი. ჩანდა, გვირაბი და გამაგრებები უფრო აინტერესებდა, ვიდრე ადამიანები, რომლებიც ჩააბარეს. გასაცნობად მისულებს ხელს მაგრად, მაგრამ უსიტყვოდ ართმევდა, თავის ქნევით იმახსოვრებდა მეტსახელებს და სიგარეტის კვამლს სახეში აბოლებდა, რითაც მათთან დისტანციას უსვამდა ხაზს.

სახელის კითხვა ვერც მაშინ და ვერც მერე გუშაგებიდან ვერავინ გაბედა. ორი თვის თავზეც, უბრალოდ, „ბრიგადირს“ ეძახდნენ. ფიქრობდნენ, რომ სადგურმა საკმაოდ ძვირი გადაიხადა მის დაქირავებაში და ერთ-ერთი იყო დაქირავებულთაგან, რომლებიც მშვენივრად ცხოვრობენ წარსულისა და სახელის გარეშე.

„ჰანტერი! – ჰომეროსმა უხმოდ გაღეჭა უცნაური სიტყვა და ცალყბად ჩუმად გაიღიმა, – შუააზიურ ნაგაზს უფრო შეეფერება ეს სახელი, ვიდრე ადამიანს. ჯერ კიდევ მახსოვს ას-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეთი ძაღლები. მებრძოლი, მოკლე კუდით და ძირში დაჭრილი ყურებით... მაინც საიდან მომდის ეს ყველაფერი თავში?!"

სახელი კი, გულში ბევრჯერ რომ გაიმეორა, საოცრად ნაცნობი ეჩვენა. სად გაუგონია? ოდესღაც ალბათ რაღაცამ მოხიბლა და ეს სახელიც მისი მეხსიერების ფსკერზე დაილექა. ზედ კი სახელწოდებების, ფაქტების, ჭორების, ციფრების სქელი ფენა დაედო – ჭორებისა და არაკების მოყვარული ჰომეროსი უცნობი ადამიანების ცხოვრების უსარგებლო მონაცემებს დიდი მონდომებით ისმენდა და იმახსოვრებდა.

„ჰან-ტერი... იქნებ ის რეციდივისტია, რომლის სანაცვლოდაც ჰანზამ ჯილდო დაანესა?" – მოხუცმა საცდელი ქვა ჩააგდო თავისი სკლეროზის ორმოში და ყური მიუგდო. არა, ასცდა, – „სტალკერი? საველე მეთაური? ახლოსაა. ლეგენდარული..."

ჰომეროსმა კიდევ ერთხელ გააპარა თვალი ბრიგადირის უემოციო, თითქოს პარალიზებული სახისკენ. ეს ძაღლის სახელი ძალიანაც უხდებოდა.

– ორი კაცი მჭირდება, ჰომეროსსაც წავიყვან. მან იცის აქაური გვირაბები, – მოხუცისკენ არც მიუხედავს და არც თანხმობა უკითხავს, – კიდევ ერთი ადამიანი თვითონ შეარჩიეთ და გამაყოლეთ. დღესვე წავალთ.

ისტომინმა თანხმობის ნიშნად ნაჩქარევად დაუქნია თავი და პოლკოვნიკს გადახედა. დაბღვერილმა პოლკოვნიკმა ჩაიბურტყუნა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო, არადა, ბოლო დღეების განმავლობაში თავგადადებული ებრძოდა სადგურის უფროსს თითოეული მებრძოლის გამო. ჰომეროსისთვის აზრის კითხვას, ჩანდა, არავინ აპირებდა, თუმცა მას არც უფიქრია შეკამათება: ასაკის მიუხედავად, მო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხუცი არასოდეს ამბობდა უარს მსგავს დავალებებზე. ამისათვის კი თავისი მიზეზები ჰქონდა.

ბრიგადირმა მაგიდიდან თავისი ფუთიანი ჩაფხუტი აილო და გასასვლელისკენ დაიძრა. წამით კარში შეყოვნდა და ჰომეროსს მიუგდო:

– ოჯახს დაემშვიდობე. დიდი ხნით მივდივართ. ტყვიები არ წამოიღო, მე მოგცემ.

მოხუცი უკან დაედევნა იმ იმედით, რომ მოკლედ მაინც გაიგებდა, თუ რისთვის უნდა ყოფილიყო მზად ამ ლაშქრობისას. მაგრამ პლატფორმაზე გასული მიხვდა, დადევნებას აზრი ალარ ჰქონდა, ჰანტერი თავისი ათი ფართო ნაბიჯით მაინც უსწრებდა. ჰომეროსმა მხოლოდ თავი გადაიქნია და ბრიგადირი მზერით გააცილა.

მიმავალ ჰანტერს თავზე ჩაფხუტი არ ეფარა – ან დაავიწყდა, ან, უბრალოდ, ჰაერი არ ჰყოფნიდა. შუადღის შესვენებაზე გამოსულ ახალგაზრდა მელორე გოგონების გუნდს რომ ჩაუარა, მის ზურგსუკან ზიზღით ჩაილაპარაკეს: „შეხედეთ, გოგოებო, რა მახინჯია!"

* * *

– სად იპოვე? – ისტომინი ნებიერად გადაწვა სკამზე და ფუმფულა ხელით სიგარეტის დაჭრილი ქალალდების ყუთს დასწვდა.

ამბობდნენ, რომ ფოთლებს, რომელსაც ასე სიამოვნებით ეწეოდნენ სადგურზე, სტალკერები ზემოთ, ბიტცევსკის პარკის სიახლოვეს აგროვებდნენ. ერთხელ პოლკოვნიკმა „თამბაქოს" კოლოფს ხუმრობით მოატარა დოზიმეტრი და ის მართლაც აციმციმდა. მოხუცმა მაშინვე დაანება თავი მოწევას და ღამღამობით მტანჯველმა ხველამაც ნელ-ნელა გაუარა. ისტომინმა კი ფოთლების რადიოაქტიურობის დაჯერებაზე უარი თქვა და დენის მიხა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ილოვიჩიც დაამშვიდა, მეტროში მეტ-ნაკლებად ყველაფერი „ანათებსო“.

– ძველი ნაცნობობა, – უხალისოდ უპასუხა პოლკოვნიკმა, – ადრე ასეთი არ იყო, რაღაც დაემართა.

– მისი ფიზიონომიიდან გამომდინარე, ნამდვილად რაღაც დაემართა, – ჩაიფხუკუნა უფროსმა, მაგრამ გასასვლელისკენ მაინც გაიხედა, ვაითუ ჰანტერი შეყოვნდეს და ყველაფერი გაიგონოსო.

წარსულის ცივი ბურუსიდან მოულოდნელად და უცნაურად დაბრუნებული ბრიგადირი გამოჩენისთანავე პერიმეტრის მთავარ დასაყრდენად იქცა, ასე რომ, თავდაცვითი პერიმეტრის მეთაურს, მიუხედავად იმისა, რომ მისი დაბრუნებისა ჯერაც არ სჯეროდა, საწუწუნო ნამდვილად არაფერი ჰქონდა.

ცნობა ჰანტერის საშინელი და უცნაური დაღუპვის შესახებ მთელ მეტროში ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გავრცელდა, ორი თვის წინ კი, შუაღამისას, პოლკოვნიკს მოულოდნელად გამოეცხადა. მკვდრეთით აღმდგარს ისე ადვილად და შეუმჩნევლად გადაელახა ბლოკპოსტები, თითქოს ადამიანი კი არა, უხილავი მოჩვენება ყოფილიყოს. სანამ კარს გაუღებდა, პოლკოვნიკმა პირჯვარი გადაიწერა. კარის დაორთქლილ ჭუჭრუტანაში ნამდვილად ნაცნობი პროფილი ჩანდა: ხარივით სქელი კისერი, აპრიალებული შუბლი, ოდნავ ჩაჭყლეტილი ცხვირი. ღამის სტუმარი გვერდულად იდგა და თავდახრილი მიშტერებოდა იატაკს. პოლკოვნიკმა საყვედურით გახედა გახსნილი არყის ბოთლს, რომელიც მაგიდაზე იდგა, ამოიოხრა და ურდული გადასწია. კოდექსი ავალდებულებდა, დახმარებოდა თავისიანს განურჩევლად იმისა, ცოცხალი იყო ის თუ მკვდარი.

ჰანტერმა მხოლოდ მაშინ მოაშორა მზერა იატაკს, როდესაც კარი გაიღო, და მაშინვე ცხადი გახდა, რატომაც მა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლავდა მოსული სახის მეორე ნახევარს. პოლკოვნიკსაც კი, რომელსაც ყველაფერი ენახა ამ ცხოვრებაში და რომლისთვისაც „სევასტოპოლსკაიას" გარნიზონის ხელმძღვანელობა უწყინარი საპატიო პენსია იყო, მის დანახვაზე სახე დაემანჭა, თითქოს მდულარე გადაასხესო, შემდეგ კი თავი ველარ შეიკავა და დამნაშავესავით გაიცინა.

სტუმარს არც კი გაღიმებია. საშინელი იარები თითქოს შეხორცებოდა კიდეც, მაგრამ ძველი ჰანტერისა თითქმის აღარაფერი შერჩენოდა.

ჰანტერმა კატეგორიული უარი თქვა, აეხსნა თავისი სასწაულებრივი გადარჩენა და შემდეგ გაუჩინარება; პოლკოვნიკის არც სხვა შეკითხვებს უპასუხა, მოხუცს მხოლოდ ძველი ვალი შეახსენა და სთხოვა, მისი დაბრუნების შესახებ *არავისთვის* მოეყოლა. დენის მიხაილოვიჩი იძულებული გახდა, უარი ეთქვა ვალდებულებაზე – შეეტყობინებინა უფროსობისთვის. თუმცა, ფრთხილად გაიკითხა ჰანტერის შესახებ და პასუხად მიიღო, რომ მისი სტუმარი არაფერში იყო გარეული, მთელ მეტროს კარგა ხნის გამოტირებული ჰყავდა და აღარც აღარავინ ეძებდა.

„მართალია, ცხედარი ვერ ვიპოვეთ, მაგრამ რომ გადარჩენილიყო, აუცილებლად გამოჩნდებოდა", – დაარწმუნეს პოლკოვნიკი და ისიც მაშინვე დაეთანხმა უფროსობის მოსაზრებას.

ჰანტერი არც მასზე შეთხზული ათეულობით მითისა თუ ლეგენდის გაქარწყლებას ცდილობდა. ჩანდა, ეს როლი სავსებით აკმაყოფილებდა.

თამაშში დენის მიხაილოვიჩიც აჰყვა, რომელსაც მშვენივრად ახსოვდა თავისი გაუსტუმრებელი ვალები: სხვების თანდასწრებით „ჰანტერით" არ მიმართავდა. მხოლოდ ისტომინს გაუმხილა საიდუმლო, მაგრამ დეტალების გარეშე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისტომინისთვის ჰანტერის წარსული სულერთი იყო: მთავარი იყო ის, რომ ბრიგადირი დღედაღამე სამხრეთის გვირაბს იცავდა. სადგურზე თითქმის არასოდეს ჩნდებოდა, კვირაში ერთხელ თუ მოდიოდა დასაბანად. მიზეზი, ამ ჯოჯოხეთში რაც აკავებდა, მდევარს გაურბოდა თუ სხვა საბაბი ჰქონდა, ისტომინს, რომელიც უარს არასოდეს ამბობდა ბნელი წარსულის მქონე ლეგიონერების დამალვაზე, ეს სრულებით არ აწუხებდა. მთავარი იყო, ახალმოსულს ბრძოლა შეეძლო.

მეთაურის ქედმაღლობით უკმაყოფილო გუშაგებმა პირველივე ბრძოლის შემდეგ შეწყვიტეს მასზე ბუზღუნი და ჭორაობა. ნახეს, თუ როგორ თანმიმდევრულად, გონივრულად და არაადამიანური გატაცებით ანადგურებდა ყველაფერს, და ყოველმა მათგანმა სათანადო დასკვნა გამოიტანა. უკარება ბრიგადირთან დამეგობრება აღარავის უცდია, უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ მის სუსტი და ყრუ ხმით გაცემულ ბრძანებებს. იყო ამ ხმაში რაღაც ჰიპნოზური, რომელსაც სადგურის უფროსიც კი მორჩილად უკრავდა თავს, როცა ჰანტერი მას მიმართავდა...

ჰანტერის განცხადების მერე, ბოლო დღეებში, ისტომინის კაბინეტში ჰაერი შემსუბუქდა თითქოს ახლახან გადაიარა ჭექა-ქუხილმა. საკამათო აღარაფერი იყო. ჰანტერზე უკეთესი მებრძოლი არ არსებობდა.

– ოპერაციის სამზადისს შევუდგე? – პირდაპირ შესთავაზა პოლკოვნიკმა, რადგან იცოდა, რომ სადგურის უფროსი ამაზე ლაპარაკს მაინც დაიწყებდა.

– სამი დღე-ღამე უნდა გეყოს, – თვალმოჭუტულმა ისტომინმა სანთებელა გაატკაცუნა, – მეტს ვერ დაველოდებით. როგორ ფიქრობ, რამდენი ადამიანი დაგვჭირდება?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ერთი დამრტყმელი რაზმი უკვე ბრძანებას ელოდება, სხვა რაზმს მივხედავ, სადაც კიდევ ოცი ადამიანია, – პოლკოვნიკმა თავი გაიქნია გასასვლელისკენ, – თუკი ზეგ მათგან ვერაფერს შევიტყობთ, საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადე.

ისტომინმა წარბები აქაჩა და უსიტყვოდ მოქაჩა თვითნაკეთი სიგარეტი. დენის მიხაილოვიჩმა მაგიდაზე მიმოყრილი დასვრილი ფურცლები მოხვეტა, მაგიდისკენ დაიხარა და საიდუმლო სქემის ხაზვა დაიწყო. წრეებში სახელებსა და გვარებს წერდა.

„მობილიზაცია“. სადგურის უფროსი ჭალარა თავს ზემოთ, პოლკოვნიკის ზურგს უკან დაკიდებულ სიგარეტის ნაცრისფერ კვამლში გახვეულ მეტროს დიდ სქემას უყურებდა, რომელზეც ისრებით სამხედრო ძალების სწრაფი გადასხმა, წრეებით ალყა, ვარსკვლავებით ბლოკპოსტები, ხოლო ძახილის ნიშნებით აკრძალული ზონები იყო დატანილი. შენიშვნებით აჭრელებული, გაყვითლებული და გაქონილი სქემა უკანასკნელი ათწლეულის მატიანე იყო. ამ ათი წლიდან ერთ დღესაც კი არ ჩაუვლია მშვიდად.

„სევასტოპოლსკაიადან“ ქვემოთ, სამხრეთისკენ, ნიშნები აღარ იყო. რამდენადაც ისტომინს ახსოვდა, იქიდან უკან არასდროს არავინ დაბრუნებულა. გრძელი, ქვემოთ მიმავალი დატოტვილი ხაზი ხელუხლებელი რჩებოდა. „სერპუხოვსკაიას“ ხაზის დაპყრობა „სევასტოპოლსკაიას“ ძალებს აღემატებოდა, აქ დასხივებისაგან უკბილოდ დარჩენილი მთელი მოსახლეობის გაერთიანებაც კი არ იქნებოდა საკმარისი.

გაურკვევლობის თეთრი ნისლი ახლა უკვე ჰანზასა და ცივილიზაციისკენ მიმავალ განშტოებასაც ფარავდა. ვისაც პოლკოვნიკი მეორე დღეს ბრძოლისთვის მომზადებას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაავალებდა, უარს არავინ იტყოდა. გადასარჩენად ოცი წლის წინ დაწყებული ომი „სევასტოპოლსკაიაზე" არც ერთი წუთით არ შემწყდარა. როდესაც სიკვდილის გვერდით ცხოვრობ, შიში ადგილს უთმობს გულგრილობას, ფატალიზმს, ცრურწმენებს, თილისმებს და ცხოველურ ინსტინქტებს. მაგრამ ვინ იცის, რა ელოდათ წინ – „ნახიმოვსკის გამზირსა" და „სერპუხოვსკაიას" შორის. ვინ იცის, საერთოდ იყო კი შესაძლებელი ამ საიდუმლო ბარიერის გადალახვა, ან იყო კი იქ გასასვლელი?!

ისტომინმა „სერპუხოვსკაიაზე" თავისი ბოლო ვიზიტი გაიხსენა: სავაჭრო დახლები, მაწანწალების გასაშლელი საწოლები და ძველი შირმები, რომელთა უკანაც შედარებით შეძლებულ მცხოვრებლებს ეძინათ. ამ სადგურზე არაფერს აწარმოებდნენ, არც სათბურები ჰქონდათ და არც საღორეები. „სერპუხოვსკაიას" ქურდი და მკვირცხლი მოსახლეობა თავს ჩარჩობით ირჩენდა. ყიდდნენ დაგვიანებული მექარავნეებისაგან კაპიკებად ნაყიდ ჩაწოლილ საქონელს და ისეთ საქმეებს ჩარხავდნენ, რაც სხვა სადგურებზე კანონით ისჯებოდა. ეს სადგური კი არა, ჰანზაზე ამოზრდილი პარაზიტი-სოკო იყო.

წრიული ხაზის თანამეგობრობის მდიდარი სადგურები, თავისი გერმანული ორეულის მსგავსად ჰანზად წოდებული, ბარბაროსობასა და გაჭირვებაში ჩაფლულ მეტროში ცივილიზაციის ერთადერთ დასაყრდენად რჩებოდა. ჰანზა კი... ყველაზე ღარიბ პატარა სადგურებზეც კი, ვისაც კი პასპორტში ჰანზას მოქალაქეობის საოცნებო ბეჭედი ერტყა, ჰანზა იყო ერთადერთი რეგულარული ჯარი და გარანტირებული პურის ნაჭერი. ჰანზას პასპორტი შავ ბაზარზე ძალიან ძვირი ღირდა და ყალბი პასპორტის მფლობელი სიკვდილით ისჯებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიმდიდრე და ძალაუფლება ჰანზას თავისი ადგილმდებარეობის წყალობით ჰქონდა. წრიული ხაზი გარს ერტყა რამდენიმე განშტოებას, გადასასვლელი ხაზებით გზას უხსნიდა და აერთიანებდა თითოეულ მათგანს. წვრილ მოვაჭრეებს, რომლებსაც „ვედეენხადან" ჩაი მოჰქონდათ, და დრეზინებს, რომლებიც ტყვია-წამალს ეზიდებოდნენ „ბაუმანსკოეს" იარაღის საწყობებიდან, ხელსაყრელი ფასის ძიებაში ხიფათიან მეტროში ხეტიალს ერჩივნათ, საქონელი ჰანზას უახლოეს საბაჟო პუნქტში ჩამოეტვირთათ და უკან მალევე გაბრუნებულიყვნენ.

დროდადრო ჰანზა მოსაზღვრე სადგურებს იერთებდა, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ისინი თავის ნებაზე იყვნენ მიშვებულნი და, ჰანზასავე ხელშეწყობით ისეთ საქმეებს ჩარხავდნენ, რომელთა თანამონაწილეობაში მხილებაც ჰანზას არ აწყობდა. რადიალური ხაზის სადგურები, ცხადია, მათი ჯაშუშებით იყო სავსე და ჰანზას საქმოსნებს ჰქონდათ შესყიდული, მაგრამ ფორმალურად ისინი დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. ერთ-ერთი ასეთი სადგური იყო „სერპუხოვსკაია".

მისკენ მიმავალ ერთ-ერთ გადასარბენზე სამუდამოდ გაჩერდა მატარებლის შემადგენლობა ისე, რომ უახლოეს სადგურამდე, „ტულსკაიამდე" მისვლა ვერ მოასწრო. „ტულსკაიაზე" სექტანტები ცხოვრობდნენ, რის გამოც ისტომინის სქემაზე ის უბრალო კათოლიკური ჯვრით იყო აღნიშნული. მატარებელი შავ უდაბნოში ჩაკარგულ პატარა სოფლად იქცა და იქ მისიონერები დასახლდნენ, რომლებიც მეზობელ სადგურებზე ქადაგებდნენ. სექტანტების საწინააღმდეგო ისტომინს არაფერი ჰქონდა, მით უმეტეს, რომ „სევასტოპოლსკაიამდე" ღმერთის მოციქულები ვერ აღწევდნენ, სხვა სადგურებზე კი განსაკუთრებულ დაბრკოლებებს არავის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უქმნიდნენ. გარდა ამისა, არსებობდა „ტულსკაიადან“ „სევასტოპოლსკაიასკენ“ მიმავალი მეორე, სუფთა და მშრალი გვირაბიც, რომლითაც მექარავნეები სარგებლობდნენ.

„ტულსკაიას“ დასახლება ნელ-ნელა ველურდებოდა და „სევასტოპოლსკაიას“ ჯარისკაცებისა და „სერპუხოვსკაიას“ ვაჭრების დატოვებული ნარჩენებით ირჩენდა თავს. სადგურზე ღმერთის იმედად ცხოვრობდნენ: ზოგი მექანიკურ ჯართს არემონტებდა, ზოგი ჰანზას საზღვარზე მიდიოდა და მთელ დღეს ელოდა დამსაქმებელს.

ისტომინმა თვალი ჩააყოლა ხაზს და გაიფიქრა:

„ტულსკაიაზეც ღარიბულად ცხოვრობენ, მაგრამ მათ თვალებში არ იკითხება სერპუხოვსკაიელების მსგავსი გაიძვერობა, თან იქ მეტი ნესრიგიცაა“.

შემდეგი სადგური „ნაგატინსკაია“, მისი უკაცრიელობის ნიშნად, ისტომინის სქემაზე პატარა ხაზით იყო აღნიშნული. მართალია, იქ მუდმივად ფუსფუსებდა ათასნაირი ბნელი არსება, უკუნეთ სიბნელეში უცხოს მზერას გაურბოდნენ გადახლართული წყვილებიც, მაგრამ დიდხანს არავინ ჩერდებოდა. ზოგჯერ თაღებქვეშ მბჟუტავი კოცონი ენთო, რომლის გარშემოც გვირაბის ბოროტი სულები საიდუმლოდ იკრიბებოდნენ.

ღამის გასათევად აქ მხოლოდ ყველაზე თავზეხელაღებულები ჩერდებოდნენ: სადგურის სტუმართაგან ყველა ადამიანი როდი იყო. მოჩურჩულე, წებოვან სიბნელეში ზოგჯერ გაიელვებდნენ ნამდვილი ურჩხულები. დროდადრო დახუთულ ჰაერს აპობდა საშინელი კივილი ვინმე საცოდავისა, ვისაც გვირაბში მიათრევდნენ, რომ იქ მშვიდად გაეგლიჯათ.

„ნაგატინსკაიაზე“ შეჩერებას ვერც მაწანწალები ბედავდნენ. აქაურობას „სევასტოპოლსკაიას“ თავდაცვით საზ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღვრამდე პირობითად „არავის ტერიტორია" ერქვა, სინამდვილეში კი ჰყავდა პატრონი, რომელთან შეხვედრასაც „სევასტოპოლსკაიას" გამოცდილი მზვერავებიც კი გაურბოდნენ. ბოლო ხანებში დაბუდებული რაღაც სრულიად უცხო და ახალი შთანთქავდა ყველას, ვინც კი ძველი და თითქოს კარგად შესწავლილი მარშრუტის გავლას შეეცდებოდა. მთელი სადგურის საბრძოლო ძალა და იარაღი თუ ეყოფოდა ამ ძალასთან გამკლავებას!

ისტომინი მძიმედ წამოდგა სკამიდან, რუკასთან მივიდა და ფანქრით შემოხაზა მონაკვეთი „სერპუხოვსკაიადან" „ნახიმოვსკის გამზირამდე", გვერდით კი დიდი კითხვის ნიშანი მიუწერა. უნდოდა, კითხვის ნიშანი სიტყვა „გამზირის" გვერდით დაესვა, მაგრამ ზუსტად „სევასტოპოლსკაიას" გასწვრივ კი გამოუვიდა.

* * *

„სევასტოპოლსკაია", ერთი შეხედვით, უკაცრიელი ჩანდა. პლატფორმაზე არსად იყო სამხედრო კარვები. ჭიანჭველების ბუდეებივით მოჩანდა მხოლოდ ქვიშიანი ტომრებით მოწყობილი და სუსტად განათებული რამდენიმე სანგარი. საბრძოლო პოზიციები ცარიელი იყო, ხოლო ღარიბულ კუთხოვან სვეტებს მტვრის სქელი ფენა ედო. აქ ყველაფერი ისე მოეწყოთ, რომ უცხო თვალს სადგური დიდი ხნის წინ მიტოვებული ჰგონებოდა.

მაგრამ თუ დაუპატიჟებელი სტუმარი მაინც გადაწყვეტდა ცოტა ხნით შეჩერებას, აქ შეიძლება სამუდამოდაც დარჩენილიყო. „კახოვსკაიას" საზღვარზე დღედაღამ მორიგეობდნენ მერტყვიამფრქვევები და სნაიპერები. განგაშისას, სუსტი ნათურების ნაცვლად, ჭერში ვერცხლისწყლის მჭახე სანათები ინთებოდა და გვირაბის სიბნელეს მიჩვეულ ადამიანებსა და ურჩხულებს თვალებს სნვავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პლატფორმა „სევასტოპოლსკაიას" ბოლო და საკმაოდ კარგად გააზრებული თავდაცვითი საზღვარი იყო. საცხოვრებელი სილრმეში, პლატფორმისქვეშა კოლექტორებში განეთავსებინათ. გრანიტის ფილების ქვეშ, უცხო თვალისაგან შეუმჩნეველ ადგილას რამდენიმე უჯრედად დაყოფილი კიდევ ერთი სართული იყო, რომელიც ფართობით მთავარ დარბაზს არ ჩამოუვარდებოდა. კარგად განათებული, მშრალი და თბილი ოთახები, ჰაერისა და წყლის გამწმენდი აპარატები, ჰიდროპონიკური სათბურები... ხალხს, რაც უფრო ღრმად იმალებოდა მიწაში, მით უფრო ეუფლებოდა სიმყუდროვისა და უსაფრთხოების შეგრძნება.

ჰომეროსმა იცოდა, რომ გადამწყვეტი ბრძოლა მას არა ჩრდილოეთის გვირაბებში, არამედ შინ ელოდა. მიდიოდა ვიწრო დერეფანში და რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა თავის საცხოვრებელს, მით უფრო ანელებდა სვლას. დრო ძალიან ცოტა ჰქონდა; უნდა მოესწრო და კიდევ ერთხელ გაეაზრებინა ტაქტიკა, გაემეორებინა საჭირო რეპლიკები.

„რას იზამ?.. ბრძანებაა. ჩემთვის აზრი არც კი უკითხავთ. კარგი, ასე რატომ ღელავ, ჩემო გოგონა? უბრალოდ, სასაცილოა. მე არ მითხოვია! არ შემიძლია. რა თქმა უნდა, არ შემიძლია. თავი ავარიდო? ეს ხომ დეზერტირობაა!" – ბურტყუნებდა თავისთვის, ხან აღშფოთებულის ინტონაციას ირგებდა, ხან კი მოლბებოდა, თითქოს ვილაცის დაყოლიებას ცდილობდა.

თავისი ოთახის ზღურბლთან მისულმა, ყველაფერი კიდევ ერთხელ ბურტყუნით ჩაარაკრაკა. არა, ცრემლები გარდაუვალი იყო, თუმცა, დათმობას არ აპირებდა. გაფხორილმა და საბრძოლველად მომზადებულმა მოხუცმა კარის სახელური ჩამოსნია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცხრა-ნახევარი კვადრატული მეტრიდან, რომელიც დიდი ფუფუნება იყო და თაყის დროზე საერთო საცხოვრებლებში ხუთწლიანი ცხოვრების შემდეგ მიიღო, ორ კვადრატულ მეტრს ორსართულიანი საძხეიდრო საწოლი იკავებდა, ერთ კვადრატულს – სასაფილო მაგიდა ლამაზი გადასაფარებლით, ხოლო სამს – ჭერამდე აკოკოლავებული ძველი გაზეთები. მარტოს რომ ეცხოვრა, ეს გაზეთების გროვა ერთ მშვენიერ დღეს უთუოდ თავზე დაემხობოდა და დამარხავდა, მაგრამ თხუთმეტი წლის წინ შეხვდა ქალს, რომელიც მზად იყო არა მხოლოდ აეტანა ეს მტვერიანი მაკულატურა ისედაც მოცუცქნულ ოთახში, არამედ ფრთხილად გაესწორებინა კიდეც, რომ კერა ქალალდის პომპეიდ არ გადაქცეულიყო.

ქალი მზად იყო, ძალიან ბევრი აეტანა. იტანდა კიდეც ოთახის კედლებზე იატაკიდან ჭერამდე შპალერივით აკრულ ამონაჭრებს გაზეთებიდან, საშინელი სათაურებით: „შეიარაღებული რბოლა ძალას იკრებს", „ამერიკელებმა ახალი რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარი გამოსცადეს", „ჩვენი ატომური ფარი ძლიერდება", „პროვოკაციები გრძელდება", „მოთმინების ფიალა აივსო"; იტანდა ლამისთევას ნათურის შუქზე, რადგან ქალალდებით სავსე ოთახში სანთლის ანთებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო; ქმრის ნახევრად სახუმარო მეტსახელს, რასაც პომეროსი დიდი სიამაყით ატარებდა, სხვები კი მორიდებული ღიმილით იმეორებდნენ.

ბევრის ატანა შეეძლო, მაგრამ არა ყველაფრის. შეუძლებელი იყო სამოცი წლის კაცის ბავშვური სურვილის ატანა, ყოველთვის ქარიშხლის ეპიცენტრში ყოფილიყო, რათა თავისი თვალით ენახა, სინამდვილეში რა ხდებოდა ამა თუ იმ ადგილას; არც მისი ქარაფშუტობა იყო ადვილი მოსათმენი, ხელმძღვანელობისგან მიელო ნებისმიერი, თუნდაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველაზე საშიში დავალება – ერთ-ერთი ბოლო დავალების შესრულებისას ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

ვერც იმ აზრს შეეგუებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს საშუდამოდ დაკარგავდა მას და ისევ მარტო დარჩებოდა.

ჰომეროსს სამორიგეოდ გააცილებდა თუ არა – მორიგეობა კი კვირაში ერთხელ უწევდა – ისიც მაშინვე გადიოდა ოთახიდან და საშინელი ფიქრების თავიდან მოსაშორებლად მთელ დღეებს მეზობლებთან ატარებდა ან მუშაობდა, თუნდაც მისი ცვლა არ ყოფილიყო. მამაკაცური გულგრილობა სიკვდილის მიმართ მას სისულელედ, ეგოიზმად და დანაშაულადაც კი მიაჩნდა.

შინ სრულიად შემთხვევით დაუხვდა – სამუშაოდან გამოსაცვლელად შემოერბინა. როცა ჰომეროსმა კარი შეალო, ქალი შალის ნაქსოვ ზედას იცვამდა და ასევე გაშეშდა – ლია თაფლისფერ თვალებში შიში ჩაუდგა. ჯერ ორმოცდაათი წლისაც არ იყო, მაგრამ აჩეჩილი და საკმაოდ ჭალარა თმა ასაკს ჰმატებდა.

– კოლია, რა მოხდა? დღეს ხომ მორიგე ხარ?

ჰომეროსმა გადაიფიქრა, გამგზავრების შესახებ მაშინვე ეთქვა და მიღებული გადაწყვეტილების გამხელა ვახშმისთვის გადადო.

– ტყუილი არც გაბედო, – ქალმა მისი დაბნეული მზერა დაიჭირა.

– ლენ, ისეთი საქმეა... – ენა დაება ჰომეროსს.

– ხომ არავინ...? – ელენას სიტყვა გაუწყდა, ვერ გაბედა, ეხსენებინა სიტყვა „მოკვდა", თითქოს შეეშინდა, რომ ეს საშინელი სიტყვა წარმოთქმისთანავე ხორცს შეისხამდა.

– არა, არა, – საჩქაროდ იუარა ჰომეროსმა და მშრალად დაამატა: – უბრალოდ, ადრე გამომიშვეს, რადგან... „სერპუხოვსკაიასკენ" მიშვებენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მაგრამ იქ... – ენა დაება ელენას, – იქ ხომ... უკვე დაბრუნდნენ? იქ ხომ...

– კარგი რა, სისულელეა. არაფერიც არაა იქ, – გააწყვეტინა ჰომეროსმა.

ელენამ უსიტყვოდ აქცია ზურგი, მაგიდასთან მივიდა და გაუაზრებლად გადადგა სამარილე, მერე, ასევე გაუაზრებლად, მაგიდის გადასაფარებლის ნაკეცი გაასწორა.

– სიზმარი ვნახე, – ჩაახველა უცებ და ყელი ჩაიწმინდა.

– შენ ყოველთვის...

– ცუდი, – ჯიუტად გააგრძელა მან და საცოდავად ამოისლუკუნა.

– კარგი რა. აბა, მე რა შემიძლია?! ეს ხომ ბრძანებაა... – ჰომეროსი მიხვდა, რომ მთელ მის წინა სამზადისს უკვე გახვრეტილი შაურის ფასი ჰქონდა. საცოდავად ლუღლუღებდა და ქალს თითებზე ეფერებოდა.

– ჰოდა, ის ცალთვალა თვითონ წავიდეს! – მწარედ, ცრემლნარევი ხმით წამოიძახა ელენამ და ხელი გამოგლიჯა, – ის ბერეტიანი, ზოლიანი ეშმაკი წავიდეს! რა ენალვლებათ, თვითონ მარტო ბრძანებებს იძლევიან... მთელი ცხოვრება ქალთან კი არა, ავტომატებთან სძინავთ! მაგათ რა ესმით?

ქალს, როცა ცრემლებამდე მიიყვან, თუ საკუთარ თავს არ გადააბიჯე, სხვანაირად ვერ დაამშვიდებ. ჰომეროსს თან რცხვენოდა და თან ეცოდებოდა ელენა. განა ასეთი ადვილი იყო, გამტყდარიყო და დაჰპირებოდა, უარს ვიტყვიო, დაემშვიდებინა, ცრემლები მოეწმინდა მისთვის, მერე კი ენანა, ასეთი შანსი რატომ გავუშვი ხელიდანო?! იქნებ ეს მისი უკანასკნელი შანსი იყო!

ჰომეროსს კრინტიც არ დაუძრავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

უკვე წასვლის, ოფიცრების შეგროვებისა და მათთვის ინსტრუქტაჟის ჩატარების დრო იყო, მაგრამ პოლკოვნიკი ისევ ისტომინის სიგარეტის კვამლით გაბოლილ კაბინეტში იჯდა.

სანამ ჩაფიქრებული სადგურის უფროსი რაღაცას ჩურჩულებდა და მეტროს გაქუცულ რუკას თითს აყოლებდა, დენის მიხაილოვიჩი ცდილობდა ჰანტერის გეგმები გამოეცნო. მისი „სევასტოპოლსკაიაზე" საიდუმლო გამოჩენისა და აქ დასახლების სურვილის უკან, მხოლოდ ერთი რამ შეიძლებოდა მდგარიყო: ისტომინი მართალი იყო, ჰანტერი ვილაცას ემალებოდა. ამას ისიც მოწმობდა, რომ ჰანტერი სადგურზე მუდამ ჩაფხუტით დადიოდა და საგულდაგულოდ მალავდა სახეს. სამხრეთის გვირაბის ბლოკპოსტზე დასახლებით ის ორ კურდღელს იჭერდა: მთელ ბრიგადას ცვლიდა და თავადაც შეუცვლელი ხდებოდა. ვისაც უნდა მოეთხოვა მისი გადაცემა და რა ფასიც უნდა გადაეხადა მასში, არც ისტომინი და არც პოლკოვნიკი მის თავს არაფრის დიდებით არავის დაუთმობდნენ.

„სევასტოპოლსკაია" არაჩვეულებრივი თავშესაფარი იყო. აქ უცხოები არ იყვნენ, ხოლო აქაური მექარავნეები, სხვა ვაჭრებისაგან განსხვავებით, ბევრს არ ლაყბობდნენ. ამ პატარა სპარტაში ყველაზე მეტად ერთგულება და თავდადებული ბრძოლა ფასობდა; აქ საიდუმლოს ფასიც იცოდნენ.

მაშინ რატომ ამბობდა ჰანტერი უარს სიმშვიდესა და უსაფრთხოებაზე, რატომ მიდიოდა სალაშქროდ საკუთარი ნებით? ხომ შეიძლებოდა, ვინმეს ამოეცნო? ისტომინს არასოდეს ეყოფოდა გამბედაობა, მისთვის ჰანზაზე გამგზავ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რება დაევალებინა. პოლკოვნიკს რატომღაც არ სჯეროდა, რომ ბრიგადირს მართლა დაკარგული მექარავნეებისა და მზვერავების ბედი აღელვებდა. „სევასტოპოლსკაიას" გადასარჩენადაც ხომ არა სიყვარულის, არამედ მხოლოდ თავისთვის ცნობილი მიზეზების გამო იბრძოდა.

იქნებ ეს ყველაფერი – სადგურზე მოულოდნელი გამოჩენა, გულჩათხრობილობა, სიჯიუტე, გვირაბში გაშლილ საძილე ტომარაში ღამისთევა და, ბოლოს, გადაწყვეტილება, დაუყოვნებლივ წასულიყო „სერპუხოვსკაიასკენ" – რაიმე დიდი მისიის ან ვინმეს დავალების ნაწილი იყო. იქნებ ამიტომაც ითხოვდა, *არავისთვის* გაემხილათ მის შესახებ? მათ თუ არა, ვის უნდა გამოეგზავნა ის?

პოლკოვნიკი ძლივს მოერია თავს, რომ ისტომინის თვითნაკეთ სიგარეტზე უარი ეთქვა.

„არა, შეუძლებელია. პანტერი – *ორდენის* ერთ-ერთი საყრდენი? ადამიანი, რომელსაც ათეულობით, შეიძლება ასეულობით ადამიანიც და მათ შორის თვითონ დენის მიხაილოვიჩიც სიცოცხლეს უნდა უმადლოდეს? *იმ* ადამიანს ეს არ შეეძლო, მაგრამ არის კი საიქიოდან დაბრუნებული პანტერი *ის* ადამიანი?"

თუ მართლაც ვინმეს დავალებას ასრულებდა, ხომ შეიძლებოდა უცებ რაიმე სიგნალი მიელო?! იქნებ შეიარაღებული ქარავანისა და სამი მზვერავის გაუჩინარებაც შემთხვევითობა კი არა, კარგად დაგეგმილი ოპერაციის ნაწილია?! ეს თუ ასეა, მაშ, რა წვლილი მიუძღვის თავად ბრიგადირს?!

პოლკოვნიკმა ძლიერად გაიქნია თავი, თითქოს მიწებებული და უცებ გაბერილი წურბელების მოშორებას ცდილობსო. როგორ შეუძლია ასე იფიქროს ადამიანზე, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა? პანტერი ხომ პატიოსნად ემსახურებო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და სადგურს და ეჭვის არანაირი საბაბი არ მოუცია მისთვის. დენის მიხაილოვიჩმა საკუთარ თავს აუკრძალა, ფიქრშიც კი არ ეწოდებინა მისთვის „ჯაშუში“ ან „დივერსანტი“.

– მოდი, ჩაი დავლიოთ და წავალ მერე ბიჭებთან, – კეთილად წარმოთქვა მან და თითები გაატკაცუნა.

ისტომინი რუკას მოშორდა და პოლკოვნიკს დაღლილმა გაულიმა. ხელი წაიღო თავისი ძველი ციფერბლატიანი ტელეფონისკენ, რომ მორიგე გამოეძახა, მაგრამ მოულოდნელად ტელეფონი თვითონ აწკრიალდა და ორივე შეახტუნა. ეს ხმა უკვე ერთი კვირა იყო, არ გაეგონათ: მორიგე რაიმეს მოსახსენებლად კარზე აკაკუნებდა, სადგურიდან უფროსთან დაკავშირება კი მის გარდა არავის შეეძლო.

– ისტომინი გისმენთ... – ფრთხილად წარმოთქვა სადგურის უფროსმა.

– ვლადიმერ ივანოვიჩ... „ტულსკაიაა“ ხაზზე, – ნაჩქარევად და ყრუდ მოახსენა ტელეფონისტმა, – ძალიან ცუდად ისმის... მგონი, ჩვენები არიან... მაგრამ კავშირი...

– სასწრაფოდ შემაერთე! – დაიღრიალა უფროსმა და მუშტი ისე დასცხო მაგიდას, რომ ტელეფონი საცოდავად აწკარუნდა.

ტელეფონისტი მაშინვე გაჩუმდა, ყურმილში კი რაღაც გატკაცუნდა, აშრიალდა და შორიდან შეშლილი, მაგარამ ნაცნობი ხმა მოისმა.

* * *

ელენა კედლისკენ შებრუნდა, რომ ცრემლები დაემალა. რა უნდა ექნა ჰომეროსის შესაჩერებლად, რომელიც სადგურის დატოვების პირველსავე შესაძლებლობას ასე ეჭიდებოდა?! ხელმძღვანელობის ბრძანების შეუსრულებლობისა და დეზერტირობისთვის სასჯელის შიში ხომ მხოლოდ საბაბი იყო? რა აღარ მისცა ჰომეროსს, ამ თხუთმეტი წლის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

განმავლობაში მის მოსათვინიერებლად რა აღარ გააკეთა! ის კი ისევ გვირაბისკენ მიიწევდა, თითქოს იქ სიბნელის, სიცარიელისა და სიკვდილის გარდა კიდევ იყო რაღაც. რა სჭირდება კიდევ?

ჰომეროსს ისე ცხადად ჩაესმოდა ელენას დარიგება, თითქოს ქალი სწორედ ახლა ლაპარაკობდა. მაგრამ უკან დახევა უკვე აღარ შეიძლებოდა. უნდოდა, რამე ეთქვა, პატიება ეთხოვა, მაგრამ ყოველი სიტყვა ყელში ეჩხირებოდა. ნებისმიერი სიტყვა ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნებოდა.

ელენას თავზე კი მოსკოვი ტიროდა – კედელზე ეკიდა ჩარჩოში ჩასმული „ტვერსკაიას" ფერადი სურათი – ზაფხულის გამჭვირვალე წვიმა, რომელიც ძველი, პრიალა ჟურნალიდან იყო ამოჭრილი. ოდესღაც, მეტროში ხეტიალისას, ჰომეროსის მთელ ქონებას ორიოდე ხელი ტანსაცმელი და ეს ფოტოსურათი შეადგენდა. სხვებს ჯიბეში ედოთ ასევე ჟურნალებიდან ამოჭრილი შიშველი ქალების გაქუცული სურათები, ჰომეროსს კი ეს სურათი ახსენებდა რაღაც უსაზღვროდ მნიშვნელოვანს, წარმოუდგენლად მშვენიერს და... სამუდამოდ დაკარგულს.

– მაპატიე! – დაბნეულად ჩაილაპარაკა, დერეფანში გავიდა, ფრთხილად მიიხურა კარი და, ძალაგამოცლილი, კართანვე ჩაიკეცა. მეზობლის ზღურბლზე ფერმკრთალი გოგო და ბიჭი თამაშობდნენ. ჰომეროსის დანახვაზე გაშეშდნენ და ჭინჭებით შებლანდული დათუნია, რომლის გამოც კარგა ხანს ძიძგილაობდნენ, ხელიდან გაუვარდათ.

– კოლია ბიძია, გვიამბე, რა, ზღაპარი. ხომ შეგვპირდი, როცა დავბრუნდები, გიამბობთო! – ერთხმად ახმაურდნენ ბავშვები.

– რომელი გინდათ? – ბავშვებს უარს ვერ ეტყოდა.

– უთავო მიტანტებზე! – მხიარულად აყიყინდა ბიჭი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– არა! მე არ მინდა მიტანტებზე! – მოიწყინა გოგონამ, – მახინჯები არიან და მეშინია!

– აბა, რომელი გინდა, ტანიუშა? – ამოიოხრა მოხუცმა.

– მაშინ ფაშისტებზე და პარტიზანებზე! – ჩააკვეხა ბიჭმა.

– არა... მე ზურმუხტის ქალაქზე მომწონს! – გაიღიმა ტანიამ.

– მაგრამ ეგ ხომ გუშინ გიამბეთ. მოდით, ამჯერად მოგიყვებით, როგორ ებრძოდა ჰანზა წითლებს.

– ზურმუხტის ქალაქზე! ზურმუხტის ქალაქზე! – აყაყანდა ორივე.

– რა გაეწყობა, – დათანხმდა მოხუცი, – ...სადღაც ძალიან, ძალიან შორს „საკოლნიკის“ ხაზზე, შვიდი ცარიელი სადგურის მიღმა, სამი დანგრეული მინისზედა გადასასვლელის იქით, ათასობით შპალის უკან, მინისქვეშა ჯადოსნური ქალაქია. ქალაქი მოჯადოებულია, ამიტომ ჩვეულებრივი ადამიანები იქ ვერ შედიან. ქალაქში ყოფნის უფლება მხოლოდ ჯადოქრებს აქვთ... ჯადოქრები კი ერთ დიდ, კოშკებიან სასახლეში ცხოვრობენ, რომელიც ზუსტად ქალაქის თავზე, მინის ზემოთ, დგას. ამ სასახლეს ჰქვია...

– ვირსიტეტი! – წამოიყვირა ბიჭმა და დას გამარჯვებული სახით გადახედა.

– უნივერსიტეტი, – შეუსწორა ჰომეროსმა, – როდესაც დიდი ომი დაიწყო და დედამიწაზე ატომური ბომბები ჩამოყარეს, ჯადოქრებმა კარიბჭე მოაჯადოვეს, რომ ბოროტ ადამიანებს მათ ქალაქში ვერ შეეღწიათ... და ცხოვრობენ ისინი... – ჰომეროსს ყელში ბურთი გაეჩხირა და გაჩუმდა.

მაშინლა შეამჩნია ელენა, რომელიც კარს მიყრდნობოდა და უსმენდა.

– ზურგჩანთას ჩავალაგებ, – ყრუდ ჩაილაპარაკა ჰომეროსმა, მერე ელენას მიუახლოვდა და მისი ხელი აიღო. ქალი ნაზად მოეხვია და ჩუმად ჰკითხა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მალე დაბრუნდები?

თავისი არცთუ ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში ჰომეროსს ყოველ ჯერზე აოცებდა ქალის უძლეველი სიყვარული თუნდაც ცრუ დაპირების მიმართ.

– ყველაფერი კარგად იქნება, – უპასუხა ღიმილით.

– ეს რა წესია, მოხუცები სიძე-პატარძალივით კოცნით ერთმანეთს, – გაიბუსხა გოგონა.

– მამამ თქვა, რომ არავითარი ზურმუხტქალაქი არ არსებობს, – ბრაზიანი ხმით მიაძახა ბიჭმაც.

– შეიძლება მამა მართალია, – მხრები აიჩეჩა ჰომეროსმა, – ეს ხომ ზღაპარია, თუმცა, აბა, როგორ ვიცხოვროთ აქ ზღაპრების გარეშე.

* * *

ხმა, რომელიც ტკაცუნსა და შიშინში აღწევდა, ისტომინს თითქოს ეცნობოდა – მგონი, „სერპუხოვსკაიასკენ" გაგზავნილი ერთ-ერთი მზვერავისა იყო.

– „ტულსკაიაზე"... არ შეგვიძლია... „ტულსკაია"... – ცდილობდა, ხმა მოენვდინა უფროსობისთვის.

– გავიგეთ, „ტულსკაიაზე" ხართ! – ჩასძახა ყურმილში ისტომინმა, – რა მოხდა? უკან რატომ არ ბრუნდებით?

– „ტულსკაიას"! აქ... არ უნდა... მთავარია, არ უნდა... – ფრაზების დაბოლოებები წყეულმა შიშინმა შთანთქა.

– რა არ უნდა? გაიმეორეთ, რა არ უნდა?!

– შტურმით აღება არ შეიძლება! არავითარ შემთხვევაში! – უცებ სრულიად გარკვევით გაისმა ყურმილში.

– რატომ? რა ჯანდაბა ხდება თქვენთან?

პასუხი ძლიერმა ხმაურმა გადაფარა და ყურმილი საერთოდ დადუმდა. ისტომინს მაინც ძლიერად ჩაებლუჯა ყურმილი და შიგ ჯიუტად ჩაჰყვიროდა:

– რა ხდება?!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 3
სიცოცხლის შემდეგ

ჰომეროსს ეგონა, მთელი ცხოვრება ემახსოვრებოდა გუშაგის მზერა, რომელიც ჩრდილოეთის ბოლო პოსტზე დაემშვიდობა. ასე გმირის ცხედარს უყურებენ, როდესაც უკანასკნელად აძლევენ სამხედრო სალამს; მოწიწებითა და პატივით სამუდამოდ ემშვიდობებიან.

ასეთი მზერა ცოცხლებისთვის არ არის განკუთვნილი. ჰომეროსი თავს ისე გრძნობდა, თითქოს მორყეული კიბით ადიოდა ვერაგი იაპონელი კონსტრუქტორების მიერ ჯოჯოხეთის მანქანად ქცეული პატარა და ჰაერში გამოკიდებული თვითმფრინავის კაბინაში. მარილიანი ქარი წეწავდა იმპერიის ალამს, მწვანე ველზე ფუსფუსებდნენ მექანიკოსები, გუგუნით ცოცხლდებოდნენ მოტორები და ლიპიან გენერალს სამხედრო სალმისას თვალებში სამურაის შური უკრთოდა...

– რა გიხარია? – ფიქრებიდან აჰმედის უკმეხმა შეკითხვამ გამოარკვია.

ჰომეროსისგან განსხვავებით, აჰმედს ნაკლებად ადარდებდა „სერპუხოვსკაიას“ ამბები. პლატფორმაზე დატოვა მდუმარე ცოლი, რომელსაც მარცხენა ხელი უფროსი შვილისთვის ჩაეჭიდა, ხოლო მარჯვენით ჩვილს იხუტებდა.

– ეს იგივეა, რომ ფსიქიკურ შემოტევას გაუმკლავდე, ან ტყვიამფრქვევს შეუვარდე. სასონარკვეთილი სწრაფვაა. საკვდილო ცეცხლი გველოდება... – ალაპარაკდა ჰომეროსი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ამ შეტევებს ტყუილად კი არ დაარქვეს მასე, – ჩაიბ-ურტყუნა აჰმედმა და თან უკან მიიხედა, თვალი შეავლო გვირაბის ბოლოს დარჩენილ პატარა, ნათელ წერტილს, – ზუსტად შენნაირი გიჟებისთვისაა. ნორმალური ადამიანი ნებით არ აძვრება ტყვიამფრქვევზე. ეს გმირობა კი არა, სიგიჟეა.

– იცი რა? – ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ უპასუხა მოხუც-მა, – გარდაუვალი აღსასრულის წინ ერთი ფიქრი გიტრი-ალებს: მოასწარი კი რამის გაკეთება? ემახსოვრები ვინმეს?

– შენი არ ვიცი და მე შვილები მყავს და მათ ნამდვილად ვემახსოვრები, – უხეშად შეაწყვეტინა აჰმედმა, მაგრამ იმ-ავე წამს ოხვრით დაამატა: – ყოველ შემთხვევაში, უფროსს მაინც.

ჰომეროსს მოუნდა, საკადრისი პასუხი გაეცა თავხე-დისათვის, მაგრამ აჰმედის ბოლო სიტყვებმა შეკამათების სურვილი გაუქრო. აჰმედი მართალია: მისთვის, უშვილძი-რო მოხუცისთვის, ადვილია გარისკვა, ამ ბიჭს კი მთელი ცხოვრება წინ აქვს და სახელის უკვდავებაზე ოცნება არ-აფერში სჭირდება.

ამასობაში ბოლო ფანარიც უკან დარჩა. არმატურის გი-სოსებში ჩასმული შუშის ქილა შიგ ჩამაგრებული ნათურით მკვდარ ბუზებსა და ტარაკნებს გაევსო. ზოგიერთი მწერი ჯერაც ცოცხალი იყო და ამოსვლას ლამობდა, როგორც და-ხოცილების ორმოში ჩაგდებული მომაკვდავი მებრძოლი.

ჰომეროსი ცოტა ხნით შეჩერდა ნათურა-სასაფლაოს-თან, შეაჩერდა სუსტი ყვითელი შუქის მომაკვდავ ლაქას, ღრმად ჩაისუნთქა და დანარჩენებთან ერთად შეაბიჯა წყვდიადში, რომელიც „სევასტოპოლსკაიას“ საზღვრიდან „ტულსკაიას“ მისადგომებამდე გამეფებულიყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

გრანიტის ფილებში თითქოს ჩაზრდილი ქალი ორი პატარა ბავშვით მარტო არ დარჩენილა ბლატფორმაზე. ცოტა მოშორებით გაშეშებულიყო და წასულებს მზერით აცილებდა ცალთვალა, მსუქანი, მხარბეჭიანი მოხუცი, მის უკან ერთ ნაბიჯში კი ორდინარეცს ეჩურჩულებოდა გამხდარი, სამხედრო ბუშლატში გამოწყობილი მოხუცი.

– ლოდინის მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, – ისტომინმა სიგარეტი ტუჩის ერთი კუთხიდან მეორეში გადაიტანა.

– შენ დაელოდე, მე კი ჩემს საქმეებს მივხედავ, – ჯიუტად უპასუხა პოლკოვნიკმა.

– დამიჯერე, ნამდვილად ანდრეი იყო, ჩვენ მიერ გაგზავნილი ბოლო სამეულის უფროსი, – ვლადიმერ ივანოვიჩმა კიდევ ერთხელ მიუგდო ყური ტელეფონის ყურმილიდან მომავალ ხმას, რომელიც ჯერაც მთელი სიცხადით ედგა ყურებში.

– იქნებ აწამეს და ძალით ათქმევინეს, მათ ათასი ხერხი იციან... – წარბი ასწია მოხუცმა.

– არა მგონია... – თავი გადაიქნია უფროსმა, – ნეტა მოგესმინა, ამას როგორ ამბობდა. იქ რაღაც უცნაური ხდება, ამოუხსნელი. შტურმით ვერ ავიღებთ...

– მომისმინე, – წამოიწყო დენის მიხაილოვიჩმა, – „ტულსკაია“ ბანდიტებმა ჩაიგდეს ხელში. ჩასაფრებულები არიან. ჩვენების ნაწილი დახოცეს, ნაწილი კი ტყვედ აიყვანეს. ელექტროენერგიას იმიტომ არ ჭრიან, რომ თვითონაც სჭირდებათ და არც ბანზას გადამტერება აწყობთ. აი, ტელეფონი კი გაგვითიშეს. სხვა რა უნდა სჭირდეს ტელეფონს, ხან მუშაობს და ხან – არა?

– მას ისეთი ხმა ჰქონდა... – პოლკოვნიკს არც უსმენდა, თავისას აგრძელებდა ისტომინი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მაინც როგორი? – უცებ ისე იყვირა პოლკოვნიკმა, რომ ორდინარეცი უკან გახტა, – ფრჩხილებქვეშ რომ ქინძისთავები შეგარჭონ, შენ როგორი ხმა გექნება?!

პოლკოვნიკს მტკიცე გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. თავს კვლავ მეომრად გრძნობდა, ხელიც შაშხანას ითხოვდა და მისთვის სულერთი იყო, რას იტყოდა ისტომინი.

ისტომინმა შეიცადა და როცა აღელვებული პოლკოვნიკი ბოლოს და ბოლოს დაწყნარდა, შემრიგებლური ტონით, მაგრამ მტკიცედ ურჩია:

– ცოტაც მოვიცადოთ.

– ორ დღეს, – მოხუცმა გულზე ხელი დაიკრიფა.

– ორ დღეს, – თავი დაუქნია ისტომინმა.

პოლკოვნიკი შებრუნდა და ყაზარმაში წავიდა: ძვირფასი დროის გაფლანგვის დრო აღარ იყო. შტაბში, ხის მაგიდის გარშემო შემომსხდარი დამრტყმელი რაზმის მეთაურები უკვე ისედაც კარგა ხანს ელოდნენ. მხოლოდ ორი სკამი იყო ცარიელი მაგიდის თავსა და ბოლოში: მისი და ისტომინისა. მაგრამ ამჯერად სადგურის უფროსის გარეშე მოუწევდათ თათბირი.

სადგურს უფროსმა, თითქოს დენის მიხაილოვიჩის წასვლა არც გაუგია, მას თუ თავის თავს ჰკითხა:

– როგორ შეიცვალა ჩვენი როლები, არა?!

პასუხად, შემობრუნებული ორდინარეცის გაოცებულ მზერას გადააწყდა და ხელის აქნევით გაათავისუფლა ის. „არადა, ერთ დროს კატეგორიულ უარს აცხადებდა თუნდაც ერთი მებრძოლის გაგზავნაზე... პოლკოვნიკს ველარ ვცნობ. რალაცას გრძნობს ბებერი მგელი. მაგრამ იქნებ ალლო ღალატობს?!" – ფიქრობდა სადგურის უფროსი, რომელსაც ალლო სულ სხვა რამეს ჰკარნახობდა: უნდა გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩერებულიყო და დაეცადა. უცნაურმა ზარმა მხოლოდ გაუმძაფრა ცუდი წინათგრძნობა: „ტულსკაიაზე" მის ქვეით რაზმს პირისპირ მოუწევდა შეხვედრა რალაც ამოუცნობ, დაუმარცხებელ ძალასთან.

ვლადიმერ ივანოვიჩმა ჯიბეები მოიქექა, სანთებელა იპოვა და სიგარეტს მოუკიდა. სანამ სიგარეტის მძიმე და წყვეტილი რგოლები მის თავს ზემოთ მიიწევდა, ის გვირაბის ბნელ ნაპრალს თვალს არ აშორებდა, მონუსხულივით შეჰყურებდა, როგორც კურდღელი მახრჩობელა გველის ხახას.

მოწევა რომ დაამთავრა, თავი გადაიქნია და თავის ოთახში დაბრუნდა. სიბნელიდან ორდინარეცი გამოვიდა და უკან აედევნა.

* * *

ყრუ ჩხაკუნი, და გვირაბის თაღი ორმოცდაათი მეტრის სიგრძეზე განათდა. პანტერის ფანარი სიმძლავრითა და ზომით პროჟექტორს უფრო ჰგავდა. ჰომეროსმა ამოისუნთქა – ბოლო რამდენიმე წუთის განმავლობაში თავიდან არ შორდებოდა სულელური აზრი, რომ ბრიგადირი შუქს არ აანთებდა, რადგან თავად სიბნელეშიც მშვენივრად ხედავდა.

ბნელ გადასარბენში პანტერი კიდევ უფრო ნაკლებად ჰგავდა ადამიანს. ცხოველივით მოქნილად მოძრაობდა. ჩანდა, ფანარი თავისი თანამგზავრებისათვის აანთო, თვითონ კი სხვა შეგრძნებებს უფრო ენდობოდა. პანტერმა ჩაფხუტი მოიხადა და ყური მიუგდო. დროდადრო ჩერდებოდა კიდეც და გვირაბის ჟანგიან ჰაერს ყნოსავდა, რითაც დაძაბულობას უფრო ამძაფრებდა.

დანარჩენებისგან რამდენიმე ნაბიჯით დაწინაურებული ბრიგადირი უხმაუროდ მიცურავდა და უკან არც კი იხედებოდა, თითქოს არც ახსოვდა თანამგზავრების არსებო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბა. აპმედმა, რომელიც იშვიათად მორიგეობდა საწყობის გვირაბში და არ იყო მიჩვეული პანტერის უცნაურ ქცევას, გაოცებით გაპკრა მოხუცს მუჯლუგუნი და ჰკითხა, ბრიგადირს რა სჭირსო. ჰომეროსმა ხელები გაშალა იმის ნიშნად, რომ ორი სიტყვით ამას ვერ ახსნიდა...

საერთოდ, რაში დასჭირდა თანამგზავრები? პანტერი ჰომეროსზე ბევრად თავდაჯერებულად გრძნობდა თავს გვირაბებში, არადა, მოხუცი გამცილებლად მაინც წამოიყვანა. ჰომეროსმა ბევრი ტყუილ-მართალი იცოდა ამ ადგილების შესახებ, ბევრად უფრო საშიელი ამბებიც, ვიდრე გუშაგები ყვებოდნენ კოცონთან. თავში მეტროს თავისი რუკა ჰქონდა და ბევრად უფრო დეტალური, ვიდრე ისტომინისა იყო. სადგურის უფროსის რუკაზე არსებული ცარიელი ადგილები ჰომეროსს შეეძლო თავისი შენიშვნებითა და აღნიშვნებით შეევსო: ვერტიკალური შახტები, ლია ან დაკონსერვებული სათავსოები, ლიანდაგებს შორის გადასასვლელები. მის სქემაზე „ჩერტანოვსკაიასა" და „ოუტნაიას" შორის – „სევასტოპოლსკაიადან" ცოტა ქვემოთ იტოტებოდა ხაზი, რომელიც გიგანტურ დეპოს, „ვარშავსკაიას", უერთდებოდა. ჰომეროსისთვის დეპო, მიუხედავად მისი დიდი სიყვარულისა მატარებლებისადმი, ისეთივე მისტიკური ადგილი იყო, როგორიც სპილოთა სასაფლაო. მოხუცს შეეძლო საათობით და დამაჯერებლად ელაპარაკა მასზე.

„სევასტოპოლსკაია-ნახიმოვსკის" მონაკვეთს ჰომეროსი ფრიად რთულ მონაკვეთად მიიჩნევდა. უსაფრთხოების წესები და, უბრალოდ, საღი აზრი მოითხოვდა, ერთად ევლოთ, ნელა და ფრთხილად გადაადგილებულიყვნენ, ყურადღებით შეესწავლათ კედლები და იატაკი. ამ გადასასვლელშიც კი, სადაც ყველა ლუქი და ხვრელი საამგზის ამოექოლათ და დაელუქათ „სევასტოპოლსკაიას" ინჟინერთა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბრიგადებს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ზურგის უყურადღებოდ დატოვება.

ფანრის შუქით გახლეჩილი წყვდიადი მათ ზურგს უკან უცებ იკვრებოდა, ფეხის ხმის ექო ირეკლებოდა ტიუბინგების ტიხრებიდან და სადღაც შორს სევდიანად უბერავდა სავენტილაციო ჭაში დამწყვდეული ქარი. ჭერის ღრიჭოებიდან წკაპანწკუპით ცვიოდა მსხვილი, მძიმე წვეთები – შეიძლება უბრალო წყლისაც, მაგრამ ჰომეროსი ცდილობდა არიდებოდა მათ..

* * *

ჯერ კიდევ ძველ დროს, როცა მიწის ზედაპირზე მოთუხთუხე ქალაქი-მონსტრის მოუსვენარ ქალაქელებს მეტრო ჩვეულებრივი სატრანსპორტო საშუალება ეგონათ, სრულიად ახალგაზრდა ჰომეროსი, რომელსაც მაშინ, უბრალოდ, კოლიას ეძახდნენ, ფანრითა და ინსტრუმენტების რკინის ყუთით დადიოდა გადასასვლელებში.

ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის იქ გზა მოჭრილი იყო, მათ მხოლოდ მარმარილოს ასორმოცდაათი გაკრიალებული დარბაზი და რეკლამებით აჭრელებული მატარებლის ვაგონები ეკუთვნოდათ. მილიონობით ადამიანი ყოველდღიურად ორ-სამ საათს ატარებდა მოგუგუნე პლატფორმებზე და ვერ აცნობიერებდა, რომ მის განკარგულებაში ამ არაჩვეულებრივი მიწისქვეშა სამეფოს მხოლოდ ერთი მეათედი ნაწილი თუ იყო. იმის შიშით, რომ არ დაფიქრებულიყვნენ მეტროს რეალურ ზომაზე, იმაზე, თუ სად მიდის უჩინარი კარი და რკინის დამცავები, გვირაბის ბნელი განშტოებები და მუდმივად სარემონტოდ დაკეტილი გადასასვლელები, მათ ერთობდნენ ჭრელი სურათებით, სულელური სლოგანებითა და სარეკლამო განცხადებებით, რომლებიც მოდუნების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშუალებას ესკალატორზეც კი არ იძლეოდა. ყოველ შემთხვევაში, კოლიას ასე ეგონა მას შემდეგ, რაც სახელმწიფოში არსებული სახელმწიფოს საიდუმლოს ეზიარა.

ცისარტყელას ფერებში გადაწყვეტილი მეტროს სულელური რუკა, რომელიც ვაგონებში ეკიდა, თვალს უხვევდა ცნობისმოყვარეებს, რომ მათ წინაშე მხოლოდ სამოქალაქო ობიექტი იყო. სინამდვილეში კი ეს ფერადი ხაზები დატოტვილი იყო საიდუმლო გვირაბების უხილავი ქსელით, რომელიც უკავშირდებოდა სამხედრო და სამთავრობო ბუნკერების რიგს, ხოლო გადასარბენებით უერთდებოდა ბევრად უფრო ადრე, ოდესღაც გათხრილ კატაკომბებს.

კოლიას ახალგაზრდობაში, როდესაც მისი ლატაკი ქვეყანა სხვა ქვეყნებს ვერ შეეჯიბრებოდა ძალასა და ამბიციაში, ხოლო განკითხვის დღე ჯერ კიდევ შორს ეგონათ, ბუნკერები და თავშესაფრები მტვრით იფარებოდა. მაგრამ ქვეყანას ფულთან ერთად ამბიციაც მოეძალა და არაკეთილისმსურველებიც. თუჯის მრავალტონიანი ჩაყანგული კარი ჭრიალით გაიღო, სურსათისა და მედიკამენტების მარაგი აღდგა, ჰაერისა და წყლის ფილტრები მოწესრიგდა.

სწორედ რომ დროულად.

მეტროში მუშაობის დაწყება უცხო და ღარიბი კოლიასთვის მასონურ ლოჟაში მიღების ტოლფასი იყო. მძლავრი ორგანიზაციის წევრს გულუხვად უნაზღაურებდნენ გაწეული მუშაობისთვის. სამსახური სამყაროს მოწყობის საიდუმლოს გამხელას ჰპირდებოდა. ანაზღაურება, რომელიც განცხადებაში იყო მითითებული, მიმზიდველი ჩანდა, მომავალი ლიანდაგების დარაჯის ფუნქცია-მოვალეობები კი – უმნიშვნელო.

ჰომეროსს გარკვეული დრო დასჭირდა იმისთვის, რომ თავისი ახალი კოლეგების უხალისო მონათხრობიდან გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეგო, რატომ უხდიდა მეტროპოლიტენი თავის თანამშრომლებს მალალ ხელფასსა და სახელფასო დანამატებს. მიზეზი არ უნდა ყოფილიყო დაძაბული გრაფიკი ან დღის სინათლეზე ნებაყოფლობით უარის თქმა, არამედ ბევრად უფრო დიდი – საფრთხე.

კოლიას, როგორც სკეპტიკოსს, არ სჯეროდა ჭორებისა, რომლებიც ეშმაკეულის შესახებ ერცელდებოდა. მაგრამ ერთხელ, ბნელი და მოკლე გადასარბენის შემოვლიდან მისი ერთი ამხანაგი არ დაბრუნდა. რატომღაც მისი ძებნა არც უცდიათ – ცვლის უფროსმა განწირულად ჩაიქნია ხელი. უცნაური იყო ისიც, რომ ასევე უკვალოდ გაქრა დაკარგულის მეტროში მუშაობის დამადასტურებელი საბუთებიც. კოლია ერთადერთი აღმოჩნდა, რომელიც ახალგაზრდობისა და გულუბრყვილობის გამო, ვერ შეეგუა მის დაკარგვას, სანამ უფროსთაგან ერთ-ერთმა საიდუმლოდ არ გაანდო, შენი ამხანაგი „წაიყვანესო". მას მერე პომეროსმა იცოდა, რომ ცუდი ამბები მოსკოვის მიწისქვეშეთში ჯერ კიდევ მაშინ ხდებოდა, სანამ მეგაპოლისს არმაგედონის მწველი სუნთქვა გაანადგურებდა.

მეგობრის დაკარგვისა და საიდუმლოს გაგების შემდეგ, კოლიას, წესით, უნდა მიეტოვებინა სამსახური, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ მეტროსთან მისი ანგარებიანი ქორწინება დროთა განმავლობაში ვნებიან რომანში გადაიზარდა. როდესაც გვირაბებში ფეხით ხეტიალი ყელში ამოუვიდა, მეტროს რთულ იერარქიაში უფრო მნიშვნელოვანი, მემანქანის თანაშემწის ადგილი დაიკავა. და რაც უფრო მეტად ეცნობოდა ამ შეუცნობელ სასწაულს, ამ ანტიკური სამყაროს ნოსტალგიით შეპყრობილ ლაბირინთებს, ციკლოპისეულ იავარქმნილ ქალაქებს, ამოყირავებულ და მოსკოვის წითელ მიწაში არეკლილ მოსკოვისავე ანარეკლს, მით უფრო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძლიერ და უანგაროდ უყვარდებოდა ის. ადამიანის ხელით შექმნილი ეს ჯოჯოხეთი სწორედაც რომ იმსახურებდა ნამდვილი ჰომეროსის ხოტბას ან, უკიდურეს შემთხვევაში, სვიფტის კალამს, რომელიც მეტროში გულივერის ლაპუტაზე მნიშვნელოვან რამეს დაინახავდა... მაგრამ მეტროს საიდუმლო თაყვანისმცემლად და უხეირო მეხოტბედ კოლია იქცა – ნიკოლაი ივანოვიჩ ნიკოლაევი.

სპილენძის მთის დედოფალი შეიძლება მართლაც შეგიყვარდეს, მაგრამ თვითონ სპილენძის მთის სიყვარული შესაძლებელია?! ამ სიყვარულმა, რომელიც არც ცალმხრივი აღმოჩნდა და საკმაოდ ეჭვიანიც გამოდგა, თავის დროზე კოლიას ოჯახი დააკარგვინა, სამაგიეროდ კი სიცოცხლე შეუნარჩუნა.

* * *

ჰანტერი ისე მოულოდნელად შეჩერდა, რომ ფიქრებში ჩაძირულმა ჰომეროსმა შეჩერება ვერ მოასწრო და ბრიგადირს პირდაპირ ზურგში დაეტაკა. ჰანტერმა უსიტყვოდ მოიშორა თავიდან და გაშეშდა, თავი დახარა და გვირაბს თავისი დამახინჯებული ყური მიუგდო. ღამურასავით, რომელიც ბრმად ალიქვამს სივრცეს, ის მხოლოდ მისთვის გასაგონ ტალღებს იჭერდა.

ჰომეროსმა კი სულ სხვა რამ იგრძნო: „ნახიმოვსკის გამზირის" სუნი, რომელიც ვერაფერში აერეოდა. სწრაფად მოსულან... ასე მარტივად შემოშვება ძვირი არ დაუჯდეთ!

თითქოს მისი ფიქრები გაიგონაო, აჰმედმა ავტომატი მოიხსნა მხრიდან და დამცავი გადასწია.

– ვინ არის იქ? – დაიგუგუნა მოხუცისკენ შემობრუნებულმა ჰანტერმა.

ჰომეროსს გულში გაეცინა: ვინ იცის, ვინ მოიყვანა აქ ეშმაკმა? „ნახიმოვსკის" ღია კარიბჭეში ზემოდან საზარე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი არსებები ჩამოდიოდნენ. მაგრამ ამ სადგურზე მუდმივი მცხოვრებლებიც იყვნენ, რომელთა მიმართაც მოხუცს უცნაური გრძნობა ჰქონდა – შიშისა და ზიზღის ნაზავი.

– პატარა... უთმო... – წამოიწყო ჰანტერმა და მოხუცი მიხვდა, ვისაც გულისხმობდა ბრიგადირი.

– ლეშიჭამია, – ხმადაბლა თქვა მან.

„სევასტოპოლსკაიადან" „ტულსკაიამდე" და, შესაძლებელია, მეტროს სხვა უკიდურეს ადგილებშიც ამ ეპითეტს ახალი, პირდაპირი მნიშვნელობა ჰქონდა.

– მტაცებლები?! – იკითხა ჰანტერმა.

– საპროფაგები[1], – მიუგო მოხუცმა.

ეს საზიზღარი არსებები, რომლებიც ერთდროულად ობობებსაც ჰგავდნენ და პრიმატებსაც, ადამიანებზე ღიად თავდასხმას ვერ ბედავდნენ და მძორს სჯერდებოდნენ, რომელსაც სადგურზე ზემოდან მოათრევდნენ. „ნახიმოვსკიზე" მთელ ჯოგს დაედო ბინა. ყველა მიმდებარე გვირაბი გაჟღენთილი იყო გახრწნილი მძორის გულისამრევი სიმყრალით. გამზირზე სუნი კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობოდა, რასაც ბევრი ვერ უძლებდა, ამიტომ მიახლოებისთანავე აირწინაღებს იკეთებდნენ ხოლმე.

ჰომეროსმა იცოდა „ნახიმოვსკის" შესახებ, ამიტომ სასწრაფოდ ამოიღო სამგზავრო ჩანთიდან რესპირატორის საპირე. აჰმედმა შურით გახედა მოხუცს. ბიჭს სიჩქარეში დავიწყებოდა რესპირატორის წამოღება, ამიტომ სახეზე სახელო აიფარა.

ჰანტერმა, რომელიც თითქოს ვერ გრძნობდა სიმყრალეს, ჰომეროსს აირწინაღზე მიუთითა და ჰკითხა:

– რამე შხამიანია? სპორები?

– სუნი, – ჩაიბურტყუნა მან ნილბიდან და დაიჯღანა.

---

[1] საპროფაგები – ცხოველები, რომლებიც ლეშით იკვებებიან (მთარგმნ.).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბრიგადირი ჯერ გამომცდელად დააკვირდა მოხუცს, მერე ფართო მხრები აიჩეჩა, ჩვეულებრივი სუნიაო, და შებრუნდა. მოხერხებულად მოიგდო მხარზე თავისი მოკლე ავტომატი, თანამგზავრებს ანიშნა, მომყევითო და მსუბუქი ნაბიჯით წავიდა წინ. ორმოცდაათიოდე ნაბიჯის შემდეგ საშინელ სუნს გაურკვეველი ჩურჩული დაერთო. ჰომეროსმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და შეეცადა, აჩქარებული გულისცემა დაემშვიდებინა. უკვე ძალიან ახლოსაა.

ბოლოს და ბოლოს, რაღაც გამოჩნდა... დამტვრეული ნათურების, დაბზარული, მტვრიანი საქარე მინების შუქზე რატომღაც დაუჟანგავი ლურჯი ფოლადის მატარებლის პირველი ვაგონი გამოჩნდა, რომელსაც გიგანტური საცობივით დაეცო გვირაბის ყელი.

მატარებელი დიდი ხნის მკვდარი იყო. თუმცა, ჰომეროსს მის ყოველ დანახვაზე პატარა ბიჭივით უნდებოდა, მემანქანის გაპარტახებულ კაბინაში შემძვრალიყო, სამართავი პანელის ღილაკებს მიპფერებოდა, წარმოედგინა, რომ გვირაბებში ისევ მთელი სისწრაფით მიქრის და თან მიაქროლებს ფერადი ვაგონების გირლანდას. მგზავრები კითხულობენ, თვლემენ, რეკლამებს ეცნობიან ან ერთმანეთს ელაპარაკებიან...

„განგაშის ნიშანზე – „ატომი" უახლოესი გვირაბისაკენ დაიძარით, იქ გაჩერდით და ყველა კარი გახსენით. ითანამშრომლეთ სამოქალაქო თავდაცვის ძალებთან და ჯართან დაზარალებულთა ევაკუაციისას და მეტროპოლიტენის სადგურის ჰერმეტიზაციისათვის..."

განკითხვის დღეს სამოქმედო ინსტრუქცია მკაფიო და მარტივი იყო, რომელიც თითქმის ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს მემანქანეებმა. შემადგენლობათა უმეტესობა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პლატფორმებზე გაიჭედა, სამუდამო ლეთარგიულ ძილს მიეცა და თანდათან სათადარიგო ნაწილებად იქცა მეტროს შეფარებული ადამიანების წყალობით, რომელთაც, დაპირებული რამდენიმე კვირის ნაცვლად, სამუდამოდ აქ დარჩენა მოუხდათ.

ზოგ სადგურზე ვაგონები საცხოვრებლად მოაწყვეს, რაც ჰომეროსს, რომელიც მატარებელს სულიერად აღიქვამდა, მკრეხელობად მიაჩნდა. მისი აზრით, ეს იგივე იყო, საფრთხობელა შენი საყვარელი კატით გამოტენო. საცხოვრებლად გამოუსადეგარ სადგურებზე, მაგალითად „ნახიმოვსკის გამზირზე", შემადგენლობები ჯერ კიდეც მთელი, თუმცა დროისა და ვანდალებისაგან გაძარცული იყო.

ჰომეროსი თვალს ვერ სწყვეტდა ვაგონს, სულ უფრო ხმამაღლა ჩაესმოდა სადგურიდან მომავალი ხმა, რომელიც შიშინსა და შრიალს ფარავდა. განგაშის სიგნალი კიოდა და საყვირი ჯერ არგაგონილ ხმას გამოსცემდა: ერთი გრძელი – ორი მოკლე: „ატომი"!

...მუხრუჭების გაჭიანურებული ღრჭიალი და შეწუხებული მემანქანის განცხადება ვაგონებში: „პატივცემულო მგზავრებო, ტექნიკური პრობლემების გამო, მატარებელი გზას ველარ განაგრძობს..." ვერც მიკროფონში მოლაპარაკე მემანქანე და ვერ მისი თანაშემწე ჰომეროსი მაშინ ვერც კი აცნობიერებდნენ, როგორ გამოუვალ მდგომარეობას აღწერდა ეს სიტყვები.

ჰერმეტული ჭიშკრის დაძაბულმა ჭრიალმა სამუდამოდ დააშორა ერთმანეთს ცოცხალთა და მკვდართა სამყარო. ინსტრუქციის მიხედვით, კარიბჭე განგაშის გამოცხადებიდან ექვს წუთში საბოლოოდ უნდა დაკეტილიყო, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ადამიანი დარჩა ცხოვრების მეორე მხარეს. რეკომენდებული იყო მათი დახოცვა, ვინც დაკეტვას შეაფერხებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეძლებს კი ახალგაზრდა სერჟანტი, რომელიც საფგურს უსახლკაროებისა და მთვრალებისაგან იცავს, დამიზნებით ესროლოს კაცს, რომელიც უშველებელი რკინის კარის შეჩერებას ცდილობს, რომ მისმა ცოლმა, რომელსაც სიჩქარეში ფეხსაცმლის ქუსლი მოსტყდა, მორბენა მოასწროს? შეძლებს კი ტურნიკეტებთან მჯდომი ფორმიანი ქალი, რომელიც მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში მხოლოდ ყვიროდა და სასტვენს უსტვენდა, არ შემოუშვას საცოდავი, ხელჯოხიანი მოხუცი, რომელსაც ხველა ახრჩობს? ინსტრუქციით, მხოლოდ ექვსი წუთი იყო გამოყოფილი იმისათვის, რომ ადამიანი მანქანად ან ურჩხულად ქცეულიყო.

...ქალების კივილი, მამაკაცების ყვირილი, ბავშვების გულამოსკვნილი ტირილი, პისტოლეტების ჩხაკუნი და ავტომატების გაბმული ჯერი. დინამიკებიდან უემოციო, ცივი ხმით მოწოდება სიმშვიდის შენარჩუნებისაკენ – არაფრისმომცემი მოწოდებები, რადგან ვერც ერთი ადამიანი ვერ ახერხებდა სიმშვიდის შენარჩუნებას... ტირილი, ვედრება...

ისევ სროლა.

განგაშიდან ზუსტად ექვსი წუთის შემდეგ, არმაგედონამდე წუთით ადრე – ჰერმეტული ჭიშკრის სექციების დაკეტვის ხმაურიანი, სამგლოვიარო მაუწყებელი – საკეტების ძლიერი გუგუნი.

როგორც აკლდამაში.

მემანქანეს გვიან დაუმუხრუჭებია. ალბათ პლატფორმაზე არეულობამ ყურადღება გაუფანტა... ამიტომ პანტერსა და მის თანამგზავრებს ვაგონსა და კედელს შორის მოუწიათ გაძრომა, რომ პლატფორმაზე ასულიყვნენ. თუჯის კიბით ზემოთ აძვრნენ და წუთის შემდეგ საოცრად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფართო დარბაზში აღმოჩნდნენ. არანაირი სვეტი, მხოლოდ ერთიანი ნახევარწრიული, უშველებელი თაღი კვერცხის ფორმის ჩაღრმავებებით სანათების ქვეშ, რომელიც აერთიანებდა დარბაზს და ორივე ლიანდაგს მასზე მდგომი შემადგენლობიანად. საოცრად დახვეწილი კონსტრუქცია – მარტივი, მსუბუქი... ოღონდ დაბლა არ უნდა დაგეხედა; არ უნდა დაგენახა, რას ჰგავდა ეს გროტესკული დამპალი ლეშის სასაფლაო გამოხრული ჩონჩხებით, მოგლეჯილი სხეულის ნაწილებით. საზიზღარი არსებები ყველაფერს, რასაც მისწვდებოდნენ საკმაოდ ვრცელ სამფლობელოში, აქ ეზიდებოდნენ, მოათრევდნენ იმაზე მეტს, ვიდრე შეჭმა შეეძლოთ, იმარაგებდნენ. მარაგი ლპებოდა და იხრწნებოდა, მაგრამ მათ მაინც უსასრულოდ აგროვებდნენ.

მკვდრების გროვა ყველა ფიზიკური კანონის საწინააღმდეგოდ, თითქოს სუნთქავდა კიდეც და გაუჩერებლად, შემზარავად ფხაჭუნებდა. ფანრის შუქმა ერთი უცნაური არსება დაიჭირა: გრძელი, მოკაკული კიდურებით, დანაოჭებული, რუხი კანით, უთმო, გამრუდებული ხერხემლით... მღვრიე თვალებს ახამხამებდა და დიდ ყურებს აპარტყუნებდა.

არსება წრიპინით ზანტად დაიძრა ვაგონის კარისაკენ. დანარჩენი გროვებიდანაც ასევე ზანტად წამოდგნენ სხვა ლეშიჭამიები და მტრულად აწრიპინდნენ.

ეს მფრთხალი და საზიზღარი ორზე მდგარი არსებები მკერდამდე ძლივს სწვდებოდნენ არც ისე მაღალ ჰომეროსსაც კი, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ისინი ძლიერ, ჯანმრთელ ადამიანს თავს არ დაესხმოდნენ, თუმცა, როგორც ზვიგენები რამდენიმე კილომეტრზე გრძნობენ სისხლის სუნს, ასევე ეს არსებები გრძნობდნენ სხვისი სიკვდილის მოახლოებას და ჩქარობდნენ, რომ მისი მომსწრე გამხდარიყ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვნენ. ამიტომ, ირაციონალური შიში ამ ქმნილებების მიმართ ჰომეროსის ლამეულ კოშმარებში ისხამდა ხორცს: აი, დასუსტებული და მიტოვებული, მარტო წევს მიტოვებულ სადგურზე, გაიძვერა არსებები კი სულ უფრო უახლოვდებიან.

„ხანდაზმულის შიშები" – თავის დროზე გამოყენებითი ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებში ამოკითხულ ცოდნაზე დაყრდნობით იიმედებდა თავს ჰომეროსი, მაგრამ ამაოდ.

ლეშიჭამიებს ადამიანებისა არ ეშინოდათ. ამ საზიზღარ, თუმცა უსაფრთხო არსებებზე ტყვიების დახარჯვას „სევასტოპოლსკაიაზე" დანაშაულებრივ მფლანგველობად ჩათვლიდნენ. აქ გამვლელი ქარავნები ცდილობდნენ მათთვის ყურადღება არ მიექციათ, მაგრამ ზოგჯერ ლეშიჭამიები გამომწვევად იქცეოდნენ.

რაც უფრო ღრმად მიიწევდა სამეული, რაც უფრო ხრაშუნითა და ტკაცატკუცით ლეწავდა ჩექმით მთელ სადგურზე მიმოყრილ წვრილ ძვლებს, მით უფრო მეტი არსებანებებდა ჭამას თავს და მიიწევდა თავშესაფრისკენ. ბუდე მატარებლებში ჰქონდათ, რის გამოც ჰომეროსს ისინი კიდევ უფრო მეტად სძულდა.

„ნახიმოვსკის გამზირზე" ჰერმეტული ჭიშკარი ღია იყო. თუ გამზირიდან სწრაფად წახვიდოდი, დასხივების დოზა ჯანმრთელობას არ შეგირყევდა, ამიტომ აქ დიდხანს გაჩერება აკრძალული იყო. ისე, ორივე შემადგენლობა საკმაოდ კარგად იყო შემონახული: თავის დროზე ლურჯად შეღებილ ვაგონებს ისევ შერჩენოდა საღებავი, მინები მთელი იყო, გაღებული კარებიდან დაბინძურებული სკამები ჩანდა.

უცებ, ჰანტერი შედგა. აჰმედმა და ჰომეროსმა ერთმანეთს გადახედეს, ცდილობდნენ გამოეცნოთ, საფრთხე რომელი მხრიდან იყო მოსალოდნელი. მაგრამ შეჩერების მიზეზი სულ სხვა რამ აღმოჩნდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფეხებთან საშინელი ღრენით ორი ლეშიჭამია ძაღლის ჩონჩხს ღრღნიდა. დამალვა ვერ მოესწროთ: ან სადილით ისე იყვნენ გართულები, რომ თავისიანების სიგნალი ვერ გაიგონეს, ან გაუმაძღრობა ვერ დაძლიეს.

ბრიგადირის ფანრის შუქით თვალმოჭრილებმა ნელ-ნელა, ღეჭვა-ღეჭვით უახლოესი ვაგონისკენ დაიხიეს, მაგრამ უცებ ერთი მეორის მიყოლებით აყირავდნენ და იატაკზე ყრუდ, ტომრებივით დაეხეთქნენ.

ჰომეროსი გაოცებული შესცქეროდა ჰანტერს, რომელიც მძიმე, სამხედრო, ცილინდრისებური მაყუჩით დაგრძელებულ პისტოლეტს ბუდეში ინახავდა. სახე ისეთივე იდუმალი და უსიცოცხლო ჰქონდა, როგორც ყოველთვის.

– ალბათ ძალიან მშივრები იყვნენ, – ჩაიბურტყუნა აჰმედმა და ზიზღნარევი ინტერესით შეათვალიერა მუქი გუბეები, რომლებიც დახოცილი ლეშიჭამიების გახვრეტილ ქალებთან დადგა.

– მეც, – მოულოდნელად გაურკვევლად გამოეპასუხა ბრიგადირი.

ჰომეროსი შეხტა. ჰანტერმა კი ისე განაგრძო გზა, დანარჩენებისაკენ არ გაუხედავს. მოხუცს მოეჩვენა, რომ ისევ გაიგონა ცოტა ხნით მიყუჩებული წრიპინი. თავადაც არაერთხელ მონდომებია, ტყვია დაეხალა ამ საზარელი ქმნილებებისთვის, მაგრამ ყველა ჯერზე თავს ირწმუნებდა, რომ ზრდასრული, მოწიფული ადამიანია, რომელსაც შეუძლია საკუთარი სურვილების მართვა. ჰანტერი, ჩანდა, არც კი ცდილობდა საკუთარ სურვილებთან შებმას.

მაგრამ რა სურვილი იყო ეს?

ჯოგის ორი წევრის უხმო სიკვდილმა დანარჩენი ლეშიჭამიები დააფრთხო: ყველაზე გამბედავებმა და ზარმაცებ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაც კი ჩუმი წრიპინითა და წკმუტუნით დატოვეს პლატ-ფორმა, ორივე მატარებლის ფანჯრებს აეკრნენ და გაის-უსნენ.

გაბრაზება ან შურისძიების მიზნით თავდასხმა არც ერთ მათგანს არ უფიქრია. იცდიდნენ, როდის დატოვებდა სამეული სადგურს, რომ მაშინვე შესდგომოდნენ თავიანთი მოძმის ჭამას.

„აგრესია მონადირეებისთვისაა დამახასიათებელი, – გაიფიქრა ჰომეროსმა, – ვინც დაცემულით იკვებება, მას არ სჭირდება აგრესიულობა. ყველა ცოცხალი არსება ად-რე თუ გვიან თავისით მაინც კვდება. სიკვდილის შემდეგ კი ყველა მათი ლუკმა გახდება. უბრალოდ, უნდა დაიცადონ".

ფანრის შუქზე მომწვანო მინებზე აკრული საზარელი არსებები მოლრეცილი ზურგებითა და ბრჭყალებიანი კი-დურებით, მოუსვენრად სინჯავდნენ შიგნიდან ამ სატანურ აკვარიუმს. სრულ სიჩუმეში ასობით წყვილი ჩამქრალი თვალი მიაცილებდა მიმავალ რაზმს. ასე, ალბათ ფორმა-ლინის კოლბებში ჩაკეტილი მახინჯები შეხედავდნენ დამ-თვალიერებლებს, მათთვის წინასწარ თვალები რომ არ ამოეკერათ.

მიუხედავად იმისა, რომ დამდგარიყო ჟამი, როცა ულ-მერთობისთვის უნდა გადაეხადა, ჰომეროსმა ვერც ღმერ-თის არსებობა იწამა და ვერც ეშმაკისა. თუმცა, განსაწმენ-დელი რომ არსებულიყო, მოხუცისთვის ის სწორედ ასეთი იქნებოდა. სიზიფე განწირული იყო სიმძიმის თრევისთვის, ტანტალოსი – მარადიული წყურვილისთვის, ჰომეროსს კი თავისი სიკვდილის სადგურზე მემანქანის გაცვეთილი კი-ტელი და ეს საშინელი მოჩვენებითი მატარებელი ელოდა თავისი გულისამრევი მგზავრებით, როგორც შურისმა-ძიებელი ღმერთების დაცინვა. როდესაც შემადგენლობა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პლატფორმიდან გვირაბში შევა, როგორც მეტროს ერთ-ერთ ძველ ლეგენდაშია, ის "მობიუსის ლენტად" შეიკვრება, ანუ ურჩხულად, რომელიც თავის კუდს ჭამს.

ჰანტერს ეს სადგური და მისი მკვიდრნი აღარ აინტერესებდა. დარბაზი რაზმმა სწრაფი ნაბიჯით გადაჭრა. აჰმედი და ჰომეროსი ბრიგადირს ძლივს ეწეოდნენ.

მოხუცს უნდოდა მიბრუნებულიყო, ეყვირა, გაესროლა – შეეშინებინა ეს გათავხედებული გადაგვარებული არსებები, თავი დაელწია მძიმე ფიქრებისათვის. ამის ნაცვლად კი თავჩაქინდრული მიძუნძულებდა და ცდილობდა, ფეხი არ დაედგა ვინმეს გახრწნილ სხეულზე. აჰმედიც თავის ფიქრებში ჩაფლულიყო. უკანმოუხედავად გარბოდნენ.

ჰანტერის ფანრის შუქი მოუსვენრად დახტოდა აქეთ-იქით, თითქოს ამ ამაზრზენი ცირკის თაღში ტანმოვარჯიშეს დასდევდა, მაგრამ ბრიგადირი ყურადღებას აღარ აქცევდა ფიგურებს, რომლებიც ფანრის შუქზე ირეკლებოდა.

შუქზე კი წამიერად გაიელვა და ამიტომ შეუმჩნეველი დარჩა ახალი ძვლები და ბოლომდე გამოუხრავი ადამიანის თავის ქალა, მის გვერდით კი – ფოლადის სამხედრო ჩაფხუტი და ბრონირებული ჟილეტი.

პრიალა, მწვანე ჩაფხუტზე თეთრი საღებავით ეწერა „სევასტოპოლსკაია".

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 4
გადახლართვა

– მამა... მამა, მე ვარ, საშა!

მან ფრთხილად მოუშვა ბრეზენტის თასმა, რომელიც კაცს საშინლად გასიებულ ყბაზე ჰქონდა გადაჭერილი და მამას ჩაფხუტი მოხადა. ხელი შეუცურა სველ თმაში, რეზინი ზემოთ ასწია, მოქაჩა და აირწინალი მოისროლა. კაცი მძიმედ სუნთქავდა, თითებით გრანიტს ფხაჭნიდა, წყლისფერი თვალებით მას მიშტერებოდა. არ პასუხობდა.

საშამ მამას თავქვეშ ზურგჩანთა ამოუდო, ჭიშკრისკენ გაიქცა, ღრმად ჩაისუნთქა და გამხდარი მხრებით უშველებელ კარს მიაწვა. მრავალტონიანი რკინის ლოდი დამორჩილდა და ნელ-ნელა დაეშვა თავის ადგილას. საშამ კარი გადაკეტა და იატაკზე ჩაცუცქდა. ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით, სულს მოითქვამს და მაშინვე მასთან დაბრუნდება.

ყოველი მომდევნო ლაშქრობა სულ უფრო ძვირი უჯდებოდა მამას და ის მცირე ნადავლიც არასაკმარისი იყო დახარჯული ძალების აღსადგენად. ყოველი ასვლისას დღეების კი არა, კვირების და თვეების სიცოცხლე აკლდებოდა. მაგრამ იძულებული იყო ასულიყო, რადგან თუ გასაყიდი არაფერი ექნებოდათ, მაშინ მოთვინიერებული ვირთხის შეჭმა მოუწევდათ, რომელიც ერთადერთი სულიერილა იყო ამ დალუპულ სადგურზე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშას უნდოდა, მამა შეეცვალა, რამდენჯერ სთხოვა რესპირატორი, რომ თვითონ ასულიყო ზემოთ, მაგრამ ვერაფრით დაიყოლია. ალბათ იცოდა, რომ უკვე გაფუჭებულ, ფილტრებგაჭედილ აირწინალს იგივე ძალა ჰქონდა, რაც თილისმას. მაგრამ საშას არაფერს უმხელდა; ატყუებდა, ფილტრების გაწმენდა ვიცი; ყოველი ერთსაათიანი „გასეირნების" შემდეგ იმასაც ატყუებდა, თავს კარგად ვგრძნობ, უბრალოდ, ცოტა ხნით მარტო ყოფნა მინდაო, ხოლო როცა მარტო რჩებოდა, სისხლს აღებინებდა.

საშას არ შეეძლო, რამე შეეცვალა. ის მამასთან ერთად მიატოვეს ამ კუთხეში და იმიტომ კი არ დატოვეს ცოცხლები, რომ შეებრალათ, არამედ იმიტომ, რომ დაეცინათ. ფიქრობდნენ, რომ ისინი აქ ერთ კვირასაც კი ვერ გაძლებდნენ, მაგრამ მამის თავგანწირვისა და გამძლეობის წყალობით, წლები გაძლეს. მამა-შვილი სძულდათ, მაგრამ მათ რეგულარულად აჭმევდნენ, თუმცა, ცხადია, არა უფასოდ.

ასვლიდან ასვლამდე, იმ იშვიათ წუთებში, როდესაც ერთად ისხდნენ მინავლებულ კოცონთან, მამას უყვარდა წარსულის გახსენება. რამდენიმე წლის წინ მიხვდა, რომ თავის მოტყუებას არ ჰქონდა აზრი, რომ მომავალი აღარ ჰქონდა, წარსულს კი ვერავინ წაართმევდა.

„ადრე მე ისეთივე ცისფერი თვალები მქონდა, როგორც შენ, – ეუბნებოდა საშას.

საშასაც ეგონა, რომ ახსოვდა ის დრო, როცა მამას ყელზე ჯერ კიდევ არ ეტყობოდა სიმსივნე, როცა მისი თვალებიც ისეთივე ცისფერი იყო, როგორც თავისი.

როდესაც მამა ამბობდა „ცისფერი", ის, ცხადია, ლაჟვარდოვან ცას გულისხმობდა, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხლობდა მის მეხსიერებაში, და არა ისეთს, ბოლო წლებში ღამით ასულს რომ დაჰყურებდა. დღის შუქი უკვე ოცი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წელი იყო, არ ენახა. საშას კი საერთოდ არასდროს ენახა. მხოლოდ სიზმრებში, მაგრამ სიზმრები განა სანდოა? დაბადებიდან უსინათლოთა სიზმრები ჰგავს კი ჩვენსას? ან ხედავენ კი სიზმრებს უსინათლოები?

* * *

„ბავშვებს, როცა თვალებს ხუჭავენ, ჰგონიათ, რომ მთელი სამყარო წყვდიადმა მოიცვა, გარშემო კი ყველა მათსავით დაბრმავდა. გვირაბში ადამიანი თვალდახუჭული ბავშვივით გულუბრყვილო და უსუსურია. მას ჰგონია, რომ ისაა სინათლისა და წყვდიადის მბრძანებელი, აწკაპუნებს თავის ფანარს, მაგრამ ყველაზე თვალშეუვალი სიბნელეც კი შეიძლება აღმოჩნდეს ხილული ზოგიერთი თვალისთვის," – ლეშიჭამიებთან შეხვედრის შემდეგ, ამ აზრს თავიდან ვერ იშორებდა ჰომეროსი და ყურადღების სხვა რამეზე გადატანას ამაოდ ცდილობდა, – "რა უცნაურია, რომ ჰანტერმა არ იცოდა, რა ელოდათ „ნახიმოვსკიზე".

ორი თვის წინ, როცა ბრიგადირი პირველად გამოჩნდა „სევასტოპოლსკაიაზე", ყველა გუშაგს გაუკვირდა, ასეთი ალნაგობის ადამიანმა როგორ მოახერხა ჩრდილოეთის გვირაბის ყველა პოსტის შეუმჩნევლად გავლა. კიდევ კარგი, პერიმეტრის მეთაურმა გუშაგებს ახსნა-განმარტებები არ მოსთხოვა.

მაგრამ თუ არა „ნახიმოვსკის გამზირიდან", მაშ საიდან მოხვდა ჰანტერი „სევასტოპოლსკაიაზე"? დიდ მეტროში გამავალი გზები დიდი ხნის წინ იყო მოჭრილი. მიტოვებული „კახოვსკაიას" ხაზით, რომლის გვირაბებშიც, ყველასათვის ცნობილი მიზეზების გამო, უკვე რამდენი წელი იყო, არც ერთი ცოცხალი არსება არ შეუნიშნავთ, გამორიცხული იყო. მაშ, „ჩერტანოვსკაია"? გაფიქრებაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კი სასაცილო იყო, თუნდაც ასეთ მოხერხებულ მებრძოლს მარტოს გაევლო ის დაწყევლილი სადგური. იქ მოხვედრაც შეუძლებელი იყო „სევასტოპოლსკაიაზე" გავლის გარეშე.

ჰომეროსმა ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის გვირაბები გამორიცხა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს საიდუმლოებით მოცული სტუმარი მათ სადგურზე ზემოდან ჩამოვიდა. ცხადია, ყველა ცნობილი ასასვლელ-ჩამოსასვლელი დახშული იყო და მკაცრად კონტროლდებოდა, მაგრამ... ხომ შეეძლო სავენტილაციო შახტით ესარგებლა?! „სევასტოპოლსკაიას" მკვიდრნი რას წარმოიდგენდნენ, თუ მრავალსართულიანი სახლების გადამწვარი ორმოებიდან კიდევ გამოჩნდებოდა ვინმე ისეთი ჭკვიანიც, ვინც მათი სიგნალიზაციის გათიშვას შეძლებდა.

მიკრორაიონების უსასრულო საჭადრაკო დაფა, რომელიც ქალაქის თავზე ჩამოცვენილმა ქობინებმა გადაწვა, დიდი ხნის წინ გაუკაცურდა და ის მახინჯი, საშინელი არსებები, რომლებიც ახლა ზემოთ დაბოდიალობდნენ, ახალ პარტიას თავიანთი წესებით თამაშობდნენ. ადამიანს ოცნებაც კი არ შეეძლო რევანშზე.

ხანმოკლე ვიზიტი ზემოთ იმის საძებნელად, რაც ოცზე მეტი წლის განმავლობაში გაფუჭებას გადაურჩა – საკუთარ ბინაში მოროდიორობის ნაჩქარევი და სამარცხვინო მცდელობა ერთადერთი იყო, რისთვისაც ადამიანს ძალა ჰყოფნიდა. რადიაციისგან დამცავ ჯავშანში ჩასხმული სტალკერები ადიოდნენ ზემოთ, რომ მეასედ გაეჩხრიკათ ჩონჩხად ქცეული უახლოესი „ხრუშჩოვკები", მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა ომის გამოცხადებას მათ ახალ პატრონებთან. შეეძლოთ ავტომატის ჯერით შეეტიათ მათთვის ან ვირთხების მიერ მორყვნილ სახლში მოეცადათ და საფრთხის გადავლისთანავე კისრისტეხით გაქცეულიყვნენ მიწისქვეშ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალაქის ძველ რუკებს საერთო ალარაფერი ჰქონდათ რეალობასთან. ერთ დროს მანქანების რამდენიმეკილომეტრიანი რიგებით გაჭედილი გამზირები ახლა უფსკრულებს ან გაუვალ ეკალ-ბარდს დაეკავებინა. დასახლებული კვარტლები ჭაობებსა და გადამწვარ ადგილებს შეეცვალა. მხოლოდ ყველაზე თავზეხელაღებული სტალკერები ბედავდნენ, ზედაპირი თავიანთი სოროდან ერთი კილომეტრის რადიუსში შეესწავლათ, დანარჩენები ბევრად ნაკლებითაც კმაყოფილდებოდნენ.

„ნახიმოვსკის გამზირის" შემდეგ მდებარე სადგურებს – „ნაგორნაიას", „ნაგატინსკაიას" და „ტულსკაიას" თავიანთი ასასვლელები არ ჰქონდათ. მათგან მხოლოდ ორ სადგურზე ცხოვრობდნენ ადამიანები და ისეთი მხდალები, რომ ზემოთ არც კი ადიოდნენ. ჰომეროსისთვის ამოუცნობი საიდუმლო იყო, თუ ასეთ ვითარებაში საიდან უნდა მოსულიყო ცოცხალი ადამიანი. თუმცა, მაინც ფიქრობდა, რომ ჰანტერი მათ სადგურზე სწორედ ზემოდან ჩამოვიდა. კიდევ ერთი ვარიანტი მოხუც ულმერთოს თავისდაუნებურად მაშინ ამოუტივტივდა თავში, როცა ქოშინით მისდევდა წინ მიმავალ შავ სილუეტს, რომელიც თითქოს საერთოდ არ ეხებოდა მიწას.

ქვემოდან?!

– ცუდი წინათგრძნობა მაქვს, – დაიჩურჩულა აჰმედმა ისე, რომ მხოლოდ ჰომეროსს გაეგონა, წინ მიმავალ ბრიგადირს კი ვერა, – ცუდ დროს წამოვედით. რამდენჯერ ვყოფილვარ აქ ქარავანთან ერთად. „ნაგორნაიაზე" დღეს ნამდვილად რაღაც ცუდი ხდება.

მძარცველთა პატარა დაჯგუფებები, რომლებიც ძარცვის შემდეგ, წრიული ხაზიდან მოშორებით პატარა სადგუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რებზე ისვენებდნენ, ვერ ბედავდნენ „სევასტოპოლსკაიას“ ქარავანთან მიახლოებას. დეზებიანი ჩექმის ხმის გაგონებისთანავე, რაც მძიმე ქვეითი რაზმის მოახლოების მაუწყებელი იყო, მძარცველების მთავარი საზრუნავი ხდებოდა, რაც შეიძლებოდა სწრაფად გასცლოდნენ იქაურობას.

უმკაცრესი წვრთნა და უშიშრობა, ნამებში ერთ მუშტად შეკვრის უნარი და ყველაზე ძლიერი საფრთხის უძლიერესი ცეცხლით განადგურების შესაძლებლობა „სევასტოპოლსკაიას“ მცველებს გვირაბების უპირობო მბრძანებლებად აქცევდა საკუთარი ბლოკპოსტებიდან თვით „სერპუხოვსკაიამდე“... რომ არა „ნაგორნაია“.

„ნახიმოვსკი“ თავისი საფრთხით უკან დარჩა, მაგრამ არც აჰმედს და არც ჰომეროსს შვება არ უგრძნიათ. უბრალო და უსახური სადგური „ნაგორნაია“ უკანასკნელ ადგილად იქცეოდა ყველა იმ მოგზაურისთვის, ვინც სათანადო ყურადღებას არ მიაქცევდა მას. მეზობელ „ნაგატინსკაიაზე“ შემთხვევით მოხვედრილი მგზავრები ისე გაურბოდნენ „ნაგორნაიას“ გვირაბს, თითქოს ის, რაც იქიდან გამოდიოდა სანადიროდ, უფრო გემრიელი მსხვერპლის ხელში ჩასაგდებად ცოტა მეტი მანძილის გავლას დაიზარებდა.

„ნაგორნაიაზე“ მხოლოდ იღბლის იმედი უნდა გქონოდა, რადგან ეს სადგური არანაირ კანონზომიერებას არ ემორჩილებოდა. ერთ ჯგუფს თუ მხოლოდ კედელზე სისხლის კვალითა და დაღარული რკინის სვეტებით შეაშინებდა და უპრობლემოდ გაატარებდა, მომდევნოს ისეთ რამეს აჩვენებდა, რომ ნახევარი ჯგუფის ამოწყვეტა გადარჩენილებს გამარჯვებად მიაჩნდათ.

ვერ ძღებოდა. არავინ უყვარდა. შესწავლას არ ექვემდებარებოდა. მიმდებარე სადგურების მცხოვრებლებს „ნაგორნაია“ „ბედის თვითნებობად“ მიაჩნდათ. ის იყო მთა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვარი გამოცდა მისთვის, ვინც წრიულიდან „სევასტოპოლ-სკაიასკენ“ წასვლას და უკან დაბრუნებას გადაწყვეტდა.

– შეუძლებელია, ეს მხოლოდ „ნაგორნაიას“ ჩაედინა, – ცრუმორწმუნე აჰმედი, „სევასტოპოლსკაიას“ სხვა მკვიდრთა მსგავსად, ამ სადგურზე, როგორც ცოცხალზე, ისე ლაპარაკობდა.

ჰომეროსს, რომელიც ფიქრობდა, რომ ქარავანიცა და მის საძებნელად გაგზავნილი ყველა მზვერავიც „ნაგორნაიას“ შთანთქმული იყო, არაფერი უკითხავს, არაფერი დაუზუსტებია. მხოლოდ ჩაიქირქილა:

– გულზე დაადგებოდა... რა არ მომხდარა, მაგრამ ამდენი ადამიანი ერთად არასოდეს გამქრალა...

– ასე ნუ ლაპარაკობ! – გაბრაზდა აჰმედი. ძლივს შეიკავა თავი, რომ თავში არ წამოერტყა მოხუცისათვის, – შენ ნამდვილად არ დაადგები გულზე!

ნაწყენი მოხუცი აღარ შეჰკამათებია. მას არ სჯეროდა, რომ „ნაგორნაიას“ შეეძლო მათი საუბრის მოსმენა და გაბრაზება... ყოველ შემთხვევაში, ამსიშორიდან მაინც... ეს სულ ცრურწმენები იყო და ასეთ თემებზე ის, აჰმედისგან განსხვავებით, არ ღელავდა.

აჰმედმა ბუშლატის ჯიბეში ჩაიყო ხელი, პისტოლეტის გლუვი ვაზნებისგან ასხმული მძივი მოძებნა, ბინძური ხელით დაიწყო ვაზნების გადათვლა და თავის ენაზე „ნაგორნაიას“ ჰომეროსის ცოდვების მიტევებას ევედრებოდა. ამაოდ, ან სადგურს არ ესმოდა მისი, ან ბოდიშის მოხდა დაგვიანებული იყო.

ჰანტერმა კვლავ ინტუიციით იგრძნო რაღაც, ხელთათმანიანი ხელი ასწია, ნაბიჯს უკლო და რბილად დაეშვა მიწაზე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– იქ ნისლია, – თქვა და ჰაერი ნესტოებით ღრმად შეისუნთქა, – ეს რა არის?

ჰომეროსმა აჰმედს გადახედა. ორივენი მიხვდნენ, ეს რასაც ნიშნავდა: ნადირობა დაწყებულია და, „ნაგორნაიას" ჩრდილოეთის საზღვრამდე მიღწევა უჩვეულო გამართლება იქნებოდა.

– როგორ გითხრა, – ბრიგადირს უხალისოდ გაეპასუხა აჰმედი, – ის ასე სუნთქავს...

– ვინ? – მშრალად იკითხა ბრიგადირმა და მხრიდან ზურგჩანთა მოიხსნა, ალბათ შესაფერისი იარაღის მოსაძებნად.

– სადგური „ნაგორნაია", – ჩურჩულზე გადავიდა აჰმედი.

– ვნახოთ, – ზიზღით დაიმანჭა ჰანტერი.

მაგრამ არა, ჰომეროსს მხოლოდ მოეჩვენა, რომ ჰანტერი დაიმანჭა. სინამდვილეში მის დამახინჯებულ სახეზე კუნთიც არ შერხეულა, უბრალოდ, შუქი დაეცა ასე.

ასოდე მეტრის შემდეგ დანარჩენებმაც დაინახეს მძიმე, თეთრი კვამლი, რომელიც მათკენ მოცურავდა. ჯერ მათ ჩექმებს გაუსინჯა გემო, შემდეგ მუხლებამდე მისწვდა, გვირაბი წელამდე აავსო... ისინი თითქოს ნელ-ნელა შედიოდნენ ცივ და პირქუშ ზღვაში. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე სულ უფრო ღრმად ეშვებოდნენ მაცდური ფსკერისკენ, სანამ მთლიანად არ დაიფარნენ.

ფანრის შუქი ისე გაიხლართა უცნაურ ნისლში, როგორც ბუზი ობობას ქსელში. მგზავრები მთელი ძალით ცდილობდნენ თავის დაღწევას, რამდენიმე ნაბიჯით გაიწეოდნენ, მაგრამ მოეშვებოდნენ და სიცარიელეში ეკიდებოდნენ. ხმა ცუდად ისმოდა. მოძრაობაც უჭირდათ. თითქოს ბუმბულის ზღვაში ჩაეყვინთათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მალე სუნთქვაც გაჭირდა, მაგრამ არა სინესტის, არამედ უჩვეულოდ მწკლარტე გემოს გამო, რომელიც შემოსასვლელშივე იგრძნეს. მისი ფილტვებში ჩაშვება არ უნდოდათ; ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს გიგანტური არსების ამონასუნთქს სუნთქავდნენ. არსება მთელ ყანგბადს შთანთქავდა და ჰაერს თავისი შხამიანი ანაორთქლით ავსებდა.

ჰომეროსმა, ყოველი შემთხვევისთვის, ისევ გაიკეთა რესპირატორი. ჰანტერმაც გახედა მას და ხელი თავის ტილოს ზურგჩანთაში ჩაყო, რეზინი მოქაჩა და ჩაფხუტზე რეზინის ახალი ნიღაბი გადაიცვა. აირწინაღის გარეშე დარჩა მხოლოდ აჰმედი, რომელსაც ან სიჩქარეში დაავიწყდა წამოღება, ან საჭიროდ არ ჩათვალა...

ბრიგადირი ისევ გაშეშდა და თავისი ჩამოხეული ყური მიუგდო „ნაგორნაიას", მაგრამ სქელი, შედედებული მასა ხელს უშლიდა, გაერჩია სადგურიდან წყვეტილად მომავალი ხმები. უცებ შორიახლო უჩვეულოდ ნელა და მძიმედ დაეცა რაღაც. რკინამ ისე დაილრჭიალა, თითქოს ვილაცამ კედლების გასწვრივ გამავალი რკინის მილები გადაკვანძაო.

ჰანტერმა თავი ისე გაიქნია, თითქოს ტალახს იშორებსო, და მოკლე ავტომატური პისტოლეტის ნაცვლად ჩანთიდან სამხედრო „კალაშნიკოვი" ამოიღო ორმაგი მჭიდითა და ლულისქვეშა ყუმბარმტყორცნით.

– როგორც იქნა! – ჩაიბურტყუნა თავისთვის.

ლორის რძესავით სქელ ნისლში ჩაძირულ სადგურზე ისე შევიდნენ, რომ ვერც კი მიხვდნენ. აირწინაღის დაორთქლილი მინებიდან მომზირალ ჰომეროსს თავი აკვალანგისტი ეგონა, რომელიც ოკეანეში ჩაძირულ ლაინერზე ალმოჩნდა.

ამ ალუზიას კიდევ უფრო ამძაფრებდა კედლების ჭედური პანო: მკაცრი საბჭოთა შტამპით რკინაზე ამოკვეთილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზღვის თოლიები, რომლებიც უფრო გათხრების შედეგად ქვაზე აღმოჩენილ ანაბეჭდებს ჰგავდნენ.

„გაქვავდა. აი, ეს არის ადამიანისა და მისი შემოქმედების ხვედრიც, – გაუელვა ჰომეროსს თავში, – მაგრამ ვინ გათხრის?"

ბურუსი, რომელიც გარშემო ყველაფერს ფარავდა, ცოცხალი იყო – მიედინებოდა, თრთოდა და დროდადრო შავ ჩრდილებს გამოკვეთდა – დაბრეცილ ვაგონსა თუ მორიგის დაყანგულ ჯიხურს, მითოლოგიური ურჩხულის ქერცლიან სხეულსა თუ თავს. ჰომეროსს იმის წარმოდგენაც კი ჰზარავდა, თუ ვის შეეძლო ხელში ჩაეგდო გემი და ჩაძირვიდან ათეული წლის შემდეგ დაჰპატრონებოდა პირველი კლასის კაიუტებს. მას ბევრი რამ სმენოდა „ნაგორნაიას" შესახებ, მაგრამ პირველად ახლა ხედავდა...

– აი, ის! იქ, მარჯვნივ! – აღრიალდა უცებ აჰმედი და ჰომეროსს სახელოში სწვდა.

თვითნაკეთი მაყუჩით დახშული გასროლის ხმა გაისმა.

ჰომეროსი მისი ასაკისთვის შეუფერებელი სისწრაფით შებრუნდა იქით, საითაც აჰმედი ანიშნებდა, მაგრამ ფანარმა მხოლოდ რკინის სვეტების დაკბილული ნაწილი გაანათა.

– უკან! აგერ, უკნიდან! – აჰმედმა მოკლე ჯერი დაახალა.

მაგრამ მისი ტყვიები მხოლოდ მარმარილოს ფილებს მოხვდა და ჩამოლეწა. ყოველი გამოსახულება, რომელსაც აჰმედი ხედავდა, წამიერი იყო.

„ეს საშინელება ისუნთქა", – გაიფიქრა ჰომეროსმა, მაგრამ ამ დროს თვალის კუთხით თავადაც დაინახა რალაც – გიგანტური არსება, რომელიც სადგურის ოთხმეტრიანი, მაგრამ მისთვის მაინც მეტისმეტად დაბალი ჭერის ქვეშ ორად იხრებოდა. ურჩხული ნისლიდან წარმოუდგენლად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სწრაფად გამოვიდა, მაგრამ სანამ ჰომეროსი დამიზნებას მოასწრებდა, გაუჩინარდა.

მოხუცმა უმწეოდ გაიხედა ბრიგადირისკენ, რომელიც... ის არსად ჩანდა.

* * *

– არა უშავს! არა უშავს! ნუ გეშინია! – ამშვიდებდა მას მამა, წარამარა წყვეტდა ლაპარაკს და სულს ითქვამდა, – მეტროში არიან ადამიანები, რომლებსაც ჩვენზე მეტად ეშინიათ...

სცადა, გაელიმა, მაგრამ საშინლად გამოუვიდა, თითქოს მის თავის ქალას ყბა მოსძვრაო. საშამაც გაულიმა და გაძვალტყავებულ, გაჭვარტლულ ღაწვებზე მლაშე ცრემლი ჩამოუგორდა. რამდენიმე საათის განმავლობაში, სანამ მამა უგონოდ იწვა, საშას ათას რამეზე ჰქონდა ნაფიქრი.

– ამჯერად ტყუილად ვიარე, მაპატიე, – დაიჩურჩულა მამამ, – მინდოდა, ავტოფარეხამდე მაინც მივსულიყავი. შორს აღმოჩნდა. ერთი ხელუხლებელი იყო, უჟანგავი, დაზეთილი საკეტით დაკეტილი. გატეხვა ვერ შევძელი და უკანასკნელი ნაღმი მივამაგრე. იმედი მქონდა, რომ მანქანა იქნებოდა, სათადარიგო ნაწილები. აფეთქდა, გავალე და ცარიელი იყო. სულ არაფერი! რისთვის ჩაკეტეს ნაძირლებმა? ვლოცულობდი, აფეთქების ხმა არავის გაეგო. გამოვედი სადგომიდან და გარშემო ძაღლები დგანან, მეგონა, ყველაფერი დამთავრდა...

მამამ თვალები დახუჭა და გაჩუმდა. შეშინებული საშა ხელში ჩააფრინდა. მამამ უხმოდ გადაიქნია თავი, ნუ ლელავ, ყველაფერი რიგზეაო. ლაპარაკის თავი არ ჰქონდა, მაგრამ უნდოდა, ყველაფერი მოეყოლა შვილისთვის. უნდოდა აეხსნა, რატომ დაბრუნდა ხელცარიელი, რომ მომ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დევნო კვირა, სანამ ის ფეხზე დადგომას შეძლებდა, ძალიან გაუჭირდებოდათ. ვერ მოასწრო, დაეძინა.

საშამ გაგლეჯილ წვივზე დადებული სახვევი შეუმოწმა, რომელიც უკვე გაუღენთილიყო შავი სისხლით, და შეუცვალა. წელში გასწორდა, ვირთხის გალიასთან მივიდა და კარი გააღო. ცხოველმა უნდოდ გამოიხედა გარეთ, მაგრამ საშას ხათრით მაინც გამოვიდა და პლატფორმაზე გაიარ-გამოირა. ვირთხას ინტუიცია არასოდეს ღალატობს: გვირაბში სიწყნარე იყო. დამშვიდებული გოგონა გასაშლელ საწოლთან დაბრუნდა.

– შენ აუცილებლად ადგები და შეძლებ სიარულს, – ჩასჩურჩულა მამას, – იპოვი ავტოფარეხს, რომელშიც გაუძარცვავი მანქანა იქნება. ჩვენ ერთად ავალთ ზემოთ, ჩავსხდებით მანქანაში და აქედან შორს წავალთ – ათი, თხუთმეტი სადგურის იქით, სადაც არავინ გვიცნობს, სადაც უცხოები ვიქნებით, სადაც არავის შევძულდებით.... იმედია, სადმე დარჩა ასეთი ადგილი...

მერე ჯადოსნური ზღაპარიც უამბო მამას, რომელიც მისგან ათასჯერ მაინც მოესმინა. სიტყვასიტყვით იმეორებდა ამ ძველ, მამისეულ მანტრას და უფრო მეტად სჯეროდა მისი. ის მოუვლის და გადაარჩენს მამას. ამ სამყაროში არის ადგილი, სადაც ისინი ყველას ფეხებზე ჰკიდია; ადგილი, სადაც ისინი ბედნიერები იქნებიან.

* * *

– აი, ის! აგერ, მე მიყურებს!

აჰმედი ისე ღრიალებდა, თითქოს უკვე დაეჭირა ვინმეს და მიათრევდა. ასე არასდროს უყვირია. ისევ გაისმა ავტომატის ჯერი. აჰმედმა საბოლოოდ დაკარგა გონი, ერთიანად აკანკალებული ამაოდ ცდილობდა, ავტომატზე მჭიდი შეეცვალა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მან მე ამირჩია... მე...

გვერდით მეორე ავტომატმა იგრიალა, წამით მიყუჩდა და ძლივს გასაგონად ისევ აკაკანდა. ჰანტერი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ესე იგი, მათაც ჰქონდათ გადარჩენის შანსი. სროლის ხმა ხან ახლოდან ისმოდა, ხანაც – შორიდან. მაგრამ ალწევდა თუ არა ტყვია მიზანს, გაუგებარი იყო. ჰომეროსი დაძაბული ცდილობდა დაჭრილი ურჩხულის ხმის გაგონებას. სადგურში სამარისებური სიჩუმე იდგა, მასპინძლები ან უხორცონი იყვნენ, ან უძლეველნი.

პლატფორმის მეორე მხარეს ბრიგადირს უცნაური ბრძოლა გაემართა – იქ ტყვიების ცეცხლოვანი წერტილი ინთებოდა და ქრებოდა. ურჩხულთან ბრძოლით მთვრალ ჰანტერს თავისი თანამგზავრები აღარც ახსოვდა.

ჰომეროსმა ღრმად ამოისუნთქა და თავი მაღლა ასწია. კანით, თხემით, თავზე თმის ყოველი ღერით საკმაოდ მკაფიოდ გრძნობდა ცივ, გამჭოლ მზერას და თავისი წინათგრძნობისათვის წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო.

...ჭერქვეშ, ბურუსში, საკმაოდ მაღლა კიდევ ერთი თავი მოჩანდა. იმდენად დიდი, რომ ჰომეროსმა უცებ ვერც კი გააცნობიერა, რას უყურებდა. გიგანტის სხეულს სადგურის ბურუსი ფარავდა, მხოლოდ მისი საშინელი თავი ეკიდა კაცუნების თავზე და გამოუსადეგარი იარაღით გაშეშებულებს რატომღაც თავს არ ესხმოდა.

შიშისაგან დამუნჯებული მოხუცი მორჩილად დაეშვა მუხლებზე. რელსებზე ყღრიალით დაეცა ავტომატი. აჰმედი ხმის ჩაწყვეტამდე ღრიალებდა. ურჩხულმა აუჩქარებლად წაიწია წინ და მთელი სივრცე შავმა, კლდესავით დიდმა სხეულმა დაფარა. ჰომეროსმა თვალები დახუჭა, სასიკვდილოდ მოემზადა... თავში ერთადერთი აზრი უტრიალებდა: „ვერ მოვასწარი“.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოულოდნელად ყუმბარმტყორცნის აფეთქების ხმა გაისმა. ჰომეროსს ყურები დაუგუბდა. გარშემო მიმოიფანტა დამწვარი ხორცის ნაფლეთები. აჰმედი პირველი მოეგო გონს, მოხუცს საყელოში სწვდა, წამოაყენა და უკან გაიყოლა.

ისინი გარბოდნენ, შპალებზე ეცემოდნენ, დგებოდნენ და ისევ გარბოდნენ, ტკივილს ვერც ერთი გრძნობდა. ხელიხელჩაკიდებული მირბოდნენ, რადგან თეთრ ნისლში არაფერი ჩანდა. ისე გარბოდნენ, თითქოს სიკვდილზე უარესი რამ ემუქრებოდათ, უფრო საშინელი, საბოლოო, გამანადგურებელი, სხეულისა და სულის მეტამორფოზა.

უჩინარი და თითქმის უხმო დემონები მხოლოდ ერთი ნაბიჯით ჩამორჩებოდნენ. მისდევდნენ, მაგრამ თავს არ ესხმოდნენ, თითქოს ეთამაშებოდნენ.

სადგურის დამსხვრეული მარმარილო გვირაბის ტიუბინგებმა შეცვალა: მათ „ნაგორნაიადან" გაღწევა შეძლეს! სადგურის დარაჯები თითქოს ჯაჭვით იყვნენ დაბმულები, თანდათან უკან მოიტოვეს. მაგრამ გაჩერება ჯერ ადრე იყო... აჰმედი წინ მიდიოდა, კედლებზე გაყოლებულ მილებს ეყრდნობოდა, გზას იკვლედა და მოხუცსაც აჩქარებდა. ჰომეროსი შესასვენებლად ჩამოჯდომას ცდილობდა.

– ბრიგარდირს რა მოუვიდა? – ბოლოს ჩახლეჩილი ხმით იკითხა ჰომეროსმა და აირწინალი მოიგლიჯა.

– როცა ეს ნისლი დამთავრდება, გავჩერდებით და დაველოდებით. წესით, მალე უნდა დამთავრდეს. კიდევ ორასი მეტრიც... და გავალთ ამ ბურუსიდან. მთავარია, ნისლიდან გავიდეთ, – უმტკიცებდა აჰმედი, – ნაბიჯებს დავითვლი...

მაგრამ ნისლი არც ორასი და არც სამასი ნაბიჯის შემდეგ არ იკლებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„იქნებ „ნაგატინსკაიამდე" გავრცელდა, – ფიქრობდა ჰომეროსი, – იქნებ უკვე „ტულსკაიაც" შთანთქა და „ნახი-მოვსკი გამზირიც"?"

– შეუძლებელია... ცოტალა დარჩა... – მეასედ ჩაიბურ-ტყუნა აპემდმა და უცებ გაშეშდა.

უკან მიმავალმა ჰომეროსმა ველარ მოზომა, შეეჯახა და ორივენი ძირს დაეცნენ.

– კედელი დამთავრდა, – აპმედი გაოგნებული უსვამდა ხელს შპალებს, რელსებს, ნესტიან და უხეშ იატაკს, თითქოს ეშინოდა, რომ წუთიწუთზე დედამიწაც ისევე გაქრებოდა.

– აი, აქ არის. რა დაგემართა? – ჰომეროსმა ტიუბინგი მოსინჯა ხელით, ჩაეჭიდა და ფრთხილად ადგა.

– მაპატიე... – აპმედი აზრებს თავს ძლივს უყრიდა, – სადგურზე მეგონა, რომ თავს ვერასოდეს დავალწევდი. ისე მიყურებდა... მე მიყურებდა, გესმის? ჩემი დაჭერა უნდოდა. მეგონა, სამუდამოდ იქ დავრჩებოდი და ვერც დამმარხავდნენ.

ძლივს ლაპარაკობდა, არ უნდოდა ეთქვა, რცხვენოდა, ქალივით რომ ტიროდა – ცდილობდა თავი ემართლებინა. ჰომეროსმა თავი გაიქნია.

– კარგი რა. მე საერთოდ შიშისგან ჩავიფსი და რა ვქნა ახლა? წავედით, ახლა უკვე მართლა ახლოს უნდა ვიყოთ.

მდევარი ალარ მოსდევდათ. მათ კი სირბილი ალარ შეეძლოთ, ნელა მიდიოდნენ, კედლებს ებლაუჭებოდნენ, ყოველი ნაბიჯით უახლოვდებოდნენ საშველს. ყველაზე დიდი საშინელება უკან მოიტოვეს. ბურუსი ჯერ ისევ არ აპირებდა უკან დახევას, მაგრამ ადრე თუ გვიან გვირაბის ორპირი ქარები დაგლეჯდნენ მას, ნაფლეთებად აქცევდნენ და საევენტილაციო ჭებში ჩაყრიდნენ; ჰომეროსი და აპმედი კი ადრე თუ გვიან ხალხში გავიდოდნენ და დაელოდებოდნენ მეთაურს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა, ეს იმაზე ადრე მოხდა, ვიდრე ისინი წარმოიდგენდნენ. შეიძლება იმიტომ, რომ ნისლში დროცა და სივრცეც დამბინჯდა? კედლის გასწვრივ პლატფორმაზე ასასვლელი თუჯის კიბე შენიშნეს. გვირაბის მომრგვალებული ფორმა ოთხკუთხედმა შეცვალა, რელსებს შორის ჩავარდნილი მგზავრებისათვის განკუთვნილი სამალავი ორმო გაჩნდა.

– შეხედე! – ჩურჩულით უთხრა ჰომეროსმა, – მგონი, სადგურია! სადგურია!

– ჰეი, არის აქ ვინმე? – მთელი ხმით დაიძახა აჰმედმა და ახარხარდა: – ძმებო! არის აქ ვინმე?

ფანრების ყვითელი, მილეული შუქი ბურუსიან სიბნელეში ადამიანებისა და დროის მიერ ჩამომტვრეულ მარმარილოს ფილებს აჩენდა; „ნაგატინსკაიას“ საამაყო ფერადი მოზაიკიდან ერთიც არ შემორჩენილიყო. რა დაემართა მოპირკეთებულ სვეტებს? ნუთუ...

მიუხედავად იმისა, რომ არავინ პასუხობდა, აჰმედი მაინც მთელი ხმით მხიარულად ყვიროდა: ცხადია, ნისლის შეეშინდათ და დაიმალნენ, მას კი აღარ ეშინია. ამასობაში ჰომეროსი აღელვებული ეძებდა რაღაცას კედლებზე, მკრთალი შუქით ანათებდა და ეჭვებისაგან ხელ-ფეხი ეყინებოდა.

ბოლოს იპოვა – დაბზარულ მარმარილოში ჩამაგრებული რკინის ასოები: „ნაგორნაია“

* * *

მამას სჯეროდა, რომ უკან დაბრუნება შემთხვევითი არასოდესაა. უკან რაღაცის შესაცვლელად, გამოსასწორებლად ბრუნდებიან. ზოგჯერ თვითონ ღმერთი გვავლებს ქუჩაში ხელს და გვაბრუნებს იქ, სადაც მის მზერას გამოვეპარეთ, რომ თავისი განაჩენი სისრულეში მოიყვანოს ან მეორე შანსი მოგვცეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამიტომ, უხსნიდა მამა, ველარასდროს დაბრუნდება მშობლიურ სადგურზე. მას შურისძიების, სიმართლის მტკიცების და ბრძოლის ძალა აღარ აქვს. მას არავის სინანული აღარ სჭირდება. ძველ ამბავში, რომელიც წარსულ ცხოვრებად დაუჯდა და ლამის სიცოცხლესაც გამოასალმა, ყველას თავისი მიეზღო. ისე გამოვიდა, რომ ისინი სამუდამოდ გადასახლებაში ყოფნისთვის გაიწირნენ – საშას მამას არაფრის გამოსწორება არ უნდა, ღმერთი კი ამ სადგურში არ იყურება.

თავის დაღწევის მისი გეგმა – ეპოვა ლპობას გადარჩენილი მანქანა, რომელსაც შეაკეთებდა, საწვავს ჩაასხამდა და ბედის მიერ შემოხაზული აკრძალული წრიდან გაიქცეოდა – დიდი ხნის წინ იქცა ძილისპირულ ზღაპრად.

საშასთვის უკან, დიდ მეტროში მოსახვედრი კიდევ ერთი გზა არსებობდა. ის დათქმულ დღეებში ხიდზე გადადიოდა, რომ რაღაცნაირად შეკონწიწებული მონყობილობები, ფერშეცვლილი სამკაულები, დაობებული წიგნები საჭმელზე და რამდენიმე ტყვიაზე გადაეცვალა. თუმცა, ზოგჯერ ბევრად მეტს სთავაზობდნენ. დრეზინიდან ვაჭრები პროჟექტორით ანათებდნენ ცოტათი უხეშ, ბიჭურ ფიგურას, თვალს უკრავდნენ, პირს აწკლაპუნებდნენ, თავისთან იხმობდნენ და მეტს ჰპირდებოდნენ. გოგონა ველურს ჰგავდა – უხმოდ, წარბებს ქვემოდან შეჰყურებდა მათ, დაძაბული, ზურგს უკან მალავდა მარჯვენა ხელში ჩაბლუჯულ გრძელ დანას. მამაკაცის ფართო კომბინეზონი ვერ ფარავდა მის თამამად გამოკვეთილ ნაკვთებს. ტალახითა და მანქანის ზეთით მოთხვრილ სახეზე იმდენად მკვეთრად ანათებდა მისი თვალები, რომ ზოგი თვალსაც კი არიდებდა. დანით უსწორმასწოროდ მოჭრილი თეთრი თმა ყურებს ძლივს უფარავდა, მოკუმული ტუჩები არასოდეს ეხსნებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხალხი დრეზინიდან მალევე მიხვდა, რომ მგელს მცირე დაპირებით ვერ მოიშინაურებდნენ, ამიტომ სცადეს, თავისუფლებით მოესყიდათ, თუმცა, საშას ერთხელაც არ უპასუხია მათთვის. ბოლოს ჩათვალეს, რომ გოგონა მუნჯი იყო. ასე უფრო მარტივიც კი იყო. საშა მშვენივრად ხვდებოდა, რაზეც უნდა დათანხმებულიყო, ის დრეზინაზე ორ ადგილს ვერ იყიდდა. მამას სხვების ბევრი ჰმართებდა, რის გასტუმრებაც შეუძლებელი იყო.

უსახური, არასასიამოვნო ტიპები შავი სამხედრო აირწინალებით მისთვის მხოლოდ მტრები როდი იყვნენ, ის მათში ადამიანებს ვერ ხედავდა, ვერაფერს ისეთს, რაზეც ლამით მაინც იოცნებებდა. ამიტომ უსიტყვოდ დებდა შპალებზე ტელეფონს, უთოს, ჩაიდანს, ათი ნაბიჯით უკან იხევდა და იცდიდა, სანამ საქონელს წაიღებდნენ, მერე კი შეხვეულ შებოლილ ღორის ხორცს ლიანდაგზე დაუგდებდნენ და განზრახ მიმოფანტავდნენ ტყვიებს, რომ ეყურებინათ, როგორც აგროვებდა გოგონა ფორთხვით.

მერე დრეზინა ნელა მიდიოდა ნამდვილ სამყაროში, საშა კი ბრუნდებოდა სახლში, სადაც დამტვრეული მოწყობილობების მთა, სახრახნისი, სარჩილავი და დინამომანქანად გადაკეთებული ველოსიპედი ელოდა. დაჯდებოდა მასზე, დახუჭავდა თვალებს და მიქროდა შორს. არ ადარდებდა, რომ სინამდვილეში ადგილიდან არ იძროდა. ის, რომ მან თავად თქვა მოწყალებაზე უარი, ძალას ჰმატებდა.

* * *

როგორ? რანაირად მოხვდნენ ისევ აქ? აკანკალებული ჰომეროსი პასუხს ეძებდა ამ კითხვაზე. აჰმედმა მაშინვე ჩაიკმინდა ხმა, როგორც კი დაინახა, თუ რას ანათებდა ფანრით ჰომეროსი.

– არ მიშვებს... – დაჯდა და თითქმის უხმოდ თქვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნისლი იმდენად შესქელდა, რომ უკვე ერთმანეთსაც კი ველარ ხედავდნენ. ხალხის არყოფნისას თვლემდა „ნაგორნაია“, ახლა კი გამოფხიზლდა, მძიმე ჰაერი ეპასუხებოდა მათ სიტყვებს ოდნავ შესამჩნევი რწევით, მის სილრმეში კი ახალგაღვიძებული ჩრდილები ფუთფუთებდნენ. ჰანტერის კვალიც კი არსად ჩანდა... ვერც ერთი ცოცხალი არსება ვერ გაიმარჯვებს ფანტომებთან ბრძოლაში. როგორც კი სადგურს მობეზრდება მასთან თამაში, მაშინვე თავის შხამიან სუნთქვაში მოაქცევს და ცოცხლად მოინელებს მას.

– შენ წადი, – განწირულივით წარმოთქვა აჰმედმა, – მე ვჭირდები. შენ არ იცი, შენ აქ იშვიათად ხვდები.

– რას ბოდავ! – მოხუცმა ისე შეუყვირა, რომ თავადვე გაუკვირდა, – უბრალოდ, ნისლში გზა შეგვეშალა, უკან წავიდეთ.

– ერთად ვერ გავალთ. როგორც გინდა ირბინო, მაინც უკან დაბრუნდები, თუ ჩემთან ერთად იქნები. მარტო კი გახვალ. წადი, გთხოვ.

– კარგი, საკმარისია! – ჰომეროსმა მაჯაში ჩაავლო ხელი და გვირაბისკენ წაიყვანა, – ერთი საათის შემდეგ მადლობას მეტყვი.

– ჩემს გულეს გადაეცი... – წამოიწყო აჰმედმა, მაგრამ წარმოუდგენელმა ძალამ ჰომეროსს მისი ხელი ხელიდან გამოსტაცა. აჰმედი ზემოთ, ნისლსა და არარაობაში გაუჩინარდა. დაყვირებაც კი ვერ მოასწრო, გაქრა, თითქოს წამში ატომებად დაიშალა, თითქოს არც არასოდეს უარსებია. მის ნაცვლად მოხუცმა დაიყვირა. თითქოს ჭკუიდან შეიშალაო, თავისი ღერძის გარშემო ტრიალებდა და გაუჩერებლად ისროდა, მჭიდს მჭიდზე ცლიდა.

მერე კეფაში გამანადგურებელი დარტყმა მიიღო, როგორიც აქაურ დემონთაგან მხოლოდ ერთს შეეძლო, და სამყარო გაქრა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 5
მეხსიერება

საშამ ფანჯარასთან მიირბინა, დარაბები გახსნა და ქოხში სუფთა ჰაერი და სუსტი სინათლე შემოუშვა. ხის რაფა პირდაპირ უძირო, დილის ნაზი ნისლით სავსე უფსკრულის თავზე ეკიდა. მზის პირველსავე სხივებზე გაიფანტება ნისლი და ფანჯრიდან არა მხოლოდ ხეობა, არამედ მალალი ფიჭვებით დაფარული მთები, მათ შორის გადაჭიმული მწვანე მდელობი, ასანთის კოლოფებივით ჩამწკრივებული სოფლის სახლები და სამრეკლოს წვერები გამოჩნდება.

ადრიანი დილა მისი საყვარელი დრო იყო. მზის ამოსვლამდე მთელი ნახევარი საათით ადრე იღვიძებდა, რომ მთაზე ასვლა მოესწრო. მათი პატარა, სუფთა, თბილი და მყუდრო ქოხის უკან, ფერდობს მიუყვებოდა ქვის ბილიკი, გარშემო ყვითელი ყვავილებით. სანამ მთისკენ მიიწევდა, რამდენჯერმე წაქცევას და მუხლების გადატყავებასაც ასწრებდა.

ჩაფიქრებულმა საშამ სახელოთი გადაწმინდა ღამის თრთვილისგან დაცვარული რაფა და მკლავზე გრილი ნიავის შეხებისთანავე გაუქრა საშინელი სიზმრიდან გამოყოლილი უსიამოვნო შეგრძნება, რომელიც მის ამჟამინდელ უზრუნველ ცხოვრებას აუფერულებდა. სწრაფად უნდა აერბინა მწვერვალზე, რომ მზეს მისალმებოდა, შემდეგ კი იმავე ბილიკით უკანვე, სახლში დაბრუნებულიყო – საუზ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მე გაემზადებინა და მამა გაელვიძებინა, ამასობაში პატარა ბოხჩით გაემზადებინა მისთვის საგზალი.

მერე კი მთელ დღეს, ვახშმობამდე, სანამ მამა სანადიროდ იქნებოდა, საშა თავისუფლებით დატკბებოდა, დაულალავად ირბენდა უშნო ჭრიჭინებთან და მფრინავ ტარაკნებთან ერთად მდელოზე, ვაგონის კედლებზე აკრული ლინკრუსტივით[1] ყვითელ ყვავილებში...

რამდენიმე წელი არ ენახა საშას მამას გოგონას სახეზე ასეთი ბედნიერი ღიმილი და დაენანა მისი გაღვიძება. სისხლი სდიოდა და ფეხი დაუბუჟდა, სისხლი არაფრით არ ჩერდებოდა... ამბობენ, მაწანწალა ძაღლების ნაკბენი არ შუშდებაო...

დაუძახოს თუ არა?

სანამ ავტოფარეხებისკენ წავიდოდა, ის დღე-ღამეზე მეტხანს არ ყოფილა სახლში. გადაწყვეტილი ჰქონდა, სადგურიდან ორი კვარტლის დაშორებით შენობაში ასულიყო. აძვრა მეთექვსმეტე სართულზე და იქ გონება დაკარგა. მთელი ამ ხნის განმავლობაში საშას ერთი წუთით არ მოუხუჭავს თვალი. საერთოდ, ის არასოდეს იძინებდა, სანამ მამა „სასეირნოდ" იყო.

„დაისვენოს, – გაიფიქრა მამამ, – არაფერი მომივა".

მამას ძალიან მოუნდა გაეგო, რა სიზმარს ხედავდა მისი გოგონა. თავად, როგორც წესი, სიზმარშიც კი ვერ აბერხებდა რეალობის დავიწყებას. ძალიან იშვიათად ორიოდე საათით თუ უშვებდა ქვეცნობიერი უშფოთველ ახალგაზრდობაში საბოდიალოდ. ძირითადად კი შიგნეულობაგამოცლილ, მკვდარ ნაცნობ სახლებს შორის დაბოდიალობდა

[1] ლინკრუსტივი – ერთგვარი შპალერი, გაკრული საბჭოთა მეტროს ვაგონების კედლებზე (მთარგმნ.).

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და კარგ სიზმრად ჩათვლიდა, თუ სასწაულებრივად გადარჩენილი ტექნიკითა და წიგნებით სავსე ხელუხლებელ ბინას იპოვიდა.

დაძინებისას ოცნებობდა, წარსული დასიზმრებოდა – თუნდაც იმ დროში მოხვედრილიყო, ოციოდე წლის რომ იყო და უკვე სადგურის გარნიზონს ხელმძღვანელობდა. საშას დედა სულ ახალგაცნობილი ჰყავდა. სადგური მაშინ ყველას დროებითი თავშესაფარი ეგონა და არა კატორღის საერთო ბარაკი მაღაროში, სადაც ისინი სამუდამო პატიმრობას იხდიდნენ.

ამის ნაცვლად ის არცთუ შორეულ წარსულს, ხუთი წლის წინანდელი ამბებს ხედავდა – დღეს, რომელმაც მისი და, რაც ყველაზე საშინელი იყო, მისი ქალიშვილის ბედი განსაზღვრა. დაძინებისთანავე, მარცხსა თუ გადასახლებას შეგუებული გონება გაითიშებოდა თუ არა, გული რევანშს ითხოვდა.

...ის კალაშნიკოვმომარჯვებული იდგა მებრძოლთა მწკრივის წინ. ოფიცრის „მაკაროვით", რომელიც მას წოდებით ეკუთვნოდა, მხოლოდ თავის მოკვლას თუ მოასწრებდა. მის ზურგსუკან მდგარი ოციოდე შეიარაღებული მებრძოლის გარდა, სადგურზე მისი ერთგული აღარავინ იყო.

ტალღა ბობოქრობდა, ათეულობით ხელი არყევდა ჯებირებს. არეული მრავალხმიანობა უცებ დირიჟორის უხილავი ჯოხის მოქნევას დაემორჩილა და დალაგებულ ქორად გადაიქცა. ჯერჯერობით მხოლოდ მის გადადგომას მოითხოვდნენ, მაგრამ რამდენიმე წუთში მისი სიკვდილით დასჯაც მოუნდებოდათ.

ეს არ იყო სპონტანური დემონსტრაცია, აქ გამიზნულად მოქმედებდნენ პროვოკატორები. აღარც მათი ვინაობის დადგენასა და მათ სათითაოდ დახოცვას ჰქონდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აზრი. ერთადერთი გზა, რომ აჯანყება შეეჩერებინა და თანამდებობაც შეენარჩუნებინა, ხალხისთვის ცეცხლის გახსნა იყო, სანამ ჯერ კიდევ არ იყო გვიან.

ხელს უჭერდა უხილავ კონდახს, დასივებული ქუთუთოების ქვეშ მოუსვენრად ატრიალებდა თვალებს, გაუჩერებლად აცმაცუნებდა ტუჩებს და უხმოდ იძლეოდა ბრძანებებს. შავი გუბე კი, რომელშიც იწვა, ყოველ წუთს იზრდებოდა.

* * *

– სად არიან?!

თავდავიწყების შავი ბურუსიდან გამოსული ჰომეროსი ისე შეფართხალდა, როგორც ანკესით დაჭერილი ქორჭილა. ძლივს სუნთქავდა და ნახევრად გონდაკარგული ბრიგადირს შესცქეროდა. ისევ თვალწინ ედგა „ნაგორნაიას" უზარმაზარი ციკლოპები, რომლებიც მისკენ იშვერდნენ გრძელ, დაძარღვულ თითებს, რათა ფეხი მოეტეხათ ან ნეკნები ჩაემსხვრიათ მისთვის. თვალს დახუჭავდა თუ არა, ციკლოპები მაშინვე გარს ეხვეოდნენ მოხუცს, გახელისთანავე კი ზანტად იფანტებოდნენ.

ჰომეროსმა წამოდგომა სცადა, მაგრამ ფოლადის ხელი, რომელმაც კოშმარიდან გამოათრია, ჯერაც მხარზე ედო და განძრევის ნებას არ აძლევდა. ნელ-ნელა სუნთქვა დაიმშვიდა და ნაიარევ სახესა და მანქანის ზეთით გაპრიალებულივით მოელვარე მუქ თვალებს მიაშტერდა...

„ჰანტერი! ცოცხალია?" – მოხუცმა ფრთხილად გაიხედა ჯერ მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ, შეამოწმა, ისევ მოჯადოებულ სადგურზე ხომ არ იყო.

არა, ისინი მშრალ, ცარიელ გვირაბში ისხდნენ და ნისლი, რომელიც „ნაგორნაიას" მისადგომებთან ჩამოწოლი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლიყო, თითქმის აღარ ჩანდა. ჰომეროსი მიხვდა, რომ ჰანტერმა ხუთასი მეტრი მაინც ათრია ხელით. ცოტა მოეშვა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მაინც იკითხა:

– ისინი სად არიან?

– აქ არავინაა, უსაფრთხოდ ხარ.

– ის არსებები... თავს დამესხნენ? გამაბრუეს? – მოხუცი დაიმანჭა და თავზე წამომჯდარ კოპზე მოისვა ხელი.

– ისტერიკაში იყავი და იძულებული გავხდი, დამერტყა. ლამის მე გამარტყი ტყვია.

ჰანტერმა, ბოლოს და ბოლოს, ახსნა მარწუხები, მძიმედ გაიმართა და ოფიცრის ფართო ქამარი შეისწორა. მერე „სტეჩკინის" ბუდის გვერდით ჩამოკიდებული ტყავის მეორე ბუდიდან სპილენძის მათარა ამოიღო, შეანჯღრია, გახსნა და ისე, რომ ჰომეროსისთვის არც შეუთავაზებია, მოსვა. წამით თვალები მილულა, თითქოს სიამოვნებისგან. მოხუცს ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა – ჰანტერს ცალი თვალი ბოლომდე არ ეხუჭებოდა.

– აჰმედი სადაა? რა დაემართა? – გაახსენდა ჰომეროსს და ისევ გააჟრიალა.

– მოკვდა, – გულგრილად უპასუხა ჰანტერმა.

– მოკვდა, – მორჩილად გაიმეორა მოხუცმა.

როცა აჰმედის ხელი გამოსტაცა, მოხუცი მიხვდა, რომ ამ ურჩხულის კლანჭებიდან თავს ვერც ერთი ცოცხალი არსება ვერ დაალწევდა. ჰომეროსს უბრალოდ გაუმართლა, რომ „ნაგორნაიამ" არჩევანი მასზე არ გააკეთა. მოხუცმა კიდევ ერთხელ მოათვალიერა მიდამო. უჭირდა დაჯერება, რომ აჰმედი აღარ იყო. მერე თავის ხელს დააჩერდა და გული აუჩქარდა – გადატყავებული ხელისგულიდან სისხლი მოსდიოდა.

– აჰმედმა იცოდა, რომ განწირული იყო, – ჩუმად დაიწყო, – რატომ მაინცდამაინც ის და არა მე?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მასში ბევრი სიცოცხლე იყო, – გაეპასუხა ჰანტერი, – ისინი კი ადამიანის სიცოცხლით იკვებებიან.

– უსამართლობაა! – თავი გაიქნია მოხუცმა, – მას მცირეწლოვანი შვილები ჰყავს, აქ იმდენი რამ აკავებს... აკავებდა... მე კი... მე მომთაბარე ვარ.

– შენ შეჭამდი ხავსს? – საუბარი შეაწყვეტინა ჰანტერმა და სწრაფად წამოაყენა მოხუცი, – მორჩა, წავედით, შეიძლება ველარც მოვასწროთ.

ძუნძულით მიმავალ ჰანტერს უკან მისდევდა ჰომეროსი და თავს იმტვრევდა: როგორ მოხდა, რომ ისინი ისევ „ნაგორნაიაზე“ აღმოჩნდნენ? როგორც ველურმა ორქიდეამ, სადგურმა ისე გააბრუა ორივე მიაზმით და ისევ თავისთან დააბრუნა. ჰომეროსი დაიფიცებდა, რომ უკან ერთხელაც არ მიბრუნებულან. ლამის თავადაც დაეჯერებინა სამყაროს გამრუდება, რის შესახებაც გულუბრყვილო გუშაგებს უყვებოდა ხოლმე... უცებ მოხუცი შეჩერდა და თავში შემოიკრა ხელი: ყველაფერი ბევრად უფრო მარტივად იყო – სხვადასხვა მიმართულების სარკინიგზო გზის შემაერთებელი ტოტი! „ნარგონაიადან“ რამდენიმე ასეულ მეტრში მარცხენა და მარჯვენა გვირაბების ლილვებს შორის თავის დროზე ერთლიანდაგიანი ტოტი აიგო შემადგენლობის შემოსაბრუნებლად. როდესაც ბრმად მიუყვებოდნენ კედელს, ჯერ პარალელურ გზაზე გავიდნენ, ხოლო შემდეგ, როცა კედელი გაქრა, შეცდომით კვლავ სადგურისკენ გადაუხვიეს.

„არანაირი მისტიკა“, – ამოისუნთქა ჰომეროსმა, მაგრამ კიდევ ერთი რამ ჰქონდა გასარკვევი.

– ჰეი! – დაუძახა ჰანტერს, – დაიცადე!

მაგრამ ბრიგადირი ყრუსავით სწრაფად მიიწევდა წინ და აქოშინებული მოხუცი იძულებული გახდა, ძუნძულზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გადასულიყო. ბოლოს და ბოლოს, დაეწია, თვალი გაუსწორა ჰანტერს და ჰკითხა:

– რატომ მიგვატოვე?

– მე – თქვენ? – ჰანტერის ლითონივით ცივ ხმაში მოხუცს დაცინვა მოესმა და გაჩუმდა.

მართლაც, სადგურიდან ხომ ის და აჰმედი გაიქცნენ და ბრიგადირი მარტო შეატოვეს დემონებს...

ჰომეროსს გაახსენდა, როგორ გააფთრებით და უშედეგოდ იბრძოდა ჰანტერი „ნაგორნაიაზე“, და უნებურად გაიფიქრა, რომ სადგურის მცხოვრებლებმა არ მიიღეს ბრიგადირის გამოწვევა. შეეშინდათ? მონათესავე სული იგრძნეს მასში?.. მოხუცმა გამბედაობა მოიკრიბა და უკანასკნელი საკმაოდ რთული კითხვა დაუსვა მებრძოლს:

– მითხარი, ჰანტერ, იქ, „ნაგორნაიაზე“... შენ რატომ არ გახლეს ხელი?

პასუხის მოლოდინში რამდენიმე მტანჯველი წუთი გავიდა, მაგრამ ჰომეროსს ველარ გაებედა კითხვის გამეორება.

– არაფრად ჩამაგდეს, – ბოლოს და ბოლოს, ძლივსგასაგონად გაისმა ჰანტერის მოკლე, პირქუში პასუხი.

* * *

– სამყაროს სილამაზე გადაარჩენს, – ხუმრობდა ხოლმე მამა.

საშა წითლდებოდა და ჩაის მოხატულ პაკეტს კომბინეზონის ჯიბეში მალავდა. კვადრატული პლასტმასა, რომელსაც, ყველაფრის მიუხედავად, ჯერ კიდევ შერჩენოდა მწვანე ჩაის არომატი, მისი მთავარი განძი იყო. ის ახსენებდა, რომ სამყარო არ იყო მხოლოდ მათი სადგური – ოთხივე გვირაბამოქოლილი, ოცი მეტრის სიღრმეზე ჩამარხული ქა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლაქ-სასაფლაო მოსკოვში. ჩაის პაკეტით, ამ მაგიური პორ-ტალით საშას შეეძლო, დროსა და სივრცეში ემოგზაურა.

ამ ნესტში ნებისმიერი ქალალდი ჭლექიანივით ჭკნებო-და. ნესტი და ობი არა მხოლოდ წიგნებსა და ჟურნალებს ჭამდა, წარსულსაც ანადგურებდა. ადამიანის მეხსიერება გამოსახულებებისა და ქრონიკის გარეშე, ყავარჯნების გა-რეშე მოიკოჭლებდა და ეცემოდა.

საშას პაკეტი კი პლასტმასისა იყო – დროსა და ობს არ ემორჩილებოდა. ერთხელ მამამ აუხსნა, რამდენიმე ათასი წელი უნდა გავიდეს, რომ გახრწნა დაიწყოსო, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საშა შთამომავლებისთვისაც შეძლებდა მის მემკვიდრეობით გადაცემას.

ეს ნახატი მინიატურული, მაგრამ მაინც ნამდვილი ნა-ხატი იყო. ისეთივე ხასხასა, როგორიც კონვეიერიდან ახ-ლად გადმოლებული და ისეთი ხედით, რომ საშას სუნთქვა ეკვროდა. ნისლში დაკიდული კლდეები, ტოტებგაშლილი ფიჭვები, რომლებიც ციცაბო ფერდობებს ებღაუჭებოდ-ნენ, უფსკრულში ჩანთქმული ბობოქარი ჩანჩქერები, ამ-ომავალი მეწამული მზე... ამაზე მეტი მშვენიერება საშას არასდროს ენახა.

გოგონას შეეძლო საათობით მჯდარიყო და ხელისგულზე დადებულ ჩაის პაკეტზე გამოსახული ხედით დამტკბარიყო. თვალებზე მასაც ისევე ეკვროდა ბინდი, როგორც შორეულ მთებს მზის ამოსვლისას. მამის მიერ მოტანილ წიგნებში (რომელთაც მანამ შთანთქავდა, სანამ ტყვიებზე გაყიდდა) ამოკითხული სიტყვებიც კი არ ჰყოფნიდა იმის აღსაწერად, თუ რას გრძნობდა ამ სანტიმეტრიანი კლდეებისა და ნახატი ფიჭვების წიწვების ყურებისას. იცოდა, რომ ეს სამყარო არ-არეალური იყო და სწორედ ამიტომ განიცდიდა მის მიმართ საოცარ ლტოლვას, ტკბილ სევდას და მუდმივ მოლოდინს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ერთხელაც მზეს ნახავდა... მარადიული თვალიერება – სხვა განა რა უნდა ყოფილიყო დამალული ამ ფირფიტის მილმა: უცნაური ხე? არწივის ბუდე? პატარა ქოხი კლდის ძირში, რომელშიც მამასთან ერთად იცხოვრებდა?

სწორედ მამამ მოუტანა ეს პაკეტი ხუთი წლის საშას, თანაც საკმაო, რაც ძალიან დიდი იშვიათობა იყო. უნდოდა ქალიშვილი ნამდვილი ჩაით ხელში ენახა, მაგრამ გოგონამ საოცარი ვაჟკაცობით დალია ჩაი, როგორც წამალი, ჩაის პაკეტით კი სამუდამოდ აღფრთოვანდა. მამამ სწორედ მაშინ აუხსნა, თუ რა იყო იქ გამოსახული. ჩინეთის მთიანი პროვინციის პირობითი პეიზაჟი, რომელიც ჩაის პაკეტებისთვის ზედგამოჭრილი იყო. მაგრამ საშა ათი წლის შემდეგაც ისეთივე აღფრთოვანებით ათვალიერებდა მას, როგორც მიღების დღეს.

მამა კი გრძნობდა, რომ ეს პაკეტი საშასთვის მთელი სამყაროს შემცველი იყო, და ყოველთვის, როცა გოგონა გატაცებით შესცქეროდა წარუმატებელი მხატვრის პეიზაჟს, ეჩვენებოდა, რომ სწყევლიდა მას თავისი მოკლე და უსიცოცხლო ცხოვრების გამო. ძალიან ცდილობდა თავის შეკავებას, ბოლოს კი მაინც გაღიზიანებული ეკითხებოდა ქალიშვილს, რა იპოვა ამ ულიმლამო შეფუთვის ნაგლეჯზე.

პასუხად გოგონა ნაჩქარევად მალავდა პაკეტს კომბინეზონის ჯიბეში და მორიდებით პასუხობდა:

– მამა... ისეთი ლამაზია!..

* * *

პანტერი რომ არა, რომელიც „ნაგატინსკაიამდე" აღარ გაჩერებულა, მოხუცი ამ გზის გავლას სამჯერ მეტ დროს მოანდომებდა – ვერასოდეს გაბედავდა, ასე უშიშრად გადევლო ეს გვირაბები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მათ რაზმს საშინელი ბაჟის გადახდა მოუხდა „ნაგორ-ნაიაზე" ტრანზიტით გავლისას. სამიდან ორნი გადარჩნენ. ნისლში გზა რომ არ აჰბნეოდათ, სამივე გადარჩებოდა. თუმცა, გადასახადი ჩვეულებრივზე მეტი არ იყო, არც „ნა-ხიმოვსკიზე" და არც „ნაგორნაიაზე" არაფერი მომხდარა ისეთი, რაც მანამდე არ ხდებოდა.

მაშ, საქმე „ტულსკაიასკენ" მიმავალ გადასარბენებს ეხ-ებოდა? ახლა იქ სიმშვიდე იყო, მაგრამ ცუდი, დაძაბული სი-ჩუმე. კი, ჰანტერი ასი მეტრიდან გრძნობდა საფრთხეს, იც-ოდა, რა ელოდათ სადგურზე, რომელზეც არასოდეს ყოფი-ლა, მაგრამ მასაც ხომ არ ულალატებს ინტუიცია იქ, სადაც ათეულობით გამოცდილი მებრძოლისთვის ულალატია?

იქნებ სწორედ „ნაგატინსკაია", რომელსაც ყოველი ნა-ბიჯით უახლოვდებოდნენ, მალავდა საიდუმლოს გასა-ღებს?! ჰომეროსს მოზღვავებული ფიქრები ხელს უშლიდა სწრაფად სიარულში, ცდილობდა წარმოედგინა, რა ელოდ-ათ მისთვის ოდესღაც ყველაზე საყვარელ სადგურზე. მო-ხუცს, რომელიც მითებს აგროვებდა, შეეძლო ეფიქრა, რომ ამ სადგურზე ნამდვილად გაიხსნა ეშმაკის საელჩო, ან ის თავიანთი გვირაბებიდან საჭმლის საძებნელად გადმოსახ-ლებულმა ვირთხებმა დახრეს.

მოხუცი მარტო რომ ყოფილიყო, ამ გადასარბენებ-ში ბევრად უფრო ნელა ივლიდა, მაგრამ უკან არავითარ შემთხვევაში არ მიბრუნდებოდა. „სევასტოპოლსკაიაზე" ცხოვრებისას ის სიკვდილის შიშს გადაეჩვია. შეიძლებოდა ეს მისი უკანასკნელი მოგზაურობაც ყოფილიყო, ამიტომ მზად იყო, მთელი თავისი დარჩენილი დრო მიეძღვნა მის-თვის. „ნარგორნაიაზე" ურჩხულებთან შეხვედრიდან ნახე-ვარი საათის შემდეგ შიშები აღარც ახსოვდა. მეტიც, სულის ფსკერზე გაურკვეველ, მფრთხალ მოძრაობას გრძნობდა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იქ, საიდაც კუნძულში იბადებოდა ან იღვიძებდა ის, რასაც ასე ელოდა და ითხოვდა; ის, რასაც ის ყველაზე სახიფათო მოგზაურობაში ეძებდა, რადგან შინ ვერ ეპოვა.

ახლა მას საკმაოდ მყარი საფუძველი ჰქონდა, სიკვდილი გადაედო. სიკვდილის უფლებას თავს მხოლოდ მას შემდეგ მისცემდა, როცა თავის მისიას შეასრულებდა.

ბოლო ბრძოლა ყველაზე მძვინვარე იყო, ამიტომაც რამდენიმე დღეს გასტანა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამი თაობა შეიცვალა, მისმა ვეტერანებმა საუკუნოდ დაიძინეს, ცოცხალთ კი ომისადმი შიში არ ჰქონდათ. ომი მასიური შეშლილობიდან, რომელიც ადამიანებს ყველაფერს ადამიანურს აკარგვინებდა, ისევ სტანდარტულ პოლიტიკურ ინსტრუმენტად იქცა. ფსონები საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად დრო არ ითმენდა. ბირთვული ქობინების გამოყენების შესახებ ტაბუს დარღვევის გადაწყვეტილება გზადაგზა მიიღეს, საიდუმლოდ: დრამის პირველ მოქმედებაში კედელზე დაკიდებულმა იარაღმა ბოლო მოქმედებაში გაისროლა და უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, პირველმა ვინ დააჭირა თითი საკრალურ ღილაკს.

მსოფლიოს ყველა დიდი ქალაქი ერთდროულად ნანგრევებად და ფერფლად იქცა. ქალაქების ის მცირე ნაწილიც, რომელთაც რაკეტსაწინააღმდეგო ფარები იცავდა, განადგურდა, თუმცა შორიდან ხელუხლებელს ჰგავდა: მათი მოსახლეობა მძლავრმა გამოსხივებამ, მომწამვლელმა ნივთიერებებმა და ბიოლოგიურმა იარაღმა ამოწყვიტა. სუსტი რადიოსიგნალი, რომლითაც გადარჩენილებთან კავშირი მყარდებოდა, საბოლოოდ რამდენიმე წლის შემდეგ განყდა და მეტროს მოსახლეობისთვის სამყარო დასახლებული ხაზების სასაზღვრო საგუშაგოებში დასრულდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დედამიწა, რომელიც კარგად შესწავლილი და მჭიდროდ დასახლებული ჩანდა, ისეთსავე უსასრულო ქაოსად და დაეიწყების ოკეანედ იქცა, როგორიც ოდესღაც იყო.

ცივილიზაციის პატარა კუნძულები ერთმანეთის მიყოლებით ჩაიძირა ქაოსის მორევში, ნავთობისა და ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი ადამიანი გაველურების გზას დაადგა.

დაიწყო უბედურების ეპოქა.

სწავლულები ასწლეულების განმავლობაში ფრთხილად ალაგებენდნენ ისტორიას პაპირუსების ნაგლეჯებიდან და პერგამენტებიდან, კოდექსების ნაწყვეტებიდან თუ ფოლიანტებიდან. საბეჭდი მანქანისა და გაზეთის გამოგონების შემდეგ კი ამ ტილოს ქსოვა ტიპოგრაფიულმა დაზგებმა განაგრძეს. ბოლო ორი საუკუნის მატიანეში ხარვეზები არ ჩანდა: მსოფლიოს ბედის გამგებელთა თითოეული ჟესტი და შორისდებული საგულდაგულოდ ირჩეოდა. და აი, მთელი მსოფლიოს ნალოლიავები ტიპოგრაფია ერთ საათში სამუდამოდ განადგურდა.

ისტორიის საქსოვი დაზგები აღდგა. მსოფლიოში ცოტას თუ აინტერესებდა ის. მატერია დაიხა, მხოლოდ ერთი ძაფი დარჩა მთელი.

კატასტროფიდან რამდენიმე წლის განმავლობაში ნიკოლაი ივანოვიჩი ხალხით გადაჭედილ სადგურებზე დაეხეტებოდა და იმედს არ კარგავდა, რომ ადრე თუ გვიან თავის ოჯახს იპოვიდა. თანდათან იმედიც მოუკვდა, არსებობის აზრის არიადნეს გორგალი, რომელსაც მეტროს დაუსრულებელ, ბნელ გვირაბებში მისთვის სწორი გზა უნდა ეჩვენებინა, ხელიდან გაუვარდა. თუმცა, დაობლებული და დაკარგული, მაინც აგრძელებდა უმისამართოდ ბოდიალს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძველი დროის ნოსტალგიით შეპყრობილმა ძველი ჟურნალების შეგროვება დაიწყო, რომ წარსულზე ეოცნება. იმის ძიებაში, შესაძლებელი იყო თუ არა აპოკალიფსის შეჩერება, ის ქრონიკებმა და საგაზეთო პუბლიცისტიკამ გაიტაცა და თვითონაც დაიწყო წერა, ამსგავსებდა ახალი ამბების სვეტებს და წერდა იმ სადგურებში მიმდინარე მოვლენებზე, სადაც ხვდებოდა.

ისე გამოვიდა, რომ გზამკვლევი ძაფის დაკარგვის შემდეგ, იპოვა მიზანი, გამხდარიყო მემატიანე სამყაროს უახლესი ისტორიის აღსასრულიდან თავად სამყაროს აღსასრულამდე. მოუწესრიგებელმა და უმიზნო შემგროვებლობამ აზრი შეიძინა: ახლა მას უნდა აღედგინა დროის დაზიანებული ტილო და ხელნაწერის სახით გაეგრძელებინა ის.

სხვები ნიკოლაი ივანოვიჩის გატაცებას ისე უყურებდნენ, როგორც უწყინარ უცნაურობას. ის თავის წილ საკვებს გაზეთებში ცვლიდა და ყველა სადგურზე, სადაც კი მოხვდებდა, თავის კუთხეს არქივად აქცევდა. დადიოდა საგუშაგოზე, მესამასე მეტრზე, კოცონთან, სადაც მკაცრი კაცები პატარა ბიჭებივით არაკებს თხზავდნენ. არაკებიდან შეიძლებოდა სიმართლის მარცვლები ამოეკრიფა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა მეტროს სხვა სადგურებში. ათეულობით ჭორს ისმენდა, რომ იქიდან ფაქტები გამოერჩია, შემდეგ კი მათ სასკოლო რვეულში იწერდა.

სამუშაოთი ნიკოლა ივანოვიჩს ყურადღება გადაჰქონდა, მაგრამ არც იმის განცდა ტოვებდა, რომ ამ ყველაფერს ტყუილად აკეთებდა. მისი სიკვდილის შემდეგ ახალი ამბების ჰერბარიუმი განადგურდებოდა – მისი გაზეთებითა და მატიანეებით კოცონს დაანთებდნენ; დროისგან გაყვითლებული ქაღალდისგან ბოლი და ჭვარტლი დარჩებოდა, ატომები ახლებურად შეერთდებოდნენ და სხვა ფორმას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეიძენდნენ. რა თქმა უნდა, თავად მატერიის განადგურება პრაქტიკულად გამორიცხული იქნებოდა, მაგრამ ის, რაც უნდოდა, შთამომავლებისთვის შემოენახა, ის რაც შეუმჩნეველი და ეფემერულია, ის, რაც ფურცელზე იმალება, სამუდამოდ დაიკარგებოდა.

ასეა მოწყობილი ადამიანის გონება: სახელმძღვანელოების შინაარსი მის ტვინში გამოსაშვებ გამოცდებამდე რჩება და შემდეგ, როცა დაზუთხულს ივიწყებს, ტვინი სათანადო შვებას გრძნობს.

„ადამიანის მეხსიერება უდაბნოს ქვიშას ჰგავს, – ფიქრობდა ნიკოლაი ივანოვიჩი, – ციფრები, თარიღები და მეორეხარისხოვანი სახელმწიფო მოხელეების სახელები იმდენ ხანს რჩება მეხსიერებაში, რამდენ ხანსაც ბარხანზე ჯოხით გაკეთებული წარწერა. მერე კი უკვალოდ ქრება".

სასწაულებრივად მხოლოდ ის გადარჩება, რაც ადამიანის ფანტაზიას დაიპყრობს, გულს აუჩქროლებს, ფიქრისკენ უბიძგებს და ააღელვებს. გმირის საინტერესო ისტორიამ და მისმა სასიყვარულო ამბავმა შეიძლება მთელი ცივილიზაციის ისტორია გადაწონოს, ვირუსივით ჩაიბეჭდოს ადამიანის ტვინში და ასეულობით თაობას გადაეცეს.

როდესაც ამას მიხვდა, მოხუცი თვითმარქვია სწავლულიდან ალქიმიკოსად იქცა, ნიკოლაი ივანოვიჩიდან – ჰომეროსად. ღამეებს ახლა ქრონიკების შედგენაში კი აღარ ათენებდა, არამედ უკვდავების ფორმულის გამოყვანას ცდილობდა – ფიქრობდა სიუჟეტზე, რომელიც იცოცხლებდა, როგორც „ოდისეა", გმირზე, რომელიც დღეგრძელობით გილგამეშს ედრებოდა, ჰომეროსი თავის დაგროვილ ცოდნას აასხამდა... და ხალხს სამყაროში, სადაც ქალალდი უკვე მხოლოდ გასათბობად გამოიყენებოდა, ხოლო მთელ წარსულს ახლანდელის ერთი წუთისთვის სწირავდნენ, სრული ამნეზიისგან იხსნიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა საოცნებო ფორმულას ვერ მიაკვლია. გმირს არა და არ სურდა გამოჩენა. საგაზეთო სტატიების გადაწერა ვერ ასწავლიდა მოხუცს მითების შეთხზვას, გოლემების ცხოვრების გაგებას, გამონაგონის რეალურზე საინტერესოდ ქცევას. ამოხეული და დაქუცმაცებული ფურცლები მომავალი საგის პირველი დაუსრულებელი თავებითა და არადამაჯერებელი პერსონაჟებით, მის სამუშაო მაგიდას აბორტის გასაკეთებელ კლინიკას ამსგავსებდა. ღამეების თენების ერთადერთი შედეგი ამოღამებული თვალები და დაჭმული ტუჩები იყო.

და მაინც, ჰომეროსს არ უნდოდა უარი ეთქვა თავის მისიაზე. არ უნდოდა იმის დაჯერება, რომ არ გამოდგებოდა ამ საქმისთვის, რომ სამყაროს შესაქმნელად ნიჭია საჭირო.

უბრალოდ, შთაგონების წყარო არ მაქვსო, უმტკიცებდა თავს.

ან კი როგორ უნდა ჰქონოდა დახუთულ სადგურში, ოჯახური ჩაის სმის ტრადიციის, სამეურნეო სამუშაოების და თუნდაც საგუშაგოს ფონზე, სადაც, ასაკის გამო, სულ უფრო იშვიათად მიჰყავდათ? შენჯღრევა, თავგადასავლები და ვნებათაღელვა სჭირდებოდა.

ყველაზე რთულ დროშიც კი არ ტოვებდა ხალხი „ნაგატინსკაიას" სამუდამოდ. საცხოვრებლად ნაკლებად გამოსადეგი სადგური იყო – არც არაფერი ხარობდა და ზემოთ ასავლელებიც გადაკეტილი იყო, მაგრამ დასამალად ან საყვარელთან ერთად განმარტოებისთვის იდეალური სადგური იყო.

ახლა რატომღაც ცარიელი იყო.

ჰანტერი უხმოდ ავიდა ჭრაჭუნა კიბეზე და პლატფორმაზე გაჩერდა. ჰომეროსი ხვნეშით მიჰყვა, თან ფრთხილად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ათვალიერებდა ჩაბნელებულ დარბაზს. ჰაერში გაფანტული მტვერი ვერცხლისფრად ელავდა ფანრის შუქზე. იატაკზე უწესრიგოდ ეყარა ნაჭრებისა და მუყაოს გროვები, რომელთაც „ნაგატინსკაიას" სტუმრები ქვეშაგებად იყენებდნენ ხოლმე.

მოხუცი სვეტს მიეყრდნო და ნელა ჩაცურდა ძირს. „ნაგატინსკაია", სხვადასხვა ხარისხის მარმარილოთი შედგენილი თავისი ფერადი პანოთი, ოდესღაც მისი ერთ-ერთი საყვარელი სადგური იყო, მაგრამ ახლა ეს ბნელი და უსიცოცხლო სადგური ისე ჰგავდა პირვანდელს, როგორც კუბოზე დადებული ფოტო ჰგავს იმ ადამიანს, რომელმაც ეს ფოტო ასი წლის წინ პასპორტისთვის გადაიღო.

– ერთი სულიერიც კი არაა, – დაბნეულობა ვერ დამალა ჰომეროსმა.

– ერთი არის, – თქვა ბრიგადირმა.

– მე ვიგულისხმე... – დაიწყო მოხუცმა, მაგრამ ჰანტერმა ხელით ანიშნა, გაჩუმდით.

დარბაზის მეორე ბოლოში, პლატფორმაზე, იქ, სადაც სვეტები მთავრდებოდა და ძლივს აღწევდა ბრიგადირის პროჟექტორის შუქი, აუჩქარებლად მოძვრებოდა რაღაც...

ჰომეროსი გვერდზე გადაწვა, ხელებს დაეყრდნო და მძიმედ წამოდგა. ბრიგადირის ფანარი ჩაქრა; თვითონაც თითქოს აორთქლდა. შიშისაგან გაოფლილმა მოხუცმა ავტომატის დამცავი მოძებნა და კონდახი მხარზე მიიბჯინა. შორს ძლივსგასაგონად გაისმა ორი გასროლის ხმა. ჰომეროსმა გაბედა სვეტის უკნიდან გამოსვლა და სწრაფად წავიდა წინ.

შუა პლატფორმაზე გაჯგიმული ჰანტერი იდგა, მის ფეხებთან კი თითქოს კოლოფებისა და ნაგლეჯებისაგან აწყობილი მუქი, სუსტი და საცოდავი არსება იკრუნჩხე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოდა. ნაკლებად ჰგავდა ადამიანს, მაგრამ მაინც ადამიანი იყო. უასაკო და უსქესო, იმდენად ჭუჭყიანი, რომ სახეზე მხოლოდ თვალებს თუ გაარჩევდი. გაუგებრად წკმუტუნებდა და ცდილობდა მის თავთან აღმართულ ბრიგადირს გასცლოდა. სავარაუდოდ, ორივე ფეხში იყო დაჭრილი.

– სად არის ხალხი? რატომ არავინაა? – ჰანტერმა ჩექმა დაადგა აყროლებულ, დაგლეჯილ ნაჭრებს, მანანწალას რომ ეცვა.

– ყველანი წავიდნენ... მე მიმატოვეს,. – დაიწრიპინა მან. ხელებით ეპოტინებოდა პრიალა გრანიტს, მაგრამ ადგილიდან ვერ იძროდა.

– სად წავიდნენ?

– „ტულსკაიაზე"...

– რა ხდება იქ? – ჰკითხა ჰომეროსმა, რომელიც უკვე მოსულიყო.

– მე რა ვიცი?! – დაიმანჭა უსახლკარო, – უკან აღარავინ დაბრუნებულა. მე გვირაბის გავლის თავი არ მაქვს და აქ ჩავძაღლდები.

– რატომ წავიდნენ? – უკან არ იხევდა ბრიგადირი.

– ეშინოდათ, უფროსო. უკან არავინ დაბრუნებულა.

– საერთოდ არავინ? – ლულა ასწია ჰანტერმა.

– არავინ. ერთის გარდა, – მანანწალამ შეამჩნია მისკენ მიშვერილი ლულა და ისე მოიკუნტა, როგორც ჭიანჭველა ლუპის ქვეშ, – „ნაგორნაიაზე" მიდიოდა... მეძინა, შეიძლება მომეჩვენა კიდეც.

– როდის?

– საათი არ მაქვს, – თავი გაიქნია მან, – შეიძლება გუშინ ან ერთი კვირის წინ.

ჰანტერს მანანწალასთან კითხვები აღარ ჰქონდა, მაგრამ პისტოლეტის ლულას ისევ თვალებს შორის უმიზნებ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და. ბრიგადირი ხმას არ იღებდა და ისე მძიმედ სუნთქავდა, თითქოს მაწანწალას დაკითხვამ ძალა გამოაცალაო.

– შეიძლება... – დაიწყო უსახლკარომ.

– აჰა, ჭამე! – დაიღრიალა ბრიგადირმა და სანამ ჰომეროსი გონს მოვიდოდა, ორჯერ გამოჰკრა სასხლეტს.

გახვრეტილი შუბლიდან წამოსული შავი სისხლი გახელილ თვალებში ჩაეღვარა საცოდავს და ტყვიით იატაკზე მიჭედებული, ისევ ნაჭრებისა და მუყაოს გროვას დაემსგავსა. ჰანტერს თვალები არ აუწევია, ისე შეავსო მჭიდი ოთხი ტყვიით და ლიანდაგზე ჩახტა.

– მალე ყველაფერს ჩვენით გავიგებთ, – დაუძახა გზიდან მოხუცს.

ჰომეროსი გვამისკენ დაიხარა, ზიზღი დაივიწყა, ნაჭრის ნაგლეჯი აიღო და ბომჟს სახეზე მიაფარა. ხელები ჯერ ისევ უკანკალებდა მკვდარს.

– რატომ მოკალი? – სუსტი ხმით ჰკითხა თანამგზავრს.

– შენს თავს ჰკითხე, – ყრუდ უპასუხა ჰანტერმა.

* * *

ახლა მთელი ძალ-ღონეც რომ მოეკრიბა, მხოლოდ თვალების ხამხამი შეეძლო. ისიც კი სასწაული იყო, რომ გონს მოვიდა... იმ ერთი საათის განმავლობაში, სანამ უგონოდ იყო, გაბუჟება ყინულის ქერქად მოედო მთელ სხეულს. ენა სასაზე მიახმა, მკერდზე თითქოს ფუთიანი ჰანტელი ედო. ქალიშვილთან გამომშვიდობებაც კი არ შეეძლო, არადა, ეს ერთადერთი იყო, რის გამოც გონს მოსვლა ღირდა. ბოლომდე მაინც ვერ მიიყვანა ის ძველი ბრძოლა.

საშა ალარ იღიმებოდა, მოკუნტულიყო თავის გასაშლელ ლოგინში, ხელები სხეულზე შემოეჭდო და იბღვირებოდა. ალბათ რამე შემაშფოთებელი ესიზმრებოდა. ბავშვობაში, როცა ამჩნევდა, რომ კოშმარებს ხედავდა, მამა

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოველთვის აღვიძებდა, ახლა კი მხოლოდ თვალების ხამ-ხამისთვის ჰყოფნიდა ძალა.

ბოლოს ესეც ძალიან დამღლელი გახდა.

საშას გაღვიძების მოლოდინი მისი ბოლო ბრძოლა იყო. ბრძოლა ბოლო ოც წელიწადს წუთითაც არ შეუწყვეტია, ყოველდღე, ყოველ წუთს იბრძოდა და ძალა აღარ ჰქონდა. დაიღალა ბრძოლით, დამალვით, ნადირობით, მტკიცებით, იმედით, ტყუილით.

მბეუტავ ცნობიერებაში ორად ორი სურვილიღა რჩებოდა: უნდოდა, ერთხელ მაინც ჩაეხედა საშასთვის თვალებში და უნდოდა, სიმშვიდე ეპოვა. არ გამოსდიოდა... თვალწინ ისევ დაურბოდნენ წარსულის სურათები. საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო: გაეტეხა ან გამტყდარიყო. დაეპყრო ან დამორჩილებოდა.

...გვარდიელებმა რკალი შეკრეს. ყოველი მათგანი მისი ერთგული რჩებოდა. ახლა ნებისმიერი მზად იყო, მომკვდარიყო ან უიარაღო ადამიანებისთვისაც კი ესროლა. ბოლო, დაუმარცხებელი სადგურის კომენდანტის, უკვე არარსებული კონფედერაციის პრეზიდენტის ავტორიტეტი მისი გვარდიელებისთვის უდავო იყო, თავად ის კი – უცოდველი, და გვარდიელები მის ნებისმიერ ბრძანებას მომენტალურად, დაუფიქრებლად აასრულებდნენ. კომენდანტი კი როგორც ყოველთვის, ახლაც თავის თავზე აიღებდა პასუხისმგებლობას.

ახლა რომ უკან დაიხიოს, სადგურს ანარქია მოიცავს, შემდეგ კი მას თვალსა და ხელს შუა გაზრდილ წითელ იმპერიას შეუერთებენ, რომელიც დიდი ხანია, თავის საწყის საზღვრებს გასცდა და სულ ახალ-ახალ ტერიტორიებს ითვისებს. თუ ცეცხლს გაუხსნის დემონსტრანტებს, ძალაუფლებას მხოლოდ დროებით შეინარჩუნებს, ხოლო თუ სიკ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვდილით მასობრივი დასჯისა და წამების ბრძანებას გასცემს, შესაძლებელია, სამუდამოდაც კი.

მან გადმოიღო ავტომატი და წამის შემდეგ მთელმა არმიამ მისი მოქმედება გაიმეორა. სამიზნე ორმოში ხალხი ღელავდა – უსახო მასა დაკრეჭილი კბილებით, გადმოკარკლული თვალებით, შეკრული მუშტებით.

მან საკეტი გაატკაცუნა, მწყობრმაც.

დრო იყო, ბედისთვის ქეჩოში წაევლო ხელი.

ლულა ჭერს მიუშვირა, სასხლეტს თითი გამოჰკრა და ჭერიდან კირი ჩამოცვივდა. ხალხი ცოტა ხნით მიყუჩდა. მან მეომრებს ნიშანი მისცა, რომ იარაღი დაეშვათ, და ერთი ნაბიჯი წინ გადადგა. ეს მისი საბოლოო გადაწყვეტილება იყო.

და მეხსიერებამ საბოლოოდ გაუშვა ის.

საშას ეძინა, როცა მან უკანასკნელად ჩაისუნთქა. უნდოდა უკანასკნელად შეეხედა შვილისთვის, მაგრამ თვალების გახელა ველარ შეძლო, და მარადიული წყვდიადის ნაცვლად წარმოუდგენლად ცისფერი ცა დაინახა – ნათელი და მოწმენდილი, როგორც მისი ქალიშვილის თვალები.

* * *

– სდექ!

მოულოდნელობისაგან ჰომეროსი კინაღამ ადგილზე შეხტა და ხელები ასწია, მაგრამ მაშინვე მოთოკა თავი. გვირაბის სიღრმიდან გაგონილმა მეგაფონის დუდღუნა ხმამ მხოლოდ ის შეაშინა. ბრიგადირს სრულებითაც არ გაჰკვირვებია: გადახტომის წინ კობრასავით მოკუნტულმა, ძლივს შესამჩნევად გადმოიღო ზურგიდან ავტომატი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აქამდე ისე იარეს, ჰანტერს სიტყვაც არ უთქვამს მისთვის. კილომეტრ-ნახევრიანი გზა „ნაგატინსკაიადან" „ტულსკაიამდე" მოხუცს გოლგოთის გზასავით უსასრულო ეჩვენა. იცოდა, რომ გადასარბენს უეჭველ სიკვდილამდე მიჰყავდა და თავს უფრო სწრაფად სიარულს ვერ აძალებდა. დრო იყო, რომ სიკვდილთან შესახვედრად მომზადებულიყო და ჰომეროსმა მოგონებებით დაიწყო თავის შექცევა. იხსენებდა ელენას, საკუთარ თავს ეგოიზმს საყვედურობდა და პატიებას სთხოვდა მას. ნანობდა, რომ წამოსვლის წინ გაზეთების ბედზე არ იზრუნა.

მოხუცი მზად იყო სიკვდილისთვის – მზად იყო, ურჩხულებს გაეგლიჯათ, უზარმაზარ ვირთხებს შეეჭამათ, მომწამვლელი გამონაბოლქვით მომკვდარიყო... სხვა რა ელოდა შავ ხვრელად ქცეულ „ტულსკაიაზე", რომელიც ყველაფერს ისრუტავდა და გარეთ აღარაფერს უშვებდა?

ახლა, როცა მის მისადგომებთან ჩვეულებრივი ადამიანის ხმა ესმოდა, აღარ იცოდა, რა ეფიქრა. სადგური დაპყრობილია? ვის შეეძლო გაენადგურებინა „სევასტოპოლსკაიას" რამდენიმე შემტევი რაზმი? ან ვინ გაანადგურებდა მაწანწალებს დედაბუდიანად ისე, რომ არც მოხუცისთვის და არც ქალისთვის არ მიეცა წასვლის უფლება?

– ოცდაათი ნაბიჯი წინ! – მოისმა შორეული ხმა.

ძალიან ნაცნობი ხმა იყო და ჰომეროსს დრო რომ ჰქონოდა, აუცილებლად ამოიცნობდა, ვის ეკუთვნოდა. ვინმეს „სევასტოპოლსკაიადან"?

ჰანტერი ხელში არწევდა თავის „კალაშნიკოვს" და მორჩილად ითვლიდა ნაბიჯებს. ბრიგადირის ოცდაათ ნაბიჯში მოხუცმა ორმოცდაათი ნაბიჯი გადადგა. სრულ სიბნელეში ბუნდოვნად მოჩანდა ბარიკადი, თითქოს შემთხვევითი ნივთებით აგებული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ჩააქრეთ ფანრები! – ბრძანა ვილაცამ ბარიკადს მიღმა, – და ერთ-ერთმა თქვენგანმა კიდევ ოცი ნაბიჯი გადმოდგას წინ.

ჰანტერმა ჩამრთველი გაატკაცუნა და გზა განაგრძო. მარტო დარჩენილმა ჰომეროსმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედა. სიბნელეში შპალზე ჩამოჯდა, ფრთხილად მოსინჯა კედელი და მას მიეყრდნო.

განსაზღვრულ მანძილზე ბრიგადირის ნაბიჯების ხმა მიწყდა. გაისმა ხმები: ვილაც გაურკვევლად ჰკითხავდა მას, ის კი ნაწყვეტ-ნაწყვეტ უყეფდა პასუხს. სიტუაცია თანდათან დაიძაბა და თავშეკავებული ტონი გინებამ და მუქარამ შეცვალა... მგონი, ჰანტერი უჩინარი მცველებისაგან რაღაცას მოითხოვდა, ისინი კი დამორჩილებაზე უარს ამბობდნენ.

ისინი ლამის უკვე მთელი ხმით უყვიროდნენ ერთმანეთს და ჰომეროსი შეეცადა, სიტყვები გაერჩია, მაგრამ მხოლოდ ბოლო სიტყვა გაიგონა:

– სასჯელი!

ადამიანების საუბარი ავტომატის ხმამ ჩაანაცვლა, საპასუხოდ კი მძიმედ გაისროლა სამხედრო „პეჩეგენმა". მოხუცი მიწაზე დაეცა, ჩამკეტი გადასწია, მაგრამ ვერ გადაწყვიტა, გაესროლა თუ არა; ან რომ გაესროლა, ვისი მიმართულებით. საბედნიეროდ, ყველაფერი იმაზე ადრე დასრულდა, სანამ მან დამიზნება მოასწრო.

ტყვიამფრქვევის ხმა გვირაბის გაბმულმა ღრჭიალმა შეცვალა. ეს ხმა ჰომეროსს არაფერში აერეოდა. ეს ჰერმეტული ჭიშკრის დაკეტვის ხმა იყო! მისი ვარაუდის დასტურად, რაღაც ხმაურით დაენარცხა და ტონიანმა ფოლადმა ერთიანად დაახშო ყვირილისა და სროლის ხმები. დიდ მეტროში ერთადერთი გასასვლელი გადაიკეტა და უკანასკნელი იმედი ნაართვა „სევასტოპოლსკაიას".

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 6
სხვა მხრიდან

წუთის შემდეგ ჰომეროსი მზად იყო, დაეჯერებინა, რომ ყველაფერი – ბარიკადიც გვირაბის ბოლოს, თითქოს ნაცნობი ხმაც, რომელსაც ძველი, შელახული მეგაფონი გამოსცემდა, მოეჩვენა. შუქის ჩაქრობასთან ერთად, ყველა ხმა გაქრა და თავი სიკვდილმისჯილი ეგონა. უკუნეთ სიბნელესა და სრულ სიჩუმეში სამყარო თითქოს გაქრა. ჰომეროსმა ყოველი შემთხვევისთვის სახეზე ხელი ჩამოისვა, რომ დარწმუნებულიყო, თვითონ ხომ ნამდვილად არსებობდა ამ კოსმოსურ სიბნელეში.

მერე გაახსენდა, ფანარს დაავლო ხელი და მთრთოლარე შუქი წინ მიანათა, სადაც წუთის წინ უჩინარი ბრძოლა გაიმართა. ბრძოლის ადგილიდან ოცდაათიოდე მეტრში გვირაბი ჩიხით ბოლოვდებოდა. გადასარბენი გვირაბი ფოლადის უზარმაზარმა კარმა მთლიანად ჩაკეტა, როგორც გილიოტინა დანამ.

არ მოსჩვენებია, ვიღაცამ მართლა დაუშვა ჰერმეტული საკეტები. ჰომეროსმა იცოდა მათ შესახებ, მაგრამ არ ეგონა, თუ გამოყენება კიდევ შეიძლებოდა.

გაზეთების კითხვისგან დასუსტებული თვალებით გვიან შეამჩნია რკინის კარს მიყრდნობილი ადამიანის ფიგურა. ავტომატი მოიმარჯვა და უკან დაიხია, მაგრამ უცებ ჰანტერი ამოიცნო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოხუცი ბრიგადირისკენ კოჭლობით წავიდა, რათა თავისი თვალით ენახა სისხლის კვალი დაჟანგულ მეტალზე... მაგრამ არა. მიუხედავად იმისა, რომ ცარიელ გვირაბში ტყვიამფრქვევიდან ესროდნენ, ჰანტერი დაჭრილი არ იყო. დამახინჯებული ყური რკინის კედელზე მიედო და მხოლოდ მისთვის გასაგონ ხმაურს უსმენდა.

– რა მოხდა? – ფრთხილად ჰკითხა მიახლოებულმა ჰომეროსმა.

ბრიგადირს არც შეუმჩნევია. რაღაცას გაუგებრად ჩურჩულებდა, იმეორებდა სიტყვებს, რასაც ჩამოშვებული ჭიშკრის მილმა ამბობდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ კი კედელს მოშორდა და ჰომეროსს მიუბრუნდა:

– უკან ვბრუნდებით.

– რა მოხდა? – გაუმეორა შეკითხვა მოხუცმა.

– იქ ბანდიტები არიან, დამხმარე ძალაა საჭირო.

– ბანდიტები? – ჩაეკითხა დაბნეული ჰომეროსი, – მომეჩვენა, რომ გავიგონე...

– „ტულსკაია" მტერმა ჩაიგდო ხელში. უნდა ავიღოთ. ცეცხლმტყორცნები გვჭირდება.

– ცეცხლმტყორცნები? რისთვის? – დაიბნა ჰომეროსი.

– მეტი საიმედოობისთვის. უკან ვბრუნდებით, – ჰანტერი შებრუნდა და უკან წავიდა.

სანამ დაედევნებოდა, მოხუცმა ყურადღებით შეათვალიერა ჰერმეტული კარი, ყური მიადო ცივ ფოლადს იმ იმედით, რომ თვითონაც გაიგონებდა საუბრის ნაწყვეტს. კარს მილმა სრული სიჩუმე იყო...

ჰომეროსი დაეჭვდა. ვინც უნდა ყოფილიყო მტერი, რომელმაც სადგური დაიკავა, ბრიგადირი სრულიად გაუგებრად იქცეოდა. ვინ გამოიყენებდა ჰერმეტულ საკეტს ორი ადამიანისაგან თავის დასაცავად? ან რომელი ბანდიტი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაიწყებდა ხანგრძლივ მოლაპარაკებას შეიარაღებულ ადამიანებთან სასაზღვრო პოსტზე, იმის ნაცვლად, რომ მიახლოებისთანავე დაეცხრილათ?

და ბოლოს, რას ნიშნავდა ავისმომასწავებელი სიტყვა „სასჯელი", საიდუმლოებით მოცულ დაცვას რომ წამოსცდა?

* * *

ადამიანის სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერიაო, ამბობდა ხოლმე საშას მამა, თუმცა მისთვის ეს არც ცარიელი სიტყვები იყო და არც უდავო ჭეშმარიტება. ოდესღაც კი ასე სულაც არ ფიქრობდა, ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ ხაზზე ყველაზე ახალგაზრდა მეთაური იყო.

როცა ოცი წლის ხარ, მკვლელობასაც და სიკვდილსაც უფრო მარტივად უყურებ, მთელი ცხოვრება თამაში გგონია, რომელსაც, თუ რამეა, თავიდან დაიწყებ. შემთხვევითი არ იყო, რომ კარი მთელ მსოფლიოში უწვერული ბიჭებით კომპლექტდებოდა. ომში მოთამაშე ახალგაზრდებს კი ის განაგებდა, ვისაც შეეძლო ათასობით მებრძოლი და სასიკვდილოდ მიმავალი რუკაზე წითელ და ლურჯ ისრებად აექცია; ის, ვისაც შეეძლო მოგლეჯილი ფეხის, გადმოყრილი ნაწლავებისა და დამსხვრეული თავის ქალების დავიწყება, გადაწყვეტილების მიღება და ასეულის ან პოლკის გაწირვა.

მამა ოდესღაც არად აგდებდა არც მტერს და არც საკუთარ თავს; ისეთ დავალებას ჰკიდებდა ხელს, რომლის შესრულებაც შეიძლება სიცოცხლის ფასადაც კი დასჯდომოდა. სულელი არ იყო, ყოველი ნაბიჯი დეტალურად ჰქონდა გათვლილი. ჭკვიანი, მონდომებული და სიცოცხლისადმი გულგრილი ვერ გრძნობდა რეალობას, არ ფიქრობდა შედეგებზე და არ აწუხებდა სინდისი. მას არასოდეს უსვრია

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალებისა და ბავშვებისათვის, მაგრამ საკუთარი ხელით სიკვდილით სჯიდა დეზერტირებს და პირველი მიდიოდა წინა ხაზზე. ტკივილის მიმართაც თითქმის უგრძნობი იყო, ძირითადად, მისთვის ყველაფერი სულერთი იყო.

სანამ საშას დედას არ შეხვდა.

გამარჯვებებს მიჩვეული მამა გოგონას გულგრილობამ მოხიბლა. მებრძოლის ერთადერთმა სისუსტემ, პატიოსნებამ, რომელიც მანამდე ტყვიამფრქვევებისთვის მკერდს აშვერინებდა, ახლა სხვა თავგანწირული შტურმისკენ უბიძგა და ხანგრძლივად მოაქცია ალყაში.

ადრე სიყვარულისთვის ბრძოლა არ უხდებოდა: ქალები თვითონ ყრიდნენ ფარ-ხმალს. მათი დამყოლობით გათამამებული, ტკბობას ასწრებდა და პირველივე ღამის შემდეგ ინტერესს კარგავდა. მისი დიდება გოგოებს თვალებს უბრმავებდა.

მაგრამ საშას დედაზე შთაბეჭდილებას არ ახდენდა ჯილდო, წოდება, საბრძოლო თუ სასიყვარულო ტრიუმფები; უყურადღებოდ ტოვებდა მის დაყინებულ მზერას. თავს აქნევდა მის ხუმრობებზე. ამ გოგოს მოპოვება გამოცდილი მებრძოლისათვის ნამდვილ გამოწვევად იქცა. უფრო სერიოზულ გამოწვევად, ვიდრე მეზობელი სადგურების დაპყრობა იყო.

საშას მამა მალე მიხვდა, რომ ინტერესი, რომელიც ხანმოკლე უნდა ყოფილიყო, სულ უფრო იზრდებოდა. საშას დედამ საქმე ისე დააყენა, რომ ერთი საათი, რომელსაც მასთან ატარებდა, დიდი მიღწევა იყო. გოგონა შეხვედრებზე მხოლოდ იმიტომ მიდიოდა, რომ გმირი დაეტანჯა. მუდმივად ეჭვი ეპარებოდა მის დამსახურებებში, დასცინოდა მის პრინციპებს; აკრიტიკებდა უსულგულობის გამო; არ-ყევდა მის რწმენას საკუთარი ძალებისა და მიზნებისადმი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ის კი ყველაფერს ითმენდა. მეტიც, მოსწონდა კიდეც. მასთან ერთად ფიქრობდა. ორჭოფობდა. შემდეგ კი გრძნობდა: უმწეობას – იმის გამო, რომ არ იცოდა, როგორ მისდგომოდა ამ გოგოს, სინანულს – იმ წუთების გამო, რომელსაც მასთან ვერ ატარებდა და შიშს – ისე არ დაეკარგა, რომ ვერც კი მოეპოვებინა ის. მოთმინებისთვის საშას დედამ ის ვერცხლის ბეჭდით დააჯილდოვა.

ბოლოს, როცა მიხვდა, რომ მას მის გარეშე აღარ შეეძლო გაძლება, გოგონამ დათმო.

ერთი წლის თავზე კი საშა დაიბადა. ასე გამოვიდა, რომ უკვე ველარც ორ სიცოცხლეს უგულებელყოფდა და აღარც თავად ჰქონდა სიკვდილის უფლება.

როცა სულ რაღაც ოცდახუთიოდე წლის ხარ და სამყაროს ხილული ნაწილის ყველაზე ძლიერ ჯარს მეთაურობ, ძნელია, თავი დააღწიო შეგრძნებას, რომ შენს ბრძანებებს შეუძლია დედამიწასაც კი შეაწყვეტინოს ბრუნვა. ადამიანებისთვის სიცოცხლის წასართმევად დიდი ძალაუფლება არაა საჭირო, მაგრამ მკვდრების გაცოცხლება არავის ხელეწიფება.

ამაში პირადად დარწმუნდა: ცოლი ტუბერკულოზმა მოუკლა და ის უძლური იყო, რომ გადაერჩინა. მას შემდეგ მასში რაღაც დაიმსხვრა.

დედა რომ გარდაეცვალა, საშა ოთხი წლის იყო, მაგრამ ის კარგად ახსოვდა. ახსოვდა საშინელი სიცარიელე, რომელიც მისი წასვლის შემდეგ დარჩა. უძირო უფსკრულივით გადაიხსნა სიკვდილის სიახლოვე წყვდიადში, სადაც გოგონა ხშირად იყურებოდა. უფსკრულის კიდეები ძალიან ნელა იკვრებოდა. გოგონა ორი თუ სამი წლის განმავლობაში ეძახდა დედას სიზმარში.

მამა კი ზოგჯერ ახლაც უხმობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

იქნებ ჰომეროსი საქმეს საჭირო კუთხიდან არ იწყებდა? რაკი მისი წიგნის გმირი გამოჩენას თვითონ არ აპირებდა, იქნებ აჯობებდა, მისი მომავალი შეყვარებულით დაეწყო? იქნებ მისი სილამაზითა და სიხალასით გამოეტყუებინა ის?

ჯერ ფრთხილად უნდა ამოეწერა შტრიხები და მერე ალბათ თვითონაც გამოვიდოდა არარსებობიდან მასთან შესახვედრად. მათი სიყვარული რომ სრულყოფილი ყოფილიყო, გმირი ვალდებული იყო, შეყვარებული გოგონათი შეევსო თავისი არსებობა, ანუ პოემაში გმირი უკვე მომზადებული და დასრულებული უნდა გამოჩენილიყო.

თავიანთი შეხედულებებით ისინი ზუსტად ერთმანეთის შესაბამისები უნდა ყოფილიყვნენ. „ნოვოსლობოდსკაიას“ დამსხვრეული ვიტრაჟის ნატეხები ოდესღაც ხომ ერთ მთლიანობას წარმოადგენდნენ, ამიტომ განწირულნი უნდა ყოფილიყვნენ კვლავ შესაერთებლად. ჰომეროსი უხერხულს ვერაფერს ხედავდა იმაში, რომ ეს წარმატებული ქარგა ძველი კლასიკოსებისათვის მოეპარა.

მაგრამ გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა მარტივი: მელნითა და ფურცლით გოგონას გამოძერწვა მეტისმეტად რთულად ესახებოდა, გრძნობებზე დამაჯერებლად საუბარი კი შეუძლებლად მიაჩნდა.

მისი და ელენას ურთიერთობა ბებრული გრძნობით იყო სავსე. საკმაოდ გვიან შეხვდნენ ერთმანეთს საიმისოდ, რომ ერთმანეთი წარსულის გარეშე ჰყვარებოდათ. ამ ასაკში წყვილები ხომ ვნების დაცხრობაზე კი არა, მარტოობის შევსებაზე ფიქრობენ.

ნიკოლაი ივანოვიჩის ერთადერთი და ნამდვილი სიყვარული რამდენიმე ათწლეულის წინ ზემოთ დაიმარხა და მისი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველა დეტალი, გარდა ერთისა, დაჭკნა. ასე რომ, ის ველარ შეძლებდა რომანი ძველი გრძნობების მოშველიებით დაეწერა. თანაც, იმ ურთიერთობაში არაფერი იყო გმირული.

იმ დღეს, როცა მოსკოვს ბირთვულმა წვიმამ გადაუარა, მას მემანქანეობა შესთავაზეს. თან გაორმაგებულ ხელფასსა და დაწინაურების წინ რამდენიმედღიან დასვენებასაც შეჰპირდნენ. ჰომეროსმა მაშინვე ცოლს დაურეკა და ახალი ამბავი ახარა. ქალი დაჰპირდა, „შარლოტკას" გამოვაცხობო, და ბავშვებთან ერთად შამპანურის საყიდლად გავიდა.

ცვლის დასრულებამდე რამდენიმე საათილა რჩებოდა. ნიკოლაი ივანოვიჩი მატარებლის კაბინაში შევიდა, რომლის კაპიტანიც უნდა გამხდარიყო. ბედნიერი, იმ გვირაბის დასაწყისში იდგა, რომელიც, მისი წარმოდგენით, საოცარ, ბრწყინვალე მომავალში მიდიოდა... ნახევარ საათში კი მივიდა ბოლო გაჩერებაზე – ოცი წლით დაბერებული, განადგურებული, ღატაკი და მარტოხელა. სასწაულებრივად შემონახული მატარებლის დანახვისას შეიძლება ამიტომაც მოუნდა მემანქანის ადგილი დაეკავებინა, მასპინძელივით გადაესვა ხელი სამართავი პანელისათვის და საქარე მინიდან ტიუბინგების ქსელისათვის გაეხედა. წარმოედგინა, რომ ჯერ კიდევ შეძლებდა შემადგენლობის ადგილიდან დაძვრას. ჯერ კიდევ შეძლებდა უკან დაბრუნებას.

...ბრიგადირი თავის გარშემო ქმნიდა განსაკუთრებულ ველს, რომელიც საფრთხეს არიდებდა თავიდან. ამის შესახებ, სავარაუდოდ, იცოდა კიდეც. „ნაგორნაიასკენ" მიმავალი გზა ერთ საათზე ნაკლებ დროში გაიარეს. ხაზი არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდა.

ჰომეროსი ყოველთვის გრძნობდა, რომ „სევასტოპოლსკაიას" მზვერავები და ვაჭრები, ისევე, როგორც სხვა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც გვირაბში შესვლას ბედავდნენ, მეტროსთვის ისევე უცხონი იყვნენ, როგორც სისხლის მიმოქცევის სისტემაში მოხვედრილი მიკრობები. საკმარისი იყო, სადგურს გასცდენოდნენ, ჰაერი მაშინვე ხურდებოდა, რეალობას ბზარი უჩნდებოდა და თითქოს არსაიდან ჩნდებოდა წარმოუდგენელი არსება, რომელსაც მეტრო ადამიანის წინააღმდეგ გეშავდა.

ჰანტერი გამონაკლისი იყო. ის არ იყო უცხო სხეული და არ იწვევდა ლევიათანის აღშფოთებას. ზოგჯერ ფანარს აქრობდა და თვითონაც ყოვლისმომცველი წყვდიადის ნაწილი ხდებოდა... ამ დროს, თითქოს უხილავმა ნაკადებმა აიტაცესო, ორჯერ უფრო სწრაფად მიიწევდა წინ. ჰომეროსი ძალ-ღონეს არ იშურებდა, როგორმე დასწეოდა ბრიგადირს, დროდადრო ეძახდა კიდეც ჰანტერს. ისიც, თითქოს თანამგზავრი ახლალა გაახსენდაო, უსიტყვოდ ჩერდებოდა და მორჩილად ელოდებოდა.

უკანა გზაზე მეტრომ ნება დართო, „ნაგორნაიაც" კი მშვიდად გაევლოთ. ნისლი გაფანტულიყო, სადგურს ეძინა. ახლა ის მთლიანად ჩანდა და გაუგებარს ხდიდა, სად უნდა დაემალა ის გიგანტური არსებები. ჩვეულებრივი, მიტოვებული, პატარა სადგური იყო: ნესტიან ჭერზე – მარილის წანაზარდები, პლატფორმაზე კი მტვრის რბილი საფარველი გაშლილიყო; შებოლილ კედლებზე ნახშირით მიეწერათ უწმაწური სიტყვები; იატაკზე ჩანდა ვილაცის ავადმყოფური ცეკვის უცნაური კვალი, სვეტებზე – მიმხმარი წითელი ლაქები, ჭერში კი – დამსხვრეული პლაფონები, თითქოს ვილაც ეხეთქებოდა მათ.

მალე „ნაგორნაია" უკან მოიტოვეს. სანამ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ბრიგადირს, მოხუცსაც თითქოს მაგური ველი ხდიდა ხელშეუხებელს.

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

მართალია, სალაპარაკოდ ჰაერი არ ჰყოფნიდა, მაგრამ არც ჰქონდა აზრი, დარწმუნებული იყო, ჰანტერი პასუხისათვის თავს არ შეიწუხებდა. ამ უსასრულოდ გრძელ დღეს ჰომეროსი უკვე მეასედ მაინც ეკითხებოდა თავის თავს, რატომ მისდევდა ასე უსიტყვოდ ჰანტერს, რომელიც გამუდმებით ცდილობდა მის დავიწყებას.

მალე „ნახიმოვსკის გამზირიდან" ისეთი მყრალი სუნი იგრძნო, ლამის დაიხრჩო. ამ სადგურს ჰომეროსი სირბილით გაივლიდა, სიფრთხილესაც კი დაივიწყებდა, მაგრამ ბრიგადირმა თვითონ შეანელა სვლა. თავზე აირწინალჩამოცმული მოხუცი ძლივს იკავებდა თავს, ჰანტერი კი პირიქით, ამ საშინელ ჰაერს მთელი მონდომებით იყნოსავდა, თითქოს გაუსაძლის სიმყრალეში ცალკეული სუნის ამოცნობას ცდილობსო.

ამჯერად ლეშიჭამიები მოკრძალებით დაიშალნენ და მიიმალნენ. გზადაგზა პირიდან ხორცის ნაფლეთები უცვიოდათ. ჰანტერი ზუსტად შუა დარბაზში მძორის გროვაზე შედგა, კოჭებამდე ჩაეფლო გახრწნილ სხეულებში და სადგური ყურადღებით მოათვალიერა. შემდეგ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი და გზა განაგრძო. მაინც ვერ იპოვა ის, რასაც ეძებდა.

ჰომეროსმა კი იპოვა.

ფეხი გაუცურდა და ოთხზე დაცემისას ახალგაზრდა ლეშიჭამია დააფრთხო, რომელიც სველ ბრონირებულ ჟილეტს აცლიდა ნაწლავებს. უცებ ჰომეროსმა სევასტოპოლსკაიელის სამხედრო ჩაფხუტი შეამჩნია. და ძვლები გაქექა იმის იმედად, რომ სამხედრო ჟეტონსაც მიაგნებდა. მაგრამ მის ნაცვლად პატარა, სისხლში ამოსვრილი ბლოკნოტი შეამჩნია. ბლოკნოტი რატომღაც პირდაპირ ბოლო გვერდზე გადაიშალა და ჰომეროსმა ამოიკითხა: „არავითარ შემთხვევაში არ აიღოთ შტურმით".

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

მამამ ტირილს ბავშვობაშივე გადააჩვია, მაგრამ ახლა ბედს სხვაგვარად ვერ უპასუხებდა. ცრემლები თავისით ჩამოსდიოდა სახეზე, მკერდიდან ჩუმი ქვითინი ამოსდიოდა. პირველსავე წუთს მიხვდა, რაც მოხდა, მაგრამ რამდენიმე საათის მერეც ვერ აიძულა თავი, ბედს შეპგუებოდა.

ეძახდა კი დასახმარებლად? იქნებ სიკვდილის წინ რამე მნიშვნელოვანი უნდოდა ეთქვა? ვერ იხსენებდა მომენტს, როცა ასე ღრმად წავიდა სიზმრებში, არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ ახლა ნამდვილად გაიღვიძა. იქნებ არსებობდა სამყარო, სადაც მამამისი არ მომკვდარა; სადაც საშას არ მოუკლავს თავისი სისუსტით, ეგოიზმით და დავიწყებით.

გოგონას ხელში ეჭირა მამის ცივი, მაგრამ ჯერ ისევ რბილი ხელი, თითქოს ცდილობდა გაეთბო ის, და ჩურჩულებდა:

– შენ იპოვი მანქანას. ჩვენ ავალთ ზემოთ, ჩავსხდებით მასში და წავალთ. შენ ისევ ისე გაიცინებ, როგორც იმ დღეს, როცა დისკებიანი რადიომიმღები მოიტანე...

თავიდან მამა სვეტზე მიყრდნობილი და მკერდზე ნიკაპმიბჯენილი იჯდა, თითქოს სძინავსო, მაგრამ მერე სხეულმა ნელ-ნელა შედედებული სისხლის გუბეში ჩამოცურება დაიწყო. თითქოს მასაც მობეზრდა თავის ცოცხლად მოჩვენება და საშას მოტყუება.

ნაოჭებით დაღარული სახის კანი თითქმის გადაეტკიცა.

საშამ ხელი უშვა, სწორად დააწვინა და ზედ დახეული გადასაფარებელი გადააფარა. სხვანაირად ვერ დამარხავდა. გოგონას უნდოდა, ზემოთ აეყვანა და იქ დაეწვინა, რათა ოდესმე, როცა ჰაერი გაიწმინდებოდა, მამას ცისთვის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეყურებინა, მაგრამ იქ მუდმივად მშიერი მხეცების ლუკმად იქცეოდა.

მათ სადგურზე კი მის ცხედარს ხელს არავინ ახლებს; სამხრეთის მკვდარი გვირაბებიდან მხოლოდ მფრინავი ტარაკნები თუ მოფრინავენ; ჩრდილოეთით გადასარბენი წყდება, დაჟანგული და ნახევრად ჩამონგრეული მეტროს მიწისზედა გადასასვლელი ერთადერთია, რომელზეც გზა გადის და რომლის მიღმაც არიან ადამიანები, მაგრამ მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო ხიდზე გადმოსვლა აზრად არავის მოუვა. ყველამ იცის, რომ ხიდის აქეთ სიცარიელეა, რომლის ბოლოშიც პატარა სადგურია, სადაც ორი განწირული ადამიანი ცხოვრობს.

მამა არ მისცემდა აქ მარტო დარჩენის უფლებას, თანაც, საშამ მშვენივრად იცოდა, რომ როგორ შორსაც უნდა გაქცეულიყო, როგორც უნდა ეცადა თავი დაეღწია საპატიმროსთვის, ველარასოდეს შეძლებდა ამ სადგურისგან სრულად გათავისუფლებას.

– მამა... მაპატიე, გთხოვ! – ამოისლუკუნა გოგონამ, თუმცა იცოდა, რომ ვერასოდეს მიიღებდა პატიებას.

მამას თითიდან ვერცხლის ბეჭედი მოხსნა და კომბინეზონის ჯიბეში ჩაიდო. ვირთხის გალია აიღო და ჩრდილოეთისკენ წავიდა. მტვრიან გრანიტზე სისხლის კვალს ტოვებდა.

როდესაც ლიანდაგზე ჩავიდა და გადასარბენს დაადგა, სამარხად ქცეულ ცარიელ სადგურზე უცნაური რამ მოხდა: მოპირდაპირე გვირაბის ხახიდან ცეცხლის ალი გამოვარდა და მაშინვე უკან დაიხია, ბნელ გვირაბში შევარდა ისე, რომ მამის ცხედრამდე ვერ მიაღწია – უხალისოდ ალიარა საშას მამის უფლება, მშვიდად განესვენა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

– ბრუნდებიან! ისინი უკან ბრუნდებიან!

ისტომინმა ტელეფონის ყურმილი ყურიდან მოიშორა და გაოცებით დააშტერდა.

– ვინ ისინი?

დენის მიხაილოვიჩი სკამიდან წამოხტა, ჩაი გადაისხა, რომელიც მის შარვალს უხერხულ ლაქად დააჩნდა, ერთი შეიგინა და კითხვა გაიმეორა:

– ვინ ისინი? – მექანიკურად ჰკითხა ისტომინმა აპარატს.

– ბრიგადირი და ჰომეროსი, – დაიშრიალა ყურმილმა, – აჰმედი მოკლეს.

ვლადიმერ ივანოვიჩმა გამელოტებული თავი ცხვირსახოცით შეიმშრალა, მერე კი თვალზე აფარებული შავი სახვევის ქვეშ საფეთქელი მოიწმინდა. მებრძოლის დაღუპვის შეტყობინება ოჯახისთვის მის მოვალეობაში შედიოდა.

კომუტატორის გადართვას აღარ დაელოდა, კარიდან გაიხედა და ადიუტანტი იხმო:

– ორივე ჩემთან! და უთხარი, რომ სუფრა გაშალონ!

მერე ოთახში გაიარ-გამოიარა, რატომღაც კედელზე დაკიდებული სურათები შეასწორა, რუკასთან რაღაც დაიჩურჩულა და გულხელდაკრეფილსა და გაღიმებულ მიხაილოვიჩს მიუბრუნდა:

– ვალოდ, პაემანზე მიმავალი გოგოსავით გამოიყურები.

– შენც არანაკლებ ღელავ, – შეუღრინა სადგურის უფროსმა და დასველებულ შარვალზე ანიშნა.

– მე რა მაქვს სანერვიულო, ყველაფერი მზად მაქვს. ორი დამრტყმელი რაზმი მყავს, მობილიზაციისთვის ერთი დღე-ღამეა საჭირო, – დენის მიხაილოვიჩმა ნაზად გადაუსვა ხელი მაგიდაზე დადებულ ცისფერ ბერეტს, წამოდგა, ბერეტი თავზე ჩამოიფხატა და გაიჯგიმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისაღებში ვილაცები დარბოდნენ ჭურჭლის ნკარუნით. შიკრიკმა კარის ღრიჭოდან ალკოჰოლის დაორთქლილი ბოთლი დაანახა ისტომინს, მან კი ხელის აქნევით თავიდან მოიშორა – ახლა ამის დრო არ იყო! ბოლოს, ნაცნობი ყრუ ხმაც გაიგონა. კარი ფართოდ გაიღო და ფართობეჭიანი ფიგურა გამოჩნდა. მოხუცი მისაღებში შედგა.

– მოგესალმებით! – ისტომინი თავის საკარძელში დაჯდა, მერე ადგა და ისევ დაჯდა.

– რა ხდება იქ? – პირდაპირ საქმეზე გადავიდა პოლკოვნიკი.

ბრიგადირმა მძიმედ გადახედა ჯერ ერთს, მერე მეორეს და სადგურის უფროსს მიუბრუნდა:

– „ტულსკაია“ მომთაბარეებს აქვთ დაკავებული. ყველა ამოხოცეს.

– ჩვენებიც? – ხშირი წარბები აზიდა დენის მიხაილოვიჩმა.

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კი. ჩვენ სადგურის ჭიშკრამდე მივედით, შეტაკებისას მათ ჰერმეტული ჭიშკარი დაუშვეს.

– ჰერმეტული ჭიშკარი დაკეტეს?! – ისტომინი წამოხტა და რომ არ წაქცეულიყო, თითებით მაგიდის კიდეს მოეჭიდა, – და ახლა რა უნდა ვქნათ?!

– შტურმით უნდა ავიღოთ, – ერთხმად თქვეს ბრიგადირმა და პოლკოვნიკმა.

– შტურმით აღება არ შეიძლება! – მოულოდნელად გაისმა ჰომეროსის ხმა მისაღებიდან.

* * *

უბრალოდ, დათქმულ დროს უნდა დალოდებოდა. დრეზინა ღამის ნესტიანი სიბნელიდან მალე უნდა გამოჩენილიყო. ფლატეზე, საიდანაც მინის სილრმეში გადახსნილ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვენად მოჩანდა გვირაბი, გატარებული ყოველი ზედმეტი წუთი სიცოცხლის ერთ დღეს ართმევდა. მაგრამ ლოდინი ერთადერთი გამოსავალი იყო. უსასრულოდ გრძელი ხიდის მეორე მხარეს დალუქული ჰერმეტული ჭიშკარი შიგნიდან კვირაში ერთხელ, ბაზრის დღეს იღებოდა.

დღეს საშას გასაყიდი არაფერი ჰქონდა, ყიდვით კი იმ-აზე მეტი უნდა ეყიდა, ვიდრე ოდესმე. ახლა უკვე სულერთი იყო ფასი ცოცხალთა სამყაროში დაბრუნების სანაცვლოდ. სამარისებური სიცივე და სრული გულგრილობა მკვდარი მამისგან გადაედო.

რამდენჯერ უოცნებია სხვა სადგურზე გადასვლაზე, სადაც ხალხთან ერთად იცხოვრებდა და მეგობარს გაიჩენდა, ვინმე განსაკუთრებულს შეხვდებოდა... მამას ხშირად ახალგაზრდობისდროინდელ ამბებს აამბობინებდა, არა იმიტომ, რომ თავის ნათელ ბავშვობაში დაბრუნება უნდოდა, არამედ იმიტომ, რომ ჩუმად დედის ადგილას წარმოიდგენდა თავს, მამის ადგილას კი უცნობ ახალგაზრდას აყენებდა. ნერვიულობდა, რომ მეტროში გაუჭირდებოდა ხალხთან საერთო ენის გამონახვა. რაზე უნდა ელაპარაკა მათთან?

დრეზინის ლოდინში გოგონა მიხვდა, რომ ყველა დანარჩენი ფეხებზე ეკიდა – კაცებიც, ქალებიც... ადამიანებთან დაბრუნების აზრი კი მამის ღალატად მიაჩნდა. უყოყმანოდ დასთანხმდებოდა მთელი ცხოვრების ამ სადგურზე გატარებას, თუკი ამით მამის სიცოცხლეს იხსნიდა.

მინის ქილაში სანთლის ცეცხლი აგონიურად ათრთოლდა და გოგონამ ცეცხლი ახალ ფითილს გადაუკიდა. ზემოთ ერთ-ერთი ასვლისას მამამ მთელი ყუთი სანთელი მოიტანა და მას მერე ფართო კომბინეზონის ჯიბეში რამდენიმე ცალი ყოველთვის ეგდო. გოგონამ წარმოიდგინა, რომ მათი სხეულები ამ სანთლებივითაა და მამის სიცოცხლის ჩაქრობის შემდეგ მცირე ნაწილი მასში გადმოიღვენთა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაინახავენ კი დრეზინიდან მის სიგნალს ამ ნისლში?

მამა აქამდე გარეთ ზედმეტად წუთის გატარებასაც კი უკრძალავდა, თუმცა, კაცის უსაშველოდ გაზრდილი ჩიყვი თავად იყო საკმარისი გაფრთხილება. ფლატეზე საშა თავს ისევე გრძნობდა, როგორც დატყვევებული მღრღნელი, ნერვიულად იყურებოდა და იშვიათად თუ გადახედავდა ხიდიდან შავ მდინარეს.

დრო ძალიან ბევრი ჰქონდა. მობუზულმა და აკანკალებულმა შემოდგომის ცივ ქარში რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ხმელი ხეების მილმა, წყვდიადში, მრავალსართულიანი სახლების ჩონჩხები აისვეტა. ზეთოვან, ბლანტ მდინარეში მძიმედ მოცურავდა რაღაც ძალიან დიდი, შორს თითქმის ადამიანურ ხმაზე კვნესოდნენ უჩინარი ურჩხულები.

და უცებ, კვნესას საცოდავი, ნაღვლიანი წრიპინი შეუერთდა...

საშა წამოხტა და ფანარი მაღლა ასწია. მისკენ დანჯღრეული, ძველი დრეზინა მოგორავდა და მძიმე ნისლს სუსტი ფანრის შუქით ძლივს მოარღვევდა. გოგონა შეხტა: ეს ის დრეზინა არ იყო, რომელიც, ჩვეულებრივ, აკითხავდა ხოლმე – უჩვეულოდ მძიმედ მოაპობდა ნისლს.

დრეზინა საშასგან ათიოდე ნაბიჯში გაჩერდა და ღორღზე მძიმედ გადმოხტა ბრეზენტში შეფუთული მსუქანი და მაღალი კაცი. აირწინალის მინებზე ეშმაკისეული ცეცხლი ირეკლებოდა. ხელში ძველი სამხედრო, ხისკონდახიანი „კალაშნიკოვი" ეჭირა.

– აქედან წასვლა მინდა! – ნიკაპი მაღლა ასწია და დაუყვირა საშამ.

– წასვლა, – ექოსავით გაიმეორა ბრეზენტში გახვეულმა საფრთხობელამ, რომელიც გაოცებისგან თუ დამცინავად წელავდა ხმოვნებს, – გასაყიდი გაქვს რამე?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– აღარაფერი დამრჩა, – გოგონა თვალს არ აცილებდა რკინით გარშემორტყმულ თვალის ბუდეებს.

– ნებისმიერს აქვს რაღაც, განსაკუთრებით – ქალს, – მებორნე აღრუტუნდა, მერე კი გაახსენდა: – მამაშენს მიატოვებ?

– მე აღარაფერი დამრჩა, – გაიმეორა საშამ და თავი დახარა.

– ჩაძაღლდა, ბოლოს და ბოლოს... – სიტყვები უცნაურად გაწელა ნილაბმა, – ჰოდა, ძალიანაც კარგი, – საშას კომბინეზონს ავტომატის ლულა გამოსდო და თან წაიყვანა.

– არ გაბედო! – ხრინწიანი ხმით იყვირა საშამ და უკან გამოიქცა.

სანთლიანი ქილა რელსზე დაეცა, ნამსხვრევებად იქცა და სიბნელემ წამში ჩაყლაპა ალი.

– აქედან უკან არ ბრუნდებიან, გოგონი, – საფრთხობელა გულგრილად შესცქეროდა ჩამქრალი, მკვდარი შუშებით, – შენი სხეულით ერთი მიმართულების ფასსაც ვერ გადაიხდი. ჩათვალე, რომ მამაშენის ვალს ისტუმრებ.

ავტომატი ამოატრიალა და კონდახი საფეთქელში ჩაარტყა.

* * *

„ნახიმოვსკის“ შემდეგ ჰანტერი ჰომეროსს გვერდიდან აღარ იცილებდა, ამიტომ მოხუცს საშუალება არ მიეცა, რომ ბლოკნოტი გულდასმით შეესწავლა. ბრიგადირი უცებ აქტიური და გულისხმიერი გახდა, ცდილობდა, არათუ უკან არ ჩამოეტოვებინა მოხუცი, არამედ მასთან ფეხშეწყობილს ევლო. ორჯერ შეჩერდა, ვითომ ამოწმებდა, ვინმე ხომ არ მიჰყვებოდათ უკან. მისი პროჟექტორის შუქი, სანამ უკან მიანათებდა, ჰომეროსს გადაურბენდა ხოლმე სახეზე

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

და მოხუცი თავს ისე გრძნობდა, როგორც საწამებელ კამერაში. ჰომეროსი ილანძღებოდა და თვალებს ახამხამებდა, გრძნობდა, როგორ ათვალიერებდა ბრიგადირი, თითქოს იმას ეძებდა, რაც მან „ნახიმოვსკიზე" აიღო.

სისულელე! შეუძლებელი იყო, ჰანტერს დაენახა, იმ დროს ის ძალიან შორს იყო მისგან. საკარაუდოდ, ჰომეროსს ხასიათის ცვლილება შეამჩნია და ეჭვი აიღო. ყოველთვის, როცა მათი მზერა ერთმანეთს ხვდებოდა, მოხუცს ოფლი ასხამდა. ის მცირედი, რისი ამოკითხვაც ბლოკნოტში მოასწრო, მისთვის სრულიად საკმარისი იყო, რომ ბრიგადირში ეჭვი შეეტანა.

დღიურის სისხლით შეწებებული გვერდებისთვის ჰომეროსს ხელი არ უხლია: შეეშინდა, აკანკალებული თითებით არ დაეხია. პირველ გვერდებზე გაურკვევლად ეწერა, მის ავტორს ასოების სწორად გამოყვანაც კი უჭირდა, ხოლო აზრები ისე მიაჭენებდნენ, რომ მათი დაწევა შეუძლებელი იყო.

„ნაგორნაია დანაკარგის გარეშე გავიარეთ", – იუწყებოდა ბლოკნოტი და მაშინვე სხვაგან ხტებოდა: „ტულსკაიაზე ქაოსია. მეტროში გასასვლელი არ არის, ჰანზამ დაბლოკა. უკან არ შეიძლება".

ჰომეროსმა გვერდი გადაშალა თუ არა, შეამჩნია, რომ ბრიგადირი ყორლანიდან ჩამოსულიყო და მისკენ მოემართებოდა. მოხუცი მიხვდა, რომ დღიური მისთვის არ უნდა ჩაეგდო ხელში, და დაფაცურდა, მაგრამ სანამ ზურგჩანთაში ჩატენიდა, მოასწრო, წაეკითხა: „სიტუაცია კონტროლის ქვეშაა, სადგური გავათავისუფლეთ, კომენდანტი დავნიშნეთ... ვინ ჩაძაღლდება შემდეგი?"

კითხვის ნიშნის ზემოთ, ჩარჩოში თარიღი იყო ჩასმული. მიუხედავად იმისა, რომ ბლოკნოტის გამომშრალი ფურცლები და ჩანაწერები თითქმის ათეული წლისას ჰგავდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩარჩოში ჩასმული ციფრების მიხედვით, ჩანაწერი რამდენიმე დღის წინანდელი უნდა ყოფილიყო.

მოხუცის გაზარმაცებულმა, სიმკვირცხლემოკლებულმა ტვინმა დანაწევრებული მოზაიკა მაინც გააერთიანა: საიდუმლო მოგზაური, „ნაგორნაიაზე" მიტოვებული საცოდავი უსახლკარო, თითქოს ნაცნობი ხმა ჰერმეტულ ჭიშკართან, სიტყვები – „შინ დაბრუნება არ შეიძლება..." მის წინ ერთიან სურათად იკვრებოდა. იქნებ, მინებებულ გვერდებზე გაკეთებულ ნაჯღაბნებს მოეფინა ნათელი უცნაური მოვლენებისთვის?

რა თქმა უნდა, ბანდიტები არაფერ შუაში იყო; „ტულსკაიაზე" ბევრად უფრო რთული და საიდუმლო რამ ხდებოდა და ჰანტერმა, რომელიც თხუთმეტი წუთის განმავლობაში ჰკითხავდა გუშაგებს, ჰომეროსზე უკეთ იცოდა ეს.

სწორედ ამიტომ არ შეიძლებოდა მისთვის ბლოკნოტის ჩვენება.

სწორედ ამიტომ გაბედა ჰომეროსმა ისტომინის კაბინეტში მისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

– არ შეიძლება! – გაიმეორა ისევ.

ჰანტერი ნელა შეტრიალდა მისკენ, ისტომინი საკვარძლიანად გაიწია უკან და შეეცადა, მაგიდიდან გამომძვრალიყო. პოლკოვნიკი დაღლილი სახით დაიმანჭა.

– ჰერმეტული ჭიშკრის აფეთქება არ შეიძლება, მის გარშემო გრუნტის წყლებია და წამში დატბორავს ხაზს. ისედაც მთელი „ტულსკაია" ლოცულობს, რომ არ ამოხეთქოს. პარალელური გვირაბი, თქვენც კარგად იცით, უკვე ათი წელია, რაც... – განაგრძობდა ჰომეროსი.

– რა ვქნათ, ვაკაკუნოთ და ველოდოთ როდის გაალებენ? – შეაწყვეტინა დენის მიხაილოვიჩმა.

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ყოველთვის არსებობს შემოვლითი გზა, – შეეკამათა ისტომინი.

მოულოდნელობისაგან პოლკოვნიკს ხველა აუტყდა, შემდეგ გაბრაზებულმა ბრალი დასდო სადგურის უფროსს, რომ მისი საუკეთესო მებრძოლების დასამარება უნდოდა.

– „ტულსკაია" უნდა გაიწმინდოს... – იყვირა უცებ ბრიგადირმა, – საჭიროა ყველას განადგურება, ვინც კი სადგურზე იმყოფება. იქ არცერთი თქვენიანი აღარაა დარჩენილი. თუ კიდევ უფრო დიდი დანაკარგი არ გინდათ, ეს ერთადერთი გამოსავალია. ვიცი, რასაც ვამბობ, მაქვს ინფორმაცია.

ბოლო სიტყვები აშკარად ჰომეროსს მიემართებოდა. მოხუცმა თავი უსუსურ კნუტად იგრძნო, რომელსაც ქეჩოში ჩაავლეს ხელი.

– თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთვის გვირაბი გადაკეტილია, – ისტომინმა კიტელი გაიხადა, – ერთადერთი გზალა გვრჩება „ტულსკაიაზე" მოსახვედრად – ჰანზა. მაგრამ იქ შეიარაღებული ხალხის შეყვანას ვერ შევძლებთ, ეს გამორიცხულია.

– მე ვიპოვი ხალხს, – თქვა ჰანტერმა.

პოლკოვნიკს გააჟრჟოლა.

– ჰანზაზე მოსახვედრად ორი გადასარბენია გასავლელი, „კახოვსკაიას" ხაზიდან „კაშირსკაიამდე"... – სადგურის უფროსი მრავლისმთქმელად გაჩუმდა.

– და რა? – ბრიგადირმა ხელები გულზე დაიკრიფა.

– ის, რომ „კაშირსკაიას" გადასარბენზე ძალიან მაღალი რადიაციული ფონია, – აუხსნა პოლკოვნიკმა, – მასთან ახლოს ქობინის ფრაგმენტი ჩამოვარდა. არ აფეთქებულა, მაგრამ დასხივებისგან ყოველი მეორე კვდება დღემდე.

დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. ჰომეროსმა გადაწყვიტა, ესარგებლა ამ დაძაბულობით და შეუმჩნევლად გასული-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყო ისტომინის კაბინეტიდან. იმის შიშით, რომ ბრიგადირი მაინც არ დაიშლიდა ჰერმეტული ჭიშკრის ასაფეთქებლად წასვლას, ვლადიმერ ივანოვიჩმა საბოლოოდ ალიარა:

– მხოლოდ ორი დამცავი სკაფანდრი გვაქვს. შეგიძლია ყველაზე ძლიერი მებრძოლი წაიყვანო, ნებისმიერი. ჩვენ დაგელოდებით, – მან დენის მიხაილოვიჩს გადახედა, – სხვა რა დაგვრჩენია?!

– წამოდი ბიჭებთან, – ამოიოხრა პოლკოვნიკმა, – დავალაპარაკოთ, მეწყვილე აარჩიე.

– არ არის საჭირო, – თავი გააქნია ჰანტერმა, – ჰომეროსს წავიყვან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 7
ბადასასვლელი

დრეზინა გვირაბის კედლებსა და იატაკზე მკვეთრი ყვითელი სალებავით გავლებულ ზოლს გასცდა. მესაჭეს ალარ შეეძლო თავის მოკატუნება, თითქოს არ ესმოდა დოზიმეტრის საგანგაშოდ აჩქარებული წიკწიკი; მუხრუჭს ხელი ჩაავლო და მობოდიშებით ჩაიბურტყუნა:

– ამხანაგო პოლკოვნიკო, ამის იქით დამცავის გარეშე არ შეიძლება...

– მიდი რა, კიდევ ასი მეტრი, – რბილად სთხოვა დენის მიხაილოვიჩმა, – და ერთი კვირით მორიგეობიდან გაგათავისუფლებ, როგორც დაზარალებულს. ჩვენთვის ორი წუთის გზაა, ამათ კი ამხელა სკაფანდრებით ნახევარ საათს უნდა იარონ.

– ბოლო ზღვარს მიაღწია, ამხანაგო პოლკოვნიკო! – აწუწუნდა მესაჭე, მაგრამ სვლის შენელება ვერ გაბედა.

– გააჩერე! – უბრძანა ჰანტერმა, – ჩვენით გავაგრძელებთ გზას. მართლაც, ძალიან მაღალი რადიაციული ფონი იწყება.

სამუხრუჭე ხუნდები აჭრიალდა, ჩამოკიდებული ფანარი შექანდა და დრეზინა გაჩერდა. მის კიდეზე მჯდარი ბრიგადირი და მოხუცი ლიანდაგებზე ჩახტნენ. მძიმე, ტყვიანარევი დამცავი კოსტიუმები მართლაც ნამდვილ სკაფანდრებს ჰგავდა. ეს წარმოუდგენლად ძვირი და იშვი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ათი კოსტიუმები, მთელ მეტროში ოციოდე რომ მოიძებნებოდა, „სევასტოპოლსკაიაზე" თითქმის არასდროს გამოეყენებინათ. ეს კოსტიუმები ადამიანს უმაღლესი გამოსხივებისგან იცავდა, მაგრამ სიარულსაც საკმაოდ ართულებდა, ყოველ შემთხვევაში – ჰომეროსისთვის.

დენის მიხაილოვიჩმა დრეზინა უკან მოიტოვა და კიდევ რამდენიმე მეტრი მათთან ერთად ფეხით გაიარა, თან ჰანტერს გაუგებარ ფრაზებს ესროდა, რომ ჰომეროსი ვერაფერს მიმხვდარიყო.

– სად აიყვან? – ბუტბუტით ეკითხებოდა ბრიგადირს.

– მომცემენ. ვერსად წავლენ, – ჰანტერი ზედაც არ უყურებდა გვერდით მიმავალს.

– კარგა ხანია, აღარავინ გელოდება. მათთვის მკვდარი ხარ, გესმის? მკვდარი!

ჰანტერი წამით შედგა და ისე ხმადაბლა ჩაილაპარაკა, თითქოს მეთაურს კი არა, საკუთარ თავს ელაპარაკებოდა:

– ყველაფერი ეგრე მარტივად რომ იყოს...

– ორდენის დეზერტირობა სიკვდილზე საშიშია! – წამოიყვირა დენის მიხაილოვიჩმა.

ბრიგადირმა მეთაურს სამხედრო სალამი მისცა იმის ნიშნად, რომ მასთან საუბარი დაასრულა. დენის მიხაილოვიჩი მორჩილად გადგა განზე, ბრიგადირმა და მოხუცმა კი ნელა შეცურეს წყვდიადის ზღვაში.

პოლკოვნიკმა საფეთქლიდან ხელი მოიშორა და მესაჭეს ნიშანი მისცა, დრეზინა დაექოქა. თავს უფუნქციოდ გრძნობდა: ახლა ველარავის წაუყენებდა ულტიმატუმს, აღარავინ იყო, ვის წინააღმდეგაც იბრძოლებდა. ამ ზღვაში ჩაკარგული ერთი კუნძულის საბრძოლო მეთაურს იმის იმედიღა უნდა ჰქონოდა, რომ ეს პატარა ექსპედიცია გადარჩებოდა და ოდესმე უკან დაბრუნდებოდა – ოღონდ, მეორე მხრიდან, იმის დასტურად, რომ დედამიწა მრგვალია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოლო ბლოკპოსტი „კახოვსკაიას“ შემდგომ გადასარბენზე მდებარეობდა და თითქმის უკაცრიელი იყო. მოხუცს რაც თავი ახსოვდა, „სევასტოპოლსკაიას“ აღმოსავლეთიდან თავს არასოდეს დასხმიან.

ბეტონის უსასრულო ნაწლავს ყვითელი ხაზი ორ პირობით ნაწილად კი არ ყოფდა, არამედ თითქოს კოსმოსური ლიფტით აკავშირებდა ერთმანეთისგან ასეული მზის წელიწადით დაშორებულ ორ პლანეტას. მის მილმა არსებული მიწიერი სამყარო შეუმჩნევლად იცვლებოდა მთვარის მკვდარი ლანდშაფტით და მათი ნებისმიერი მსგავსება მოჩვენებითი იყო. ჰომეროსი ფუთიანი ფეხსაცმლით დამძიმებულ ფეხს დიდი ყურადღებით ადგამდა, ყურს უგდებდა ფილტრებში გამომწყვდეულ დაძაბულ სუნთქვას და თავი ნამდვილ კოსმონავტად წარმოედგინა, რომელიც შორეული ვარსკვლავის თანამგზავრზე დაეშვა. ამ ბავშვური სიანცით უფრო მარტივად ეგუებოდა სკაფანდრის სიმძიმეს, რომელიც მაღალი გრავიტაციით შეიძლებოდა ახსნილიყო, და აიმედებდა ფიქრი, რომ რამდენიმე კილომეტრის შემდეგ ისინი ერთადერთი ცოცხალი არსებები იქნებოდნენ.

მოხუცის აზრით, მეცნიერები და ფანტასტები ვერ წინასწარმეტყველებდნენ ადამიანის მომავალს ისე, როგორც საჭიროა. 2034 წლისთვის ადამიანი კარგა ხნის გამხდარი უნდა ყოფილიყო ნახევარი გალაქტიკის თუ არა, მზის სისტემის მბრძანებელი მაინც, რასაც ჰომეროსს ჯერ კიდევ ბავშვობაში ჰპირდებოდნენ. მაგრამ ფანტასტებსაც და მეცნიერებსაც სჯეროდათ, რომ კაცობრიობა რაციონალურია და თანმიმდევრული. მათი წარმოდგენით, ის რამდენიმე მილიარდი ზარმაცი, ქარაფშუტა, ფანტაზიორი ადამიანის ნაკრები კი არა, ჯგუფური გონითა და ერთიანი ნებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაჯილდოებული ერთგვარი სკა იყო. ვინ წარმოიდგენდა, რომ კოსმოსის ათვისებით თითქოს სერიოზულად დაინტერესებული კაცობრიობა ჯერ ელექტრონიკაზე, ელექტრონიკიდან – ბიოტექნოლოგიებზე გადაერთვებოდა, შუა გზაზე კი მასაც მიატოვებდა ისე, რომ ვერაფერში მიაღწევდა შთამბეჭდავ შედეგს, გარდა ბირთვული ფიზიკისა.

და აი, ახლა, უფრთო კოსმონავტმა, რომელიც თავისი უშველებელი სკაფანდრის გარეშე უსიცოცხლოა, უცხოა თავის პლანეტაზე და მხოლოდ „კახოვსკაიადან" „კაშირსკაიამდე" გადასარბენების კვლევა-დაპყრობა შეუძლია, სხვა ყველაფერი უნდა დაივიწყოს. ვარსკვლავები მეტროდან მაინც არ ჩანს.

უცნაური იყო: მისი სხეული აქ, ყვითელი ხაზის მილმა, კვნესოდა სიმძიმის ქვეშ, სული კი სიმსუბუქეს გრძნობდა. „ტულსკაიასკენ" ლაშქრობამდე ერთი დღე-ღამით ადრე, ელენასთან დამშვიდობებისას, მას ჯერ კიდევ ჰქონდა უკან დაბრუნების იმედი. მაგრამ როდესაც ჰანტერმა მეორედ აირჩია მეწყვილედ, მოხუცი ორ რამეს მიხვდა. პირველი: მისი სული იმდენ ხანს ითხოვდა განსაცდელს, გონება კი – განათებას, რომ ახლა ზურგშექცევა მისი მხრიდან სისულელე და უღირსი საქციელი იქნებოდა; და მეორე: ცხოვრების მთავარი საქმე არ შეიძლება სანახევროდ აკეთო. ბედთან თამაში არ შეიძლება, მას ვერ შეჰპირდები, რომ ყველაფერს სრულად მოგვიანებით, შემდეგ ჯერზე მისცემ... მეორე შანსი შეიძლება აღარც მოგეცეს! არ ღირს, სიცოცხლე დაასრულო, როგორც უცნობმა ნიკოლაი ივანოვიჩმა – ქალაქელმა გიჟმა, დორბლიანმა მოხუცმა მეზღაპრემ სახეზე უაზრო ღიმილით!

მაგრამ იმისათვის, რომ ჰომეროსის კარიკატურიდან ნამდვილ ჰომეროსად ქცეულიყო, მითების მოყვარულიდან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მათ შემოქმედად, ფერფლიდან რომ სახეცვლილი აღმდგარიყო, საჭირო იყო, ჯერ დამწვარიყო და დაფერფლილიყო. თუ იორჭოფებდა, სახლისა და ცოლის მონატრების გამო უკან ყურებას არ შეწყვეტდა, აუცილებლად გამორჩებოდა რაღაც ძალიან საინტერესო. ამიტომ, გადაწყვეტილება უნდა მიეღო.

ახალი ლაშქრობიდან უვნებლად დაბრუნება გაუჭირდებოდა, ალბათ, საერთოდ, დაბრუნება გაუჭირდებოდა, ამიტომ, როგორც უნდა შესცოდებოდა ელენა, მას აღარაფერს არ უნდა დაჰპირებოდა.

ცოლმა თავიდან არც კი დაიჯერა, რომ ქმარი ერთ დღეში დაუბრუნდა ცოცხალი და უვნებელი, მერე კი იტირა, როცა ისევ სადღაც აცილებდა, რადგან ვერაფრით მოახერხა მისი გადარწმუნება. ჰომეროსი გულში იკრავდა ელენას და მის ზურგს უკან საათს შეჰყურებდა. უნდა წასულიყო. თუმცა, იცოდა, რომ ათწლიან თანაცხოვრებას ასე ადვილად ვერ მოიკვეთდა და დროდადრო აუცილებლად შეახსენებდა თავს.

ჰომეროსს ვერ წარმოედგინა, რომ აღარ ექნებოდა უკან მიხედვის სურვილი, მაგრამ მსხვილ ყვითელ ხაზს გადააბიჯა თუ არა, თითქოს მართლა მოკვდა – მისი სული გაფრინდა და უკან მოიტოვა მძიმე, უშნო და მოუქნელი გარსი. ის გათავისუფლდა.

ჩანდა, ჰანტერს დამცავი კოსტიუმი ოდნავადაც არ ამძიმებდა. ფართო ტანსაცმელმა დაკუნთული სხეული უფორმო მასად უქცია, მაგრამ სიმკვირცხლე არ წაურთმევია. გვერდით მიჰყვებოდა მოხუცს, რომელსაც სუნთქვა უჭირდა.

„ნაგატინსკაიაზე", „ნაგორნაიასა" და „ტულსკაიაზე" ნანახის შემდეგ ადვილი არ იყო, დასთანხმებოდა ჰანტერთან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთად მოგზაურობას. მაგრამ ჰომეროსმა მოგზაურობის გამართლების ხერხი იპოვა: სწორედ ბრიგადირის თანხლებით დაიწყო მეტამორფოზა, რომელსაც დიდხანს ელოდა. ამიტომ მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ჰანტერის არჩევანის საბაბს, მთავარი იყო, მოხუცს ეს მდგომარეობა არ გაეშვა ხელიდან და მოესწრო ყველაფრის გააზრება და ჩანერა...

იყო კიდევ რაღაც: როცა ჰანტერმა დაასახელა, ჰომეროსს მოეჩვენა, რომ ბრიგადირსაც ნამდვილად სჭირდებოდა ის და აირჩია არა მხოლოდ იმიტომ, რომ გვირაბებში გზა ეჩვენებინა ან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გაეფრთხილებინა, არამედ კიდევ რაღაც სხვა მიზეზის გამო.

ჰანტერის გარეგნული სიცივე და სიმშვიდე ველარ ატყუებდა მოხუცს. მისი პარალიზებული სახის მიღმა მაგმა დუღდა, რომელიც ზოგჯერ კვამლად ამოხეთქავდა ხოლმე კრატერებად დარჩენილი ღია თვალებიდან. ის სულაც არ იყო მშვიდი და ცივი. ისიც რაღაცას ეძებდა.

ჰანტერი თითქოს გამოდგებოდა კიდეც მომავალი წიგნის ეპიკურ გმირად. ჰომეროსმა მცირეოდენი ორჭოფობის მერე მიიღო ის. მაგრამ მოხუცს ბევრი რამ აშინებდა: ჰანტერის გარეგნობა, მისი მიდრეკილება მკვლელობისაკენ, ფრაზებსა და ჟესტებში სიძუნწე. ჰანტერი იმ მკვლელს ჰგავდა, მინიშნებებით რომ აღიზიანებს გამომძიებელს, რადგან აწყობს, რომ ამხილონ. მოხუცმა არ იცოდა, ხედავდა თუ არა ჰანტერი მასში მოძღვარს, ბიოგრაფს ან დონორს, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს უცნაური შეთანხმება ორმხრივი იყო და სჯაბნიდა შიშს.

ჰომეროსს არ ტოვებდა განცდა, რომ ჰანტერს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ჰქონდა სათქმელი, მაგრამ რატომღაც მუდმივად სამომავლოდ დებდა. ზოგჯერ ისე შეტრიალდებოდა ხოლმე მოხუცისაკენ, თითქოს რაღაცის კითხვას აპირებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბრიგადირს სულ უფრო ხშირად უშტერდებოდა მზერა ზურგჩანთაზე, რომლის ძირზეც ავბედითი დღიური იდო. რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო ჩანაწერის გარჩევა, მაგრამ თითქოს გრძნობდა, რომ ზურგჩანთაში დამალული იყო რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი; მუდმივად თვალყურს ადევნებდა მას და სულ უფრო ახლოს მიიწევდა მისკენ. მოხუცი ცდილობდა, აღარ ეფიქრა დღიურზე, მაგრამ ამაოდ.

სამზადისისთვის დრო არ ჰქონდათ. ჰომეროსმა სულ რამდენიმე წუთით შეძლო დღიურთან განმარტოება და ეს დრო არ ეყო სისხლით შეწებებული ფურცლების ერთმანეთისგან დასაშორებლად, მაგრამ მაინც მოასწრო თვალი გადაევლო სხვა გვერდებისთვის, სადაც ნაჩქარევად გაეკეთებინათ ჩანაწერები. სიტყვათა თანმიმდევრობა დარღვეული იყო, თითქოს დამწერი იქ ჯლაბნიდა ასოებს ფურცელზე, სადაც მოუხვდებოდა. აზრის გასაგებად, მოხუცს სიტყვები ჯერ მწყობრში უნდა ჩაეყენებინა.

„კავშირი არ არის. ტელეფონი დუმს. შეიძლება დივერსიაა. რომელიმე გაძევებული შურს იძიებს? ჩვენამდე".

„გამოუვალი მდგომარეობაა. დახმარება არსაიდან. „სევასტოპოლსკაიას" რომ ვთხოვოთ, ყველა ჩვენიანს სასიკვდილო განაჩენს გამოვუტანთ. უნდა მოვითმინოთ... რამდენი?"

„არ გვიშველებენ... ჭკუიდან შეიშალნენ. მე თუ არა, სხვა ვინ? გაქცევა!"

ზუსტად ბოლო სიტყვების შემდეგ, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ტულსკაიას" შტურმით აღება არ შეიძლება, სის-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხლიანი თითით გაურკვევლად მიეჯღაბნათ ხელმოწერა. ეს სახელი არათუ გაეგონა ჰომეროსს ადრე, არამედ თვითონაც არაერთხელ წარმოეთქვა. დღიური ქარავნის მეკავშირეს ეკუთვნოდა, რომელიც „ტულსკაიაზე" ერთი კვირის წინ გაუშვეს.

ჰანტერმა და ჰომეროსმა ელექტროდეპო გაიარეს, რომელსაც აუცილებლად გაძარცვავდნენ, რომ არა ძალიან მაღალი რადიაციული ფონი. შავი, გადამწვარი ტოტი, რომელიც დეპოში შედიოდა, რატომღაც არმატურის ნაჩქარევად და უხეშად შედუღებული ნაჭრებით გამოიყოფოდა დეპოსგან. მავთულებით დამაგრებულ თუნუქის ფირფიტაზე თავის ქალა იყო გამოსახული და წითელი საღებავით გამაფრთხილებელი წარწერის კვალი ემჩნეოდა, ან დროის მიერ წაშლილი, ან ვიღაცის მიერ გადაფხეკილი.

ამ გისოსებდადებულ ჭას თვალი ძლივს მოწყვიტა ჰომეროსმა და გაიფიქრა, რომ ეს ხაზი ყოველთვის ასეთი უსიცოცხლო ვერ იქნებოდა, როგორც „სევასტოპოლსკაიაზე" ფიქრობდნენ.

გაიარეს „ვარშავსკაია" – დაჟანგულ-დაობებული სადგური, რომელიც წყლიდან ამოყვანილ დამხრჩვალს ჰგავდა. კაფელით მოპირკეთებულ კედლებზე მუქი წყალი ჟონავდა. ჰერმეტულ ჭიშკარში ცივი ქარი უბერავდა, თითქოს გიგანტური არსება დიდი ხნის წინ დამპალ სადგურს ზემოდან ხელოვნურ სუნთქვას უტარებდა. ჰომეროსისა და ჰანტერის დოზიმეტრები ისტერიკულად კიოდა იმის ნიშნად, რომ ყველა სულიერს სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა ეს ადგილი. „კაშირსკაიას" სიახლოვეს ერთი მოწყობილობა მწყობრიდან გამოვიდა, მეორეზე კი ციფრები მაქსიმუმს უჩვენებდა. ჰომეროსმა პირში მწარე გემო იგრძნო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ეპიცენტრი სად არის?

ბრიგადირის ხმა ცუდად ისმოდა. ჰომეროსი შეჩერდა, სული მოითქვა და ხელი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გაიშვირა.

– „კანტემიროვსკაიაზე". ან ჭერი ჩამოანგრია, ან საევენტილაციო შახტა. დაზუსტებით არავინ იცის.

– მაშ, „კანტემიროვსკაია" მიტოვებულია?

– ყოველთვის ასე იყო. „კოლომენსკაიადან" მოყოლებული, მთელი ხაზი ცარიელია.

– მე კი მითხრეს, რომ... – უცებ ჰანტერი გაჩუმდა და ჰომეროსსაც ანიშნა, გაჩუმებულიყო. ბოლოს და ბოლოს, ისევ ამოილო ხმა: – ცნობილია, რა ხდება „კაშირსკაიაზე"?

– საიდან?! – ირონიულად იკითხა მოხუცმა, მაგრამ არ იყო დარწმუნებული, რომ შეძლო შესაბამისი ინტონაციის მიგნება აირწინალის ფილტრის გუგუნში.

– მე გეტყვი. იქ, სადგურზე, იმხელა რადიაციული ფონია, რომ ორივენი წუთში დავნახშირდებით. ვერავინ გვიშველის. ასე რომ, იქ წასვლა არ შეიძლება. უკან ვბრუნდებით.

– უკან? „სევასტოპოლსკაიაზე"?

– კი. ვეცდები, ზემოდან ჩავალწიო, – ჩაფიქრებული ჰანტერი უკვე მარშრუტს ადგენდა.

– მარტო აპირებ? – გაფაციცებით ჰკითხა ჰომეროსმა.

– საკუთარი ტყავის გადარჩენაზე მომიწევს ზრუნვა, ამიტომ ვერ შევძლებ მუდმივად შენს გადარჩენას. ორნი მაინც ვერ გავალთ. თუმცა, არც იმის გარანტია მაქვს, რომ მე გავალ.

– შენ არ გესმის, მე მჭირდება შენთან ერთად წამოსვლა, მე უნდა... – ჰომეროსი გაშმაგებული ეძებდა საბაბს, ჩასაჭიდს.

– გინდა აზრიანად მოკვდე?! – გულგრილად დაასრულა მის ნაცვლად ბრიგადირმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰომეროსმა იცოდა, რომ აირწინალის ფილტრები სინამ-დვილეში ფილტრავენ ნებისმიერ ნაერთს, შიგნით უშვებენ მხოლოდ უგემურ, სტერილურ ჰაერს, ხოლო გარეთ – მექა-ნიკურ და უსულო ხმებს.

მოხუცმა წუთით თვალები დახუჭა და შეეცადა გაეხ-სენებინა, რა იცოდა, რადიაციის მიერ განადგურებული „ზამოსკორეცკაიას ხაზის" ქვედა ბოლოზე, „კახოვსკაიას" მოკლე ხაზზე, „სევასტოპოლსკაიადან" „სერპუხოვსკაია-კენ" მიმავალ გზაზე... ოლონდ უკან არ დაბრუნებულიყო, არ დაბრუნებოდა თავის მოსაწყენ ცხოვრებას, დიდი რო-მანით ცრუ ფეხმძიმობას და უკვდავ ლეგენდებს.

– მომყევი! – უცებ ამოიხრიალა მან და უჩვეულო სიმ-კვირცხლით წავიდა აღმოსავლეთისაკენ – ყველაზე ცხელი „კაშირსკაიასკენ".

* * *

გოგონას ესიზმრებოდა, როგორ უსვამდა ქლიბს ფოლა-დის ხელბორკილს, რომლითაც კედელზე მიებათ. ქლიბი წრიპინებდა და როგორც კი შეწყვეტდა მუშაობას, ფოლა-დი მის თვალწინ ისევ მთელდებოდა.

საშა იმედს არ კარგავდა: ისევ იღებდა ინსტრუმენტს და გადატყავებული ხელებით აგრძელებდა დაუმორჩილებე-ლი მეტალის რიტმულად ქლიბვას. მთავარი იყო, არ ამოვ-არდნილიყო ამ რიტმიდან, არ დანებებულიყო, ერთი წამი-თაც არ შეეჩერებინა მუშაობა. ბორკილებდადებული მაჯე-ბი დაუსივდა და დაუბუჟდა. გულის სილრმეში იცოდა, რომ რკინის დამარცხების შემთხვევაშიც კი ველარ შეძლებდა გაქცევას, რადგან ფეხებს ველარ დაიმორჩილებდა.

ბოლოს გონს მოვიდა, ძლივს შეარხია ქუთუთოები.

ბორკილები არ დასიზმრებია: მართლაც დატყვევებუ-ლი იყო. ის ძველი დრეზინის ბინძურ ძარაზე იწვა, რომე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლიც მონოტონურად ირწეოდა და მტანჯველად ნელა მიინ-ეოდა წინ. პირში გაცხიმული ტილო ჰქონდა ჩაჩრილი, საფეთქლიდან სისხლი სდიოდა.

„რატომ არ მომკლა?" – გაიფიქრა საშამ.

ძარადან ჭერის მხოლოდ ნაწილი მოჩანდა. ფანრის მკრთალ შუქზე ერთმანეთზე გადაბმული ტიუბინგები ელავდა: დრეზინა გადასარბენზე მიგორავდა. სანამ საშა ცდილობდა, ბორკილებიანი ხელები უკნიდან წინ გადმოეტანა. ამასობაში ტიუბინგები გადაქერცლილი თეთრი საღებავით შეიცვალა. საშამ ყურადღება მოიკრიბა, რომელი სადგური შეიძლებოდა ყოფილიყო?

უბრალოდ სიწყნარე კი არა, სამარისებური სიჩუმე იდგა, უკაცრიელი კი არა, უსიცოცხლო გარემო და სრული წყვდიადი გამეფებულიყო. რატომღაც სულ ეგონა, რომ ხიდის იქით ყველა სადგურზე ყივილ-ხივილი ისმოდა. გამოდის, ცდებოდა?

თავზემოთ ჭერი გაჩერდა. მისი გამტაცებელი ხვნეშითა და ლანძღვა-გინებით ავიდა პლატფორმაზე, ნალებიანი ჩექმების ჭრიალით გაიარ-გამოიარა, თითქოს მიდამოს სწავლობსო. შემდეგ ალბათ აირწინაღი მოიხსნა, რადგან თავისი ხმით მხიარულად იღრიალა:

– აი, სადა ვართ. რამდენი წელი გავიდა!

კმაყოფილმა ამოისუნთქა და ფეხი მძიმედ დაარტყა, არა, წაპკრა რაღაც უსულოს – დიდ, სავსე ტომარას?

საშა მიხვდა, რაც ხდებოდა და რომ არ აღრიალებულიყო, კბილებით ჩააფრინდა აყროლებულ ტილოს და მთელი სხეულით მოირკალა. მიხვდა, სადაც მოიყვანა მსუქანმა და ვისაც ელაპარაკებოდა ასე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

სასაცილო იყო იმაზე ფიქრიც კი, რომ ჰანტერს გაუსწრებდა. ბრიგადირი რამდენიმე ნახტომით დაეწია მოხუცს, მხარში ჩააფრინდა და მთელი ძალით შეანჯღრია:

– გაგიჟდი?!

– კიდევ ცოტა უნდა გავიაროთ... – ამოიხრიალა ჰომეროსმა, – გამახსენდა! აქ, „კაშირსკაიამდე", „ზამოსკვორეცკაიას" უკან, პატარა გასასვლელია, რომლითაც პირდაპირ გვირაბში გავალთ, შემოვუვლით და „კოლომენსკაიაზე" ალმოვჩნდებით. სადგურზე ასვლა არ დაგვჭირდება. შორს არ უნდა იყოს. გთხოვ...

მოხუცმა დრო იხელთა და ეცადა ხელიდან გასხლტომოდა, მაგრამ შარვლის ფართო ტოტებში გაიხლართა და რელსებზე დაეცა, მაშინვე წამოდგა და ისევ წინ გადაქანდა. ჰანტერი ისე იჭერდა მოხუცს, როგორც თოკით ვირთხას. მერე სწრაფად თავისკენ შემოატრიალა და ისე დაიხარა მისკენ, რომ მათი აირწინაღის ილუმინატორები გათანაბრდა. რამდენიმე წამის შემდეგ კი ხელი უშვა და უთხრა:

– კარგი!

ახლა უკვე ბრიგადირი მიათრევდა მას, არც ერთი წუთით არ ჩერდებოდა. ყურებში მოწოლილი სისხლის გუგუნი მრიცხველების წიკწიკს ახშობდა, ფეხები თითქმის ალარ ემორჩილებოდათ, დაძაბულობისგან ფილტვები დასკდომაზე ჰქონდათ და საშინლად სტკიოდათ.

კინაღამ გასცდნენ ვიწრო გასასვლელს. ძლივს გაძვრნენ მასში და კიდევ რამდენიმე წუთს ირბინეს, სანამ სხვა გვირაბში არ გავიდნენ. სწრაფად მიმოიხედეს გარშემო და ბრიგადირი მოხუცს მიუბრუნდა:

– სად მომიყვანე? ოდესმე მაინც ყოფილხარ აქ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გასაძრომიდან ოცდაათ მეტრში, ზუსტად იქ, საითაც უნდა წასულიყვნენ, გვირაბში იატაკიდან ჭერამდე ქსელისმაგვარი რაღაც გაჭიმულიყო.

აქოშინებულ ჰომეროსს ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა, მხოლოდ თავი გააქნია. სრული სიმართლე იყო, ის აქ ადრე არასოდეს ყოფილა.

ჰანტერმა ავტომატი მარცხენა ხელში გადაიტანა, ზურგჩანთიდან გრძელი, მართკუთხა დანა ამოიღო, რომელიც რაღაცით მექსიკურ მაჩეტეს წააგავდა, და თეთრი, წებოვანი ნაყში გაჭრა. ბადეში გახლართული მფრინავი ტარაკანების გამხმარი ჩონჩხები გარშემო მიმოიფანტა. ბრიგადირმა ნახევრად გამჭვირვალე ბადე გასწია და ფანრით შიგ შეანათა. მეორე მხარესაც გვირაბი ჩანდა, რომლის გაწმენდასაც რამდენიმე საათი დასჭირდებოდა: სანამდეც კი შუქი აღწევდა, ჩანდა, რომ წებოვანი ფარდა მთლიანად ავსებდა ლიანდაგებს შორის გადასასვლელს.

ბრიგადირმა დოზიმეტრის ჩვენება შეამოწმა და კედლებს შორის გაჭიმული ბადის გააფთრებით დანაკუწებას შეუდგა. ქსელი ნელა ირღვეოდა, თუმცა, ძალიან დიდ დროს აკარგვინებდა მათ. ათ წუთში სულ რაღაც ოცდაათი მეტრის გავლა შეძლეს, სიღრმეში ძაფები სულ უფრო მჭიდროდ იხლართებოდა და გასასვლელს წებოვანი საცობით ქოლავდა.

ბოლოს და ბოლოს, დახურულ საავენტილაციო შახტასთან, სადაც საშინელი ორთავიანი ჩონჩხი ეგდო, ბრიგადირმა ცული იატაკზე დააგდო. არსება, რომელმაც ეს ბადე მოქსოვა, თუნდაც დიდი ხნის მკვდარი ყოფილიყო და არასოდეს მოსულიყო მათ შესაჭმელად, ქსელში ტარაკანებივით გაბმულები დასხივებისგან მაინც მალე დაიღუპებოდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმ რამდენიმე წუთში, სანამ ჰანტერი გამოსავალს ეძებდა, მოხუცს კიდევ რალაც გააახსენდა, რაც ამ გვირაბის შესახებ ოდესლაც გაეგონა. ცალ მუხლზე დაეშვა, სათადარიგო მჭიდიდან რამდენიმე ტყვია ამოიღო, თხელპირიანი დანის დახმარებით გახსნა და დენთი ხელისგულზე გადმოიფრქვია.

ჰანტერი უსიტყვოდ მიუხვდა ჩანაფიქრს. რამდენიმე წუთის შემდეგ გადასასვლელის დასაწყისში დაბრუნდნენ, ქსელს რუხი მარცვლები მიმოაბნიეს და სანთებელა მოუკიდეს.

დენთი აშიშხინდა, აბოლდა და უცებ წარმოუდგენელი სისწრაფით ალად მოედო ყველა მხარეს, კედლებს აუყვა, მალალ ჭერს მისწვდა, გვირაბის მთელი სივრცე დაიპყრო. ქსელი გამოწვა და ღრმად შეეარდა გვირაბში. აგიზგიზებული, აპრიალებული წრე გაჭვარტლულ ტიუბინგებს ანათებდა და შეუჩერებლად მიიწევდა „კოლომენსკაიასკენ". მერე პირველსავე მოსახვევში შეეარდა და ალისფერი ნათებაც თან გაიყოლა.

რამდენიმე წუთიც და, უკვე ძალიან შორიდან გამოიჭრა არაადამიანური, განწირული კივილი ჩახლეჩილი შიშინით... ამ სანახაობით დაჰიპნოზებულ ჰომეროსს გაუჭირდებოდა იმის მტკიცება, ხმა მართლა გაიგონა თუ მოეჩვენა.

ჰანტერმა დანა თავის ზურგჩანთაში შეინახა და იქიდან აირწინალის ორი გაუხსნელი ქილა ამოიღო.

– უკანა გზისთვის ვინახავდი, – ერთით თავისი ფილტრი შეცვალა, მეორე კი მოხუცს მიაწოდა, – ხანძრის გამო ძალიან დაბინძურდა ჰაერი.

მოხუცმა თავი დაუქნია. ზემოთ ავარდნილმა ალმა ქსელზე წლობით ნაგროვები რადიოაქტიური ნაწილაკები აურია. შავი გვირაბი ახლა უკვე სასიკვდილო მოლეკულებით იყო სავსე. მათთვის გვერდის ავლა შეუძლებელი იყო, თუმცა, მათ მაინც ჯიუტად გასწიეს წინ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

– გხედავდეს ახლა მამაშენი! – დამცინავად დატუქსა მსუქანმა.

საშა ზუსტად მამის ცხედრის წინ იჯდა, რომელიც პირქვე ეგდო სისხლის გუბეში. კომბინეზონის ორივე ბრეტელი უკვე ჩამოგდებული ჰქონდა მხრიდან და მრავალჯერ გარეცხილი მხიარული ცხოველის გამოსახულებიანი მაისური მოუჩანდა. გამტაცებელი მას თავის სახეს არ უჩვენებდა. როგორც კი გოგონა თავის აწევას დააპირებდა, მაშინვე ფანარის ძლიერ შუქს ანათებდა თვალებში. ბინძური ნაჭერი გამოულო პირიდან, მაგრამ რისთვის? საშა მაინც არაფრის თხოვნას არ აპირებდა.

– სამწუხაროდ, დედას არ ჰგავხარ, მე კი იმედი მქონდა...

გამტაცებელს რეზინის მაღალყელიანი ბოტფორტი სისხლში ამოსვროდა. საშას მისი ხმა ახლა უკნიდან ესმოდა.

– მამაშენი ალბათ ფიქრობდა, რომ დროთა განმავლობაში ყველაფერი დავიწყებას მიეცემოდა, მაგრამ ზოგიერთ დანაშაულს ხანდაზმულობის ვადა არა აქვს. მაგალითად, ცილისწამებას, ღალატს...

მისი მსუქანი სხეული წყვდიადის მეორე მხრიდან გამოვიდა. საშას მამის ცხედართან შეჩერდა, ფეხი მიჰკრა და მიაფურთხა.

– სამწუხაროა, რომ ჩემი დახმარების გარეშე მოკვდა, – მსუქანმა ფანარი მოატარა სევდიან, უსახურ სადგურს, რომელიც გამოუსადეგარი ნივთებით იყო გამოტენილი, და უბორბლებო ველოსიპედზე შეაჩერა, – მყუდროდ მონყობილხართ. ალბათ, შენ რომ არა, მამაშენი თავს ჩამოიხრჩობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სანამ ფანარი სხვა მხარეს ანათებდა, საშამ გვერდზე გაცოცება სცადა, მაგრამ წამის შემდეგ სხივმა ისევ გამოიყვანა ის სიბნელიდან.

– მისიც მესმის, – ერთი ნაბიჯით საშას გვერდით გაჩნდა გამტაცებელი, – გოგონა მშვენიერი გამოუვიდა. უბრალოდ, სამწუხაროა, რომ დედას არ ჰგავს. ვფიქრობ, თავადაც წუხდა ამის გამო. თუმცა, არა უშავს, ტყუილად ხომ არ გამომივლია მთელი მეტრო აქამდე მოსასვლელად... – და ბოტფორტის ცხვირით საშა გვერდზე გადააგორა.

საშა მოიკუნტა და თავი გაიქნია.

– ხედავ, ცხოვრება რა მოულოდნელობებითაა სავსე, პეტია, – მიუბრუნდა ის საშას მამას, – იყო დრო, როცა შენს მეტოქეებს ტრიბუნალს გადასცემდი. მაგრამ, მადლობა, რომ არ ხოცავდი. ცხოვრება ხანგრძლივია, გარემოებები კი – ცვალებადი. თანაც, ყოველთვის შენს სასიკეთოდ არა. მე დავბრუნდი, თუმცა იმაზე ათი წლით მეტი დამჭირდა, ვიდრე მეგონა.

– დაბრუნება არასოდესაა შემთხვევითი, – საშამ ჩურჩულით გაიმეორა მამის სიტყვები.

– ოქროს სიტყვებია, – დამცინავად შეაფასა მსუქანმა და უცებ გაირინდა: – ...ეი, ვინ არის მანდ?!

პლატფორის მოპირდაპირე მხარეს რაღაც გაშრიალდა და მძიმედ დაეცა, მერე კი თითქოს აშიშინდა. ხმა დიდი ცხოველის ფრთხილი ნაბიჯებისას ჰგავდა... საშა, ისევე, როგორც მისი გამტაცებელი, გრძნობდა: გვირაბიდან რაღაც უახლოვდებოდათ...

მსუქანმა საკეტი გააჩხაკუნა, გოგონას გვერდით ცალ მუხლზე დაიჩოქა, კონდახი მხარზე მიიბჯინა და მოცახ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცახე შუქი სვეტებს მოატარა. იმის მოსმენა, თუ როგორ ცოცხლდებოდა ათწლეულების განმავლობაში დაცარიელებული სამხრეთის გადასარბენი, უფრო საშინელი იყო, ვიდრე რომელიმე ცენტრალურ სადგურზე მარმარილოს ქანდაკების გაცოცხლება.

ფანრის შუქზე გადღაბნილმა ჩრდილმა გაიელვა. ადამიანისას ნამდვილად არ ჰგავდა – არც სხეულის მოყვანილობით და არც სიმკვირცხლით... წამის მერე იმავე ადგილას მისი კვალიც კი არსად ჩანდა. კიდევ ნუთი და პანიკურად მოცახცახე შუქმა მათგან სულ რაღაც ოც მეტრში კვლავ გამოაჩინა იგივე ცხოველი.

– დათვი?! – ეჭვით წარმოთქვა მსუქანმა და სასხლეტს გამოჰკრა.

ტყვიები სვეტებს მოხვდა და ჩამოფშვნა ისინი, მხეცამდე კი ვერც ერთმა ტყვიამ ვერ მიაღწია. მსუქანმა ავტომატი გააგდო ხელიდან და მუცელზე იტაცა ხელები. მისი ფანარი გვერდზე გადაგორდა, კონუსისებური შუქი კი იატაკს დაეცა და პირქვე დამხობილი პატრონი ქვემოდან გაანათა.

სიბნელიდან მოულოდნელად ადამიანი გამოვიდა – მძიმე ფეხსაცმლით უცნაურად რბილად მოაბიჯებდა. ზედმეტად ფართო დამცავ კოსტიუმში მართლაც რომ დათვს ჰგავდა. აირწინალი არ ეკეთა, შრამებით დაღარული, გადაპარსული თავი გადამწვარ უდაბნოს მიუგავდა. მისი სახის მამაკაცური, უხეში და მკვეთრი მოხაზულობის ნაწილი ლამაზი იყო, მაგრამ მკვდარს ჰგავდა და მის დანახვაზე საშა ცახცახმა აიტანა. სახის მეორე მხარე ნამდვილად საზარელი ჰქონდა: შრამების რთული ხლართი მას ზღაპრულ ურჩხულად აქცევდა. რომ არა თვალები, მისი გარეგნობა უფრო საძაგელი იქნებოდა, ვიდრე საშიში. ცოცხალი, ნახევრად შეშლილი მზერა აცოცხლებდა მის უძრავ სახეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მსუქანმა ფეხზე წამოდგომა სცადა, მაგრამ მაშინვე ძირს დაეცა, გახვრეტილი მუხლების ტკივილისაგან ალრიალებული. კაცი მის გვერდით ჩაცუცქდა, გრძელი, მაყუჩიანი იარაღი კეფაზე მიადო და სასხლეტს გამოჰკრა. ლრიალი იმავე წამს შეწყდა, მაგრამ ექო უხორცო არსებასავით კიდევ რამდენიმე წამს დაეხეტებოდა სადგურის თაღებში.

გამტაცებელი გოგონასაკენ სახით ეგდო, მაგრამ სახის ადგილას წითელი ლაქალა ჰქონდა. საშამ თავი მხრებში ჩარგო და ატირდა.

საშინელმა კაცმა იარაღი მასაც დაუმიზნა. მერე მიმოიხედა და გადაიფიქრა: პისტოლეტი წელზე მიმაგრებულ ბუდეში ჩაიდო და უკან დაიხია. ბრტყელი მათარა გახსნა და მოიყუდა.

პატარა სცენაზე, რომელსაც მკვდარი მსუქანის ფანარი მკრთალად ანათებდა, ახალი მოქმედი პირი გამოჩნდა – დაღლილობისგან აქოშინებული მოხუცი, რომელსაც მკვლელისნაირი კოსტიუმი ეცვა, ოღონდ მკვლელისგან განსხვავებით, სასაცილოდ გამოიყურებოდა. ძალაგამოცლილი მოხუცი მაშინვე იატაკზე დაეშვა და სისხლით მოსვრილი სადგური, ორი დამახინჯებული გვამი და მათ შორის მომწყვდეული შეშინებული გოგონა მხოლოდ კარგა ხნის მერე შეამჩნია, როცა სული მოითქვა და თვალები გაახილა.

* * *

ძლივს დამშვიდებულმა გულმა ისევ გამალებით დაუწყო ძგერა. ჰომეროსს ჯერ არ შეეძლო სიტყვებით გადმოცემა, მაგრამ დანამდვილებით იცოდა: მან ის იპოვა. მომავალი გმირის წარმოდგენის უშედეგო მცდელობაში გათენებული უამრავი ღამის შემდეგ, როცა ცდილობდა მისი ტუჩები და ხელის მტევნები, ჩაცმულობა და არომატი, მოძრაობა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფიქრები გამოეგონებინა, ის უცებ შეხვდა ცოცხალ ადამიანს, რომელიც ზუსტად შეესაბამებოდა მის სურვილს. არა, ვენილი, ნარნარი და ქალური; ეს გოგონა კი ბევრად უფრო დახრო უხეში იყო, კუთხოვანი ნაკვთებით, ნაზი და სევდიანი თვალების ნაცვლად – ყინულის ორი ნატეხით. დიახ, გოგონამდვილი, თვითონ კი შეცდა, ვერ შეძლო, სწორად წარმოედგინა გმირის სახე.

მოხუცი გოგონას დაფეთებულმა მზერამ, შიშისაგან შეშლილმა სახემ და შეკრულმა ხელებმა დააინტერესა. მისი დაუცველობა, განწირულობა, სასწაულებრივი გადარჩენა და ის, თუ მისი ცხოვრება როგორ გადაიხლართა მათ ისტორიაში, ჰომეროსს არწმუნებდა, რომ სწორ გზაზე იდგა.

მიუხედავად იმისა, რომ გოგონას ჯერ ხმაც არ ამოელო, მოხუცი მზად იყო, დაეჯერებინა მისთვის. მიუხედავად გაწეწილი, უცნაურად აკორტნილი თეთრი თმითა და წვეტიანი ყურებით, ჭვარტლიანი ღაწვებითა და წარმოუდგენლად თეთრი, ამოყრილი ლავიწის ძვლებით, ბავშვურად გაბუსხული, მოკვნეტილი ქვედა ტუჩით – გოგონა განსაკუთრებულად ლამაზი იყო.

ჰომეროსის ცნობისმოყვარეობას სიბრალული შეერია. გოგონას მიუახლოვდა და გვერდით მიუცუცქდა. გოგონა მოიკუნტა და თვალები დახუჭა.

„ველური“ – გაიფიქრა ჰომეროსმა და მხარზე ხელი დაადო, არ იცოდა რა ეთქვა...

– წასვლის დროა, – თქვა უცებ ჰანტერმა.

– და ამას რა ვუყოთ?.. – ჰომეროსმა გოგონაზე ანიშნა.

– ეგ ჩვენი საქმე არაა.

– აქ ხომ არ დავტოვებთ?!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ჰო, მოკვლა უფრო მარტივი გამოსავალია, – მოკლედ მოუჭრა ბრიგადირმა.

– არ მინდა თქვენთან ერთად წამოსვლა, – თქვა უცებ გოგონამ, – მხოლოდ ბორკილები მომხსენით. გასაღები მას უნდა ჰქონდეს, – მსუქან გვამზე მიუთითა.

ჰანტერმა სამ მოძრაობაში გაჩხრიკა მკვდარი, გულის ჯიბიდან თუნუქის გასაღები ამოიღო, გოგონას გადაუგდო და მოხუცს გადახედა:

– მორჩა?

იმის იმედად, რომ დროს მოიგებდა, ჰომეროსმა გოგონას ჰკითხა:

– რა გიქნა ამ არაადამიანმა?

– არაფერი, – გოგონა საკეტს უჩხიკინებდა, – ვერ მოასწრო. არაადამიანი არაა. ჩვეულებრივი ადამიანია. სასტიკი, სულელი და ღვარძლიანი, როგორც ყველა.

– ყველა ერთნაირი არ არის, – შეეკამათა მოხუცი, თუმცა არც ისე დამაჯერებლად.

– ერთნაირია, – ჯიუტად თქვა გოგონამ და, დასივებული ფეხების გამო, გაჭირვებით წამოდგა, – ეგ არაფერი. ადამიანად დარჩენაც არაა ადვილი.

უცებ დაჰვიწყებოდა თავისი შიში! მამაკაცებს გამომწვევად უბღვერდა. მერე მამის ცხედარს მიუახლოვდა, ფრთხილად გადმოატრიალა, ზურგზე დააწვინა, დამტვრეული ხელები გულზე დაუკრიფა და შუბლზე აკოცა.

ბოლოს, ჰანტერს მიუბრუნდა, თვალები მოჭუტა და ტუჩის კუთხით, ძლივსგასაგონად ჩაიბურტყუნა:

– მადლობა.

ნივთები და იარაღი არ აუღია, ლიანდაგზე ჩახტა და გვირაბისაკენ კოჭლობით წავიდა. ბრიგადირმა ბღვერით გააცილა, უცებ მხრებში გაიშალა და დაუყვირა:

– მოიცადე!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 8
ნიღბები

გალია იქ ეგდო, სადაც მსუქანმა ხელიდან გამოგლიჯა; კარი ღია იყო; ვირთხა გაქცეულიყო...

„დაე...“ – გაიფიქრა გოგონამ. ვირთხაც იმსახურებდა თავისუფლებას.

სხვა გზა არ ჰქონდა, საშა იძულებული იყო, თავისი გამტაცებლის აირწინაღით ესარგებლა. აირწინაღს თითქოს ჯერ კიდევ ასდიოდა პატრონის დამყაყებული სუნი, მაგრამ საშა კმაყოფილი უნდა ყოფილიყო – გაუმართლა, რომ მსუქანმა, სანამ ტყვია შუბლს გაუხვრეტდა, მოასწრო ნიღბის მოხსნა.

შუა ხიდზე რადიაციულმა ფონმა ისევ ძალიან მოიმატა.

ბრეზენტის უშველებელი კოსტიუმი, რომელშიც ისე ფართხალებდა, როგორც ტარაკანის მატლი ჭიის პარკში, სასწაულებრივად უჩერდებოდა ტანზე. აირწინაღი კი, მიუხედავად იმისა, რომ მსუქანის ფართო სახეზე იყო განწელილი, მაინც მიეკრო გოგონას სახეს. საშა ცდილობდა, რაც შეიძლება მაგრად შეებერა სული, რომ აირწინაღის მილებიდან და ფილტრებიდან მკვდრის კუთვნილი ჰაერი გაედევნა. გოგონა აქეთ-იქით იყურებოდა აირწინაღის დაორთქლილი, მრგვალი შუშებიდან და არ ტოვებდა შეგრძნება, რომ უბრალოდ ვილაცის დამცავი კოსტიუმი კი არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩაიცვა, არამედ სხვის ტყავში შეძვრა. სულ რაღაც ერთი საათის წინ მის წასაყვანად მოსულ დემონს ეცვა ეს კოსტიუმი. ახლა კი, იმისათვის, რომ ხიდზე გადასულიყო, თითქოს მასაც მოუწია იმავე დემონად გადაქცევა, რომ მისი თვალით დაენახა სამყარო.

...იმ ადამიანების თვალითაც, რომლებმაც ის და მამა „კოლომენსკაიაზე" განდევნეს, სადაც ამდენი წლის განმავლობაში ცოცხლებს მხოლოდ იმიტომ ტოვებდნენ, რომ მათი გაუმაძღრობა სიძულვილზე ძლიერი იყო. საინტერესოა, ასეთ ადამიანებში რომ გაერიოს, საშასაც მოუწევს შავი რეზინის ნიღბის ტარება?! მანაც უნდა მოაჩვენოს თავი სხვად, უსახო და უგრძნობ ადამიანად?

გოგონას ძალიან უნდოდა ეფიქრა, რომ ეს ორი ადამიანი შემთხვევით კი არა, მის წასაყვანად იყო სადგურზე მოსული, მაგრამ იცოდა, რომ ასე არ იყო. უჭირდა გამოეცნო, რატომ გაიყოლეს თან – გასართობად? სიბრალულის გამო? თუ იმიტომ, რომ ერთმანეთისთვის რაღაც დაემტკიცებინათ? მოხუცის ყოველ სიტყვაში თანაგრძნობა იგრძნობოდა, თუმცა, მოხუცი თავისი თანამგზავრისკენ აპარებდა თვალს, თითქოს ეშინოდა, რომ ადამიანურობაში ამხელდნენ.

მეორეს კი, რომელმაც ნება დართო მათთან ერთად უახლოეს დასახლებულ სადგურამდე მისულიყო, ერთხელაც არ მიუხედავს მისკენ. გოგონამ განზრახ შეანელა სიარული და ცოტათი ჩამორჩა, რომ დაუბრკოლებლად შეესწავლა უკნიდან. წინ მიმავალმა აშკარად იგრძნო გოგონას მზერა, დაიძაბა, გასწორდა, თავი გააქნია, მაგრამ უკან არ მიუხედავს – ვითომ თანაუგრძნო გოგოს ცნობისმოყვარეობას თუ არ მოინდომა, მისი არსებობა შეემჩნია?

ძლიერ აღნაგობასა და სიუხეშეში, რამაც მსუქანი შეცდომაში შეიყვანა, მებრძოლი და მარტოხელა ადამიანი იკ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ითხებოდა. საქმე არა მხოლოდ მის სიმაღლესა და განიერ მხრებში იყო. მისგან ძალა მოდიოდა, რითაც ნებისმიერს აიძულებდა მორჩილებას, ხოლო წინააღმდეგობის გამწევს დაუფიქრებლად გაანადგურებდა.

დიდი ხნით ადრე, სანამ ამ ადამიანის მიმართ შიშს საბოლოოდ დაძლევდა, სანამ დაიწყებდა მასში თუ საკუთარ თავში გარკვევას, ახლად გაღვიძებული ქალის უცნობმა ხმამ მტკიცედ აუწყა საშას, რომ თავადაც დაემორჩილებოდა მის ძალას.

* * *

დრეზინა საოცრად სწრაფად მიდიოდა. მთელ სიმძიმეს ბრიგადირი იღებდა თავის თავზე. მოხუცი, რომელიც მეორე მხარეს იდგა, თვითონაც ამოძრავებდა ხელებს ზემოთ-ქვემოთ, მაგრამ ბერკეტების წინააღმდეგობას თითქმის ვერ გრძნობდა; ძალა საერთოდ არ ეხარჯებოდა.

მეტროს მინისზედა გადასასვლელი მრავალფეხასავით გადადიოდა მუქ, შესქელებულ მდინარეზე. მის რკინის ძვლებს ბეტონის ხორცი ჩამოსცლოდა, თათები ეკეცებოდა, ორიდან ერთი ხერხემალი ჩამონგრეოდა. ეს უტილიტარული და ხანმოკლე სიცოცხლისათვის განწირული გადასასვლელი ისევე უშნო იყო, როგორც მოსკოვის სტანდარტული ახალშენი გარეუბნები. თუმცა, მასზე გადასვლისას, აღფრთოვანებული ჰომეროსი გვერდებზე იყურებოდა და პეტერბურგისა და კრიმსკის აყურულ ხიდებს იგონებდა.

მეტროში ოცნლიანი ცხოვრების განმავლობაში ის მხოლოდ სამჯერ იყო ასული ზემოთ და ყოველ ჯერზე ცდილობდა, იმაზე მეტი დაენახა, ვიდრე შესაძლებელი იყო. ახლაც ცდილობდა, გაეცოცხლებინა მოგონებები, ქალაქზე მიემართა დროისგან დაბინდული თვალის ობიექტივი და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაეხსნა მხედველობითი მეხსიერების დაუანგული საკეტი, სამომავლოდ შეეგროვებინა მოგონებები. იქნებ ალარც გამართლებოდა და ველარასოდეს მოხვედრილიყო ზემოთ – „კოლომენსკაიაზე", „რეჩნოი ვაგზალზე" და „ტიოპლი სტანზე" – ამ საოცრად ლამაზ ადგილებზე, რომელთა მიმართაც სხვა მოსკოველების მსგავსად, ოდესღაც უსამართლო ზიზღით იყო განწყობილი.

მისი მოსკოვი ბერდებოდა, იშლებოდა, იფიტებოდა. ჰომეროსს მოუნდა, მოჰფერებოდა ნახევრად დაშლილ მიწისზედა გადასასვლელს ისევე, როგორც გოგონა მიეფერა უკანასკნელად სისხლისგან დაცლილ მამაკაცს „კოლომენსკაიაზე". მოჰფერებოდა ხიდსაც, ქარხნების შენობების კიდეებსაც, დაობლებულ საცხოვრებელ სახლებსაც; მოუნდა, ხელით შეხებოდა მათ, რათა ეგრძნო, რომ ნამდვილად მათ შორის იყო და სიზმარში არ ხედავდა... დამშვიდობებოდა მათ.

სინამდვილეში, სქელ ღრუბლებში ვერცხლისფერი მთვარის შუქი ვერ ატანდა და მოხუცი უფრო ნარმოიდგენდა, ვიდრე ხედავდა.

ჭვრეტაში გართულ ჰომეროსს სხვა ალარაფერი ახსოვდა, ალარც ლეგენდები, ალარც საიდუმლო დღიური; ისე იქცეოდა, როგორც ბავშვი ექსკურსიაზე: აშტერდებოდა ცათამბჯენების გადღაბნილ სილუეტებს და რალაცას ხმამაღლა ელაპარაკებოდა თავის თავს.

ხიდზე გადასვლა დანარჩენებს არანაირ სიამოვნებას არ ანიჭებდა. წინ მჯდარი ბრიგადირი დროდადრო ყურს უგდებდა ქვემოდან მომავალ ხმებს. გოგონა ჰანტერის ზურგსუკან იჯდა და რატომღაც ორივე ხელით აირწინალს ჩაფრენოდა. ადვილი შესამჩნევი იყო: ზემოთ თავს უხერხულად გრძნობდა. სანამ რაზმი გვირაბში მიდიოდა, გო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გონა საკმაოდ მაღალი ჩანდა, მაგრამ გარეთ გავიდნენ თუ არა, დაპატარავდა, თითქოს უხილავ ნიუარაში ჩაიმალა. ხიდიდან გადაშლილ ლანდშაფტს ყურადღებას არ აქცევდა – თავის ფეხებთან იატაკს მიშტერებოდა.

სადგურ „ტექნოპარკის“ ნანგრევები გაიარეს, რომლის შენებაც ზუსტად ომის დაწყებამდე დაიწყეს და რომელიც დარტყმებმა კი არა, უფრო დროის დინებამ დაანგრია. როგორც იქნა, გვირაბს მიუახლოვდნენ.

მისი შესასვლელი სრულ უკუნეთში იყო ჩაფლული. სკაფანდრი ჰომეროსისთვის ნამდვილი აბჯარი იყო, ხოლო თვითონ – შუა საუკუნეების რაინდი, რომელიც ზღაპრულ გამოქვაბულში, დრაკონის სამფლობელოში შედიოდა. ღამის ქალაქის ხმაური მისი ბუნაგის ზღურბლთან დარჩა – იქ, სადაც ჰანტერმა დრეზინის მიტოვება ბრძანა. ახლა მხოლოდ სამი მგზავრის ფრთხილი ნაბიჯების ხმა და ტიუბინგებიდან ექოდ არეკლილი მათი სიტყვები ისმოდა. თუმცა, ამ ჟღერადობაში რაღაც უჩვეულოც იგრძნობოდა. ჰომეროსს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ მინის ბოთლში მისი ვიწრო ყელიდან შეძვრნენ.

– დაკეტილია, – დაადასტურა ჰანტერმა მისი ეჭვები.

ჰანტერის ფანრის შუქმა პირველმა იპოვა ბოთლის ფსკერი: ყრუ კედელში დაკეტილი ჰერმეტული ჭიშკარი გამოჩნდა. ჭიშკრის მომტვრეული რელსი ოდნავ პრიალებდა, მასიური ანჯამებიდან ყავისფერ საპოხს გამოეყონა. აქვე ეყარა ძველი ფიცრები, მშრალი ტოტები, მუგუზალი, თითქოს ვილაცას არც ისე დიდი ხნის წინ კოცონი ენთო. ჭიშკარი, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა, მაგრამ მხოლოდ გარეთ გასასვლელად, გარედან არც ზარი ჰქონდა და არც სხვა რაიმე მოწყობილობა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბრიგადირი გოგონას მიუბრუნდა:

– აქ ყოველთვის ასეა?

– ზოგჯერ გადმოდიან ჩვენთან, მეორე ნაპირზე. სავაჭ-
როდ. მეგონა, დღეს...

საშა თითქოს თავს იმართლებდა. იცოდა, რომ შესას-
ვლელი არ იყო და მალავდა?

ჰანტერმა ჭიშკარს მაჩეტეს ტარი დაუშინა, მაგრამ უს-
ქეს ფოლადზე მყღერი გუგუნის ნაცვლად სუსტი წკარუნი
გაისმა. შიგნით ვინმე რომც ყოფილიყო, ალბათ მაინც ვერ
გაიგონებდა ამ ხმას.

სასწაული არ მოხდა. არავინ უპასუხა.

* * *

საშა იმედს არ ჰკარგავდა, რომ სასწაული მაინც მოხდე-
ბოდა და მისი თანამგზავრები შეძლებდნენ ჭიშკრის გაღე-
ბას. ეშინოდა, ელიარებინა, რომ დიდ მეტროში შესასვლე-
ლი დაკეტილია – ეშინოდა, რომ ისინი სხვა გზით წასვლას
გადაწყვეტდნენ და მას იქ დატოვებდნენ, სადაც იპოვეს.

ჩანდა, დიდ მეტროში მათ არავინ ელოდა, ჰერმეტული
საკეტის გატეხა კი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატ-
ებოდა. თავგადაპარსულმა სარქველი საგულდაგულოდ
დაათვალიერა, იქნებ სუსტი ადგილი ან საიდუმლო საკეტი
ვიპოვოო, მაგრამ საშამ იცოდა, რომ ამ მხრიდან არანაირი
საკეტი არ იყო. კარი მხოლოდ შიგნიდან იღებოდა.

– აქ იყავით. დასაზვერად წავალ. მეორე გვირაბში შე-
ვამოწმებ საკეტებს, საევენტილაციო შახტებს მოვძებნი, –
დაიყეფა მან. გაჩუმდა და მერე რატომღაც დაამატა: – დავ-
ბრუნდები.

ჰანტერის წასვლის მერე მოხუცმა მიმოყრილი ფიც-
რები და ტოტები წამოკრიფა და მინავლებული ცეცხლი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაალვივა. მერე პირდაპირ შპალებზე ჩამოჯდა და ზურგჩანთა გაქექა. საშა გვერდით მიუჯდა. ჩუმად ადევნებდა თვალ-ყურს. მოხუცმა გაცვეთილი და ჭუჭყიანი რვეული ამოიღო, ფრთხილად გახედა გოგონას, გვერდზე გაიწია და ფურცლისკენ დაიხარა. უცებ ელდანაკრავივით წამოხტა და ბებრულად მიირბინა გვირაბის გასასვლელთან, დარწმუნდა, რომ ბრიგადირი ნამდვილად წასულიყო და შვებით ამოისუნთქა. ზურგით ჭიშკარს მიეყრდნო, საშასგან მოშორებით დაჯდა და თავი ჩარგო საკითხავში.

უცნაურად კითხულობდა: რაღაცას გაუგებრად ბურტყუნებდა, მერე ხელთათმანები მოიხსნა, წყლიანი მათარა ამოიღო და რატომღაც თავისი რვეულის დანამვას შეუდგა. კიდევ ცოტა წაიკითხა და ხელები შარვალზე შეიწმინდა. მერე შუბლში შემოიკრა ხელი, რატომღაც აირწინალსაც შეეხო და ისევ კითხვა განაგრძო. მისი მღელვარება საშასაც გადაედო, თავისი ფიქრები გადაავიწყდა და ახლოს მიუჩოჩდა.

მოხუცი ისე გართულიყო, რომ გოგონას მიახლოება არ შეუმჩნევია. მისი გაუფერულებული, მომწვანო თვალები კოცონის შუქზე აირწინალის მინებიდან ავადმყოფურად ელავდა. დროდადრო თავს ასწევდა და, კითხვას მოწყვეტილი, ფრთხილად გახედავდა შავი ცის ნაწილს გვირაბის ბოლოს, რომელსაც არაფერი ეფარებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თავგადაპარსული არ მოდიოდა. აი, მაშინ კი რვეული მთლიანად შთანთქავდა მას.

საშა მიხვდა, რომ მისი თანამგზავრი სისხლისგან შეწებებულ ფურცლებს დასაშორიშორებლად ნამავდა. ჩანდა, ფურცლები არ ემორჩილებოდნენ, რადგან ერთხელ ისე წამოიყვირა, თითქოს ხელი გაიჭრაო: თურმე ერთი ფურცელი გაეხა. მოხუცმა შეიგინა და გოგონას ცნობისმოყვარე მზერა მაშინლა შეამჩნია. შეშფოთებულმა სწრაფად გაის-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნორა აირწინალი და დღიურს მიუბრუნდა. სანამ ბოლომდე არ ჩაიკითხა, გოგონასათვის სიტყვაც არ უთქვამს.

მერე კოცონთან მიირბინა და რვეულს შიგ ჩაუძახა. საშას არ უყურებდა და მანაც იგრძნო: ახლა გამოკითხვას აზრი არ ჰქონდა – ან მოატყუებდა, ან საერთოდ გაჩუმდებოდა. თანაც გოგონას ახლა სხვა რამ უფრო აღელვებდა, მაგალითად, ის, რომ თავგადაპარსული თითქმის ერთი საათის წინ წავიდა და ჯერაც არ დაბრუნებულიყო. იქნებ მიატოვა თანამგზავრები, როგორც ზედმეტი ტვირთი?!

საშა მოხუცს მიუჩოჩდა და ჩუმად ამცნო:

– მეორე გვირაბიც დაკეტილია. ახლომახლო ყველა შახტა დაგმანულია.

ჰომეროსი ისე დაიბნა, რომ ძლივს გაიაზრა გოგონას ნათქვამი.

– ის იპოვის გზას, რომ შიგნით შეაღწიოს. მას ალღო აქვს, – მოხუცი გაჩუმდა და წუთის შემდეგ ჰკითხა: – რა გქვია?

– ალექსანდრა, – მიუგო გოგომ, – შენ?

– ნიკოლაი... – დაიწყო მან და ხელი გაუწოდა, მაგრამ გადაიფიქრა, ხელი უკან გასწია და თქვა: – ჰომეროსი. მე ჰომეროსი მქვია.

– უცნაური მეტსახელია, – თქვა საშამ.

– ეს სახელია, – მკაცრად შეუსწორა ჰომეროსმა.

ღირს, აუხსნას, რომ სანამ მათთანაა, კარს არ გაულებენ? მხოლოდ ჰომეროსისა და თავგადაპარსულისთვის შეიძლება გაელოთ კიდეც, მაგრამ „კოლომენსკაია" საშას არ გაუშვებს, ეს სასჯელია იმის გამო, როგორც მამას მოექცა. გოგონა გაიქცა, ჯაჭვი დაჭიმა, მაგრამ მისი გაწყვეტა ვერ შეძლო. სადგურმა ერთხელ უკვე დაიბრუნა და მეორედაც დაიბრუნებს...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორც უნდა ეცადა ამ ფიქრებისა და წარმოდგენების განდევნა, ისინი სისხლისმსმელი მწერებივით ხელის გაწვდენაზე მიფრინავდნენ, შემდეგ კი ბრუნდებოდნენ და თავს დასტრიალებდნენ, ყურებსა და თვალებში უძვრებოდნენ.

მოხუცმა კიდევ რაღაც ჰკითხა საშას, მაგრამ გოგონამ არ უპასუხა: თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, ყურებში კი მამის ხმა უმეორებდა: „ადამიანის სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია". ახლა სრულად ესმოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა.

* * *

ის, რაც „ტულსკაიაზე" ხდებოდა, ჰომეროსისთვის საიდუმლო აღარ იყო. ყველაფერი იმაზე მარტივი და საშინელი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა. მაგრამ კიდევ უფრო საშიში ახლა იწყებოდა, როცა ბლოკნოტი გაშიფრა. დღიური ჰომეროსისთვის „შავ ნიშნად" იქცა – ერთი მიმართულების ბილეთად, რომლის დაწვაც კი ვერაფერს შეცვლიდა.

გარდა ამისა, ჰანტერთან დაკავშირებული მისი ეჭვებიც საკმაოდ საფუძვლიანი, ცალსახა მტკიცებულებებით გამყარდა, თუმცა მოხუცს წარმოდგენა არ ჰქონდა, ამ მტკიცებულებებისთვის რა უნდა ექნა. ის, რაც დღიურში წაიკითხა, სრულიად ეწინააღმდეგებოდა ბრიგადირის მტკიცებებს. ბრიგადირი იტყუებოდა და სრულიად შეგნებულად. მოხუცს ტყუილის მიზეზი უნდა გაერკვია. ამაზე იყო დამოკიდებული, გაჰყვებოდა თუ არა ჰანტერს და თავგადასავალი გმირულ ეპოსად იქცეოდა თუ კოშმარულ ბრძოლად, რომელსაც ცოცხალი მოწმე არ დარჩებოდა.

პირველი ჩანაწერი იმ დღით თარიღდებოდა, როდესაც ქარავანმა დანაკარგის გარეშე გაიარა „ნაგორნაია" და „ტულსკაიაზე" ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შევიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ტულსკაიამდე" გვირაბები წყნარი და სუფთაა. სწრაფად მივდივართ, კარგი ნიშანია. მეთაური ვარაუდობს, რომ ხვალ ნამდვილად უკან დავბრუნდებით", – იუწყებოდა დლიური, რომელიც პერიოდულად განახლდებოდა.

„...ტულსკაიაზე" შესასვლელთან დარაჯები არ დგანან. მზვერავი გავუშვით. დაიკარგა".

„...მეთაურმა გადაწყვიტა, სადგურისაკენ ყველანი ერთად წავიდეთ. შტურმისთვის ვემზადებით".

„ვერ ვხვდებით, რა ხდება... ვესაუბრებით ადგილობრივებს. საქმე ცუდადაა. რაღაც ავადმყოფობაა".

„სადგურზე რამდენიმე ადამიანი ავადაა... უცნობი დაავადებაა".

მექარავნეები, რა თქმა უნდა, ავადმყოფების დახმარებას ცდილობდნენ.

„ფერშალმა ვერ იპოვა წამლები. ამბობს, ცოფს ჰგავსო... არანორმალურ ტკივილს გრძნობენ, შეურაცხადები არიან... თავს ესხმიან ყველას... ავადმყოფობით დასუსტებულებს სერიოზული ზიანის მიყენება არ შეუძლიათ. უბედურება სხვა რამეა".

სწორედ აქ, თითქოს ჯიბრზე, გვერდები შეწებებულიყო და ჰომეროსი იძულებული გახდა, წყლით დაენამა.

„სინათლის შიში. პირღებინება. პირში სისხლი. ხველა. გასივება... გადაიქცევიან..."

მომდევნო სიტყვა გულდასმით იყო გადახაზული.

„უცნობია, როგორ ხდება გადადება. ჰაერით? კონტაქტით?"

„რაზმი იგვიანებს", – ეს უკვე მეორე დღის ჩანაწერია.

– თავის დროზე რატომ არავის შეატყობინეს? – ჰკითხა მოხუცმა თავის თავს და მაშინვე გაახსენდა, რომ პასუხი სადღაც უკვე ნახა. გადაშალა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„კავშირი არ არის. ტელეფონი დუმს. შეიძლება დივერსიაა. რომელილაც გაძევებულის შურისძიება? ჩვენამდე ალმოაჩინეს. ავადმყოფებს ჯერ გვირაბში ყრიდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა კაბელი გადაჭრა?“.

სწორედ ამ ადგილას ჰომეროსმა მზერა მოსწყვიტა ასოებს და უაზროდ გახედა სივრცეს. ვთქვათ, კაბელი გადაჭრილი იყო. „სევასტოპოლსკაიაზე“ რატომ არ დაბრუნდნენ?“

„უარესი. სანამ გამომჟღავნდება, ერთი კვირა უნდა. იქნებ მეტიც? მერე სიკვდილამდე კიდევ ერთი-ორი კვირაა. ვერ გაარკვევ, ვინაა ავადმყოფი და ვინ – ჯანმრთელი. არაფერი შველის. წამალი არაა. ასპროცენტიანი სიკვდილია“.

ერთი დღის შემდეგ მეკავშირემ კიდევ ერთი, ჰომეროსისთვის უკვე ცნობილი ჩანაწერი გააკეთა:

„ტულსკაიაზე ქაოსია. მეტროში გასასვლელი ჰანზამ დაბლოკა. სახლში დაბრუნდება არ შეიძლება... – შემდეგ გვერდზე კი ეწერა: – ჯანმრთელები განსაკუთრებით აგრესიულ ავადმყოფებს ესვრიან. ავადმყოფებისთვის ადგილი შემოლობეს... წინააღმდეგობას უწევენ, გარეთ გამოშვებას ითხოვენ... – და მერე მოკლედ, საშინლად: – ერთმანეთს ჭამენ...“

მეკავშირეც შეშინებული იყო, მაგრამ რკინის დისციპლინა რაზმში შიშს პანიკაში გადაზრდის საშუალებას არ აძლევდა. სასიკვდილო ციებ-ცხელების ეპიცენტრშიც კი „სევასტოპოლსკაიას“ ბრიგადა „სევასტოპოლსკაიას“ ბრიგადად რჩებოდა...

„სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება, საფგური იზოლირებულია. კომენდანტი დანიშნეს. ჩვენები ყველანი კარგად არიან, მაგრამ ჯერ ძალიან ცოტა დროა გასული“.

„სევასტოპოლსკაიადან“ გაგზავნილი სამძებრო რაზმი „ტულსკაიაზე“ მშვიდობით მივიდა და, ცხადია, იქ გაიჭედა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მივიღეთ გადაწყვეტილება, აქ დავრჩეთ, სანამ საინკუბაციო პერიოდი არ გაივლის, რომ სხვებს საფრთხე არ შევუქმნათ... ან სამუდამოდ..." – წერდა განწირული მეკავშირე.

„გამოუვალი მდგომარეობაა. დახმარებას არსაიდან ველით. „სევასტოპოლსკაიას" რომ ვთხოვოთ, ჩვენიანებს გამოვუტანთ განაჩენს. მხოლოდ მოთმინება დაგვრჩენია... როდემდე?"

ესე იგი, „ტულსკაიას" ჰერმეტულ ჭიშკართან საიდუმლო გუშაგები „სევასტოპოლსკაიას" დაყენებული იყო? მათი ხმები ტყუილად როდი ეცნო ჰომეროსს: მორიგეობდნენ ადამიანები, რომლებთან ერთადაც რამდენიმე დღის წინ „ჩერტანოვსკაიას" ხაზს იცავდა ვამპირებისგან! მათ ნებაყოფლობით თქვეს უარი უკან დაბრუნებაზე და იმედი ჰქონდათ, რომ ასე გადაარჩენდნენ მშობლიურ სადგურს დასნებოვნებისგან...

„გადაეცემა ადამიანიდან ადამიანს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჰაერშიცაა. ზოგს მგონი იმუნიტეტი აქვს. ამ ორ კვირაში ყველა არ დაავადდა... მაგრამ ყველა დაავადებული კვდება. მორგში ვცხოვრობთ"

„ვინ მოკვდება შემდეგი? – ისტერიკული ტონი იგრძნობოდა, – რამე უნდა ვიღონოთ. უნდა გავაფრთხილოთ. მოხალისედ წავალ. „სევასტოპოლსკაიამდე" არა, ვიპოვი, სადაა დაზიანებული კაბელი. უნდა დავრეკო. აუცილებლად".

კიდევ რამდენიმე დღე გავიდა ქარავნის მეთაურთან უხილავ ბრძოლაში, სხვა მებრძოლებთან უხმო კამათში და სასოწარკვეთაში. ყველაფერი, რის მიწვდენასაც მშობლიური სადგურისათვის ცდილობდა, მეკავშირემ ძალა მოიკრიბა და თავის დღიურში გადაიტანა.

„ვერ ხვდებიან, თუ როგორ ჩანს ეს ყველაფერი „სევასტოპოლსკაიადან"! უკვე ერთი კვირაა, ბლოკადაში ვართ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოუშვებენ კიდევ ერთ სამეულს, რომელიც ასევე ვერ შეძლებს უკან დაბრუნებას. მერე დიდ ბრიგადას გამოუშვენებ და შტურმით აიღებენ. მობილიზაციას გამოაცხადებენ. ყველა, ვინც მოვა „ტულსკაიაზე", რისკის ზონაშია, ვილაც დაავადდება და სახლში გაიქცევა. მორჩა, შტურმი უნდა შევწყვიტოთ! არ ესმით..."

ხელმძღვანელობასთან დაკავშირების კიდევ ერთი, მორიგი უშედეგო მცდელობა...

„არ გვიშვებენ... ჭკუიდან გადავიდნენ. მე თუ არა, სხვა ვინ? უნდა გავიქცე".

„თავი უნდა მოვაჩვენო, თითქოს დავწყნარდი, თითქოს მზად ვარ, დავიცადო, – წერდა ერთი დღის შემდეგ, – ჰერმეტულ ჭიშკართან გავედი სამორიგეოდ. დავიყვირე, რომ ვიპოვი, სად არის კაბელი განყვეტილი, გავიქეცი. ზურგში მესროლეს. ტყვია გაიჭედა".

ჰომეროსმა გადაშალა.

„ჩემთვის არა. ნატაშკასთვის, სერიოჟკასთვის. ჩემი თავის გადარჩენაზე არც მიფიქრია. მათ იცოცხლონ. რომ სერიოჟკამ..."

შემდეგი სიტყვა აღარ იკითხებოდა. ალბათ დასუსტებულ ხელში კალამი უკანკალებდა. შეიძლება ეს მოგვიანებით დაამატა, რადგან ადგილი გათავდა, ან იმიტომ, რომ უკვე სულ ერთი იყო, სად დაწერდა. მერე არეული თანმიმდევრობა დალაგდა:

„ნაგორნაიაზე გამიშვეს, მადლობა... ძალა აღარ მაქვს. მივდივარ. მივდივარ. გული წამივიდა. რამდენ ხანს მეძინა? არ ვიცი. ფილტვში სისხლი მაქვს? ტყვიისგან თუ ავად ვარ. არ... – ასოები სწორ ხაზად გრძელდებოდა, როგორც მომაკვდავის ენცეფალოგრამა, მაგრამ მერე სწორდებოდა და აზრს ასრულებდა: – ...ვერ ვპოულობ დაზიანებულ ადგილს".

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ნახიმოვსკი. მოვალწიე. ვიცი, სადაცაა ტელეფონი. გავაფრთხილებ, რომ არ შეიძლება! გადარჩენა... ცოლი, მუნატრება...“

სულ უფრო არეულად წერდა, ფურცლებს სისხლიანი ნახველის კვალი აჩნდა.

„დავრეკე. გაიგეს? ვკვდები. უცნაურია. დავიძინებ. ტყვეები არ მაქვს. მინდა, იმაზე ადრე დავიძინო, სანამ ესენი გარშემო დგანან, ელოდებიან... ჯერ ცოცხალი ვარ, გადით!“

დღიური ალბათ წინასწარ იყო დასათაურებული. გამართული, ლამაზი ხელით ეწერა მოწოდება, რომ „ტულსკაია“ შტურმით არ აეღოთ და მისი სახელი, ვინც სიცოცხლე გახნირა, რომ ეს არ მომხდარიყო. დღიურის ბოლოს კი, ის, რის დაწერაც მოასწრო მეკავშირემ, სანამ მისი სიგნალი საბჭოდამოდ ჩაქრებოდა, ეს ფრაზა იყო: „ჯერ ცოცხალი ვარ, გადით!“

* * *

ცეცხლს მიფიცხებული ორი ადამიანი მძიმე სიჩუმეში გახვეულიყო. ჰომეროსი ალარ ცდილობდა გოგონას გამოფხიზლებას. უხმოდ ქექავდა ჯოხით ცეცხლში ნაცარს, სადაც მძიმედ, როგორც ერეტიკოსი, ინვოდა დასველებული ბლოკნოტი, და სულში ამოვარდნილი ქარიშხლის ჩადგომას ელოდებოდა.

ბედი დასცინოდა. როგორ უნდოდა ამოეხსნა „ტულსკაიას“ საიდუმლო! როგორ ამაყობდა დღიურის პოვნით, ყოყოჩობდა, რომ მარტომ შეძლო ამ ისტორიის ყველა კვანძის გახსნა... და რა? მოხუცი თავის ცნობისმოყვარეობას წყევლიდა.

კი, როცა დღიური იპოვა, რესპირატორით სუნთქავდა და დამცავი კოსტიუმიც ეცვა, მაგრამ ვინ იცის, როგორ ვრცელდება დაავადება!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა სულელი იყო, როცა ეშინოდა, რომ არც ისე ბევრი დარჩა! ეს ეხმარებოდა დაეძლია სიზარმაცე და გადაელახა შიში. მაგრამ სიკვდილი თავნებაა და არ უყვარს ის, ვინც მის გაცურებას ცდილობს. ეს დღიური მას განსაზღვრულ დროს უნიშნავდა: რამდენიმე კვირა დაავადებიდან სიკვდილამდე. თუნდაც მთელი თვე! რამდენი რამ უნდა მოასწროს ამ საცოდავ ოცდაათ დღეში...

რა ქნას? გამოუტყდეს თავის თანამგზავრებს, რომ ავადაა, და „კოლომენსკაიაზე" წავიდეს სასიკვდილოდ? იქ ავადმყოფობისგან თუ არა, შიმშილისა და რადიაციისგან მაინც მოკვდება. მაგრამ თუ იმ საშინელი დაავადების მატარებელია უკვე, მაშინ ჰანტერიც და გოგონაც, რომლებთან ერთადაც სუნთქავს, უკვე დაავადებულები არიან. განსაკუთრებით ბრიგადირი – „ტულსკაიაზე" გუშაგებსაც ელაპარაკა, ძალიან ახლოს მივიდა მათთან.

იქნებ იმედი არ უნდა დაკარგოს, რომ ავადმყოფობა გვერდს აუვლის, დაიმალება და დაელოდება? ცხადია, იმისათვის, რომ ჰანტერთან ერთად მოგზაურობა გააგრძელოს; რომ მოვლენათა ქარიშხალმა, რომელმაც ასე აიტაცა, აღარ გაუშვას და შთაგონების ძებნაში დაეხმაროს.

დღიურის გახსნით კვდებოდა ნიკოლაი ივანოვიჩი – „სევასტოპოლსკაიას" უსარგებლო და უნიჭო მკვიდრი, მემანქანის ყოფილი თანაშემწე, დედამინის მიზიდულობით მიწას გაკრული ბებერი მუხლუხო, და იბადებოდა ჰომეროსი – მემატიანე და მითოლოგი, ერთდღიანი ჭრელი პეპელა. დღიურის ამბავი სინამდვილეში იქნებ სწორედ ბუმბერაზთა კალმის ღირსი ტრაგედიის ჩანასახია და ახლა მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა, ხორცი შეასხას და ფურცელზე დაიტანოს იმ ოცდაათ დღეში, რომელიც ამ საქმისათვის გამოეყო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰქონდა კი უფლება, არ გამოეყენებინა ან უგულებელყო ეს შანსი და განდეგილობით ნებაყოფლობით ეთქვა უარი უკვდავებაზე? რა უფრო დიდი სისულელე იქნება: ჭირის ჩირაღდანი მთელ მეტროში გაატაროს თუ დაწვას თავისი ხელნაწერები და თავადაც მათთან ერთად დაიფერფლოს?

როგორც პატივმოყვარე და სულმოკლე ადამიანს, ჰომეროსს უკვე აერჩია და ახლა არგუმენტებს ეძებდა არჩეულის სასარგებლოდ: რას მოიგებს, თუკი „კოლომენსკაიაზე" ორ სხვა მკვდართან ერთად მუმიად იქცევა? ის არ არის გაჩენილი გმირობისთვის. „სევასტოპოლსკაიას" მებრძოლთა არჩევანი, მკვდრებში ჩაეწერონ, მათი არჩევანია და, შესაძლოა, არც ისე ცუდი – მარტოობაში მაინც არ მოუწევთ სიკვდილი; ჰომეროსის თავგანწირვას კი რა აზრი აქვს? ჰანტერს მაინც ვერაფრით შეაჩერებს. თავად ავადმყოფობა ისე გადაჰქონდა, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა, ჰანტერისთვის კი ყველაფერი ჯერ კიდევ „ტულსკაიაზე" შეხვედრის წუთიდან იყო ცნობილი. ტყუილად როდი მოითხოვდა კატეგორიულად სადგურის ყველა მცხოვრების სრულ განადგურებას ცეცხლმტყორცნებით!

და თუ ორივენი უკვე არიან ამ სენის მატარებლები, ეპიდემია „სევასტოპოლსკაიას" აუცილებლად მისწვდება. უპირველესად კი მათ, რომლებთანაც ჰანტერს და ჰომეროსს პირდაპირი შეხება ჰქონდათ: ელენას, სადგურის უფროსს, პერიმეტრის მეთაურს, მათ ადიუტანტებს... ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამი კვირის შემდეგ სადგური კვლავ ხელმძღვანელობის გარეშე დარჩება, ქაოსში ჩაიძირება და თანდათან დაიცლება.

ნეტავ თვითონ ჰანტერი როგორ აპირებს დაავადების თავიდან არიდებას? რატომ დაბრუნდა „სევასტოპოლსკაიაზე", თუკი ეჭვობდა, რომ თავადაც ინფიცირებული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყო? ჰომეროსი მიხვდა, რომ ბრიგადირი ინტუიციით კი არ მოქმედებდა, ნაბიჯ-ნაბიჯ ასრულებდა კონკრეტულ გეგმას, რომელიც მოხუცმა თავისდაუნებურად აურ-დაურია.

გამოდის, „სევასტოპოლსკაია" ნებისმიერ შემთხვევაში განწირულია და ეს ექსპედიცია აზრს კარგავს! იმისათვის, რომ სადგურში დაბრუნდეს და ელენას გვერდით მშვიდად მოკვდეს, ჰომეროსმა მოგზაურობა უნდა დაასრულოს. მაგრამ „კახოვსკაიადან" „კაშირსკაიაზე" გადასვლისას აირწინალები მწყობრიდან გამოვიდა, ხოლო სკაფანდრები, რომლებმაც ასეულობით თუ არა, ათეულობით რენტგენი შთანთქა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოიხსნან. ალჭურვილობის გარეშე კი იმავე გზით უკან დაბრუნებას ველარ შეძლებენ. ჰომეროსი გამოსავალს ვერ ხედავდა.

გოგონა მოკუნტულიყო და ეძინა. კოცონმა, როგორც იქნა, დაფერფლა ჭირიანი დღიური და ჩაქრა. სიბნელეში დარჩენილ მოხუცს ფანარი არ აუნთია – ელემენტებს ზოგავდა. სიბნელე ფიქრში არ უშლიდა.

არა, იძულებულია, ბრიგადირთან ერთად გააგრძელოს გზა. თავს აარიდებს ადამიანებთან ურთიერთობას, რომ გადადების რისკი შეამციროს, ზურგჩანთას მთელი თავისი ბარგით აქ დატოვებს, ტანსაცმელს გაანადგურებს... მოწყალებით იცხოვრებს და უკუთვლით მაინც დაითვლის დარჩენილ ოცდაათ დღეს. წიგნზე ყოველდღე, შეუსვენებლივ იმუშავებს.

„რამენაირად ყველაფერი მოგვარდება, მთავარია, ჰანტერს გავყვე. არ უნდა ჩამოვრჩე", – თავს ირწმუნებდა მოხუცი.

მაგრამ ამ გეგმის შესასრულებლად ჯერ ჰანტერი უნდა დაბრუნებულიყო. მეორე საათი იწურებოდა მას მერე, რაც გვირაბის ბოლოს მკრთალ შუქში გაუჩინარდა. გოგონას კი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამშვიდებდა, მაგრამ მოხუცი აღარც თავად იყო დარწმუნებული, რომ ბრიგადირი დაბრუნდებოდა.

რაც უკეთ შეიცნობდა ჰანტერს, ჰომეროსს მით უფრო ნაკლებად ესმოდა მისი. ბრიგადირში ეჭვის შეტანა ისევე შეუძლებელი იყო, როგორც მისი ნდობა; არ ექვემდებარებოდა შესწავლას; არ ამჟღავნებდა ჩვეულებრივ, ადამიანურ ემოციებს. მისი და სტიქიის ნდობა ერთი და იგივე იყო, თუმცა, ჰომეროსი მაინც ენდო და ახლა დაგვიანებულ სინანულს აზრი არ ჰქონდა.

უკუნეთ სიბნელეში სიჩუმე აღარ იყო ყოვლისმომცველი. მასში საიდანღაც მოსული უცნაური ჩურჩული, ვიღაცის ტირილი და შრაშუნი ატანდა... მოხუცს ჯერ ლეშიჭამიების ფეხარეული სვლა ეგონა, მერე – „ნაგორნაიას" გიგანტი-მოჩვენებების სრიალი, ხანაც მომაკვდავთა ყვირილი ესმოდა. ათიოდე წუთში საბოლოოდ დანებდა და ფანრის ჩამრთველი გაატკაცუნა. მოულოდნელობისგან შეხტა – ორიოდ ნაბიჯში ჰანტერი იდგა და გულხელდაკრეფილი მძინარე გოგონას დაჰყურებდა. ფანრის შუქზე ხელით თვალები მოიჩრდილა და მშვიდად თქვა:

– ახლავე გაგვიღებენ.

* * *

საშა სიზმარს ხედავდა: აი, ისევ მარტოა „კოლომენსკაიაზე". მამის დაბრუნებას ელოდება „სეირნობიდან". ის კი იგვიანებს. საშა აუცილებლად უნდა დაელოდოს, ზედატანის გახდასა და აირწინაღის მოხსნაში უნდა დაეხმაროს, მერე ასადილოს. სადილი უკვე მოამზადა და აღარ იცის, რით გაიყვანოს დრო. უნდა, რომ ზემოთ ასასვლელ კარს მოშორდეს, მაგრამ იქნებ სწორედ იმ დროს დაბრუნდეს მამა? მაშინ ვინღა გაუღებს კარს? ამიტომაც გოგონა არსადაც არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიდის – ზის ცივ იატაკზე, ასასვლელთან. გადის საათები, გარბის დღეები, მამა არ ჩანს... არავითარ შემთხვევაში! საშა ფეხს არ მოიცვლის თავისი ადგილიდან, სანამ კარი არ...

საკეტის გრუხუნმა გააღვიძა – ზუსტად ისეთმა, როგორსაც „კოლომენსკაიას" ჰერმეტული საკეტი გამოსცემდა გახსნისას. გოგონამ ღიმილით გაახილა თვალი: მამა დაბრუნდა! მიმოიხედა და ყველაფერი გაახსენდა.

გამქრალი ხილვიდან რეალური მხოლოდ რკინის ჭიშკარზე მძიმე საკეტების გრუხუნის ხმა იყო. წუთის შემდეგ გიგანტური კარი შეზანზარდა და მძიმედ დაიძრა. ღრიჭო ნელ-ნელა გაფართოვდა და შიგნიდან სინათლემ და დიზელის ხუნმა გამოჯონა. დიდ მეტროში შესასვლელი...

კარი რბილად გაიწია და გააშიშვლა გვირაბის ღრუ, რომელიც „ავტოზავოდსკაიაზე" და მერე წრიული ხაზისკენ მიემართებოდა. რელსებზე დიდი, მოტორიანი დრეზინა იდგა, ზედ კი რამდენიმე კაცი იჯდა თავზე დამაგრებული პროჟექტორით. მათი ტყვიამფრქვევის სამიზნედან ორი თვალებმოჭუტული და თვალებზე ხელაფარებული წერტილი ჩანდა.

– ხელები!.. – გაისმა ბრძანება.

მოხუცის შემდეგ საშამაც მორჩილად ასწია ხელები. ეს სწორედ ის დრეზინა იყო, რომელიც ხიდზე საავჭროდ გადმოდიოდა ხოლმე. მისმა ეკიპაჟმა კარგად იცოდა საშას ისტორია. აი, მოხუცი უცნაური სახელით მალე ინანებს, რომ სადგურიდან წამოიყვანა ხელებშეკრული გოგონა ისე, რომ არც უკითხავს, ჰქონდა თუ არა ამის უფლება...

– აირწინალები მოიხსენით და საბუთები წარმოადგინეთ! – ბრძანეს დრეზინიდან.

საშა აირწინალს იხსნიდა და საკუთარ თავს სწყევლიდა სისულელის გამო. ვერავინ შეძლებს მის გათავისუფლებას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

განაჩენი, რომელიც გამოუტანეს მამას და, მასთან ერთად, მასაც, შეუცვლელია. როგორ დაიჯერა, რომ ეს ორი ადამიანი მოახერხებდა დიდ მეტროში მის შეყვანას?

– შენ, ჰეი, შენთვის აქ არ შეიძლება! – უცებ იცნეს საშა, – ათი წამი გაქვს, რომ გაქრე აქედან. ეს ვინღაა? ეს შენი...

– რა ხდება?! – დაიბნა მოხუცი.

– არ გაბედოთ! თავი დაანებეთ! ეს ის არ არის! – იყვირა საშამ.

– გაეთრიეთ აქედან, თორემ... – საბოლოო ბრძანება გასცა ავტომატიანმა, – ესროლეთ!

– გოგონას? – იკითხა ვილაცამ გაუბედავად.

– გიბრძანებ! – ავტომატის ჩამკეტი გატკაცუნდა.

საშამ უკან დაიხია, თვალები დახუჭა და ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში უკვე მესამედ მოემზადა სიკვდილთან შესახვედრად. უცებ რაღაც ჩუმად გატკაცუნდა და მიყუჩდა, ბრძანება კი არა და არ სრულდებოდა. აუტანელი ლოდინით გატანჯულმა გოგომ ოდნავ გაახილა ცალი თვალი.

დრეზინის მოტორი ისევ ხრჩოლავდა, პროჟექტორის შუქი კი რატომღაც ჭერისკენ იყო მიშვერილი. ახლა, როცა შუქი თვალს აღარ სჭრიდა, საშამ კარგად გაარჩია: დრეზინას ეკიპაჟი სრული შემადგენლობით გამოფატრული თოჯინებივით ეყარა ძარაზე და რელსებზე.

გოგო ინსტინქტურად შებრუნდა და ზურგს უკან მდგომი თავგადაპარსული დაინახა, რომელიც დრეზინას ყურადღებით აკვირდებოდა. მან ძირს დაშვებული იარაღი ისევ შემართა და კიდევ ერთხელ გამოჰკრა ჩახმახს.

– ახლა მორჩა, – კმაყოფილმა დაიგუგუნა მან, – გახადეთ ფორმები და მოხსენით აირწინაღები.

– რატომ? – სახე მოელრიცა მოხუცს.

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

– უნდა გამოვიცვალოთ. „ავტოზავოდსკაიას“ გავლით წავალთ მათივე დრეზინით.

საშა გაშეშდა. გაოგნებული შესცქეროდა მკვლელს. შიშს ალფრთოვანება ებრძოდა, ზიზღს მადლიერება ერეოდა. ამ კაცმა წამის წინ სამი ადამიანი დაუფიქრებლად გამოასალმა სიცოცხლეს, რითაც საშას მამის მთავარი მცნება დაარღვია. თუმცა, ეს იმისთვის გააკეთა, რომ მოხუცისა და საშას სიცოცხლე ეხსნა. ნუთუ შემთხვევით გადაარჩინა უკვე მეორედ? სიმკაცრე სისასტიკეში ხომ არ ერევა გოგონას?!

საშამ მხოლოდ ერთი რამ იცოდა დანამდვილებით: ამ ადამიანის უშიშრობა მის სიმახინჯეს ავიწყებდა.

თავგადაპარსული პირველი მივიდა დრეზინასთან და დასახიჩრებულ მტრებს რეზინის სკალპი ააძრო. უცებ, თითქოს თვით ეშმაკი დაინახაო, ყრუ ყვირილით გადახტა უკან, ხელები წინ გაიშვირა და ამოთქვა:

– შავი!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 9
ჰაერი

შიში და ძრწოლა ერთი და იგივე არ არის. შიში მოქმედებისკენ გიბიძგებს, გამჭრიახს გხდის. ძრწოლა კი სხეულის პარალიზებას იწვევს, ფიქრის უნარს გართმევს, ადამიანობას გაკარგვინებს. ჰომეროსს საკმაოდ ბევრი ჰქონდა ნანახი ცხოვრებაში და იცოდა განსხვავება შიშსა და ძრწოლას შორის.

ბრიგადირი, რომლისთვისაც შიში უცხო იყო, მოულოდნელად ძრწოლამ შეიპყრო. მაგრამ მიზეზი, რის გამოც ჰანტერი ამ დღეში ჩავარდა, კიდევ უფრო მეტად აოცებდა მოხუცს.

გვამი, რომლისთვისაც ჰანტერს აირწინალის მოხსნა მოესწრო, უჩვეულოდ გამოიყურებოდა. შავი რეზინის ქვეშ აღმოჩნდა შავი, პრიალა კანი, სქელი ტუჩები, ჩაჭყლეტილი, ფართო ცხვირი. შავკანიანები ჰომეროსს მას შემდეგ არ ენახა, რაც ტელევიზორში მუსიკალური არხების მაუწყებლობა შეწყდა, ანუ ოც წელზე მეტხანს, მაგრამ მოჯლულში სხვა რასის ადამიანის ამოცნობა არ გასჭირვებია. მოსკოვის მეტროში მისი გამოჩენა კურიოზი ნამდვილად იყო, მაგრამ საშიში?!

უცნაურმა შეტევამ, პრინციპში, ერთ წუთსაც კი არ გასტანა. ბრიგადირმა თავი ხელში აიყვანა, ფანარი ბრტყელ-ცხვირიან სახეს მიანათა, რალაც გაუგებრად იყვირა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გვამს უნიფორმა უხეშად გახადა. ჰომეროსი თავს დადებდა, რომ ამ დროს ნამდვილად გაიგონა თითების მსხვრევის ხმა.

– დაგვცინიან... კიდევ ერთხელ უნდა შეგვახსენონ, არა? ეს ადამიანურია?... ასეთი სასჯელი... – ხრიალებდა ჰანტერი.

ვინმეში შეეშალა? მკვდარს აწამებდა წუთიერი დამცირების სანაცვლოდ თუ ძველ ანგარიშს უსწორებდა? მოხუცი მალულად აპარებდა თვალს ბრიგადირისკენ და ზიზღით ხდიდა მეორე, სრულიად ჩვეულებრივ გვამს.

მორიდიორობაში გოგონა არ მონაწილეობდა. ის მოშორებით იჯდა რელსზე და სახე ხელებში ჩაერგო. ჰომეროსს მოეჩვენა, რომ გოგონა ტიროდა.

ჰანტერმა გვამები ჭიშკარს გარეთ გაათრია. ერთი დღის შემდეგ მათგან აღარაფერი დარჩებოდა. დღისით ქალაქში ისეთი არსებები მბრძანებლობდნენ, რომ ღამის საშინელი მხეცები ბუნაგებში იმალებოდნენ და მორჩილად ელოდებოდნენ თავიანთ დროს.

სხვისი სისხლით ერთიანად გაჟღენთილი მუქი უნიფორმა ჰომეროსს ცივად ეკვროდა მუცელსა და მკერდზე. კანის და გონების საზიზღარი ქავილით, სისხლი თითქოს ცოცხალ სხეულში დაბრუნებას ლამობდა. ჰომეროსი თავის თავს ეკითხებოდა, ნუთუ მთელი ეს მასკარადი ასე აუცილებელიაო, და თავს იმით იმშვიდებდა, რომ ეს ყოველივე „ავტოზავოდსკაიაზე“ ახალ მსხვერპლს აარიდებდა თავიდან. თუ ჰანტერის გათვლა სწორი იყო, მათ დაუბრკოლებლად გაატარებდნენ, რადგან თავისიანებად მიიჩნევდნენ... მაგრამ თუ ის ცდებოდა? საერთოდაც, ცდილობდა კი ჰანტერი, თავის გზაზე მკვლელობების რაოდენობა შეემცირებინა?

ბრიგადირის სისასტიკე არა მხოლოდ აფრთხობდა ჰომეროსს, არამედ აინტრიგებდა კიდეც. თავდაცვა მისი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მკვლელობების მესამედსაც კი არ ამართლებდა, თუმცა, ვერცერთ მკვლელობას ვერც ჩვეულებრივ სადიზმში ჩაუთვლიდი. მოხუცს ვერაფრით აეხსნა, რისთვის მიდიოდა ჰანტერი „ტულსკაიაზე"? ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი ლტოლვა, სისხლის წყურვილი დაეკმაყოფილებინა?|

მართალია, იმ სადგურზე ხაფანგში გაბმული უბედურები ვერაფერს გახდნენ საიდუმლო დაავადების წინააღმდეგ. მაგრამ განა ეს ნიშნავდა, რომ გამოსავალი საერთოდ არ იყო? მინისქვეშა სამყაროში ხომ ჯერ კიდევ იყო ადგილები, სადაც მეცნიერული აზრი ბჟუტავდა, სადაც კვლევები მიმდინარეობდა, ახალი წამლები მუშავდებოდა, დაავადების საწინააღმდეგო შრატები მზადდებოდა. მაგალითად, პოლისში – ოთხი არტერიის შესართავში, მეტროს გულში, რომელიც ნამდვილი ქალაქის უკანასკნელი ანალოგი იყო. ის ოთხი სადგურის – „არბატსკაიას", „ბოროვიცკაიას", „ალექსანდროვის ბაღისა" და „ლენინის სახელობის ბიბლიოთეკების" – გადასასვლელებს აერთიანებდა და გადარჩენილი ექიმებისა და მეცნიერების ქალაქი იყო. ჰანზას საკუთრებაშივე იყო საიდუმლო სამეცნიერო ქალაქი უზარმაზარ ბუნკერში, სადგურ „ტაგანსკაიასთან" ახლოს.

იქნებ „ტულსკაია" სულაც არ იყო პირველი სადგური, სადაც ეს ეპიდემია გავრცელდა? იქნებ ვინმემ მოახერხა მისი დამარცხება?

„ნუთუ შესაძლებელია ასე მარტივად თქვა უარი გადარჩენის იმედზე?" – ეკითხებოდა ჰომეროსი თავის თავს.

ცხადია, მას, რომელიც საკუთარი სხეულით ავადმყოფობის საათისმექანიზმიან ნაღმს ატარებდა, პირადი ინტერესები ჰქონდა. გონებით თითქმის შეჰგუებოდა მოახლოებულ აღსასრულს, მაგრამ ინსტინქტები გამოსავლის პოვნას ითხოვდნენ. „ტულსკაიას" გადარჩენა მშობლიური სადგურისა და თავის გადარჩენასაც ნიშნავდა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩანდა, მისგან განსხვავებით, ჰანტერს არ სჯეროდა წამლის არსებობის. „ტულსკაიას" გუშაგებთან გადალაპარაკებით მან მთელ სადგურს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და თავადვე შეუდგა განაჩენის აღსრულებას. „სევასტოპოლსკაიას" ხელმძღვანელობა, ბანდიტების შესახებ არაკით, შეცდომაში შეიყვანა და ახლა ჯიუტად ცდილობდა „ტულსკაიას" გადაწვას.

იქნებ მან ისეთი რამ იცოდა სადგურის შესახებ, რაც ყველაფერს ისევ თავდაყირა აყენებდა? რაღაც ისეთი, რის შესახებ არც ჰომეროსმა იცოდა და არც დღიურის პატრონმა?..

როგორც კი გვამების გაძარცვა დაასრულა, ბრიგადირმა მათარა მოიგლიჯა და შიგთავსი ბოლომდე გამონრუპა. რა იყო მასში? სპირტი? ამ სასმელს სანელებლად იყენებდა თუ პირში დარჩენილი საშინელი გემოს მოსაშორებლად? მომენტს აგემოვნებდა თუ მის დავიწყებას ცდილობდა? იქნებ სულაც საკუთარ თავში რაღაცის ჩახშობას ლამობდა?

* * *

ძველი დრეზინა საშას წარმოდგენაში მამას მიერ ნაამბობი ზღაპრებიდან გადმოსულ დროის მანქანას ჰგავდა, რომელსაც ერთი სადგურიდან მეორეში კი არ გადაჰყავდა გოგონა, არამედ აწმყოდან წარსულში აბრუნებდა. თუმცა, აწმყო ეწოდებინა იმ ქვის აკლდამისთვის, სადაც მან ბოლო წლები გაატარა, ამ სივრცისა და დროის ბრმა წანაზარდისათვის, მხოლოდ მას თუ მოუვიდოდა აზრად.

საშას კარგად ახსოვდა მისკენ პირველად გავლილი გზა: ხელებშეკრული მამა თვალებზე ჩამოფხატული ნაქსოვი ქუდით და პირში ჩაჩრილი ჩვრით, გვერდით ეჯდა, თავად სულ მთლად პატარა იყო და გაუჩერებლად ტიროდა. სა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცეცხლე გუნდის ერთი ჯარისკაცი თითების ჩრდილებით ცხოველებს უჩვენებდა პატარა, ყვითელ სცენაზე, რომელიც დრეზინასთან ერთად მიქროდა გვირაბის ჭერზე.

მამას განაჩენი მაშინ წაუკითხეს, როდესაც ხიდზე გადავიდნენ: რევოლუციურმა ტრიბუნალმა ის შეიწყალა და სიკვდილით დასჯა სამუდამო გადასახლებით შეუცვალა. რელსებზე ჩააგდეს, დანა, ავტომატი ერთი მჭიდით და ძველი აირწინაღი გადაუგდეს, საშას კი ჩასვლაში დაეხმარნენ. ჯარისკაცმა, რომელიც გზაში ჩრდილებით ართობდა, ხელიც კი დაუქნია.

დღეს დახოცილთაგან ნეტავ რომელიმე ხომ არ იყო ის ჯარისკაცი?

შეგრძნება, რომ სხვის კუთვნილ ჰაერს სუნთქავდა, საშას მაშინ უფრო გაუმძაფრდა, როდესაც შავ აირწინაღს იკეთებდა. მისი გზის ყოველი პატარა ნაწილი ვიღაცას სიცოცხლის ფასად უჯდებოდა. თავგადაპარსული მათ ალბათ სხვა შემთხვევაშიც დახოცავდა, მაგრამ ახლა საშა იყო მის გვერდით და, შესაბამისად, მკვლელობაში თანამონაწილეც.

მამა მხოლოდ იმიტომ კი არ ამბობდა უარს შინ დაბრუნებაზე, რომ ბრძოლით დაილალა, არამედ იმიტომ, რომ მიაჩნდა, მისი მთელი დამცირება და უუფლებობა ერთი ადამიანის სიცოცხლედაც კი არ ღირდა. იტანჯებოდა თვითონ, რომ სხვები არ დატანჯულიყვნენ. საშამ იცოდა, რომ სასწორის პინა, რომელზეც მამამისის ნებით წართმეული სიცოცხლეები ელაგა, სწონიდა ყველაფერს, მაგრამ მამა წონასწორობის აღდგენას ცდილობდა.

ხომ შეეძლო თავგადაპარსულს, რომ დროულად ჩარეულიყო, მხოლოდ გამოჩენით შეეშინებინა დრეზინაზე მყოფი ხალხი და გასროლის გარეშე განეირაღებინა ისინი?! საშა სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მოკლულთაგან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არც ერთი არ იყო თავგადაპარსულის ღირსეული მოწინააღმდეგე.

მაშ, რატომ მოიქცა ჰანტერი ასე?

მისი ბავშვობის სადგური იმაზე ახლოს აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა: ათი წუთიც არ იყო გასული, რომ წინ შუქი გამოჩნდა. „ავტოზავოდსკაიას“ მისასვლელებს არავინ იცავდა. მისი მცხოვრებლები ალბათ დაკეტილი ჰერმეტული ჭიშკრის იმედად იყვნენ. პლატფორმამდე ორმოცდაათიოდე მეტრში თავგადაპარსულმა სიჩქარეს უკლო, ჰომეროსს საჭესთან დადგომა უბრძანა, თვითონ კი ტყვიამფრქვევთან გადაინაცვლა.

დრეზინა სადგურზე ან თითქმის უხმაუროდ და ნელა შევიდა, ან დრო გაჩერდა საშასთვის, რომ მოესწრო ყველაფრის დანახვა და გახსენება.

იმ დღეს მამამ საშა თავის ორდინარეცს დაუტოვა და უბრძანა, ბავშვი დაემალა, სანამ ყველაფერი მოგვარდებოდა. მან საშა სადგურის სილრმეში, ერთ-ერთ სამსახურეობრივ ოთახში წაიყვანა. მაგრამ იქაც კი გაიგონეს, რამდენიმე ასეულმა ხმამ როგორ დასჭექა ერთიანად. ორდინარეცი უკან გაიქცა, რომ თავისი მეთაურის გვერდით ყოფილიყო. საშაც უკან დაედევნა და ცარიელი დერეფნებიდან დარბაზში გავიდა...

დრეზინა პლატფორმას მიუყვებოდა. საშა შესცქეროდა ფართოდ გაშლილ საოჯახო კარვებს, კანტორებად მოწყობილ ვაგონებს, მოთამაშე ბავშვებს, მოლაქლაქე მოხუცებს, იარალის წმენდაში გართულ დაბღვერილ კაცებს და ხედავდა მამას, რომელიც სათავეში ედგა შეშინებული მამაკაცების ვიწრო მწკრივს, ხალხის უსასრულო, მღელვარე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაკადის შეკავებას რომ ცდილობდა. საშამ მამასთან მიირბინა და ზურგზე აეკრა. კაცი გაოგნებული შემობრუნდა, ხელის კვრით მოიშორა შვილი და სილა გააწნა ადიუტანტს, რომელმაც იმავე წამს მოირბინა. მწყობრმა, რომელსაც იარაღი მომზადებული ჰქონდა და ცეცხლის გახსნის ბრძანებას ელოდა, უკან დახევის ბრძანება მიიღო. ერთადერთი გასროლა მოესწრო ჰაერში: მამამ რევოლუციონერებისათვის სადგურის მშვიდობით გადაცემის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო.

მას მტკიცედ სჯეროდა: ადამიანებს მუდმივად მინიშნებები ეძლევათ. მხოლოდ უნდა შეძლო მათი დანახვა და სწორად წაკითხვა.

არა, დრო მხოლოდ იმისთვის არ შეჩერებულა, რომ საშა ბავშვობის უკანასკნელ დღეში დაბრუნებულიყო. დრეზინისკენ წამოსული შეიარაღებული კაცები მან პირველმა დაინახა. დაინახა, თავგადაპარსული როგორ სწრაფად აღმოჩნდა ჩახმახთან და რა სისწრაფით შეაბრუნა ტყვიამფრქვევის შავი, მსხვილი ლულა გაოცებული გუშაგებისაკენ.

საშამ მოხუცზე ადრე გაიგონა ბრძანება, დრეზინა შეეჩერებინათ, და მიხვდა: ახლა აქ იმდენი ადამიანი მოკვდებოდა, რომ ველარასდროს მოიშორებდა შეგრძნებას, თითქოს თვითონ სხვისი კუთვნილი ჰაერით სუნთქავდა. ჯერ კიდევ იყო დრო, რაღაც შეეცვალა, ხელი შეეშალა სისხლისღვრისათვის, გამოუთქმელი საშინელებისაგან დაეცვა საკუთარი თავიც და კიდევ ერთი – ჰანტერი.

გუშაგები უკვე ხსნიდნენ ავტომატებს დამცავებს, მაგრამ რატომღაც ძალიან აჭიანურებდნენ.

გოგონამ კი გააკეთა ის, რაც პირველი მოუვიდა თავში – წამოხტა და თავგადაპარსულის დაკუნთულ ზურგს აეკრა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკნიდან მოეხვია და ხელები მის უძრავ მკერდზე ერთმანეთს გადააჭდო. შებოჭილი ისე შეკრთა, თითქოს გოგონას მათრახი გადაერტყას მისთვის, და შეჩერდა... სასროლად გამზადებული ავტომატიანებიც დაიბნენ.

მოხუცი უსიტყვოდ მიუხვდა გოგონას განზრახვას.

დრეზინა საოცარი სისწრაფით მოსწყდა ადგილს, შავი, მწარე ბოლქვები გამოუშვა და სადგური „ავტოზავოდსკაია" უკან მოიტოვა. წარსულში.

* * *

„პაველეცკაიამდე" არც ერთს აღარ დაუძრავს სიტყვა. ჰანტერმა ხელები ისე გააწევინა საშას, თითქოს ფოლადის სალტე ჰქონდა შემორტყმული, რომელიც სუნთქვაში ხელს უშლიდა. ერთადერთ ბლოკპოსტს მთელი სიჩქარით ჩაუქროლეს. იქიდან წამოსული ტყვიები ჭერს მოხვდა და მათ ასცდა. ბრიგადირმა თავისი პისტოლეტის ამოღება მოასწრო და სამი უხმო გასროლით უპასუხა მათ. მგონი, ერთი ნაიქცა, დანარჩენები კი კედლებს შეერწყნენ, ტიუბინგეების არც ისე დიდ შვერილებს ამოეფარნენ და გადარჩნენ.

ჰომეროსი თავჩაქინდრულ გოგონას აკვირდებოდა. რა თქმა უნდა, იმედოვნებდა, რომ სასიყვარულო ძაფები გმირი გოგონას გამოჩენიდან მალე გაიბმებოდა, მაგრამ მოვლენები იმდენად სწრაფად განვითარდა, რომ უკვე ჩაწერას კი არა, გააზრებასაც ველარ ასწრებდა.

„პაველეცკაიაზე" გავიდნენ და სადგურის ბოლოს გაჩერდნენ.

მოხუცი ნამყოფი იყო „პაველეცკაიაზე". სადგური რომელიღაც გოთური ლეგენდიდან გადმოსულს ჰგავდა – ჩვეულებრივი ადამიანებისათვის ზედმეტად მაღალი, მომრგვალებული თაღების მწკრივს ეყრდნობოდა. როგორც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხშირად ხდებოდა მეტროს ლეგენდებში, „პაველეცკაიაც" უჩვეულოდ იყო დაწყევლილი. სადგურზე დღისით სიცოცხლე დუღდა, ზუსტად საღამოს რვა საათზე კი კვდებოდა და თავისივე თავის აჩრდილად იქცეოდა. მთელი მისი საქმოსანი და მოხერხებული მოსახლეობიდან პლატფორმაზე რამდენიმე გაბედული ადამიანი რჩებოდა. ყველა დანარჩენი – თავისი შვილებით, ბარგი-ბარხანით, სკივრებით, სკამებითა და გასაშლელი ლოგინებით, ქრებოდა.

სადგურის მცხოვრებლები თავშესაფარში იმალებოდნენ, რომელიც თითქმის კილომეტრიან წრიულ ხაზზე გადასასვლელში იყო მოწყობილი, და იქ ატარებდნენ გრძელ ღამეებს, სანამ „პაველეცკაიას" თავზე ღამის საშინელი ურჩხულები დაძრწოდნენ. ლეგენდები ამბობდნენ, რომ სადგური და მისი მიმდებარე ტერიტორიები ურჩხულების მემკვიდრეობით მიღებული მამულები იყო. ვერც ერთი სხვა მხეცი ვერ ბედავდა მიახლოებას მაშინაც კი, როდესაც ურჩხულები თვლემდნენ. „პაველეცკაიას" მოსახლეობა სრულიად დაუცველი იყო მათ წინაშე: ბარიერები, რომლებიც სხვა სადგურებზე ესკალატორს ჰყოფდა გასასვლელისგან, აქ, უბრალოდ, არ არსებობდა, ამიტომ გარეთ გასასვლელი მუდმივად ღია იყო.

ჰომეროსის აზრით, ამაზე ცუდი ღამისგასათევი მთელ მეტროში არ არსებობდა. ჰანტერი კი სხვა აზრისა იყო, ამიტომ დრეზინა სადგურის ბოლოში გააჩერა, აირწინალი მოიხსნა და ხელით სადგურისკენ ანიშნა.

– დილამდე აქ დავრჩებით. მოეწყვეთ.

თანამგზავრები იქვე დატოვა, თვითონ კი სადღაც წავიდა. გოგონამ თვალი გააყოლა მას და მერე მაგარ იატაკზე მოიკუნტა. მოხუცი უფრო მოხერხებულად მოეწყო და თვალები დახუჭა, დასაძინებლად მოემზადა, მაგრამ ამა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოდ: მოსვენებას არ აძლევდა ფიქრები ჭირზე, რომელსაც ჯერ კიდევ ჯანმრთელ სადგურებზე დაატარებდა.

– მადლობა. მეგონა, შენც ისეთივე იყავი, როგორიც ის, – ჩანდა, რული არც გოგონას ეკარებოდა.

– არა მგონია, კიდევ ვინმე იყოს მისნაირი, – უპასუხა მოხუცმა.

– მეგობრები ხართ?

– თევზი რომ ზვიგენს მიეკედლება... – უხალისოდ გაიცინა მოხუცმა და გაიფიქრა, რომ მართლაც ასე იყო: ჰანტერი ადამიანებს ჭამდა, მაგრამ მცირე ნაწილს ჰომეროსსაც უწილადებდა.

– ეგ როგორ?! – წამოდგა საშა.

– საითაც ის მიდის, მეც იქით მივყვები. მგონია, რომ მის გარეშე ვერ გავძლებ, ის კი... შესაძლოა, ჰგონია, რომ მას მე განვწმენდ. თუმცა, სინამდვილეში რას ფიქრობს, არავინ იცის.

– და მის გარეშე რატომ ვერ გაძლებ? – გოგონა ახლოს მიუჯდა მოხუცს.

– მგონია, რომ სანამ მის გვერდით ვიქნები... შთაგონება არ დამტოვებს... – სცადა ჰომეროსმა ახსნა.

– შთაგონება – სიტყვიდან „შთანთქმა", – ისე თქვა ალექსანდრამ, რომ მოხუცი ვერ მიხვდა, გოგონა ეკითხებოდა თუ დაბეჯითებით ადარებდა, – რაში გჭირდება ასეთი შთანთქმა? რას მოგცემს ეს?

ჰომეროსმა მხრები აიჩეჩა:

– ეს ის არ არის, რასაც ჩვენ ვშთანთქავთ. ეს ის არის, რასაც ჩვენში შთაბერავენ.

– მე კი მგონია, რომ როცა კლავ, სიკვდილის სუნი აგდის, და შენს ბაგეს არავინ მიეკარება; გვამის სუნი დააფრთხობს, – გოგონა თითით რაღაცას ხაზავდა ბინძურ იატაკზე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– როცა სიკვდილს ხედავ, ბევრ რამეზე იწყებ ფიქრს, – ჩაილაპარაკა მოხუცმა.

– და რა უფლება გაქვს, ყველა ჯერზე გამოიძახო სიკვდილი, როცა ფიქრი მოგინდება?!

– მე არ ვიძახებ მას, უბრალოდ, გვერდით ვდგაეარ. თანაც, საქმე სიკვდილს სულაც არ... მხოლოდ სიკვდილს არ ეტყვა... მინდოდა, ისეთი ამბავი გადამხდენოდა თავს, რომელიც ყველაფერს შეცვლიდა; მინდოდა, ახალი ეტაპი დაწყებულიყო; ჩემს ცხოვრებაში რამე მომხდარიყო, რომ შეკუნჯლრიე... და გონება გამნათებოდა.

– ცუდი ცხოვრება გქონდა? – თანაგრძნობით ჰკითხა გოგომ.

– მოსაწყენი. როდესაც ერთი დღე მეორეს ჰგავს, ისე სწრაფად გადის, რომ გგონია, ბოლო დღე უკვე არც ისე შორსაა, – ახსნა ცადა ჰომეროსმა, – გეშინია, რომ ვერაფერს მოასწრებ. ყოველი დღე სავსეა ათასი წვრილმანით, გააკეთებ ერთს, ამოისუნთქავ და მეორეზე გიწევს გადასვლა. ალარც ძალა და ალარც დრო არ გრჩება იმისათვის, რამე მართლა მნიშვნელოვანი გააკეთო. ფიქრობ, არა უშავს, ხვალ დავიწყებ. „ხვალ" კი არა და არ დგება.

– ბევრი სადგური გინახავს?

– არ ვიცი, – გაოცდა ჰომეროსი. დაასკვნა, არ მისმენსო, – ალბათ, ყველა.

– მე – ორი, – ამოიოხრა გოგონამ, – თავიდან მე და მამა „ავტოზავოდსკაიაზე" ვცხოვრობდით, შემდეგ „კოლომენსკაიაზე" გადაგვასახლეს. ყოველთვის მინდოდა, კიდევ თუნდაც ერთი სადგური მენახა. აქ კი ისეთი უცნაურია, – საშამ თვალი მოავლო თაღების მწკრივს, – თითქოს ათასი შემოსასვლელია და მათ შორის კედელი არ არის. თითქოს ყველა კარი ღიაა ჩემთვის, მაგრამ მე ალარ მინდა... და მეშინია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ანუ ის მამაშენი იყო? ის... მეორე... – ენა დაება ჰომეროსს, – მოკლეს?

გოგონა ისევ თავის ნიჟარაში შეძვრა და დიდხანს ხმა ალარ გაუღია.

– კი, – თქვა ბოლოს.

– ჩვენთან დარჩი, – გამბედაობა მოიკრიბა ჰომეროსმა, – ჰანტერს დაველაპარაკები, ალბათ არ იქნება წინააღმდეგი. ვეტყვი, რომ მჭირდები იმისათვის... – მოხუცმა ხელები გაშალა. არ იცოდა, როგორ აეხსნა გოგონასთვის, რომ მისი შთაგონების წყარო უნდა გამხდარიყო.

– უთხარი, რომ მე მას ვჭირდები, – საშამ მახვილი დასვა ბოლო სიტყვაზე, მერე პლატფორმიდან ჩახტა და წინ წავიდა. გზადაგზა ყოველ თაღს ათვალიერებდა, რომელსაც გვერდით ჩაუვლიდა.

მასში კეკლუცობის ნატამალიც კი არ იგრძნობოდა, ოდნავადაც კი არ თამაშობდა. არ ცნობდა. არა მხოლოდ ცეცხლსასროლ იარაღს, არამედ არც ჩვეულ ქალურ არსენალს – წამწამების ხამხამსა და ეშმაკურ ღიმილს, რომლის გამოც შეიძლება თავი გასწირო ან სხვა გამოასალმო სიცოცხლეს. იქნებ, უბრალოდ, ჯერ არ იცოდა ამ არსენალით სარგებლობა? ასე იყო თუ ისე, ეს არსენალი არც სჭირდებოდა. ერთი პირდაპირი მზერით შეძლო და ჰანტერს გადაწყვეტილება შეაცვლევინა, ერთი მოძრაობით გადააფარა ბადე და მკვლელობაზე ხელი აალებინა. ნუთუ ჯავშანი გაარღვია და რბილ ადგილში გაარტყა? იქნებ ჰანტერს დასჭირდა ასე? ჰომეროსმა მაშინვე მეორე ვარიანტს დაუჭირა მხარი, რადგან ვერაფრით წარმოიდგინა, რომ ბრიგადირსაც შეიძლებოდა ჰქონოდა სუსტი ადგილი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

ჰომეროსი ვერაფრით იძინებდა. მიუხედავად იმისა, რომ დახუთული, შავი აირწინაღი მსუბუქი, სამგზავრო რესპირატორით შეცვალა, სუნთქვა მაინც ძალიან უჭირდა.

ყველა თავისი ძველი ნივთი მოხუცმა გვირაბში დაყარა, ხელები ნაცრისფერი საპნის ნაჭრით კარგად გაიხეხა, ჭუჭყი კანისტრის დაჭაობებული წყლით ჩამოიბანა და გადანყვიტა, რომ ამიერიდან მუდამ რესპირატორი ეტარებინა. სხვა რით შეეძლო დაეცვა ისინი მოხუცს, ვის გვერდითაც იმყოფებოდა?

ვერაფრით. უკვე აღარაფერი შეეძლო, თუნდაც გვირაბში წასულიყო და თავადაც მიტოვებულ, ხრწნად ძონძად ქცეულიყო. თუმცა, მეორე მხრივ, სიკვდილთან ახლანდელმა სიახლოვემ უცებ დააბრუნა ოც წელზე მეტი ხნის წინ, იმ დროში, როცა ერთად დაკარგა ყველა, ვინც უყვარდა, და მის გეგმებს ახალი, გმირული აზრი შესძინა.

ჰომეროსის ნება რომ ყოფილიყო, მათ ნამდვილ ძეგლს დაუდგამდა. დაბადების თარიღებს შორის განსხვავება ათწლეულები იყო, გარდაცვალების თარიღი კი – ერთი: მისი ცოლი, შვილები და მშობლები; თანაკლასელები, მეგობრები სასწავლებლიდან; საყვარელი მსახიობები და მუსიკოსები – ყველა, ვინც იმ დღეს ჯერ ისევ სამსახურში იყო, ან უკვე შინ, შუა ქუჩაში ან საცობში; ყველა, ვინც იმ დღესვე დაილუპა ან კიდევ რამდენიმე დღეს ცდილობდა გადარჩენას მოწამლულ, ნახევრად დანგრეულ დედაქალაქში და სუსტად აფხაკუნებდა მეტროს დაგმანულ კარზე; ყველა, ვინც წამში დაიშალა ატომებად ან დასხივებისგან ნელ-ნელა ცოცხლად დანაწევრდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მზვერავები, რომლებიც პირველები ავიდნენ ზემოთ, უკან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში ვერ იძინებდნენ. ჰომეროსს რამდენიმე მათგანთან მოუწია შეხვედრა და მათ თვალებში დაინახა საუკუნოდ ჩაბეჭდილი ქუჩის ანარეკლი, რომელიც გაყინული, გასივებული თევზით სავსე მდინარეებს ჰგავდა. მოსკოვიდან გამავალი გამზირები და მაგისტრალები მკვდარი მგზავრებით სავსე ათასობით გაჩერებულ მანქანას ჩაეხერგა. ყველგან გვამები ეყარა მანამ, სანამ ქალაქში ახალი მასპინძლები არ მოვიდნენ.

მზვერავებს თავი ეცოდებოდათ, ცდილობდნენ სკოლებისა და საბავშვო ბაღებისათვის გვერდი აევლოთ. მაგრამ ჭკუიდან შესაშლელად ისიც სრულიად საკმარისი იყო, საოჯახო ავტომობილის მტვრიანი ფანჯრის მილმა, უკანა საჯარძელზე გაშეშებული მზერა დაგენახა.

ერთდროულად მილიარდობით სიცოცხლე შეწყდა. მილიარდობით აზრი დარჩა გამოუთქმელი, ოცნება – აუსრულებელი, წყენა – უპატიებელი. ნიკოლაის უმცროსი ვაჟი ფერადი ფლომასტერების დიდ ნაკრებს სთხოვდა, გოგონას ფიგურულ სრიალზე სიარულისა ეშინოდა, ცოლი რამდენიმედღიან შვებულებაზე ოცნებობდა.

ამ პატარ-პატარა ოცნებებმა თუ ვნებებმა მაშინ შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა, როცა მოხუცმა გააცნობიერა, რომ თითოეული მათგანი უკანასკნელი იყო.

ჰომეროსს მოუნდა, ეპიტაფია ამოეკვეთა – ერთი საერთო ეპიტაფია კაცობრიობის გიგანტურ სასაფლაოზე. შესაფერისი სიტყვების მოფიქრებისთვის კი ყველაზე შესაფერისი დრო ახლა იყო, როცა თავად მასაც არც ისე დიდი ხნის სიცოცხლე დარჩენოდა.

ჯერ კიდევ არ იცოდა, რა თანმიმდევრობით დაალაგებდა, როგორ შეაერთებდა ან რით გააფორმებდა სიტყვებს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ ნამდვილად გრძნობდა, რომ მის მიერ შეთხზულ ისტორიაში ყოველი სასუფეველდაუმკვიდრებელი სულისთვის მოიძებნებოდა ადგილი, ყოველი გრძნობისთვის, ცოდნის ყოველი მარცვლისთვის, რომელსაც ასე რუდუნებით აგროვებდა... თავად მისთვისაც. სიუჟეტი ზედგამოჭრილი იყო.

როდესაც ზემოთ გათენდება, ქვემოთ კი სავაჭრო დახლები გაეწყობა, ის აუცილებლად დაივლის მათ, იპოვის სუფთა საერთო რვეულს, ბურთულიან კალამს და სასწრაფოდ დაიტანს ფურცელზე მომავალი რომანის ზოგად შტრიხებს, რამაც მირაჟივით გაიელვა მის თვალწინ, თორემ გაქრება და მერე ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს მოუწევს ბარხანის წვერზე ჯდომა, შორეული სივრცის ყურება და ოცნება, რომ ქვიშის მცირე მარცვლებიდან და გავარვარებული ჰაერიდან ოდესმე ისევ აიგება მისი სპილოს ძვლის კოშკი!

დრო შეიძლება არც კი ეყოს.

„რაც უნდა ილაპარაკოს გოგონამ, მარადისობის თვალის ცარიელ ბუდეებში ყურება მოძრაობას გაიძულებს", – თავისთვის ჩაიცინა მოხუცმა და წარმოიდგინა მისი მომშვილდული წარბები – ორი თეთრი სხივი გამხდარ, მოღუშულ სახეზე, მისი დაკვნეტილი ტუჩები, ჩალასავით აბურდული თმა და კიდევ ერთხელ გაიღიმა.

ჩაძინებამდე კი გაიფიქრა, რომ ხვალ ბაზარში კიდევ რალაც უნდა ეპოვა.

„პაველეცკაიაზე" ყოველი ღამე მშფოთვარე იყო. აყრილებული ჩირაღდნების შუქი აქეთ-იქით აწყდებოდა მარმარილოს გაჭვარტლულ კედლებს, ესკალატორის ქვეშ მსხდომი ადამიანები ძლივსგასაგონად საუბრობდნენ ერთმანეთში. სადგური თავს იმკვდარუნებდა იმ იმედით, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზემოდან თავს არ დაესხმოდნენ მტაცებლები, რომელთაგან ყველაზე ცნობისმოყვარენი მაინც იპოვიდნენ ღრმად ჩამალულ დარბაზს, იყნოსავდნენ ახალი ოფლის სუნს, ყურს მოჰკრავდნენ გულისცემას, იგრძნობდნენ ძარღვებში სისხლის მოძრაობას და დაბლა დაეშვებოდნენ.

ჰომეროსს ეძინა და პლატფორმის მეორე ბოლოდან შეშფოთებული ხმები ყრუდ აღწევდა მის გონებაში. ძილიდან საბოლოოდ ტყვიამფრქვევის ხმამ გამოაფხიზლა. მოხუცი წამოხტა და თვალებდაჭყეტილმა დრეზინის იატაკზე თავის იარაღს დაუწყო ძებნა.

ტყვიამფრქვევის გამაყრუებელ ხმას ერთდროულად რამდენიმე ავტომატის ჯერი შეუერთდა. გუშაგები ახლა უკვე განგაშის ნიშნად კი არა, შიშისგან ღრიალებდნენ. არ ჩანდა, ვის ესროდნენ ასე გააფთრებით, მაგრამ ვინც უნდა ყოფილიყო, აშკარა იყო, რომ სჯაბნიდნენ მას. სროლაც ალარ იყო მწყობრი და მიზანმიმართული, არამედ – მოუწესრიგებელი, საკუთარი ტყავის გადასარჩენად მებრძოლი ადამიანებისა.

მოხუცმა ავტომატი იპოვა, მაგრამ ვერაფრით გაბედა დარბაზში გადასვლა, ნებისყოფა მხოლოდ იმაზე ეყო, რომ დაეძლია დრეზინის დაქოქვისა და სადგურიდან გაქცევის სურვილი. დრეზინიდან ფეხი არ მოუცვლია, კისერი წაიგრძელა, რომ სვეტების ხშირი გისოსებიდან ბრძოლის ადგილი დაენახა.

გუშაგები თავს იცავდნენ. მათი გინება და ყვირილი გულისგამგმირავმა კივილმა შეცვალა. ტყვიამფრქვევი დადუმდა, ვილაცამ ერთი ილრიალა და ისე მოულოდნელად გაჩუმდა, თითქოს თავი მოაწყვიტესო. ისევ გაისმა ავტომატების ჯერი, ოღონდ ამჯერად უფრო დაქსაქსულად და კანტიკუნტად. კივილი ამჯერად ცოტა მოშორებით განმეორდა და ვილაც ექოდ გაეპასუხა დრეზინის ახლოს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰომეროსმა ათამდე დაითვალა და აკანკალებული ხელებით ძრავა აამუშავა: ახლა, აი, ახლა დაბრუნდებიან მისი თანამგზავრები და მაშინვე მოსწყდებიან ადგილს, ეს ყველაფერი მხოლოდ მათთვის და არა საკუთარი თავისთვის... დრეზინა შეირხა, ახრჩოლდა, გახურდა. უცებ სვეტებს შორის რაღაცამ წარმოუდგენელი სისწრაფით გაიელვა... ქრებოდა და ჩნდებოდა იმაზე სწრაფად, ვიდრე გონებას მისი აღქმა შეეძლო.

მოხუცი სახელურს ჩააფრინდა, ფეხი გაზის საფეხურს დააჭირა და ღრმად ჩაისუნთქა. თუ დანარჩენები მომდევნო ათი წამის განმავლობაში არ გამოჩნდებიან, ის ყველაფერს მიატოვებს და... გაუაზრებლად პლატფორმაზე გადავიდა და წინ თავისი არაფრისმაქნისი ავტომატი გაიშვირა. უბრალოდ, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ თავისიანებს ველარაფრით დაეხმარებოდა.

სვეტს ამოეფარა და დარბაზში გაიხედა....

უნდოდა ეყვირა, მაგრამ ჰაერი აღარ ეყო.

* * *

საშამ ყოველთვის იცოდა, რომ სამყარო არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ ორი სადგურით, რომლებზეც სხვადასხვა დროს თავად ცხოვრობდა, მაგრამ ვერ წარმოიდგენდა, რომ მის საზღვრებს მიღმა შეიძლებოდა ასეთი მშვენიერება ყოფილიყო. „კოლომენსკაია“ – ბრტყელი და მოსაწყენი – მაინც მყუდრო და უმცირეს დეტალებამდე ნაცნობი სახლი ეგონა. ამაყმა, ფართო, მაგრამ ცივმა „ავტოზავოდსკაიამ“ ზურგი შეაქცია მას და მამას და საშას არ შეეძლოთ ამის დავიწყება.

„პაველეცკაიასთან“ ურთიერთობის დაწყება კი სუფთა ფურცლიდან შეიძლებოდა და საშას ძალიან უნდოდა, რომ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს სადგური შეჰყვარებოდა. „კოლომენსკაია“ უბადრუკი იყო, „ავტოზავოდსკაია“ – ზედმეტად მკაცრი, ეს სადგური კი ქალის აშენებულს ჰგავდა: მხარულსა და ქარაფშუტას. „პაველეცკაიას“ თავისი სილამაზე ათეული წლების შემდეგაც კი არ დაეკარგა.

„აქ მცხოვრებლები ვერ იქნებიან სასტიკები და ბოროტები“, – ფიქრობდა საშა.

ნუთუ მასა და მამას მხოლოდ ერთი მტრულად განწყობილი სადგური აშორებდა ამ ჯადოსნურ მხარესთან?.. ნუთუ ის ერთი დღე იყო საჭირო და საკმარისი, რომ კატორღას გაჰქცეოდა და კვლავ თავისუფალი გამხდარიყო? ის შეძლებდა, დაეყოლიებინა თავგადაპარსული, ორივენი თან წაეყვანა...

მოშორებით გუშაგებით გარშემორტყმული კოცონი თრთოდა, პროჟექტორის შუქი მაღალ ჭერს ანათებდა, მაგრამ საშას მათთან მისვლა არ მოუნდა. მას წლების განმავლობაში ეგონა, ადამიანებთან ურთიერთობა ბედნიერებას მიანიჭებდა, მაგრამ ახლა ერთადერთი ადამიანი სჭირდებოდა, რათა გაეზიარებინა თავისი აღფრთოვანება, გაკვირვება, რომ სამყარო მართლაც ერთი მესამედით უფრო დიდია, და იმედი, რომ ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფრის გამოსწორება.

ამიტომ საპირისპირო მიმართულებით წავიდა, მარჯვენა გვირაბში, რომელშიც ნახევრად შეჭრილიყო გაძარცული, მინებჩამტვრეული და კარლია მატარებელი. გოგონა შიგნით შევიდა, ვაგონები სათითაოდ დაიარა და შეისწავლა. ბოლო ვაგონში სასწაულებრივად გადარჩენილი დივანი აღმოაჩინა და ზედ შედგა. მიმოიხედა, სცადა წარმოედგინა, რომ მატარებელი მალე დაიძვრება და მოატარებს ადამიანების ჟრიამულით სავსე ახალ, ნათელ სადგურებს.

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ არც რწმენა ეყო და არც ფანტაზია, რომ ადგილიდან დაეძრა ათასტონიანი რკინა. ველოსიპედის პედლების ტრიალისას ყველაფერი გაცილებით მარტივი იყო.

საშასთან ერთად ვაგონიდან ვაგონში დახტოდა და ბოლოს „პაველეცკაიაზე" მიმდინარე ბრძოლის ხმა დაეწია კიდეც მას.

ისევ?!

საშა წამოხტა და კისრისტეხით გაიქცა სადგურისკენ – იქ, სადაც ჯერ კიდევ შეეძლო რამის გაკეთება.

* * *

ყველგან – გაჩერებული პროჟექტორის შემინულ ჯიხურთანაც, ჩამქრალ კოცონშიც და დარბაზის ცენტრშიც – გუშაგების გაფატრული სხეულები ეყარა. ეს დანებებული, გასაქცევად გამზადებული მებრძოლების ცხედრები იყო, რომელთაც სიკვდილი შუა გზაზე წამოსწეოდა.

ერთ-ერთი გვამისკენ დახრილიყო საშინელი, ავისმომასწავებელი ფიგურა. შორიდან ძნელი იყო კარგად გარჩევა, მაგრამ ჰომეროსი ხედავდა თეთრ, გლუვ კანს, მოძრავი დიდი კისრითა და მრავალსახსრიანი ფეხებით.

ბრძოლა წააგეს. ჰანტერი სად არის? მოხუცმა კიდევ ერთხელ გამოყო თავი და გაშეშდა... ათიოდე ნაბიჯში კოშმარული არსება სვეტიდან ზუსტად ჰომეროსივით იჭყიტებოდა, თითქოს ეთამაშებოდა ან აჯავრებდა, ორ მეტრზე მეტი სიმაღლიდან დაჰყურებდა მოხუცს. ჩამოშვებული ქვედა ტუჩიდან რაღაც წითელი სდიოდა წვეთ-წვეთად, მძიმე ყბას შეუჩერებლად ამოძრავებდა, თითქოს კევს ღეჭავსო, ჩაღრმავებული შუბლის ჩაყოლებაზე სიცარიელე ჰქონდა, თუმცა თვალების არქონა სრულებით არ უშლიდა ხელს გადაადგილებასა და ბრძოლაში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰომეროსმა უკან დაიხია, სასხლეტს ხელს არ უშვებდა, ავტომატი დუმდა. ქიმერამ გრძლად, გამაყრუებლად დაიკ-ივლა და დარბაზის შუისკენ გადახტა. მოხუცი გაფოფხდა, თუმცა, ხვდებოდა, რომ ველარაფერს მოასწრებდა...

მაგრამ ურჩხულმა მის მიმართ რატომღაც ყველანაირი ინტერესი დაკარგა, მთელი მისი ყურადღება ახლა პლატ-ფორმის კიდისკენ იყო მიმართული. ჰომეროსი მკვეთრად შეტრიალდა და მოულოდნელობისგან ლამის გული გაუჩ-ერდა.

იქ საშა იდგა და შეშინებული აქეთ-იქით იყურებოდა.

– გაიქეცი! – ჰომეროსს ხრიალი აღმოხდა ყელიდან.

თეთრი ქიმერა წინ გადახტა და ერთ ნახტომში გოგონას პირისპირ აისვეტა. საშამ დანა ამოიღო, რომელიც საჭმლის მოსამზადებლად თუ გამოდგებოდა, და წინ ისკუპა. საპა-სუხოდ ურჩხულმა ერთ-ერთი წინა კიდური მოუქნია. გო-გონა ძირს დაეცა, დანა კი რამდენიმე მეტრზე გასრიალდა.

მოხუცი უკვე დრეზინაზე იდგა, თუმცა გაქცევას ალ-არც ფიქრობდა. გაშმაგებული ტყვიამფრქვევს ატრიალ-ებდა და ცდილობდა, მიზანში ამოელო მოძრავი თეთრი სილუეტი. არ გამოსდიოდა. ურჩხული გოგონასაკენ მიიწ-ევდა. ჰომეროსს ეჩვენებოდა, რომ ეს არსება, რომელმაც რამდენიმე წუთში დაგლიჯა გუშაგები, ახლა ერთობოდა, კუთხეში მიემწყვდია ორი სუსტი არსება და დახოცვამდე ეთამაშებოდა მათ.

აი, უკვე დაიხარა საშასკენ... მოხუცი ველარ ხედავდა გოგონას...

უცებ ურჩხული დაიკრუნჩხა, შექანდა და ღრიალით შე-მობრუნდა, რომ გაენადგურებინა ის, ვინც ხელი შეუშალა.

სუსტი ნაბიჯით, ცალ ხელში ავტომატით მისკენ ჰანტე-რი მოიწევდა. მეორე ხელი მათრახივით დაეკიდა სხეულის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გასნურივ. ეტყობოდა, როგორ უჭირდა თითოეული ნაბიჯის გადადგმა.

ბრიგადირმა ურჩხულს ჯერი დაუშინა, მაგრამ ვერაფერი დააკლო: ურჩხული შეტორტმანდა, მაგრამ მალევე აღიდგინა წონასწორობა და ჰანტერისაკენ დაიძრა. ჰანტერს ტყვიები გაუთავდა, სასწაულებრივად აიცდინა უზარმაზარი სხეულის დარტყმა და სამართებელივით ბასრი მაჩეტე მთელი ძალით მოუქნია. ქიმერა ზედ დაეცა. თავისი სიმძიმით აბრჩობდა და ძვლებში ამტვრევდა დაჭრილ ბრიგადირს.

ჰომეროსს უკანასკნელი იმედი მეორე მხეცის გამოჩენამ მოუკლა. თავისიანის დაკრუნჩხულ სხეულთან გაჩერდა, ბრჭყალი თეთრ კანზე გადაუსვა, თითქოს მის გალვიძებას ცდილობსო, მერე ნელ-ნელა ასწია თავი და უთვალებო მზერა მოხუცზე გადაიტანა...

ჰომეროსმაც არ დააყოვნა. მსხვილმა კალიბრმა გაფლითა ქიმერას სხეული, გაუხვრიტა თავის ქალა და მარმარილოს კედლების მსხვრევა განაგრძო. მოხუცმა კარგა ხანს ვერ შეძლო დამშვიდება და დაკრუნჩხული თითების გაშლა.

მერე თვალები დახუჭა, რესპირატორი მოიხსნა და გაყინული, ახალი სისხლის ჟანგიანი სუნით გაჟღენთილი ჰაერი ჩაისუნთქა. ყველა გმირი დაეცა, ბრძოლის ველზე მარტო ის იდგა.

მისი წიგნი ისე დასრულდა, რომ დაწყებაც ვერ მოასწრო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 10
სიკვდილის შემდეგ

„რა რჩება გარდაცვალების შემდეგ?
რა რჩება ყოველი ჩვენგანის სიკვდილის შემდეგ?
საფლავის ქვები იშლება და ხავსი ედება, სულ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ წარწერები ფერმკრთალდება და ამოკითხვა ჭირს.

ძველ დროს, ძველ საფლავებს, თუკი მომვლელი აღარავინ ჰყავდა, ახალ მკვდრებზე ანაწილებდნენ. გარდაცვლილთა მოსანახულებლად მხოლოდ შვილები ან მშობლები მოდიოდნენ, უფრო იშვიათად შვილიშვილები, შვილთაშვილები – თითქმის არასდროს.

ის, რასაც მარადიული სასუფეველი ჰქვია, დიდ ქალაქებში სულ რაღაც ორმოცდაათწლიან ვადას ნიშნავდა საძვალის გახსნამდე მის შესამჭიდროებლად ან იმისთვის, რომ მის ადგილას საცხოვრებელი კორპუსი აღემართათ. დედამიწა სწრაფად ვიწროვდებოდა ცოცხლებისთვისაც და მკვდრებისთვისაც.

ნახევარი საუკუნე – ეს ფუფუნება მხოლოდ მათ ერგო წილად, ვინც მეორედ მოსვლამდე გარდაიცვალა. ერთ მიცვალებულზე ვინღა დარდობს მაშინ, როდესაც მთელი პლანეტა ნადგურდება? მეტროს არც ერთ მცხოვრებს არ ჰქონია დაკრძალვის პატივი, არავის ჰქონდა იმედი, რომ მის ცხედარს ვირთხები არ შეჭამდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადრე გარდაცვლილს ზუსტად იმდენ ხანს ჰქონდა არსებობის უფლება, რამდენ ხანსაც ცოცხლად დარჩენილს ემახსოვრებოდა. ადამიანი იმახსოვრებს თავის ახლობლებს, თანატოლებს, მეგობრებს, თანამშრომლებს. მაგრამ მისი მეხსიერება მხოლოდ სამ თაობას სწვდება, რაც ხუთიოდე ათეულ წელზე ცოტა მეტხანს უდრის.

ვილაც ოდესმე სწორედ ისევე მარტივად დაივიწყებს ჩვენს სახეს, როგორც ჩვენ დავივიწყებთ ჩვენი ბაბუისას თუ თანაკლასელისას. მოგონებებმა შეიძლება ჩვენს ჩონჩხზე მეტხანს იარსებოს, მაგრამ როდესაც ის ბოლოც წავა, ვისაც ჩვენ ვახსოვდით, მასთან ერთად დროში ჩვენც გავიფანტებით.

ფოტოსურათები? ვინლა ბეჭდავს ახლა ფოტოებს? ან რამდენ ხანს ინახავდნენ მაშინ, როცა ყველა იღებდა? ადრე ყოველი სქელტანიანი საოჯახო ალბომის ბოლოში იყო მოტოვებული პატარა ადგილი ძველი, ყავისფერი ფოტოებისთვის, მაგრამ ცოტას თუ შეეძლო დანამდვილებით ამოეცნო, რომელ სურათზე ვინ იყო გამოსახული. ასეა თუ ისე, გარდაცვლილთა ფოტოსურათები შეიძლება მათ სიკვდილის შემდეგდროინდელ ნიღბად ჩაითვალოს, რომელიც მათი სხეულიდანაა აღებული, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ იქნება ცოცხალი სულის ანაბეჭდი. თანაც, ფოტოსურათი იმ ცხედარზე ოდნავ ნელა იხრწნება, რომელიც მასზეა აღბეჭდილი.

რაღა დარჩება?

შვილები?"

ჰომეროსი სანთლის ალს თითით შეეხო. მისთვის განსჯა ადვილი იყო; აჰმედის სიტყვები აქამდე არ ძლევდა მოსვენებას. უშვილობისთვის განწირულ, შთამომავლობის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაგრძელების შესაძლებლობას მოკლებულ მოხუცს ისლა დარჩენოდა, უკვდავებისაკენ მიმავალი ეს გზა უარეყო.

ისევ კალამი აიღო ხელში.

„ისინი შეიძლება ჩვენ გვგავდნენ. მათ ნაკვთებში ჩვენი ნაკვთების მსგავსება დავინახოთ, სასნაულებრივად შერწყმული მათ შტრიხებს, ვინც ჩვენ გვიყვარდა. მათ ფესტებში, ნარბების ფორმაში, მიმიკაში გულის ფანცქალით ამოვიცნოთ საკუთარი თავი. შეგობრები გვეტყვიან, რომ ჩვენი ვაჟები და ქალიშვილები ჩვენგან არიან გადახატული, იმავე შაბლონზე მოჭრილი. ეს თითქოს იმედია, რომ ჩვენ გავგრძელდებით მათში მას მერე, როცა აღარ ვიქნებით.

მაგრამ ყოველი ჩვენგანი ხომ არ არის თავდაპირველი სახე, რომლის მიხედვითაც იძერწება მომდევნო ასლი, არამედ მხოლოდ ქიმერაა – შედგენილი დედისა და მამის გარეგანი და შინაგანი ნაწილებისგან, ზუსტად ისე, როგორც ისინი შედგებიან თავიანთი მშობლებისაგან. გამოდის, რომ არაფერი უნიკალური ჩვენში არ არის, მხოლოდ მოზაიკის უმცირესი ნაწილების უსასრულო მოძრაობაა, რომლის შედეგადაც ვიღებთ არც ისე ფასეულ მილიარდობით შემთხვევით პანოს, რომელიც ჩვენ თვალწინვე იშლება უმცირეს დეტალებად?

მაშ, ღირს კი ვიამაყოთ, თუ აღმოვაჩენთ, რომ ჩვენს შვილს ჩვენსავით კეხი აქვს ან ფოსო ლოყაზე? სინამდვილეში ეს შტრიხი ხომ, უკვე ლამის ნახევარი მილიონი წელიწადია, დამოგზაურობს ათასობით სხეულში?

მაშ, რჩება კი რამე კონკრეტულად ჩვენ შემდეგ?"

ჰომეროსს სხვებზე მეტად უჭირდა და გულწრფელად შურდა რელიგიური ადამიანებისა, რომელთაც სწამდათ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმქვეყნიური ცხოვრების. როგორც კი ამ თემაზე საუბარს მოჰკრავდა ხოლმე ყურს, გონებით „ნახიმოვსკის გამზირზე“ გადაინაცვლებდა. შესაძლებელია, მართლაც არ შედგებოდა მხოლოდ სხეულისგან, რომელსაც ლეშიჭამიები გადაამუშავებდნენ და მოინელებდნენ, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო მასში, ვერ იარსებებდა მისივე ხორცისა და ძვლების გარეშე.

„დარჩა რამე ეგვიპტის მეფეებისგან? საბერძნეთის გმირებისგან? რენესანსის ეპოქის მხატვრებისგან? დარჩა კი რამე მათგან და არიან კი ისინი მათში, რაც დარჩა?

არის კი ეს უკვდავება?!“

ჰომეროსმა ყურადღებით წაიკითხა თავისი ნაწერი, მერე ფრთხილად ამოხია ფურცლები რვეულიდან, დააქუცმაცა, რკინის თეფშზე დაყარა და ცეცხლი წაუკიდა. ბოლო სამი საათის შრომის შედეგი წუთში ფერფლის გროვად იქცა.

* * *

ის მოკვდა.

საშას ყოველთვის ასე წარმოედგინა სიკვდილი: სინათლის ბოლო სხივი ქრება, ყველა ხმა წყდება, სხეული დუნდება. რჩება მხოლოდ თავდაპირველი წყვდიადი – სიბნელე და მდუმარება, საიდანაც ადამიანები გამოდიან და სადაც გარდაუვალად უკან ბრუნდებიან. საშა ისმენდა ზღაპრებს სამოთხესა და ჯოჯოხეთზე, მაგრამ სრულ სიბნელეში, სიჩუმეში და უძრაობაში გატარებული მარადისობა მდულარე ზეთის ქვაბზე ათასჯერ უფრო საშინლად ეჩვენებოდა.

მერე კი წინ პატარა, მოლიცლიცე შუქი გამოჩნდა. საშა მისკენ გაიწია, მაგრამ ვერ მისწვდა: მოცეკვავე სხივი ხან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაურბოდა, ხანაც მისკენ მოიწევდა, ეთამაშებოდა და ეძახდა. საშამ იცოდა, რომ ეს გვირაბის ცეცხლი იყო.

მამასგან იცოდა, რომ როდესაც ადამიანი მეტროში კვდება, მისი დაბნეული სული დახლართულ, ბნელ გვირაბებში დაეხეტება, ყოველი გვირაბი კი ჩიხით მთავრდება. სული ვერ ხვდება, რომ სხეულს აღარ არის მიჯაჭვული, რომ მისი მიწიერი ცხოვრება დასრულებულია. საბრალო, მანამ დახეტიალობს, სანამ საფმე შორს წარმოსახვითი კოცონის ცეცხლს არ დაინახავს. როცა დაინახავს, უნდა იჩქაროს მისკენ, რადგან ეს კოცონი სწორედ ამ სულისთვის არის გამოგზავნილი და იქ გაიყვანს, სადაც სიმშვიდე ელოდება. თუმცა მომხდარა, რომ სინათლეს შებრალებია სული და თავის დაკარგულ სხეულთან მიუყვანია. ასეთ ადამიანებზე ჩურჩულებდნენ, რომ ის იმქვეყნიური სამყაროდან უკან დაბრუნდა, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა ეთქვათ, რომ ის წყვდიადმა გაათავისუფლა.

სინათლე დაყინებით უხმობდა საშას და ისიც დანებდა. ვერ გრძნობდა ფეხებს, თუმცა აღარც სჭირდებოდა: იმისათვის, რომ დასწეოდა ციცინათელას, რომელიც სწრაფად მიფრინავდა, საკმარისი იყო, მხედველობის არიდან არ დაეკარგა ის.

ბოლოს და ბოლოს, მოახერხა მისი დაჭერა და სინათლემ გოგონა უკუნეთ სიბნელეში, გვირაბის ლაბირინთებში წაიყვანა, საიდანაც გასასვლელს მარტო ვერასოდეს იპოვიდა. ეს მისი ცხოვრების ხაზის ბოლო სადგური იყო. წინ ცოტა განათდა, იმდენად, რომ საშამ დანახვა შეძლო: მისი გამცილებელი შორეული შენობის კონტურებს ხაზავდა, რომელშიც გოგონას ელოდნენ.

– საშა! – დაუძახა უცებ საოცრად ნაცნობმა ხმამ, თუმცა გოგონამ ვერაფრით გაიხსენა, ვის ეკუთვნოდა ის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მამა?! – იკითხა ეჭვით და სხვის ტემბრში მშობლიური, ალერსიანი ბგერების დაჭერა ცადა.

ისინი მოვიდნენ. გვირაბის წარმოსახვითი ცეცხლი გაჩერდა და ჩვეულებრივ ალად გადაქცეული დამდნარი, დაღვენთილი სანთლის ფითილზე შეხტა, მყუდროდ მოეწყო მასზე, როგორც სეირნობიდან დაბრუნებული კატა.

ვილაცამ ხელზე ცივი, დაკოჟრილი ხელი დაადო გაუბედავად. საშა სინათლეს მოშორდა და მაშინვე იგრძნო მხარის ტკივილი, თავი შეახსენა ნატკენმა საფეთქელმა. სიბნელიდან ამოტივტივდა უბრალო ავეჯი – ორიოდე სკამი, ტუმბო... თვითონ ნამდვილ საწოლზე იწვა, იმდენად რბილზე, რომ საკუთარ ზურგს სრულებით ვერ გრძნობდა. თითქოს სხეულს ნაწილ-ნაწილ უბრუნებდნენ და ჯერი ზურგამდე არ მისულიყო.

– საშა! – გაიმეორა ხმამ.

მან მზერა ხმისკენ მიმართა და ხელი გასწია. მის საწოლთან ის მოხუცი იჯდა, ვისთან ერთადაც დრეზინით მგზავრობდა. მოხუცი შეხებით არაფერს მოითხოვდა, არ სწვავდა და შეურაცხყოფას არ აყენებდა. ხელი კი იმიტომ გასწია, რომ შერცხვა – როგორ შეეძლო მამის ხმა არეოდა უცნობი ადამიანის ხმაში... ისიც ეწყინა, გვირაბის სინათლემ სხვაგან რომ გაიყვანა.

მოხუცმა ალერსიანად გაუღიმა. მისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ საშა გონს მოვიდა. გოგონა დააკვირდა და მოხუცის თვალებში თბილი სხივი დაინახა, ისეთი, როგორიც აქამდე მხოლოდ ერთი ადამიანის თვალებში ენახა. ალარ უკვირდა თავისი შეცდომის. უცებ უხერხულობაც კი იგრძნო მოხუცის წინაშე.

– მაპატიე, – უთხრა ჩურჩულით. უცებ ცხადად გაახსენდა „პაველეცკაიაზე“ თავისი ბოლო წუთები და წამოიწია: – შენს მეგობარს რა დაემართა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

ან არც ტირილი იცოდა და არც სიცილი, ან ძალა არ ჰყოფნიდა რომელიმესთვის. საბედნიეროდ, სამართებელივით მჭრელი კლანჭები ასცდა, ერთადერთი დარტყმა ბრტყლად მოხვდა, მართალია, ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ რამდენიმე დღით გონი დაეკარგა, მაგრამ ახლა მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა – ასე დაარწმუნა ჰომეროსი ექიმმა. საკუთარ უბედურებაზე მოხუცს ექიმთან არ ულაპარაკია.

საშა – სანამ ის უგონოდ იყო, მოხუცი მიეჩვია მისთვის ასე დაეძახა – მოდუნდა და ბალიშზე გადაწვა, ჰომეროსი კი მაგიდასთან დაბრუნდა, სადაც 96-გვერდიანი საერთო რვეული ელოდა. კალამი აიღო და იმ ადგილიდან განაგრძო წერა, სადაც მიატოვა.

„...მაგრამ ამჯერად ქარავანი იგვიანებდა, თანაც უკვე იმდენად, რომ ცხადი იყო, რაღაც საშინელი და გაუთვალისწინებელი მოხდა, რისგანაც ვერც ბრძოლებში გამოწრთობილმა მძიმედ შეიარაღებულმა მებრძოლებმა დაიცვა და ვერც ჰანზას ხელისუფლებასთან წლობით ნალოლიავებმა ურთიერთობამ.

წრიული ხაზისკენ მიმავალ ტელეფონის კაბელებსაც რაღაც დაემართა, კავშირი ჯერ კიდევ ორშაბათს გაწყდა, მათ საძებრად გაგზავნილი ბრიგადა კი უკან ხელმოცარული დაბრუნდა“.

ჰომეროსმა თავი ასწია და შეხტა: გოგონა ზურგს უკან ედგა და მისი ბატიფეხურის გარჩევას ცდილობდა.

შემცბარმა მოხუცმა რვეული დახურა.

– ამისთვის გჭირდება შთაგონება? – ჰკითხა საშამ მოხუცს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მე მხოლოდ ახლა დავიწყე, – რატომღაც ამოიღუღლუღა მან.

– და რა დაემართა ქარავანს?

– არ ვიცი, – ჰომეროსმა სათაურის გარშემო ჩარჩოს მოხაზვა დაიწყო, – ისტორია ჯერ არ დასრულებულა. დაწექი, უნდა დაისვენო.

– მაგრამ ეგ ხომ შენზეა დამოკიდებული, რით დაასრულებ წიგნს, – საშა ადგილიდან არ დაძრულა.

– ამ წიგნში ჩემზე არაფერია დამოკიდებული, – მოხუცმა კალამი მაგიდაზე დადო, – მე არაფერს ვთხზავ, უბრალოდ, ვწერ იმას, რაც ჩემს თავს ხდება.

– ჰოდა, მით უმეტეს, შენზეა დამოკიდებული, – ჩაფიქრდა გოგონა, – მე ვიქნები მაგ წიგნში?

– მინდოდა, შენთვის ნებართვა მეთხოვა, – ჩაიცინა ჰომეროსმა.

– დავფიქრდები, – სერიოზულად უპასუხა გოგომ, – და რისთვის წერ?

მოხუცი წამოდგა, რომ მისთვის ქვემოდან ზემოთ არ ეყურებინა.

საშასთან საუბრის შემდეგ ჰომეროსისთვის ნათელი გახდა, რომ გოგოს ახალგაზრდობა და გამოუცდელობა მცდარ შთაბეჭდილებას ქმნიდა. თითქოს იმ უცნაურ სადგურზე, საიდანაც წამოიყვანეს, ერთი წელი ორს უდრიდა. საშას ჩვევად ჰქონდა, იმ კითხვებზე კი არ ეპასუხა, რომელსაც მოხუცი უსვამდა, არამედ იმათზე, რომლებიც დაუსმელი რჩებოდა. ჰომეროსს კი მაინცდამაინც იმას ეკითხებოდა, რაზეც პასუხი არც ჰომეროსმა იცოდა.

მოხუცი მიხვდა, რომ თუკი უნდოდა, მისი გულახდილობის იმედი ჰქონოდა, მაშინ თვითონაც გულახდილი უნდა ყოფილიყო. გულწრფელობის გარეშე საშა მისი გმირი ვერ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გახდებოდა. არ უნდა გაჩუმებულიყო, მისთვისაც იმდენივე უნდა ეთქვა, რამდენსაც საკუთარ თავს ეტყოდა.

– მინდა, რომ ხალხმა დამიმახსოვროს მეც და ის ადამიანებიც, ვინც ჩემთვის ძვირფასია; მინდა, იცოდნენ, როგორი იყო სამყარო, რომელიც მე მიყვარდა; გაიგონ ყველაზე მნიშვნელოვანი იქიდან, რაც მე გავიგე და რასაც მე მივხვდი; რომ ჩემმა ცხოვრებამ ფუჭად არ ჩაიაროს და ჩემ შემდეგ რამე დარჩეს.

– მასში შენს სულს დებ? – თავი გვერდზე გადააგდო გოგონამ, – მაგრამ ეს ხომ უბრალოდ რვეულია, რომელიც შეიძლება დაიწვას ან დაიკარგოს.

– ანუ სულისთვის არასაიმედო საცავია, ხომ? – ამოიოხრა ჰომეროსმა, – არა, რვეული მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ ყველაფერი თანმიმდევრობით დავალაგო და მნიშვნელოვანი არაფერი გამომრჩეს, სანამ ისტორია დაიწერება. მერე კი საკმარისი იქნება, ის რამდენიმე ადამიანს ვუამბო... თუ ყველაფერი გამომივა, აღარც რვეული დამჭირდება და აღარც სხეული.

– ალბათ ბევრი ისეთი რამ ნახე, რაც დასავიწყებლად გენანება, – გოგონამ მხრები აიჩეჩა, – მე კი დასაწერი არაფერი მაქვს. და არც მანდ მოხვედრა მინდა, ჩემზე დროს ნუ დაკარგავ.

– შენ ჯერ კიდევ წინ გაქვს ყველაფერი... – დაიწყო მოხუცმა და უცებ გაშეშდა: ის ხომ გვერდით აღარ იქნება.

გოგონამ არაფერი უპასუხა და ჰომეროსს შეეშინდა, რომ ამიერიდან აღარასდროს ამოიღებდა ხმას. მოხუცი ცდილობდა, შესაბამისი სიტყვები მოეძებნა, რომ ყველაფერი უკან დაებრუნებინა, მაგრამ სულ უფრო იხლართებოდა საკუთარ ფიქრებში.

– რომელია შენი ყველაზე ლამაზი მოგონება? – მოულოდნელად ჰკითხა გოგომ, – ყველაზე, ყველაზე ლამაზი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პომეროსი დაიბნა, გაუჭირდა, გაემხილა ყველაზე ძვირფასი ორი დღის გაცნობილი ადამიანისთვის. ამას ელენასაც კი არ ანდობდა. ელენას წლების განმავლობაში ეგონა, რომ მათი პატარა ოთახის კედელზე ერთი ჩვეულებრივი ქალაქის პეიზაჟი ეკიდა. შეძლებდა კი ეს პატარა გოგო, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მიწისქვეშ გაატარა, გაეგო ის, რასაც მოუყვებოდა?

– ზაფხულის წვიმა, – უთხრა ბოლოს.

– რა არის მაგაში ლამაზი? – საშა ბავშვურად დაიჯღანა.

– ოდესმე გინახავს წვიმა?

– არა, – თავი გააქნია გოგომ, – მამა გარეთ გასვლას მიკრძალავდა. მე მაინც გავიპარე ორჯერ, მაგრამ არ მომწონა. საშიშია, როდესაც გარშემო კედლები არაა. წვიმა ის არაა, ზემოდან რომ წყალი მოდის? – დააზუსტა ყოველი შემთხვევისთვის.

პომეროსი აღარ უსმენდა. მედიუმივით, რომელმაც გამოძახებულ სულს თავისი სხეული დაუთმო, სიცარიელეს მიშტერებოდა და ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა...

– მთელი თვე გვალვა იყო. მე კი ფეხმძიმე ცოლი მყავდა. მას ისედაც უჭირდა სუნთქვა, თან ასეთი სიცხე დაემატა... სამშობიარო სახლში, ერთ პალატაში ერთადერთი ვენტილატორი იყო. მეც, მის გამო, ძლივს ვსუნთქავდი. საშინლად ვნერვიულობდი: რამდენიმე წელი არაფერი გამოგვდიოდა, მერე ექიმები მუცლის მოშლით გვაშინებდნენ. იქ ნაყოფის შესანარჩუნებლად იწვა. ნეტა სახლში დაწოლილიყო. უკვე დრო იყო, მაგრამ მშობიარობა არ ეწყებოდა, არადა, ყოველდღე ხომ ვერ გაეთავისუფლები უფროსობას! თან ვილაცამ მითხრა, თუ დროზე არ გააჩენს, ბავშვი შეიძლება გაიგუდოსო. ადგილს ვერ ვპოულობდი. როგორც კი ცვლას დავამთავრებდი, მაშინვე ფანჯრის ქვეშ საფარაჯოდ გავ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რბოდი. გვირაბში ტელეფონი არ იჭერდა, ყოველ სადგურზე ვამოწმებდი, ზარი ხომ არ იყო გამოტოვებული. და აი, შეტყობინებას ვიღებ ექიმისგან: „სასწრაფოდ გადმომირეკეთ". სანამ დარეკვა მოვახერხე, გონებაში ცოლ-შვილის დამარხვა მოვასწარი ეჭვიანმა სულელმა. ვკრეფ...

ჰომეროსი გაჩუმდა, ზარს უსმენდა, პასუხს ელოდებოდა. გოგონა არ აწყვეტინებდა, კითხვები მომავლისთვის შემოინახა.

– მეუბნებიან, „გილოცავთ, ვაჟი შეგეძინათ". ეს ახლა ჟლერს ასე მარტივად: „ვაჟი შეგეძინათ". მაშინ ჩემი ცოლი მკვდრეთით აღადგინეს... თან ეს სასწაული... ამოვდივარ მეტროდან და წვიმს. გრილა. ჰაერიც მსუბუქი და გამჭვირვალეა. თითქოს ქალაქს შემოხვეული მტვრიანი პარკი მოხსნეს; ფოთლები პრიალებს; სახლებიც კი გაახალგაზრდავდა. „ტვერსკაიაზე" გავრბივარ ყვავილების ჯიხურისკენ და მეც ვტირი სიხარულისგან. ქოლგა მქონდა, მაგრამ არ გამიშლია, მინდოდა, დავსველებულიყავი, მინდოდა, შემეგრძნო ეს წვიმა. ახლა ისე ვერ გადმოგცემ... თითქოს ვაჟი კი არ შემეძინა, მე დავიბადე ხელახლა. ისე შევყურებდი სამყაროს, თითქოს პირველად ვხედავდი. ისიც ახალდაბადებული მეგონა, თითქოს მასაც ახლახან მოაჭრეს ჭიპლარი და პირველად ბანდნენ. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ყველაფერი თავიდან იწყებოდა და ის, რაც მანამდე ისე არ ხდებოდა, როგორც საჭირო იყო, რაც ცუდი იყო, გამოსწორდებოდა. მე უკვე ორი ვიყავი, ორი ცხოვრება მქონდა. რასაც მე ვერ მოვასწრებდი – ჩემი ვაჟი გააკეთებდა და ყველაფერი წინ გვქონდა. ყველას ყველაფერი წინ ჰქონდა...

მოხუცი გაჩუმდა. საღამოს მეწამულ ბურუსში გახვეულ სტალინის ათასართულიან სახლებს გაჰყურებდა „ტულსკაიას" საქმიან გუგუნში ეშვებოდა, ტკბილ ჰაერს ისუნ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თქავდა. მერე თვალები დახუჭა და ზაფხულის ოკისპირულ წვიმას სახე მიუშვირა. როცა გონს მოვიდა, თვალის კუთხეებში და ლოყებზე, იმ დღეში მოგზაურობის დასტურად, ჯერ კიდევ ელავდნენ წვიმის წვეთები.

სასწრაფოდ მოიწმინდა სახელოთი.

– ალბათ მაინც შეიძლება, წვიმა ლამაზი იყოს, – გოგონა ჰომეროსზე არანაკლებ შეცბუნებული ჩანდა, – მე ასეთი მოგონებები არ მაქვს. შეიძლება შენი მოგონებები მახსოვდეს? თუ გინდა... – გაუღიმა მოხუცს, – ...ვიქნები შენს წიგნში. ვილაცაზე მაინც ხომ უნდა იყოს დამოკიდებული, რით დამთავრდება წიგნი.

* * *

– ჯერ ძალიან ადრეა, – მოკლედ მოუჭრა ექიმმა.

საშამ ვერაფრით გააგებინა ამ ჩამომხმარ კაცს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის, რასაც ახლა ითხოვდა. ლრმად ჩაისუნთქა კიდევ ერთხელ გაბრძოლებისთვის, მაგრამ გადაიფიქრა, ჯანმრთელი ხელი ჩაიქნია და ზურგი შეაქცია.

– არა უშავს, მოითმინეთ. და რაკი ასე მყარად დგახართ ფეხზე, შეგიძლიათ გაისეირნოთ, – ექიმმა გასუფთავებულ პოლიეთილენის პარკში ჩაალაგა თავისი ხელსაწყოები და მოხუცს ხელი ჩამოართვა, – რამდენიმე საათში შემოგივლით. ხელმძღვანელობამ გვიბრძანა, ყურადღებით ვიყოთ. ვალში ვართ თქვენთან.

მოხუცმა საშას მხრებზე დალაქავებული სამხედრო ბუშლატი მოახურა და გოგონა გარეთ გავიდა. უკან გაჰყვა ექიმს ლაზარეთის კარვების გასწვრივ, ოთახების რიგებს შორის, რომლებშიც მაგიდები და საწოლები იდგა. კიბის ორი ბაქანი აიარა და უჩინარი დაბალი კარით უშველებელ მოგ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რძო დარბაზში გავიდა. კარის ზღურბლზე გაშეშებული, კარგა ხანს ვერ ბედავდა დარბაზში შესვლას. ადრე არასოდეს ენახა ერთად ამდენი ხალხი; ადრე წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ დედამიწაზე ამდენი ცოცხალი ადამიანი იყო.

ათასი უნილბო სახე! არავინ არაფრით ჰგავდა ერთმანეთს... აქ მთლად ჩამომჭკნარი მოხუცებიც იყვნენ და ახალშობილებიც. უამრავი მამაკაცი – წვეროსანი თუ გაპარსული, მაღალი თუ დაბალი, ღონემიხდილი და გამოფიტული, სისხლსავსე და დაკუნთული, ბრძოლებში დამახინჯებული თუ დაბადებიდან მახინჯი, უსაზღვროდ ლამაზი და ჩვეულებრივი. და ამდენივე ქალი – ფართო საჯდომიანი, ლამაზსახიანი მოვაჭრეები თავსაფრებითა და დაბამბული ზედებით, საოცრად გამხდარი გოგონები ხასხასა ფერის ტანსაცმლითა და ახლართული მძივებით.

შეამჩნევენ საშას განსხვავებულობას? შეძლებს, დაიმალოს ხალხის მასაში და ისე მოიქცეს, როგორც ერთ-ერთი მათგანი, თუ აი, ახლა თავს დაესხმიან და გაგლეჯენ, როგორც ვირთხების გუნდი უცხო ალბინოს-ვირთხას? თავიდან მოეჩვენა, რომ ყველა თვალი მას მიშტერებოდა, ყოველი შემთხვევითი მზერის შემჩნევაზე ოფლი ასხამდა. მაგრამ გავიდა მეოთხედი საათი და ცოტა შეეჩვია: ხალხში, რომელიც მას უყურებდა, ბოროტი მზერაც დაიჭირა, ცნობისმოყვარეც და დაუინებულიც, თუმცა უმეტესობა მის მიმართ არანაირ ინტერესს არ იჩენდა. თვალს შეავლებდნენ და ჭყლეტაში გაივლიდნენ ისე, რომ საშას ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ.

ეს დაბნეული, სისწრაფეს მოკლებული მზერა, როგორც მანქანის ზეთი, ისე პოხავდა მოფუსფუსე ადამიანების კბილანებს. ყველა რომ ერთმანეთით დაინტერესებულიყო, ხახუნის ძალა ძალიან ძლიერი იქნებოდა და მთელი მექანიზმის პარალიზებას გამოიწვევდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმისათვის, რომ მასას ჩახრახნოდა, არ იყო სხვანაირ. ად ჩაცმისა და თმის სხვაგვარად შეჭრის აუცილებლობა, სხვის თვალებში ყურების ნაცვლად საკმარისი იყო, ციებად გაეხედა გვერდზე. ხელოვნურ, ნაძალადევ გულგრილობა. ში ამოგანგლულ საშას შეეძლო შეუმჩნევლად გამძვრალი. ყო მოძრავ მასაში.

პირველ წუთებში ცხვირი აუწვა ადამიანების მძიმე სუნ. მა, მაგრამ მალევე შეეჩვია; ალლო აულო მნიშვნელოვნისა და საჭიროს დაჭერას და უსარგებლოს გატარებას. უსუფ. თაო სხეულების მომუავო სუნში ატანდა ნაზი, ახალგაზ. რდული, გამაღიზიანებელი სურნელი; იქაურობას შიგა. დაშიგ გადაუვლიდა მოვლილი ქალების ნელსურნელება, რასაც დროდადრო ერეოდა შემწვარი ხორცის სუნი და ამ. ოთხრილი ორმოების მომწამვლელი ოხშივარი. რაც უფრო დიდხანს იყნოსავდა საშა ამ სურნელებას, მით უფრო მე. ტად ტკბილი ეჩვენებოდა ის.

უსასრულო გადასასვლელის სრულად შესასწავლად ალბათ მთელი თვე დასჭირდებოდა. აქ ყველაფერი საოცარი იყო – ყვითელი ლითონის მავთულისგან დაწნული საჩ. კაულებით სავსე დახლები, წიგნების უზარმაზარი გროვები, რომლებიც იმაზე მეტ საიდუმლოს ინახავენ, ვიდრე საშა ოდესმე შეძლებდა გაგებას...

გოგონა ერთ სტენდთან შეჩერდა, რომელსაც „ყვავილე. ბი" ეწერა და მისალოცი ბარათების მდიდარი კოლექცია იყიდებოდა. სურათებზე ყველანაირი თაიგულის გახუნე. ბული სურათები იყო გამოსახული. ბავშვობაში საშას ერთი ასეთი მისალოცი აჩუქეს, მაგრამ აქ უამრავი იყო!

დახლებს შორის იყვნენ დედის მკერდს მიკრული ახალ. შობილები და პატარა ბავშვები, რომლებიც ნამდვილ კა. ტებს ეთამაშებოდნენ; წყვილები, რომლებიც ჯერ მხოლოდ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მზერით ეხებოდნენ ერთმანეთს და მეტად გათამამებული წყვილებიც; ასევე – კაცები, რომლებიც ცდილობდნენ, მას შეხებოდნენ.

შეეძლო მათი ყურადღება და ინტერესი სტუმართმოყვარეობად ან რამის მიყიდვის სურვილად მიელო, მაგრამ მათი სიტყვებისგან, რასაც განსაკუთრებული ფშვინვა ახლდა, თავს უხერხულად გრძნობდა; ცოტა ზიზღიც ერეოდა. რა მოეწონათ მასში? ნუთუ აქაური ქალები არ ჰყოფნით? მათ შორის ძალიან ლამაზებიც არიან. ყვავილებიან ნაჭრებში გახვეულები, მისალოცი ბარათების ახალგაშლილ კოკრებს ჰგვანან. მას კი ალბათ დასცინიან...

საერთოდ, შეძლებს კი მამაკაცის ყურადღების მიქცევას? – უცებ გაჰკრა უცნობმა ეჭვმა. იქნებ რაღაც სხვანაირად გაიგო? მაგრამ როგორ „სხვანაირად"? რაღაცამ სევდიანად შეუკუმშა ადგილი დახურული ნეკნების სამკუთხა თალის ქვეშ, საიდანაც ეწყებოდა ნაზი, ქალური ჩალრმავება და რომელიც ერთი დღის წინ აღმოაჩინა.

ცდილობდა, პანიკა დაეძლია, მიდიოდა დახლებს შორის, რომლებზეც ყველაფერი ეწყო – ჯავშანჟილეტები, სამშვენისები, ტანსაცმელი თუ ხელსაწყოები, მაგრამ აღარაფერი აინტერესებდა. თურმე შინაგანი ხმა ხალხის გუგუნზე ხმამაღალი შეიძლება იყოს, ხოლო გონებაში დახატული ადამიანთა სახეები – უფრო მკვეთრი, ვიდრე რეალური.

ღირდა კი ის მის სიცოცხლედ? შეეძლო განეკითხა მას შემდეგ, რაც მოხდა? და, რაც მთავარია, რაღა აზრი ჰქონდა ამ სულელურ ფიქრებს, როცა გოგონას აღარაფრის გაკეთება არ შეეძლო მისთვის...

მანამ, სანამ მიხვდებოდა, თუ რა ემართებოდა, ეჭვები გაქრა და გული დაუმშვიდდა. თავის თავს მიუგდო ყური, მაგ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რამ შორეული მელოდიის ნანყვეტები დაიჭირა, რომელიც გარედან ალწევდა, ადამიანთა მღვრიე მრავალხმიანობის კვალდაკვალ მიედინებოდა, მაგრამ მასში არ ითქვიფებოდა.

მუსიკა საშასთვის, ისევე როგორც ნებისმიერ ადამიანისთვის, დედის იავნანით დაიწყო და იმითვე დამთავრდა: მამას არც სმენა ჰქონდა და არც სიმღერა უყვარდა, მოხეტიალე მუსიკოსებსა და მსგავს ოინბაზებს „ავტოზავოდსკაიაზე" არ სწყალობდა. გუშაგები, რომლებიც კოცონთან სევდიან სამხედრო სიმღერებს ღიღინებდნენ, ვერც თვითნაკეთ გიტარებს აჟღერებდნენ სათანადო და ვერც სამას დაჭიმულ სიმებს.

მაგრამ ახლა გიტარის სევდიანი ხმა კი არ ესმოდა, არამედ ნაზი, ცოცხალი ხმა, ადამიანის ყელისათვის მიულწევლად მაღალი და ძლიერი.

უცნობი ინსტრუმენტის დაკვრა აჯადოებდა, ითრევდა მსმენელს და სადღაც უსასრულოდ შორს მიჰყავდა, სამყაროში, რომლის შესახებაც მეტროში დაბადებულებმა არაფერი იცოდნენ და რომლის შესაძლებლობებს ვერც კი წარმოიდგენდნენ. ის ოცნებას გაიძულებდა და მის ასრულებასაც გარწმუნებინებდა. უცნაურ სევდას აღძრავდა და იქვე აქარწყლებდა მას. ეს მელოდია საშაზე ისე მოქმედებდა, თითქოს გოგომ მიტოვებულ სადგურზე ხეტიალისას ფანარი იპოვა და მის შუქზე გასასვლელსაც მიაგნო.

საშა იარალის გამყიდველის კარავთან იდგა. პირდაპირ ფანერის კედელი იყო, რომელზეც საკანცელარიოთი დაწყებული და საბრძოლოთი დამთავრებული, ყველანაირი დანა მიემაგრებინათ. საშა გაოცებული შესცქეროდა მათ.

გოგონას ორი ნახევარი ერთმანეთთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება. აზრი, რომელიც თავში მოუვიდა, მარტივი და მომხიბვლელი იყო. მოხუცმა მას ერთი მუჭა ტყვია

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოატანა, რაც ზუსტად ჰყოფნიდა დაკბილული, შავი, ფართო, კარგად გალესილი დანის საყიდლად, რომელიც ზუსტად შეესაბამებოდა მის ჩანაფიქრს.

წუთის შემდეგ საშამ მაინც გადაწყვიტა და შენაძენი კომბინეზონის გულის ჯიბეში დამალა – იმ ადგილთან ახლოს, რომლის ტკივილის დაამებაც უნდოდა. ლაზარეთში დაბრუნებისას აღარც ბუშლატის სიმძიმეს გრძნობდა და აღარც საფეთქლის ტკივილი ახსოვდა.

ხალხის მასა მასზე მთელი თავით მაღალი იყო და შორეული მუსიკოსი, რომელიც საცარ ნოტებს უკრავდა, მაინც ვერ დაინახა. მელოდია ამაოდ მოჰყვებოდა უკან, ცდილობდა დასწეოდა, უკან მიებრუნებინა, აზრი შეეცვლევინებინა.

* * *

კარზე ისევ დააკაკუნეს.

ჰომეროსი ხვნეშით წამოდგა იატაკიდან, სახელოთი მოიწმინდა პირი და ჩასარეცხი ბაკის ჯაჭვს მოქაჩა. ჭუჭყიან მწვანე დაბამბულ ქურთუკზე მოკლე მუქი ზოლი დარჩა. ერთ დღე-ღამეში უკვე მეხუთედ აღებინა, თუმცა ნორმალურად არც უჭამია.

„ცუდად ყოფნას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს, – თავს ირწმუნებდა მოხუცი, – რატომ მაინცდამაინც ავადმყოფობის დაჩქარებული ფორმა? შესაძლოა, ეს...“

– მალე გამოხვალთ?! – გაისმა ქალის მოუთმენელი ფალცეტი.

ღმერთო! ნუთუ ისე ჩქარობდა, რომ კარზე ასოები აერია?! ჰომეროსმა ჭუჭყიანი სახელოთი სახიდან ოფლი მოიწმინდა, მიამიტი სახე მიიღო და საკეტი გადასწია.

– მთვრალი! – ფუმფულა ქალმა ხელი ჰკრა და კარი მიიხურა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„რას იზამ, – გაიფიქრა მოხუცმა, – ჯობია ჩათვალონ, რომ მთვრალი ვარ, ვიდრე..."

ხელსაბანის თავზე დაკიდული სარკისკენ წავიდა და შუბლით მიეყრდნო მას. ძლივს მოითქვა სული. აკვირდებოდა, როგორ იორთქლებოდა სარკე და უცებ მიხვდა: რესპირატორი მოსძრობოდა და ნიკაპს ქვემოთ კონწიალობდა. ჰომეროსმა სასწრაფოდ გაიკეთა საპირე და ისევ დახუჭა თვალები. არა, იმაზე ფიქრი, რომ ის სიკვდილს გადასცემს ყველა ადამიანს, ვისაც გზად ხვდება, შეუძლებელია. უკან მიბრუნება უკვე გვიანაა: თუკი დაავადება გადამდებია, თუკი სიმპტომები არ ერევა, მაშინ მთელი სადგური განწირულია ამ ქალის ჩათვლით, რომელსაც ბრალი მხოლოდ იმაში მიუძღვის, რომ უდროოდ დასჭირდა საპირფარეშო. რას იზამდა ის ქალი, ჰომეროსს რომ ეთქვა, ყველაზე გვიან, ერთ თვეში მოკვდებიო?

„სისულელეა", ფიქრობდა ჰომეროსი, „როგორი სისულელე და უნიჭობაა".

მოხუცს უნდოდა, ყველა, ვისთანაც ბედი შეახვედრებდა, უკვდავეყო, ამის ნაცვლად კი სიკვდილის უაზრო, მელოტ, უძლურ ანგელოზად მოევლინა. მას ფრთები დააჭრეს და წრეში ჩასვეს, ოცდაათდღიანი ვადა განუსაზღვრეს და მოქმედებისკენ უბიძგეს.

თავდაჯერებულობისა და სიამაყისთვის დასაჯეს?

არა, მოხუცს დუმილი აღარ შეეძლო. მაგრამ ამქვეყნად ერთადერთი ადამიანი ეგულებოდა, ვისთვისაც შეეძლო აღსარება ჩაებარებინა. მის მოტყუებას დიდხანს მაინც ვერ შეძლებდა, თანაც გახსნილი კარტით თამაში ორივესთვის ბევრად უფრო ადვილი იქნებოდა.

ჰომეროსი მერყევი ნაბიჯით გაემართა საავადმყოფოს პალატებისკენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საჭირო პალატა დერეფნის ბოლოს მდებარეობდა და მის კართან, როგორც წესი, სანიტარი მორიგეობდა, მაგრამ ახლა პოსტი მიეტოვებინა, შიგნიდან კი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხრიალი ისმოდა. რაღაცნაირად სიტყვებად იკვრებოდა, მაგრამ ამ სიტყვების აზრიან ფრაზად გაერთიანება მიყუ-რადებული ჰომეროსისთვისაც შეუძლებელი იყო.

– უფრო მაგრად... ბრძოლა... უნდა... ჯერ კიდევ აქვს აზრი... წინააღმდეგობა... გახსოვდეს... ჯერ კიდევ შეიძლე-ბა... შეეშალათ... განსაჯეს... მაგრამ კიდევ...

სიტყვები ღრიალად გადაიქცა, თითქოს ტკივილი აუტ-ანელი გახდა და მოლაპარაკეს აღარ აძლევდა საშუალებას, რომ აზრები მოეთოკა. ჰომეროსი შიგნით შევიდა.

ჰანტერი უგონოდ ეგდო დაჭმუჭნილ, სველ ზეწრებზე. თავზე შემოხვეული ბინტები თვალებზე ეფხატებოდა, წა-მახვილებული ღაწვები ერთიანად ოფლიანი ჰქონდა, გაუპ-არსავი ქვედა ყბა უღონოდ ჩამოვარდნოდა. ფართო მკერ-დი მძიმედ ადი-ჩადიოდა ზემოთ-ქვემოთ, როგორც მჭედ-ლის საბერველი, ძლივს ინარჩუნებდა ცეცხლს უზარმაზარ სხეულში.

საწოლის თავთან, ჰომეროსისგან ზურგით გოგონა იდ-გა, გამხდარი ხელები ზურგსუკან შემოეწყო. ჰომეროსი დააკვირდა და მერელა დაინახა შავი დანა, რომელიც თით-ქოს ერწყმოდა მის კომბინეზონს. გოგოს დანის ტარი მაგ-რად ჩაებლუჯა გამხდარი თითებით.

* * *

ზუმერი.

ისევ ზუმერი. ისევ.

ათას ორას ოცდათხუთმეტი. ათას ორას ოცდათექვსმე-ტი. ათას ორას ოცდაჩვიდმეტი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არტიომი იმისთვის არ ითვლიდა, რომ მეთაურთან თავი ემართლებინა. ეს აუცილებელი იყო იმისთვის, რომ ეგრძნო, სადღაც მიდიოდა. რაც უფრო შორდებოდა წერტილს, საიდანაც ათვლა დაიწყო, ზუმერის ყოველ მომდევნო ხმაზე უახლოვდებოდა წერტილს, სადაც ეს უაზრობა დამთავრდებოდა.

თავს იტყუებდა?! თუნდაც. მაგრამ უსმენდა მათ და ფიქრი იმაზე, რომ ტანჯვა არასოდეს დამთავრდებოდა, აუტანელი იყო. თავიდან, პირველ მორიგეობაზე, მოსწონდა კიდეც: ზუმერი ფიქრთა კაკაფონიას მეტრონომივით აწესრიგებდა, თავს აცარიელებდა და რიტმში სვამდა აჩქარებულ პულსაციას.

მაგრამ მის მიერ დაყოფილი წუთები ზუსტად ჰგავდა ერთმანეთს. არტიომს ეჩვენებოდა, რომ გაიჭედა დროის რომელიღაც ხაფანგში და თავს მანამ ვერ დააღწევდა, სანამ ეს ზუმერი არ შეწყდებოდა. შუა საუკუნეებში იყო წამების ასეთი ხერხი: შიშველ დამნაშავეს კასრის ქვეშ სვამდნენ, საიდანაც მას თავზე წყლის წვეთი ეცემოდა და საცოდავი თანდათან ჭკუიდან გადაჰყავდა. იქ, სადაც საწამებელი ძელი უძლური იყო, ჩვეულებრივი წყალი არაჩვეულებრივ შედეგს იძლეოდა.

მავთულით მიბმულ არტიომს უფლება არ ჰქონდა ერთი წამით მაინც მოშორებოდა ტელეფონს. მთელი მორიგეობის განმავლობაში ცდილობდა, არ დაელია, რომ საჭიროებას არ მოეწყვიტა ზუმერისთვის. ბოლოს ველარ მოითმინა, ოთახიდან გამოვარდა, საპირფარეშოსთან მიირბინა და მერ უკანვე გაიქცა. ზღურბლიდანვე დაუგდო ყური და გაშეშდა: ტემპი შეცვლილიყო, სიგნალი გახშირებულიყო, ჩვეული რიტმი დარღვეულიყო. მხოლოდ ერთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო და მან ეს მშვენივრად იცოდა – წამი, რომელსაც ასე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელოდა, უკვე დამდგარიყო მაშინ, როცა ის იქ არ იყო. შეშინებულმა გაიხედა კარისკენ – ვინმემ ხომ არ შეამჩნია? – სასწრაფოდ ხელახლა აკრიფა ნომერი და ყურმილს აეკრო.

აპარატმა გაიტკაცუნა და განულებული ზუმერი ჩვეულ რიტმში გაგრძელდა. ამის შემდეგ დაკავება ერთხელაც არ ყოფილა. არც ყურმილი აუღია ვინმეს. თუმცა, არტიომი დაკიდებას მაინც ვერ ბედავდა, მხოლოდ გაოფლილი ყურიდან გაყინულზე გადაჰქონდა და ცდილობდა, თვლა არ არეოდა.

ამ შემთხვევის შესახებ ხელმძღვანელობისთვის, რა თქმა უნდა, არაფერი უთქვამს, ცოტა ხნის შემდეგ უკვე ალარც სჯეროდა, რომ ზუმერი სხვანაირად ყლერდა. მას ნაბრძანები ჰქონდა, დაკავშირებოდა და ბოლო ერთი კვირა მხოლოდ ამისთვისღა არსებობდა. ბრძანების დარღვევის გამო ტრიბუნალს გადასცემენ, ტრიბუნალისთვის კი დაუდევრობა არაფრით განსხვავდება საბოტაჟისგან.

და კიდევ, ტელეფონი აგებინებდა მას, რამდენი დარჩა მორიგეობის დასრულებამდე. არტიომს საკუთარი საათი არ ჰქონდა, ამიტომ შემოვლის დროს დრო მეთაურის საათზე დანიშნა. სიგნალი ხუთ წამში ერთხელ მეორდება; ოცი ზუმერი ერთი წუთია; შვიდას ოცი – ერთი საათი. ცამეტი ათას ექვსას ოცი – ცვლა. წამები სილის მარცვლებად იყრებოდნენ რომელიღაც უზომო კოლბიდან უძიროში. ამ ორი უხილავი ჭურჭლის დამაკავშირებელ ვიწრო ყელში კი იჯდა არტიომი და დროს უსმენდა.

ყურმილის დაკიდებას ვერ ბედავდა, რადგან მეთაური ნებისმიერ დროს შეიძლებოდა თავზე დადგომოდა. ისე კი... ის, რასაც ის აკეთებდა, სრული უაზრობა იყო. მავთულის მეორე მხარეს ალბათ ერთი ცოცხალი ადამიანიც ალარ არსებობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვალებს დახუჭავდა თუ არა, არტიომს თვალწინ მუდმივად ერთი სურათი ედგა: სადგურის უფროსის ბარიკადებით გადაკეტილი კაბინეტი და მისი მასპინძელი, რომელსაც თავი მაგიდაზე უდევს, ხელში კი „მაკაროვი" უჭირავს. ცხადია, გამჭოლი ტყვიით გახვრეტილი ყურებით ტელეფონის ხმას ვერ გაიგონებს. გარედან ვერაფრით ამტვრევენ კარს, მაგრამ საკეტის ჭუჭრუტანა ღიაა და ძველი ტელეფონის განწირული წკრიალი აღწევს ამ ნაპრალში, მიცოცავს დასივებული გვამებით სავსე პლატფორმაზე... ოდესღაც ტელეფონის ხმა ხალხის დაუსრულებელი გუგუნის, ნაბიჯების ხმისა თუ ბავშვების ტირილის გამო არ ისმოდა, მაგრამ მკვდრებს არანაირი ხმა აღარ აწუხებთ. ციმციმებს აგონიაში მყოფი აკუმულატორების წითელი ავარიული შუქი.

ზუმერი.

ისევ ზუმერი.

ათას ხუთას სამოცდასამი. ათას ხუთას სამოცდაოთხი...

არავინ პასუხობს.

:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 11
საჩუქრები

– მომახსენე!

რა-რა და მოულოდნელად თავზე წამოდგომა არაჩვეულებრივად იცოდა. გარნიზონში მეთაურზე ლეგენდები დადიოდა: ყოფილი დაქირავებული მკვლელი განაფუული იყო ცივი იარაღის ფლობასა და სიბნელეში გაუჩინარებაში. ჯერ კიდევ მანამ, სანამ „სევასტოპოლსკაიაზე" დამკვიდრდებოდა, მას მარტოს გაუნადგურებია მტრის ბლოკპოსტები გუშაგების მცირე უყურადღებობის „დამსახურებით".

არტიომი წამოხტა და სამხედრო სალამი მისცა მეთაურს. რატომღაც გული დასწყდა, რომ ზუმერის თვლის შენყვეტა მოუხდა. მეთაური სამორიგეო ფურცელთან მივიდა, დრო შეადარა, თარიღის – 3 ნოემბრის – გასწვრივ მიაწერა: ცხრა ოცდაორი, მერე ხელი მოაწერა და არტიომს მიუბრუნდა.

– სიჩუმეა. უფრო სწორად, არავინაა, – მოახსენა არტიომმა.

– ხმას არ იღებენ? – სიტყვა გაწელა მეთაურმა, კუნთები გაჭიმა, კისერი გაატკაცუნა, – ვერ დავიჯერებ!

– რას ვერ დაიჯერებთ? – ფრთხილად დააზუსტა არტიომმა.

– რომ „დობრინინსკაია" ასე მალე დაეცა. გამოდის, რომ ეპიდემია უკვე ჰანზაშიც გავრცელდა. წარმოგიდგენია, რა უნდა დაწყებულიყო, რომ წრიული ხაზი დაემარცხებინა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით... – ყოყმანით შეეკამათა არტიომი, – იქნებ უკვე დაიწყო კიდეც, კავშირი ხომ არ გვაქვს?

– იქნებ ხაზებია დაზიანებული? – მეთაური დაიხარა და მაგიდაზე თითები აათამაშა.

– მაშინ ისე იქნებოდა, როგორც ბაზაზე, – არტიომ. მა თავით გვირაბისკენ ანიშნა, რომელიც „სევასტოპოლ-სკაიასკენ" მიდიოდა, – ნომრის აკრეფის მერე სრული სიჩუმე იყო. აქ კი ზარი გადის. ესე იგი, ტექნიკა მუშაობს.

– რადგან ჭიშკართან აღარავინ მოდის, ბაზას ან აღარ ვჭირდებით, ან, უბრალოდ, აღარ არსებობს. და აღარც „დობრინინსკაიაა", – აუჩქარებლად ივარაუდა მეთაურმა, – მისმინე, პოპოვ... იქ თუ აღარავინ დარჩა, მაშინ ჩვენც მალე ამოვწყდებით. ჩვენს დასახმარებლად არავინ მოვა და ჩვენს კარანტინსაც არა აქვს აზრი. იქნებ გავაუქმოთ, რას იტყვი?

– არავითარ შემთხვევაში, კარანტინი აუცილებელია, – შიშით უარყო არტიომმა და მეთაურის ჩვევა გაახსენდა, დეზერტირებს ჯერ მუცელში რომ ესროდა და მერე უკითხავდა განაჩენს.

– ჰო, აუცილებელია, – ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა მეთაურმა, – დღეს კიდევ საძნი გახდნენ ცუდად. ორი ადგილობრივი და ერთი ჩვენიანი, აკოპოვი. აქსიონოვი კი მოკვდა.

– აქსიონოვი?! – არტიომმა ძლივს გადაყლაპა ნერწყვი, თვალები დახუჭა.

– თავი გაიხეთქა რელსზე. ამბობდა, რომ ძალიან სტკიოდა, – აუჩქარებლად განაგრძობდა მეთაური, – და ის არ არის პირველი. როგორ საშინლად უნდა გტკიოდეს თავი, რომ მუხლებზე დამდგარი ნახევარ საათს ცდილობდე მის გაჩეჩქვას?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ნამდვილად! – არტიომმა გულისრევა იგრძნო.

– გული გერევა? სისუსტეს ხომ არ გრძნობ? – მზრუნველად ჰკითხა მეთაურმა და სახეში ფანარი შეანათა, – პირი გააღე. თქვი „ააააა". ყოჩაღ. იცი რა, პოპოვ, როგორმე დარეკე. დაუკავშირდი „დობრინინსკაიას", იქნებ ჰანზას აქვს ვაქცინა და მათი სანიტარული ბრიგადები როგორმე მოგვაშველონ. ჩვენ, ჯანმრთელებს გადაგვარჩენენ, ავადმყოფებს კი განკურნავენ. იქნებ ამ ჯოჯოხეთს გავეცალოთ და სახლებში დავბრუნდეთ ცოლებთან. შენ შენს გალიას დაუბრუნდები, მე კი ალიონას და ვერას. გაიგე, პოპოვ?

– არის! – გაიჯგიმა არტიომი.

– თავისუფლად.

* * *

მისი ხანჯალი ზედ ტართან გადატყდა, ზედ დაცემული არსების სიმძიმეს ვერ გაუძლო. ხანჯლის პირი იმდენად ღრმად შევიდა მხეცის უზარმაზარ სხეულში, რომ მისი იქიდან ამოძრობა არც კი უცდიათ. კლანჭებით დასერილი თავგადაპარსული უკვე მესამე დღე იყო, გონს ვერ მოდიოდა.

საშამ იცოდა, რომ ვერაფრით უშველიდა, მაგრამ მაინც აუცილებლად უნდა ენახა ის. იმისთვის მაინც, რომ მადლობა გადაეხადა... თუნდაც მას ვერ გაეგო. მაგრამ პალატაში ექიმები არ უშვებდნენ, ეუბნებოდნენ, დაჭრილს მოსვენების მეტი არაფერი სჭირდებაო.

საშამ დანამდვილებით არ იცოდა, რატომ დახოცა თავგადაპარსულმა ადამიანები დრეზინიდან. მხოლოდ იმიტომ, რომ გოგონა გადაერჩინა?! საშა გულწრფელად ცდილობდა ამის დაჯერებას, მაგრამ არაფრით გამოსდიოდა. სიმართლეს მეორე ვარიანტი უფრო ჰგავდა: მისთვის მოკვლა უფრო ადვილი იყო, ვიდრე რამის თხოვნა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ბაგელიანსკაიაზე" კი ყველაფერი სხვაგვარად იყო. არ. აჯიანარი ეჭვი არ არსებობდა: ის მიდიოდა საშას გადასარ. ჩენად და მზად იყო სიცოცხლეც კი გაეწირა მის გამო. ესე იგი, გოგონა არ ცდებოდა – მათ შორის მართლაც იწყებ. და რაღაც.

„კოლომენსკაიაზე", როდესაც პანტერმა დაუძახა, საშა ტაქსის ელოდა და არა შეთავაზებას, რომ გზა ერთად გა. ვაგრძელებინათ; თუმცა მორჩილად შეტრიალდა და მიხვდა, რაღაც შესცვლოდა, მაგრამ არა სახეზე – საშინელი სახე ისევ ისეთი უგრძნობი ჰქონდა. ცვლილება მხოლოდ თვა. ლებს ეტყობოდა: შავი გუგების მილმიდან თითქოს ვილაც სხეა იყურებოდა. ვილაც, გოგონას მიმართ ინტერესით; ვი. ლაც, ვისაც ახლა სიცოცხლეს უნდა უმადლოდეს.

საშა ფიქრობდა, მისთვის ვერცხლის ბეჭედი ხომ არ გადაეცა, როგორც ერთ დროს დედამისი მოიქცა? მაგრამ შეეშინდა, რომ თავგადაპარსული ვერ გაიგებდა ამ მინიშ. ნებას. სხვანაირად როგორ გადაეხადა მისთვის მადლო. ბა? ეჩუქებინა მისთვის დანა, იმის სანაცვლოდ, რომელიც გოგონას გადარჩენისას გაუტყდა? სხვა რა შეეძლო? სწო. რედ ამ მარტივი აზრით ანთებული გაშეშდა იარალით მო. ვაჭრის დახლის წინ, წარმოიდგინა, როგორ გადასცემდა თავგადაპარსულს ახალ დანას, როგორ შეხედავდა ის, რას ეტყოდა... იმწამს არ უფიქრია, რომ იარაღს სინამდვილე. ში მკვლელისთვის ყიდულობდა, რომლითაც ის ვილაცებს ყელს გამოჭრიდა და მუცელს გაუფატრავდა; იმწამს თავ. გადაპარსული გმირი იყო და არა ბანდიტი, მებრძოლი და არა მკვლელი; უპირველესად კი – მამაკაცი. საშას გამო. უთქმელი და, მეტიც, ჩამოუყალიბებელი აზრი უტრიალებ. და თავში: მისი ხანჯალი გატეხილია, თავად კი – დაჭრილი, შეიძლება გონზე ვერც კი მოვიდეს. იქნებ, თუ მთელი დანა ექნება, როგორც ამულეტი...

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაინც იყიდა.

და ახლა იდგა მის საწოლთან, საჩუქარს ზურგსუკან მალავდა და ელოდა, ავადმყოფი როდის შეიგრძნობდა გოგონას ან თუნდაც დანის სიახლოვეს. თავგადაპარსული შეირხა, ახრიალდა, ბგერები ამოახველა, მაგრამ გონს ვერ მოვიდა: წყვდიადს მეტისმეტად მაგრად შეებოჭა.

საშას მანამდე არასოდეს წარმოუთქვამს მისი სახელი, არათუ ხმამაღლა, გულშიც კი. სანამ ხმამაღლა დაუძახებდა, ჯერ დაიჩურჩულა, თითქოს ცდიდა, მერე კი გაბედა:

– ჰანტერ!

თავგადაპარსული მიყუჩდა, თითქოს ყურიც კი მიუგდო წარმოუდგენლად შორიდან ძლივსგასაგონ ექოდ მოღწეულ ხმას, მაგრამ პასუხი არ გაუცია. საშამ კიდევ ერთხელ დაუძახა, ამჯერად უფრო ხმამაღლა და მტკიცედ. ჩანდა, უკან დახევას არ აპირებდა, სანამ ბრიგადირი თვალებს არ გაახელდა. უნდოდა, მისი გვირაბის სინათლე გამხდარიყო.

უცებ დერეფანში ვილაცამ გაკვირვებით წამოიყვირა, რასაც ჩექმების ფრატუნის ხმა მოჰყვა... დრო რომ არ დაეკარგა, საშამ ჩაიჩოქა და დანა საწოლის თავთან, ტუმბოზე დადო.

– ეს შენ, – უთხრა ჩურჩულით.

ფოლადის თითები, რომლებსაც შეეძლო მისთვის ძვლები გადაემტვრია, საშას მაჯას შემოეჭდო. დაჭრილმა შეძლო ქუთუთოების აწევა, მაგრამ მზერა უაზროდ მიმოატარა აქეთ-იქით.

– მადლობა... – გოგონას არ უცდია დაჭერილი ხელი ხაფანგიდან გამოეთავისუფლებინა.

– აქ რას აკეთებთ?!

ახალგაზრდა, გაქონილხალათიანმა ბრგე სანიტარმა თავგადაპარსულს ნემსი გაუყარა და ისიც მაშინვე მოეშვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მერე სასწრაფოდ წამოაყენა საშა ფეხზე და კბილებს შორის გამოსცრა:

– შენ რა, არ გესმის?! ის ისეთ მდგომარეობაშია, რომ... ექიმმა აკრძალა...

– ეს შენ არ გესმის! რაღაცას უნდა მოეჭიდოს, თქვენი ნემსებისგან კი ძალას კარგავს...

– აქ მეორეჯერ არ გნახო! – სანიტარმა საშას გასასვლელისკენ უბიძგა, მაგრამ უცებ დანა შეამჩნია:

– ეს რაღაა?

– ეს მისია... მე მოვუტანე, – დაიბნა საშა, – ის რომ არა, ურჩხულები ნაკუნებად გამგლეჯდნენ.

– მე კი ექიმი გამგლეჯს, რომ გაიგოს, – ჩაიბურტყუნა სანიტარმა, – მორჩა, მოუსვი აქედან!

მაგრამ საშა კიდევ წამით შეყოვნდა და წამლით გაბრუებულ ჰანტერს მაინც ბოლომდე უთხრა სათქმელი:

– მადლობა. შენ მე გადამარჩინე.

პალატიდან გავიდა და უცებ ჰანტერის ჩუმი, წყვეტილი სიტყვები გაისმა:

– მე მხოლოდ მისი მოკვლა მინდოდა... ურჩხულის...

ზურგსუკან კარი მიიხურა და საკეტი გადატრიალდა.

* * *

დანას სხვა დანიშნულება ჰქონდა. ჰომეროსი მაშინვე მიხვდა ამას, როგორც კი გაიგონა, როგორ ეძახდა გოგონა ბოდვის ჭაობში მოფართხალე ბრიგადირს – მტკიცედ, ნაზად და სიბრალულით. მოხუცს შეეძლო ჩარეულიყო, მაგრამ უკან დაიხია: აქ გადასარჩენი არავინ იყო. მას მხოლოდ ერთი რამით შეეძლო დახმარებოდა: სასწრაფოდ გასულიყო გარეთ, რომ გოგონა არ შეეშინებინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იქნებ საშა მართალიც კია? „ნაგატინსკაიაზე" ხომ ჰანტერმა მიატოვა თავისი თანამგზავრები და ციკლოპებს მიუგდო ისინი? ამ ბრძოლაში კი... ნუთუ ბრიგადირისთვის გოგონა რამეს ნიშნავს?

ჩაფიქრებული ჰომეროსი თავისი პალატისკენ გაუყვა დერეფანს. წინიდან სანიტარი შეეფეთა, მხარიც კი გაჰკრა მოხუცს, მაგრამ ვერც კი შეამჩნია. ჰომეროსიც ფიქრებში იყო ჩაფლული: დროა, საშას გადასცეს ნივთი, რომელიც გაზარში უყიდა. ალბათ მალე დასჭირდება.

მაგიდის უჯრიდან ფუთა ამოიღო და ხელში შეატრიალა. უცებ ოთახში დაძაბული, დაბნეული და გაბრაზებული გოგო შემოვარდა, თავის საწოლზე შეხტა და კუთხეს მიაშტერდა. ჰომეროსი იცდიდა, მაგრამ საშა ხმას არ იღებდა, მხოლოდ ფრჩხილებს იკვნეტდა. დადგა გადამწყვეტი მოქმედების დრო.

– საჩუქარი მაქვს შენთვის, – მოხუცი საწოლს მიუახლოვდა და ფუთა გოგონას გვერდით, გადასაფარებელზე დადო.

– რისთვის? – გოგონამ ერთი საცეცი გამოყო და ისევ ნიჟარაში შეიმალა.

– რისთვის ჩუქნიან ხოლმე ადამიანები ერთმანეთს რაღაცებს?

– რომ ჩადენილი სიკეთისთვის ან სათხოვრის შესრულებისთვის მადლობა გადაუხადონ, – მტკიცედ უპასუხა საშამ.

– მაშინ ჩავთვალოთ, რომ სიკეთისთვის გიხდი მადლობას, – გაულიმა ჰომეროსმა, – შენთან სათხოვარი არაფერი მაქვს.

– მე არაფერი გამიკეთებია, – გააპროტესტა საშამ.

– და ჩემი წიგნი? იქ უკვე დაგასახელე. უნდა გავსწორდეთ, არ მინდა, ვალში ვიყო. საკმარისია, გახსენი. – ხმაში ხუმრობით გაბრაზებაც კი გაურია ჰომეროსმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– არც მე მიყვარს ვალში ყოფნა, – უთხრა საშამ და ქალალდი გახია, – რა არის ეს?! უი!

წითელი პლასტმასის ბრტყელი კოლოფი ოდესღაც იაფფასიანი სამგზავრო საპუდრე იყო, მაგრამ ორივე განყოფილება, პუდრისაც და ფერუმარილისაც კარგა ხნის წინ გათავებულიყო, სამაგიეროდ სარკე, რომელიც სახურავის შიდა მხარეს ჰქონდა მიკრული, მთელი იყო.

– ამაში უკეთ ჩანს, ვიდრე გუბეში, – საშამ სასაცილოდ დაჭყიტა თვალები, თავის ანარეკლს სწავლობდა, – რატომ მომეცი ეს?

– ზოგჯერ სასარგებლოა საკუთარი თავის გვერდიდან დანახვა, – ჩაიცინა მოხუცმა, – ბევრი რამის მიხვედრაში გეხმარება.

– მაინც, რის მიხვედრაში?! – დაიძაბა საშა.

– არიან ადამიანები, რომლებსაც არასოდეს უნახავთ თავიანთი ანარეკლი და თავი მთელი ცხოვრება ვიღაც სხვა ჰგონიათ. შიგნიდან ზოგჯერ ცუდად ჩანს, გვერდით კი არაავინაა, რომ უკარნახოს... და გაურკვევლობაში არიან მანამ, სანამ შემთხვევით არ წააწყდებიან სარკეს. ზოგჯერ სარკეშიც კი უკვირთ თავის აღქმა.

– და ვის ვხედავ მასში? – არ ეშვებოდა გოგონა.

– შენ მითხარი, – გულზე ხელები დაიკრიფა მოხუცმა.

– ჩემს თავს. გოგოს... – დასარწმუნებლად სარკისკენ ჯერ ერთი ლოყით შებრუნდა, მერე – მეორეთი.

– ქალიშვილს, – შეუსწორა ჰომეროსმა, – და საკმაოდ მოუწესრიგებელს.

საშამ კიდევ ცოტა ხანს იტრიალა სარკის წინ და მერე ჰომეროსს გახედა, თითქოს რაღაცის კითხვა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ერთხანს ჩუმად იყო, შემდეგ მაინც მოიკრიბა გამბედაობა და პირდაპირ მიახალა მოხუცს:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– უშნო ვარ?

– რთული სათქმელია, – ღიმილი ძლივს შეიკავა მოხუცმა, – ჭუჭყის ქვეშ არ ჩანს.

– აჰ, ასეა საქმე?! – წარბები აზიდა საშამ, – კაცები ვერ გრძნობთ ქალის სილამაზეს. მაინცდამაინც ყველაფერი უნდა გაჩვენონ და აგიხსნან?

– მგონი, კი. ქალები კი ხშირად სარგებლობენ ამით და გვატყუებენ, – გაიცინა ჰომეროსმა, – საღებავებს შეუძლიათ ნამდვილი სასწაული მოახდინონ ქალის სახეზე. მაგრამ შენს შემთხვევაში საუბარია არა პორტრეტის რესტავრირებაზე, არამედ უფრო გათხრებზე. ანტიკური ქანდაკების მიწიდან ამოჩრილი ქუსლის მიხედვით ძნელია იმსჯელო მის სილამაზეზე. თუმცა, თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქანდაკება მშვენიერია, – ლმობიერად დაამატა მოხუცმა.

– „ანტიკური“ რა არის?

– ძველი, – თავს იქცევდა ჰომეროსი.

– მე მხოლოდ ჩვიდმეტი წლის ვარ! – არ შეეპუა საშა.

– მაგას მერე გაარკვევენ, როცა გათხრები დასრულდება, – მოხუცი მშვიდი სახით მიუჯდა მაგიდას, რვეული ბოლო, შევსებულ გვერდზე გადაშალა და ჩანაწერის კითხვა დაიწყო. ნელ-ნელა იღუშებოდა.

ჰომეროსი ფიქრმა გაიტაცა: რა იქნება, თუ ათასი წლის შემდეგ, ძველი მოსკოვის (მისი სახელიც კი ალარ იქნება შემორჩენილი) ნანგრევების შესწავლისას, არქეოლოგები მიწისქვეშა ლაბირინთში შესასვლელს იპოვიან? ალბათ იფიქრებენ, რომ ერთ-ერთ გიგანტურ საერთო სამარხს გადაანყდნენ. საეჭვოა, ვინმეს აზრად მოუვიდეს, ეს კატაკომბები ადამიანთა საცხოვრებლად მიიჩნიოს. დაასკვნიან,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ ოდესლაც მაღალგანვითარებული ცივილიზაცია თავისი დასასრულისკენ აშკარად დეგრადირებას განიცდიდა და ბელადებს აკლდამაში მთელი თავისი ავლა-დიდებით, იარაღით, მოსამსახურეებითა და ხარჭებით მარხავდნენ.

მის რვეულში კიდევ ოთხმოცზე მეტი ცარიელი გვერდია დარჩენილი. ეყოფა კი, რომ ორივე სამყარო – მინისზედაც და მინისქვეშაც დაატიოს?

– ჩემი არ გესმის? – გოგონამ ხელზე მოქაჩა.

– რა? მაპატიე, ჩავფიქრდი, – შუბლი მოიწმინდა მოხუცმა.

– ძველი ქანდაკებები მართლა ლამაზია? ანუ ის, რაც ადამიანებს ადრე ეგონათ ლამაზი, დღესაც ლამაზად მიიჩნევა?

– კი, – მხრები აიჩეჩა მოხუცმა.

– ხვალაც ლამაზი იქნება? – განაგრძობდა დაკითხვას საშა.

– ალბათ. თუკი ვინმე დარჩება, ვინც შეაფასებს.

საშა ჩაფიქრდა და გაჩუმდა. ჰომეროსიც თავისი ფიქრების მორევში გადაეშვა.

– ანუ სილამაზე ადამიანის გარეშე არ არსებობს? – იკითხა ბოლოს აღელვებულმა საშამ.

– ალბათ არა, – დაბნეულად უპასუხა მოხუცმა, – თუკი მას ვერავინ დაინახავს... ცხოველებს ხომ არ შესწევთ უნარი...

– რაკი ცხოველები ვერ ხედავენ განსხვავებას სილამაზესა და სიმახინჯეს შორის, – ჩაფიქრდა საშა, – გამოდის, ადამიანს სილამაზის გარეშე არსებობა არ შეუძლია?

– სინამდვილეში, მშვენივრად შეუძლია, – თავი გადააქნია ჰომეროსმა, – მეტიც, ზოგს არაფერში არ სჭირდება.

გოგონამ კომბინეზონის ჯიბეში ჩაიყო ხელი, პოლიეთილენის თუ პლასტმასის გაფერადებული კვადრატი ამოიღო და გაუბედავად, თუმცა ამაყად გაუწოდა მოხუცს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ეს რა არის? – გაოცდა ჰომეროსი.

– შენ მითხარი. – ეშმაკურად გაუღიმა გოგონამ.

– ეს... – ჰომეროსმა ფრთხილად გამოართვა კვადრატი, წარწერა წაიკითხა და უკან დაუბრუნა, – ...ჩაის პაკეტის ეტიკეტია პატარა სურათით.

– ლამაზი სურათით, – შეუსწორა გოგომ, – ეს რომ არა, გავმხეცდებოდი.

ჰომეროსი უყურებდა მას და გრძნობდა, როგორ აწვებოდა თვალებში ცრემლი და უძნელდებოდა სუნთქვა. უხერხულობის დასაფარად, ჩაახველა, ამოისუნთქა.

– რამდენიმე დღის წინ პირველად იყავი ზემოთ, ქალაქში?

– რატომ მეკითხები? – საშამ სურათი შეინახა, – გინდა მითხრა, რომ სინამდვილეში ყველაფერი ისეთი არაა, როგორიც ამ სურათზე? რომ ასეთი რამ არც კი არსებობს? მეც კარგად ვიცი ეგ ყველაფერი. ვიცი, როგორ გამოიყურება ქალაქი – სახლები, ხიდი, მდინარე. საშიში და ცარიელია.

– პირიქით, – უთხრა მოხუცმა, – ამ ქალაქზე მშვენიერი არაფერი მინახავს. შენ კი... მთელ მეტროზე ერთი შპალით მსჯელობ. ამას ალბათ ვერც კი აღგიწერ. წარმოიდგინე ნებისმიერ კლდეზე მაღალი შენობები; გამზირები, რომლებიც მთის მდინარეებივით გუგუნებენ; ცა, რომელიც არ ქრება; განათებული ნისლი... ქალაქი ამაყი, ჩქარი, გიჟი და ქაოტური – როგორც მისი თითოეული მცხოვრები.. შეუთავსებლის შეთავსებით და ყოველგვარი გეგმის გარეშე აშენებული. არა მარადიული, რადგან მარადისობა მეტისმეტად ცივია და უმოძრაო, მაგრამ ცოცხალი! – მან მუშტები შეკრა, მერე კი ხელი ჩაიქნია, – ვერ მიხვდები, თუ არ ნახე.

სანამ ლაპარაკობდა, ჰომეროსს მტკიცედ სჯეროდა, ზემოთ რომ ასულიყო, საშასაც გამოეცხადებოდა ასეთი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალაქის აჩრდილი; სჯეროდა, რადგან გადაავიწყდა, რომ ამისათვის საჭირო იყო, საშასაც ომამდე ჰქონოდა ქალაქი ნანახი.

* * *

მოხუცმა როგორლაც მოახერხა მოლაპარაკება და საშა ჰანზას კორდონში გაატარეს – დაცვით, სიკვდილმისჯილივით. მთელი სადგურის გავლით სამსახურეობრივი დანიშნულების ოთახებამდე მიიყვანეს, სადაც ადგილობრივი აბანო იყო განთავსებული.

ორ „პაველეცკაიას" საერთო მხოლოდ სახელი ჰქონდა, თითქოს ორი და დაბადებისას დააშორეს ერთმანეთს, ერთი მდიდარ ოჯახში მოხვდა, მეორე კი მშიერ პატარა სადგურში ან სულაც გვირაბებში გაიზარდა. რადიალური ხაზი ბინძური, თავზეხელაღებული, მაგრამ მსუბუქი და ფართო გამოვიდა; წრიული ხაზი – დაბალი, ჯმუხი, კარგად განათებული და ელვარე. ეს უკანასკნელი პირველივე ნახვისას ამყლავნებდა თავის ხასიათს – ყაირათიანობასა და ხელმომჭირნეობას. როცა საშა მიიყვანეს, იქ ხალხმრავლობა არ იყო, ალბათ ყველა, ვინც სადგურზე არ მუშაობდა, უპირატესობას რადიალური ხაზის ბალაგანს ანიჭებდა.

გასახდელში საშა მარტო იყო. კედლებზე ყვითელი კაფელი გაეკრათ, იატაკზე სხვადასხვა ფერის დამტვრეული ფილები ეგო, შელებილ რკინის კარადებში ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს ინახავდნენ, წვრილ მავთულზე ელექტრონათურა კონწიალობდა, დერმატინგადაკრული ორი დანჯღრეული სკამიც იდგა... გოგონა აღფრთოვანებისგან ერთიანად გაყინულიყო.

გამხდარმა მეაბანოე ქალმა მას უჩვეულოდ თეთრი პირსახოცი და ნაცრისფერი საპნის მაგარი ნატეხი მისცა და ნება დართო აბანოს კარი შიგნიდან ჩაეკეტა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პირსახოცის უჯრედები და საპნის გულისამრევი სუნი ძალიან, ძალიან შორეულ ბავშვობას ეკუთვნოდა, როდესაც საშა – კომენდანტის გოგონა – ყველას უყვარდა და უფრთხილდებოდნენ. ალარ ეგონა, ეს ნივთები სადმე კიდევ თუ არსებობდა.

საშამ ჭუჭყისაგან გაუხეშებული კომბინეზონი გაიხსნა, სასნრაფოდ გაიხადა, მაისური გადაიძრო, ტრუსი ჩაიძრო და სირბილით წავიდა დაჟანგული მილისაკენ, რომელზეც თვითნაკეთი სარწყავი მიემაგრებინათ. რკინის ვინტილი ისეთი ცხელი იყო, ძლივს მოუშვა. გოგონა კარგა ხანს კედელს ეკვროდა, რომ მდულარე წყლის შხეფებს არიდებოდა, მერე მეორე ვინტილი გადაატრიალა, ცხელი და ცივი წყალი, როგორც იქნა, ერთმანეთს შეურია და სხეული წყლის ნაკადს შეუშვირა.

წყლის გისოსებიან გასასვლელში ქაფთან ერთად გადიოდა მტვერი, ჭვარტლი, მანქანის ზეთი, სისხლი – საშასაც და სხვებისაც, დაღლილობა და სასონარკვეთა, სიბრალული, შიში. წყალს გამჭვირვალობა კარგა ხნის მერე დაუბრუნდა.

საკმარისი იქნებოდა ბანაობა, რომ მოხუცს შეეწყვიტა მისი გამასხარავება? ფიქრობდა საშა. როგორც სხვისას, ისე ათვალიერებდა თავის გახურებულ, ვარდისფერ ქუსლებს, სნავლობდა თეთრ ხელისგულებს. საკმარისი იქნება, რომ მისმა მამაკაცებმა მისი სილამაზე დაინახონ? იქნებ, ჰომეროსი მართალია და თავის მოუნესრიგებლად დაჭრილთან მისვლა სისულელე იყო? შეამჩნევს კი ჰანტერი მის ცვლილებას?

საშამ ვინტილები გადაკეტა, გასახდელში გავიდა, ნაჩუქარი სარკე გახსნა... არა, მისთვის ყურადღების არმიქცევა შეუძლებელია.

ცხელი წყალი დაეხმარა, გახსნილიყო, ეჭვები დაეძლია. თავგადაპარსულმა ალბათ სხვა რამე იგულისხმა, უბრა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლოდ, ბოლომდე ჯერაც არ იყო გონზე და კოშმარში ვიღაც სხვას ეკამათებოდა. საშა უნდა დალოდებოდა, სწორედ იმ დროს ყოფილიყო მის გვერდით, როცა ჰანტერი გონს მოვიდოდა, რომ კაცს მაშინვე დაენახა და ყველაფერს მიმხვდარიყო. მერე? რა იქნებოდა მერე? თუმცა, ამაზე ფიქრი რა საჭიროა? საშას შეუძლია ყველაფერში ენდოს გამოცდილ ბრიგადირს.

გაახსენდა, თავგადაპარსული ბოდვისას აქეთ-იქით როგორ აწყდებოდა, იგრძნო, რომ ჰანტერი მას ეძებდა, რადგან გოგონას შეეძლო დაემშვიდებინა, დახმარებოდა წონასწორობის აღდგენაში.

საშას ჭუჭყიანი კომბინეზონი ჩამოართვეს, უთხრეს, რომ გაურეცხავდნენ, სამაგიეროდ კი, მისცეს გაცრეცილი ცისფერი შარვალი და დაცხრილული, ყელიანი სვიტერი. ახალ ტანსაცმელში თავს მოუხერხებლად გრძნობდა. ამასთან, სანამ სასაზღვრო პუნქტების გავლით ისევ ლაზარეთისკენ მიჰყავდათ, შარვალსა და სვიტერს ყველა მამაკაცი აყოლებდა თვალს. სანამ თავის საწოლამდე მიაღწია, გოგონას ისევ შხაპის მილება მოუნდა.

მოხუცი არ დაუხვდა, მაგრამ მარტოობაში მოწყენა არ მოუწია. რამდენიმე წუთში კარმა დაიჭრიალა და ოთახში ექიმი შემოვიდა.

– გილოცავთ, შეგიძლიათ ინახულოთ, გონს მოვიდა.

* * *

– დღეს რა რიცხვია? – ბრიგადირი იდაყვზე წამოიწია, მძიმედ მოატრიალა თავი და ჰომეროსს თვალში თვალი გაუყარა. მან კი ინსტინქტურად მაჯაზე დაიხედა, თუმცა კარგა ხანი იყო, საათს აღარ ატარებდა.

– ორი. ორი ნოემბერი. – უკარნახა სანიტარმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– სამი დღე-ღამე, – ჰანტერი ბალიშზე გადაწვა, – სამი დღე-ღამე ვიწექი. ვაგვიანებთ. უნდა წავიდეთ.

– შორს ვერ წახვალ, – ჩაერია სანიტარი, – სისხლისგან თითქმის დაცლილი ხარ.

– უნდა წავიდე... – ბრიგადირს ყურადღება არ მიუქცევია სანიტრისთვის, – დრო არ იცდის... ბანდიტები... – უცებ გამოფხიზლდა და ჰომეროსს მიუბრუნდა: – რად გინდა რესპირატორი?

მოხუცი ემზადებოდა ამ შეკითხვისთვის, სამი დღე ჰქონდა თავდაცვითი სანგრის ასაგებად და კონტრშეტევისთვის მოსამზადებლად – გააზრებული ტყუილის მოსაფიქრებლად.

– არანაირი ბანდიტები არ არიან, – მოხუცი ჰანტერის ლოგინისაკენ დაიხარა, – სანამ შენ უგონოდ იყავი... ბოდავდი და მე ყველაფერი ვიცი.

– რა იცი?! – ჰანტერმა ჰომეროსს საყელოში ჩაავლო ხელი.

– „ტულსკაიაზე" რომ ეპიდემიაა... ყველაფერი რიგზეა, მე თვითონ მივხედავ, – მოხუცმა სანიტარი შეაჩერა, რომელმაც ჰანტერის ხელიდან მის გასათავისუფლებლად გაიწია, – უნდა ვილაპარაკოთ, შეიძლება გთხოვოთ, რომ...

სანიტარმა უხალისოდ წამოაცვა შპრიცს ხუფი და პალტიდან გავიდა.

– „ტულსკაიას" შესახებ... – ჰანტერი ბრაზიან თვალებს არ აშორებდა მოხუცს, მაგრამ ნელ-ნელა ხელს უშვებდა, – სხვა არაფერი?

– მხოლოდ ის, რომ სადგურზე უცნობი ინფექციის კერაა. რომ ჰაერით გადაეცემა... რომ ჩვენებმა კარანტინი გამოაცხადეს და დახმარებას ელოდებიან.

– კარგი. ესე იგი... – ბრიგადირმა, როგორც იქნა, ხელი გაუშვა, – ჰო. ეპიდემია. გეშინია, არ გადაგედოს?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– სიფრთხილეს თავი არ სტკივა, – ფრთხილად მიუგო ჰომეროსმა.

– ჰო. არა უშავს... მე ახლოს არ მივსულვარ, ნიავი მათ მხარეს უბერავდა... წესით, არ უნდა გადამდებოდა.

– რაში დაგჭირდა ეს ისტორია ბანდიტების შესახებ? რა გეგმა გაქვს? – გათამამდა მოხუცი.

– ჯერ „დობრინინსკაიას" უნდა მოველაპარაკო, მერე „ტულსკაია" გავწმინდო. ცეცხლმტყორცნებია საჭირო. სხვანაირად არ გამოვა...

– ყველა ცოცხლად უნდა დაწვა სადგურზე? ჩვენებიც? – მოხუცს კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ბრიგადირის მიერ ნახსენები ცეცხლმტყორცნები ისეთივე მანევრი იყო, როგორც სხვა ყველაფერი, რასაც „სევასტოპოლსკაიას" ხელმძღვანელობას ეუბნებოდა.

– ცოცხლად რატომ... მიცვალებულებს. სხვა გამოსავალი არ არის. ყველა ავადმყოფია. ვისაც კონტაქტი ჰქონდა. მთელი ჰაერი. მსმენია ამ ავადმყოფობის შესახებ... – ჰანტერმა თვალები დახუჭა და დახეთქილი ტუჩები მოილოკა, – წამალი არ არსებობს. ორიოდე წლის წინ აფეთქება იყო... ორი ათასი ცხედარი.

– მაგრამ ხომ შეჩერდა?

– ბლოკადა. ცეცხლმტყორცნები... – ბრიგადირმა დასაზიჩრებული სახე მოხუცისკენ შეაბრუნა, – სხვა გზა არ არის. ერთი ადამიანის გამოც კი ყველას ბოლო მოელება. ჰო, ვიტყუებოდი ბანდიტების შესახებ, რადგან მეტისმეტად გულჩვილი ისტომინი არ მომცემდა ყველას ამოხოცვის ნებას. მე კი ვიცნობ მათ, ვინც კითხვებს არ სვამს.

– იქნებ ვინმეს იმუნიტეტი აქვს? – გაუბედავად დაიწყო ჰომეროსმა, – იქნებ ჯანმრთელებიც არიან? მე... შენ ამბობდი... იქნებ მათი გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– იმუნიტეტი გამორიცხულია. ყველას გადაედება, ვისაც კი კონტაქტი ჰქონია. იქ არ არიან ჯანმრთელი ადამიანები, არიან ცოტა უფრო გამძლეები, რაც მათთვისვეა უარესი, უფრო დიდხანს იწვალებენ, – მოკლედ მოუჭრა ბრიგადირმა, – დამიჯერე... ეს მათ სჭირდებათ, რომ მე ისინი... რომ დახოცონ ისინი.

– და შენ? შენ რაში გჭირდება ეს? – მოხუცი ყოველი შემთხვევისთვის საწოლს მოშორდა.

დაღლილმა ჰანტერმა მძიმედ დახუჭა თვალები. ჰომეროსმა ისევ შენიშნა, რომ ცალი თვალი ბოლომდე არ ეხუჭებოდა. ჰანტერი იმდენ ხანს დუმდა, რომ ჰომეროსმა უკვე ექიმის მოსაყვანად გაქცევა დააპირა. მაგრამ ბრიგადირმა, თითქოს, დაჰიპნოზებული, შორეულ წარსულში დაკარგული მოგონებების საძებნელად გადავიდაო, ნელა და გარკვევით გამოსცრა:

– მე ვალდებული ვარ, ადამიანები დავიცვა. ნებისმიერი საფრთხე მოვსპო. მე მხოლოდ ამისთვის ვარსებობ.

* * *

ნეტა იპოვა დანა? მიხვდა, ვისგანაა? იქნებ ვერ მიხვდა? ან ეს პირობად მიილო? საშა დერეფანში მიქროდა და გზადაგზა იშორებდა აბეზარ ფიქრებს. არ იცოდა, რა უნდა ეთქვა... გული სწყდებოდა, რომ მის არყოფნისას მოვიდა გონს.

გოგომ მთელი დიალოგი მოისმინა – იმ დროს მივიდა, როცა მკვლელობაზე ლაპარაკობდნენ, და კარის ზღურბლზე გაშეშდა. ცხადია, ყველაფერს ვერ მიხვდა, მაგრამ ეს არც სჭირდებოდა. ყველაზე მთავარი გაიგონა. მაშ, აღარც ლოდინი იყო საჭირო...

საშამ მაგრად დააკაკუნა კარზე.

მის შესახვედრად წამომდგარ მოხუცს სახე გაჰფითრებოდა, ძლივს მოძრაობდა, თითქოს დამამშვიდებელი ნემსი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მასაც გაუკეთეს და ფითილი ჩააქრეს მის თვალებშო. საშას უსიტყვოდ დაუკრა თავი.

გოგონა გამთბარი სკამის კიდეზე ჩამოჯდა, ტუჩი მოიკვნიტა და, სუნთქვაშეკრულმა, ახალ, უცნობ გვირაბში შეაბიჯა.

– მოგეწონა ჩემი დანა?

– დანა?! – თავგადაპარსულმა მიიხედ-მოიხედა, შეე დანას მოჰკრა თვალი და ისე, რომ არ შეხებია მას, საშას ფრთხილად ჰკითხა: – ეს რა არის?

– ეს შენია, – გოგო ისე ალეწილიყო, თითქოს სახეში ცხელი ორთქლი შეაფრქვიესო, – შენი გატყდა, როცა შენ... მადლობა.

– უცნაური საჩუქარია. არავისგან მივილებდი ასეთს, – მძიმე დუმილის შემდეგ ჩაილაპარაკა ჰანტერმა.

საშამ მის სიტყვებში მცირე მინიშნება დაინახა, მრავალმნიშვნელოვნად დაუსრულებელი ნათქვამი, და ისე ჩაერთო თამაშში, რომ მისი ყველა წესი არ იცოდა; სიტყვების შეგრძნებით შერჩევა დაიწყო. ცუდად გამოსდიოდა, სიტყვებით საერთოდ ვერ გამოხატავდა იმას, რასაც შინაგანად გრძნობდა.

– შენც გრძნობ, რომ მე შენი ნაწილი მაქვს? ის ნაწილი, რომელიც შენ ამოგგლიჯეს... რომელსაც ეძებდი და რომლის მოცემაც მე შემიძლია?

– რას ბოდავ?!

ჰანტერის უხეშმა შეკითხვამ თითქოს ცივი წყალი გადასხა, მაგრამ საშა არ დანებებულა, აკანკალებული ჯიუტად ამტკიცებდა:

– არა, შენ გრძნობ ამას, რომ ჩემთან ერთად გამთლიანდები; რომ მე შემიძლია შენთან ყოფნა და ვალდებულიც ვარ, ვიყო. აბა, მაშ, რატომ წამომიყვანე თან?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მენყვილეს დავუთმე, – ჰანტერის ხმა უფერული და ცარიელი იყო.

– რატომ დამიცავი დრეზინაზე მყოფი კაცებისგან?

– მაინც დავხოცავდი მათ.

– რატომ გადამარჩინე იმ საშინელ ურჩხულისაგან სადგურზე?

– ყველა უნდა გამენადგურებინა.

– ჯობდა, შევეჭამე!

– რა, არ მოგწონს, რომ გადარჩი? – ჩაეკითხა ჰანტერი, – მაშინ ადი ესკალატორზე, ზემოთ მასეთი კიდევ ბევრია.

– მე... შენ გინდა, რომ მე...

– არაფერიც არ მინდა შენგან.

– მე დაგეხმარები, რომ გაჩერდე!

– ნუ მებლაუჭები, გოგონა...

– შენ ვერ გრძნობ, რომ...

– ჰო, ვერაფერს ვერ ვგრძნობ, – მის სიტყვებს ფანგიანი წყლის გემო ჰქონდა.

თეთრი ურჩხულის კლანჭიც კი არ ჩასობია საშას ასე ღრმად. დაჭრილი გოგონა ფეხზე წამოხტა და პალატიდან გავარდა. საბედნიეროდ, მისი ოთახი ცარიელი იყო. კუთხეში მიჯდა და მოიკუნტა. ჯიბეში სარკეს დაუწყო ძებნა – უნდოდა ჯანდაბაში მოესროლა, მაგრამ ვერ იპოვა, ალბათ, თავგადაპარსულის საწოლთან დაუვარდა.

როდესაც ცრემლები შეაშრა, უკვე იცოდა, რაც უნდა ექნა. ბარგის ჩალაგებას დიდი დრო არ დასჭირვებია. მოხუცი აპატიებს ერთი ავტომატის მოპარვას, ის ალბათ ყველაფერს აპატიებს. ბრეზენტის გასუფთავებული და დეზინფიცირებული დამცავი კოსტიუმი სათავსოში, კაუჭზე საცოდავად კონწიალობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშამ კოსტიუმი ჩაიცვა, დერეფანში გავიდა, გადასასვლელზე გადავიდა და პლატფორმაზე ავიდა. გზად ჯადოსნური მუსიკის ნაკადი დაეწია, რომლის წყაროსაც წინაზე მაინც ვერ მიაგნო. მოსაძებნად დრო არც ახლა ჰქონდა. მხოლოდ წამით შეჩერდა, მაგრამ ცდუნებას გაუძლო და სალაშქროდ წავიდა.

დღისით პოსტზე მხოლოდ ერთი გუშაგი მორიგეობდა, რადგან დაღამებამდე საშინელი ქმნილებები არასოდეს აწუხებდნენ სადგურს.

ახსნა-განმარტებებზე ხუთი წუთიც კი არ დასჭირვებია: ესკალატორზე ჩამოსვლა იყო შეუძლებელი, თორემ ზემოთ ასასვლელი ყოველთვის ღია ჰქონდათ. დამყოლ გუშაგს საშამ ავტომატის ნახევრად ცარიელი მჭიდი დაუტოვა და ფეხი შედგა პირდაპირ ცაში მიმავალი კიბის პირველ საფეხურზე.

მერე ჩაჩაჩული შარვალი გაისწორა და ავიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 12
ნიშნები

მშობლიურ სადგურ „კოლომენსკაიას“ დედამიწის ზედაპირთან ზუსტად ორმოცდათექვსმეტი ბრტყელი საფეხური აშორებდა. მისგან განსხვავებით, „პაველეცკაია“ ბევრად ღრმად იყო ჩაფლული მიწაში. საშა ფრთხილად მიუყვებოდა დაცხრილულ, ჭრიალა კიბეს, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. მისი ფანარი ესკალატორის დამტვრეულ სანათებს, დაჟანგულ, გადაფერდებულ, ვილაცების სახეებიან საფრებს და მსხვილი ასოებით დაწერილ უაზრო სიტყვებს ანათებდა.

რა უნდა ზემოთ? რატომ იკლავს თავს? და ქვემოთ სჭირდება ვინმეს? ვის სჭირდება, როგორც ადამიანი და არა როგორც ჯერ არდაწერილი რომანის მოქმედი გმირი?

ღირს კი თავის მოტყუება?

როდესაც უკაცრიელ „კოლომენსკაიაზე“ მამის ცხედარს ემშვიდობებოდა, ეჩვენებოდა, რომ გაქცევის ძველ, მამისეულ გეგმას ახორციელებდა. ეგონა, მამის პატარა ნაწილი მიჰქონდა თან და ეხმარებოდა გათავისუფლებაში. მაგრამ მას შემდეგ ერთხელაც არ დასიზმრებია მამა, ვეღარც მკაფიოდ ხედავდა მას და აღარც ხმას სცემდა. მამა ალბათ ვერ პატიობდა.

იმ წიგნებიდან, რომელთა პოვნასაც მამა ახერხებდა და რომელთა გადაფურცვლასაც საშა ასწრებდა მათ საჭმელსა და ტყვიებზე გადაცვლამდე, გოგონას ყველაზე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკეთ ძველი ბოტანიკური ცნობარი დაამახსოვრდა. მიუხ-ედავად იმისა, რომ წიგნის ილუსტრაციები – შავ-თეთრი, დროისაგან გაუფერულებული სურათები და გრაფიკული ნახაზები – პირობითი იყო, ეს მაინც საშას ყველაზე საყვა-რელი წიგნი იყო, რადგან დანარჩენ წიგნებში საერთოდ არ იყო ნახატი. ამ ცნობარში საშას ყველა მცენარეზე მეტად ხვართქლა მოსწონდა. არა, კი არ უყვარდა, უფრო თანაუგ-რძნობდა მას, რადგან მასში თავის თავს ხედავდა. მასაც ხვართქლასავით საყრდენი სჭირდებოდა, რომ სიმაღლეში გაზრდილიყო და სინათლე დაენახა.

საშა ინსტინქტურად ეძებდა ხის ძლიერ ტანს, რომელ-საც მიეკედლებოდა და შემოეხვეოდა. არა იმიტომ, რომ მი-სი წვენით ეკვება, მისთვის სინათლე და სითბო წაერთმია, არამედ იმიტომ, რომ მეტისმეტად სუსტი, დრეკადი და უხ-ერხემლო იყო. უბრალოდ, საყრდენი სჭირდებოდა, რომ-ლის გარეშეც მიწაზე განრთხმული დარჩებოდა.

საშას მამა ასწავლიდა, არასდროს არავისზე ყოფილიყო დამოკიდებული და არავის იმედი არ ჰქონოდა. მამამ იცი-ოდა, რომ ყველასგან მიტოვებულ პატარა სადგურზე მის გარდა გოგონა ვერავის დაეყრდნობოდა, თავად კი მალე მოკვდებოდა. ამიტომ, უნდოდა, თავისი შვილი, თუნდაც გოგონა, სუროდ კი არა, ძლიერ ფიჭვად გაზრდილიყო.

ასეთ შემთხვევაში, საშა მარტოც გაიტანდა თავს და ჰანტერის გარეშეც გადარჩებოდა. მაგრამ თავად გოგონას სხვა ადამიანთან შერწყმა მიაჩნდა გადარჩენის ერთადერთ გზად. როდესაც ჰანტერს დრეზინაზე ხელები შემოხვია, მოეჩვენა, რომ მისმა ცხოვრებამ აზრი შეიძინა. ამიტომ, ცოდნა, რომ სხვისი ნდობა საშიშია, ხოლო სხვაზე დამოკი-დებულება – ულირსობა, არად ჩააგდო და ჰანტერთან გუ-ლახდილობით საკუთარ თავს გადააბიჯა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშას გულწრფელად უნდოდა, ჰანტერს მიჰკედლებოდა, ის კი ფიქრობდა, რომ გოგონა უაზროდ ებღაუჭებოდა. საყრდენის გარეშე დარჩენილსა და გათელილ საშას აღარ სურდა თავის დამცირების ფასად ძიების გაგრძელება. თავგადაპარსულმა ის, ფაქტობრივად ზემოთ გააგდო.

„დაე, ასე იყოს", – ფიქრობდა სასოწარკვეთილი გოგონა, – „თუ ზემოთ რამე მომივა, ეს ჰანტერის ბრალი იქნება, რადგან მხოლოდ მას შეეძლო ხელი შეეშალა ჩემთვის".

როგორც იქნა საფეხურები დასრულდა და საშა აქა-იქ ჭერჩამონგრეულ მარმარილოს ფართო ვესტიბიულში აღმოჩნდა. შორეული ხვრელებიდან მომავალი საოცარი მონაცრისფრო-მოთეთრო სხივების შუქი იმ კუნჭულამდეც კი აღწევდა, სადაც საშა იდგა. გოგონამ ფანარი ჩააქრო და სუნთქვაშეკრული წინ წავიდა.

კედლებსა და ესკალატორზე ნატყვიარები ადამიანთა კვალზე მიუთითებდა. რამდენიმე ათეული ნაბიჯის შემდეგ კი უკვე სხვა არსებების სამფლობელო იწყებოდა. გამხმარი სკორე, ყველა მხარეს გაბნეული გამოხრული ძვლები და ტყავის გროვა მიუთითებდა, რომ საშა ცხოველთა ბუნაგში მოხვდა.

გოგონამ, რომ არ დაბრმავებულიყო, თვალები მოიჩრდილა და გასასვლელისკენ წავიდა. რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა სინათლის წყაროს, მით უფრო მეტად ბნელდებოდა ის კუთხეები, რასაც გადიოდა. სინათლესთან შეჩვევით, საშა სიბნელის შეგრძნების უნარს კარგავდა.

შემდეგი დარბაზი აყირავებული, გამოფატრული ჯიხურებით იყო სავსე, გარშემო ნაგვის გორები და დალეწილი ტექნიკა ეყარა. საშა მიხვდა, რომ „პაველეცკაიას" გარეპავილიონები ტვირთის შემნახველი საკნების ფუნქციას ას-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რულებდა მანამ, სანამ უფრო ძლიერმა არსებებმა ადამიანები იქიდან არ გააძევეს.

გოგონას ეჩვენებოდა, რომ ბნელ კუთხეში რაღაც ფაჩუნობდა, მაგრამ უკვე მეტისმეტად ბნელოდა საიმისოდ, ნაგვის გროვებთან შეზრდილი მახინჯი, მთვლემარე სილუეტები გაერჩია, ამიტომ წარმოსახვა თავის სიბრმავეს დააბრალა.

გაფაციცებით უგდებდა ყურს, თითოეულ გადაბრუნებულ ჯიხურს აკვირდებოდა. უცებ ერთ-ერთის მოხაზულობაში უცნაური კუზი შეამჩნია და ადგილზე გაქვავდა.

გროვა, რომელშიც ჯიხურიც ჩაფლულიყო, სუნთქავდა. საშას გარშემო თითქმის ყველა გროვა სუნთქავდა. საშამ ღილაკს დააჭირა თითი და ფანარი ერთ-ერთს მიუშვირა. მკრთალმა შუქმა თეთრი კანის ცხიმიანი ნაკეცები გამოაჩინა. ეს იმ ქიმერას ერთ-ერთი მოძმე იყო, რომელმაც „პაველეცკაიაზე" კინალამ მოკლა, ოღონდ უფრო დიდი.

ქმნილებები უცნაურად გაშეშებულიყვნენ და, მგონი, ვერც ამჩნევდნენ საშას. მოულოდნელად უახლოესმა ირიბად გაჭრილი ნესტოებით ჰაერი ხმაურით შეისუნთქა და გვერდი იცვალა... საშა გონს მოეგო, სასწრაფოდ დამალა ფანარი და გაიქცა. რაც უფრო მეტად შორდებოდა მეტროს ჩასასვლელს, მით უფრო მატულობდა ქიმერების რაოდენობა და მით უფრო ჭირდა მათ შორის ბილიკის პოვნა.

უკან დაბრუნება გვიან იყო. მეტიც, საშას სრულებით ალარ ალელვებდა, როგორ უნდა დაბრუნებულიყო მეტროში. ცდილობდა, უხმაუროდ გასულიყო გარეთ, გარშემო მიმოეხედა, ეცადა... თუ არ გაიღვიძებდნენ, თუ აქედან გაუშვებდნენ, უკან დასაბრუნებელი გზის მოძებნაც ალარ დასჭირდებოდა.

ცდილობდა, არ ესუნთქა, ფიქრისაც კი ეშინოდა. უხმაუროდ უახლოვდებოდა გასასვლელს, მაგრამ ერთ-ერთმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფილამ ულალატა და ხმაურით დაიმსხვრა მისი ფეხსაცმლის ქვეშ. კიდევ ერთი არასწორი ნაბიჯი, ზედმეტი გაფაჩუნება და ისინი წამში გაგლეჯდნენ მას.

გუშინ, ან შეიძლება სულაც დღეს, სწორედ ასე მიდიოდა ამ მძინარე ურჩხულებს შორის... ეს უცნაური შეგრძნება რატომლაც ძალიან ნაცნობი იყო ურჩხულებს შორის მიმავალი საშასთვის.

უცებ ადგილზე გაშეშდა.

იცოდა, რომ სხვისი მზერა შეიძლება კეფითაც იგრძნო. მაგრამ ისიც იცოდა, რომ ამ ქმნილებებს თვალები არ აქვთ და ის, რითაც თავიანთ გარშემო სივრცეს შეიგრძნობენ, ნებისმიერ მზერაზე დაყინებულია. შებრუნება საჭირო არ იყო, რომ მიმხვდარიყო: უკნიდან გაღვიძებული ურჩხული უყურებდა. საშამ მაინც მიიხედა.

* * *

გოგონა სადღაც გაუჩინარდა, მაგრამ ჰომეროსს რატომლაც არ უნდოდა მის საძებნელად გაქცეულიყო, მას აღარაფერი აღარ უნდოდა.

მეკავშირის დღიურიდან დარჩენილი სულ მცირე იმედი, რომ ავადმყოფობა გვერდს აუვლიდა, ჰანტერმა უმოწყალოდ ჩაუკლა. გონს მოსულ ბრიგადირთან წინასწარ მომზადებული საუბრით მოხუცი სასიკვდილო განაჩენის შემსუბუქებას ცდილობდა. მაგრამ ჰანტერს მისი შეწყალება არც უნდოდა და არც შეეძლო. ჰომეროსი თვითონ იყო დამნაშავე იმაში, რაც ელოდა.

სულ რაღაც ორი კვირა ან ცოტა ნაკლები და ათიოდე შევსებული გვერდი. ვალდებულების შესრულების დრო იყო, იძულებითი შესვენება უნდა დაესრულებინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰომეროსმა ფურცელი გაასწორა და თხრობის ექიმების ყვირილიდან გაგრძელება სცადა, მაგრამ ხელმა მისდა უნებურად გამოიყვანა ასოები: „რა დარჩება ჩემ შემდეგ?"

„ტულსკაიაზე" ჩაკეტილი საცოდავი ხალხისგან რალა დარჩება? – გაიფიქრა მოხუცმა, – რა რჩება უკვე იმედგაცრუებული ან ჯერაც დახმარების მოლოდინში მყოფი მაგრამ, მაინც სასტიკი აღსასრულისთვის განწირული ხალხისგან? მეხსიერება? ცოტაღა დარჩა მათგან, ვინც ჯერაც ახსოვთ".

და მოგონებები – არამდგრადი მავზოლეუმი. მალე მოხუცი აღარ იქნებოდა და მასთან ერთად მოკვდებოდა ყველა, ვისაც ის იცნობდა. არარაობაში შთაინთქმებოდა მისი მოსკოვიც.

სად იმყოფება ახლა? „პაველეცკაიაზე"? „სადოვოე" გაპარტახებული და მკვდარია – ბოლო საათებში სამხედრო ტექნიკამ გაწმინდა და ალყა შემოარტყა, რათა სამაშველო სამსახურებს მუშაობის, ხოლო ციმციმებიან ესკორტებს გადაადგილების საშუალება მისცემოდათ. მოხუცს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შეეძლო წარმოედგინა იქაური პეიზაჟი, თუმცა მეტროს ამ სადგურიდან არასოდეს ასულა ზემოთ.

ომამდე კი ხშირად უწევდა იქ ყოფნა – მომავალ მეუღლეს მეტროს გვერდით მდებარე კაფეში უნიშნავდა პაემანს, შემდეგ კი კინოში საღამოს სეანსზე მიდიოდნენ. აქვე ახლო-მახლო გაიარა ფასიანი ზედაპირული სამედიცინო შემოწმება, როცა მართვის მოწმობის აღებას აპირებდა. ამავე სადგურიდან მიდიოდა თანამშრომლებთან ერთად ტყეში საპიკნიკოდ...

ის უჯრედებიან რვეულს დაჰყურებდა და ხედავდა შემოდგომის ნისლში ჩაფლულ მოედანს და ახალაშენებულ საოფისე ორკოშკიან შენობას, რომელშიც მისი ერთ-ერთი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეგობარი მუშაობდა; მოშორებით მდიდრული სასტუმროს დახვეული წვერი ჩანდა. სასტუმროზე მიდგმულ მდიდრულ საკონცერტო დარბაზში ბილეთები ერთ დროს ნიკოლაის ორი კვირის ხელფასზე მეტი ღირდა.

თვალწინ ედგა მგზავრებით გადაჭედილი კუთხოვანი, მოყლარუნე, თეთრ-ცისფერი ტრამვაი, რომელიც სადღესასწაულოდ ციმციმებდა; თოვლის ნაზი ფიფქები, შავ ასფალტზე დაცემამდე რომ დნებოდა. ხალხი – დამუხტულ ნაწილაკთა ერთობლიობა, ერთი შეხედვით ქაოტურად რომ ეჯახებოდნენ ერთმანეთს, სინამდვილეში კი ყველა თავის გააზრებულ გზაზე მიდიოდა.

ხედავდა სტალინის მონოლითებს, რომელთა შორისაც მოედანზე ზანტად მოედინებოდა მდინარე სადოვოე, და ხეობის ორსავე მხარეს ასეულობით ანთებულ ფანჯარაკვარიუმს; აბრების ნეონურ ნათებასა და უზარმაზარ სარეკლამო დაფებს, რომლებიც მოკრძალებულად ფარავდა მრავალსართულიანი პროთეზის სამომავლო იმპლანტაციისთვის გამზადებულ იარებს...

ამ იარებს ამოვსება არ ეწერა.

მოხუცი ხედავდა და ფიქრობდა, რომ ამ არაჩვეულებრივ პეიზაჟს სიტყვებით ვერასოდეს გადმოსცემდა. ნუთუ ამ სილამაზისგანაც მხოლოდ ცენტრისა და ფეშენებელური სასტუმროს ხავსმოდებული საფლავის ქვა დარჩა?

საშა არც სამი საათის შემდეგ გამოჩენილა. ჰომეროსმა მთელი გადასასვლელი მოიარა, დაკითხა მოვაჭრეები და მუსიკოსები, გაესაუბრა ჰანზას დაცვის წევრს. არავინ არაფერი იცოდა, თითქოს მიწამ შთანთქაო...

აღელვებული მოხუცი იმავე ოთახის კართან მივიდა, საიდაც ბრიგადირი იწვა. ჰანტერი ბოლო იყო, ვისთანაც გო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გონას დაკარგვის შესახებ დალაპარაკება შეიძლებოდა. მან ჩაახველა და შიგნით შეიხედა.

ჭერს მიშტერებული ჰანტერი მძიმედ სუნთქავდა. მარცხენა, დაზიანებული ხელი მუშტად შეეკრა. ნაკაწრებიდან ჩირქი სდიოდა და საწოლს სვრიდა, მაგრამ ჰანტერი ამას ვერ ამჩნევდა.

– წასასვლელად როდის იქნები მზად? – ჰკითხა მან ჰომეროსს ისე, რომ მისკენ არც გაუხედავს.

– მე ახლაც მზად ვარ, – დაიბნა მოხუცი, – მაგრამ ისეთი რამ მოხდა... გოგონას ვერ ვპოულობ. ან შენ როგორ წამოხვალ? შენ ხომ...

– არ მოვკვდები, – უპასუხა ბრიგადირმა, – სიკვდილი კი ყველაზე დიდი საშინელება არ არის. მოემზადე. საათ-ნახევარში ფეხზე ვიქნები. „დობრინინსკაიაზე" მივდივართ.

– მე ერთი საათიც მეყოფა, მაგრამ ჯერ გოგონა უნდა ვიპოვო, მინდა, ჩვენთან ერთად წამოვიდეს. ძალიან მჭირდება, გესმის? – სწრაფად მიახალა ჰომეროსმა.

– მე საათ-ნახევრის მერე მივდივარ. შენთან ერთად, ან შენ გარეშე. და მის გარეშეც.

– წარმოდგენა არ მაქვს, სად უნდა წასულიყო! – ამოიოხრა განერვიულებულმა მოხუცმა.

– მე ვიცი, – მშვიდად თქვა ჰანტერმა, – მაგრამ შენ ნამდვილად ვერ დააბრუნებ. მოემზადე.

ჰომეროსმა უკან დაიხია, თვალები დაახამხამა. იქნებ ჰანტერი ისევ ატყუებდა – ამჯერად იმიტომ, რომ ზედმეტი ტვირთისაგან გათავისუფლებულიყო.

– მან მითხრა, რომ შენ ის გჭირდება...

– მე შენ მჭირდები, – ჰანტერმა თავი ოდნავ გადახარა მოხუცისკენ, – შენ კი მე გჭირდები.

– რისთვის? – დაიჩურჩულა ჰომეროსმა, მაგრამ ჰანტერმა მაინც გაიგონა მისი ნათქვამი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– შენზე ბევრი რამაა დამოკიდებული, – ბრიგადირმა თვალები დაახამხამა, მაგრამ მოხუცს მოეჩვენა, რომ ჰანტერმა თვალი ჩაუკრა, და ცივმა ოფლმა დაასხა.

საწოლმა დაიჭრიალა: ჰანტერმა კბილი კბილს დააჭირა და წამოჯდა.

– გადი, – სთხოვა მან მოხუცს, – და მოემზადე, თუ გინდა, რომ მოასწრო.

სანამ გავიდოდა, ჰომეროსი კიდევ ერთი წამით შეყოვნდა და კუთხეში მიგდებული წითელი საპუდრე აიღო. საცურავი დაჰბზარვოდა, საკეტი გაჰღუნვოდა და ერთმანეთს დაშორებოდა.

სარკე ნამსხვრევებად იყო ქცეული.

მოხუცი სწრაფად მიუბრუნდა ბრიგადირს.

– მის გარეშე ვერ წამოვალ.

* * *

ის საშაზე ორჯერ მაღალი იყო, თავით ჭერს ებჯინებოდა. საკმარისი იყო, ერთი კიდური მოექნია, რომ გოგონას ერთი მოძრაობით მოკლავდა, მაგრამ ქიმერა რატომღაც არ ჩქარობდა.

სროლას აზრი არ ჰქონდა, საშა ავტომატის დამიზნებასაც ვერ მოასწრებდა. მაშინ მან გასასვლელისკენ გაუბედავად დაიხია უკან. ქიმერამ ხმადაბლა დაიკვნესა და გოგონასკენ გაიწია... მაგრამ გაჩერდა და უთვალო მზერით დაყინებით მიაჩერდა.

საშამ კიდევ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა გაბედა გასასვლელისკენ ისე, რომ ურჩხულისთვის ზურგი არ შეუქცევია, არ დაუნახვებია მისთვის თავისი შიში. ის საშინელი ქმნილებაც შეთქმულივით უკან მიჰყვა. მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯით ჩამორჩებოდა, თითქოს კარამდე მიცილებას აპირებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და როდესაც ათიოდე მეტრილა რჩებოდა მეტისმეტად განათებულ გასასვლელამდე, გოგონამ ველარ მოითმინა და გაიქცა. ურჩხულმა დაილრიალა და უკან დაედევნა. საშა გარეთ გავარდა. თვალებდახუჭული გარბოდა, ვერაფერს ხედავდა. ბოლოს რაღაცას ფეხი წამოჰკრა და ხორკლიან მინაზე გადაგორდა.

საშა დარწმუნებული იყო, რომ ურჩხული დაეწეოდა და ნაკუწებად აქცევდა, მაგრამ მდევარმა რატომღაც გაქცევის უფლება მისცა. რამდენიმე მტანჯველი წუთი გავიდა... გარშემო სიწყნარე იყო...

გოგონა თვალდახუჭული იყო, სანამ ჩანთაში გუშაგთან ნაყიდი ხელნაკეთი სათვალე არ იპოვა – ორი მუქი მწვანე ფერის ბოთლის ძირი, რომლებიც თუნუქის წრეებში იყო ჩასმული რეზინით დამაგრებული. სათვალე აირწინაღზე კეთდებოდა.

ახლა უკვე შეეძლო დანახვა. საშამ თვალები ნელა გაახილა, თავიდან ეჭვით მიმოიხედა, მერე კი უფრო გამბედავად მოათვალიერა უცნაური გარემო, რომელშიც ახლა აღმოჩნდა.

ზემოთ ცა იყო, ნამდვილი ცა, ნათელი და უზარმაზარი, რომელიც ნებისმიერ პროჟექტორზე მეტ შუქს გამოსცემდა. ყველაფერი ერთნაირად მწვანე იყო. ალაგ-ალაგ პატარა ლრუბლები მოჩანდა, ზოგან კი ცა ნამდვილ უფსკრულად გადახსნილიყო.

მზე! გაცრეცილი ლრუბლების მილმა ჩანდა კაფსულისხელა კრიალა დისკო – ისეთი კაშკაშა, რომ თვალის დიდხანს გასწორება საშას სათვალესაც კი დაუდნობდა. გოგომ შეშინებულმა მოაშორა მზერა. ცოტა ხანს შეიცადა, კიდევ ერთხელ გახედა ჩუმად და იმედი გაუცრუვდა: ეს დამაბ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რმავებელი ხვრელი ცაში ვითომ რატომ უნდა გაელმერთებინა?! მერე რა, რომ ის აჯადოებდა, იზიდავდა, აღელვებდა... მხეცის ბუნაგიდან გამოსასვლელიც თითქმის ასევე ბრწყინავდა სიბნელეს მიჩვეული თვალისთვის. საშას აზრი გაუჩნდა, იქნებ მზეც ისეთივე გასასვლელია, რომელიც იქ გაგიყვანს, სადაც არასოდეს ბნელა... თუ მზემდე მიაღწევ, მასში ისევე გახვალ, როგორც თავად გამოვიდა ახლახან წყვდიადიდან. და კიდევ, მზე ძლივსსაგრძნობ სითბოს ასხივებდა, თითქოს ცოცხალი იყო.

ნახევრადდანგრეული ძველი ნაგებობების ქვის უდაბნოში შავი ხვრელები თითქმის ათ რიგად მიუყვებოდა უმალლეს შენობებს... შენობები ერთმანეთს ეჯახებოდნენ და ეფარებოდნენ, ერთმანეთს ავიწროებდნენ, რომ საშა უკეთ დაენახათ. მაღალი სახლების უკან კიდევ უფრო მაღლები მოჩანდა და ასე უსასრულობამდე.

უცნაური იყო, მაგრამ საშა ყველას ხედავდა. ეს შენობებიც, მიწაც ფეხქვეშ, ჰაერიც, მანათობელი უძირო ცაც სულელურად მწვანე ფერისა ჩანდა. როგორც უნდა მიეჩვია თვალები სიბნელისთვის, ადამიანის თვალი არ იყო წყვდიადისთვის შექმნილი. ღამით, როდესაც მეტროს მიწისზედა გადასასვლელიდან იყურებოდა, ის ჰერმეტული კარიდან მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრით დაშორებულ მახინჯ შენობებს ხედავდა. შემდეგ კი წყვდიადი ისე მუქდებოდა, რომ მიწის ქვეშ დაბადებული საშაც კი ვერ აწვდენდა თვალს.

გოგონა ადრე არასოდეს დაინტერესებულა, სინამდვილეში რამხელა იყო სამყარო, რომელშიც ცხოვრობდა, მაგრამ როდესაც მასზე ფიქრობდა, მას რამდენიმე ასეული მეტრის დიამეტრის ბნელი ჭიის პარკის სახით წარმოიდგენდა, მის მილმა კი სამყაროს დასასრული და სრული წყვდიადის დასაწყისი ეგონა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშამ იცოდა, რომ დედამიწა გაცილებით დიდი იყო, მაგრამ მისი ფორმის წარმოდგენა არ შეეძლო. ახლა კი ხედებოდა, რომ თუ არ ნახავ, მისი წარმოდგენა შეუძლებელია.

უცნაური იყო, მაგრამ მას სრულებით არ ეშინოდა იმ უსაზღვრო სიცარიელისა, რომელშიც ახლა იდგა. ადრე, გვირაბიდან ფლატეზე ასვლისას, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ჯავშნიდან გამოათრიესო, ახლა გვირაბი ნაჭუჭად ეჩვენებოდა, რომელსაც როგორც იქნა, თავი დაალწია. დღის შუქზე ნებისმიერი საფრთხე შორიდანვე ჩანდა და მას საკმარისზე მეტი დრო ექნებოდა დასამალად ან თავდასაცავად. იყო კიდევ ერთი სუსტი, უცხო შეგრძნება, თითქოს შინ დაბრუნდა.

ქარი ეკლიანი ტოტების გროვებს აქეთ-იქით დააპორნიალებდა, საცოდავად უსტვენდა შენობებს შორის ნაპრალებში, ზურგში სცემდა საშას და მეტი სითამამისკენ მოუწოდებდა მას, უბრძანებდა ამ ახალი სამყაროს შესასწავლად წასულიყო.

საშას არჩევანი აღარ ჰქონდა: მეტროში დასაბრუნებლად ისევ საშინელი და უკვე გაღვიძებული არსებებით სავსე შენობაში უნდა შესულიყო. შესასვლელთან ზოგჯერ თეთრი სხეულები ჩნდებოდა, მაგრამ მაშინვე უჩინარდებოდა – ალბათ დღის სინათლე არ სიამოვნებდათ. რა მოხდება, როცა დაღამდება? თუკი უნდოდა სიკვდილამდე მოხუცის მონათხრობიდან რამის ნახვა მაინც მოესწრო, სასწრაფოდ უნდა გასცლოდა ამ ადგილს.

და საშა წინ წავიდა.

ასე უსუსურად თავი არასოდეს უგრძნია. არ სჯეროდა, რომ ეს გიგანტური შენობები მისი სიმაღლის ადამიანის ნახელავი იყო: რაში სჭირდებოდათ? ჩათვალა, რომ ომამდელი ბოლო თაობა გადაგვარდა და დაპატარავდა... – ბუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნებამ ალბათ გვირაბებისა და სადგურების სივინროვესა და მკაცრ პირობებში საცხოვრებლად მოამზადა. ეს ნაგებობები კი მისი თანამედროვე დაბალი ადამიანების ისეთმა ამაყმა, ძლიერმა, მაღალმა და ტანადმა წინაპრებმა ააგეს, როგორ სახლებშიც თავადვე ცხოვრობდნენ.

საშამ ფართო ველს მიაღწია: აქ სახლები აღარ იყო, მიწა ქვისმაგვარი, დახეთქილი, ნაცრისფერი ქერქით იყო დაფარული. ერთ ნაბიჯში სამყარო კიდევ უფრო გაიზარდა: აქედან ისეთი შორეთი მოჩანდა, რომ საშას გული შეეკუმშა და თავბრუ დაეხვა.

შეშინებული ჩამოჯდა ციხე-სიმაგრის დაობებულ და დახავსებულ კედელთან, რომლის ბრტყელკუთხა საათის კოშკი ცას სწვდებოდა. საშამ სცადა წარმოედგინა, როგორი იქნებოდა ეს ქალაქი თავის სიკვდილამდე.

გზაზე – და ეს უეჭველად გზა იყო – მაღალი, ლამაზი, ჭრელტანსაცმლიანი ხალხი მიაბიჯებდა, მათთან შედარებით „პაველეცკაიას" ყველაზე მოხდენილი კაბებიც კი საცოდავად და სულელურად გამოიყურებოდა. ჭრელ ხალხს შორის მანქანები დაქროდნენ – მეტროს პატარა ვაგონები, რომლებშიც ოთხი ადამიანი თუ ჩაეტეოდა.

სახლების ფანჯრები ახლანდელ შავ ხვრელებს კი არ ჰგავდა, გაკრიალებული მინებით ელავდა. საშას წარმოდგენით, სახლებს შორის, სხვადასხვა სიმაღლეზე, პატარა ხიდებიც კი იყო გადებული. არც ცა იქნებოდა ცარიელი – იქ აუჩქარებლად იფრენდნენ უზარმაზარი თვითმფრინავები და მუცლით ლამის სახლის სახურავებს გაედებოდნენ. მამასგან იცოდა, რომ ფრენისას თვითმფრინავები ფრთებს არ იქნევენ, მაგრამ მის წარმოდგენაში ამ ზარმაც გიგანტებს შუქზე მკრთალ მწვანედ მოელვარე ჭრიჭინას ფრთები ჰქონდათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და წვიმა მოდიოდა.

ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი წყალი იღვრებოდა ზემოდან, მაგრამ მხოლოდ ჭუჭყსა და დალლილობას კი არ რეცხავდა – ეს ცხელი წყლის დაჟანგულ მილებსაც შეეძლო, არამედ ზეციური წყალი ადამიანებს შიგნიდან ნმენდდა, დაშვებულ შეცდომებს ჰპატიობდა. გულიდან დარდს რეცხავდა, აახლებდა და აახალგაზრდავებდა მათ, ცხოვრების გაგრძელების სურვილსაც აძლევდა და ძალასაც. ყველაფერი ისე იყო, როგორც მოხუცი უყვებოდა...

საშას იმდენად ღრმად სჯეროდა ამ სამყაროს არსებობის, ნამდვილად ესმოდა ფრთების მსუბუქი ჭრიჭინი, ხალხის მხიარული ტიტინი, ავტომობილების რიტმული გუგუნი და თბილი წვიმის შხაპუნი. ამ ხმაურს წინა დღით მოსმენილი მელოდიაც ერეოდა. რაღაცამ მტკივნეულად უჩხვლიტა მკერდში. წამოხტა და გაიქცა. შუა გზაზე, ხალხის ნაკადის საპირისპიროდ, ხალხის ზღვაში ჩაფლულ მანქანა-ვაგონებს შორის გარბოდა, სახეს უშვერდა წვიმის მსხვილ წვეთებს. მოხუცი მართალი აღმოჩნდა, აქაურობა მართლაც ზღაპრული იყო. მხოლოდ დროის ობი და ჟანგი უნდა გადაეფხიკა და წარსული აელვარდებოდა, როგორც ფერადი მოზაიკა და ბრინჯაოს პანო მიტოვებულ სადგურზე.

საშა მწვანე მდინარის ნაპირას გაჩერდა. ოდესღაც მასზე გადებული ხიდი ინგრეოდა, ის კი ვერაფრით მოხვდებოდა მეორე ნაპირზე. ჯადოსნობა ამოიწურა. სურათი, რომელიც წუთის წინ რეალური და ლამაზი ჩანდა, გაფერმკრთალდა და გაქრა. სიძველისაგან გამომშრალი და გაქვავებული ცარიელი სახლები, დახეთქილი გზები, ორმეტრიანი შამბნარით დაფარული ველური, გაუვალი ტყე, რომელსაც სანაპირო შთაენთქა – სულ ეს იყო, რაც წამის შემდეგ მშვენიერი, მოჩვენებითი სამყაროდან დარჩა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშას გული დასწყდა. მიხვდა, რომ არჩევანი სიკვდილსა და მეტროში დაბრუნებას შორის უნდა გაეკეთებინა, რადგან სამყაროში აღარსად იყვნენ ლამაზი, მაღალი ადამიანები ჭრელი ტანსაცმლით... რომ მიტოვებულ გზაზე, რომელიც უსასრულო წერტილში ცას უერთდებოდა, მის გარდა არც ერთი ცოცხალი არსება არ იყო.

მშვენიერი ამინდი იყო. არ წვიმდა.

საშამ, რომელიც არ ტიროდა, სიკვდილი ინატრა, და თითქოს, მისი ნატვრა გაიგონაო, მის თავზე შავმა ჩრდილმა გაშალა უზარმაზარი ფრთები.

* * *

როგორ მოიქცეს: გაუშვას ბრიგადირი, მიატოვოს წიგნის წერა და დარჩეს სადგურზე, სანამ დაკარგულ გოგონას არ იპოვის თუ სამუდამოდ დაივიწყოს საშა, ამოიღოს რანაირ იპოვის თუ სამუდამოდ დაივიწყოს საშა, ამოიღოს რა-
მანიდან და ახალი გმირის გამოჩენამდე ჰანტერს მისდიოს?

გონება უკრძალავდა ბრიგადირთან განშორებას. მაშინ
რა აზრი აქვს ამ მოგზაურობას, რა საჭიროა ეს გამალებუ-
ლი საფრთხის ძიება, რომელშიც თავსაც იგდებს და მთელ
მეტროსაც აგდებს? მას უფლება არ აქვს, რისკის ქვეშ და-
აყენოს თავისი შრომა – ერთადერთი რამ, რაც მის მიერ
უკვე გაღებულ და მომავალ მსხვერპლს ამართლებს.

მაგრამ, როდესაც იატაკიდან გატეხილ სარკეს ილებ-
და, ჰომეროსი მიხვდა, რომ სადგურიდან გოგონას ბედის
გაურკვევლად წასვლა, ღალატი იქნებოდა, რაც ადრე თუ
გვიან მასაც დააზარალებდა და მის რომანსაც – მეხსიერ-
ებიდან საშას ამოშლას ველარასოდეს შეძლებდა.

რაც უნდა ეთქვა ჰანტერს, ჰომეროსს ყველაფერი უნ-
და ელონა გოგონას მოსაძებნად ან იმაში მაინც უნდა დარ-
წმუნებულიყო, რომ საშა ცოცხალი აღარ იყო. და მოხუცი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაორმაგებული ძალით შეუდგა გოგონას ძებნას, თან გამ-ელელებს დროს ეკითხებოდა.

წრიული ხაზი გამორიცხული იყო, რადგან იქ საბუთე-ბის გარეშე ვერ შეაღწევდა. მოხუცმა გადასასვლელის ქვეშ ოთახებისა და პალატების გალერეა გადაჩხრიკა, ყვე-ლა შემხვედრს ჰკითხა, გოგონა ხომ არ გინახავთო. ბოლოს და ბოლოს ვილაცამ გაიხსენა, რომ მგონი შეხვდა ბრეზენ-ტის დამცავ კოსტიუმში ჩაცმულ გოგონას. ჰომეროსი ყუ-რებს არ უჯერებდა, გოგონას მარშრუტი საცეცხლე წერ-ტილამდე მიდიოდა, რომელიც ესკალატორის ძირას იყო განთავსებული.

– რა ჩემი საქმეა? თუ უნდა, წავიდეს. კარგი სათვალე მივეცი – უხალისოდ იმართლა თავი ჯიხურში მჯდომმა გუშაგმა, – შენ კი არ გაგიშვებ. ისედაც მომხვდა უფროსო-ბისგან. ზემოთ ურჩხულების ბუდეა და არავინ ადის. გამე-ცინა კიდეც, როცა მთხოვა. – გუშაგს იარაღის ლულასავით ფართო გუგები ჰქონდა, სადღაც სივრცეში იყურებოდა, მოხუცს ვერაფრით გაუსწორა მზერა, – გადასასვლელის-კენ წადი, ბაბუ. მალე დაღამდება.

უცებ მოხუცს ჰანტერის ნათქვამი გაახსენდა, რომ უკ-ან ვერ დააბრუნებდა გოგონას. მაშ, ჰანტერმა იცის! იქნებ ჯერაც ცოცხალია?

მოხუცი საჩქაროდ ბრიგადირის პალატაში დაბრუნდა და საიდუმლო კარის უკან ვიწრო კიბით ჩავიდა და დაუკაკ-უნებლად შეაღო კარი...

ოთახი ცარიელი იყო: არც ჰანტერი ჩანდა და არც მისი იარაღი, იატაკზე სისხლშემხმარი ბინტები ეყარა და ცარი-ელი მათარა ეგდო. სათავსოდან სკაფანდრიც გამქრალიყო.

ბრიგადირმა მიატოვა მოხუცი, როგორც ძაღლი, რო-მელმაც თავი მოაბეზრა! სიჯიუტისთვის დასაჯა!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

მამა ასწავლიდა, რომ ადამიანებს მუდმივად ეგზავნებათ ნიშნები, უბრალოდ, მათი შემჩნევა და წაკითხვა უნდა შეგეძლოს.

საშამ ზემოთ აიხედა და გაოგნდა. თუკი ვინმეს მისთვის ნიშნის მიცემა უნდოდა, ამაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდა.

ჩამონგრეული ხიდის შორიახლო, მაღალ, ბნელ ხეებს შორის მოჩანდა იმ არემარეში ყველაზე მაღალი და ძველი, მრგვალი კოშკი დაბზარული კედლებითა და ღვლარჭნილი დაბოლოებებით, რომელიც საეჭვოდ გადაფერდებულიყო. აქამდე როგორ ვერ შეამჩნია?

შენობა დიდი ხნის წინ წაიქცეოდა, რომ არა გარს შემოხვეული უზარმაზარი ხვართქლა, რომლის ტანი, ცხადია, კოშკზე ბევრად წვრილი იყო, მაგრამ მისი სისქე და ძალა სრულებით კმაროდა დანგრევის პირას მყოფი შენობის შესაკავებლად. საოცარი მცენარე სპირალივით ეხვეოდა კოშკს, მისი წვრილი ტოტები კი ბადეს ქმნიდა, რომელიც შენობას დამსხვრევის საშუალებას არ აძლევდა.

ერთ დროს სუსტი და დრეკადი ხვართქლა, რომელიც გადასარჩენად კოშკის შვერილებსა და აივნებს ებღაუჭებოდა, მარადიული და დაუნგრეველი ჩანდა. თუმცა, შენობა რომ ასეთი მაღალი არ ყოფილიყო, არც ხვართქლა გაიზრდებოდა ამხელა.

საშა მონუსხული შეჰყურებდა მცენარეს და მის მიერ გადარჩენილ შენობას. მისთვის ყველაფერი ხელახლა იძენდა აზრს, ბრძოლის სურვილი უბრუნდებოდა. უცნაურია, მის ცხოვრებაში ხომ არაფერი შეცვლილა! მაგრამ უცებ, ყველაფრის მიუხედავად, სასონარკვეთილების ნაცრისფე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რი ქერქის ქვეშ ხვართქლას პაწაწინა ნანაზარდებად მის სულში იმედი ჩაილვარა და ამწვანდა.

თუნდაც ყოფილიყო რაღაც, რასაც ვერასოდეს შეცვლიდა – ნაბიჯები, რომლებიც უკვე გადადგა და სიტყვები, რომლებსაც უკან ვერ წაიღებდა, ამ ისტორიაში ხომ მაინც რჩებოდა ბევრი რამ ისეთი, რის შეცვლაც შეეძლო, თუმცა ჯერ არ იცოდა, როგორ. მთავარი იყო, რომ კვლავ გრძნობდა ძალას.

საშას მოეჩვენა, რომ მიხვდა მიზეზსაც, თუ რატომ გაუშვა დაუნდობელმა ქიმერამ უვნებელი: ვილაც უხილავს ჯაჭვით ეკავა ურჩხული, რომ გოგონასათვის კიდევ ერთი შანსი მიეცა.

საშა მზად იყო, მიეტევებინა, დაემტკიცებინა და ებრძოლა, ოღონდ ამისთვის ჰანტერისგან სულ მცირე მინიშნება სჭირდებოდა. კიდევ ერთი ნიშანი.

ჩამავალი მზე უცებ ჩაქრა, მაგრამ მაშინვე აბრიალდა. საშამ თავი ასწია და თვალი მოჰკრა შავ, სწრაფად მოძრავ სილუეტს, რომელმაც თავზე გადაუქროლა, წამიერად მზის შუქი დაჩრდილა და მაშინვე გაუჩინარდა.

ჰაერი სტვენამ და კივილმა გაფლითა – ციდან ლოდივით მოსწყდა რაღაც და სულ ოდნავ ასცდა საშას. ბოლო წამს გოგო ინსტინქტურად მიწაზე განვა და მხოლოდ ამან გადაარჩინა. ფრთებგაშლილმა ურჩხულმა ძლიერად მოქნია ფრთა და ჰაერში აიჭრა, წრე მოხაზა და მომდევნო თავდასხმისათვის მოემზადა.

საშამ ავტომატს დაავლო ხელი, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. მიზანშიც რომ ამოელო და ჯერი მიეშვა, ამხელა არსებას კურსს მაინც ვერ შეაცვლევინებდა, დამიზნებასა და მოკვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. გოგონა უდ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აბნოსკენ გაიქცა, საიდანაც თავისი მოკლე მოგზაურობა დაიწყო. საერთოდ არ ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ უნდა დაბრუნებულიყო მეტროში.

მფრინავმა ურჩხულმა ბრჭყალები გამოუშვა, სანადირიდ მოემზადა და დაედევნა. საშას სხვის შარვალში ფეხები აებლანდა და მიწაზე პირქვე დაეცა, მაგრამ სწრაფად გადმობრუნდა და მოკლე ჯერი მიუშვა. ტყვიებმა მხეცს თავგზა აუბნია, თუმცა ვერაფერი ავნო. მოგებულ წამებში გოგონამ ფეხზე წამოდგომა და უახლოესი სახლისკენ გაქცევა მოასწრო, ძალიან გვიან მოიფიქრა, თუ როგორც უნდა დამალვოდა მტაცებელს.

ამასობაში ცაში უკვე ორი ჩრდილი ტრიალებდა ფართო, აპკიან ფრთების ფართქუნით. საშას მარტივი გეგმა ჰქონდა: რომელიმე შენობის კედელს მაგრად აჰკვროდა. მეტისმეტად დიდი და მოუქნელი მფრინავი არსებები საშას იქ ვერ მისწვდებოდნენ, შემდეგ კი... გასაქცევი მაინც არსად ჰქონდა.

მოასწრო! კედელს აეკრა იმ იმედით, რომ საზიზღარი არსებები თავს დაანებებდნენ. მაგრამ არა, მათ უფრო გამჭრიახი მსხვერპლიც მიუმწყვდევიათ კუთხეში. ჯერ ერთი, შემდეგ მეორეც საშასგან ოციოდე ნაბიჯში დაეშვა მიწაზე, ფრთები დაიკეცეს და აუჩქარებლად დაიძრნენ მისკენ.

ავტომატის ჯერმა კი არ შეაშინა, გააბრაზა ისინი, ტყვიები მათმა ხშირმა ბეწვმა აისხლიტა ისე, სხეულამდე არც ჩაუღწევია. საშასთან უფრო ახლოს მდგომი საშინელება ბოროტად დაიკრიჭა და გადმობრუნებულ დრუნჩსა და გამოწეულ შავ ტუჩს შორის დაბრეცილი, ლურსმანივით ბასრი კბილები გამოაჩინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშა არც დაფიქრებულა, საიდან მოისმა ეს შორეული ხმა, უბრალოდ პირქვე დაემხო. იმავე წამს მისგან საკმაოდ ახლოს აფეთქების ხმა გაისმა და გახურებულმა ჰაერის ტალღამ სახეში ეცა გოგონას. პირველს მეორე აფეთქება მოჰყვა, აფეთქებებს კი – გაცოფებული მხეცების კივილი და ფრთების ფართხუნი.

საშამ გაუბედავად წამოსწია თავი, დაახველა, ფილტვებიდან მტვერი ამოაფურთხა და მიმოიხედა. მისგან არც ისე შორს, გზაზე გაჩენილი ძაბრისებური ორმო სქელი, ახალი სისხლით იყო მორწყული. გვერდით ხორციანად მოგლეჯილი, დამწვარი ფრთა ეგდო და უფორმო, დანახშირებული ნაკუწები ეყარა.

ქვის უდაბნოდან საშასკენ დინჯად მოდიოდა ძლიერი აღნაგობის ადამიანი მძიმე დამცავი კოსტიუმით.

ჰანტერი!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 13
ეროვი ისტორია

ხელი მოჰკიდა, წამოდგომაში დაეხმარა და უკან გაიყოლა. მერე, თითქოს გონს მოეგოო, ხელი გაუშვა. მის მონაცრისფრო მინაში დამალულ თვალებს საშა ვერ ხედავდა.

– არ ჩამომრჩე! მალე დაღამდება, აქედან გასვლა უნდა მოვასწროთ, – დაიგუგუნა აირწინალის ფილტრებში და სწრაფი ნაბიჯით განაგრძო გზა, საშასთვის ერთხელაც ალარ შეუხედავს.

– ჰანტერ! – დაუძახა გოგონამ და აირწინალის დაბინდული მინებიდან თავისი მხსნელის დანახვას შეეცადა.

ჰანტერს თითქოს არც გაუგია გოგონას ხმა და მასაც სხვა ალარაფერი დარჩენოდა – მონდომებით აედევნა უკან. რა თქმა უნდა, გაბრაზების მიზეზი ჰქონდა: ზედიზედ მესამედ გადაარჩინა სიკვდილს სულელი გოგო. თუმცა, ზემოთ მაინც ამოვიდა, საშას გამო... საეჭვო ალარაფერი იყო...

თავგადაპარსულს მეტროს შესასვლელში ურჩხულების ბუნაგთან მიახლოება არც უფიქრია, სხვა ბილიკები იცოდა. მთავარი გზიდან მარჯვნივ გადაუხვია და თაღში შეეფიდა, ბრტყელი კოლოფების დაჟანგულ ჩონჩხებს გასცდა, რომლებიც ჯუჯების ჯიხურებს ჰგავდა, გასროლით დააფრთხო გაურკვეველი ჩრდილი, რკინისგისოსებიან აგურის პატარა ჯიხურთან შეჩერდა და დიდ ბოქლომში გასაღები მადაატრიალა. თავშესაფარი? არა, ჯიხური სატყუარა ალ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოჩნდა: კარს მილმა ზიგზაგური ბეტონის კიბე ეშვებოდა ქვემოთ.

იგივე ბოქლომი შიგნიდან დაადო, ფანარი აანთო და კიბეებით დაეშვა დაბლა. სიძველისაგან აქერცლილი თეთრ. მწვანედ შეღებილი კედლები სახელებითა და თარიღებით იყო აჭრელებული: შესვლა-გამოსვლა, შესვლა-გამოსვლა... საშას მხსნელმაც ამოკაწრა რაღაც გაურკვევლად. ალბათ ყველა, ვინც საიდუმლო გასასვლელით ისარგებლებდა, ვალდებული იყო აქ ჩაენიშნა გასვლისა და უკან დაბრუნების ზუსტი დრო. ბევრი სახელის ქვეშ უკან დაბრუნების დრო არ ეწერა.

ქვემოთ დაშვება მოულოდნელად სწრაფად შეწყვიტეს. კიბე კიდევ უფრო ქვემოთაც მიდიოდა, მაგრამ თავგადაპარსული უჩინარ თუჯის კართან შეჩერდა და მუშტით დააბრახუნა მასზე. რამდენიმე წამში შიგნიდან საკეტმა გაიჩხაკუნა და კარი თმააბურძგნილმა, წვერიანმა კაცმა გაალო, რომელსაც ლურჯი, მუხლებგაწელილი შარვალი ეცვა.

– ეს ვინღაა? – იკითხა გაოცებულმა.

– ნრიულიდან წამოვიყვანე, კინალამ ფრინველებმა შეჭამეს, ძლივს მოვასწარი ტყვიამფრქვევით მათი დახოცვა, – დაიგუგუნა ჰანტერმა, მერე კი საშას მიუბრუნდა: – ეი, შენ, როგორ მოხვდი იქ?

ბრიგადირმა კაპიუშონი მოიხადა, აირწინალი მოიძრო და...

საშას პირისპირ უცნობი მამაკაცი წარდგა ზღარბიანით გაკრეჭილი ქერა თმით, ლია ნაცრისფერი თვალებით და მიჭყლეტილი, თითქოს გატეხილი ცხვირით. არადა, ზემოთ, როცა დაჭრილისთვის მეტისმეტად სწრაფადაც მოძრაობდა, სიარულის მანერაც შესცვლოდა და კოსტიუმიც, საშას ეჭვადაც არ უფიქრია, რომ ცდებოდა და ის ჰანტერი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ იყო. გოგონას სუნთქვა გაუჭირდა და აირწინაღი მანაც მოიძრო.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ორივენი ჰანზას საზღვართან იდგნენ.

– მაპატიე, საბუთების გარეშე აქ ვერ დაგტოვებ, – მისი მხსნელის ხმაში გულწრფელი სინანული იგრძნობოდა, – იქნებ დღეს სალამოს... გადასასვლელში?

საშამ უსიტყვოდ გააქნია თავი და გაუღიმა.

ახლა საით?

მასთან? მოასწრებს!

გოგონას, რომელიც ვერაფრით ერეოდა წყენას, რომ ამჯერად მისი მხსნელი ჰანტერი არ იყო, კიდევ ერთი საქმე აქონდა, რომლის სამომავლოდ გადადებაც აღარ უნდოდა.

მუსიკის ნაზმა და მიმზიდველმა ჰანგებმა ხალხის გუგუნში, ფეხსაცმელების კაკუნსა და გამყიდველთა გადაძახილებში მაინც იპოვა საშასკენ მიმავალი გზა. იმ მელოდიას ჰგავდა, რომელმაც წინა დღით მოაჯადოვა. მისკენ მიმავალ გოგონას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს იმავე ნაპრალს უახლოვდებოდა, საიდანაც არაამქვეყნიური ნათება აღწევდა... ამჯერად საით მიჰყავდა ნათებას?

მუსიკოსს გარშემო მსმენელები შემოხვეოდნენ... ხალხს თან იზიდავდა მელოდია, თან მიახლოებას ვერ ბედავდნენ, თითქოს სინათლისკენ მიფრინავდნენ, მაგრამ დაწვისა ეშინოდათ. საშამ ხალხის ტალღა გაარღვია და ცენტრში გავიდა. მას არ ეშინოდა.

მუსიკოსი ახალგაზრდა იყო და საკმაოდ მიმზიდველიც. სუსტი იყო, მაგრამ მისი მოვლილი სახე არ იყო ნაზი. მის მწვანე თვალებს კი გულუბრყვილო ნამდვილად არ ეთქმოდა. სწორი, მუქი, გრძელი თმა მხრებზე ეფინა. უბრალოდ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ სუფთად ეცვა, რაც ნამდვილად გამოარჩევდა „ა-ველეცკაიას“ მცხოვრებლებისგან.

მისი ინსტრუმენტი რაღაცით საბავშვო სალამურს ჰგავდა, რომელსაც პლასტმასის საიზოლაციო მილისგან ამზადებდნენ, მაგრამ დიდი, შავი და სპილენძის კლავიშებიანი იყო, ალბათ საკმაოდ ძვირფასიც. ბგერები, რომელთაც საკრავი გამოსცემდა, ნამდვილად სხვა სამყაროსა და სხვა დროს ეკუთვნოდა. როგორც თავად ინსტრუმენტი და მისი პატრონი.

მუსიკოსმა მაშინვე დაიჭირა საშას მზერა და რამდენჯერმე გახედა მას. გოგონა შეცბა: მუსიკოსის ყურადღება უსიამოვნო ნამდვილად არ იყო, მაგრამ აქ მუსიკისთვის იყო მოსული.

– მადლობა ღმერთს, გიპოვე...

გოგონას ერთიანად გახვითქული, აქოშინებული ჰომეროსი მიუახლოვდა.

– როგორ არის? – მაშინვე ჰკითხა საშამ.

– შენ რა... – დაიწყო ჰომეროსმა, მაგრამ სხვანაირად დაასრულა: – გაქრა.

– როგორ? სად? – გული შეეკუმშა საშას.

– წავიდა. წაილო თავისი ნივთები და წავიდა. ალბათ „დობრინინსკაიაზე“.

– არაფერი დაუტოვებია? – ფრთხილად იკითხა საშამ და გულში თქვა პასუხი, რომელიც უნდოდა, ჰომეროსს ეპასუხა.

– არაფერი, – თავი გაიქნია ჰომეროსმა.

ხალხის შენიშვნით შეწუხებული ჰომეროსი დადუმდა და მელოდიას მიუგდო ყური, თან ფრთხილად უყურებდა ხან მუსიკოსს, ხან კი გოგონას. სულ ტყუილად: საშა სხვაზე ფიქრობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გოგონა იმ წესებში გარკვევას იწყებდა, რომლითაც ჰანტერი თამაშობდა. რაკი ყველა თავისი ნივთი წაიღო, ესე იგი, თავგადაპარსულს უნდა, რომ საშა უფრო დაეინებული იყოს, გზიდან არ გადაუხვიოს და ჰანტერი მოძებნოს. და ის გააკეთებს ამას, მაინც გააკეთებს, თუკი...

– დანა? – სწრაფად გადაუჩურჩულა მოხუცს, – ჩემი დანა თან წაიღო? შავი?

– პალატაში არ არის, – მხრები აიჩეჩა მოხუცმა.

– ესე იგი, წაიღო!

საშასთვის ეს მცირე ნიშანიც საკმარისი იყო.

* * *

მუსიკოსი მართლაც საკმაოდ ნიჭიერი იყო და შესრულების ტექნიკასაც ნამდვილი პროფესიონალივით ფლობდა. ინსტრუმენტის შემოწირულობებისთვის გახსნილ კოლოფში იმდენი ტყვია ეყარა, რომ პატარა სადგურს გამოკვებავდა კიდეც და დედაბუდიანადაც ამოხოცავდა.

„აი, ალიარება!“ – სევდიანი ღიმილით გაიფიქრა მოხუცმა.

მოხუცს მელოდია ეცნობოდა, მაგრამ ვერაფრით იხსენებდა, სად ჰქონდა მოსმენილი, ძველ კინოში? რადიოკონცერტზე? – რამდენიც უნდა ეცადა, მაინც ვერ გაიხსენებდა. მელოდიაში იყო რაღაც უჩვეულო, რომელსაც შემთხვევითაც თუ მოჰკრავდი ყურს, თავს ველარ დააღწევდი, სანამ ბოლომდე არ მოუსმენდი.

პროკოფიევი? შოსტაკოვიჩი? ჰომეროსს საკმაოდ მწირი მუსიკალური განათლება ჰქონდა საიმისოდ, რომ სერიოზულად ეცადა კომპოზიტორის გამოცნობა. მაგრამ ვისაც უნდა დაეწერა ეს ნოტები, ფლეიტის დამკვრელი უბრალოდ კი არ ასრულებდა, არამედ ახალ ჟღერადობასა და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აზრს აქსოვდა მასში, თავიდან აცოცხლებდა მას. ნიჭი! ამ ნიჭის გამო ჰომეროსი თანახმა იყო, ბიჭისთვის გამომწვევი მზერა ეპატიებინა, რომელსაც საშას ისე ესროდა, როგორც კნუტს ქალალდის ბაფთას.

დრო იყო, გოგონა წაეყვანა.

დაელოდა, სანამ მუსიკა დასრულდებოდა და მუსიკოსი აპლოდისმენტებზე გადაიტანდა ყურადღებას, მერე საშას ხელი წაავლო სველ კოსტიუმზე, რომელსაც ჯერ კიდევ ქლორის სუნი ასდიოდა, და წრიდან გაიყვანა.

– ბარგი ჩალაგებულია. მე მას მივყვები, –ამცნო სხაპასხუპით.

– მეც, – სწრაფადვე უპასუხა გოგონამ.

– შენ ხვდები, რაში ჰყოფ თავს? – ჩუმად გამოსცრა ჰომეროსმა.

– ყველაფერი ვიცი. ყურს გიგდებდით, – საშამ გამომწვევად გაუსწორა თვალი, – ეპიდემია, ხომ? ყველას გამონვას აპირებს. მკვდრებისაც და ცოცხლებისაც. მთელი სადგურის... – საშა თვალს არ აშორებდა მოხუცს.

– და რა გინდა ასეთ ადამიანთან?! – მოხუცის კითხვაში გულწრფელი ინტერესი იკითხებოდა.

საშამ არაფერი უპასუხა. ასე უსიტყვოდ მიდიოდნენ მანამ, სანამ დარბაზის უკაცრიელ კუთხეში არ გავიდნენ.

– მამაჩემი ჩემ გამო მოკვდა და მე არაფერი შემიძლია მის გასაცოცხლებლად. იქ კი ჯერ ისევ ცოცხალი ადამიანები არიან, რომელთა გადარჩენაც შეიძლება. უნდა ვცადო. მამასთან ვალში ვარ, – ნელა და უხერხულად წარმოთქვა გოგონამ.

– ვისგან უნდა გადაარჩინო? რისგან? უკურნებელი სენია, ხომ გაიგონე! – მწარედ უპასუხა მოხუცმა.

– შენი მეგობრისგან. ის ნებისმიერ ავადმყოფობაზე საშიშია. მომაკვდინებელი! – გოგონამ ამოიოხრა, – ავადმყო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფობა იმედს მაინც ტოვებს. ვილაც ყოველთვის ახერხებს გამოჯანმრთელებას. ათასში ერთი მაინც.

– რანაირად? რატომ გგონია, რომ შეძლებ?!

– მე გამომსვლია, – ყოყმანით უპასუხა გოგომ.

ჰომეროსი ყურადღებით აკვირდებოდა. თავის შესაძ-ლებლობებს ხომ არ ამეტებდა ეს გოგო? თავს ხომ არ იტყუებდა, როდესაც გულქვა და შეუბრალებელ ბრიგა-დირში საპასუხო გრძნობას ხედავდა? ჰომეროსს არ უნ-დოდა, საშასთვის თავგზა აებნია, მაგრამ უმჯობესი იყო, ახლავე გაეფრთხილებინა ის.

– იცი რა ვიპოვე მის პალატაში? – მოხუცმა ფრთხილად ამოიღო ჯიბიდან დამტვრეული საპუდრე და საშას გადას-ცა, – შენ დაამტვრიე?

– არა, – თავი გააქნია მან.

– გამოდის, ჰანტერმა...

გოგონამ ფრთხილად გახსნა კოლოფი და სარკის ერთ ნატეხში თავისი ანარეკლი დაინახა. თავგადაპარსულთან თავისი ბოლო საუბარი და ბრიგადირის მიერ ნახევრად ჩაბნელებულ პალატაში ნათქვამი სიტყვები გაახსენდა. ჰანტერის სახეც დაუდგა თვალწინ, როდესაც ის მძიმე ნა-ბიჯებით მიდიოდა მისკენ, მთლად სისხლიანი, რათა სა-მართებელივით მჭრელკლანჭებიან ქიმერას საშასთვის თავი დაენებებინა და თავად ჰანტერი მოეკლა...

– ეს ჩემ გამო კი არა, სარკის გამო ქნა, – დაბეჯითებით თქვა ბოლოს.

– სარკე რალა შუაშია?! – წარბები აზიდა მოხუცმა.

– თვითონ არ ამბობდი,ზოგჯერ სასარგებლოა, რომ შენს თავს გვერდიდან შეხედო? „გეხმარება შენს თავზე მეტის გაგებაში", – საშამ მოხუცის დამრიგებლურ ტონს გამოაჯავრა და კოლოფი დახურა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– გგონია, ჰანტერმა არ იცის, ვინ არის თვითონ? ან ადარდებს თავისი გარეგნობა და ამიტომ გატეხა სარკე? – ჰომეროსმა მიმტევებლურად ჩაიცინა.

– საქმე გარეგნობაში არაა, – გოგონა ზურგით მიეყრდნო სვეტს.

– ჰანტერმა მშვენივრად იცის, ვინცაა. და, როგორც ჩანს, არ უყვარს, როდესაც ამას ახსენებენ, – თავის თავს უპასუხა მოხუცმა.

– იქნებ დაავიწყდა? – გააპროტესტა საშამ, – ზოგჯერ მგონია, რომ გამუდმებით რაღაცის გახსენებას ცდილობს; ან... ჯაჭვითაა მიბმული მძიმე ვაგონზე, რომელიც დალმართზე მიექანება სიბნელეში და ვერავინ აჩერებს. ამის ახსნა არ შემიძლია. უბრალოდ ვუყურებ და ვგრძნობ, – საშა მოილუშა, – ამას ჩემ გარდა ვერავინ ხედავს. ამიტომაც გითხარი მაშინ, მე ვჭირდები-მეთქი.

– და ამიტომაც მიგატოვა, – სასტიკად მიახალა მას ჰომეროსმა.

– მან კი არა, მე მივატოვე, – თავისას არ იშლიდა გოგონა, – ახლა კი უნდა დავეწიო, სანამ გვიან არაა, სანამ ცოცხლები არიან... სანამ შეიძლება მათი გადარჩენა... სანამ მისი გადარჩენაც შეიძლება... – მონოტონურად იმეორებდა საშა.

– ის ვისგანლა უნდა გადაარჩინო?! – გაოცება ვერ დამალა ჰომეროსმა.

საშამ უნდოდ გახედა მოხუცს და წარმოუდგენელი სერიოზულობით უპასუხა:

– სარკეში არეკლილისგან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

– დაკავებულია?

შემწვარ სოკოში ჩანგლის ტრიალში გართული საშა მოულოდნელმა შეკითხვამ შეახტუნა. თავზე ლანგრით ხელში მწვანეთვალება მუსიკოსი ადგა. მოხუცი საღლაც გასულიყო და მისი ადგილი ცარიელი იყო.

– დიახ.

– გამოსავლის პოვნა ყოველთვის შეიძლება! – მუსიკოსმა თავისი ლანგარი მაგიდაზე დადო, მეზობელი მაგიდიდან თავისუფალი სკამი მოაჩოჩა და სანამ გოგონა გაპროტესტებას მოასწრებდა, მას მარცხნივ მიუჯდა.

– მე არ დამიპატიჟებიხარ, – გააფრთხილა საშამ.

– ბაბუა გეჩხუბება? – თანაგრძნობით ჩაუკრა თვალი მუსიკოსმა, – ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ. ლეონიდი.

– ის ჩემი ბაბუა არ არის, – საშამ იგრძნო, როგორ გაწითლდა.

– მართლა?! – პირგამოტენილმა ლეონიდმა წარბი აზიდა.

– თავხედი ხარ! – შენიშნა გოგონამ.

– შეუპოვარი, – შეუსწორა მუსიკოსმა.

– ზედმეტად თავდაჯერებული ხარ, – გაულიმა საშამ.

– მე ზოგადად მჯერა ადამიანების, მათ შორის საკუთარი თავისაც, – ორაზროვნად ჩაილაპარაკა ლეონიდმა, თან ლუკმას ღეჭავდა.

მოხუცი დაბრუნდა, თვითმარქვიას ზურგსუკან წამით შეჩერდა და ისე, რომ არაფერი უთქვამს, უკმაყოფილო სახით დაჯდა თავის ადგილას.

– საშა, ვიწროდ ხომ არ ხარ? – პირდაპირ გოგოს მიმართა, მუსიკოსისთვის ზედაც არ შეუხედავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– საშა! – აღტაცებით წამოიძახა მუსიკოსმა, – ძალიან სასიამოვნო. შეგახსენებთ, მე ლეონიდი მქვია.

– ნიკოლაი ივანოვიჩი, – გვერდულად შეუბღვირა მოხუცმა, – რა მელოდიას ასრულებდით დღეს? მეცნობოდა...

– ისეთს არაფერს. უკვე მესამე დღეა, ამ მელოდიას ვუკრავ, – ბოლო სიტყვებს ხაზი გაუსვა მუსიკოსმა, – საერთოდაც, ჩემი დაწერილია.

– შენი?! – საშამ სოკოიანი თეფში გასწია განზე, – და რა ჰქვია?

– არაფერიც არ ჰქვია, – მხრები აიჩეჩა ლეონიდმა, – რატომღაც სახელზე არ მიფიქრია. თან რა საჭიროა?

– ძალიან ლამაზია, – აღიარა გოგომ, – საოცრად ლამაზი.

– მაშინ, შემიძლია სახელი შენს პატივსაცემად დავარქვა, – არ დაიბნა მუსიკოსი, – შენ იმსახურებ ამას.

– არ გინდა, – თავი გააქნია საშამ, – იყოს უსახელო. არის ამაში რაღაც აზრი.

– შენ რომ მოგიძღვნა, ამაშიც იქნება გარკვეული აზრი, – გაიცინა მუსიკოსმა, მაგრამ ლუკმა გადასცდა და ხველა აუტყდა.

– მზად ხარ? – მოხუცმა საშას ლანგარი აიღო და ადგა, – დროა. გვაპატიეთ, ახალგაზრდავ...

– არა უშავს! მეც დავამთავრე ჭამა. ნება მიბოძეთ, გოგონა გავაცილო.

– ჩვენ მივემგზავრებით, – მოკლედ მოუჭრა მოხუცმა.

– რა კარგია. მეც მივემგზავრები, „დობრინინსკაიაზე", – მუსიკოსმა გულუბრყვილო გამომეტყველება მიიღო, – ერთი გზა ხომ არ გვაქვს?

– კი, ერთი გზა გვაქვს, – თავისდაუნებურად წამოიძახა საშამ. ჰომეროსისკენ არ გაუხედავს, თვალს არ აშორებდა ლეონიდს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მის სიანცეში სიმსუბუქე იგრძნობოდა, უბოროტო და სასაცილო იყო. თითქოს წნელს იქნევდა და ისე მსუბუქად, უმტკივნეულოდ იჩხვლიტებოდა, რომ ვერ გაბრაზდებოდი. მისი ქარაგმები საშას სერიოზულადაც არ მიუღია... ანკი რა იყო ცუდი იმაში, თუკი მოეწონა? მისი მუსიკა ხომ იმაზე ადრე შეუყვარდა, სანამ თავად შემსრულებელს გაიცნობდა. მასთან ერთად მგზავრობის ცდუნებაც ძალიან დიდი იყო.

* * *

საქმე მხოლოდ მუსიკაშია, სხვა არაფერი. ახალგაზრდა თავისი მოვლილი ფლეიტით ჰამელნელი ვირთხიჭერიასავით იზიდავდა უცოდველ სულებს და თავის ნიჭს ახალგაზრდა გოგონების შესაცდენად იყენებდა; მოინადირებდა ყველას, ვისზეც კი ხელი მიუწვდებოდა. ახლა ალექსანდრას მოხიბვლას ცდილობდა, ჰომეროსს კი წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ უნდა მოქცეულიყო.

მოხუცს მისი თავხედური ხუმრობების გადაყლაპვა ისე უჭირდა, რომ ბოლოს ყელში გაეჩხირა კიდეც. ჰომეროსი იმანაც გააღიზიანა, რომ ლეონიდმა ჰანზას მოუდრეკელ ხელისუფლებასთან საკმაოდ მარტივად და სწრაფად მოლაპარაკა, სამივენი წრიული ხაზის გადასარბენზე, „დობრინინსკაიაზე", საბუთების გარეშე გაეშვათ. მუსიკოსი ასაკოვანი, მელოტი და დიდულვაშა სადგურის უფროსის დარბაზში თავისი ინსტრუმენტის ტყვიებით სავსე ფუტლიარით შევიდა, იქიდან კი გაღიმებული გამოვიდა.

მოხუცი, ერთი მხრივ, იძულებული იყო, ელიარებინა მუსიკოსის დიპლომატიური ნიჭი – მოტორიანი დრეზინა, რომლითაც ისინი „პაველეცკაიაზე" მოვიდნენ, ჰანტერთან ერთად გაუჩინარდა, მის გარეშე კი შეიძლება ერთი კვირა დასჭირვებოდა გზის გავლას – ხოლო მეორე მხრივ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აფრთხობდა ამ ოინბაზი დიპლომატის ფუქსავატური ქცევა: მან დაუნანებლად მიატოვა სადგური და თავისი დანაზოგიც კი არ დაიშურა იმისათვის, რომ საშას გაჰყოლოდა გვირაბში. ეს, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა სიყვარულით ახსნილიყო, მაგრამ მოხუცი ჯიუტად მხოლოდ არასერიოზულობასა და სწრაფად გამარჯვების ჩვევას ხედავდა.

ჰომეროსი ნელ-ნელა მობუზღუნე დედაბერს ემსგავსებოდა... თუმცა, საფუძველი ნამდვილად ჰქონდა, რომ ფრთხილი და ეჭვიანი ყოფილიყო. არ დაუშვებდა, მისი მუზა მოხეტიალე მუსიკოსთან ერთად გაქცეულიყო; გაჰყოლოდა სრულიად ზედმეტ გმირს, რომლის ადგილიც რომანში არ იყო გათვალისწინებული.

– ნუთუ მთელ დედამიწაზე აღარავინ დარჩა?!

მათი სამეული სამი მცველის თანხლებით უკვე „დობრინინსკაიასკენ" მიაბიჯებდა: აქ მთავარი იყო ტყვიების სწორად განაწილება და ყველაზე თამამ ოცნებასაც კი რეალობად აქცევდი.

გოგონა, რომელიც სულმოუთქმელად ყვებოდა ზემოთ თავისი მოგზაურობის შესახებ, უცებ გაჩუმდა და მოიღუშა. ჰომეროსმა გამომწვევად გადახედა მუსიკოსს: ვინ დაასწრებდა საშას დამშვიდებას?!

– ნუთუ ახალ თაობასაც აწუხებს შეკითხვა, არის თუ არა სიცოცხლე მოსკოვის წრიული საავტომობილო გზის იქით?! – ირონიულად ჩაიცინა მოხუცმა.

– რა თქმა უნდა, არის, – დაბეჯითებით განაცხადა ლეონიდმა, – არ მგონია, არავინ გადარჩენილიყო, უბრალოდ, კავშირი არ არის.

– მე, მაგალითად, მსმენია, რომ „ტაგანსკაიას" იქით ერთი საიდუმლო გასასვლელი საინტერესო გვირაბში გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დის, – დაიწყო მოხუცმა, – ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი გვირაბია, ექვსი მეტრის დიამეტრის. მაგრამ – რელსების გარეშე. ორმოცი თუ ორმოცდაათი მეტრის სიღრმეში მდებარეობს და შორს, აღმოსავლეთისკენ მიემართება...

– ეგ ის გვირაბია, ურალის ბუნკერებამდე რომ მიდის? – სიტყვა გააწყვეტინა ლეონიდმა, – ლეგენდა კაცზე, რომელიც შემთხვევით მოხვდა იმ გვირაბში, გავიდა და უკან საჭმლის მარაგით დაბრუნდა...

– მცირე შესვენებებით ერთ კვირას იარა, მერე კი სურსათი გაუთავდა და იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო. გვირაბს ბოლო არ უჩანდა... – ბილინას თხრობის ინტონაციას ასცდა ჰომეროსი და შეწყვიტა, – ჰო, ამბობენ, რომ ურალის ბუნკერებისკენ მიდის. სხვაგან სად შეიძლება ვინმე გადარჩენილიყო?

– საეჭვოა, – დაამთქნარა მუსიკოსმა.

– ერთი პოლისელი ნაცნობი მიყვებოდა, რომელიღაც ადგილობრივი რადისტი როგორ დაუკავშირდა ტანკის ეკიპაჟს, რომელმაც მოასწრო და ისეთ ადგილას დაიმალა, რომ არც ერთ სულიერს მისი დაბომბვა აზრად არ მოუვიდოდა, – დემონსტრაციულად მიუბრუნდა საშას მოხუცი.

– ჰო, ესეც ცნობილი ისტორიაა, – თავი დაუქნია ლეონიდმა, – სანვავი რომ გაუთავდათ, ტანკი გორაკზე მიწაში ჩაფლეს, მის გარშემო კი სოფელი გააშენეს. რამდენიმე წელიწადს ელაპარაკებოდნენ რადიოთი პოლისს.

– სანამ მიმღები არ გაფუჭდა, – დაასრულა გაღიზიანებულმა ჰომეროსმა.

– და ისტორია წყალქვეშა ნავის შესახებ? – სალაპარაკოდ გამოიწვია მეტოქემ, – ატომურ გემზე, რომელმაც შორეულ მოგზაურობაში ყოფნის გამო ორმხრივი დაბომბვისას ვერ მოასწრო საბრძოლო პოზიციებზე გასვლა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბილი როდესაც გამოცურა, ყველაფერი უკვე კარგა ხნის დამთავრებული იყო. მაშინ ეკიპაჟმა ვლადივოსტოკის სიახლოვეს საბუდამოდ ჩაუშვა გემის ლუზა...

– და მისი რეაქტორით დღემდე მთელი სოფელი იკვებება, – დაამატა მოხუცმა, – ნახევარი წლის წინ შევხვდი ადამიანს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამ გემის კაპიტნის პირველი თანაშემწე იყო; მთელი ქვეყანა ველოსიპედით გადმოკვეთა და მოსკოვში ჩამოვიდა. თურმე სამი წელი მოდიოდა.

– პირადად მას ელაპარაკე? – ზრდილობიანად გაიკვირვა ლეონიდმა.

– პირადად, – შეუბლვირა ჰომეროსმა.

ლეგენდები ყოველთვის მისი ყველაზე საყვარელი თემა იყო და ამ ახალგაზრდა თავხედ ბიჭს ვერაფრით მისცემდა პირველობის უფლებას. სათადარიგოდ კიდევ ერთი საიდუმლო ისტორია ჰქონდა გადანახული. აპირებდა, ეს ისტორია სრულიად განსხვავებულ შემთხვევაში მოეყოლა და არა სულელური კამათის დროს... მაგრამ რომ ნახა, როგორ იცინოდა გაიძვერა მუსიკოსის ენამოსწრებულობაზე საშა, მოყოლა გადაწყვიტა.

– „პოლიარნიე ზორიზე" გსმენიათ რამე?

– როგორი ზორი?! – დაიბნა მუსიკოსი.

– უკიდურესი ჩრდილოეთი, კოლსკის ნახევარკუნძული, ქალაქი პოლიარნიე ზორი, – თავშეკავებულად გაილიმა ჰომეროსმა, – ათას ხუთასი კილომეტრზეა მოსკოვიდან, დაახლოებით ათასზე – პეტერბურგიდან. მის სიახლოვეს მურმანსკია თავისი საზღვაო ფლოტით.

– მივარდნილი ადგილი, – გაამხნევა ლეონიდმა.

– დიდი ქალაქების, საიდუმლო ქარხნებისა და სამხედრო ბაზებისგან, ყველა მთავარი სამიზნისგან შორს. ყველა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალაქი, რომლებიც ჩვენმა რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარებმა ვერ დაიცვა, ალიგავა პირისაგან მიწისა. ქალაქები, სადაც ფარი იყო, სადაც მოიერიშე თვითმფრინაველებმა მოასწრეს... – მოხუცმა ზევით აიხედა, – თქვენც კარგად იცით... მაგრამ იყო ადგილები, რომლებსაც არავინ უმიზნებდა, რადგან არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. მაგალითად, პოლიარნიე ზორი.

– ახლაც არავის არაფერი ესაქმება მასთან, – უპასუხა მუსიკოსმა.

– არადა, სულ ტყუილად, – მოუჭრა მოხუცმა, – რადგან პოლიარნიე ზორისთან რუსეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ატომური ელექტროსადგური მდებარეობდა და თითქმის მთელ ჩრდილოეთს – მილიონობით ადამიანს, ასობით საწარმოს ამარაგებდა ელექტროენერგიით. მეც იმ მხარიდან ვარ, არხანგელსკიდან, და ვიცი, რასაც ვამბობ. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, იმ სადგურზე ექსკურსიაზე რომ წაგვიყვანეს. ნამდვილი ციხე-სიმაგრე იყო, სახელმწიფო სახელმწიფოში. თავისი მცირე ჯარით, საკუთარი სოფლის მეურნეობით და სასოფლო-სამეურნეო მიწებით. ავტონომიურად ცხოვრობდნენ. ბირთვული ომიც რომ მომხდარიყო, მათ ცხოვრებაში არაფერი შეიცვლებოდა, – სევდიანად ჩაიცინა ჰომეროსმა.

– და რის თქმა გინდათ...

– ალარც პეტერბურგია, ალარც მურმანსკი და ალარც არხანგელსკი. მილიონობით ადამიანი დაილუპა, საწარმოები ქალაქებიანად დაიფერფლა. პოლიარნიე ზორი კი გადარჩა. არც კოლსკის ატომური ელექტროსადგური დაზიანებულა. ათასი კილომეტრის რადიუსში მხოლოდ თოვლია, თოვლი და ყინულოვანი ველები, მგლები და თეთრი დათვები. ცენტრთან არანაირი კავშირი არაა. არადა, მათ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმდენი აქვთ საწვავი, რომ ერთი და ორი წელი კი არა, მეტ ხანსაც შეძლებს დიდი ქალაქის მომარაგებას, მხოლოდ პოლიარნიე ზორის კი ალბათ ას წელიწადს ეყოფა. ზამთარს ადვილად გადაიტანენ.

– ეს ხომ ნამდვილი კიდობანია... – დაიჩურჩულა ლეონიდმა, – ხოლო როდესაც წყალდიდობა დასრულდება და წყალი დაიწევს, არარატის მთის წვერიდან...

– ნამდვილად, – თავი დაუქნია მოხუცმა.

– საიდან იცით ამის შესახებ? – მუსიკოსს ხმაში აღარც ირონია ეტყობოდა და აღარც მოწყენა.

– რადისტად ვმუშაობდი, – ყოყმანით უპასუხა ჰომეროსმა, – ძალიან მინდოდა, მშობლიურ მხარეში ერთი ცოცხალი ადამიანი მაინც მეპოვა.

– დიდხანს გაძლებენ ჩრდილოეთში?

– დარწმუნებული ვარ. მართალია, კავშირზე ბოლოს ორი წლის წინ გავედი, მაგრამ წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს, მთელი საუკუნე ელექტროენერგიით?! სითბოში, სამედიცინო აპარატურით, კომპიუტერებით, ელექტრონული ბიბლიოთეკებით? თქვენ აღარაფერი იცით ამის შესახებ... მთელ მეტროში ორადორი კომპიუტერია და ისინიც მხოლოდ სათამაშოდ თუ გამოდგება... – მწარედ ჩაიცინა ჰომეროსმა, – და ეს დედაქალაქის მეტროში, თორემ თუკი სადმე კიდევ არიან ადამიანები, სოფლებს ვგულისხმობ, არა მარტოხელა ადამიანებს... მათთან ხომ მეჩვიდმეტე საუკუნე იქნება დაბრუნებული, ესეც საუკეთესო შემთხვევაში, თორემ ისე, შეიძლება ქვის ხანაც კია: კვარი, საქონელი, ჯადოქრობა, ყოველი მესამე მშობიარობისას ილუპება; საანგარიშოები და არყის ხის ქერქზე ჩანაწერები; მიყრუებული და უკაცრიელი ადგილები; მგლები, დათვები და მუტანტები... – მოხუცმა ჩაახველა და მიმოიხედა, – თა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნამედროვე ცივილიზაცია ელექტროენერგიას ეფუძნება. ამოიწურება ელექტროენერგია და დაილუპება ცივილიზაციაც – შენობა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში მილიარდობით ადამიანი აგურ-აგურ აშენებდა და რომლის განადგურების შემთხვევაშიც ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო. გამოვა კი? იქ კი ერთი საუკუნითაა სიცოცხლე გახანგრძლივებული. სწორად შენიშნეთ, ეს ნოეს კიდობანია – ელექტროენერგიის თითქმის შეუზღუდავი მარაგი. ნავთობი ჯერ უნდა მოიპოვო და გადაამუშაო, ჭაბურღილები დადგა, შემდეგ კი მილებში გაუშვა! მაშ, უკან, ორთქლმავლებისკენ თუ კიდევ უფრო შორეულ წარსულში?.. იცი, რას გეტყვი? – აღელვებულმა ჰომეროსმა საშას ხელი ხელში მოიქცია, – ადამიანებს არაფერი ემუქრება. ადამიანები ტარაკანებივით გამძლეები არიან. აი, ცივილიზაცია კი... მისი შენარჩუნება რთულია.

– მათთან ცივილიზაციაა?

– მშვიდად იყავით. ბირთვული ინჟინერიის სპეციალისტები, ტექნიკური ინტელიგენცია. პირობები კი ჩვენზე ბევრად უკეთესი აქვთ. ორი ათეული წლის განმავლობაში პოლიარნიე ზორი საკმაოდ გაიზარდა. მათი რადიო გამუდმებით იმეორებს: „ყველა გადარჩენილს...“ ამბობენ, ხალხი დღემდე მიდისო...

– ამის შესახებ რატომ არასდროს მსმენია?! – ჩაილაპარაკა მუსიკოსმა.

– ცოტას თუ სმენია. აქედან მათი ტალღის დაჭერა ძნელია, მაგრამ სცადეთ, თუკი ორიოდე თავისუფალი წელი გექნებათ, – ჩაიცინა მოხუცმა, – მოსახმობი ნიშანია „უკანასკნელი ნავსადგური“.

– მეცოდინებოდა! – სერიოზულად გადააქნია თავი მუსიკოსმა, – ასეთ შემთხვევებს ვაგროვებ!.. ნუთუ მათ არაფერი შეხებია?!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– როგორ გითხრათ... გარშემო მიყრუებული გარემოა, სადმე სოფელი ან პატარა ქალაქი რომც ყოფილიყო, მალე გაველურდებოდა. ხანდახან ბარბაროსები ესხმოდნენ თავს... ცხადია, ცხოველებიც, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ. მაგრამ მათ საკმარისი არსენალი აქვთ. მთელი პერიმეტრი დაცულია მავთულხლართებით, რომელშიც დენი გადის; სადარაჯო კოშკებით. ნამდვილი ციხე-სიმაგრეა. ყველაზე რთულ პირველ წელიწადს მათ კიდევ ერთი კედლის აშენება მოასწრეს. გარშემო ყველაფერი შეისწავლეს... მურმანსკიმდე მივიდნენ, ორასი კილომეტრი გაიარეს. მურმანსკის ადგილას გამდნარი ღრმულებია. ექსპედიციის მოწყობას მოსკოვისკენაც კი აპირებდნენ... მე გადავაფიქრებინე: რა საჭიროა ჭიპლარის გადაჭრა? დაიკლებს რადიაციული ფონი, ახალი ადგილების ათვისება გაადვილდება და მაშინ... მანამდე კი აქ რა უნდა აკეთონ, სასაფლაოს მეტი არაფერია, – ამოიოხრა ჰომეროსმა.

– სასაცილო იქნება, თუ კაცობრიობა, რომელმაც თავი ატომით გაინადგურა, ატომითვე გადარჩება, – თქვა უეცრად ლეონიდმა.

– სასაცილო არაფერია, – მკაცრად მიუგო ჰომეროსმა.

– პრომეთეს მიერ მოტაცებული ცეცხლის ამბავს ჰგავს, – ახსნა ლეონიდმა, – ღმერთებმა აუკრძალეს პრომეთეს ცეცხლის ადამიანებისათვის გადაცემა. მას კი ადამიანების სიბინძურიდან, სიბნელიდან და სიცივიდან გამოყვანა უნდოდა.

– წამიკითხავს, – დამცინავად შეაწყვეტინა ჰომეროსმა, – „ძველი საბერძნეთის მითები და ლეგენდები".

– წინასწარმეტყველური მითია, – შენიშნა ლეონიდმა, – ტყუილად კი არ იყვნენ ღმერთები წინააღმდეგნი. იცოდნენ, რით დასრულდებოდა ყველაფერი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მაგრამ სწორედ ცეცხლმა აქცია ადამიანი ადამიანად, – გააპროტესტა მოხუცმა.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ელექტროენერგიის გარეშე ადამიანი ისევ ცხოველად იქცევა? – ჰკითხა მუსიკოსმა.

– მე ვფიქრობ, რომ მის გარეშე ჩვენ ორასი წლით უკან დავბრუნდებით. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ათასიდან ერთი გადარჩა და ყველაფერი თავიდანაა ასათვისებელი, ასაშენებელი და შესასწავლი – ხუთასი წლით უკანაც კი. შესაძლოა, ვერც ვერასოდეს ავანაზღაუროთ დანაკარგი. არ მეთანხმებით?

– გეთანხმებით, – უპასუხა ლეონიდმა, – მაგრამ ნუთუ ყველაფერი ელექტროენერგიაზეა დამოკიდებული?

– თქვენ როგორ ფიქრობთ?! – ხელები გაასავსავა მოხუცმა.

მუსიკოსმა უცნაურად გახედა და მხრები აიჩეჩა.

დუმილი დიდხანს გაგრძელდა. საუბრის ასეთი დასასრული ჰომეროსს შეეძლო თავის გამარჯვებად ჩაეთვალა: გოგონა ალარ ჭამდა ახალგაზრდას თვალებით და სხვა რამეზე ჩაფიქრებულიყო. მაგრამ როდესაც სადგურამდე სულ ცოტალა იყო დარჩენილი, მოულოდნელად ლეონიდმა თქვა:

– მოდით, მაშინ მეც მოგიყვებით ერთ ისტორიას.

მოხუცმა დაღლილობა მოიგონა, მაგრამ ზრდილობიანად დაუქნია თავი.

– ამბობენ, რომ სადგურ „სპორტივნაიას" შემდეგ, დანგრეულ მინისზედა გადასასვლელ „სოკოლნიჩესკაიამდე", ძირითადი გვირაბიდან ქვემოთ მკვეთრად ეშვება რთული ხაზი, რომელიც გისოსებით მთავრდება, ხოლო მის მიღმა ჰერმეტული ჭიშკარია. ჭიშკრის გაღება არაერთხელ სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. მისკენ წასული მარტოხელა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მგზავრები უკან თითქმის ვერასოდეს ბრუნდებოდნენ, ხოლო მათ სხეულებს მეტროს მეორე ბოლოში პოულობდნენ.

– ზურმუხტქალაქი? – სახე მოელრიცა მოხუცს.

– ყველასთვის ცნობილია... – ლეონიდმა ისე განაგრძო, რომ მოხუცისთვის ყურადღება არ მიუქცევია, – ...რომ მეტროს მიწისზედა გადასასვლელი „სოკოლნიჩესკაია" პირველსავე დღეს დაინგრა და მისი მომდევნო სადგურები მეტროს მოსწყდა. მიაჩნიათ, რომ ხიდის მეორე მხარეს დარჩენილთაგან ცოცხალი ვერავინ გადარჩა, თუმცა ამის უტყუარი საბუთი არ არსებობს.

– ზურმუხტქალაქი, – მოუთმენლად ჩაიქნია ხელი პომერესმა.

– ასევე ყველასათვისაა ცნობილი, რომ მერყევ ქანებზე აგებული მოსკოვის უნივერსიტეტის უზარმაზარი შენობა სიმყარეს ინარჩუნებდა სარდაფებში უზარმაზარი ყინულის გენერატორების წყალობით, რომლებიც ჭაობიან ნიადაგს ყინავდა; მათ გარეშე შენობა დიდი ხნის წინ ჩაცურდებოდა მდინარეში.

– გაცვეთილი არგუმენტია, – მოხუცი მიხვდა, საითაც მიჰყავდა საუბარი ლეონიდს.

– ოც წელიწადზე მეტი დრო გავიდა, მიტოვებული შენობა კი რატომღაც ისევ დგას...

– იმიტომ, რომ არაკია ეგ!

– ამბობენ, რომ უნივერსიტეტის ქვეშ ჩვეულებრივი სარდაფები კი არა, ათსართულიანი მიწისქვეშა თავშესაფარია, სადაც მხოლოდ ყინულის გენერატორები კი არა, ატომური რეაქტორიცაა, საცხოვრებელი შენობებიც და უახლოეს მეტროსადგურებთან – მათ შორის, მეტრო 2-თან – დამაკავშირებელი გვირაბებიც, – ლეონიდი საშას დაეჯღანა და გააცინა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ჯერჯერობით ახალი არაფერი მომისმენია, – აგდებით უპასუხა ჰომეროსმა.

– ამბობენ, იქ ნამდვილი მინისქვეშა ქალაქიაო, – მეოცნებე სახით გააგრძელა მუსიკოსმა, – ქალაქი, რომლის მცხოვრებლებმაც – ცხადია, ისინი არ დაღუპულან – თავი დაკარგული ცოდნის მარცვლების შეგროვებასა და მშვენიერების სამსახურს მიუძღვნეს. ხარჯებს არ იშურებენ, გადარჩენილ გალერეებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში ექსპედიციებს გზავნიან. შვილებს ისე ზრდიან, რომ მათ მშვენიერების აღქმა არ დაკარგონ. იქ მშვიდობა და ჰარმონია სუფევს, განათლებაა მათი იდეოლოგია და ხელოვნებაა მათი რელიგია. იქ კედლები უბადრუკი ზეთის საღებავით ორ ფერში კი არ არის შეღებილი, საოცარი ფრესკებითაა მოხატული. დინამიკებიდან ბრძანებებისა და განგაშის სირენების ნაცვლად ბერლიოზი, ჰაიდნი და ჩაიკოვსკი ისმის. წარმოგიდგენიათ, ნებისმიერს შეუძლია დანტეს ციტირება! მხოლოდ ამ ადამიანებმა შეძლეს დარჩენილიყვნენ ისეთებად, როგორებიც იყვნენ ადრე. არა, მეტიც, არა ისეთებად, როგორებიც ოცდამეერთე საუკუნეში იყვნენ, არამედ ისეთებად, როგორებიც იყვნენ ანტიკურ სამყაროში... თქვენ ხომ წაკითხული გაქვთ „მითები და ლეგენდები"... – მუსიკოსმა ისე გაუღიმა ჰომეროსს, როგორც გონებასუსტს, – თავისუფალნი, თამამნი, ბრძენნი, ლამაზნი, სამართლიანნი და კეთილშობილნი.

– მსგავსი არასოდეს არაფერი გამიგონია! – ჰომეროსს იმედი ჰქონდა, რომ ეშმაკი გოგონას ვერ მოისყიდიდა.

– მეტროში, – ლეონიდმა ყურადღებით შეხედა მოხუცს, – ამ ადგილს ზურმუხტქალაქს ეძახიან. მაგრამ მისი მკვიდრნი, როგორც ამბობენ, სხვა სახელს ანიჭებენ უპირატესობას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– რომელს? – აენთო მოხუცი.

– კიდობანს.

– სისულელეა! სრული სისულელეა!

– რა თქმა უნდა, სისულელეა, – ხუმრობით უპასუხა მუ-სიკოსმა, – ეს ხომ ზღაპარია...

* * *

„დობრინინსკაია" ქაოსში იყო ჩაფლული.

ჰომეროსი შეწუხებული და შეშინებული იყურებოდა აქეთ-იქით: ხომ არაფერი ეშლება? შეიძლება ასეთი რამე ხდებოდეს წრიული ხაზის ერთ-ერთ ყველაზე მშვიდ სად-გურზე? მოხუცს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ჰან-ზას ამ რამდენიმე საათში ვილაცამ ომი გამოუცხადა.

პარალელურ გვირაბში სატვირთო დრეზინას ცლიდ-ნენ – წინსაფრიანი სამხედრო სანიტრები პლატფორმაზე გაშლილ ბრეზენტზე აწყობდნენ ცხედრებს: ერთი უთავო იყო, მეორეს სახე ალარ ჰქონდა, მესამეს ნაწლავები გად-მოჰყროდა...

ჰომეროსმა საშას თვალებზე ააფარა ხელი, ლეონიდმა კი ღრმად ჩაისუნთქა და შებრუნდა.

– რა მოხდა? – ჰკითხა სამეულის მცველთაგან ერთ-ერ-თმა სანიტარს.

– ჩვენი ყველა გუშაგი მთავარი ჟუო-დან მოკლეს, ვერც ერთი ვერ გადარჩა. არ ვიცით, ეს ვინ ჩაიდინა, – სანიტარმა ხელები წინსაფარზე შეიწმინდა, – ძმაო, მომიკიდე რა, თო-რემ ხელები მიკანკალებს.

მთავარი ჟუო ანუ ხაზი-ობობა, „პაველეცკაიას" რადი-ალური ხაზიდან იწყებოდა და აერთიანებდა ოთხ ხაზს – წრიულს, ნაცრისფერს, ნარინჯისფერს და მწვანეს. ჰომე-როსი ფიქრობდა, რომ ჰანტერი სწორედ ამ გზას აირჩევდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველაზე მოკლეს, მაგრამ ჰანზას მიერ ყველაზე უკეთ კონ-
ტროლირებადს.

რაში დასჭირდა ასეთი სისხლისღვრა? მათ გაუხსნეს პირველებმა ცეცხლი თუ გვირაბის სიბნელეში ვერც კი მო-ასწრეს ჰანტერის გარჩევა? ანდა სად არის ახლა? ღმერთო, კიდევ ერთი თავი ... როგორ შეეძლო ამის ჩადენა?...

ჰომეროსს დამსხვრეული სარკე და საშას სიტყვები გაახსენდა. ნუთუ საშა მართალი იყო? ნუთუ თავის თავს ეწინააღმდეგებოდა, როდესაც თავს იკავებდა ზედმეტი მკვლელობისგან? ხოლო სარკე იმიტომ გატეხა, რომ უნ-დოდა იმ მახინჯი, საშინელი ადამიანისათვის დაერტყა, რომლადაც თანდათან იქცეოდა?..

არა, ჰანტერმა სარკეში ადამიანი კი არა, ურჩხული და-ინახა, მაგრამ მხოლოდ მინა დალეწა და ერთი ურჩხული ათასად აქცია.

იქნებ... – მოხუცმა თვალი გააყოლა სანიტრების გზას დრეზინიდან პლატფორმამდე... – მერვე, უკანასკნელი. იქ-ნებ, სწორედ სარკიდან უყურებდა ადამიანი? ძველი ჰან-ტერი? ის კი... ურჩხული უკვე გარეთ იყო?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 14
ქიდევ რა?

„და მართლაც, რა აქცევს ადამიანს ადამიანად?

ის დედამიწაზე უკვე მილიონ წელზე მეტია დადის, მაგრამ, მაგიური ტრანსფორმაციით, ჯოგის მოხერხებული ცხოველისგან განსხვავებულ, არნახულ არსებად სულ რაღაც ათი ათასი წლის წინათ გადაიქცა. მთელი თავისი ისტორიის ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი გამოქვაბულებში გაატარა და უმ ხორცს ჭამდა; არ იცოდა, როგორ გამთბარიყო, შეექმნა ინსტრუმენტები და ნამდვილი იარაღი, ნორმალურად ლაპარაკიც კი არ შეეძლო! გრძნობებითაც მაიმუნისგან ან მგლისგან არ განსხვავდებოდა: შიმშილი, შიში, შეჩვევა, კმაყოფილება...

როგორ შეძლო რამდენიმე საუკუნეში ესწავლა მშენებლობა, აზროვნება და თავისი ნააზრევის ჩაწერა, შეეცვალა ბუნებაში არსებული მასალები და გამომგონებელი გამხდარიყო? რაში დასჭირდა ხატვა და როგორ აღმოაჩინა მუსიკა? როგორ დაიპყრო მთელი მსოფლიო და გარდაქმნა თავისი მოთხოვნილებების შესაბამისად? რა შესძინა ამ ათი ათასმა წელიწადმა ცხოველს?

ცეცხლი? – მან მისცა ადამიანს საშუალება, მოეთვინიერებინა და უკაცრიელ, ცივ მიწაზე თან წაელო სინათლე და სითბო, კოცონზე შეეწვა ნანადირევი და ამით სიამოვნება მიელო. მაგრამ რა შეიცვალა ამით? ადამიანმა მხო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლოდ თავისი სამფლობელო გააფართოვა. ვირთხებმა კი ცეცხლის გარეშეც შეძლეს მთელი პლანეტის დაპყრობა და დარჩნენ იმად, რაც თავიდან იყვნენ – საზრიან, ჯოგად მცხოვრებ ძუძუმწოვრებად.

არა, ცეცხლი არაფერ შუაშია, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ცეცხლი არა – მართალი იყო მუსიკოსი. კიდევ იყო რალაც... მაგრამ რა?

ენა? ეს ნამდვილად განასხვავებს დანარჩენი ცხოველებისგან – ნედლი აზრის სიტყვის ბრილიანტებად დამუშავება, რომელიც შეიძლება საერთო მონეტად იქცეს და ყველგან იყოს მიმოქცევაში; რაც თავში ხდება, იმის გადმოცემა კი არა, უფრო დალაგება; გამდნარი ლითონივით თხევადი, ჩამოუყალიბებელი აზრებისათვის მკაფიო ფორმის მიცემა; გონების სიცხადე და სიფხიზლე, ბრძანებებისა და ცოდნის ბაგიდან ბაგეზე მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად გადატანა; აქედან გამომდინარე კი ორგანიზებისა და დაქვემდებარების, ჯარების შეკრებისა და სახელმწიფოების შენების უნარი.

მაგრამ ჭიანჭველები ხომ სიტყვების გარეშეც ახერხებენ კომუნიკაციას? ნამდვილ მეგაპოლისებს ქმნიან, საკუთარ ადგილს პოულობენ ურთულეს იერარქიაში, ზედმიწევნით ზუსტად ატყობინებენ ერთმანეთს ინფორმაციასა თუ ბრძანებებს, ლეგიონში იწვევენ ათასობით უშიშარს და დიდი იმპერიის დაუნდობელ მებრძოლებად ერთიანდებიან.

იქნებ ასოები? – მათ გარეშე ცოდნის შეგროვება შეუძლებელი იქნებოდა; აგურები, რომლისგანაც ზეცად აზიდული მსოფლიო ცივილიზაციის ბაბილონის გოდოლი შენდებოდა და რომელთა გარეშეც სიბრძნის გამოუწვავი თიხა, ერთი თაობის მიერ ათვისებული, დაირღვეოდა და დაიბზარებოდა, ჩამოიშლებოდა და მტვრად იქცეოდა, რადგან თავის წონას ვერ გაუძლებდა. მათ გარეშე ყოველი მომდევნო თაობა დიადი კოშკის მშენებლობას თავი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დან დაიწყებდა, მთელი ცხოვრება იწვალებდა ძველი თი-
ხით შელესილი ქოხის ნანგრევებთან და ისე მოკვდებო-
და, რომ მომდევნო სართულს ვერ დააშენებდა.

ასოებმა, ანუ დამწერლობამ, ადამიანს შესაძლებლო-
ბა მისცა დაგროვილი ცოდნა თავის ვიწრო ქალადან გა-
რეთ გაეტანა და შთამომავლობისათვის ზუსტად შეენახა,
რათა მათ აღმოჩენილის ხელახლა აღმოჩენა არ დასჭირ-
ვებოდათ და შენება წინაპართაგან დატოვებული მყარი
ფუნდამენტიდან გაეგრძელებინათ.

მაგრამ მარტო ასოები ხომ არა?

მგლებს რომ წერა შეძლებოდათ, მათი ცივილიზაცია
დაემსგავსებოდა ადამიანისას? და საერთოდ, ექნებოდათ
კი ცივილიზაცია?

მაძღარი მგელი განცხრომაშია, ალერსიანია და თამა-
შობს, სანამ შიმშილი მორიგი მოქმედებისკენ არ უბიძგებს.
დანაყრებულ ადამიანში სხვაგვარი სევდა იღვიძებს, შეუმ-
ჩნეველი, ალუწერელი – ის რაც აიძულებს მას, საათობით
უყუროს ვარსკვლავებს, ყანგმიწით კაწროს გამოქვაბუ-
ლის კედლები, საბრძოლო გემის თეთრი კიჩო მოაჩუქურ-
თმოს, საუკუნეების განმავლობაში აშენოს ქვის კოლოსი,
იმის ნაცვლად, რომ ციხე-სიმაგრის კედლები გაამყაროს;
ადამიანი მთელ თავის ცხოვრებას მჭევრმეტყველების
განვითარებას უძღვნის, იმის ნაცვლად, რომ ხმლის ფლო-
ბის ხელოვნებაში დაოსტატდეს. სწორედ ეს სევდა აიძულ-
ებს ყოფილი მემანქანის თანაშემწესაც, დარჩენილი ცხოვ-
რება წიგნების კითხვასა და ძიებას მიუძღვნას, ძიებას და
მცდელობას, დაწეროს რამე... რაიმე ისეთი...

სევდის დაძლევას ბინძური და ღარიბი ხალხი მოხეტი-
ალე მევიოლინეს მოსმენით, მეფეები ტრუბადურებისა და
ფერმწერების მფარველობით, ხოლო მინის ქვეშ დაბადე-
ბული გოგონა ჩაის პაკეტის საათობით თვალიერებით ცდი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლობს. გაურკვეველი, მაგრამ ძლიერი ძახილი, რომელიც შიმშილის გრძნობასაც კი ახშობს, მხოლოდ ადამიანს აქვს.

ეს ძახილი ხომ არ ასწავლის ადამიანს ოცნებას, აძლევს იმედს და დანდობის გამბედაობას? თუმცა, სიყვარული და თანაგრძნობა, რომელიც ადამიანს ხშირად მხოლოდ თავის თვისებად მიაჩნია, ხომ ძაღლსაც შეუძლია; ძაღლს შეუძლია მონატრება და თავისი ცხოვრების აზრის სხვაში დანახვა: ძაღლი, რომელსაც პატრონი უკვდება, ზოგჯერ მზად არის თავადაც მოკვდეს, ოღონდ კი მასთან დარჩეს... მაგრამ ძაღლს ოცნება არ შეუძლია.

გამოდის, მშვენიერების სევდა და მისი დაფასება აქცევს ადამიანს ადამიანად? ფერთა შეხამებით, მუსიკის ჰანგებით, ტეხილი ხაზებით და დახვეწილი სიტყვათა წყობით ტკბობის საოცარი უნარი? მათგან სულის ტკბილ-მწარე ძახილის გამოძახილი? ნებისმიერ სულს რომ გააღვიძებს – გასუქებულსაც, დაკოჟრილსაც, ნაწიბურმოდებულსაც და დაეხმარება მათ წანაზარდების მოშორებაში?

შესაძლებელია, მაგრამ მაინც არა მხოლოდ ეს.

ავტომატის ჯერისა და შებოჭილი შიშველი ხალხის საბოწარკვეთილი ყვირილის გადასაფარად, ადამიანები იძულებულნი იყვნენ, ვაგნერის დიდებული სიმფონია ბოლო ხმაზე აეჟღერებინათ. წინააღმდეგობა არ ჩანდა, მხოლოდ ერთი მეორეს უსვამდა ხაზს.

მაშ, კიდევ რა?

და ამ დღევანდელ ჯოჯოხეთში რომ გადარჩეს ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება, შეძლებს კი, შეინარჩუნოს თავისი არსის სუსტი, თითქმის შეუგრძნობელი, მაგრამ უდავოდ რეალური ნაწილი; ნაპერწკალი, რომელმაც ათი ათასი წლის წინ ნახევრად მშიერი მხეცი აქცია არსებად, რომელსაც ფიზიკურ შიმშილზე მეტად სულიერი შიმშილი სტანჯავს? – მშფოთვარე არსებად, რომელიც მუდ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მივად იბრძვის სულიერ სიდიადესა და სიმდაბლეს შორის, მტაცებლებისათვის უცხო, აუხსნელ კეთილშობილებასა და გაუმართლებელ სისასტიკეს შორის, რომლის მსგავსიც მწერების სასტიკ სამყაროშიც კი არ არსებობს; არსებად, რომელიც დიდებული სასახლეების შენებასა და საოცარი ტილოების შექმნაში, ერთი მხრივ, შემოქმედს ეჯიბრება, მეორე მხრივ კი, გაზის კამერებს და წყალბადის ბომბს ქმნის, რომ თავისივე შექმნილი მოსპოს და თავისივე მსგავსი გაანადგუროს; არსებად, რომელიც პლაჟზე დიდი მონდომებით ქვიშის კოშკებს აგებს და მერე ასეთივე გატაცებით ანგრევს მათ; არსებად, რომელმაც არაფერში იცის ზღვარი, არ იცის, როგორ დაიკმაყოფილოს უცნაური შიმშილი, მაგრამ მთელ თავის ცხოვრებას ამის მცდელობაში ატარებს – ადამიანად!

დარჩება კი ეს მასში? დარჩება კი ეს მისგან?

თუ ისტორიის დიაგრამაზე სუსტ ფეთქვად დარჩება თავის წარსულში და უცნაური, ერთპროცენტიანი გადახვევის შემდეგ, უკან დააბრუნებს თავის დასაბამ უმეცრებაში, მძიმე ხანაში, სადაც ურიცხვი თაობები ერთმანეთს ცვლიდნენ მიწისთვის თვალმოუშორებლად და სადაც ათი, ასი, ხუთასი ათასი წელი ერთნაირად შეუმჩნევლად გადის?..“

* * *

– ეს სიმართლეა?

– კონკრეტულად რა? – გაუღიმა ლეონიდმა.

– ზურმუხტქალაქის შესახებ? კიდობანზე? რომ ასეთი ადგილი არსებობს მეტროში? – ჰკითხა ჩაფიქრებულმა საშამ, რომელიც თავის ფეხებს დაჰყურებდა.

– ჭორები დადის, – ორჭოფულად უპასუხა ლეონიდმა.

– კარგი იქნებოდა, ერთხელ მაინც მოვხვედრილიყავი იქ, – ამოიოხრა გოგონამ, – როდესაც იქ, ზემოთ ვსეირნობდი, გული დამწყდა იმის გამო, რომ ადამიანები ერთი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შეცდომის გამო ველარასოდეს დააბრუნებენ იმას, რაც იყო. არადა, რა კარგი იყო ალბათ.

– შეცდომის? ეს შეცდომა კი არა, უმძიმესი დანაშაულია, – სერიოზულად უპასუხა მუსიკოსმა, – მთელი მსოფლიო დაანგრიო, ექვსი მილიარდი ადამიანი მოკლა... შეცდომა?!

– და მაინც, მე და შენ ხომ ვიმსახურებთ პატიებას? ყველა იმსახურებს. ყველას უნდა მიეცეს შანსი, რომ შეიცვალოს და ყველაფერი შეცვალოს; თავიდან სცადოს, კიდევ ერთხელ, თუნდაც უკანასკნელად, – საშა გაჩუმდა, – ძალიან მინდა ვნახო, როგორი იყო იქ სინამდვილეში... ადრე არ მაინტერესებდა. მეშინოდა და ყველაფერი მახინჯი მეჩვენებოდა. თურმე არასწორ ადგილას ავდიოდი. რა სულელური... ის ქალაქი, ზემოთ... ისეთია, როგორც ჩემი ცხოვრება ადრე. მას მომავალი არა აქვს. მხოლოდ მოგონებები... თანაც, სხვისი... მხოლოდ მოჩვენებები. სანამ იქ ვიყავი, რალაც ძალიან მნიშვნელოვანს მივხვდი... – საშას სიტყვა გაუწყდა, – მივხვდი, რომ იმედი სისხლივითაა. სანამ შენს ძარღვებში მიედინება, ცოცხალი ხარ. მინდა, იმედი მქონდეს.

– რა გინდა ზურმუხტქალაქში? – ჰკითხა მუსიკოსმა.

– მინდა, ვნახო, ვიგრძნო, როგორი იყო ცხოვრება... შენ თვითონ არ თქვი?.. იქ ადამიანები მართლაც სხვანაირები უნდა იყვნენ. ადამიანები, რომლებსაც არ დაჰვიწყებიათ გუშინდელი დღე და აუცილებლად გაუთენდებათ ხვალინდელი, ნამდვილად სხვანაირები უნდა იყვნენ...

ისინი აუჩქარებლად მიდიოდნენ „დობრინინსკაიას" დარბაზში დაცვის თანხლებით. ჰომეროსს მარტო დაეტოვებინა ისინი და სადგურის უფროსთან შეხვედრაზე წასულიყო. რატომღაც აგვიანდებოდა.

„დობრინინსკაიას" მარმარილოს შტრიხებში საშა მინიშნებებს ხედავდა: ლიანდაგებისკენ მიმავალ მოპირკეთებულ დიდ თაღებს ჰატარა, დეკორატიული, ყრუ თაღები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცვლიდა. დიდი, პატარა, ისევ დიდი და მერე ისევ პატარა... თითქოს ხელიხელჩაკიდებული კაცი და ქალი, კაცი და ქალი... გოგონას მოუნდა, თავადაც ჩაეკიდა ხელი მამაკაცის ძლიერი და ფართო ხელისთვის. თუნდაც ცოტა ხნით შეეფარებინა თავი.

– აქაც შეიძლება ახალი ცხოვრების დაწყება, – ლეონიდმა თვალი ჩაუკრა, – სადღაც წასვლა და რაღაცის ძებნა რა საჭიროა?! ზოგჯერ გარშემო მიმოხედვაც საკმარისია.

– და რას ვხედავ მე?

– მე მხედავ, – ლეონიდმა მოჩვენებითი მორიდებულობით დახარა თავი.

– შენ უკვე დაგინახე და მოგისმინე, – ბოლოს და ბოლოს, გაილიმა საშამ, – როგორც ყველას, მეც ძალიან მომწონს შენი მუსიკა. ტყვიები საერთოდ არ გჭირდებოდა? იმდენი გადაიხადე, რომ აქ შემოვეშვით.

– მხოლოდ საჭმლისთვის სამყოფი მჭირდება და ყოველთვის მყოფნის კიდეც. სისულელეა ფულისთვის დაკვრა.

– აბა, რისთვის უკრავ?

– მუსიკისთვის, – გაიცინა მან, – ხალხისთვის. უფრო სწორად, იმისთვის, რასაც მუსიკა უშვრება ადამიანებს.

– და რას უშვრება?

– ყველაფერს, რაც გინდა, – ლეონიდი ისევ დასერიოზულდა, – ისეთი მელოდიაც მაქვს, რომელიც შეგაყვარებს და ისეთიც, რომელიც აგატირებს.

– ის, რომელსაც მაშინ უკრავდი, – საშამ ეჭვით შეხედა ბიჭს, – ის, უსახელო, ის რას გაიძულებს?

– ეს? – ლეონიდმა შესავალი დაუსტვინა, – ეს არაფერს, უბრალოდ, ტკივილს ხსნის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

– ეი, შენ!

ჰომეროსმა რვეული დახურა და ხის მოუხერხებელ სკამზე შეიშმუშნა. მორიგე პატარა მაგიდასთან იჯდა. მთელი მაგიდა კი სამ შავ, ულილაკებო და უციფერბლატო ტელეფონს ეკავა. ერთ-ერთზე წითელი ღილაკი ციმციმებდა.

– ანდრეი ანდრეევიჩი გათავისუფლდა. შენთვის ორი წუთი აქვს. როგორც კი შეხვალ, საქმეზე გადადი, ბოდიალს ნუ დაიწყებ! – მკაცრად დაარიგა მორიგემ ჰომეროსი.

– ორი წუთი რას მეყოფა! – ამოიოხრა მოხუცმა.

– მე გაგაფრთხილე და... – მხრები აიჩეჩა მორიგემ.

ხუთი წუთიც კი არ ეყო: მოხუცმა არ იცოდა, რით დაეწყო, რით დაესრულებინა, რა ეკითხა, რა ეთხოვა. არადა, „დობრინინსკაიას“ უფროსის გარდა თხოვნით ვერავის მიმართავდა.

თუმცა, ანდრეი ანდრეევიჩს, მსუქან, სამხედროკიტელიან, ჯანიანსა და გაოფლილ კაცს, დიდი დრო არ დაუთმია მისთვის.

– შენ რა, არ გესმის? მე აქ ფორსმაჟორული სიტუაცია მაქვს – რვა ადამიანი მომიკლეს, შენ კი რაღაც ეპიდემიაზე მებოდიალები. აქ არაფერია! ან შენ თვითონ მოშორდი აქედან, ან... – ზვიგენივით ასხმარტალებული სადგურის უფროსი სკამიდან ისე სწრაფად წამოხტა, ლამის მაგიდა გადააყირავა.

ხმაურზე ოთახში გაოცებულმა მორიგემ შემოყო თავი. ჰომეროსიც დაბნეული წამოდგა დაბალი სკამიდან.

– მე თვითონ. მაგრამ რატომ შეიყვანეთ მაშინ ჯარები „სერპუხოვსკაიაზე“?

– რა შენი საქმეა?!

– სადგურზე ლაპარაკობენ, რომ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– რას ლაპარაკობენ? რას ლაპარაკობენ?! იცი, რას გეტყვი? პანიკას ნუ თესავ, გასაგებია?... პაშ, დაამწყვდიე გალიაში!

ჰომეროსი თვალის დახამხამებაში გააგდეს მისაღებში და მცველმა გვერდითა დერეფანში ცემა-ტყეპით გაათრია.

სახეში ერთ-ერთი გალაწუნების დროს რესპირატორი მოსძვრა. მოხუცმა სუნთქვის შეკავება სცადა, მაგრამ ამ დროს კუჭის თავში ჩაარტყეს და მანაც ხველებისგან თავი ველარ შეიკავა. ამ დროს ზვიგენი გამოდგა კაბინეტის ზღურბლზე და მცველს გასძახა:.

– ჯერ იჯდეს, მოგვიანებით გავარკვევთ... შენ ვინღა ხარ? ჩაწერილი ხარ? – მიაძახა მომდევნოს.

ჰომეროსმა მისკენ შებრუნება მოასწრო.

სამიოდე ნაბიჯის მოშორებით გულხელდაკრეფილი ჰანტერი იდგა. მჭიდრო ფორმა ეცვა, აწეული მუზარადი კი სახეს უჩრდილავდა. თითქოს ვერ იცნო მოხუცი, ჩარევა არც უფიქრია. ჰომეროსის გასაკვირად, ჰანტერის ტანსაცმელზე ერთადერთი წითელი ლაქა მისივე ჭრილობიდან გამონაჟონი სისხლი იყო. ჰანტერმა სადგურის უფროსზე გადაიტანა ცივი მზერა და ისე დაიძრა მისკენ, თითქოს მის კაბინეტში შესვლას პირდაპირ მისი სხეულის გავლით აპირებდა.

დაბნეულმა სადგურის უფროსმა უკან დაიხია და შესასვლელი ბურტყუნით გაუთავისუფლა. მცველი, რომელსაც ჰომეროსი ლამის იღლიაში ამოეჩარა, მორიგი ბრძანების მოლოდინში გაშეშდა. ჰანტერი მსუქანს კაბინეტში შეჰყვა. სადგურის უფროსის დიდგულობა სადღაც გამქრალიყო. ბრიგადირი მბრძანებლურ ჩურჩულზე გადავიდა.

მორიგემ ჰომეროსს თავი ანება და კართან მივიდა, ზღურბლს გადააბიჯა. წამის შემდეგ ოთახიდან გინების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კორიანტელი გამოვარდა, რასაც სადგურის უფროსის ლრიალი მოჰყვა:

– ...და ეგ პროვოკატორი გაათავისუფლე!

დამდულრულივით აჭარხლებულმა მორიგემ კარი გამოიხურა, თავის ადგილთან მილასლასდა და საჩუქრის შესაფუთ ქაღალდზე დაბეჭდილ საინფორმაციო ბროშურაში ჩარგო თავი. როცა ჰომეროსი მტკიცედ დაიძრა უფროსის კაბინეტისკენ, მორიგე კიდევ უფრო მოიკუნტა. მიმდინარე მოვლენები ამიერიდან მას აღარ ეხებოდა.

ჰომერსომა გამარჯვებული სახით გადახედა სახეზე გაზეთაფარებულ მცველს და მისი ტელეფონებიც შეათვალიერა. მოციმციმე ტელეფონზე ჭუჭყიანი თეთრი პლასტირი დაეკრათ. ვილაცას ბურთულიანი ლურჯი კალმით გაურკვევლად დაეწერა ერთადერთი სიტყვა „ტულსკაია".

– ჩვენ ორდენთან გვაქვს კავშირი, – „დობრინინსკაიას" გაოფლილი უფროსი თითებს ატკაცუნებდა და ბრიგადირისთვის თვალის გასწორებას ვერ ბედავდა, – ამ ოპერაციის შესახებ კი არავის გავუფრთხილებივართ. მე ასეთი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება არ შემიძლია.

– მაშინ „ცენტრალნაიაზე" დარეკეთ. შესათანხმებლად ცოტა დრო გაქვთ.

– ისინი არ დამთანხმდებიან... ეს ჰანზას სტაბილურობას საფრთხის ქვეშ დააყენებს... არ იცით, რომ ჰანზასთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანია? ჩვენ ყველაფერს ვაკონტროლებთ.

– რა ჯანდაბად გინდათ სტაბილურობა?! თუკი ზომებს არ მივიღებთ...

– სიტუაცია სტაბილურია. არ მესმის, რა არ მოგწონთ, – ანდრეი ანდრეევიჩმა ჯიუტად გააქნია მძიმე თავი, – ყველა გასასვლელი კონტროლდება. თაგვიც კი ვერ გამოძვრება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოდით, დაველოდოთ, სანამ ყველაფერი თავისით არ მოგვარდება.

– თავისით არაფერი მოგვარდება! – დაიღრიალა ჰანტერმა, – ვილაც მოახერხებს გამოქცევას, ზემოთ ავა და შემოუვლის, ან სხვა შემოვლით გზას იპოვის. სადგური უნდა გაიწმინდოს! ყველა ინსტრუქციის მიხედვით! არ მესმის, თქვენ თვითონ რატომ არ იზრუნეთ აქამდე?!

– იქ შეიძლება ჯანმრთელი ადამიანებიც იყვნენ. როგორ წარმოგიდგენიათ, ჩემს ბიჭებს ვუბრძანო მთელი „ტულსკაია" გადაწვან? სექტანტების მატარებელიც? იქნებ „სერპუხოვსკაიაც" ზედ მივაყოლოთ? ნახევარზე მეტს იქ ბოზები და უკანონოდ გაჩენილი შვილები ჰყავს... არა, იცით რა? ჩვენ ფაშისტები არ ვართ. ომი ომია, მაგრამ ავადმყოფების დახოცვა... როდესაც „ბელორუსკაიაზე" „თურქული" იყო, მაშინ ლორებიც კი ცალ-ცალკე გაჰყავდათ, რომ ავადმყოფი მომკვდარიყო და ჯანმრთელი გადარჩენილიყო... ისინიც კი არ ამოუწყვეტიათ ერთიანად.

– ლორები ჰო, მაგრამ ადამიანები... – ცივად ჩაილაპარაკა ჰანტერმა.

– არა, არა, – თავი ისევ გაიქნია უფროსმა და ოფლის წვეთები მიმოფანტა, – არ შემიძლია! ეს არაადამიანობაა... მერე ჩემ სინდისზე უნდა იყოს. მე კი... არ მჭირდება ღამეული კოშმარები!

– თქვენ პირადად კი არ მოგიწევთ ამის გაკეთება. ამ საქმისთვის არიან ადამიანები, რომლებიც სიზმრებს არ ხედავენ. თქვენ მხოლოდ თქვენს სადგურზე გაგვატარეთ და მორჩა.

– პოლისში შიკრიკები გავაგზავნე, ვაქცინის შესახებ რომ გაიგონ, – ანდრეი ანდრეევიჩმა ოფლი სახელოთი მოიწმინდა, – არის იმედი, რომ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– არანაირი ვაქცინა არ არსებობს! და არც იმედია. საკმარისია სირაქლემობა. რატომ ვერ ვხედავ აქ „ცენტრალნაიას“ სანიტარულ დანაყოფს?! რატომ ამბობთ მათთან დარეკვაზე და ორდენის ლეგიონის გატარებაზე უარს?..

სადგურის უფროსი ჯიუტად დუმდა და კოტიტა თითებით კიტელზე ღილის შეკვრას ამაოდ ცდილობდა. მერე გაქუცულ ბუფეტთან მივიდა, ჭიქაში სურნელოვანი ნაყენი დაისხა და ერთ ყლუპად გადაკრა.

– ...იმიტომ, რომ თქვენ არ გიცნობებიათ... – დაასრულა ჰანტერმა, – მათ არაფერი იციან. თქვენს მეზობელ სადგურზე ეპიდემიაა და მათ კი არ შეატყობინეთ.

– მეზობელ სადგურზე ეპიდემია ჩემს გადადგომას ნიშნავს, – ზვიგენს ხმა ჩაუწყდა, – დავუშვი... ვერ აღვკვეთე... ჰანზას სტაბილურობას საფრთხე შევუქმენი.

– მეზობელ სადგურზე? „სერპუხოვსკაიაზე“?

– იქ ჯერჯერობით სიმშვიდეა, მაგრამ მე გვიან მივხვდი... დროულად ვერ მოვახდინე რეაგირება. საიდან უნდა მცოდნოდა...

– და ჯარები დამოუკიდებელ სადგურზე? გვირაბების გადაკეტვა როგორ აუხსენით ყველას?

– ბანდიტები... ამბოხებულები. ასეთი რამ ყველგან შეიძლება მოხდეს, არაფერი განსაკუთრებული არაა ამაში.

– და ახლა აღიარება დაგვიანებულია... – თავი დაიქნია ბრიგადირმა.

– ახლა ჩემი გადადგომა აღარ იკმარებს, – ანდრეი ანდრეევიჩმა დაისხა და მაშინვე გადაჰკრა მეორე ჭიქა, – ამაზე უკვე უმაღლესი სასჯელია.

– და ახლა რას აპირებთ?

– ველოდები, – უფროსი თავის მაგიდაზე ჩამოჯდა, – ველოდები. იქნებ?..

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მათ ზარებს რატომ არ პასუხობთ?! – საუბარში ჩაერია პომეროსი, – ტელეფონი ლამის აფეთქდეს, „ტულსკაიადან" გირეკავენ. იქნებ?...

– არ აფეთქდება, – ჩამქრალი ხმით უპასუხა უფროსმა, – ზარი გამოვურთე. მხოლოდ ნათურა ციმციმებს და რაკი ციმციმებს, ესე იგი, ჯერ ისევ ცოცხლები არიან.

– რატომ არ პასუხობთ?! – კითხვა გაუმეორა გაბორტებულმა მოხუცმა.

– რა ვუთხრა? ვუთხრა, რომ მოითმინონ? რომ მალე გამოჯანმრთელდნენ? რომ დახმარება მალე მოვა?! რომ შუბლში ტყვია დაიხალონ?! დევნილებთან საუბარიც მეყო! – გაცეცხლდა სადგურის უფროსი.

– მოკეტე! – ჩუმად უბრძანა მას ჰანტერმა, – და მომისმინე. ოცდათხი საათის შემდეგ დანაყოფთან ერთად დავბრუნდები. ყველა პოსტზე დაუბრკოლებლად უნდა გამატარონ. „სერპუხოვსკაიას" არ გახსნი. ჩვენ „ტულსკაიაზე" შევალთ და გავწმენდთ მას. თუ საჭირო გახდება, „სერპუხოვსკაიასაც" გავწმენდთ. პატარა ომს გავითამაშებთ. შენ არაფრის გაკეთება არ მოგიწევს. მე თვითონ... აღვადგენ სტაბილურობას.

დაუძლურებულმა, ველოსიპედის დახვრეტილი კამერასავით დაფუშულმა უფროსმა, უსიცოცხლოდ დაუქნია თავი. კიდევ დაისხა ნაყენი, დაყნოსა და სანამ გადაკრავდა, ხმადაბლა ჰკითხა:

– ხელები რომ იდაყვებამდე სისხლში გექნება, არ გეშინია?

– სისხლს ცივი წყალი ადვილად აშორებს, – უთხრა მას ჰანტერმა.

როდესაც „სტუმრები"კაბინეტიდან გავიდნენ, ანდრეი ანდრეევიჩმა ღრმად ჩაისუნთქა და ომახიანად იხმო მორიგე. ისიც სწრაფად შევიდა ოთახში და კარი ხმაურით მი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იხურა ზურგს უკან. მოხუცი ჩამორჩა ჰანტერს, მაგიდისკენ დაიხარა, ძველი აპარატის შავი ყურმილი მოგლიჯა და ყურზე მიიდო.

– ალო, ალო! გისმენთ! – ხმამაღლა ჩასძახა ყურმილში.

სიჩუმე იყო, მაგრამ არა ისეთი, როგორც დაზიანების დროს. თითქოს მეორე მხარეს ყურმილი გადაედოთ, მაგრამ არავინ იყო, რომ ეპასუხა; თითქოს მეორე ყურმილი, რომელშიც მოხუცის ხმა ისმოდა, მკვდარს ჰქონდა ყურთან მიდებული.

ჰანტერმა ავად გამოხედა კარის ზღურბლიდან, მოხუცმაც ყურმილი თავის ადგილზე დააბრუნა და მორჩილად მიჰყვა უკან.

* * *

– პოპოვ! პოპოვ! სასწრაფოდ ადექი!

მეთაურის მძლავრი ფანრის შუქმა ქუთუთოები დაუხვრიტა, გუგებში გაატანა და ტვინს ნათელი მოჰფინა. ძლიერმა ხელმა შეანჯღრია, შემდეგ კი გაუპარსავ სახეში სილა გააწნა არტიომს. არტიომმა თვალები ძლივს გაახილა, ლოყის სრესით საწოლიდან იატაკზე გადმოვარდა, სასწრაფოდ გაიჭიმა და სამხედრო სალამი მისცა უფროსს.

– სად გაქვს იარაღი? აიღე და სასწრაფოდ უკან გამომყევი!

ცხადია, ფორმით თვლემდა. არტიომმა ძველმანებში გახვეული „კალაშნიკოვი" აიღო, რომელიც ღამე ბალიშის მაგივრობას უწევდა და ჯერ კიდევ გამოუფხიზლებელი გაჰყვა მეთაურს. რამდენ ხანს მოახერხა ძილი? ერთ საათს? ორ საათს? თავი უგუგუნებდა, ყელი უშრებოდა.

– იწყება... – სახეში ალკოჰოლის ოხშივარი შეანთხია მეთაურმა.

– რა იწყება? – შეშინდა არტიომი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ნახავ... აჰა, კიდევ ერთი მჭიდი, დაგჭირდება.

ფართო, უსვეტებო „ტულსკაია", რომელიც ერთ-ერთი საოცრად მსხვილი გვირაბის ზედა ნაწილს ჰგავდა, თითქმის მთლიანად წყვდიადში იყო ჩაფლული. რამდენიმე ადგილას სინათლის სუსტი შუქი მოძრაობდა აბსოლუტურად უსისტემოდ, თითქოს ფანარი პატარა ბავშვებს ან მაიმუნებს ჩაეგდოთ ხელში. მაგრამ საიდან უნდა გაჩენილიყვნენ აქ მაიმუნები?

არტიომი უცებ გამოფხიზლდა, ფრთხილად შეამოწმა ავტომატი და მიხვდა, რაც მოხდა. ვერ შეაკავეს! ან იქნებ ჯერაც არ არის გვიან?

სამორიგეოდან გამოცვენილებს კიდევ ორი, ძილისაგან სახედასივებული მებრძოლი შეუერთდა – გზადაგზა მეთაურს უერთდებოდა ყველა, ვისაც კი ფეხზე დგომა და იარაღის დაჭერა შეეძლო. მათაც კი, ვინც უკვე ახველებდა.

მძიმე, დახუთულ ჰაერში უცნაური, ავისმომასწავებელი ხმები ისმოდა. არც ყვირილი, არც ტირილი, არც ბრძანება... ასობით ადამიანის წყვეტილი, სასოწარკვეთილებით სავსე, შეშინებული, რკინის წკრიალსა და ჭრიალში არეული კვნესა ერთდროულად ორი, სამი, ათი ადგილიდან მოდიოდა.

პლატფორმა ჩამოხეული და ჩამოძონძილი კარვებით, მეტალის ფირფიტებისგან შეკრული საცხოვრებელი ჯიხურებით, ვაგონების გადასაკრავებით, ფანერის დახლებითა და ვილაცის მიტოვებული ბარგი-ბარხანით იყო ჩახერგილი. მეთაური ისე მიაპობდა ნაგვის გორებს, როგორც ყინულმჭრელი – ტორისებს, და წინ მიიწევდა, უკან კი არტიომი და კიდევ ორნი მიჰყვებოდნენ.

წყვდიადიდან მარჯვენა ლიანდაგზე მდგარი დანანევრებული მატარებელი გამოჩნდა: შუქი ორივე ვაგონში ჩამქრალიყო, გაღებული კარები ჯებირების ნატეხებით იყო გადაღობილი, შიგნით კი... მუქი მინების უკან ღელავდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დულდა ადამიანთა საშინელი მასა. ჯებირებს მავთულებს მოჭიდებული ხელები არყევდა და აჯანჯღარებდა. ყოველ შესასვლელთან შეიარაღებული, აირწინაღიანი მცველები იდგნენ, დროდადრო მიდიოდნენ შავად პირდაღებულ კართან და იარაღს უშვერდნენ, მაგრამ ვერც დარტყმას და ვერც სროლას ვერავინ ბედავდა. მეორე მხარეს კი პირიქით, მცველები ცდილობდნენ, აღელვებული ხალხი დაეხოცათ, გაეჩუმებინათ რკინის ყუთებში შეყრილი ადამიანები.

მაგრამ ხვდებოდნენ კი კიდევ რამეს ვაგონში შეყრილი ადამიანები?

ვაგონებში იმიტომ ამწყვდევდნენ, რომ გვირაბის გასასვლელებიდან გაქცევას ლამობდნენ; ავადმყოფები კი უკვე ჯანმრთელებზე მეტნი იყვნენ.

მეთაურმა გვერდით ჩაუარა ერთს, მეორე ვაგონს და არტიომი მიხვდა, თუ საით მიიჩქაროდნენ ისინი. ბოლო კარები გამოენგრიათ და ვაგონიდან გარეთ უცნაური ადამიანები გამოსულიყვნენ – ფეხზე ძლივს იდგნენ, სახე ისეთი დამახინჯებული ჰქონდათ, რომ ვერ იცნობდი, ავისმომასწავებლად დასივებოდათ ხელ-ფეხი. გაქცევა ჯერ ვერავის მოესწრო: კარისკენ მიდიოდა ყველა თავისუფალი ავტომატიანი.

– გიბრძანებთ ყველა პაციენტს, დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ თქვენს ადგილებს! – მეთაური ალყიდან გავიდა და ოფიცრის წელზე შემოსარტყმელი იარაღის ჩასადებიდან „სტეჩკინი“ ამოიღო.

უახლოესმა ავადმყოფმა ძლივს ასწია ფუთიანი თავი და დახეთქილი ტუჩები მოილოკა.

– ასე რატომ გვექცევით?

– თქვენ იცით, რომ უცნობი ვირუსით ხართ დაავადებული. ჩვენ წამალს ვეძებთ... უნდა დაიცადოთ.

– წამალს ეძებთ... – გაიმეორა ავადმყოფმა, – სასაცილოა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– დაუყოვნებლივ დაბრუნდით ვაგონში, – მეთაურმა დამცველი გააატკაცუნა, – ათამდე ვითვლი, შებდეგ კი ცეცხლს გავხსნი. ერთი!

– თქვენ უბრალოდ არ გინდათ, იმედი ნაგვართვათ, რომ რამენაირად ჩვენი მართვა შეძლოთ. სანამ ჩვენით არ დაკვეხოცებით...

– ორი!

– მთელი დღე-ღამე წყალი არ მოუტანიათ ჩვენთვის. რაში სჭირდებათ მომაკვდავებს წყალი?!

– დარაჯებს ჯებირებთან მისვლის ეშინიათ, ასე დაავადდნენ ორნი. სამი!

– ვაგონი გვამებითაა სავსე. ადამიანებზე დავდივართ. იცი, როგორ ტკაცუნობს ცხვირი? თუ ბავშვისაა, მაშინ...

– ცხედრებს ვერსად წავიღებთ! მათი დაწვა არ შეგვიძლია. ოთხი!

– გვერდითა ვაგონში ისეთი სივიწროვეა, რომ მკვდრები ცოცხლების გვერდით ისევ ფეხზე დგანან, მხარიმხარს მიდებულები.

– ხუთი!

– ღმერთო ჩემო, მომკალით. ხომ ვიცი, წამალი არ არსებობს. ასე უფრო მალე მოვკვდები. აღარ ვიგრძნობ, რომ შიგნეულობას დიდი ნაჯახით მინაკუწებენ და ზედ სპირტს მასხამენ...

– ექვსი!

– და მწვავენ. თავში თითქოს მატლები მყავს, რომლებიც შიგნიდან მარტო ჩემს ტვინს კი არა, სულსაც ჭამენ... ჰამ, ჰამ, ხრამ, ხრამ...

– შვიდი!

– იდიოტო! გამოგვიშვი აქედან! საშუალება მოგვეცი, ადამიანურად დავიხოცოთ. რატომ გგონია, რომ უფლება გაქვს, ასე გვტანჯო? ხომ იცი, რომ ალბათ უკვე შენც...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– რვა! ეს ყველაფერი უსაფრთხოებისთვის ქეთდება. სხვების გადასარჩენად მზად ვარ, ჩავძაღლდე, მაგრამ თქვენგან, დატანჯულო ძუკნებო, ვერავინ გააღწევს. მოემზადე!

არტიომმა ავტომატი მოიმარჯვა და ერთ-ერთი ავადმყოფი მიზანში ამოიღო... ღმერთო, მგონი, ქალია... მიზანში ამოღებულს მაისურის ქვეშ ფუფხმოდებული დაბერილი მკერდი გამოუჩნდა. არტიომმა თვალები დაახამხამა და ლულა მოქანავე მოხუცზე გადაიტანა. მახინჯებმა უკან დაიხიეს და ისევ კარში შეტევა სცადეს, მაგრამ უკვე შეუძლებელი იყო, ვაგონიდან ჩირქის მასად ანვებოდა დაავადებულთა ახალი ტალღა, კვნესოდნენ და ტიროდნენ...

– სადისტო... რას აკეთებ? ცოცხალ ადამიანებს ესვრი? ზომბები კი არ ვართ!

– ცხრა!

– უბრალოდ გაგვათავისუფლე! – ავადმყოფმა დირიჟორივით გაიშვირა ხელი.

– ესროლე!

* * *

საკმარისი იყო, ინსტრუმენტს ბაგით შეხებოდა, რომ ხალხი თავისით მოიწევდა ლეონიდისკენ. ფლეიტიდან მომდინარე პირველივე, უსუფთაო, საცდელი ბგერებიც საკმარისი იყო, რომ შეკრებილებს კეთილად გაელიმათ, ტაში დაეკრათ. მელოდიის მოძლიერების მერე კი მსმენელებს სახეები ეცვლებოდათ. თითქოს მათ ჭუჭყი შორდებოდა.

საშას ამჯერად განსაკუთრებული ადგილი ეჭირა – მუსიკოსის გვერდით იდგა. ათეულობით აღფრთოვანებული მზერა ახლა მხოლოდ ლეონიდს კი არა, საშასაც მიემართებოდა. თავიდან გოგონა უხერხულობას გრძნობდა, მაგრამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მელოდიამ ყველაფერი დაავიწყა – გრანიტის იატაკიდან წამოაყენა და თან გაიყოლა, გარშემომყოფებს მოსწყვიტა, როგორც კარგი წიგნი ან ვინმეს მიერ მოყოლილი ისტორია მოგწყვეტს ხოლმე რეალობას.

ლეონიდი თავის ყოველ გამოსვლას უსახელო მელოდიით იწყებდა და ასრულებდა. ამ მელოდიას შეეძლო ნაოჭების გასწორება, შუშადქცეული თვალებიდან მტვრის გამოფერთხვა და მათში პანანინა ნათურების ანთება. მიუხედავად იმისა, რომ საშასთვის უკვე ნაცნობი იყო ეს მელოდია, ლეონიდი მასში სულ ახალ საიდუმლო გასასვლელებს ხსნიდა, ახალ ჰარმონიას პოულობდა და მუსიკაც ახალ ყღერადობას იძენდა...

უცებ რაღაცამ უჩხვლიტა და მინისქვეშ დროზე ადრე დაბრუნებული საშა შეშინებული შეტრიალდა. აი, ის. ხალხზე ერთი თავით მაღალი ჰანტერი მსმენელებისგან მოშორებით, თავაწეული იდგა. საშას დაჟინებით უყურებდა და თუ წამიერად მოაშორებდა თვალს, მხოლოდ იმიტომ, რომ მუსიკოსისთვის შეეხედა. ის კი თავგადაპარსულს ყურადღებას არ აქცევდა, ყოველ შემთხვევაში, არ იმჩნევდა, რომ დაკვრაში ვიღაც ხელს უშლიდა.

ჰანტერი არც მიდიოდა და არც გოგონას წაყვანას ცდილობდა. ბოლო აკორდამდე არ განძრეულა, შემდეგ კი გატრიალდა და გაქრა. საშამ მაშინვე მიატოვა მუსიკოსი და ხალხის მასაში გადაეშვა, რომ ჰანტერს არ ჩამორჩენოდა.

ჰანტერი შორიახლო იდგა, სკამთან, რომელზეც ძალაგამოცლილი ჰომეროსი იჯდა.

– შენ ყველაფერი მოისმინე, – კბილებში გამოსცრა ჰანტერმა, – მე მივდივარ. წამოხვალ ჩემთან ერთად?

– სად? – მოხუცმა სუსტად გაუღიმა მოახლოებულ გოგონას და ბრიგადირს მიუბრუნდა: – მან ყველაფერი იცის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰანტერმა კიდევ ერთხელ შეხედა საშას და თავი უსიტყვოდ დაუქნია. შემდეგ თავით ანიშნა მოხუცს

– აქვე, ახლოს. მაგრამ მე... მე არ მინდა მარტო დარჩენა.

– მე წამიყვანე, – გაბედა საშამ.

თავგადაპარსულმა მძიმედ ამოისუნთქა, მუშტი შეკრა და გაშალა.

– მადლობა დანისთვის, – თქვა ბოლოს, – ძალიან გამომადგა.

გულნატკენმა გოგონამ უკან დაიხია, მაგრამ მაშინვე მოიკრიბა ძალა და თამამად უთხრა:

– შენ წყვეტ, როგორ მოიხმარ დანას.

– სხვა გზა არ მქონდა.

– ახლა ხომ გაქვს, – დაბღვერილმა საშამ ქვედა ტუჩი მოიკვნიტა.

– არც ახლა. თუკი იცი, უნდა გესმოდეს კიდეც...

– რა უნდა მესმოდეს?!

– რამდენად მნიშვნელოვანია „ტულსკაიაზე" მოხვედრა. რამდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის. რაც შეიძლება მალე...

საშა ხედავდა, როგორ შეუმჩნევლად უკანკალებდა ჰანტერს ხელები, როგორ იზრდებოდა მის მხარზე მუქი ლაქა; საშას ეშინოდა ამ ადამიანის, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ეშინოდა მის გამო.

– უნდა გაჩერდე, – შეევედრა გოგონა.

– გამორიცხულია! – მოკლედ მოუჭრა ჰანტერმა, – თან, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ მიიყვანს საქმეს ბოლომდე. ვითომ მე რატომ არა?

– იმიტომ, რომ შენ დაილუპები, – გოგონა ფრთხილად შეეხო ხელზე და ჰანტერი გველნაკბენივით შეხტა.

– ვალდებული ვარ. აქ ისედაც ყველაფერს მშიშრები წყვეტენ. თუ არ ვიჩქარებ, მთელ მეტროს დავლუპავ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– სხვა გამოსავალი რომ იყოს?! წამალი რომ არსებობდეს?!

– რამდენჯერ უნდა გავიმეორო... წამალი არ არსებობს...

– შენ რას აირჩევდი?! – არ ეშვებოდა საშა.

– ასარჩევი არაფერია! – თავგადაპარსულმა მისი ხელი მოიშორა და მიაძახა: – მივდიეართ!

– რატომ არ გინდა ჩემი წაყვანა?! – წამოიყვირა საშამ.

– მეშინია! – დაიჩურჩულა, რომ საშას მეტს ვერავის გაეგო.

მერე შებრუნდა და ჯანდაბაში წავიდა, მოხუცს კი ბურტყუნით დაუბარა, მოსაფიქრებლად ათ წუთს გაძლევო.

– მეჩვენება თუ ვილაცას ამცივნებს? – გაისმა საშას ზურგს უკან.

– რა? – გოგონა შემობრუნდა და ლეონიდს შეეჩეხა.

– მომესმა, რომ ციებ-ცხელებაზე ლაპარაკობდით, – გულუბრყვილოდ გაიღიმა მან.

– მოგესმა, – უხეშად მიუგო საშამ.

– მე კი მეგონა, ჭორები მართლდებოდა, – ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა მუსიკოსმა.

– რა ჭორები? – შეუბღვირა გოგომ.

– „სერპუხოვსკაიაზე" კარანტინის შესახებ, ვითომ უკურნებელ ავადმყოფობაზე. ეპიდემიის შესახებ... – ბიჭი ყურადღებით აკვირდებოდა საშას ტუჩებისა თუ წარბების ყოველ მოძრაობას.

– დიდი ხანია, ყურს გვიგდებ? – საშა გაწითლდა.

– ამას განზრახ არასოდეს ვაკეთებ. უბრალოდ, მუსიკოსის სმენა მაქვს, – ხელები გაშალა ბიჭმა.

– ის ჩემი მეგობარია, – რატომღაც აუხსნა ლეონიდს და მიმავალ ჰანტერზე მიანიშნა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მშვენიერია, – ორაზროვნად მიუგო მან.

– რატომ თქვი ვითომ უკურნებელიო?

– საშა! – ჰომეროსი სკამიდან წამოდგა, თან მუსიკოსს ეჭვიან მზერას არ აშორებდა, – შეიძლება ერთი წუთით? უნდა ვილაპარაკოთ, მომავალში როგორ...

– ერთი წამით, თუ შეიძლება, – ლეონიდმა ზრდილობიანად გაულიმა მოხუცს, გვერდზე გადგა და გოგონას დაუძახა.

საშამ ყოყმანით გადადგა ნაბიჯი მისკენ. გოგონას არ ტოვებდა შეგრძნება, რომ თავგადაპარსულთან შერკინება ჯერ არ დასრულებულიყო. თუ ახლა მაგრად დადგება, ჰანტერს ალარ ეყოფა ძალა, მას კიდევ ერთხელ ჰკრას ხელი; მას ჯერ კიდევ შეუძლია ჰანტერის დახმარება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ წარმოდგენა არ აქვს, როგორ.

– იქნებ მე ამ ეპიდემიის შესახებ შენზე ადრე გავიგე? – ჩურჩულით ჰკითხა ლეონიდმა, – იქნებ ეს არ არის ასეთი ავადმყოფობის პირველი აფეთქება? იქნებ მას რალაც ჯადოსნური აბები შველის? – მუსიკოსმა მას თვალებში ჩახედა.

– მაგრამ ის ამბობს, რომ წამალი არ არსებობს, რომ საჭიროა ყველა... – ალუღლუღდა საშა.

– გაანადგუროს? – მის ნაცვლად დაასრულა ლეონიდმა, – მან... იმ შენმა საოცარმა მეგობარმა? არ გამიკვირდება. აბების არსებობა პატარა ბიჭის კი არა, დიპლომიანი ექიმის სიტყვებია.

– გინდა თქვა, რომ...

– ჰო, მინდა ვთქვა, რომ...– მუსიკოსმა საშას მხარზე ხელი დაადო, მისკენ დაიხარა და მსუბუქად უჩურჩულა ყურში: – დაავადება იკურნება. წამალი არსებობს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 15
ტრანი

გალიზიანებულმა მოხუცმა ჯერ ჩაახველა, შემდეგ კი გაბედულად გადადგა მათკენ ნაბიჯი.

– საშა, უნდა დაგელაპარაკო!

ლეონიდმა გოგონას თვალი ჩაუკრა, მორჩილად დაუთმო საშა ჰომეროსს და გვერდზე გადგა. მაგრამ საშას ალარაფერზე შეეძლო ფიქრი. სანამ მოხუცი რაღაცას უხსნიდა, სანამ უმტკიცებდა, რომ ჰანტერის დარწმუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა, რაღაცას სთავაზობდა და რაღაცას სთხოვდა, გოგონა მის მხარს ზემოდან მუსიკოსს უყურებდა. მუსიკოსი მზერითვე არ პასუხობდა, მაგრამ მისი ღიმილით საშა ხვდებოდა, რომ მას ყველაფერი ესმოდა და ყველაფერს ხედავდა. საშა ჰომეროსს თავს უქნევდა, ყველაფერზე თანხმდებოდა, ოღონდ კი მუსიკოსთან კიდევ ერთ წუთს დარჩენილიყო მარტო და მისი ბოლომდე მოსმენა შესძლებოდა; ოღონდ წამლის არსებობის ერწმუნა.

– ახლავე დავბრუნდები, – ველარ მოითმინა და სიტყვა გააწყვეტინა მოხუცს, ხელიდან გაუსხლტა და მუსიკოსთან მიირბინა.

– კიდევ გაინტერესებს რამე? – შეეგება მუსიკოსი.

– უნდა მითხრა, როგორ! – საშას ალარ უნდოდა ბიჭთან თამაში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ეგ რთულია. ვიცი, რომ ავადმყოფობა იკურნება. ვიცნობ ადამიანებს, რომლებმაც დაძლიეს ეგ სენი. შემიძლია, მათთან წაგიყვანო.

– მაგრამ შენ ხომ თქვი, რომ იცი მასთან ბრძოლის...

– შენ არასწორად გამიგე, – მხრები აიჩეჩა ლეონიდმა, – საიდან უნდა ვიცოდე?! მე ერთი მოხეტიალე მუსიკოსი ვარ და მხოლოდ ფლეიტაზე დაკვრა შემიძლია.

– ვინ არიან ის ადამიანები?

– თუ გაინტერესებს, გაგაცნობ მათ. ოლონდ, ცოტა გასეირნება მოგვიწევს.

– რომელ სადგურზე არიან?

– აქედან არც ისე შორს. თუ გინდა, შენ თვითონ გაიგებ ყველაფერს.

– არ მჯერა შენი.

– მაგრამ გინდა, რომ გჯეროდეს. ჯერ არც მე მჯერა შენი და ამიტომ ყველაფრის მოყოლა არ შემიძლია.

– რაში გჭირდება ჩემი გამოყოლა? – თვალები მოჭუტა საშამ.

– მე – არაფერში, – თავი გადაიქნია ბიჭმა, – ჩემთვის სულერთია, ეს შენ გჭირდება. მე არც ვალდებული ვარ, ვინმე გადავარჩინო და არც ვიცი, ეს როგორ უნდა გავაკეთო.

– მპირდები, რომ იმ ხალხთან მიმიყვან? მპირდები, რომ ისინი შეძლებენ ჩემს დახმარებას? – ყოყმანით ჰკითხა საშამ.

– მიგიყვან, – მტკიცედ უპასუხა ლეონიდმა.

– რა გადაწყვიტე? – კვლავ ჩაერია მოუსვენარი მოხუცი.

– თქვენთან ერთად არ წამოვალ, რადგან ის ამბობს, რომ ციებ-ცხელების წამალი არსებობს, – საშა კომბინეზონის ღვედს აწვალებდა.

– გატყუებს, – ყოყმანით თქვა ჰომეროსმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ვხედავ, ვირუსებში ჩემზე უკეთ ერკვევით, – მოკრძალებით წარმოთქვა ლეონიდმა, – სწავლობდით თუ საკუთარ თავზე გამოსცადეთ? თქვენც ფიქრობთ, რომ ინფექციასთან ბრძოლის საუკეთესო მეთოდი სრული განადგურებაა?

– საიდან იცი? – გაოცდა მოხუცი და საშას მიუბრუნდა, – ეს შენ უთხარი?

– აი, თქვენი ვირუსოლოგი მეგობარიც მოდის, – მოახლოებული ჰანტერის დანახვაზე მუსიკოსმა წინდახედულად უკან დაიხია, – სასწრაფო დახმარების მთელი ბრიგადა შეკრებილია, თავს ზედმეტად ვგრძნობ.

– მოიცადე...– სთხოვა გოგონამ.

– ის იტყუება, უბრალოდ, შენთან უნდა... – ცხარედ ჩურჩულებდა ჰომეროსი, – თუნდაც სიმართლე იყოს, თქვენ მაინც ვერაფერს მოასწრებთ. ჰანტერი აქ დამხმარე ძალით დაბრუნდება, მაქსიმუმ, ოცდათხ საათში. თუ ჩვენთან დარჩები, იქნებ შეძლო მისი გადარწმუნება... ეს კი...

– მე ვერაფერს შევძლებ, – პირქუშად უპასუხა საშამ, – მას ახლა ვერავინ შეაჩერებს, ვგრძნობ. მას არჩევანის საშუალება უნდა მივცეთ. იმისათვის, რომ გავტეხოთ...

– გავტეხოთ? – ჰომეროსმა წარბები აზიდა.

– ოცდათხ საათზე ადრე დავბრუნდები, – შეჰპირდა გოგონა და უკან დაიხია.

* * *

რატომ გაუშვა გოგო?

რატომ გამოიჩინა სისუსტე? როგორ მისცა თავქარიან მოხეტიალეს მისი გმირის, მუზის, ქალიშვილის მოტაცების უფლება? რაც უფრო დაუინებით აკვირდებოდა მოხუცი მუსიკოსს, მით უფრო ნაკლებად მოსწონდა ის. მისი დიდი

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვნეანე თვალები თითქოს სიხარბეს ამჟღავნებდა, ხოლო მის უმანკო სახეზე, როდესაც ეგონა, რომ არავინ უყურებდა, ბნელი ჩრდილები გადაირბენდნენ ხოლმე...

რაში სჭირდება მუსიკოსს გოგო? უკეთეს შემთხვევაში, თავის მეხსიერებაში ლამაზ ჰერბარიუმად შეინახავს მის უმანკოებას – გათელილს, ახალგაზრდული მომხიბვლელობის მტვერჩამოფერთხილს, რომელსაც ვერც დაიმახსოვრებ და ვერც სურათს გადაუღებ. მოტყუებული გოგონა კოლექციონერს ერთ მშვენიერ დღეს მაინც გაუფრინდება, მაგრამ ტყუილის დავიწყებას და მისგან გათავისუფლებას დიდხანს ვეღარ შეძლებს.

მაშ, რატომ გაუშვა?

იმიტომ, რომ მშიშარაა; იმიტომ, რომ ჰანტერთან შეკამათება კი არა, იმის კითხვაც კი ვერ გაბედა, რაც მართლა ძალიან აწუხებდა. საშას, როგორც შეყვარებულ გოგონას, ეპატიებოდა გამბედაობაც და უგუნურებაც. იქნებოდა კი მოხუცის მიმართ ბრიგადირი ასეთივე გულმოწყალე?

ჰომეროსი ჰანტერს გულში ისევ „ბრიგადირს“ ეძახდა – ერთი მხრივ, მიჩვეული იყო, მეორე მხრივ კი, ეს სახელი უფრო აიმედებდა: არაფერი საშიში და განსაკუთრებული, ძველებურად „სევასტოპოლსკაიას“ სამხრეთის გვირაბის საგუშაგოს მეთაურია... თუმცა, არა. თავს იტყუებდა – ის უკარება, ილბლიანი ჯარისკაცი სადღაც გამქრალიყო... მასში რაღაც საშინელება ხდებოდა და ამის არაღიარება სისულელე იყო...

ჰანტერმა ისევ თან გაიყოლა მოხუცი – ამჯერად რისთვის? იმისთვის, რომ დრამის კვანძის სისხლიანი გახსნა ეჩვენებინა მისთვის? მებრძოლი მზად იყო, გაენადგურებინა არა მხოლოდ „ტულსკაია“, არამედ გვირაბში მცხოვრები სექტანტებიც და მათთან ერთად „სერპუხოვსკაია“,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთელი თავისი მოსახლეობით და ჰანზას მიერ მხოლოდ ეჭვის ნიადაგზე შეყვანილი გარნიზონით. საკვარაუდოდ, „სევასტოპოლსკაიასაც“ იგივე დღე ელოდა.

მოსაკლავად ჰანტერს საფუძვლიანი მიზეზის ძებნა აღარ სჭირდებოდა, მისთვის საბაბიც საკმარისი იყო.

ჰომეროსს აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ მონუსხულივით უსიტყვოდ გაჰყოლოდა უკან, რათა ენახა და აღენერა მისი ყოველი დანაშაული, თავი კი იმით ემართლებინა, რომ ეს ნაკლები ბოროტება იყო. მოხუცს უმოწყალო ბრიგადირი მოლოქის[1] განსახიერებად ეჩვენებოდა.

ჰომეროსისგან განსხვავებით, რომელიც უკვე შეგუებოდა აზრს, რომ „ტულსკაია“ და „სერპუხოვსკაია“ მალე სოდომსა და გომორს დაემსგავსებოდა, საშა უმცირეს იმედს ეჭიდებოდა. ჰომეროსს აღარ სჯეროდა, რომ საშა და ლეონიდი დაასწრებდნენ ჰანტერს და ვირუსის საწინააღმდეგო აბის, ვაქცინის ან შრატის აღმოჩენას მოახერხებდნენ; საშა კი მზად იყო, ბოლომდე ეძებნა წამალი.

ჰომეროსი არც მებრძოლი იყო და არც ექიმი. თან მეტისმეტად მოხუციც იყო იმისათვის, რომ სასწაულების ერწმუნა. თუმცა, მისი სულის სულ მცირე ნაწილს მაინც სურდა, სასწაული მომხდარიყო – გადარჩენილიყო. სულის სწორედ ეს ნაწილი გააყოლა საშას; გოგონას აჰკიდა ის, რის გაკეთებასაც თვითონ ვერ ბედავდა.

და იპოვა სიმშვიდე.

ერთ დღე-ღამეში ყველაფერი დასრულდება. შემდეგ მოხუცი ყველაფერს მიატოვებს, ნახავს სადმე კელიას და დაწყებულს დაასრულებს. უკვე იცის, რის შესახებაც იქნება რომანი.

---

[1] მოლოქი – მეფე, მზის ცეცხლისა და ომის ფინიკიური ღმერთის სახელის მიხედვით, რომელსაც მსხვერპლად ადამიანებს სწირავდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ის დაწერს იმის შესახებ, თუ როგორ იპოვა გონიერმა ცხოველმა ჩამოვარდნილი ზეციური ვარსკვლავი, როგორ გადაყლაპა და იქცა ადამიანად; როგორ მოჰპარა ღმერთებს ცეცხლი, მაგრამ ვერ შეძლო მისი მართვა და მსოფლიო გადაწვა; ზუსტად ასი საუკუნის შემდეგ კი დაკარგა ადამიანური ნაპერწკალი და ცხოველზე უფრო საშიშ, უსახელო არსებად იქცა.

* * *

რგოლის მეთაურმა ერთი მუჭა ტყვიები ჯიბეში ჩაიყარა, შეთანხმება მუსიკოსისთვის ხელის ძლიერი ჩამორთმევით დაადასტურა და დაამატა:

– შემიძლია, ტრამვაიზეც დაგსვათ.

– რომანტიკული გასეირნება მირჩევნია, – იუარა ლეონიდმა.

– ჩვენს გვირაბებში ორს მარტო ვერ გაგიშვებთ, – მოკლედ მოუჭრა რგოლის მეთაურმა, – მაინც დაცვის თანხლებით მოგიწევთ წასვლა. თან, არც საბუთები აქვს შენს გოგოს... ასე კი, უცებ მიხვალთ დანიშნულების ადგილას და მერე შეძლებთ განმარტოვდეთ.

– განმარტოებას არ ვაპირებთ! – მტკიცედ განაცხადა საშამ.

– ჩავთვალოთ, რომ ეს საპატიო ესკორტია. ვითომ ქალაქში მოსეირნე მონაკოს პრინცი და პრინცესა ვართ, – მუსიკოსმა გოგონას თავი დაუკრა.

– როგორი პრინცესა? – გაიოცა საშამ.

– მონაკო. ოდესღაც იყო ასეთი სამთავრო პირდაპირ ლაყვარდოვან სანაპიროზე...

– თუ ფეხით აპირებთ წასვლას, სწრაფად მოემზადეთ, – გააწყვეტინა რგოლის მეთაურმა, – მჭიდი და ტყვიები გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საგებია, მაგრამ ბიჭები სალამოს ბაზაზე უნდა იყვნენ. ეი, კოსტილ! – თავისთან მოიხმო ჯარისკაცი, – ეს ორი „კიევსკაიამდე" მიაცილეთ და პატრულს უთხარით, ვითომ დეპორტირებულები არიან. „რადიალნაიაზე" დატოვეთ და უკან ნამოდით. სწორია? – მიუბრუნდა ლეონიდს.

– არის! – ხუმრობით სამხედრო სალმით უპასუხა მან.

– კიდევ შემოგვიარეთ! – თვალი ჩაუკრა რგოლის მეთაურმა.

და მაინც, რით განსხვავდება ჰანზა დანარჩენი სადგურებისგან? მთელ გადასარბენზე „პაველეცკაიადან" „ოქტიაბრსკაიამდე" საშას არ უნახავს არც ერთი ჩაბნელებული ადგილი. ყოველ ორმოცდაათ მეტრში მავთულებზე ელექტრონათურები ეკიდა. თითოეულის სინათლე სწორედ მომდევნო ნათურამდე ჰყოფნიდა. ძირითადი გვირაბებიდან გამავალი სათადარიგო განშტოებებიც კი საკმაოდ კარგად იყო განათებული და საშიში აღარაფერი რჩებოდა.

საშას ნება რომ ყოფილიყო, სირბილით იქლიდა, რომ ძვირფასი წუთები დაეზოგა, მაგრამ ლეონიდმა დაარწმუნა, საჩქარო არაფერიაო. მან კატეგორიული უარი თქვა, აეხსნა, საით წავიდოდნენ „კიევსკაიადან", აუჩქარებლად მიაბიჯებდა და სახეზე მოწყენა ემჩნეოდა.

– მიხარია, რომ შენს მეგობარს ყველაფრის მიმართ თავისი დამოკიდებულება აქვს, – თქვა უცებ ლეონიდმა.

– რას გულისხმობ? – შეუბღვირა საშამ.

– ისიც რომ შენსავით ოცნებობდეს მოქალაქეების გადარჩენაზე, მოგვიწევდა, თან წამოგვეყვანა, ასე კი წყვიტლებად დავიყავით და თითოეული იმას აკეთებს, რაც უნდა. ის მოკლავს, შენ – განკურნავ...

– მას არავის მოკვლა არ უნდა, – ზედმეტად ხმამაღლა და მკვახედ მიახალა საშამ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– რა თქმა უნდა, უბრალოდ ასეთი სამსახური აქვს... – ამოიოხრა მუსიკოსმა, – და საერთოდ, ვინ ვარ მე, რომ ის განვიკითხო?

– და შენ რას გააკეთებ? – დაუფარავი დაცინვით ჰკითხა გოგონამ, – დაუკრავ?

– მე უბრალოდ შენ გვერდით ვიქნები, – გაუღიმა ლეონიდმა, – სხვა რა არის საჭირო ბედნიერებისთვის?

– სისულელეა, – თავი გააქნია საშამ, – საერთოდ არ გიცნობ და როგორ უნდა გაგაბედნიერო?

– გაბედნიერების სხვა გზებიც არსებობს. საკმარისია, ლამაზ გოგონას შეხედო, გუნება გიუმჯობესდება. მით უმეტეს...

– და დარწმუნებული ხარ, რომ სილამაზეში ერკვევი? – გადახედა გოგომ.

– ეს ერთადერთია, რაშიც ვერკვევი, – მუსიკოსმა მტკიცედ დაუქნია თავი.

– და რა არის ჩემში ლამაზი? – ბოლოს და ბოლოს, შუბლი გახსნა საშამ.

– შენ ერთიანად ანათებ.

ლეონიდი თითქოს სერიოზულად ლაპარაკობდა, მაგრამ წუთის შემდეგ ჩამორჩა და უკნიდან შეათვალიერა.

– უბრალოდ, სამწუხაროა, რომ ასეთი უხეში ტანსაცმელი გიყვარს, – დაამატა ბოლოს.

– მაინც, რა არ მოგწონს? – საშამაც უკლო ნაბიჯს, რათა ის მზერა აერიდებინა, ზურგში რომ ულიტინებდა.

– სინათლეს არ ატარებს. მე კი ფარვანასავით ვარ... მუდამ ცეცხლისკენ მივფრინავ, – ლეონიდმა განზრახ სულელური სახით ხელები ფრთებივით აიქნია.

– გეშინია სიბნელის? – საშამ ოდნავ გაუღიმა და თამაშში აჰყვა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მე მარტოობის მეშინია, – დასევდიანებულმა მუსიკოსმა გულხელი დაიკრიფა.

გვირაბის სუსტმა ორპირმა სერიოზული ფიქრები გადადენა და საშას მუსიკოსთან ქარაგმებით ყონგლიორობა აიძულა. ამასობაში ქარი მიყუჩდა, გოგონა გონს მოეგო და გაბრაზდა, რომ მას აჰყვა. ნუთუ ამის გამო მიატოვა ჰანტერი და მოხუცი?!

– იცოდე მაინც, რა არის მარტოობა, – მიახალა მუსიკოსს და ზურგი შეაქცია.

* * *

მონაცრისფრო-მოთეთრო „სერპუხოვსკაია" წყვდიადში ჩაძირულიყო.

სამხედრო აირწინალიანმა მებრძოლებმა ის გვირაბებისგან ორივე მხრიდან მოკვეთეს და წრიულზე გადასასვლელიც დაბლოკეს. საფრთხის მოლოდინში სადგური აფორიაქებული სკასავით ზუზუნებდა. დარბაზში ჰანტერი და ჰომეროსი, ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლებივით, დაცვის თანხლებით გაატარეს. „სერპუხოვსკაიას" ყოველი მკვიდრი ცდილობდა, მათთვის თვალებში ჩაეხედა – იქნებ უკვე იცოდნენ, რა ხდებოდა რეალურად, რომ უკვე გადაწყვეტილი იყო მათი ბედი? ჰომეროსი იატაკს დაშტერებოდა, არ უნდოდა, ეს სახეები დამახსოვრებოდა.

ბრიგადირი ანგარიშს არ აბარებდა, თუ საით მიდიოდნენ, მაგრამ მოხუცი თავადაც ხვდებოდა: წინ პოლისი იყო – გადასასვლელებით გაერთიანებული მეტროს ოთხი სადგური, ნამდვილი ქალაქი ათასი მოსახლით; ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ ათ ფეოდალურ ერთეულად დაყოფილი მეტროპოლიტენის საიდუმლო დედაქალაქი.

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეცნიერების ბურჯი და კულტურის ნავსაყუდელი, რომელზე თავდასხმასაც ვერავინ ბედავდა.

ვერავინ, მოხუცი, გონებასუსტი და ჭირიანი შიკრიკის, ჰომეროსის, გარდა?!

თუმცა, ბოლო დღეებში მოხუცი თავს უკეთ გრძნობდა. პირღებინებამ უკლო, სისხლიანი ხველაც ცოტა შეუსუსტდა. იქნებ ორგანიზმი თავად გაუმკლავდა ავადმყოფობას? ან იქნებ არც გადასდებია არაფერი?..

„სერპუხოვსკაიას" შემდეგი ბრმა და ყრუ გადასარბენი სხვა რეპუტაციით სარგებლობდა. წესით, პოლისამდე არც ერთ სულიერს არ უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ მოგზაურები დასახლებულ „სერპუხოვსკაიასა" და „ბოროვიცკაიას" შორის მდებარე შუალედურმა დაუსახლებელმა სადგურმა გააკვირვა. „პოლიანკას" შესახებ მეტროში არაერთი ჭორი დადიოდა და თუ მათ დაუჯერებდით, ეს სადგური გამვლელებს იშვიათად, მაგრამ მაინც ესხმოდა თავს – გონებას ურევდა მათ.

მოხუცი რამდენჯერმე იყო აქ ნამყოფი, მაგრამ განსაკუთრებულს არცერთხელ არაფერს გადაჰყრია. ყველა ლეგენდა – და თითოეული ჰომეროსმა ზეპირად იცოდა, ამასაც თავისებურად ხსნიდა. ჰომეროსს ახლაც დიდი იმედი ჰქონდა, რომ სადგური ისეთივე მკვდარი და მიტოვებული იქნებოდა, როგორც კარგ დროს.

მაგრამ „პოლიანკამდე" ასიოდე მეტრის დაშორებით მან თავი შეუძლოდ იგრძნო. მარმარილოს კედლებზე ანარეკლის დანახვისას და სადგურიდან მომავალი წყვეტილი ექოს გაგონებისთანავე რაღაც ცუდი იეჭვა. მან გარკვევით გაიგონა ადამიანური ხმები, რაც სრულიად შეუძლებელი იყო. უარესიც – ჰანტერი, რომელიც ასი ნაბიჯზე გრძნობ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ნებისმიერი ცოცხალ არსებას, ახლა სრულიად დაყრუებულიყო და გულგრილად მიაბიჯებდა: მთლიანად ჩაფლული საკუთარ თავში ვერც კი ამჩნევდა იმას, რაც ჰომეროსისთვის სრულიად ნათელი იყო – ყოველთვის დაუსახლებელი სადგური დასახლებული იყო! როდის მოასწრეს?! ჰომეროსი უწინ არაერთხელ დაფიქრებულა და პოლისის მოსახლეობის გადაწყვეტილება, სივიწროვის მიუხედავად უარი ეთქვათ მეზობელი „პოლიანკას" ათვისებასა და შეერთებაზე, ცრურწმენებით თუ აუხსნია. ჩანდა, მხოლოდ ცრურწმენა უკვე არასაკმარისი მიზეზი იყო იმისთვის, რომ უცნაურ შუალედურ სადგურზე უარი ეთქვათ.

ალბათ ჯერ ერთმა დაძლია შიში და აქ კარვების ქალაქი გაშალა, გაიყვანა ელექტროენერგია... ღმერთო, როგორ უყაირათოდ ექცეოდნენ აქ ელექტროენერგიას! ჯერ კიდევ მანამ, სანამ გვირაბიდან პლატფორმაზე ავიდოდნენ, მოხუცმა თვალები მოიჩრდილა, რომ არ დაბრმავებულიყო, ჭერში ვერცხლისწყლის კაშკაშა ნათურები ელავდა.

საოცარია... პოლისიც კი არ გამოიყურებოდა ასე სადღესასწაულოდ და სუფთად. კედლებზე მტვრისა და ჭვარტლის კვალიც კი არსად ჩანდა, მარმარილოს ფილები ელავდა, ჭერი წინა დღით შეთეთრებულს ჰგავდა. თაღებს შორის ჰომეროსმა ვერც ერთ კარავს ვერ მოჰკრა თვალი – ჯერ ვერ მოასწრეს განთავსება? იქნებ მუზეუმს აკეთებენ აქ? ჯადოქრებისას, რომლებიც პოლისს მართავენ...

პლატფორმა ნელ-ნელა ხალხით ივსებოდა. ჰომეროსი აკვირდებოდა მათ და ხვდებოდა, რომ ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი აღარ შეეძლო: ფეხებში ძალას კარგავდა...

პლატფორმის კიდესთან მდგომი ყოველი ადამიანი ისე გამოპრანჭულიყო, თითქოს პოლიანკაზე 2000-იან წლებზე ილებდნენ ფილმს. ახალთახალი პალტოები, ჭრელი

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქურთუკები, ლაჟვარდისფერი ჯინსები... არც დაბამბული ქურთუკები, არც დაგლეჯილი ღორის ტყავები, არც მეტროს მარადიული წითელი ნათება ან ყველა სხვა ფერის საამარე. საიდან ასეთი სიმდიდრე?!

და სახეები... ეს იმ ადამიანთა სახეები იყო, რომელთაც ერთ წუთში როდი დაუკარგავთ მთელი ოჯახი. მათ დღესაც ნახეს მზე და, ბოლოს და ბოლოს, დილა ცხელი შხაპით დაიწყეს. მოხუცი მზად იყო, თავი დაედო ამაზე. და კიდევ... ბევრი მათგანი საოცრად ეცნობოდა.

უცნაური ადამიანები სულ უფრო მატულობდნენ და პლატფორმის კიდეზე იყრიდნენ, მაგრამ ლიანდაგებზე არ ჩადიოდნენ. მალე მთელი პლატფორმა გვირაბიდან გვირაბამდე კოხტად ჩაცმული ადამიანებით გაივსო. ჰომეროსს არავინ უყურებდა. იყურებოდნენ ყველა მხარეს – კედლისკენ, გაზეთებში, მალულად უყურებდნენ ერთმანეთს, ცნობისმოყვარედ, ზიზღით ან თანაგრძნობით, მაგრამ მოხუცს ყურადღებას არავინ აქცევდა, თითქოს ის მოჩვენება იყო.

რისთვის შეკრებილიყვნენ აქ? რას ელოდებოდნენ?

მოხუცი, როგორც იქნა, გონს მოვიდა. სად არის ბრიგადირი? როგორ ახსნის ამ აუხსნელს? აქამდე რატომ არაფერი თქვა?

ჰანტერი მოშორებით იდგა და სრულებით არ აინტერესებდა ოცდახუთი წლის წინანდელი სურათებიდან გადმოსული ადამიანებით სავსე სადგური. ის დაძაბული მიშტერებოდა სივრცეს, თითქოს მისგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, მისი თვალების სიმაღლეზე ჰაერში რაღაც ეკიდა... მოხუცი ბრიგადირს მიუახლოვდა და ფრთხილად შეხედა ჩაფხუტის ქვეშიდან...

მოულოდნელად ჰანტერმა ხელი მოიქნია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მძიმე მუშტმა ჰაერი გააპო, მარცხნიდან მარჯვნივ უცნაური ტრაექტორია მოხაზა, თითქოს უნდოდა არარსებული დანით ვილაც უხილავი დაესერა. ჰომეროსი უკან გადახტა და მისი მუშტი აიცილა, ჰანტერმა კი შეტევა განაგრძო. ის უტევდა, უკან იხევდა, თავს იცავდა, ვილაცის დაჭერას ცდილობდა, წამის შემდეგ კი თავად ხრიალებდა, თითქოს იხრჩობოდა, ძლივს ითავისუფლებდა თავს და ისევ თავდასხმაზე გადადიოდა. ბრძოლა სულ უფრო მეტად უჭირდა, უხილავი მოწინააღმდეგე აშკარად სჯაბნიდა მას. უხმო, მაგრამ გამანადგურებელი დარტყმების შემდეგ ფეხზე ძლივსღა იდგა, მისი მოძრაობა სულ უფრო ნელი და გაუბედავი ხდებოდა.

მოხუცს თითქოს ესეც ნანახი ჰქონდა და არცთუ დიდი ხნის წინათ. სად და როდის? რა ჯანდაბა სჭირდა ბრიგადირს? ჰომეროსი ეძახდა მას, მაგრამ შეპყრობილს მისი ხმა არ ესმოდა.

პლატფორმაზე მდგომი ხალხი არც ჰანტერს აქცევდა ყურადღებას. მათ აშკარად სხვა რამ უფრო აღელვებდათ: სულ უფრო შეშფოთებულები დაჰყურებდნენ მაჯის საათებს, უკმაყოფილოდ ოხრავდნენ, რაღაცას გადაულაპარაკებდნენ ხოლმე გვერდით მდგომს და გვირაბის თავზე დაკიდულ წითელ ელექტროსაათზე ამოწმებდნენ დროს.

ჰომეროსმა თვალები მოჭუტა და სხვებთან ერთად დაკვირდა საათს... მრიცხველი, რომელიც წინა მატარებლის გასვლიდან დროს ითვლიდა, არაბუნებრივად გაწელილი, ათნიშნა ჩანდა: რვა ციფრი მოციმციმე ორ წერტილამდე და კიდევ ორი, წამზომი, მის შემდეგ. გაწელილი წითელი წერტილები გასულ წამებს ითვლიდა, საოცრად გრძელ რიცხვში ბოლო ციფრი იცვლებოდა, თორმეტი მილიონ...

მერე კივილი გაისმა... მერე – სლუკუნი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოხუცმა იდუმალ საათს თავი დაანება და რელსებზე ჰირქვედამხობილი ჰანტერი დაინახა. მაშინვე მიირბინა და ძლივს გადმოაბრუნა მისი უსიცოცხლო სხეული. არა, ბრიგადირი მძიმედ სუნთქავდა, ჭრილობა არსად უჩანდა, თუმცა თვალები მომაკვდავივით აეტრიალებინა. მარჯვენა ხელში რაღაც ჩაებღუჯა – მუშტიდან დანის შავი ტარი მოუჩანდა.

ჰომეროსმა სილა სტკიცა ბრიგადირს და მანაც, ნაბახუსევზე მყოფივით წამსვე ააფახურა თვალები, იდაყვებზე წამოიწია და დაბინდული მზერა შეავლო მოხუცს. მერე უცებ წამოხტა და ტანსაცმელი ჩამოიფერთხა.

იმავე წამს პალტოიანი და ქურთუკიანი ხალხიც უკვალოდ გაქრა, დამაბრმავებელი სინათლეც ჩაქრა და ათწლეულების მტვერი დაედო კედლებს. სადგური შავი, ცარიელი და უკაცრიელი იყო – ზუსტად ისეთი, როგორიც ჰომეროსს ის წინა მოგზაურობებიდან ახსოვდა.

* * *

„ოქტიაბრსკაიამდე" ხმა არავის ამოუღია, მხოლოდ იშვიათი გადაჩურჩულება, ხვნეშა და შპალებზე მცველების ჩექმის ბრაგუნი ისმოდა. საშა საკუთარ თავზე ბრაზობდა და ლეონიდის წინაშე თავს უხერხულადაც კი გრძნობდა – მეტისმეტად ხისტი ხომ არ იყო მასთან?!

და, აი, „ოქტიაბრსკაიაზე" ყველაფერი შეიცვალა. სრულიად ბუნებრივად.

სადგურის დანახვისთანავე საშას ყველაფერი დაავიწყდა. ბოლო დღეებში ისეთი ადგილები ნახა, რომელთა არსებობასაც უწინ ვერც კი წარმოიდგენდა, მაგრამ „ოქტიაბრსკაია" თავისი მოკაზმულობით ნებისმიერ მათგანს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩრდილავდა. გრანიტის იატაკზე დაობებულ ხალიჩებსაც კი ძველი მოხატულობა ჯერ კიდევ შემორჩენოდა. გაპრიალებული, ჩირაღდნის ფორმის სანათები დარბაზს რძისფერ, თანაბარ შუქს ჰფენდა. აქა-იქ დადგმულ მაგიდებთან ადამიანები ისხდნენ, რომლებიც ერთმანეთს თითო-ორ-ოლა სიტყვას ესროდნენ და ქაღალდებს აწვდიდნენ.

– რა სიმდიდრეა!.. – დაბნეულ საშას თავის აქეთ-იქით ტრიალით ლამის კისერი მოსტეხოდა.

– წრიული ხაზის სადგურები შამფურზე ნამოცმულ ლორის მწვადს მაგონებს, – გადაუჩურჩულა ლეონიდმა, – ზუსტად ისე გასდით ცხიმი... მართლა, ხომ არ ნავიხემსოთ?

– დრო არ გვაქვს, – თავი გააქნია გოგონამ იმ იმედით, რომ მისი მუცლის ბუყბუყს მუსიკოსი ვერ გაიგონებდა.

– კარგი რა, – ლეონიდმა სახელოზე მოქაჩა, – აქ ერთი ადგილი მეგულება... რაც კი ოდესმე გაგისინჯავს, ვერაფერი შეედრება ამას... ბიჭებო, წინააღმდეგი ხომ არ ხართ, რომ ვისადილოთ? – შესთავაზა მან მცველებს, – არ ინერვიულოთ, ორ საათში ადგილზე ვიქნებით. ლორის მწვადზე შემთხვევით კი არ დავიწყე ლაპარაკი. აქ ისეთ მწვადს აშიშხინებენ...

ლამის ლექსად დაიწყო ხორცზე ლაპარაკი. საშა დანებდა. თუ დანიშნულების ადგილამდე ორი საათის გზაა, მაშინ ნახევარსაათიანი სადილი არაფერს შეცვლის... ჯერ კიდევ მთელი დღე აქვთ წინ და ვინ იცის, კიდევ როდის შეძლებენ ნახემსებას?

მწვადი მართლაც იმსახურებდა ხოტბას. მაგრამ ეს ყველაფერი არ იყო – ლეონიდმა ერთი ბოთლი სასმელიც მოითხოვა. საშამ ცდუნებას ვერ გაუძლო და ერთი ჭიქა გადაკრა, დანარჩენი კი მუსიკოსმა და მცველებმა დალიეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გოგონა უცებ ფეხზე წამოხტა და ლეონიდს მკაცრად უბრძანა, ამდგარიყო.

არყისგან გაბრუებულმა გვიან შეამჩნია კალთაში ჩადებული ლეონიდის მსუბუქი, მგრძნობიარე, მოთავხედო ხელი და მაშინვე მოიშორა. მუსიკოსმა მორჩილად ასწია ხელები – „ვნებდებიო!“ – გოგონამ კი, რომლის კანმაც შეხების დამახსოვრება მოასწრო, თავისი წამოხტომა ინანა და თავი ჩქმეტით დაისაჯა. თუმცა, გადაწყვიტა, ტკბილ-მწარე სადილობის სცენა როგორმე მეხსიერებიდან წაეშალა, უაზრობად ექცია, სიტყვებით გაეუფასურებინა, და ასეც მოიქცა.

– აქ უცნაური ადამიანები არიან, – უთხრა უცებ ლეონიდს.

– რატომ? – ლეონიდმა ერთიც გადაკრა და, როგორც იქნა, ადგა.

– მათ თვალებს რაღაც აკლია...

– შიმშილი, – დააზუსტა მუსიკოსმა.

– არა, მხოლოდ ეგ არა... თითქოს სხვა არაფერი უნდათ.

– მათ მეტი მართლაც არაფერი უნდათ, – ჩაიცინა ლეონიდმა, – ისინი მაძღრები არიან. ჰანზა-დედოფალი აჭმევთ. ჩვეულებრივი, მოდუნებული მზერა აქვთ...

– რაც ჩვენ დღეს სადილობის შემდეგ მოგვრჩა... ... – დასერიოზულდა საშა, – მე და მამას სამ დღეს გვეყოფოდა... იქნებ წამოვიღოთ და ვინმეს მივცეთ?

– ძაღლებს შეაჭმევენ, – განუმარტა მუსიკოსმა, – აქ ლარიბები არ ჰყავთ.

– მაშინ მეზობელ სადგურზე წავიღოთ. იქ, სადაც შიმშილია...

– ჰანზა ქველმოქმედებას არ სცნობს, – საუბარში ერთ-ერთი მცველი, კოსტილი, ჩაერთო, – ყველამ თვითონ უნდა გაანძრიოს ხელი! უსაქმურების თრევაღა გვაკლია...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– შენ თვითონ წრიული ხაზიდან ხარ? – დაინტერესდა ლეონიდი.

– რაც თავი მახსოვს, აქ ვცხოვრობ!

– მაშინ ალბათ ვერ წარმოიდგენ, რომ ზოგჯერ მასაც სჭირდება ჭამა, ვინც წრიულ ხაზზე არ დაბადებულა.

– მერედა, ჭამონ ერთმანეთი! ან იქნებ, როგორც წითლები ამბობენ, ჩვენ უნდა წაგვართვან და გაიყონ?! – მცველი არ ხუმრობდა.

– თუკი ყველაფერი ასევე გაგრძელდება... – დაიწყო ლეონიდმა.

– მაშინ რა? – გააწყვეტინა მცველმა, – ჯობია, გაჩუმდე, თორემ უკვე იმდენი ილაპარაკე, დეპორტაციისათვის სრულიად საკმარისია.

– დეპორტაციისათვის აქამდეც საკმარისად ვილაპარაკე, – გულგრილად მიუგო მუსიკოსმა, – ახლა ხომ ისედაც „გვადეპორტებთ".

– შემიძლია ისეც ჩაგაბარო, როგორც წითლების ჯაშუში! – გაცხარდა მცველი.

– მე კი შენ დაგაბეზღებ სამუშაო დროს ლოთობისათვის...

– ოხ, შენი... შენ თვითონ... შე...

– არა! გვაპატიეთ. თქვენი გაბრაზება არ უნდოდა... – ჩაერია საშა.

მუსიკოსს სახელოზე მოჰკიდა ხელი და საეჭვოდ აქოშინებულ კოსტილს მოაშორა, თითქმის ძალით გაათრია რელსებისაკენ, სადგურის საათს შეხედა და ამოიოხრა. საღილობასა და კამათში თითქმის ორი საათი დაეკარგათ. ჰანტერი კი ალბათ ერთი წამითაც არ შეჩერებულა...

მთვრალი მუსიკოსი იცინოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გზად „კულტურის პარკამდე" დარაჯებს ერთი წამით არ შეუწყვეტიათ ბოროტი ჩურჩული. ლეონიდი თავს ვერ იკავებდა, მაგრამ საშა ხან ძალით აჩუმებდა და ხან დაპირებებით იყოლიებდა. მუსიკოსი ვერა და ვერ გამოფხიზლებულიყო, სიმთვრალე კი სითამამესაც ჰმატებდა და სითავხედესაც. გოგონა თავიდან ძლივს იშორებდა მას.

– საერთოდ არ მოგწონვარ? – სწყინდა ლეონიდს, – შენი გემოვნების არ ვარ, ხო? ჩემნაირები არ მოგწონს, კუნთმაგრები გირჩევნია... ნაიარევები... მაშ, რატომღა გამომყევი?

– იმიტომ, რომ შენ მე შემპირდი! – გოგონამ ხელისკვრით მოიშორა მთვრალი ლეონიდი, – იმისთვის არ წამოგყოლივარ, რომ...

– „მე ისეთი არ ვარ"! – გამოაჯავრა მუსიკოსმა და სევდიანად ამოიოხრა: – რომ მცოდნოდა, ასეთი უკარება იყავი...

– ახლა ამაზე ფიქრი როგორ შეგიძლია? იქ ხომ ცოცხალი ადამიანები არიან! ყველანი დაიხოცებიან, თუკი ვერ მოვასწრებთ!

– და მე რა შემიძლია? ფეხებს ძლივს მოვათრევ. იცი, როგორი მძიმეა? აი, სცადე! ადამიანები ისედაც დაიხოცებიან. ხვალ ან ათი წლის შემდეგ. შენც, მეც...

– ანუ იცრუე? მომატყუე?! ხომ მითხრა ჰომეროსმა, ხომ გამაფრთხილა... სად მივდივართ?!

– არა, არა! გინდა, დავიფიცო, რომ არ გატყუებდი? აი, ნახავ! ბოდიშსაც მომიხდი! შეგრცხვება, მოხვალ და მეტყვი: ლეონიდ, როგორ მრცხვენია...

– სად მივდივართ?!

– მივდივართ რთუუული გზით... ზურმუხტქააალაქში. ლა-ლა-ლაააა... რთული გზით, – მუსიკოსმა სიმღერა წამო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინყო, თან საჩვენებელ თითს დირიჟორივით იქნევდა. ხელიდან ფლეიტის ყუთი გაუვარდა, შეიგინა, ასაღებად დაიხარა და წაქცევისგან ძლივს შეიკავა თავი.

– შე ლოთო! „კიევსკაიამდე" შეძლებ კი შენი ფეხით მისვლას? – მიაძახა მას ერთ-ერთმა მცველმა.

–თქვენი ლოცვით! – თავი დაუკრა მუსიკოსმა და სიმღერა განაგრძო: – და ელი დაბრუნდება... და ელი დაბრუნდება... ტოტოშკასთან ერთად... ჰამ! ჰამ! სახლისაკენ...

* * *

ჰომეროსს არასოდეს სჯეროდა „პოლიანკას" ლეგენდის და აი, სადგურმა გადაწყვიტა, ჭკუა ესწავლებინა მისთვის.

ზოგიერთები მას ბედის სადგურს ეძახდნენ და როგორც ორაკულს, ისე სცემდნენ პატივს.

ზოგს სჯეროდა, რომ ცხოვრების გადამწყვეტ მომენტში აქ მომლოცველობას შეუძლია მომავალს ფარდა ახადოს, მოგცეს მინიშნება და გასაღები, გიწინასწარმეტყველოს და წინასწარ განგისაზღვროს მომავალი.

ყველა საღად მოაზროვნე ადამიანმა იცოდა, რომ სადგურში მიწიდან მომწამვლელი აირები იფრქვეოდა, რომლებიც წარმოსახვას ამძაფრებს და ჰალუცინაციებს იწვევს.

ეშმაკმა დალახვროს სკეპტიკოსები!

რას უნდა ნიშნავდეს ეს ხილვა? მოხუცს ეგონა, რომ საიდუმლოს ამოხსნისგან ერთი ნაბიჯი აშორებდა, მაგრამ აზრები ერთმანეთში ერეოდა და ეფანტებოდა. თვალწინ ჰანტერი უდგებოდა, რომელიც ჰაერს შავტარიანი დანით ჩეხავდა. რას არ მისცემდა ჰომეროსი, ოღონდ გაეგო, რას ხედავდა ჰანტერი, როდესაც ჰაერს ებრძოდა, რა ორთაბრძოლა დასრულდა მისი დამარცხებით თუ დალუპვით...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– რაზე ფიქრობ?

მოულოდნელობისგან მოხუცს შიგნეულობაში სპაზმმა დაუარა. განსაკუთრებული მიზეზის გარეშე ადრე ჰანტერს მასთან საუბარი არასოდეს წამოუწყია. მხოლოდ ბრძანებები და ჩაბურტყუნებული პასუხები...

– ისე, არაფერზე... – ენა დაება ჰომეროსს.

– ფიქრობ. მესმის, – მშვიდად წარმოთქვა ჰანტერმა, – ჩემზე. გეშინია?

– ახლა არა, – იცრუა მოხუცმა.

– ნუ გეშინია. შენ ხელს არ გახლებ. შენ რაღაცას მახსენებ.

– რას? – ნახევარწუთიანი დუმილის შემდეგ ფრთხილად ჰკითხა ჰომეროსმა.

– რაღაცას ჩემ შესახებ, რაც მე დამავიწყდა, შენ კი მახსენებ... – ჰანტერი მარცვალ-მარცვალ ლაპარაკობდა, ძლივს უყრიდა სიტყვებს თავს, თან წინ, სიბნელეში იყურებოდა.

– ანუ ამისთვის წამომიყვანე? – ჰომეროსი ერთდროულად იმედგაცრუებულიც იყო და აფორიაქებულიც, სულ სხვა რამეს ელოდა...

– ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს მოგონება გონებაში კარგად შევინახო. ძალიან მნიშვნელოვანია, – უპასუხა ბრიგადირმა, – სხვებისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ მე... წინაღმდეგ შემთხვევაში შეიძლება... როგორც უკვე მოხდა.

– მეხსიერების პრობლემა გაქვს? – მოხუცი პარვით, ფრთხილად ეკითხებოდა, თითქოს დანაღმულ ველზე მიაბიჯებდა, – რამე შეგემთხვა?

– მე ყველაფერი მშვენივრად მახსოვს... – მოკლედ მოუჭრა მან, – საკუთარი თავის გარდა და მეშინია, სულ არ დამავიწყდეს. შემახსენე ხოლმე, კარგი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– კარგი, – თავი დაუქნია ჰომეროსმა, თუმცა მისი თავის ქნევა ჰანტერს არ დაუნახავს.

– ადრე ყველაფერს აზრი ჰქონდა, – მძიმედ ამოთქვა ბრიგადირმა, – ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი. ვიცავდი მეტროს, ხალხს. მკაფიო დავალება – ნებისმიერი საფრთხის აღმოფხვრა. განადგურება. ამაში იყო აზრი! იყო!

– მაგრამ ახლაც ხომ...

– ახლა? მე არ ვიცი, რა არის ახლა. მინდა, რომ ახლაც ყველაფერი ისევე ცხადი იყოს. მე ხომ ტყუილად არ ვარსებობ, მე ხომ ბანდიტი არ ვარ. მკვლელი არ ვარ! ამას ადამიანების გამო ვაკეთებ. ვცადე, ადამიანების გარეშე მეცხოვრა, დამეცვა ისინი... მაგრამ შემეშინდა. ძალიან სწრაფად ვივიწყებდი საკუთარ თავს... ადამიანებთან უნდა დავბრუნებულიყავი... უნდა დამეცვა ისინი, დავხმარებოდი... არ უნდა დამვიწყებოდა. და აი, „სევასტოპოლსკაია"... იქ მიმიღეს. იქ არის ჩემი ქოხი. სადგური უნდა გადავარჩინო, უნდა დავეხმარო მათ. რადაც უნდა დამიჯდეს. მგონია, რომ თუ ამას გავაკეთებ... თუ საფრთხეს აღმოვფხვრავ – ეს დიადი საქმეა, ნამდვილი – შეიძლება მაშინ გამახსენდეს. უნდა გამახსენდეს. ამიტომ უნდა ვიჩქარო, თორემ... ის სულ უფრო და უფრო სწრაფად მიდის. ერთ დღეში აუცილებლად უნდა მოვასწრო. ყველაფერი უნდა მოვასწრო – პოლისში მისვლა, დანაყოფის შეკრება და უკან გამობრუნებაც... მანამ კი შენ გამახსენე, კარგი?

ჰომეროსმა მორჩილად დაუქნია თავი. ეშინოდა იმის წარმოდგენის, რა მოხდებოდა, თუ ბრიგადირს საბოლოოდ დაავიწყდებოდა თავისი თავი. ვინ დარჩებოდა მის სხეულში, თუ ჰანტერი საბოლოოდ დაიძინებდა? ის ხომ არა, ვისთანაც მან წარმოსახვითი ბრძოლა წააგო?

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

„პოლიანკა" უკან დარჩა: ჰანტერი პოლისისკენ მიქრო-და, როგორც ჯაჭვიდან აწყვეტილი, რომელმაც მსხვერ-პლი იყნოსა, ან როგორც მგელი, რომელიც თავდამსხმე-ლებს გაურბის.

გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდა.

* * *

როგორლაც მიაღწიეს „კულტურის პარკამდე". ლეონ-იდი მცველებთან შერიგებას ცდილობდა და ყველას „ერთ კარგ რესტორანში" ეპატიჟებოდა, მაგრამ მცველები უკ-ვე ფრთხილობდნენ. საპირფარეშოშიც კი ძლივს გაუშვეს მარტო. ერთ-ერთმა მცველმა მათი დარაჯობა აიღო საკუ-თარ თავზე, მეორემ კი მას რაღაც უჩურჩულა და მიიმალა.

– ფული კიდევ დაგრჩა? – ლეონიდს პირდაპირ მიახალა მცველმა, რომელიც კართან ელოდა.

– ცოტა, – მუსიკოსმა ხელისგულზე ხუთიოდე ტყვია დაიდო.

– მომეცი. კოსტილმა თქვენი ჩაშვება გადაწყვიტა. ჰგო-ნია, რომ თქვენ წითელი ხაზის პროვოკატორები ხართ. თუ-კი ის მართალია, აქ თქვენს ხაზზე გადასასვლელია, გეცო-დინება შენ. თუ არა, მაშინ შეგიძლია აქ დაელოდო, სანამ კონტრდაზვერვა მოვა, მათთან კი შენ თვითონ გააგრძელე მოლაპარაკება.

– გამომააშკარავეს, ხო? – ლეონიდი სლოკინის შეკა-ვებას ცდილობდა, – კარგი! მიდი... ჩვენ კიდევ დავბრუნ-დებით! მადლობა სამსახურისთვის! – მან ხელი დაუქნია დამშვიდობების ნიშნად, – მისმინე, გადასასვლელი... გვი-რაბამდე მიგვიყვანე, რა?

საშას ხელი დაავლო და სწრაფად, მაგრამ ბორძიკ-ბორ-ძიკით გაიქცა, წინ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– როგორი კეთილია! – ბურტყუნებდა გზადაგზა, – აქ ჩვენს ხაზზე გადასასვლელია... რა ავა იქ? ორმოცი მეტრის სიღრმეა. ვითომ არ იცის, რომ აქ დიდი ხანია ყველაფერი ამოქოლილია...

– სად მივდივართ? – საშა ვეღარაფერს ხვდებოდა.

– როგორ თუ სად?! წითელ ხაზზე! ხომ გაიგე, პროვოკატორი დაიჭირეს, ამხილეს... – ბურტყუნებდა ლეონიდი.

– შენ წითელი ხარ?!

– ჩემო გოგონა! ახლა ნურაფერს მკითხავ! მე ან ფიქრი შემიძლია, ან სირბილი. ახლა კი სირბილი უფრო გვჭირდება... ახლა ჩვენი მეგობარი განგაშს ატეხს და თუ დაგვიჭირეს, ტყვიასაც დაგვახლიან... ფული ხომ ცოტაა ჩვენთვის, ჩვენ მედალი გვჭირდება...

ისინი გვირაბში შეცვივდნენ და კედელს მიკრულები „კიევსკაიასკენ“ გაიქცნენ. საშა მიხვდა, რომ სადგურამდე მიღწევას მაინც ვერ შეძლებდნენ. თუ მუსიკოსი მართალი იყო, მაშინ მეორე მცველი თვითონ მიუთითებდა, თუ საით გაიქცნენ...

– და უცებ ლეონიდმა მარცხნივ გაუხვია, გვერდითა ნათელ გვირაბში – ისეთი თავდაჯერებულობით, თითქოს შინ მიდიოდა. რამდენიმე წუთში შორიდანვე დაინახეს დროშები, რიკულები, ტომრებით ამოქოლილი ტყვიამფრქვევის ბუდეები, ძაღლების ყეფაც მოისმა. სასაზღვრო პუნქტი? ნეტავ უკვე გააფრთხილეს ისინი გაქცეულთა შესახებ? როგორ აპირებს აქედან თავის დაღწევას? და ვისი მიწა იწყება ბარიკადის მეორე მხარეს?

დარაჯმა უცებ მოირბინა და მუსიკოსმა მას უცნაური საბუთი მიაჩეჩა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მე ალბერტ მიხაილოვიჩისგან ვარ, მეორე ნაპირზე ფინდა მოხვედრა.

– ჩვეულებრივი ტარიფით, – საბუთში ჩაიხედა დარაჯმა, – ქალბატონის საბუთები სადაა?

– ორმაგი იყოს, – ლეონიდმა ჯიბეები ამოიბრუნა და ბოლო ტყვიები ამოალაგა, – და, მოდი, ვითომ ქალბატონი არ გინახავს, კარგი?

– მოდი, „მოდი"-ს გარეშე! – გამკაცრდა მესაზღვრე, – თქვენ ბაზარში ხომ არ გგონიათ თავი? აქ სამართლებრივი სახელმწიფოა!

– როგორ გეკადრებათ! – ვითომ შეეშინდა მუსიკოსს, – უბრალოდ, ვიფიქრე, რადგან საბაზრო ეკონომიკაა, შეიძლებოდა შევაჭრება... არ ვიცოდი, რომ აქ სხვანაირად იყო...

ხუთი წუთის შემდეგ საშაც და გაჩეჩილი, ტანსაცმელდაჭმუჭნილი, ყვრიმალებდასიებული და ცხვირპირდასისხლიანებული ლეონიდიც ერთ პატარა კაფელისკედლებიან ოთახში შეყარეს.

რკინის კარმა დაიგრუხუნა და ჩამობნელდა.

:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 16
ბალიაში

უკუნეთ სიბნელეში დარჩენილ ადამიანს შეგრძნებები უმძაფრდება. სუნიც უფრო საგრძნობი ხდება, ხმებიც უფრო ხმამაღალი. კარცერის იატაკზე გაუთავებელი ფხაკუნი ისმოდა და შარდის აუტანელი სუნი იდგა.

მაგრამ მუსიკოსი სიმთვრალის გამო მგონი ტკივილსაც კი ვერ გრძნობდა. ცოტა ხანს რაღაცას ბუტბუტებდა, მერე კი ფშვინვა ამოუშვა. მდევრის ნამდვილად აღარ ეშინოდა და არც ის აღელვებდა, თუ რა ბედი ეწეოდა საშას საბუთებისა და ახსნა-განმარტებების გარეშე ჰანზას საზღვრის გადაკვეთის გამო; ასევე სრულებით არ ანაღვლებდა „ტულსკაიას" ბედი.

– მეზიზღები! – უმწეოდ ჩაილაპარაკა საშამ.

ლეონიდისთვის ესეც სულერთი იყო.

წყვდიადში თანდათან პატარა ხვრელი გამოიკვეთა – კარის შუშის საჭვრეტი. სხვა ყველაფერი უხილავი რჩებოდა, მაგრამ ეს ნახვრეტიც საკმარისი იყო საშასთვის: ხელისცეცებით მიცოცდა და კარს თავისი პატარა მუშტები დაუშინა. კარი აგუგუნდა, მაგრამ არა მცველების გასაგონად.

დრო გადიოდა.

ნეტავ დროის დატყვევება ყოფილიყო შესაძლებელი. იქნებ ლეონიდმა განზრახ მოიყვანა აქ? უნდოდა, მოხუცისა და ჰანტერისათვის დაეშორებინა? ჯაჭვიდან გამოეყვა-

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნა, აქ შემოეტყუებინა? და ეს ყველაფერი მხოლოდ იმის-
თვის, რომ...

საშამ სახე სახელოში ჩარგო და ატირდა. სახელო ცრემ-
ლსაც იწოვდა და ხმასაც ახშობდა.

– შენ ოდესმე გინახავს ვარსკვლავები? – მოესმა უცებ
ლეონიდის ჯერ კიდევ ნასვამი ხმა.

არ უპასუხა.

– მეც მხოლოდ ფოტოზე მაქვს ნანახი, – განაგრძო მუ-
სიკოსმა, – მზე ძლივს აღწევს მტვერსა და ღრუბლებში,
მათ კი ძალა არ ჰყოფნით. ახლა შენმა ტირილმა გამაღვიძა
და ვიფიქრე, ნამდვილი ვარსკვლავი დავინახე-მეთქი.

– ეს კარის სათვალთვალო ჭუჭრუტანაა, – საშამ ცრემ-
ლები გადაყლაპა.

– ვიცი. მაგრამ იცი, მე რა მაინტერესებს? – ჩაახველა
ლეონიდმა, – ადრე ვინც გვიყურებდა ზეციდან ათასი თვა-
ლით, რატომ შეგვაქცია ზურგი?

– ცაში არასდროს არავინ ყოფილა, – თავი გააქნია საშამ.

– მე კი მინდა, მჯეროდეს, რომ ვილაც მაინც გვადევნებს
თვალყურს, – თქვა ჩაფიქრებულმა მუსიკოსმა.

– ამ ბნელ კამერაშიც კი არავის ვაინტერესებთ! – თვალ-
ცრემლიანმა საშამ ისევ ბრახუნი ატეხა კარზე, – ეს შენ მო-
აწყვე, ხომ? რომ ვერ მოგვესწრო!

– თუკი ფიქრობ, რომ არავინაა, რისთვის აკაკუნებ? –
ჰკითხა ლეონიდმა.

– ფეხებზე გკიდია, თუ ყველა ავადმყოფი მოკვდება!

– ასეთი წარმოდგენა გაქვს ჩემზე? საწყენია! – ამოიო-
ხრა ლეონიდმა, – მაგრამ, მგონი, არც შენ გარბიხარ ავად-
მყოფებთან. შენ იმის გეშინია, რომ თუ შენი შეყვარებული
მათ დასახოცად წავა, თვითონაც დაავადდება... ნამალი კი
ჯერაც არ არსებობს...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ტყუილია! – საშა თავს ძლივს იკავებდა, რომ არ დაერტყა მისთვის.

– სიმართლეა, სიმართლე... – ლეონიდმა წრიპინა ხმით გამოაჯავრა გოგონას, – მაინც რა არის მასში ისეთი?

საშას მისთვის არაფრის ახსნა არ უნდოდა, საერთოდ, მასთან ლაპარაკი არ უნდოდა. მაგრამ თავი ვერ შეიკავა:

– მე მას ვჭირდები! მართლა ვჭირდები! უჩემოდ დაიღუპება! შენ კი, უბრალოდ სათამაშო გჭირდება!

– ვთქვათ, შენ მას სჭირდები. ძალიანაც არა, მაგრამ უარსაც არ იტყვის... მაგრამ შენ რაში გჭირდება ის ტყიური? ბოროტმოქმედები გიზიდავს? თუ დაკარგული სული გინდა გადაარჩინო?

საშა გაჩუმდა. როგორ მარტივად კითხულობდა მუსიკოსი მის გრძნობებს! იქნებ იმიტომ, რომ მისი გრძნობები არაფრით იყო გამორჩეული?! ან იმიტომ, რომ მათი დამალვა არ შეეძლო?! ის სუსტი და გაუცნობიერებელი რამ, რისი სიტყვებით გადმოცემაც გოგონას არ გამოსდიოდა, მუსიკოსის ბაგეებიდან საწყენად და უხამსადაც კი ჟღერდა.

– მეზიზღები! – ბოლოს და ბოლოს, თქვა საშამ.

– არა უშავს, მაინცდამაინც არც მე მეხატები გულზე, – ჩაიცინა ლეონიდმა.

საშა იატაკზე დაეშვა და თვალებიდან ისევ ცრემლები გადმოსცვივდა. ამჯერად არა სიბრაზისგან, არამედ უძლურებისგან. სანამ მასზე ჯერ კიდევ იყო რაღაც დამოკიდებული, ის დანებებას არ აპირებდა. მაგრამ ახლა ყრუ კარცერში, ყრუ თანამგზავრთან ერთად აღარანაირი შანსი არ რჩებოდა, მისი ვინმეს გაეგო. არც კაკუნს ჰქონდა აზრი და არც ყვირილს. ვერავის დაიყოლიებდა.

მის თვალწინ წამიერად გაიელვა მაღალმა სახლებმა, მწვანე ცამ, მოძრავმა ღრუბლებმა, მოცინარმა ადამიანებ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მა. იმ ზაფხულის წვიმის თბილი წვეთები ეცემოდა სახეზე, რომელზეც მოხუცი უამბობდა. წამიერმა ზმანებამ მსუბუქი, საოცარი განწყობით აავსო.

– სასწაული მინდა! – თავისთვის ჩაილაპარაკა საშამ და ტუჩი მოიკვნიტა.

დერეფანში ტუმბლერმა გაიჩხაკუნა, საკანი კი აუტანელმა სინათლემ დატბორა.

* * *

მეტროს წმინდა დედაქალაქში შესასვლელიდან ათ მეტრში, ცივილიზაციის მარმარილოს აკლდამაში, ვერცხლისწყლის ნათურების თეთრ სინათლესთან ერთად სიმშვიდისა და ალორძინების დადებითი აურა სუფევდა. პოლისში შუქს არ ზოგავდნენ, რადგან მისი მაგიურობისა სჯეროდათ. ჭარბი სინათლე მათ იმ დროს ახსენებდა, როდესაც ადამიანი ნყვდიადის მტაცებელი ცხოველი არ იყო. აქ პერიფერიიდან მოსული ბარბაროსებიც კი თავშეკავებულად იქცეოდნენ.

პოლისის ბლოკპოსტები უფრო საბჭოთა სამინისტროებში შესასვლელს ჰგავდა: მაგიდა, სკამი, სუფთა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ორი ოფიცერი სამხედრო ქუდით. საბუთების კონტროლი, პირადი ნივთების ჩხრეკა. მოხუცმა ჯიბეში პასპორტი მოძებნა. სავიზო რეჟიმი გააუქმეს, ამიტომ, წესით, პრობლემები არ უნდა შეჰქმნოდა. ოფიცერს მწვანე წიგნაკი გაუწოდა და ბრიგადირს გადახედა, რომელიც ისე ჩაფლულიყო ფიქრებში, რომ მესაზღვრის შეკითხვა არც გაუგია.

„აქვს კი საერთოდ პასპორტი, – დაეჭვდა ჰომეროსი, – მაშ, რის იმედით მოიჩქაროდა აქ?“

– უკანასკნელად ვიმეორებ, – ოფიცერმა იარაღის პრიალა ბუდეზე დაიდო ხელი, – წარმოადგინეთ საბუთები ან დაუყოვნებლივ დატოვეთ პოლისის ტერიტორია!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰომეროსი თავს დადებდა, ბრიგადირს არც ამჯერად გაუგონია ოფიცრის მოთხოვნა, უცნაური ძილიდან მხოლოდ ბუდის საკეტისაკენ თითების მოძრაობამ გამოიყვანა. გამოფხიზლებულმა ჰანტერმა ელვის სისწრაფით გაშალა ხელი და პირდაპირ ხორხში დაარტყა ოფიცერს. მესაზღვრე გალურჯდა და აბროტინებული სკამიანად გადავარდა უკან. მეორემ გაქცევა სცადა, მაგრამ მოხუცმა იცოდა, რომ ვერ მოასწრებდა – ჰანტერის ხელში, როგორც შულერის ხელში ტუზი, ისე გაჩნდა შავით დაფერილი პისტოლეტი...

– მოიცადე! – შესძახა ჰომეროსმა.

ბრიგადირი წამით შეყოვნდა, გაქცეულ მესაზღვრეს კი ეყო ეს დრო, რომ პლატფორმაზე ასვლა მოესწრო და დამალულიყო.

– დაანებე თავი! ჩვენ „ტულსკაიაზე" უნდა წავიდეთ! შენ ვალდებული ხარ... ხომ მთხოვე, შემეხსენებინა... შენყვიტე! – მოხუცს სუნთქვა ეკვროდა, სიტყვებს ეძებდა.

– „ტულსკაიაზე", – უაზროდ გაიმეორა ჰანტერმა, – ჰო. ჯობია „ტულსკაიამდე" მოვითმინო, მართალი ხარ.

ის მაგიდისკენ დაიხარა და თავისი მძიმე პისტოლეტი დადო. ჰომეროსმა კი დრო იხელთა ხელებაწეული თაღებიდან გამოსული დაცვის წევრებისაკენ გაიქცა.

– არ ისროლოთ! ის გნებდებათ! არ ისროლოთ! გთხოვთ...

ჰომეროსი დაიჭირეს, სასწრაფოდ მოგლიჯეს რესპირატორი და მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს ახსნა-განმარტების უფლება. ბრიგადირი ისევ უცნაურ ძილს მისცემოდა და არ ერეოდა. მან მცველებს უფლება მისცა განეიარაღებინათ და უსიტყვოდ გაჰყვა გალიაში. ფიცარნაგზე ჩამოჯდა, თავი ასწია და ამოიოხრა:

– აქ ერთი ადამიანი უნდა მოძებნო, მელნიკი. აქ მოიყვანე, დაგელოდები...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოხუცმა თავი დაუქნია, მაშინვე შესასვლელში შეგჯუფებულ მცველებსა და ცნობისმოყვარეებს შორის გაძვრა და უცებ გაიგონა:

– ჰომეროს!

მოხუცი გაშეშდა. აქამდე არასოდეს მიუმართავს ჰანტერს სახელით. მოხუცი არმატურის მავთულებისგან არასაიმედოდ შეკრულ გალიასთან დაბრუნდა, კითხვით შეხედა ჰანტერს, რომელსაც ხელები ტანზე ისე შემოეხვია, თითქოს სცივაო. მან უსიცოცხლო, ყრუ ხმით უთხრა:

– მალე!

* * *

კარი გაიღო და შიგ ფრთხილად შემოიხედა ჯარისკაცმა, რომელმაც მუსიკოსს რამდენიმე საათის წინ სახეში სთხლიშა. მას პანლური ამოჰკრეს და საკანში შეაგდეს. სამხედრომ ნაქცევისგან თავი ძლივს შეიმაგრა, გასწორდა და ეჭვით მიიხედა უკან.

გასასვლელში გამხდარი, სათვალიანი სამხედრო იდგა. ქურთუკის სამხრეულებზე ვარსკვლავები ჰქონდა დამაგრებული. თხელი ქერა თმა უკან გადაეყარა.

– მიდი, ნაგავო! – კბილებში გამოსცრა მან.

– მე... – ალუღლუღდა მესაზღვრე.

– ნუ გერიდება, – გაამხნევა ოფიცერმა.

– ბოდიშს გიხდით ჩემი საქციელისთვის. და... მე... შენ.. თქვენ... არ შემიძლია.

– პლუს ათი დღე.

– დამარტყი, – უთხრა ჯარისკაცმა ლეონიდს.

– ა, ალბერტ მიხაილოვიჩ! – გაუღიმა თვალებმოჭუტულმა მუსიკოსმა ოფიცერს, – უკვე რახანია, გელოდებით!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– საღამო მშვიდობისა, – მანაც სცადა გაღიმება, – აი, მოვედი სამართლიანობის აღსადგენად. შურს იძიებთ?

– ხელებს უნდა გავუფრთხილდე, – წამოდგა ლეონიდი და გაიზმორა, – აჯობებს, თქვენ თვითონ დასაჯოთ.

– მთელი სიმკაცრით, – თავი დაუკრა ალბერტ მიხაილოვიჩმა, – ერთი თვე ჰაუპტვახტი, და, ცხადია, ამ თავხედის მობოდიშებას ვუერთდები.

ლეონიდმა უნებურად ღაწვი მოისრისა.

– ეს ხომ ჩვენ შორის დარჩება? – ოფიცრის ფოლადისებურმა ხმამ დაიჭრიალა.

– მე, როგორც ხედავთ, კონტრაბანდა გამყავს, – ლეონიდმა საშაზე მიანიშნა, – გამოიჩენთ შემწყნარებლობას?

– გავაფორმებთ, – დაჰპირდა ალბერტ მიხაილოვიჩი.

დამნაშავე მესაზღვრე საკანში დატოვეს. კარი ჩაკეტეს და ოფიცერი მათ ვიწრო დერეფანში გაუყვა.

– შენ აღარ გამოგყვები, – ხმამაღლა უთხრა საშამ მუსიკოსს.

– და თუკი გეტყვი, რომ მართლა იმ ზურმუხტქალაქში მივდივართ? – ყოყმანით, ძლივს გასაგონად ჰკითხა ლეონიდმა, – თუ გეტყვი, რომ შემთხვევით არ ვიცი მის შესახებ ბაბუაშენზე მეტი? რომ ჩემი თვალით მაქვს ნანახი და არა მხოლოდ ნანახი? რომ ნამყოფი ვარ იქ და არა მხოლოდ ნამყოფი?

– იტყუები!

– და რომ ის, – მუსიკოსმა თავით წინ მიმავალ ოფიცერზე მიანიშნა, – ტყუილად არ მელაქუცება: იცის საიდან ვარ, და ეშინია. ზურმუხტქალაქში ყველაფერია და ალბათ შენი წამალიც მოიძებნება. იქამდე კი სულ სამიოდე საფეხური დარჩა...

– იტყუები!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– იცი რა? – გაბრაზდა ლეონიდი, – როცა სასწაულს ითხოვ, მის დასაჯერებლადაც მზად უნდა იყო, თორემ შემჩნევას ვერ შეძლებ.

– სასწაულისა და ფოკუსების ერთმანეთისგან გარჩევაც უნდა შეგეძლოს, – შეუღრინა საშამ, – და ეს შენ მასწავლე.

– მე თავიდანვე ვიცოდი, რომ გამოგვიშვებდნენ, – უპასუხა მან, – უბრალოდ... ეფექტის გაფუჭება არ მინდოდა.

– დროის გაყვანა გინდოდა!

– მაგრამ შენ არ მომიტყუებიხარ! ავადმყოფობის ნამალი არსებობს.

საგუშაგოსთან ოფიცერმა, რომელიც ხანდახან ცნობისმოყვარედ მოხედავდა ხოლმე მათ, მუსიკოსს ნივთები, ტყვიები და საბუთები დაუბრუნა.

– აბა, რა გადაწყვიტეთ, ლეონიდ ნიკოლაევიჩ, – სამხედრო სალამი მისცა მუსიკოსს, – კონტრაბანდა თან მიგყავთ თუ საზღვარზე ტოვებთ?

– თან, – მოიბუზა საშა.

– მაშინ, ბედნიერებას გისურვებთ, – დალოცა ისინი ალბერტ მიხაილოვიჩმა და სამ რიგად განლაგებული ბრუსტვერების გასწვრივ გააცილა. გზადაგზა მეტყვიამფრქვევები ფეხზე დგებოდნენ. გისოსებისა და რელსებისაგან შედულებული ზღარბების გასწვრივ გაიარეს.

– იმპორტთან დაკავშირებით, იმედია, პრობლემები არ შეგექმნებათ, – იმედი გამოთქვა ოფიცერმა.

– გავალთ როგორმე, – გაულიმა ლეონიდმა, – ამას არ უნდა გეუბნებოდეთ, მაგრამ პატიოსანი ჩინოვნიკები არსად არ არსებობენ და რაც უფრო მკაცრია რეჟიმი, მით უფრო ცოტაა გადასახდელი. უბრალოდ, უნდა იცოდე, სად შეიტანო ფული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ვფიქრობ, თქვენ ჯადოსნური სიტყვაც გეყოფათ, – ჩაიცინა ოფიცერმა.

– ჯერჯერობით ყველაზე არ მოქმედებს, – ლეონიდმა ისევ ყვრიმალზე მოიკიდა ხელი. – როგორც იტყვიან, მე ჯერ მხოლოდ ვსწავლობ ჯადოქრობას.

– სასიამოვნო იქნება თქვენთან საქმის დაჭერა... როდესაც სწავლას დაასრულებთ, – ალბერტ მიხაილოვიჩმა თავი დაუკრა და უკან გაბრუნდა.

ბოლო ჯარისკაცმა მათ მსხვილგისოსებიანი ჭიშკარი გაუღო, რომელიც გვირაბს მთელ სიგრძეზე კეტავდა. მის მილმა კი ცარიელი, კარგად განათებული გადასასვლელი იწყებოდა, რომლის კედლებიც ალაგ-ალაგ გამურული და ტყვიებისგან ჩამონგრეული იყო. გვირაბის ბოლოში ახალი გამაგრებები და იატაკიდან ჭერამდე გაჭიმული ტილოს დროშები ჩანდა.

მათ დანახვაზე საშას გული შეუქანდა.

– ეს ვისი საგუშაგოა? – იკითხა შიშით.

– როგორ თუ ვისი?! – გაოცდა ლეონიდი, – წითელი ხაზის, ცხადია.

* * *

ო, რამდენ ხანს ოცნებობდა ჰომეროსი კიდევ ერთხელ აქ მოხვედრაზე, რამდენი ხანი გასულიყო, ალარ ყოფილა ამ საოცარ ადგილებში...

ინტელიგენტებით დასახლებულ „ბოროვიცკაიაზე", სადაც კრეოზოტის ტკბილი სუნი იდგა, მყუდრო ბინები პირდაპირ თაღებს შორის ჩაედგათ. დარბაზის შუაში წიგნებით სავსე გრძელ, ხის მაგიდებს მკითხველი ბერები და ბრამი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნები უსხდნენ. მაგიდების თავზე ნაჭრის აბაჟურიანი სანათები ეკიდა. აქ საოცარი სიზუსტით აღედგინათ ომამდელი ნლების სადისკუსიო სამზარეულოების სული...

თეთრსა და ბრინჯაოსფერ მეფურ „არბატსკაიაზე", სადაც მკაცრი წესრიგი იყო. აქ საქმიანი სამხედროები ისე უკმაყოფილოდ ხვნეშოდნენ, თითქოს მათ არანაირი კავშირი არ ჰქონდათ აპოკალიფსთან...

უძველეს „ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაზე", რომლისთვისაც სახელის გადარქმევა დააგვიანეს, სანამ აზრი ჰქონდა. ის ჯერ კიდევ მაშინ იყო სამყაროსავით ძველი, როდესაც ახალგაზრდა კოლია მეტროში მივიდა სამუშაოდ. "ბიბლიოთეკაზე" გადასასვლელი, თავისი კაპიტნის ბოგით, ზუსტად პლატფორმის შუაში მდებარეობდა, გულმოდგინედ, მაგრამ უნიათოდ აღედგინათ ჭერის ჩუქურთმები...

მუდამ ნახევრად ჩაბნელებულ „ალექსანდროვის ბაღზე", მალალჭერიანსა და კუთხოვანზე, რომელიც თავის კომკავშირულ ახალგაზრდობაზე მოტირალ პოდაგრიან, თვალისჩინდაკარგულ მოხუცს მოგაგონებდათ.

ჰომეროსს ყოველთვის აინტერესებდა, ჰგავდნენ თუ არა სადგურები თავიანთ მშენებლებს. იყო თუ არა მისი ავტოპორტრეტი, ვინც დააპროექტა? ერთი რამის თქმა კი ნამდვილად შეეძლო: სადგური თავის კვალს ასვამდა, ხასიათს უნაწილებდა, თავის განწყობასა და ავადმყოფობას გადასდებდა თავის მკვიდრს.

თუმცა, თავად ჰომეროსი, თავისი შეხედულებებით, მარადიული ფიქრებითა და უკურნებელი ნოსტალგიით, ნამდვილად არ ეკუთვნოდა მკაცრ „სევასტოპოლსკაიას", ის წარსულივით ნათელი პოლისის საკუთრება იყო.

მაგრამ ახლა, როცა, ბოლოს და ბოლოს, აქ მოხვდა, ერთი ზედმეტი წუთიც არ ჰქონდა, ამ ხმაურიან დარბაზებში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაევლო, მისი ჩუქურთმებით დამტკბარიყო, ეფანტაზი-ორა... დრო არ ითმენდა.

ჰანტერმა ძლივს მოახერხა, დაემორჩილებინა და გალიაში ჩაესვა თავისი შინაგანი, საშინელი არსება, რომელსაც დროდადრო ადამიანებით კვებავდა. თუმცა, ალბათ დროებით. ამიტომ, ჰომეროსს უნდა ეჩქარა.

მან მელნიკის პოვნა სთხოვა... რა არის ეს: სახელია? მეტსახელია? პაროლია? ამ სიტყვის ხმამაღლა წარმოთქმამ მცველებზე წარმოუდგენელი ზემოქმედება მოახდინა: დაჭერილი ბრიგადირის ტრიბუნალის შესახებ საუბრები შეწყდა, ხელბორკილები კი, რომელიც კინალამ ჰომეროსსაც დაადეს, მაგიდის უჯრაში დააბრუნეს. დაცვის ლიპიანმა უფროსმა თავად ითავა მოხუცის მასთან მიყვანა.

ჰომეროსი გამცილებელთან ერთად ავიდა კიბეზე, გაიარა გადასასვლელი და გავიდა „არბატსკაიაზე". შეჩერდნენ კარებთან, რომელსაც ორი სამხედროფორმიანი იცავდა. სახეზე ეტყობოდათ, რომ პროფესიონალი მკვლელები იყვნენ. მათ ზურგსუკან ოთახების მწკრივი იწყებოდა. ლიპიანმა ჰომეროსს დალოდება სთხოვა, თვითონ კი დერეფანს გაუყვა. სამი წუთიც არ იყო გასული, რომ უკან დაბრუნდა, მოხუცი გაოცებით შეათვალიერა და შიგნით შესვლა სთხოვა.

ვიწრო დერეფნიდან საოცრად ფართო კაბინეტში შევიდნენ, რომლის კედლებიც მთლიანად რუკებით, სქემებით, ჩანაწერებით და დაშიფრული წარწერებით, ფოტოსურათებითა და ნახატებით იყო დაფარული. მუხის მაგიდასთან იჯდა ასაკოვანი, გამხდარი მამაკაცი ისეთი ფართო ბეჭებით, თითქოს ნაბადი ჰქონდა მოხურული. კიტელიდან მხოლოდ ერთი, მარცხენა ხელი უჩანდა. ჰომეროსი დააკვირდა და მიხვდა: მარჯვენა თითქმის მთლიანად პარალიზებული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰქონდა. კაბინეტის პატრონი საკმაოდ მაღალი ჩანდა – სიმაღლით ფეხზე მდგომ ჰომეროსს უტოლდებოდა.

– გმადლობთ, – უთხრა მან ლიპიანს და ლიპიანმაც დანანებით გაიხურა კარი, – ვინ ხართ?

– ნიკოლაი ივანოვიჩ ნიკოლაევი, – დაიბნა მოხუცი.

– შენყვიტეთ ცირკი! თუკი ამბობთ, რომ თქვენთან ერთადაა ჩემი უახლოესი მეგობარი, რომელიც ერთი წლის წინ დავმარხე, მაშინ ამის მიზეზიც უნდა გქონდეთ. ვინ ხართ?

– არავინ... – ჰომეროსი არ იტყუებოდა, – საქმე მე არ მეხება. ის ნამდვილად ცოცხალია. თქვენ, უბრალოდ, უნდა მენდოთ და გამომყვეთ, სასწრაფოდ.

– მგონია, რომ ეს ან მახეა, ან იდიოტური ხუმრობა, ან უბრალოდ, შეცდომა, – მელნიკმა სიგარეტს მოუკიდა და მოხუცს სახეში შეაბოლა, – რაკი მისი სახელი იცით და ჩემთან მოხვედით, მაშინ მისი ისტორიაც უნდა იცოდეთ. უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ მას მთელი ერთი წლის განმავლობაში ყოველდღე ვეძებდით და ამ ძებნაში რამდენიმე ადამიანი დავკარგეთ კიდეც. ჯანდაბა! უნდა იცოდეთ, როგორ მნიშვნელოვანი იყო ის ჩვენთვის, ის ჩემი მარჯვენა ხელი იყო. – მან ცალყბად გაიღიმა.

– მე არაფერი არ ვიცი... ის არაფერს ყვება, – მოხუცმა თავი მხრებში ჩარგო, – გთხოვთ, უბრალოდ, „ბოროვიცკაიაზე" გამომყევით. დრო ძალიან ცოტა გვაქვს...

– არსად გამოყოლას არ ვაპირებ და ამისათვის საპატიო მიზეზი მაქვს.

მელნიკმა ხელი მაგიდის ქვეშ ჩასწია და უცნაურად გაიწია უკან, ისე, რომ ადგილიდან არ ამდგარა. მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ გააანალიზა მოხუცმა, რომ ის ეტლში იჯდა.

– ასე რომ, მოდი, მშვიდად ვისაუბროთ. მინდა გავიგო, რა მიზნით ხართ მოსული?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ღმერთო ჩემო! – მოხუცს ყველა იმედი გადაეწურა, რომ რამეს გააგებინებდა გაკერპებულ კაცს, – უბრალოდ, დამიჯერეთ. ის ცოცხალია და გალიაში ზის „ბოროვიცკაიაზე". ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ ჯერ კიდევ არის...

– მინდა, რომ დაგიჯეროთ, – მელნიკი გაჩუმდა და სიგარეტი გააბლა. ოთახში ისმოდა, როგორ ტკაცუნობდა, იხვეოდა და იწვოდა სიგარეტის ქაღალდი, – მაგრამ სასწაულები არ ხდება. გამალიზიანეთ... კარგი. მე ჩემი ვერსიები მაქვს, ვისი ხუმრობაა ეს. მაგრამ ამას სპეციალურად განწვრთნილი ადამიანები შეამოწმებენ... – ის ტელეფონისკენ გაიწია.

– რატომ ეშინია ასე ძალიან შავების? – მოულოდნელად იკითხა მოხუცმა და შეკითხვამ თავადაც შეაცბუნა.

მელნიკმა ფრთხილად დაკიდა ყურმილი ისე, რომ სიტყვაც არ უთქვამს და სიგარეტის ნამწვი საფერფლეში ჩააგდო.

– ჯანდაბა! წამოვალ „ბოროვიცკაიაზე", – დათანხმდა ის.

* * *

– მე იქ არ წამოვალ! გამიშვი! აქ ვრჩები...

საშა არ ხუმრობდა, არც კეკლუცობდა. უჭირდა გაეხსენებინა, სძულდა თუ არა მამამისს ვინმე წითლებზე მეტად. მამას მათ წაართვეს ძალაუფლება და იმის ნაცვლად, რომ მოეკლათ, გაურკვეველი მიზეზით მრავალწლიანი დამცირებისა და ტანჯვისთვის გასწირეს. მამამ ვერ შეძლო იმ ადამიანებისთვის ეპატიებინა, ვინც მის წინააღმდეგ აჯანყდა, ვინც მოღალატეები წააქეზა, იარალითა და პროკლამაცი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ებით მოამარაგა. წითელი ფერიც კი შეიძულა. საშა დარწმუნებული იყო, რომ სიკვდილის წინ მტკიცებით, თითქოს ალარავისზე ბრაზობდა და ალარც შურისძიებაზე ფიქრობდა, მამა მხოლოდ თავის უძლურებას ამართლებდა.

– ეს ერთადერთი გზაა, – თქვა დაბნეულმა ლეონიდმა.

– ჩვენ „კიევსკაიასკენ" მივდიოდით! შენ კი სულ სხვაგან მომიყვანე.

– ჰანზა, ათწლეულებია, წითლებს ეომება, პირველსავე შემხვედრს ვერ ვეტყოდი, რომ კომუნისტებთან მივდიოდით... იძულებული ვიყავი, მეცრუა.

– სიცრუის გარეშე საერთოდ არ შეგიძლია!

– ჭიშკარი „სპორტივნაიას" შემდეგაა, როგორც გითხარი. „სპორტივნაია" წითელი ხაზის ბოლო სადგურია მეტროს ჩამონგრეული მიწისზედა გადასასვლელის წინ, ვერაფერს იზამ.

– იქ როგორ მოვხვდებით? მე პასპორტი არ მაქვს, – საშა მუსიკოსს თვალს არ აშორებდა.

– მენდე, – გაულიმა მან, – ადამიანი ყოველთვის შეძლებს მეორე ადამიანთან მოლაპარაკებას. დიდება კორუფციას!

ლეონიდს საშას პროტესტისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაჯაში ჩააკვლო ხელი და თან წაიყვანა. დროშებს, რომლებიც ჭერიდან ეშვებოდა, თავდაცვის მეორე ხაზის პროჟექტორები აელვარებდა, გვირაბის ორპირი კი აფრიალებდა და გოგონას ეჩვენებოდა, რომ ის ორ კამკამა ჩანჩქერს ხედავდა. ეს ნიშანი იყო?!

იმის მიხედვით, რაც გოგონას წითელი ხაზის შესახებ სმენოდა, ისინი მისადგომებთან უნდა ჩაეცხრილათ... თუმცა ლეონიდი საკმაოდ მშვიდად, თავდაჯერებული ლი-

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

მილით მიაბიჯებდა წინ. სანამ ბლოკპოსტიდან ოცდაათ მეტრში მის მკერდზე პროჟექტორის დიდი ნათება არ დაეცა. მაშინ კი გაჩერდა, ფლეიტის ყუთი იატაკზე დადო და მორჩილად ასწია ხელები ზემოთ. საშამაც მიჰბაძა.

შესამოწმებლად ნამძინარევი, გაოცებული მესაზღვრეები მიუახლოვდნენ. ჩანდა, მანამდე არასდროს ენახათ საზღვრის მეორე მხრიდან მოსული. მუსიკოსმა მოასწრო და უფროსი, სანამ ის საშას საბუთებს მოითხოვდა, გვერდზე გაიხმო. რაღაც უჩურჩულა და ფოლადმაც გაიწკრიალა. უფროსი მოჯადოებული და დამშვიდებული დაუბრუნდა პოსტს. რგოლის მეთაურმა ისინი პირადად გააცილა ყველა პოსტზე, ხელის დრეზინაზეც კი დასვა და ჯარისკაცებს უბრძანა, მგზავრები „ფრუნზესკაიაზე" წაეყვანა.

ჯარისკაცებმა ბერკეტებს ხელი მოჰკიდეს და ხვნეშით დაძრეს დრეზინა ადგილიდან. საშა დაბლვერილი ათვალიერებდა იმ ადამიანების ტანსაცმელსა და სახეებს, რომლებსაც მამა მტრებს ეძახდა... არაფერი განსაკუთრებული. გაქუცული დაბამბული ქურთუკები, დალაქავებული, ვარსკვლავიანი კეპები, ფართო ღაწვები, ჩაცვენილი ლოყები... ჰანზას გუშაგებივით არ ბრწყინავდნენ, მაგრამ ადამიანური მათშიც არანაკლები იყო. მეტიც, მათ თვალებში იკითხებოდა ახალგაზრდული ცნობისმოყვარეობა, რაც წრიული ხაზის მცხოვრებლებისთვის სრულიად უცხო იყო. არიან კი ეს მცველები საშას მტრები? მათ ორ მცველს ალბათ გაგონილიც არ ჰქონდა, თუ რა მოხდა თითქმის ათი წლის წინ „ავტოზავოდსკაიაზე". შესაძლებელია, მხოლოდ ტრადიციის გამო, გულწრფელად გძულდეს უცნობი ადამიანები?

ჯარისკაცები მგზავრებთან გამოლაპარაკებას ვერ ბედავდნენ.

– როგორ მოახერხე ეს? – ჩუმად ჰკითხა საშამ.

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ჰიპნოზი, – თვალი ჩაუკრა ლეონიდმა.

– რა საბუთებს აჩვენებ ხოლმე? როგორ გატარებენ მაგ საბუთებით ყველგან?

– სხვადასხვა პასპორტი სხვადასხვა შემთხვევისთვის, – პირდაპირ პასუხს თავი აარიდა მუსიკოსმა.

– ვინ ხარ, ბოლოს და ბოლოს? – იმის შიშით, რომ მათი ლაპარაკი არავის გაეგო, საშა იძულებული გახდა ლეონიდს გვერდით მისჯდომოდა.

– დამკვირვებელი, – ძლივსგასაგონად უპასუხა მან.

საშამ პირზე აიფარა ხელი, რომ კითხვების ნაკადი შეეკავებინა, თორემ ჯარისკაცები უკვე საკმაოდ შესამჩნევად ცდილობდნენ მათი საუბრის აზრის გაგებას, ცდილობდნენ, ბერკეტებსაც კი ჩუმად ეჭრიალა.

ამასობაში ჩამომხმარ, ფერგადასულ და წითელი დროშებით მორთულ სადგურ „ფრუნზენსკაიაზე" მივიდნენ. კედლებზე მოზაიკა ჩამომტვრეულიყო, სვეტები დროს შთაენთქა... სვეტებს შორის გაჭიმულ მავთულზე სუსტი ნათურები ეკიდა არც ისე მაღალი ადგილობრივების თავზემოთ, რათა ტყუილ-უბრალოდ არ გაეფლანგათ ძვირფასი ელექტროენერგია. აქ საოცარი სისუფთავე იყო. პლატფორმაზე ერთდროულად რამდენიმე მოუსვენარი დამლაგებელი მიმოდიოდა. სადგურზე ბევრი ხალხი ირეოდა, მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ რომელ მხარესაც კი გაიხედავდა საშა, ყველაფერი ფორიაქობდა, ხოლო ჩაუვლიდა თუ არა, ყველაფერი ისევ ჩერდებოდა და ჩუმ შრიალს განაგრძობდა; ხალხი კი თავის საქმეს უბრუნდებოდა. უცხოებს ყველა თვალს არიდებდა, თითქოს ეტიკეტს იცავდნენ.

– აქ უცხოები იშვიათად მოდიან? – ჰკითხა მან ლეონიდს.

– მეც უცხო ვარ აქ. – მხრები აიჩეჩა მუსიკოსმა.

– აბა, სად ხარ შენიანი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– იქ, სადაც ადამიანები ასეთი აუტანლად სერიოზულები არ არიან... – ჩაიცინა მან, – სადაც ესმით, რომ მხოლოდ საჭმლით ადამიანი ვერ გადარჩება; სადაც გუშინდელი დღის დავიწყება არ უნდათ, თუნდაც მოგონებები ტკივილს აყენებდეთ.

– ზურმუხტქალაქზე მომიყევი, – ჩუმად სთხოვა საშამ, – ისინი... რატომ იმალებით?

– ქალაქის მმართველებს მეტროს მცხოვრებლების არ სჯერათ, – ლეონიდმა საუბარი შენყვიტა, რომ გვირაბის შესასვლელში მორიგე დარაჯებს დალაპარაკებოდა, შემდეგ საშასთან ერთად მძიმე წყვდიადში გადაეშვა, სანთებელათი ზეთის ლამფის ფითილს მოუკიდა და განაგრძო: – არ სჯერათ, რადგან მეტროში ადამიანები ადამიანურ სახეს კარგავენ; გამოუსწორებლები არიან; რადგან მათ შორის ჯერაც არიან ისინი, რომლებმაც ის საშინელი ომი წამოიწყეს, თუმცა მათ საკუთარი მეგობრებისთვისაც კი ეშინიათ ამის გამხელა. მეტროში ადამიანების უნდა გეშინოდეს, უნდა გაურბოდე მათ, თვალყური უნდა ადევნო. თუკი ისინი შეიტყობენ ზურმუხქალაქის შესახებ, გამოჭამენ და მორყვნიან მას, როგორც ჭამენ და ანადგურებენ ყველაფერს, რასაც სწვდებიან. დიდი მხატვრების ტილოები დაიწვება. დაიწვება ქალალდიც და ყველაფერი, რაც მასზე იყო. განადგურდება ერთადერთი საზოგადოება, რომელმაც სამართლიანობასა და ჰარმონიას მიაღწია. დაიტბორება დიადი კიდობანი და არაფერი აღარ დარჩება. ვანდალები...

– რატომ ფიქრობთ, რომ ჩვენ ვერ შევიცვლებით? – ეწყინა საშას.

– ყველა ასე კი არ ფიქრობს, – გადახედა მას ლეონიდმა, – ზოგი ცდილობს, რამე იღონოს.

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მაინცდამაინც კარგად არ ცდილობენ, – ამოიოხრა საშამ, – რაკი ჩემს მოხუცსაც კი არაფერი სმენია მათ შესახებ.

– სამაგიეროდ, ვილაც-ვილაცებმა თავად მათ მოუსმინეს, – ორაზროვნად თქვა ლეონიდმა.

– შენ... მუსიკას გულისხმობ? – მიხვდა საშა, – შენ ერთ-ერთი მათგანი ხარ, ვისაც ჩვენი შეცვლის იმედი აქვს? მაგრამ როგორ?

– მშვენიერების იძულებით შეცნობით, – იხუმრა მუსიკოსმა.

* * *

ეტლს ადიუტანტი მიაგორებდა, მოხუცი კი გვერდით მიჰყვებოდა, ძლივს ეწეოდა. დროდადრო უკან მისთვის მიჩენილ მაღალ მცველს გახედავდა ხოლმე.

– თუკი მართლა არ იცით მთელი ისტორია, – ამბობდა მელნიკი, – მზად ვარ, მოგახსენოთ. კამერაში ხალხს გაართობთ, თუკი „ბოროვიცკაიაზე" სხვა აღმოჩნდება... ჰანტერი ორდენის ერთ-ერთი საუკეთესო მებრძოლი იყო, ნამდვილი მონადირე. ცხოველის ინტუიცია ჰქონდა და საქმეში ბოლომდე იხარჯებოდა. სწორედ მან იყნოსა წელიწად-ნახევრის წინ შავები... „ვედეენხაზე". ნუთუ არც ამის შესახებ გსმენიათ რამე?

– „ვედეენხაზე"... – გაიმეორა დაბნეულმა მოხუცმა, – უვნებელი მუტანტები, რომლებიც ფიქრებს კითხულობდნენ და უჩინარნი ხდებოდნენ... მეგონა, მათ „მუქები" ერქვათ.

– მაგას არა აქვს მნიშვნელობა, – მოუჭრა მელნიკმა, – მან პირველმა გამოჩხრიკა ჭორები და განგაში ატეხა, მაგრამ მაშინ ჩვენ არც ძალა გვქონდა და არც დრო... მე უარი ვუთხარი. სხვა საქმეებით ვიყავი დაკავებული. ჰანტერი მარტო წავიდა. ბოლოს, როცა დამიკავშირდა, მითხრა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ საშინელი არსებები მის ნებას თრგუნავენ, მართავენ, მთელ მიდამოს შიშის ზარს სცემენ. ჰანტერი კი საოცარი მებრძოლი იყო, მთელ ოცეულს უდრიდა...

– ვიცი, – ჩაილაპარაკა ჰომეროსმა.

– და არასდროს არაფრის ეშინოდა. ბიჭი გამოგეიგზავნა წერილით, რომ ზემოთ ადიოდა, შავებთან, და თუ დაიკარგებოდა, ესე იგი, საფრთხე იმაზე დიდი იყო იყო, ვიდრე ფიქრობდა. დაიკარგა. დაილუპა. ჩვენ შეტყობინების ჩვენი სისტემა გვაქვს. ყოველი ცოცხალი ვალდებულია, კვირაში ერთხელ შეგვატყობინოს. ვალდებულია! ის კი, უკვე წელიწადზე მეტია, დუმს.

– შავებს რა მოუვიდათ?

– მას მერე, რაც მთელი ტერიტორია კარგად გადავთელეთ „სმერჩით", შავებისგან აღარაფერი ისმის, – ჩაიცინა მელნიკმა, – არც გვწერენ და არც გვირეკავენ... „ვედეენხაზე" გასასვლელები დაიკეტა და იქაურობა დამშვიდდა. ოლონდ ის ბიჭი შეიშალა, თუმცა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ცხოვრობს ნორმალური, ადამიანური ცხოვრებით, ცოლი მოიყვანა. აი, ჰანტერი კი... ჰანტერი ჩემ სინდისზეა.

უფროსი კიბეზე რკინის პანდუსით დაეშვა, იქ შეკრებილი ბერები გაფანტა, ქოშინით მოჩანჩალე მოხუცს დაელოდა და დაამატა:

– ბოლოს რაც გითხარი, უმჯობესია კამერაში არ მოყვე-

წუთის შემდეგ, როგორც იქნა იზოლატორამდე მიალწიეს. გალიის კარი მელნიკს არ გაუღია, ადიუტანტს დაეჭრდნო, კვნესით წამოდგა, საჭვრეტში გაიხედა და წამის მერე, დაღლილი, თითქოს მთელი გზა „არბატსკაიამდე" ფეხით გაევლოს, ეტლში დაეშვა, ჩამქრალი მზერით მოხუცს შეხედა და განაჩენი ხმამაღლა გამოიტანა:

– ის არ არის.

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

* * *

– მე არ ვფიქრობ, რომ ჩემი მუსიკა მე მეკუთვნის, – მოულოდნელად სერიოზულად თქვა ლეონიდმა, – ვერ ვხვდები, საიდან ჩნდება ჩემ გონებაში. მგონია, რომ უბრალოდ კალაპოტი ვარ... ინსტრუმენტი. როცა მინდა, რომ დავუკრა, ზუსტად ისე, როგორც მე მიმაქვს ბაგესთან ჩემი ფლეიტა, ვილაცას თავის ტუჩებთან მივყავარ და იბადება მელოდია.

– შთაგონება, – დაიჩურჩულა საშამ.

– მასე დაარქვი, – ხელები გაშალა მუსიკოსმა, – როგორც უნდა იყოს, ეს მე არ მეკუთვნის, ეს ჩემ გარეშე ხდება, გარედან მოდის. უფლება არ მაქვს, ის ჩემში დავტოვო. ის... ადამიანებში მოგზაურობს. მე ვიწყებ დაკვრას და ვხედავ, როგორ იკრიბებიან ჩემ გარშემო მდიდრები და ღარიბები, ფუფხით დაფარულები და მსუქნები, ბოროტები, უბადრუკები და დიდებულები. ჩემი მუსიკის წყალობით, ყველანი ერთ ტონალობაში ექცევიან. მე კამერტონივით ვარ... მე შემიძლია ისინი ჰარმონიაში მოვიყვანო, თუნდაც ცოტა ხნით... არ ვიცი, როგორ აგიხსნა.

– ძალიან კარგად ხსნი, – თქვა ჩაფიქრებულმა საშამ, – მეც სწორედ ასე ვგრძნობდი.

– უნდა ვცადო მათში ამ გრძნობის გაღვივება, – დაამატა ლეონიდმა, – ვილაცაში დაილუპება, ვილაცაში კი გაიხარებს. მე ვერავის ვერ გადავარჩენ. არ მაქვს შესაბამისი უფლებამოსილება.

– მაგრამ ქალაქის სხვა მცხოვრებლებს რატომ არ უნდათ, რომ დაგვეხმარონ? ან რატომ გეშინია იმის ალიარების, რომ ამას აკეთებ?

ლეონიდი დუმდა, სანამ გვირაბით სადგურ „სპორტივნაიაზე" არ გავიდნენ. ეს სადგურიც ჩამქრალი, გახუნე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბული, ნაძალადევად სადღესასწაულო და ამავდროულად მგლოვიარე იყო. ოლონდ – კიდევ უფრო დაბალი და ისეთი ვიწრო იყო, როგორც თავზე შემოხვეული ბინტი. აქ ქვამ-ლისა და ოფლის, სილარიბისა და მედიდურობის სუნი იდგა. ლეონიდსა და საშას მაშინვე ჯაშუში მიუჩინეს, რომელიც, სადაც უნდა წასულიყვნენ, მათგან ათიოდე ნაბიჯის მოშო-რებით დაყიალობდა. გოგონას უნდოდა, მაშინვე გაეგრძე-ლებინათ გზა, მაგრამ მუსიკოსმა შეაჩერა.

– ახლა არ შეიძლება. უნდა მოვიცადოთ, – ის სტუმრე-ბისათვის განკუთვნილ ქვის სკამზე მოკალათდა, ფუტლი-არზე საკეტები გაატკაცუნა.

– რატომ?

– კარი მხოლოდ გარკვეულ დროს იღება. – ლეონიდმა თვალი აარიდა.

– როდის? – საშამ ციფერბლატი მოძებნა. თუკი ყველა-ფერი სწორი იყო, დათქმული დროის ნახევარზე ნაკლები რჩებოდა.

– გეტყვი.

– ისევ დრო გაგყავს! – შეუბღვირა საშამ, – დახმარებას მპირდები, მაგრამ, სინამდვილეში, ჩემს შეყოვნებას ცდილობ.

– მართალია, – ლეონიდმა ძალა მოიკრიბა და თვალი გა-უსწორა, – მე შენს შეყოვნებას ვცდილობ.

– რატომ? რისთვის?

– მე არ გეთამაშები. დამიჯერე, ვიპოვიდი ვინმეს გა-სართობად და ცოტა ვინმე თუ მეტყოდა უარს. ვფიქრობ, შემიყვარდი. რა უშნოდ ჟღერს...

– ფიქრობ... არა, არ ფიქრობ. უბრალოდ, ამბობ და მორჩა!

– სიყვარულისა და თამაშის ერთმანეთისგან გარჩევა შესაძლებელია, – სერიოზულად უთხრა ლეონიდმა.

– და ადამიანს რომ ატყუებ, ეს სიყვარულია?

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ნამდვილი სიყვარული მთელ შენს ცხოვრებას ანგრევს, ფეხებზე ჰკიდია გარემოებები. თამაში კი შეიძლება გარემოებებს მოარგო...

– ჩემთვის ეს ბევრად მარტივია, – საშა წარბებს ქვემოდან შეჰყურებდა ბიჭს, – მე არც მქონია ცხოვრება. კართან წამიყვანე.

ლეონიდი მძიმედ მიაჩერდა გოგონას, თითქოს დააპირა მკაცრად შეპასუხებოდა, მაგრამ მხოლოდ ამოიოხრა და ალიარა:

– მე ვერ წამოვალ შენთან ერთად. უკან არ შემიშვებენ.

– ეს რას ნიშნავს?! – გაოგნდა საშა.

– კიდობანში ვერ დავბრუნდები. გამოგდებული ვარ.

– გამოგდებული? რატომ?

– ერთი საქმის გამო. – ლეონიდი ისე ჩუმად ლაპარაკობდა, რომ მისგან ერთი ნაბიჯში მდგომი საშაც კი ვერ არჩევდა ყველაფერს, – მე... ერთმა კაცმა შეურაცხყოფა მომაყენა... ბიბლიოთეკის მეთვალყურემ. სხვების თანდასწრებით დამამცირა. იმავე ღამეს დავთვერი და ბიბლიოთეკა გადავწვი. მეთვალყურე ოჯახიანად გამოიწვა. საბუხაროდ, ჩვენთან სასჯელი არ არსებობს, ამიტომ სამუდამოდ გამომაგდეს. უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს.

– მაშ, რატომ მომიყვანე აქ? – საშამ მუშტები შეკრა, – ჩემი დროც რატომ დაწვი?!

– შენ შეგიძლია ცადო მათთვის ხმის მიწვდენა, – ჩაიბურტყუნა ლეონიდმა, – გვერდითა გვირაბში, კარიდან ოცმეტრში თეთრი საღებავით გაკეთებული ნიშანია. ზუსტად მის ქვეშ, იატაკზე, რეზინის გარსაცმია, რომლის ქვეშაც ზარის ღილაკია. უნდა დააჭირო სამჯერ მოკლედ, სამჯერ გრძლად და სამჯერ მოკლედ, ეს პაროლია უკან დაბრუნებული დამკვირვებლებისათვის...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლეონიდი მართლაც სადგურზე დარჩა – საშას დაეხმარა სამიევ ბლოკპოსტის გაელაში და უკან გაბრუნდა. დაბშეიდობებისას სცადა, მისთვის ძველი ავტომატი მიეჩეჩებინა, რომლის შოვნაც სადღაც მოესწრო, მაგრამ საშამ არ გამოართვა. სამი მოკლე, სამი გრძელი, სამი მოკლე... სულ ეს იყო, რაც მას შეიძლებოდა დასჭირვებოდა. და კიდევ ფანარი.

„სპორტივნაიას" შემდეგ ბნელი და ყრუ გვირაბები იწყებოდა. მთელ ხაზზე ეს ბოლო დასახლებულ სადგურად ითვლებოდა და ყოველი ბლოკპოსტი, რომელთა გავლაშიც მას მუსიკოსი დაეხმარა, ციხე-სიმაგრეს უფრო ჰგავდა. მაგრამ საშას სრულიად არ ეშინოდა. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ნახევარი საათის ან საათ-ნახევრის შემდეგ ის ზურმუხტქალაქის ზღურბლზე აღმოჩნდებოდა.

ხოლო თუ ქალაქი არ არსებობდა, მაშინ საშიში მით უმეტეს არაფერი იყო.

გვერდითა გვირაბი ზუსტად იქ აღმოჩნდა, სადაც ლეონიდმა მიასწავლა. რამდენიმე ასეული ნაბიჯის შემდეგ მართლა იყო ფოლადის ჰერმეტული კარი, რომელშიც საშამ უპრობლემოდ იპოვა საკმაოდ ფართო ღრიჭო და შიგ გაძვრა.

გოგონამ გულმოდგინედ გადათვალა ორმოცი ნაბიჯი და სიბნელეში სველ, თითქოს ოფლიან კედელზე თეთრი მინიშნება იპოვა. გარსაცმსაც მალევე მიაგნო, რეზინი გადასწია, ზარის ღილაკი მოძებნა, მუსიკოსის ნაჩუქარ საათს დახედა. მოასწრო! მოასწრო! ძლივს გადაიტანა რამდენიმე უსაშველოდ გრძელი წუთი და თვალები დახუჭა...

სამი მოკლე...

სამი გრძელი...

სამი მოკლე...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 17
ვინ ლაპარაკობს?

არტიომმა გავარვარებული ლულა ძირს დაუშვა. ხელის ზურგით ოფლისა და ცრემლების მოწმენდა სცადა, მაგრამ ხელი თვალებამდე ვერ მიიტანა. აირწინაღი უშლიდა. იქნებ მოეხსნა და ჯანდაბაში მოესროლა? რაღა მნიშვნელობა ჰქონდა...

მგონი, ავადმყოფები ავტომატების ჯერზე ხმამაღლა ღრიალებდნენ. მაშ, რატომ გამორბოდა სულ უფრო და უფრო მეტი ავადმყოფი ვაგონიდან ტყვიისკენ? ნუთუ გრუხუნი არ ესმოდათ, ნუთუ ვერ ხვდებოდნენ, რომ მათ დახვრეტდნენ? რის იმედი ჰქონდათ? თუ უკვე აღარც მათთვის ჰქონდა რამეს მნიშვნელობა?

პლატფორმის გახსნილი გასასვლელი რამდენიმე მეტრზე დასივებული სხეულებით იყო ჩახერგილი. ზოგიერთი ჯერ კიდევ მოძრაობდა. გროვის სიღრმიდან ვიღაცის კვნესა აღწევდა. ავადმყოფები ერთმანეთს ეკვროდნენ, რომ ტყვიებისთვის თავი დაეღწიათ.

არტიომმა დანარჩენი ავტომატიანები მოათვალიერა: მხოლოდ მას უკანკალებდა ხელები და მუხლები თუ სხვებსაც? არც ერთი მათგანი ხმას არ იღებდა. თავიდან მეთაურიც კი დუმდა. ისმოდა, როგორ ხრიალებდა გადატენილი მატარებელი, როგორ ცდილობდნენ ხველის შეკავებას და როგორ ახველებდა გვამების ქვეშ მომწყვდეული მომაკვდავი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მხეცებო... არამზადებო... მე ხომ ჯერ ცოცხალი ვარ... როგორი მძიმეა...

მეთაურმა მაინც ესროლა, მოუჯდა გვერდით და საცოდავს მჭიდი დააცალა: დააჭირა სასხლეტს ხელი და არ აუშვია, სანამ ცარიელი იარაღის ჩხაკუნი არ გაისმა. მერე წამოდგა, თავის პისტოლეტს დახედა, რატომღაც შარვალზე შეიწმინდა და ხრინწიანი ხმით დაიყვირა:

– სიმშვიდე შეინარჩუნეთ! ლაზარეთის ნებართვის გარეშე დატოვება დაისჯება და ამიერიდან...

– გვამებს რა ვუყოთ? – ჰკითხეს მას.

– უკან შეყარეთ, მატარებელში. ივანენკო, აქსიონოვ, მიხედეთ!

წესრიგი აღდგა. არტიომს შეეძლო თავის ადგილზე დაბრუნებულიყო და დაძინება ეცადა. ერთ საათს მაინც თუ ნათვლემდა, მომდევნო მორიგეობას ფეხზე დგომას შეძლებოდა...

სხვანაირად გამოვიდა.

ივანენკომ უკან დაიხია, თავი გაიქნია, უარი თქვა ჩირქიანი, დაშლილი სხეულებისთვის ხელის ხლებაზე. მეთაურმა იარაღიანი ხელი გაიშვირა მისკენ, დაავიწყდა, რომ ტყვიები გაუთავდა, ბოროტად დაიხრიალა, მერე სასხლეტს გამოჰკრა – ტყუილად. ივანენკომ წამოიყვირა და გაიქცა.

და ამ დროს ერთ-ერთმა მებრძოლმა, რომელსაც ხველება ლამის ახრჩობდა, ავტომატი გადმოიღო და მოუხერხებლად, ცერად გაუყარა ხიშტრი მეთაურს ზურგში. მეთაური არ წაქცეულა, ნელ-ნელა შებრუნდა მისკენ, ვინც დაარტყა, და ხმადაბლა ჰკითხა:

– ეს რა გააკეთე, შე ძალლო?!

– შენ ყველას ამოგვხოცავ მალე... სადგურზე ჯანმრთელი არავინაა! დღეს ჩვენ შევყარეთ ისინი ვაგონში, ხვალ კი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩვენ შეგვყრი ასე... – უყვიროდა მას დამრტყმელი, ცდილობდა მეთაურის ზურგიდან ავტომატი ამოეძრო, მაგრამ რატომლაც არ ესროდა.

არავინ ჩარეულა. არტიომიც კი, რომელმაც ამ ორისკენ ნაბიჯი გადადგა, რაღაცის მოლოდინში გაშეშდა. მებრძოლმა, ბოლოს და ბოლოს, გამოაძრო ხიშტი ზურგიდან. მეთაურმა, თითქოს ზურგის მოფხანას ცდილობსო, ჭრილობისკენ წაილო ხელი, მერე მუხლებზე დაეშვა, ხელებით სლიპინა იატაკს დაეყრდნო, თავი გაიქნია. გონს მოსვლას ცდილობდა თუ გაღვიძებას?

მეთაურისთვის ტყვიის დამატებას ვერავინ ბედავდა. მეამბოხემაც კი, რომელმაც დაჭრა, შეშინებულმა დაიხია უკან, მერე კი აირწინალი მოიგლიჯა და მთელი სადგურის გასაგონად იყვირა:

– ძმებო, გვეყოფა მათი წამება! გაუშვით! ისინი მაინც დაიხოცებიან! ჩვენც დავიხოცებით! ჩვენ რა, ადამიანები არ ვართ?

– არ გაბედო... – მეთაურის ხრიალი არავის გაუგონია.

ავტომატიანები ბუზღუნით თათბირობდნენ. ვაგონს ერთ ადგილას გისოსები მოგლიჯეს, სხვა ადგილასაც... მერე ვილაცამ მოთავეს სახეში ესროლა და ის უკან გადავარდა, დანარჩენ მკვდრებს დაეცა. მაგრამ უკვე გვიან იყო: ავადმყოფები გამარჯვებული ღრიალით გამოცვივდნენ მატარებლიდან დარბაზში, მოუხერხებლად გარბოდნენ გაძვალტყავებული ფეხებით, დაბნეულ დარაჯებს ავტომატებს გლეჯდნენ ხელიდან და უმისამართოდ გარბოდნენ. ზოგი დარაჯი ჯერ კიდევ ესროდა ავადმყოფებს, დანარჩენები კი მათ შეერივნენ და მათთან ერთად სხვადასხვა გვირაბისკენ გაიქცნენ: ნაწილი ჩრდილოეთით,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„სერპუხოვსკაიასკენ", დანარჩენები – სამხრეთით, „ნაგა-
ტინსკაიასკენ".

არტიომი ადგილიდან არ დაძრულა, უაზროდ მიშტე-
რებოდა მეთაურს, რომელიც სიკვდილს ებრძოდა – ჯერ
ოთხით მიცოცავდა წინ, მერე ადგა და საოდღაც წავიდა.

– ახლა გელოდებათ სიურპრიზი... გეგონათ, მზად არ
ვიქნებოდი?.. – ბუტბუტებდა ის.

მისი უაზრო მზერა არტიომზე შეჩერდა. წამით გაირინ-
და, მერე კი ჩვეული ხმით, რომელიც ვერ იტანდა დაუმორ-
ჩილებლობას, დაიღრიალა:

– პოპოვ! რადიოგადამცემ ოთახში წამიყვანე, ჩრდილო-
ეთის ბლოკპოსტი უნდა გავაფრთხილო, რომ ჭიშკარი გა-
დაკეტოს...

არტიომი მხარში შეუდგა და ერთად მძიმედ ჩაუარეს
დაცარიელებულ მატარებელს, მოჩხუბარ ადამიანებს, ნაგ-
ვის გროვებს, ჯიხურს, სადაც ტელეფონი იდგა. ჭრილობა
სასიკვდილო არ ჩანდა, მაგრამ მეთაური ბევრ სისხლს კარ-
გავდა. სანამ რადიოგადამცემ ოთახში მივიდნენ, მეთაურ-
მა გონება დაკარგა.

არტიომმა კარს მაგიდა მიადგა, შიდა სატელეფონო კო-
მუტატორის მიკროფონი აიღო და ჩრდილოეთის საგუშაგო
გამოიძახა. მოწყობილობა ჩხაკუნებდა, ხრიალებდა და სა-
ეჭვოდ დუმდა.

თუკი ამ ლიანდაგის გადაკეტვა დაგვიანებული იყო, არ-
ტიომს „დობრინინსკაია" მაინც უნდა გაეფრთხილებინა! ის
ტელეფონს მივარდა, პულტზე განთავსებული ორი ღილა-
კიდან ერთ-ერთს დააჭირა და რამდენიმე წამს შეიცადა...
აპარატი ჯერ კიდევ მუშაობდა. თავიდან ყურმილში მხო-
ლოდ ექო ჩურჩულებდა, მერე ჭრიჭინი გაისმა და ბოლოს
ზარიც გავიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთი... ორი... სამი... ოთხი... ხუთი... ექვსი...

ღმერთო, ნეტავ უპასუხონ! თუკი ჯერ კიდევ ცოცხლები არიან, უნდა უპასუხონ, შანსი უნდა მისცენ! ნეტავ უპასუხონ, სანამ ავადმყოფები სადგურის საზღვრებს მიაღწევენ! არტიომი მზად იყო, სული ეშმაკისთვის მიეყიდა, ოღონდ კი კაბელის მეორე მხარეს ვინმეს ყურმილი აეღო.

და ამ დროს შეუძლებელი მოხდა. მეშვიდე ზარი შუაზე გაწყდა, მოისმა კვნესა, მერე ჩხუბის ხმა და ამ ხმაურში ვილაცის გაბზარული, მღელვარე ხმა გაისმა:

– „დობრინინსკაია" გისმენთ!

* * *

გალია ნახევრად სიბნელეში იყო ჩაფლული, მაგრამ ჰომეროსისთვის ეს მკრთალი სინათლეც საკმარისი იყო, რომ დაენახა: პატიმრის მეტისმეტად სუსტი, უსიცოცხლო სხეული ბრიგადირს ნამდვილად არ ეკუთვნოდა. გისოსებს მილმა ძალაგამოცლილი საფრთხობელა იჯდა – მგონი, მცველი... მკვდარი. მაგრამ ჰანტერი სად უნდა წასულიყო?!

– მადლობა. ცოტაც და, ველარ დაგელოდებოდი, – მოისმა ყრუდ, – იქ ვიწროდ ვიყავი.

მელნიკი თავისი ეტლით ჰომეროსზე სწრაფად შეტრიალდა და ბრიგადირი დაინახა, რომელიც გასასვლელში იდგა და სადგურზე გამავალ გზას კეტავდა.

– ეს... შენ ხარ? – მელნიკს სახის კუნთი აუთამაშდა.

– ჯერ კი, – უცნაურად ჩაახველა ჰანტერმა.

ჰომეროსს რომ არ სცოდნოდა, რომ ჰანტერმა სიცილი არ იცოდა, ნამდვილად მოტყუვდებოდა და ამას სიცილად ჩაუთვლიდა.

– რა გჭირს? სახეზე რა დაგემართა? – ჰკითხა მელნიკმა და ხელის აქნევით დაცვას გარეთ გასვლა ანიშნა. ჰომეროსი დარჩა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– არც შენ ხარ საუკეთესო ფორმაში, – ბრიგადირმა ისევ ჩაახველა.

– სისულელეა, – დაიმანჭა მელნიკი, – სამწუხაროდ, ვერ გადაგეხვევი. ჯანდაბა... სად დაიკარგე? რამდენს გეძებდით!

– ვიცი. მჭირდებოდა... მარტოობა, – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოლერლა ჰანტერმა, – მე... ადამიანებთან არ მინდოდა. სამუდამოდ მინდოდა წასვლა, მაგრამ შემეშინდა.

– რა მოხდა მაშინ, შავებთან? მათგან ხარ ასე? – მელნიკმა ლურჯ ნაწიბურებზე ანიშნა.

– არაფერი. მათი განადგურება ვერ შევძელი, – ბრიგადირმა ნაიარევზე დაიდო ხელი, – ვერ შევძელი. მათ მე... დამიმორჩილეს.

– არადა, შენ მართალი აღმოჩნდი, – მოულოდნელად გაცეცხლდა მელნიკი, – მაპატიე, რომ თავიდან ყურადღება არ მივაქციე, არ დავიჯერე. ჩვენ მაშინ ისეთი სიტუაცია გვქონდა... ხომ გესმის... მაგრამ ჩვენ ვიპოვეთ ისინი, დედაბუდიანად ამოვბუგეთ. ვფიქრობდით, რომ შენ ცოცხალი აღარ იყავი. რომ შენ მათ... მე ისინი შენ გამო... შენთვის. ყველა, ბოლომდე გავანადგურე!

– ვიცი, – ხრინწიანად თქვა ჰანტერმა, – მათაც იცოდნენ, რომ ასე იქნებოდა – ჩემ გამო. მათ ყველაფერი იცოდნენ. მათ ადამიანების დანახვა შეეძლოთ, ყოველი მათგანის ბედის. შენ არც კი იცი, ვისზე ავწიეთ ხელი... ბედმა უკანასკნელად გაგვილიმა... ისინი გამოგვიგზავნა... კიდევ ერთი შანსი მოგვცა... ჩვენ კი... მე ისინი გავწირე, თქვენ კი შეასრულეთ. იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ასეთები. იმიტომ, რომ ურჩხულები ვართ...

– რა?..

– მათ ჩემი თავი მიჩვენეს. თითქოს სარკეში ვიყურებოდი და ყველაფერს ისე ვხედავდი, როგორც არის. საკუთარ თავზე ყველაფერს მივხვდი. რატომ დაგვემართა ასე...

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

– რაზე ლაპარაკობ?! – მელნიკმა შეშფოთებულით გახედა კარს. ხომ არ ნანობდა, დაცვის გაშვება რომ იჩქარა?

– გეუბნები, ჩემი თავი მათი თვალებით დავინახე, როგორც სარკეში. გარეგნობა კი არა, შინაგანი სამყარო... შირმას ამოფარებული... მათ გამოიყვანეს სარკესთან, რომ ჩემთვის ეჩვენებინათ. კაციჭამია ურჩხულისთვის. ჩემივე თავის შემეშინდა. გავიღვიძე. ადრე თავს ვიტყუებდი... ვამბობდი, ვიცავ-მეთქი... ვიტყუებოდი. უბრალოდ, მშიერი მხეცივით ვლადრავდი ყელს. მხეცზე უარესად. სარკე გაქრა. ეს შეგრძნება კი... ეს... დარჩა. გაიღვიძა და დაძინება ალარ უნდოდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამის შემდეგ თავს მოვიკლავდი. რისთვის უნდა მეცხოვრა... მე კი არ გავაკეთე. მე უნდა მებრძოლა. ჯერ მარტოს... რომ არავის დაენახა. ადამიანებისაგან შორს. მეგონა, თვითონ დავისჯიდი თავს, რომ მათ არ დავესაჯე. მეგონა, ტკივილით გავაძევებდი მას... – ნაიარევებს შეეხო, – მერე მივხვდი, რომ ადამიანების გარეშე ის მომერეოდა. თავი მავიწყდებოდა. და დავბრუნდი.

– მათ ტვინი გამოგირეცხეს! – მძიმედ წარმოთქვა მელნიკმა.

– არა უშავს. უკვე ყველაფერმა ჩაიარა, – ბრიგადირმა ნანიბურებს ხელი შეუშვა და ხმა შეეცვალა, ისევ ყრუდ, უსიცოცხლოდ ალაპარაკდა: – თითქმის ყველაფერმა. ის ისტორია დიდი ხანია დასრულდა, რაც მოხდა, მოხდა. ჩვენ ახლა მარტონი ვართ, უნდა გამოვძვრეთ. მაგრამ ამის სათქმელად არ მოვსულვარ. „ტულსკაიაზე" ეპიდემიაა, შეიძლება „სევასტოპოლსკაიაზეც" გავრცელდეს და ნრიულზეც. ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები ციებ-ცხელება. საკვდილია.

– ჩემთვის არ მოუხსენებიათ, – მელნიკი ეჭვით შესცქეროდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– არავისთვის არ მოუხსენებიათ. ეშინიათ. იტყუებიან. მალავენ. არ იციან, რა გააკეთონ.

– ჩემგან რა გინდა? – მელნიკი ეტლით მიუახლოვდა.

– შენც კარგად იცი. საფრთხე უნდა აღმოიფხვრას. ჟეტონი მომეცი. მომეცი ხალხი. ცეცხლმტყორცნები. უნდა დაიხუროს და გაიწმინდოს „ტულსკაია". საჭიროების შემთხვევაში – „სერპუხოვსკაია" და „სევასტოპოლსკაიაც". იმედია, ამის იქით არ წასულა ეპიდემია.

– ყოველი შემთხვევისთვის, სამი სადგური ამოვწყვიტოთ? – ჩაეკითხა მელნიკი.

– რომ დანარჩენები გადავარჩინოთ.

– ასეთი სასაკლაოს შემდეგ ყველა შეიძულებს ორდენს...

– ვერავინ ვერაფერს გაიგებს. არავის დავტოვებთ, ვინც შეიძლება გაავრცელოს დაავადება... ან ნახოს.

– ასეთ ფასად?!

– არ გესმის? თუკი დროზე არ ვუშველით, გადასარჩენიც აღარავინ იქნება. ჩვენ ძალიან გვიან შევიტყვეთ ეპიდემიის შესახებ. მისი შეჩერების მეტი შანსი აღარ იქნება. ორი კვირის შემდეგ მთელი მეტრო ჭირიანების ბარაკად იქცევა, ერთი თვის მერე – სასაფლაოდ.

– მე თვითონ უნდა დავრწმუნდე.

– არ გჯერა ჩემი? ფიქრობ, რომ ჭკუიდან შევიშალე? არც მაშინ გჯეროდა და ახლაც ეჭვი გეპარება. ფეხებზე მკიდია. მარტო წავალ. როგორც ყოველთვის. სინდისი მაინც მექნება სუფთა.

ჰანტერი შებრუნდა, გაშეშებულ ჰომეროსს ხელი ჰკრა და გასასვლელისკენ წავიდა. მაგრამ მის მიერ ნათქვამი ბოლო სიტყვები ეკლად მოხვდა მელნიკს გულზე და უკან გაჰყვა ბრიგადირს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მოიცა! ჟეტონი აიღე! – მან გაძვალტყავებული ხელით ფაციფუცით მოძებნა კიტელში რაღაც და შეჩერებულ ჰანტერს არაფრით გამორჩეული ბალთა მიაწოდა, – უფლებას გაძლევ!

ბრიგადირმა აიღო ჟეტონი და ჯიბეში ჩაიდო, უსიტყვოდ დაუქნია თავი და მელნიკს თვალი გაუსწორა.

– დაბრუნდი, – ჩაილაპარაკა მელნიკმა, – დავიღალე.

– მე კი პირიქით... ძალ-ღონით სავსე ვარ, – ჩაახველა ჰანტერმა და გავიდა.

* * *

საშა კარგა ხანს ვერ ბედავდა, კიდევ დაერეკა: საჭირო არ არის ზურმუხტქალაქის მცველებისათვის თავის მოგზრება. მათ ალბათ უკვე გაიგეს მისი ხმა და შესაძლებელია, კარგადაც შეათვალიერეს. ალბათ თათბირობენ, შეუშვან თუ არა უცხო, რომელმაც მათი პაროლი გამოიცნო.

რას ეტყვის მათ, როცა კარი გაიღება: ეპიდემიის შესახებ მოუყვება, რომელიც „ტულსკაიაზე" მძვინვარებს? მოისურვებენ კი ჩარევას? გარისკავენ? იქნებ ისინიც ლეონიდივით ხედავენ ადამიანს და ყველაფერს ხვდებიან? იქნებ პირდაპირ მოუყვეს მათ ციებ-ცხელების შესახებ, რომელიც საშასაც გადაედო? მათაც უამბოს ის, რასაც აქამდე საკუთარ თავსაც კი არ უმხელდა?.. ან შეძლებს კი მათ აღელვებას? თუკი მათ კარგა ხნის წინ დაამარცხეს ეს საშინელი დაავადება, რატომ არ ერევიან? რატომ არ აგზავნიან „ტულსკაიაზე" შიკრიკს წამლით? ჩვეულებრივი ადამიანების მიმართ შიშის გამო თუ იმ იმედით, რომ ჭირი ყველას გაანადგურებს? თავად მათ ხომ არ შეჰყარეს მეტროს ეს ავადმყოფობა?

არა! როგორ შეეძლო ასე ეფიქრა! ლეონიდი ამბობდა, რომ ზურმუხტქალაქის მცხოვრებლები სამართლიანები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და კაცთმოყვარეები არიან; რომ არც სიკვდილით სჯიან და არც თავისუფლების აღკვეთით და ამ უსასრულო სილამაზეში ვერავინ გაბედავს დანაშაულის ჩაფიქრებასაც კი.

მაშინ, რატომ არ ეხმარებიან განწირულებს? რატომ არ ულებენ კარს?!

საშამ კიდევ ერთხელ დარეკა ზარი. მერე კიდევ.

ფოლადის კარის მიღმა ისეთი სიჩუმე იყო, თითქოს ცრუ კარი იყო და ტონობით მიწის გარდა არაფერს მალავდა.

– არ გაგიღებენ.

საშა უცებ შემობრუნდა. მისგან ათიოდე ნაბიჯში მუსიკოსი იდგა – გაჩეჩილი და სევდიანი.

– მაშინ შენ სცადე, იქნებ გაპატიეს? – დაიბნა საშა, – შენ ხომ ამისთვის მოხვედი?

– ვერავინ მაპატიებს. იქ სიცარიელეა.

– მაგრამ შენ ხომ ამბობდი...

– მოგატყუე. ეს არ არის ზურმუხტქალაქში შესასვლელი.

– აბა სად არის?...

– არ ვიცი. არც არავინ იცის, – ხელები გაშალა მან.

– მაგრამ... შენ რა, არ ხარ დამკვირვებელი?.. შენ ხომ... წრიულზეც, წითლებთანაც... მეხუმრები, ხომ? წამოგცდა ქალაქის შესახებ და ახლა ნანობ?! – საშა საცოდავად ეძებდა მუსიკოსის თვალებს, რომ შიგ ჩაეხედა და იმის დასტური ეპოვა, რასაც ამბობდა.

– მე თვითონაც ყოველთვის ვოცნებობდი იქ მოხვედრაზე, – ლეონიდი ჯიუტად დაჰყურებდა მიწას, – მრავალი წლის განმავლობაში ვეძებდი. ჭორებს ვაგროვებდი, ძველ წიგნებს ვკითხულობდი. მხოლოდ ამ ადგილას ალბათ ასჯერ მაინც მოვსულვარ. ეს ზარი ვიპოვე... რამდენიმე დღეს უშედეგოდ ვრეკავდი...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– რატომ მომატყუე? – საშა მისკენ გაიწია, მარჯვენა ხელი თავისით წავიდა დანისკენ, – რა დაგიშავე? რატომ მომექეცი ასე?

– მინდოდა, მათთვის წამერთმია შენი თავი, – დანის დანახვაზე მუსიკოსი დაიბნა და გაქცევის ნაცვლად რელსზე ჩამოჯდა, – მეგონა, რომ თუ შენთან ერთად მარტო დავრჩებოდი...

– ახლა რილასთვის დაბრუნდი?

– რთული სათქმელია, – ლეონიდი მორჩილად აჰყურებდა ქვემოდან საშას, – ალბათ მივხვდი, რომ ზღვარს გადავედი, როცა აქ გამოგიშვი... მარტო დავრჩი და დავფიქრდი... სული დაბადებიდანვე შავი არ არის. თავიდან გამჭვირვალეა და მერე, თანდათან მუქდება, ლაქას ლაქა მოჰყვება – ყოველ ჯერზე, თავს ბოროტებას პატიობ, ამართლებ, თავს ირწმუნებ, რომ ეს მხოლოდ თამაშია. მაგრამ რაღაც მომენტში შავი სჭარბობს. იშვიათად თუ შეუძლია ვინმეს, იგრძნოს ეს მომენტი, შიგნიდან არ ჩანს. მე კი ლია ვინმეს, მივხვდი, რომ ახლა და აქ ვაბიჯებ იმ ზღვარს და მეუცებ მივხვდი, რომ ახლა და აქ ვაბიჯებ იმ ზღვარს და მერე სხვანაირი გავხდები. სამუდამოდ. და მოვედი, რომ მელიარებინა. სწორედ იმიტომ, რომ შენ არ დაგიმსახურებია.

– მაშინ რატომ ეშინია შენი ყველას? რატომ გელაქუცებიან?

– მე არა, – ამოიოხრა ლეონიდმა, – მამაჩემს.

– რა?

– გვარი „მოსკვინი" არაფერს გეუბნება?

– არა, – საშამ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

– მაშინ ერთადერთი ხარ მთელ მეტროში, – სევდიანად ჩაიცინა მუსიკოსმა, – მოკლედ, მამაჩემი დიდი უფროსია. მთელი წითელი ხაზის უფროსი. დიპლომატიური პასპორტი გამიკეთა. ამიტომაც მატარებენ ყველგან. იშვიათი გვა-

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

რია, დაკავშირებას ვერავინ რისკავს. მხოლოდ უცოდინ-
რობის შემთხვევაში.

– და რა... – გაბოროტებული საშა გვერდზე გადგა, – აკ-
ვირდები? ამისთვის გამოგიშვეს?

– თავიდან მომიშორეს. მამაჩემი მიხვდა, რომ ჩემგან
„ადამიანს" ვერ გამოიყვანდა და ფეხებზე დაიკიდა. აი, ასე
ვარცხვენ მის გვარს ნელ-ნელა, – დაიმანჭა ლეონიდი.

– იჩხუბე მასთან? – თვალები მოჭუტა გოგონამ.

– ამხანაგ მოსკვინთან ჩხუბი როგორ შეიძლება?! ის ხომ
ქანდაკებაა! გამომაძევეს და დამწყევლეს. მე ბავშვობიდან
უახირებული და უცნაური ვიყავი. ყოველთვის ლამაზი სუ-
რათებისკენ მივიწევდი, ნათელი ფერებისკენ, როიალისკენ,
წიგნებისკენ. დედამ „გამაფუჭა", გოგო უნდოდა. მერე მამამ
მომკიდა ხელი, სცადა, ცეცხლსასროლი იარაღი შეეყვარე-
ბინა და პარტიული ინტრიგებით დავეინტერესებინე, მაგ-
რამ გვიან იყო. დედა ფლეიტაზე დაკვრას მასწავლიდა, მამა
კი ქამრით ცდილობდა დაკვრის დავიწყებას. პროფესორი,
რომელიც მამეცადინებდა, გადაასახლა და პოლიტიკური
ხელმძღვანელი მიუჩინა. სულ ტყუილად. მე უკვე მოვასწარი
შიგნიდან გამოლპობა. არ მომწონდა წითელი ხაზი, ზედმე-
ტად ნაცრისფრად მეჩვენებოდა. ნათელი ცხოვრება მინდო-
და, მინდოდა დამეკრა, მეხატა. ერთხელ მამაჩემმა მოზაიკის
ჩამოსამტვრევად გამიშვა, აღმზრდელობითი მიზნით, რათა
გამეგო, რომ სილამაზე წარმავალია. ჩამოვამტვრიე, რომ გა-
მათრახება თავიდან ამეცილებინა. მაგრამ სანამ ვამტვრევ-
დი, ყოველი დეტალი დავიმახსოვრე და ახლა თვითონაც შე-
მიძლია მისი აწყობა. იმ დღიდან კი მამაჩემი შემძულდა.

– არ შეიძლება მამაზე ასე ლაპარაკი! – აღშფოთდა საშა.

– ჩემთვის შეიძლება, – გაიღიმა მუსიკოსმა, – აი, სხვებს
კი ამის გამო ხვრეტენ. რაც შეეხება ზურმუხტქალაქს...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემი პროფესორი მიყვებოდა ჩურჩულით, სანამ ჯერ კიდევ პატარა ვიყავი. მეც გადავწყვიტე, რომ როცა გავიზრდებოდი, აუცილებლად ვიპოვიდი შესასვლელს. მჯერა, არის ქვეყნად ადგილი, სადაც აზრი აქვს იმას, რისთვისაც მე ვცხოვრობ; სადაც ყველა ამისთვის ცხოვრობს; სადაც არც უვარგისი პატარა ნაბიჭვარი ვიქნები, არც ხელთეთრა პრინცი, არც დრაკულას შთამომავალი, არამედ თანასწორთა შორის თანასწორი.

– და ვერ იპოვე... – საშამ დანა შეინახა. ნათქვამი გააანალიზა და მთავარს მიხვდა, – იმიტომ, რომ ის არ არსებობს.

ლეონიდმა მხრები აიჩეჩა. წამოდგა, ზართან მივიდა და ლილაკს დააჭირა.

– ალბათ არ აქვს მნიშვნელობა, ესმის თუ არა ჩემი ვინმეს. არც იმას, არის თუ არა ასეთი ადგილი. მთავარია, მე მჯერა, რომ ის არსებობს. და რომ ჩემი ესმით. რომ უბრალოდ, ჯერ კიდევ არ დამიმსახურებია, კარი გამიღონ.

– და ნუთუ ეს გყოფნის? – ჰკითხა საშამ.

– ყოველთვის ჰყოფნიდა მთელ კაცობრიობას, მეც მეყოფა, – მხრები აიჩეჩა მუსიკოსმა.

* * *

მოხუცი ბრიგადირს დაედევნა, დაბნეულმა პლატფორმაზე მიმოიხედა, მაგრამ ველარსად დაინახა. იზოლატორიდან მელნიკიც გამოგორდა. სახეზე ნაცრისფერი დაჰკრავდა, გამოფიტული ჩანდა, თითქოს საიდუმლო ჟეტონთან ერთად ბრიგადირისთვის სულიც გაეტანებინოს.

სად და რატომ გაიქცა ჰანტერი? რატომ მიატოვა ჰომეროსი? მელნიკისთვის კითხვა არ ღირდა, ამ ადამიანს უნდა დამალვოდა, სანამ მოხუცის არსებობა გაახსენდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვითომ ბრიგადირს ეწეოდა, ჰომეროსი იქაურობას გაეცალა ჩქარი ნაბიჯით, მაგრამ არავის შეუჩერებია, მელნიკს ალბათ ალარც აინტერესებდა.

ჰანტერმა ხომ უთხრა, მჭირდები, რათა საკუთარი თავი არ დამავიწყდესო, იცრუა? იქნებ იმისთვის არ უნდოდა, დაჰვიწყებოდა, რომ აწყვეტილ ბრძოლაში ჩართულიყო პოლისში – ბრძოლაში, რომელიც შეიძლებოდა წაეგო ისე, რომ „ტულსკაიამდე" ვერ მიელწია? მას ზებუნებრივი ინსტინქტები და ადამიანის მოკვლის უნარი ჰქონდა, მაგრამ ისიც კი ვერ ბედავდა მარტოს აეღო შტურმით მთელი სადგური. ჰომეროსი, რომელმაც ის პოლისამდე მოაცილა, სცენიდან უსამართლოდ მიაბრძანეს, რადგან ამ ისტორიის დასასრული ნამდვილად მასზეც იყო დამოკიდებული. მან შეუწყო ხელი, რომ ფინალი სწორედ ისეთი გამოსულიყო, როგორც ის ბრიგადირმა დაგეგმა – ან მან, ვინც მის ნაცვლად ლაპარაკობდა.

რა ჟეტონი იყო ეს? საშვი? ძალაუფლების სიმბოლო? „შავი ნიშანი"? ავანსად გაცემული ინდულგენცია ყველა იმ ცოდვაზე, რომელთა საკუთარ თავზე აღებასაც ჰანტერი ასე ესწრაფვოდა? როგორც უნდა ყოფილიყო, როდესაც მელნიკს ჟეტონი და თანხმობა გამოჰგლიჯა ხელიდან, ჰანტერმა საბოლოოდ გაიხსნა ხელები. ბრიგადირი არავისთვის აპირებდა ალსარების ჩაბარებას. ალსარება! ის საშინელი არსება, რამაც ახლა მასში გაიმარჯვა, იშვიათად იყურებოდა სარკეში და ნორმალურად ვერც კი ლაპარაკობდა...

რა მოხდება „ტულსკაიაზე", როდესაც ჰანტერი იქამდე მიაღწევს? შეძლებს კი დაიცხროს წყურვილი, როდესაც მთელ სადგურს – ორს, სამს – სისხლში ჩაახრჩობს? თუ პირიქით, ის საშინელი, რომელიც მასში ცხოვრობს, ასეთი ძღვენისგან უსასრულოდ გაიზრდება?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ორი ჰანტერიდან რომელს დაჰყავდა ჰომეროსი თან? მას, რომელიც ადამიანებს ჭამდა თუ მას, რომელიც ურჩხულს ებრძოდა? რომელი მათგანი ჩაერთო „პოლიანკაზე" ფანტომურ ბრძოლაში? რომელი სთხოვდა მოხუცს დახმარებას?

ან იქნებ... იქნებ ჰომეროსს ის უნდა მოეკლა და ეს იყო მისი მთავარი დანიშნულებაც? იქნებ ძველი ბრიგადირის ნაშთმა, თითქმის ბოლომდე გასრესილმა და ჩამკვდარმა, იმიტომ წაიყოლა მოხუცი ამ მოგზაურობაში, რომ მას ყველაფერი თავისი თვალით ენახა და შიშის ან გულმონყალების გამო მოლალატესავით კეფაში სროლით მოეკლა სადმე ბნელ გვირაბში? ბრიგადირს არ შეეძლო თავის მოკვლა და ამიტომ თვითონ მოძებნა ჯალათი, რომელიც იმდენად მიხვედრილი იქნებოდა, რომ თხოვნისა და მინიშნების გარეშე ყველაფერს თავად გააკეთებდა, მოატყუებდა ჰანტერში იმას, რომელიც ყოველნუთიერად იზრდებოდა და სიკვდილი არ უნდოდა.

მაგრამ ჰომეროსს გამბედაობაც რომ მოეკრიბა, შესაფერისი მომენტიც შეერჩია და თავსაც დასხმოდა ჰანტერს, რას მისცემდა ეს? ჭირს მარტო ვერ შეაჩერებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სინამდვილეში მას არაფერი ევალებოდა გარდა იმისა, რომ ყველაფრისთვის თვალყური ედევნებინა და ჩაეწერა.

ჰომეროსს შეეძლო ევარაუდა, თუ საით წავიდოდა ბრიგადირი. ნახევრად მითური ორდენი, რომელსაც თურმე განეკუთვნებოდნენ მელნიკიც და ჰანტერიც, მითებისავე თანახმად, პოლისის შუაში, „სლომენსკაიაზე" იყო გამაგრებული. მისი ლეგიონერები იცავდნენ მეტროსა და მის მოსახლეობას იმ საფრთხისგან, რომელსაც ჩვეულებრივი სადგურის ჯარი ვერ გაუმკლავდებოდა... სულ ეს იყო, თავის შესახებ რის ცოდნის უფლებასაც ორდენი იძლეოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოხუცი „სლომენსკაიაზე" მოხვედრაზე ვერც კი იოცნებებდა. ეს სადგური ისეთივე მიუდგომელი იყო, როგორც ალამუთის ციხე. თუმცა, აზრიც არ ჰქონდა ამას: ისევ რომ შეხვედროდა ბრიგადირს, ამისთვის საკმარისი იყო „დობრინინსკაიაზე" დაბრუნებულიყო... და იქ დალოდებოდა.

მოხუცი ფიქრობდა, რომ თავისი როლი ნაწარმოების შექმნა იყო და არა სროლა, უკვდავების მინიჭება და არა მოკვლა. ამიტომაც არ უნდა განესაჯა და არც ჩარეულიყო, საშუალება უნდა მიეცა წიგნის გმირებისთვის, თავად ემოქმედათ. მადლობა ღმერთს, გოგონა მაინც გაუშვა იმ გაიძვერასთან ერთად. გარდაუვალი სისხლისღვრის ყურებისგან მაინც დაიცვა საშა.

ჰომეროსმა სადგურის საათს შეხედა: თუ ბრიგადირი გრაფიკის მიხედვით მოძრაობდა, მაშინ ჰომეროსს ცოტა დრო კიდევ რჩებოდა.

ორიოდე საათი, რომ საკუთარ თავთან მარტო დარჩენილიყო; რომ პოლისი უკანასკნელ ტანგოზე გამოეწვია.

* * *

– და როგორ აპირებდი შესვლის უფლების მოპოვებას? – ჰკითხა საშამ.

– სისულელეა, მაგრამ... ჩემი ფლეიტით. მეგონა, მას შეეძლო რამის გამოსწორება. ხომ ხვდები... მუსიკა ყველაზე წარმავალი, ეფემერული ხელოვნებაა. ის ზუსტად იმდენ ხანს ცოცხლობს, რამდენ ხანსაც ინსტრუმენტი ჟღერს, მერე კი წამშივე ქრება. მაგრამ არაფერი არ აავადებს ადამიანს ისე სწრაფად, როგორც მუსიკა, არაფერი ჭრის ისე ღრმად და არ აშუშებს ისე ნელა. მელოდია, რომელმაც შენ შეგძრა, მუდამ შენთან დარჩება. ეს სილამაზის ელექსირია. მეგონა, მუსიკით სულიერი სიმახინჯეც კი განიკურნებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– უცნაური ხარ, – უთხრა საშამ.

– ახლა კი უცებ მივხვდი, რომ კეთროვანი კეთროვანს ვერ განკურნავს. სანამ შენ არ გამოგიტყდები ყველაფერში, არ გამოლებენ კარს.

– გგონია, გაპატიებ ტყუილსა და სისასტიკეს?! – მკაცრად გახედა საშამ.

– მომცემ კიდევ ერთ შანსს? – მოულოდნელად გაულიმა ლეონიდმა, – შენ ხომ ამბობ, რომ ჩვენ ყველას გვაქვს შანსის უფლება.

გოგონა დაძაბულად დუმდა, არ უნდოდა, ისევ აჰყოლოდა უცნაურ თამაშში. ახლახან დაუჯერა მუსიკოსს, მის სიყვარულს და აჰა, ისევ?

– ყველაფერში, რასაც გიყვებოდი, ერთი სიმართლე იყო, – უთხრა ლეონიდმა, – განკურნების საშუალება არსებობს.

– წამალი? – საშა გამოფხიზლდა, მზად იყო, კიდევ ერთხელ მოტყუებულიყო.

– ეს არც აბებია და არც ხსნარი. რამდენიმე წლის წინ ასეთი ავადმყოფობა ჩვენთანაც იყო, „პრეობრაჟენსკაიაზე". მარტივია.

– ჰანტერმაც რატომ არაფერი იცის ამის შესახებ?

– ეპიდემია არ ყოფილა. დაავადებამ თვითონ დაიხია უკან. ეს ბაქტერიები მგრძნობიარეები არიან რადიაციის მიმართ. რაღაც ემართებათ... მგონი, დაყოფას აჩერებენ... და დაავადებაც ჩერდება. შემთხვევით აღმოაჩინეს. აი, ეს არის მთელი წამალი. გამოსავალი, ასე ვთქვათ, ზედაპირზეა.

– მართლა? – აღელვებულმა გოგონამ მისი ხელი აიღო.

– მართლა, – ბიჭმა მის ხელს ხელი დააფარა, – ოლონდ მათ უნდა დავუკავშირდეთ და გავაგებინოთ...

– აქამდე რატომ არ მითხარი? ეს ხომ ასეთი მარტივია! არადა, რამდენი ადამიანი მოკვდა ამ ხნის განმავლობაში...

– გოგონამ ხელი გაითავისუფლა, თვალები უელავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– ერთ დღეში? მეეჭვება... არ მინდოდა, იმ მკვლელთან დარჩენილიყავი, – ჩაიბურტყუნა ლეონიდმა, – თავიდანვე ვაპირებდი ყველაფრის თქმას, მაგრამ მინდოდა, ეს საიდუმლო შენს სანაცვლოდ გამემხილა.

– და სხვების სიცოცხლეში გამცვალე?! – მწარედ ჩაეკითხა საშა.

– მე ჩემს სიცოცხლესაც გავცვლიდი! – წარბი შეათამაშა მუსიკოსმა.

– შენი გადასაწყვეტი არაა! ადექი! უკან უნდა გავიქცეთ... სანამ „ტულსკაიამდე" მიაღწევს. – გოგონამ თითი დაადო საათს, ჩურჩულით ანგარიშობდა და ამოიოხრა – სამი საათიღა დაგვრჩა.

– რისთვის? შემიძლია კავშირით ვისარგებლო... ისინი ჰანზაში დარეკავენ, ყველაფერს აუხსნიან. არ არის აუცილებელი ჩვენი სირბილი. თანაც შეიძლება ვერც მოვასწროთ...

– არა! – თავი გაიქნია საშამ, – არა! ის არ დაიჯერებს. მე თვითონ უნდა ვუთხრა. უნდა ავუხსნა...

– და მერე რა იქნება? – ლეონიდის ხმაში ეჭვიანობა გაკრთა, – სიხარულით დანებდები მას?

– რა შენი საქმეა?! – შეუბღვირა გოგონამ, მაგრამ უცებ ინტუიციით მიხვდა, როგორც უნდა ემართა შეყვარებული მამაკაცი, და რბილად დაამატა: – მისგან არაფერი მჭირდება, შენ გარეშე კი ახლა ვერაფერს გავხდები.

– ჩემგან სწავლობ ცრუპენტელობას... – მწარედ გაიღიმა მუსიკოსმა და განწირულივით ამოიოხრა, – კარგი, წავიდეთ.

„სპორტივნაიაზე" ნახევარ საათში მივიდნენ: გუშაგები შეცვლილიყვნენ და ლეონიდს თავიდან მოუხდა მათთვის აეხსნა, თუ როგორ შეუძლია გოგონას საბუთების გარეშე

 www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნითელი ხაზის საზღვრის გადაკვეთა. საშა დაძაბული უყურებდა საათს, მუსიკოსი – მას. აშკარა იყო, რომ ყოყმანობდა, თავის თავს ებრძოდა.

პლატფორმაზე სუსტი ახალდაქორწინებულები ძველ, ჭვარტლიან დრეზინაზე ფუთებს ალაგებდნენ, ნაბახუსევი ხელოსნები ვითომ გულმოდგინედ აკეთებდნენ გახეთქილ მილებს, ფორმიანი ბავშვები არასაბავშვო სიმღერას სწავლობდნენ. მესაზღვრეებმა ორჯერ სცადეს საშას და ლეონიდის საბუთები შეემოწმებინათ და ერთ-ერთი შემოწმება, როდესაც ისინი თითქმის შესულები იყვნენ „ფრუნზენსკაიასკენ“ მიმავალ გვირაბში, იმდენ ხანს გაიწელა, რომ ყველანაირ ზღვარს გადავიდა.

დრო გარბოდა. გოგონას გათვლით, ორი საათიც აღარ რჩებოდა. ჰანტერს ხომ ვერავინ შეაჩერებდა. ამასობაში ჯარისკაცებმა დაასრულეს დატვირთვა, დრეზინამ ჭრიალით აკრიფა სიჩქარე და მათ მიუახლოვდა.

– არ მინდა შენი გაშვება, – საბოლოოდ გადაწყვიტა ლეონიდმა, – მაგრამ არც შენი დაჭერა შემიძლია. ვფიქრობდი, ისე მოვქცეულიყავი, რომ დაგვეგვიანა და აღარაფერი დაგრჩენოდა საძებარი. მაგრამ ვხვდები, რომ ამით მაინც არ გახდები ჩემი. იყო გულწრფელი, ყველაზე ცუდი გზაა ქალის მოსახიბლად, მაგრამ დავიღალე ტყუილით. შენ გვერდით მუდამ მრცხვენია საკუთარი თავის. შენ თვითონ გადაწყვიტე, ვისთან დარჩები.

და მუსიკოსმა პატრულს, რომელიც სრულებით არ ჩქარობდა, ხელიდან გამოჰგლიჯა თავისი სასწაულებრივი პასპორტი, ყბაში მუშტი სთხლიშა და წააქცია, მერე ხელი ჩასჭიდა საშას და მიახლოებულ დრეზინას მასთან ერთად შეახტა. გოცებულმა მემანქანემ პისტოლეტის ლულიდან გამოხედა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მამაჩემი იამაყებდა ჩემით! – გადაიხარხარა ლეონიდმა, – რამდენჯერ მომისმენია მისგან, რომ სისულელით ვარ დაკავებული, რომ ჩემი ქალის ფლეიტიდან არასოდეს იქნება სარგებელი! და აი, ბოლოს და ბოლოს, ისე ვიქცევი, როგორც ნამდვილი მამაკაცი, ის კი სწორედ ამწამს არ არის გვერდით! რა სამწუხაროა! გადახტი! – უბრძანა მან ხელებაწეულ მემანქანეს.

ისიც, სიჩქარის მიუხედავად, მორჩილად ჩახტა ლიანდაგებზე, კვნესით გადაკოტრიალდა და სიბნელეში ჩაიკარგა. ლეონიდმა ბარგის გადაყრა დაიწყო, ყოველი ფუთის რელსებზე გადაგდების შემდეგ მოტორი სულ უფრო ომახიანად გუგუნებდა. დრეზინის ცხვირზე დამაგრებული ფანარი ოდნავ ბჟუტავდა და მისი შუქი უახლოეს რამდენიმე მეტრს თუ ანათებდა. ჭრიალით, თითქოს მინას კაწრავენო, საბურავებიდან ვირთხები გახტნენ, გვერდზე გახტა შეშინებული ლიანდაგების დარაჯიც, სადღაც უკან განგაშის სირენა ჩაირთო. მუსიკოსი დრეზინას მაქსიმალური სიჩქარით მიაქროლებდა.

„ფრუნზენსკაიას" ჩაუქროლეს. მოულოდნელობისგან დაბნეული გუშაგები ვირთხებივით მიმოიფანტნენ და მაშინღა აღრიალდნენ, როდესაც დრეზინამ მათი სადგურ ასი მეტრით უკან მოიტოვა.

– ახლა დაიწყება! – დაიყვირა ლეონიდმა, – მთავარია, წრიულზე გადასასვლელი გავიაროთ! იქ დიდი საგუშაგოა... ჩვენს დაკავებას შეეცდებიან! პირდაპირ ხაზს გავუყვეთ, ცენტრში!

მან იცოდა, საშიში რა იყო: იმ გვერდითა განშტოებიდან, რომლითაც წითელ ხაზზე გავიდნენ, თვალებში მათკენ მომავალი დრეზინის პროჟექტორმა მიანათა. მათი ლიანდაგები რამდენიმე ათეულ ნაბიჯში იკვეთებოდა, გაჩერე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბა უკვე დაგვიანებული იყო. მუსიკოსმა პრიალა პედალს ბოლომდე დააჭირა ფეხი, საშამ თვალები დახუჭა. იმის იმედილა რჩებოდათ, რომ ისარი საჭირო მხარეს იყო გადაწეული და არ შეეჯახებოდნენ.

ტყვიამფრქვევმა დაიგრიალა და ტყვიებმა რამდენიმე სანტიმეტრში ჩაიწუილა. ნამწვის სუნი დატრიალდა გავარვარებულ ჰაერში, იფეთქა და მიწყდა სხვისი მოტორის ხმა. მანქანები სასწაულებრივად ასცდნენ ერთმანეთს. ძრავმავალი დრეზინის გავლიდან წამის შემდეგ გამოვარდა მათ გზაზე. დრეზინა უკვე „კულტურის პარკისკენ" მიჯაყჯაყებდა, ხოლო საბრძოლო ძრავმავალი საპირისპირო მხარეს გაუჩინარდა.

გაქცეულებმა დროში მოიგეს. დრეზინამ სვლას უკლო და გვირაბში ფერდობს შეუყვა.

– პარკი თითქმის ზედაპირზე მდებარეობს... – საშას მიხედა მუსიკოსმა, – ხოლო „ფრუნზენსკაია" ორმოცდაათი მეტრის სილრმეშია... მთავარია, აღმართი ავიაროთ და მერე ადვილად დავეშვებით.

„კულტურის პარკთან" სიჩქარეს მოუმატეს. ძველი, ამაყი, მაღალთაღებიანი, ნახევრად ჩაბნელებული სადგური თითქმის უკაცრიელი აღმოჩნდა. ჩაჟანგებული ყელი ჩაიწმინდა და აკივლდა სირენა. აგურის გამაგრებებიდან თავები გამოჩნდა. დაგვიანებით, ულონოდ და ბოროტად უკან დაადევნეს ავტომატის ჯერი.

– შეიძლება ცოცხლებიც გადავრჩეთ! – გაიცინა მუსიკოსმა, – კიდევ ცოტა გამართლება და...

სიბნელეში კიჩოზე შუქმა გაიელვა, მერე კიდევ უფრო გაძლიერდა და დამაბრმავებლად გაანათა მათი დრეზინა. ძრავმავალის პროჟექტორი მჭრელი შუქით ცდილობდა მა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თი დანჯღრეული დრეზინის დაჭერას და ძრავმავალი საოცარი სისწრაფით ფარავდა მანძილს მათ შორის. ისევ აყეფდნენ ტყვიამფრქვევები, აწუილდნენ ტყვიები.

– ცოტაც! უკვე „კროპოტკინსკაიაა“!

უჯრედებად დახაზული და ერთნაირი კარვებით გაწყობილი, მოუვლელი „კროპოტკინსკაიას“ კედლები აჭრელებულიყო ვილაცების არც ისე დიდი ხნის წინ დახატული, მაგრამ უკვე გაუფერულებული პორტრეტებითა და ერთიან წითელ ლენტად გაბმული დროშებით.

უცებ ტყვიამფრქვევმა დაიქუხა და დრეზინა მარმარილოს ნამსხვრევებმა დაფარა. ერთი ნამსხვრევი საშას მოხვდა და ფეხი მსუბუქად გაუჭრა. ჯარისკაცებმა შლაგბაუმის დაშვება დაიწყეს, მაგრამ დრეზინამ გაამტვრია ის და ლამის თავადაც გადავიდა რელსებიდან.

ძრავმავალი შეუმჩნევლად უახლოვდებოდა მათ: მისი ძრავა ბევრად უფრო ძლიერი იყო და მარტივად ეზიდებოდა მძიმე ფოლადს. საშა და მუსიკოსი იძულებული იყვნენ, ჩაწოლილიყვნენ და მეტალის კარკასს ამოფარებოდნენ...

რამდენიმე წამილა რჩებოდა. სადაც იყო, ერთმანეთს გაუსწორდებოდნენ და მათ შეიპყრობდნენ. უცებ, ლეონიდმა, თითქოს ჭკუიდან შეიშალაო, გახდა დაიწყო.

წინ საგუშაგო გამოჩნდა – ტომრების ბარიკადები, ფოლადის ზღარბები: ლიანდაგების დასასრული. გაქცეულები ორ პროჟექტორს, ორ ტყვიამფრქვევს, ორ ცეცხლს შუა მოექცნენ.

დასასრულამდე წუთილა რჩებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი 18
ხსნა

ჯაჭვი რამდენიმე ათეულ მეტრზე გაიწელა. აქ „სევასტოპოლსკაიას“ მხოლოდ საუკეთესო მებრძოლები იყვნენ. თითოეული მათგანი პოლკოვნიკმა თავად შეარჩია. ბნელ გვირაბში ჩაფხუტზე დამაგრებული ფანრები ციმციმებდა და მებრძოლთა მწკრივი ყირიმის კვიპაროსებისა და მოჩურჩულე ზღვის თავზე თბილსა და სურნელოვან ღამეში მოფარფატე ციცინათელების გუნდად მოეჩვენა პოლკოვნიკ დენის მიხაილოვიჩს, რომელსაც ასე წარმოედგინა სამოთხე.

პოლკოვნიკი ფიქრიდან გამოერკვა, შემაწუხებელი სიცივე ჩამოიფერთხა, თავის თავზე გაბრაზებულმა ბღვერით გაატარა ბოლო მებრძოლიც, უჟანგავი პორტსიგარიდან ერთადერთი თვითნაკეთი სიგარეტი ამოიღო, დაყნოსა და სანთებელა გააჩხაკუნა.

კარგი დღე იყო. პოლკოვნიკს ბედმა გაუღიმა. ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც თავად ჩაიფიქრა. „ნაგორნაია“ დანაკარგის გარეშე გაიარეს, ერთადერთი უგზო-უკვლოდ დაკარგულიც მალე დაეწია მიმავალ კოლონას. ყველას არაჩვეულებრივი განწყობა ჰქონდა: ტყვიისთვის მკერდის შეშვერა ერჩივნათ დაუსრულებელ ლოდინსა და გაურკვევლობაში ყოფნას. თანაც, ლაშქრობამდე, დენის მიხაილოვიჩმა ყველას გამოძინების საშუალება მისცა. მხოლოდ თვითონ ვერ დაიძინა ვერაფრით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პოლკოვნიკს ბედი შემთხვევითობათა ჯაჭვად მიაჩნდა და არ ესმოდა, როგორ შეიძლებოდა მისი ნდობა. „ქახოვსკაიას" გვირაბებში მცირე ექსპედიციის გაშვებიდან რამდენიმე დღე გასულიყო, მაგრამ მათგან ჯერაც არაფერი ისმოდა. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, არც პანტერია უკვდავი. ხომ შეიძლება, დაუსრულებელ ომებში ბრიგადირს ტვინიც დაზიანებოდა? შეიძლება კი მხოლოდ მისა და მოხუცის იმედად ყოფნა?

დენის მიხაილოვიჩს ლოდინი აღარ შეეძლო.

მოქმედების გეგმა ასეთი იყო: „სევასტოპოლსკაიას" ძირითადი ძალები „ნახიმოვსკის", „ნაგორნაიასა" და „ნაგატინსკაიას" გავლით „ტულსკაიას" სამხრეთის ჩაკეტილ ჰერმეტულ ჭიშკრამდე უნდა გაეყვანა, ხოლო ზემოდან დივერსანტთა ჯგუფი გაეშვა ჩაკეტილ სადგურზე. დივერსანტები გვირაბში საავენტილაციო შახტიდან ჩავიდოდნენ და დაცვის ლიკვიდაციით (თუკი ისევ არსებობდა) დამრტყმელ რაზმს გაუხსნიდნენ საკეტებს... შემდეგ კი უკვე ტექნიკა გაანადგურებდა ყველას, ვისაც უნდა ჰქონოდა ეს სადგური დაპყრობილი.

შახტების მოძებნასა და გაწმენდას სამი დღე დასჭირდა. დღეს სტალკერებს დივერსანტების გვირაბში ჩაშვებაღა ევალებოდათ, იქამდე კი ორიოდე საათი კიდევ იყო დარჩენილი.

ორ საათში ყველაფერი გადაწყდებოდა და დენის მიხაილოვიჩი კვლავ შეძლებდა სხვა რამეზე ფიქრს, ჭამას და ძილს.

გეგმა მარტივი, ზუსტი და უნაკლო იყო, მაგრამ დენის მიხაილოვიჩს გული ისე უძგერდა, თითქოს თვრამეტი წლის ბიჭი იყო და თავის პირველ ომში მიდიოდა მთიან სოფელში. აფორიაქებულმა პოლკოვნიკმა სიგარეტის ნამწვი მოისროლა, ისევ გაიკეთა ნილაბი და წინ წავიდა, რომ რაზმს დასწეოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მალე ბრიგადა ფოლადის ჰერმეტულ კარს მიადგა. შტურმის დაწყებამდე შეეძლოთ ცოტა დაესვენათ, რგოლის მეთაურებთან ერთად კიდევ ერთხელ გადაემოწმებინათ განრიგი და თავიანთი როლები.

„ერთ რამეში ჰომეროსი მართალი აღმოჩნდა", – გაეცინა თავისთვის პოლკოვნიკს, – „ციხე-სიმაგრის შტურმით ალება საჭირო არ არის მაშინ, როდესაც შეიძლება, კარი შიგნიდან გაიღოს. ცხენით სვლა; ჰომეროსმა ხომ არ დაწერა ტროას ალება?"

დენის მიხაილოვიჩმა დოზიმეტრი შეამოწმა – ფონი დაბალი იყო. მან აირწინაღი მოიძრო. მას ჯერ რგოლის მეთაურებმა მიჰბაძეს, შემდეგ – მებრძოლებმაც. არა უშავს, ჯერ ისუნთქონ.

* * *

პოლისის გალერეები და დარბაზები ყოველთვის სავსე იყო ბნელი და ღატაკი განაპირა სადგურებიდან გადმოსული თვალებგაფართოებული და ალფრთოვანებისაგან ყბაჩამოვარდნილ მოხეტიალე უსაქმურებით. ჰომეროსიც, „ბოროვიცკაიაზე" სეირნობდა, „ალექსანდროვის ბაღის" ალთაღებს სინაზით შეჰყურებდა თუ სიყვარულითა და ალფრთოვანებით ათვალიერებდა ქალიშვილის საყურესავით ნატიფ „არბატსკაიას" ჭალებს, მათგან არაფრით გამოირჩეოდა.

მოხუცს გული უგრძნობდა, რომ ის უკანასკნელად იყო პოლისში. ის, რაც „ტულსკაიაზე" რამდენიმე საათში მოხდებოდა, ხაზს გადაუსვამდა მთელ მის ცხოვრებას; შეიძლება წერტილიც დაესვა მისთვის. მოხუცმა გადაწყვიტა, გაეკეთებინა ის, რაც, ვალდებული იყო, რომ გაეკეთებინა – უფლებას მიეცა ჰანტერისთვის, გადაეწვა სადგური, შემ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დეგ კი მოეკლა ის. მაგრამ ეს ისე უნდა მოეხერხებინა, რომ ჰანტერს არაფერი ეეჭვა, თორემ კისერს მოუგრეხდა მოხუცს. გამორიცხული არ იყო, მოხუცი თავადაც დალუპულიყო „ტულსკაიას“ შტურმით აღებისას, მაგრამ თუ ყველაფერი წარმატებით ჩაივლიდა, მაშინ განდეგილად წავიდოდა, რომ თავისი წიგნის უკვე მზა კვანძსა და საფინალო წერტილს შორის დარჩენილი თეთრი ფურცლები შეევსო ჰანტერისათვის კეფაში ტყვიის დახლით.

შეძლებს კი ამას? გაბედავს? მხოლოდ გაფიქრებაზეც კი ხელები უკანკალებდა მოხუცს. არა უშავს, ყველაფერი თავისით გადაწყდება. ახლა ამაზე ფიქრი არაა საჭირო, ზედმეტი ანალიზი ეჭვს ბადებს.

და მადლობა ღმერთს, რომ გოგონა მოიშორა! ჰომეროსი თავის თავს ეკითხებოდა, რატომ ჩაითრია ავანტიურაში საშა; როგორ მისცა ლომის გალიაში შესვლის უფლება! მწერლობამ ისე გაიტაცა, რომ დაავიწყდა, გოგონა მისი წარმოსახვის ნაყოფი არ იყო...

უკვე დანამდვილებით იცოდა: მისი რომანი არ გამოვიდოდა ისეთი და იმის შესახებ, როგორიც თავიდან ჩაიფიქრა, თუმცა, თავიდანვე იცოდა, რომ მეტისმეტად მძიმე საქმეს შეეჭიდა. როგორ უნდა ჩაეტია ერთ წიგნში ყველა ადამიანი? ისინი ხომ ვიწროდ იქნებოდნენ წიგნის ფურცლებზე. თავად წიგნი ძმათა სასაფლაოდ იქცეოდა, სადაც პატარა წარწერებიანი ქვები თვალებს აჭრელებს და ბრინჯაოსფერ ასოებს მილმა არ იკითხება გარდაცვლილთა სახელები და სახე.

არა, არაფერი გამოვა. მისი დროისგან დაბზარული მეხსიერებაც კი, რომელმაც დიდი ხნის წინ შეცურა ზღვაში, ვერაფრით დაიტევს ამდენ ადამიანს – ტკბილეულით მოვაჭრის ნაყვავილარ სახეს, ან ცხვირპაჭუა, ფერმკრთალ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გოგონას, რომელიც ტყვიებს უწვდის მას; დედის მადონასავით ნათელ ან ჯარისკაცების ავხორცე ღიმილს; ძველი მათხოვრების ღრმა ან ოცდაათი წლის ქალის ძლივსშესამჩნევ ნაოჭებს.

რომელია მათგან მოძალადე, წუწურაქი, ქურდი, მოლალატე, მეძავი, წინასწარმეტყველი, მქადაგებელი თუ, უბრალოდ, გულისხმიერი ადამიანი და ვინ ჯერაც ვერ გაერკვა თავის არსში – ჰომეროსმა ეს არ იცოდა. მისთვის უცნობი იყო, თუ რაზე ფიქრობდა სინამდვილეში ტკბილეულით მოვაჭრე; რას ნიშნავდა დედის ღიმილი, როდესაც თავის პატარა გოგონას უყვებოდა რაღაცას; სხვისი ცოლი, ჯარისკაცის მზერისგან აღელვებული; რით შოულობდა ლუკმა პურს ღატაკი, სანამ ფეხები უღალატებდა. ამიტომ ჰომეროსის გადასაწყვეტი არ იყო, ვინ იმსახურებდა უკვდავებას და ვინ – არა.

ექვსი მილიარდი ადამიანი უკვალოდ გაქრა. ექვსი მილიარდი! მაგრამ შემთხვევით ხომ არ გადარჩენილა ათეული ათასი ადამიანი?

მემანქანე სეროვი, რომლის ადგილასაც ნიკოლაის უნდა ემუშავა აპოკალიფსიდან ერთი კვირის შემდეგ, ფეხბურთის თავგადადებული გულშემატკივარი იყო და თავისი ცხოვრება ფეხბურთის მატჩად მიაჩნდა.

– მთელმა კაცობრიობამ წააგო, – ეუბნებოდა ის ნიკოლაის, – მე და შენ კი ისევ დავრბივართ, არც კი ვფიქრობთ, რატომ. იმიტომ, რომ ჩვენი მატჩის საბოლოო ანგარიში ჯერაც გაურკვეველია – მსაჯმა დამატებითი დრო მოგვცა. ამ დროში ჩვენ უნდა დავადგინოთ, თუ რატომ ვართ აქ, უნდა მოვასწროთ ყველა საქმის დასრულება, ყველაფრის გამოსწორება და მერე, როდესაც ბურთს მივიღებთ, უნდა გავფრინდეთ მანათობელი კარისკენ...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სერიოვი მისტიკოსი იყო. ჰომეროსს არასოდეს უკითხავს მისთვის, შეძლო თუ რა გოლის გატანა. მან კი დაარწმუნა ჰომეროსი, რომ მეტროში შემთხვევით არავინ მოხვედრილა.

მაგრამ ყველაფრის შესახებ დაწერა შეუძლებელია!

საერთოდაც, ლირს კი წერის გაგრძელება?

ფიქრებში გართულმა, ათას უცნობ სახეში უცებ ის სახე დაინახა, რომლის დანახვასაც ყველაზე ნაკლებად ელოდა.

* * *

ლეონიდმა ჯერ ქურთუკი გაიხადა, შემდეგ სვიტერი და მერე თეთრი მაისურიც, რომელიც თავს ზემოთ დრო-შასავით ააფრიალა. ტყვიებს, რომლებიც წვიმასავით მოდიოდა და მის გარშემო იფანტებოდა, ყურადღებას არ აქცევდა. საცრება მოხდა: ძრავმავალი ჩამორჩა, ხოლო საგუშაგოდან, რომელიც წინ მოჩანდა, ცეცხლი არ გაუხსნეს მათ დრეზინას.

– აი, ახლა მამაჩემი მომკლავდა! – გადაულაპარაკა საშას, როდესაც მათ ბორბლების ჭრიალით მკვეთრად დაამუხრუჭეს ზღარბებთან.

– რას აკეთებ? რას ვაკეთებთ? – სულს ძლივს ითქვამდა საშა. ვერ გაეგო, როგორ გადარჩნენ ამ რბოლაში.

– ვნებდებით! – გაიცინა მან, – ეს „ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში" შესასვლელია, პოლისის სასაზღვრო საგუშაგო. მე და შენ კი მოღალატეები ვართ.

გუშაგებმა მოირბინეს დრეზინასთან და ორივე ჩამოსვეს. ლეონიდის პასპორტი რომ შეამოწმეს, ერთმანეთს გადახედეს, ხელბორკილები შეინახეს და გოგონა და მუსიკოსი სადგურზე მიაცილეს. იქ კი სამორიგეოში შეიყვანეს, ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულეს და ხელმძღვანელობის მოსაყვანად გავიდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლეონიდი, რომელიც გაქუცულ სავარძელში მედიდურად იჯდა, წამოხტა, კარიდან გაიხედა და საშას ხელი დაუქნია.

– აქ კიდევ უფრო დიდი უსაქმურები არიან, ვიდრე ჩვენთან, წითელ ხაზზე, – გადააფურთხა მან, – დაცვა არ არის!

სამორიგეოდან აუჩქარებლად გამოვიდნენ, შემდეგ კი ფეხს აუჩქარეს და გადასასვლელისკენ წავიდნენ, ბოლოს ხელჩაკიდებულები გარბოდნენ, რომ ხალხის ტალღას არ დაეშორებინა ისინი. მალე ზურგს უკან პოლიციელების სასტვენის ხმა მოესმათ, მაგრამ ამ ხალხმრავალ სადგურზე დამალვა ძალიან ადვილი იყო. აქ ათჯერ უფრო მეტი ადამიანი იყო, ვიდრე „პაველეცკაიაზე". საშა, ზემოთ სეირნობისას, ომამდელ ცხოვრებაზე ოცნებაშიც კი ვერ წარმოიდგენდა ასეთ ხალხმრავლობას. ეს სადგური ისეთივე ნათელი იყო, როგორც სამყარო ზემოთ. გოგონამ სახეზე ხელები აიფარა და თითებს შორის დარჩენილი ღრიჭოდან ათვალიერებდა მიდამოს.

გოგონა გაოცებული აკვირდებოდა საგნებს, სახეებს, ქვებს, სვეტებს. რომ არა ლეონიდი და მათი გადაჭდობილი ხელები, ალბათ, დაეცემოდა და დაიკარგებოდა. თავსლი ხელები, ალბათ, დაეცემოდა და დაიკარგებოდა. თავს პირობა მისცა, რომ ოდესმე, როცა მეტი დრო ექნებოდა, აუცილებლად დაბრუნდებოდა აქ.

– საშა?!

გოგონა შემობრუნდა და შეშინებულ, გაბრაზებულ და დაბნეულ ჰომეროსს შეეჩეხა. საშამ გაულიმა, იგრძნო, რომ მონატრებოდა მოხუცი.

– აქ რას აკეთებ?! – ამაზე სულელური ვერაფერი ჰკითხა მოხუცმა ორ ახალგაზრდას, რომლებიც თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– „დობრინინსკაიაზე" მივდივართ! – საშამ ნაბიჯს უკლო, რომ მოხუცი დასწეოდა.

– რა სისულელეა? უფლებას არ მოგცემ, იქ ნახვიდე! – მაგრამ მოხუცის აკრძალვას ძალა არ ჰქონდა.

„დობროვიცკაიას" საგუშაგომდე მანამ მივიდნენ, სანამ გაქცევის შესახებ მესაზღვრეების გაფრთხილებას მოასწრებდნენ.

– მე მანდატი მაქვს მელნიკისგან! სასწრაფოდ გამატარეთ! – მშრალად უბრძანა ჰომეროსმა მორიგე ოფიცერს.

მან რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ აზრებს თავი ვერ მოუყარა, მოხუცს სამხედრო სალამი მისცა და გზა გაუთავისუფლა.

– მოატყუეთ?! – ზრდილობიანად ჰკითხა მუსიკოსმა ჰომეროსს, როდესაც საგუშაგო უკან მოიტოვეს.

– რა მნიშვნელობა აქვს?! – ჩაიბურტყუნა გაბრაზებულმა ჰომეროსმა.

– მთავარია თავდაჯერება და მაშინ მხოლოდ პროფესიონალები თუ შეამჩნევენ, – შეაფასა ლეონიდმა.

– ჯანდაბას ლექციები! – ჰომეროსი იბღვირებოდა და მოციმციმე ფანარს აწვალებდა, – „სერპუხოვსკაიამდე" მივალთ, მაგრამ იმის იქით არ გაგიშვებთ.

– შენ, უბრალოდ, არ იცი, – ახარა საშამ, – წამალი ვიპოვეთ.

– როგორ თუ იპოვეთ?! – მოხუცს ნაბიჯი აერია, დაახვევლა და საშას შეშინებულმა და გაოცებულმა შეავლო თვალი.

– ჰო! რადიაცია!

– გამოსხივების ზემოქმედების ქვეშ ბაქტერიები უვნებელი ხდება, – საშას მუსიკოსი დაეხმარა.

– მიკრობები და ვირუსები ადამიანზე ასჯერ, ათასჯერ უფრო გამძლეები არიან რადიაციის მიმართ! დასხივების-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გან კი იმუნიტეტი ქვეითდება! – მოხუცმა თავს კონტროლი ველარ გაუწია და აყვირდა, – რა უთხარი საშას?! რატომ მიათრევ იქით?! წარმოდგენა მაინც თუ გაქვს, რა მოხდება ახლა? ვერც მე და ვერც თქვენ მას უკვე ველარ შევაჩერებთ. წაიყვანე საშა, დამალე! შენ კი... – ჰომეროსი გოგონას მიუბრუნდა, – როგორ დაუჯერე... პროფესიონალს! – მოხუცმა ბოლო სიტყვა ზიზღით გადმოაფურთხა.

– ჩემ გამო ნუ გეშინია, – ხმადაბლა უთხრა გოგონამ, – ვიცი, რომ ჰანტერის შეჩერება შემიძლია. მას ორი ნახევარი აქვს... მე ორივე ნანახი მყავს. ერთს სისხლი სწყურია, მეორეს კი ადამიანების გადარჩენა.

– რას ბოდავ?! – ხელები გაასავსავა მოხუცმა, – ალარანაირი ორი ნახევარი არ არსებობს, ის უკვე ერთი მთლიანია. ადამიანის სხეულში ჩაკეტილი ურჩხული! ერთი წლის წინ...

ჰომეროსმა მელნიკისა და თავგადაპარსულის საუბრის შესახებ უამბო, მაგრამ საშას აზრი ვერ შეაცვლევინა. რაც მეტად უსმენდა ჰომეროსს, მით უფრო რწმუნდებოდა თავის სიმართლეში.

– ის, ვინც შიგნითაა, ვინც კლავს, მეორეს ატყუებს, – საშა სიტყვებს ეძებდა, რომ მოხუცისთვის უკეთ აეხსნა, – ეუბნება, რომ სხვა გზა არ არსებობს. ერთს შიმშილი კლავს, მეორეს კი – სევდა. ამიტომაც მიიწევს ჰანტერი ასე „ტულსკაიასკენ“ – იქით მას ორივე ნახევარი ექაჩება! ისინი ერთმანეთს უნდა დავაშოროთ. თუკი გაუჩნდება არჩევანი – გადაარჩინოს ისე, რომ არ მოკლას...

– ღმერთო... არც კი მისმენ! შენ რა გექაჩება იქით?!

– შენი წიგნი, – ნაზად გაუღიმა საშამ, – ვიცი, რომ მისი შეცვლა ჯერ კიდევ შესაძლებელია. ფინალი ხომ ჯერ არ დაწერილა.

– ბოდვაა! სისულელე! – უიმედოდ შესძახა ჰომეროსმა, – რატომ მოგიყევი მის შესახებ?.. ახალგაზრდავ, თქვენ მა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინც... – ლეონიდს წაავლო ხელი, – გთხოვთ, მე მჯერა, რომ თქვენ არ ხართ ცუდი ადამიანი და ბოროტად არ გვატყუებდით. წაიყვანეთ საშა. თქვენ ხომ ეს გინდოდათ? ორივენი ისეთი ახალგაზრდები და ლამაზები ხართ... თქვენ უნდა იცხოვროთ... მას იქ არაფერი ესაქმება, გესმით?! არც თქვენ არაფერი დაგრჩენიათ იქ. იქ ახლა... საშინელი ხოცვა-ჟლეტა დაიწყება. და თქვენ თქვენი პატარა ტყუილით ვერაფერს შეცვლით...

– ეს ტყუილი არ არის, – მტკიცედ უთხრა მუსიკოსმა, – პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

– კარგი, კარგი, – ხელი აიქნია მოხუცმა, – მე მზად ვარ, დაგიჯეროთ, მაგრამ ჰანტერი... ის ხომ ნორმალურად არც კი გინახავთ!

– სამაგიეროდ ბევრი მსმენია, – ჩაიცინა ლეონიდმა.

– ის... როგორ შეაჩერებთ მას? თქვენი ფლეიტით? თუ გგონიათ, რომ გოგონას მოუსმენს? მასში ახლა ისეთი რამ ხდება... მას უკვე აღარაფერი ესმის.

– სიმართლე გითხრათ, – მუსიკოსი მოხუცისკენ დაიხარა, – გულის სიღრმეში გეთანხმებით. მაგრამ საშა მთხოვს, მე კი, რაც უნდა იყოს, ჯენტლმენი ვარ, – და თვალი ჩაუკრა საშას.

– როგორ არ გესმით, რომ ეს თამაში არ არის! – ჰომეროსი ხან გოგონას შეჰყურებდა ვედრებით, ხან – ლეონიდს.

– ყველაფერი თამაშია, – მშვიდად თქვა მუსიკოსმა.

* * *

თუკი მართლაც მოსკვინის ვაჟი იყო, მუსიკოსს მართლაც შეეძლო ეპიდემიის შესახებ სცოდნოდა ისეთი რამ, რაც ჰანტერმაც კი არ იცოდა... არ იცოდა თუ თქმა არ უნდოდა? ჰომეროსს ლეონიდი შარლატანად მიაჩნდა, მაგრამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იქნებ რადიაციას მართლაც შეეძლო ციებ-ცხელებისგან განკურნება? სურვილისა და საღი აზრის საწინააღმდეგოდ, მუსიკოსის სიმართლის დასამტკიცებლად მოხუცმა მტკიცებულებების შერჩევა დაიწყო. ბოლო დღეების განმავლობაში ხომ სწორედ ამას ნატრობდა?! გამოდის, ხველა, სისხლიანი პირი, პირღებინება... მხოლოდ დასხივების სიმპტომები იყო? დასხივების იმ დოზას, რომელიც მან „კახოვსკაიას" ხაზზე მიილო, ბაქტერიები უნდა გაენადგურებინა...

ეშმაკმა იცოდა, რით უნდა მოეხიბლა მოხუცი.

დაე, ასე იყოს. მაგრამ რა ეშველება „ტულსკაიასა" და ჰანტერს? საშას იმედი ჰქონდა, რომ შეძლებდა ჰანტერის გადაბირებას – გოგონა მართლაც ახდენდა ბრიგადირზე უცნაურ გავლენას, მაგრამ ლაგამი, რომლის ამოდებასაც საშა ცდილობდა, ბრიგადირში მებრძოლ ერთ-ერთ ნახევარს თუ აბრეშუმისად ეჩვენებოდა, მეორეს გავარვარებული რკინასავით სწვავდა. საქმე ის იყო, რომელი მათგანი აღმოჩნდებოდა გადამწყვეტ მომენტში გარეთ?

ამჯერად „პოლიანკას" არაფრის ჩვენება არ უნდოდა არც მისთვის, არც საშასთვის და არც ლეონიდისთვის. სადგური ცარიელი, გაქვავებული და მკვდარი იყო. ეს კარგ ნიშნად უნდა მიეღოთ თუ ცუდად? ჰომეროსმა არ იცოდა.

– რას ნიშნავს „ზურმუხტის"? – მოულოდნელად იკითხა საშამ.

– ზურმუხტი გამჭვირვალე მწვანე ქვაა, – აუხსნა დაბნეულმა ჰომეროსმა, – „ზურმუხტის" უბრალოდ მწვანეს ნიშნავს.

– საინტერესოა, – თქვა ჩაფიქრებულმა გოგონამ, – ესე იგი, ის მაინც არსებობს...

– რას გულისხმობ? – გამოფხიზლდა მუსიკოსი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– არც ისე მარტივია... – საშამ ლეონიდს შეხედა, – ამიერიდან მეც დავიწყებ მის ძებნას, შენი ქალაქის ძებნას, და ოდესმე აუცილებლად ვიპოვი მას.

ჰომეროსმა თავი გააქნია. ვერაფრით იჯერებდა, რომ მუსიკოსის ალიარება, რომელმაც საშა გაასულელა და „სპორტივნაიაზე" შეიტყუა, გულწრფელი იყო.

გოგონა კი გამუდმებით რაღაცაზე ფიქრობდა, ჩურჩულებდა, რამდენჯერმე ამოიოხრა კიდეც. მერე კი გამომცდელად შეხედა მოხუცს:

– შენ ყველაფერი ჩაიწერე, რაც მე გადამხდა?

– მე... ვწერ.

– კარგი, – თავი დაუქნია გოგონამ.

„სერპუხოვსკაიაზე" უბედურება ტრიალებდა.

შესასვლელს ჰანზას გაორმაგებული დაცვა იცავდა. პირქუში, სიტყვაძუნწი ჯარისკაცები კატეგორიულ უარს აცხადებდნენ ჰომეროსისა და დანარჩენების შეშვებაზე. არც ტყვიებს, რომელსაც მუსიკოსი აჩხრიალებდა, და არც მის საბუთებს შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ბოლოს მოხუცმა მოიფიქრა და ანდრეი ანდრეევიჩთან დაკავშირება ითხოვა. ნახევარი საათის შემდეგ ნამძინარევი მეკავშირე მოვიდა და მსხვილი კაბელი გაშალა. ჰომეროსმა მკაცრი ტონით ჩასძახა ყურმილში, რომ ისინი ორდენის კოჰორტის ავანგარდში იყვნენ... ეს ნახევრად სიმართლე მხოლოდ იმისთვის იყო საკმარისი, რომ სამივენი დარბაზის გავლით გაეყვანათ „დობრინინსკაიას" უფროსის მისაღებში. დარბაზში ისეთი დახუთულობა იყო, თითქოს მთელი ჰაერი ამოტუმბესო. მიუხედავად იმისა, რომ ღამე იყო, სადგურის უფროსს არ ეძინა. გაქაფული და გაჩეჩილი, ჩაცვენილი თვალებით და ალკოჰოლის სუნით აყროლებული, თავად შეეგება მათ კარის ზღურბლზე. ორდინარეცი ოთახში არ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყო. ანდრეი ანდრეევიჩმა ნერვიულად შეათვალიერა ისინი და ჰანტერი რომ ვერ შენიშნა, ამოიხრიალა:

– მალე მორჩებიან იქ?!

– მალე... – დაბეჯითებით დაჰპირდა ჰომეროსი.

– „სერპუხოვსკაია", სადაცაა, აჯანყდება, – სადგურის უფროსი ოფლის წმენდით გადი-გამოდიოდა მისალებში. – ვილაცამ გაავრცელა ხმა ეპიდემიის შესახებ. არავინ იცის, რის უნდა გვეშინოდეს, ჭორს ავრცელებენ, რომ შეიძლება აირწინალმა არც დაგვიცვას.

– არ იტყუებიან, – სიტყვა ჩააკვეტა ლეონიდმა.

– „ტულსკაიასკენ" მიმავალი სამხრეთის გვირაბის ერთ-ერთი ბლოკპოსტი მთლიანად გაიქცა. მშიშარა ნაბიჭვრები... მეორეში, სადაც სექტანტები ცხოვრობენ, ჯერ დგანან... ამ ფანატიკოსებმა ალყა შემოარტყეს ავადმყოფებს და განკითხვის დღეზე უქადაგებენ მათ... ახლა ჩემს სადგურზე საცარი ამბები დაიწყება! სად არიან ჩვენი მხსნელები?!

დარბაზიდან ლანძღვა-გინება, ვილაცის ყვირილი და გუშაგების ყეფა ისმოდა. ანდრეი ანდრეევიჩი თავის ბუნაგში შეძვრა ისე, რომ პასუხი არ მიუღია და ნელა დაისხა ჭიქაში სასმელი. მისი ორდინარეცის მაგიდაზე, თითქოს ოთახიდან უფროსის გასვლას ელოდა, ტელეფონის წითელი ნათურა აინთო ლეიკოპლასტირზე გაკეთებული ნარწერით „ტულსკაია".

ჰომეროსი წამით შეყოყმანდა, მაგიდისკენ გაეშურა, გამომშრალი ტუჩები მოილოკა, ღრმად ჩაისუნთქა და ჩასძახა:

– „დობრინინსკაია" გისმენთ!

* * *

– რა ვუთხრა? – არტიომი გაშტერებული მიუბრუნდა მეთაურს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეთაური კი უგონოდ იყო: ამღვრეულ თვალებს მოუსვენრად ატრიალებდა, თითქოს ფარდა ჩამოაფარეს და ველარაფერს ხედავსო. მის სხეულს დროდადრო მომაკვდავის ხველა შეატოკებდა ხოლმე. ალბათ ფილტვი აქვს გახვრეტილიო, დაასკვნა არტიომმა.

– ცოცხლები ხართ? – იყვირა არტიომმა, – ავადმყოფები გამოიქცნენ.

მერე გაახსენდა, რომ მათ არ იცოდნენ, რა ხდებოდა „ტულსკაიაზე". ყველაფერი უნდა მოეყოლა და აეხსნა. პლატფორმაზე ქალი კიოდა და ტყვიამფრქვევი გუგუნებდა. ხმები კარის ღრიჭოდან აღწევდა, მათ ვერსად გაექცეოდა. ხმები კარის ღრიჭოდან აღწევდა, მათ ვერსად გაექცეოდი. მავთულის მეორე მხრიდან მას რაღაცას პასუხობდნენ, ეკითხებოდნენ, მაგრამ ხმა ცუდად ისმოდა.

– მათ შემოსასვლელი უნდა გადაუკეტოთ! – იმეორებდა არტიომი, – ესროლეთ, თქვენთან არ შემოუშვათ!

მიხვდა, რომ ავადმყოფების გამორჩევა შეუძლებელი იყო. არც დასივება, არც ნახეთქები, არც საშინელი სუნი... ახალდასნებოვნებულები სრულიად ჩვეულებრივად გამოიყურებოდნენ.

– ყველას ესროლეთ! – მექანიკურად გასცა ბრძანება.

მაგრამ თუკი თვითონაც ეცდებოდა სადგურის დატოვებას, მასაც ხომ ესროდნენ? გამოდის, თვითონვე გამოუტანა თავის თავს განაჩენი? არა, ვერ გააღწევდა. სადგურზე ჯანმრთელი აღარავინ იყო... არტიომმა თავი აუტანლად მარტოსულად იგრძნო და შეეშინდა, რომ ადამიანს, რომელიც მას „დობრინინსკაიადან" ელაპარაკებოდა, დრო აღარ ჰქონდა სალაპარაკოდ.

– გთხოვთ, ყურმილი არ დაკიდოთ! – სთხოვა ვედრებით.

არტიომმა არ იცოდა, რაზე უნდა ელაპარაკა უცნობ ადამიანთან და იმის მოყოლა დაიწყო, თუ რამდენ ხანს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცდილობდა მათთან დაკავშირებას, როგორ ეშინოდა, რომ მთელ მეტროში ერთი ცოცხალი სადგურიც კი აღარ არსებობდა. მერე კი გაიფიქრა, იქნებ მომავალში ვრეკავ, სადაც აღარავინაა გადარჩენილიო, და ესეც უთხრა. ახლა არ უნდა შეშინებოდა, რომ სულელურად გამოიყურებოდა. ახლა საერთოდ აღარაფრის უნდა შეშინებოდა, ოღონდ კი ვინმესთან ელაპარაკა.

– პოპოვ! – დაიხრიალა ზურგს უკან მეთაურმა, – ჩრდილოეთის საგუშაგოს დაუკავშირდი? ჰერმეტული ჭიშკრები... გადაკეტილია?

არტიომი შემობრუნდა, თავი გააქნია.

– უდღეურო! – მეთაურმა სისხლი ამოახველა, – უმაქნისო!.. მომისმინე. სადგური დანაღმულია. მილები ვიპოვე... ზემოთ. გრუნტის წყლების ნაკადისთვის. იქ ჩავაწყვე ნაღმები... ავაფეთქებთ და მთელ „ტულსკაიას" დატბორავს. ნაღმის კოორდინატები აქ მაქვს, ოთახში. ჩრდილოეთის გვირაბი უნდა დაიკეტოს და შემოწმდეს, გამაგრებულია თუ არა სამხრეთის გვირაბი. სადგური უნდა დაიკეტოს, რომ წყალი სხვაგან არ წავიდეს. დაკეტე, გასაგებია? როდესაც ყველაფერი მზად იქნება, მეტყვი... საგუშაგოსთან არის კავშირი?

– არის, – თავი დაუქნია არტიომმა.

– არ დაგავიწყდეს შენ თვითონ ჭიშკრის აქეთა მხარეს დარჩენა, – მეთაურმა გალიმება სცადა, მაგრამ ხველა აუვარდა, – თორემ არამეგობრული საქციელი იქნება...

– მაგრამ თქვენ როგორ იქნებით აქ?

– ნუ გეშინია, პოპოვ, – თვალები მოჭუტა მეთაურმა, – ყოველი ჩვენგანი თავისი საქმისთვისაა დაბადებული. მე იმისთვის ვარ, რომ ეს ძაღლები დავახრჩო, შენ კი იმისთვის, რომ ლუქები გახსნა და მართალი ადამიანივით მოკვდე. გასაგებია?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– არის! – გაიმეორა არტიომმა.

– შეასრულე...

* * *

ყურმილი დადუმდა.

ტელეფონის ღმერთების ახირებით, ჰომეროსმა ყველაფერი მშვენივრად გაიგონა, რასაც მას „ტულსკაიას" მორიგე ეუბნებოდა, ბოლო რამდენიმე ფრაზის გარჩევა კი ვერ შეძლო. შემდეგ კი კავშირი საერთოდ გაწყდა.

მოხუცმა თავი ასწია და თავს წამომდგარი ანრეი ანდრეევიჩის უზარმაზარი სხეული დაინახა. მუქი ლურჯი კიტელის იღლიებში მუქი ლაქები ემჩნეოდა, სქელი ხელები უკანკალებდა.

– რა ხდება იქ?! – იკითხა მან.

– სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარება, – მძიმედ გადაყლაპა ნერწყვი ჰომეროსმა, – ყველა თავისუფალი ადამიანი „სერპუხოვსკაიაზე" გადაისროლეთ.

– არ გამოვა, – ანდრეი ანდრეევიჩმა შარვლის ჯიბიდან „მაკაროვი" ამოიღო, – სადგურზე პანიკაა. ყველა ერთგული ადამიანი წრიული ხაზის გვირაბის შემოსასვლელებში დავაყენე, რომ აქედან მაინც ვერავინ შეძლოს გასვლა.

– მათი დამშვიდება შეიძლება! – გაუბედავად ურჩია ჰომეროსმა, – ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ციებ-ცხელების განკურნება შესაძლებელია. რადიაციით. უთხარით მათ...

– რადიაციით?! – სადგურის უფროსს სახე დაემანჭა, – თქვენ თვითონ გჯერათ ამ სისულელის? მიბრძანდით, ნებას გრთავთ! – მან ირონიულად სალამი მისცა მოხუცს, კარი გაიჯახუნა და თავის კაბინეტში ჩაიკეტა.

რა უნდა ქნან? ახლა ველარც მუსიკოსთან და საშასთან ერთად გაიქცევა აქედან... ანკი სად არიან ისინი? მოხუცი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დერეფანში გამოვიდა, აკანკალებული გული ხელით ეჭირა, სადგურზე გაიქცა მათი სახელების ძახილით... საშა და ლეონიდი აღარსად იყვნენ. „დობრინინსკაია“ ქაოსს მოეცვა, ბავშვიანი ქალები და მამაკაცები ფუთებით დასუსტებულ ჯაჭვს არღვევდნენ, გადაბრუნებულ კარვებს შორის მოროდიორები დათარეშობდნენ, მაგრამ მათ ყურადღებას არავინ აქცევდა. ჰომეროსს ადრეც ენახა მსგავსი, მალე ისინი წაქცეულებს გადათელავდნენ, შემდეგ კი უიარაღო ხალხს ესროდნენ.

და ამ დროს თვითონ გვირაბმა დაიკვნესა...

ხმაური და ყვირილი მიწყდა და გაოცებულმა წამოძახილმა შეცვალა. უჩვეულო, ძლიერი ხმა ახლოვდებოდა... თითქოს ათასწლეულების წინ დაკარგული რომის ლეგიონის ცივი მილები ღრიალებდა და „დობრინინსკაიაზე“ ამოხეთქას ლამობდა...

ჯარისკაცები აფორიაქდნენ, ჯებირები გასწიეს. გვირაბის პირიდან რაღაც უზარმაზარი გამოჩნდა... შეჯავშნული მატარებელი! მძიმე გისოსებში ჩასმული ფოლადის კაბინა, გვერდებზე გამოჭრილი სათოფურები და ორი მსხვილკალიბრინი ტყვიამფრქვევი. მატარებლის გრძელი სხეული მეორე, რქიანი თავით ბოლოვდებოდა.

ასეთი მონსტრი ჰომეროსსაც კი არასოდეს ენახა.

ჯავშანზე ყვავივით შავი, უსახო ქანდაკებები ისხდნენ შავ კოსტიუმებში. ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ, ჯავშანჟილეტებში, არნახული აირწინაღებითა და სამგზავრო ზურგჩანთებით, თითქოს საერთოდ არ ეკუთვნოდნენ არც ამ სამყაროს და არც ამ დროს.

მატარებელი გაჩერდა. აბჯარასხმული მოსულები ყურადღებას არ აქცევდნენ ბრბოს, რომელიც ყვირილით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გარბოდა. პლატფორმაზე გადმოვიდნენ და სამ ზოლად გამწკრივდნენ. შემდეგ ერთდროულად შებრუნდნენ და ფეხაწყობილი გრიალით წავიდნენ „სერპუხოვსკაიას“ გადასასვლელისკენ. ჩექმების ხმამ ხალხის ჩურჩული და ბავშვების ტირილი გადაფარა. მოხუცი მაშინვე უკან აედევნა მათ, ათობით მებრძოლში ჰანტერის ამოცნობას ცდილობდა. თითქმის ყველანი ერთი სიმაღლისანი იყვნენ, უფორმო, გაუმტარი კომბინეზონი ყველას ერთნაირად ზუსტად მოერგო. ყველა ერთნაირად მძიმედ იყო შეიარაღებული – ცეცხლმტყორცნების ზურგჩანთები, მაყუჩიანი სნაიპერული შაშხანები, არანაირი სამკერდე ნიშანი, არანაირი გერბი, არანაირი განმასხვავებელი ნიშანი.

ალბათ ერთ-ერთია იმ სამიდან, წინ რომ მიაბიჯებს?

მოხუცი სირბილით წამოეწია კოლონას, მებრძოლებს აირწინაღებში უყურებდა, სადაც ერთნაირ უემოციო მზერასა და გულგრილობას აწყდებოდა. მოსულებიდან არც ერთი არ სცემდა ხმას, ვერც ერთი ვერ ცნობდა ჰომეროსს. იყო კი მათ შორის ჰანტერი? უნდა ყოფილიყო!

გადასასვლელისკენ მიმავალ გზაზე ჰომეროსმა ვერც საშა და ლეონიდი დაინახა. ნუთუ სალმა აზრმა იჩინა თავი და მუსიკოსმა გოგონა ცოდვის ტრიალისგან შორს გადამალა? ოღონდ სადმე შეეფარებინათ თავი ამ სისხლიანი ბრძოლის დასრულებამდე, მერე კი ჰომეროსი როგორმე მოელაპარაკებოდა ანდრეი ანდრეევიჩს, თუკი ის მანამდე შუბლში ტყვიას არ დაიხლიდა.

მწყობრი მიაპობდა ხალხის მასას და წინ მიიწევდა. წინ გადადგომას ვერავინ ბედავდა, ჰანზას მესაზღვრეებიც კი უსიტყვოდ უთმობდნენ გზას. ჰომეროსმა გადაწყვიტა, კოლონას უკან გაჰყოლოდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ საშა არაფერს მოიმოქმედებდა. მოხუცის გაგდება არავ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ის უცდია, დრეზინას ყეფით ადევნებულ ფინიაზე მეტ ყურადღებას არავინ აქცევდა.

როდესაც გვირაბში შევიდნენ, კოლონის წინ მიმავალმა სამეულმა ფანრები აანთო. მათი უძლიერესი ნათება საკმაოდ დიდ მანძილზე ფანტავდა გვირაბის წყვდიადს. არც ერთი მათგანი ხმას არ იღებდა, მძიმე, არაბუნებრივი სიჩუმე იდგა. ცხადია, წვრთნის შედეგი იყო, მაგრამ მოხუცს არ ტოვებდა შეგრძნება, რომ მათი ფიზიკური წვრთნა სულიერის დათრგუნვის უკუპროპორციული იყო. ამის შედეგად კი მის წინაშე იყო სრულყოფილი სასიკვდილო მექანიზმი, რომლის ყოველი ელემენტიც უუფლებო იყო. მხოლოდ ერთი, სხვებისგან ვიზუალურად არაფრით გამორჩეული, ატარებდა პროგრამას. მის ბრძანებაზე „ცეცხლი" დანარჩენები დაუფიქრებლად გაუხსნიდნენ ცეცხლს ნებისმიერს.

საბედნიეროდ, ისინი იმ გვირაბით არ მიდიოდნენ, სადაც სექტანტების მატარებელი იყო გაჩხერილი. უბედურებს მცირე ხნით გაუხანგრძლივდათ სიცოცხლე განკითხვის დღემდე: ჯერ „ტულსკაიას" გაუსწორდებოდნენ და ამის შემდეგ მიხედავდნენ მათ.

კოლონამ ჰომეროსისათვის შეუმჩნეველ სიგნალზე ნაბიჯს უკლო. ჰომეროსი მალე მიხვდა, რომ სადგურს უახლოვდებოდნენ. მინასავით გამჭვირვალე სიჩუმე ვილაცის კივილმა გააპო ლურსმანივით...

და კიდევ, შორიდან ძლივს გასაგონად და სრულიად უადგილოდ, ისე, რომ ჰომეროსს თავის ნორმალურობაში ეჭვი შეეპარა, გაისმა საოცარი მუსიკა.

* * *

სანამ ყურმილმა მოხუცი მთლიანად შთანთქა – წყვეტილი ხმის გარდა, რომელიც მის დინამიკში ყიყინებდა, ველა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაფერს ამჩნევდა – საშამ გადაწყვიტა, რომ გასაქცევად ამაზე უკეთესი მომენტი აღარ ექნებოდა.

გვერდულად გამოვიდა მისაღებიდან, ლეონიდს დაელოდა და ისიც თან გაიყოლა ჯერ „სერპუხოვსკაიას" გადასასვლელისკენ, შემდეგ კი გვირაბში, რომელიც მათთან მიიყვანდა, ვისაც ის სჭირდებოდა; მათთან, ვისი სიცოცხლის გადარჩენაც შეეძლო.

ამ გვირაბს მისი ჰანტერთან მიყვანაც შეეძლო.

– არ გეშინია? – ჰკითხა საშამ მუსიკოსს.

– მეშინია, – გაულიმა მან, – სამაგიეროდ, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს, რაღაც ღირებულს ვაკეთებ.

– ვალდებული არ ხარ, ჩემთან ერთად წამოხვიდე... რომ დავიხოცოთ? შეგიძლია დარჩე სადგურზე და არსადაც არ წამომყვე.

– ადამიანისთვის მომავალი უცნობია, – ლეონიდმა განსწავლულის სახით თითი ზემოთ ასწია და ლოყები დაბერა.

– ადამიანი თვითონ წყვეტს, როგორი იქნება მისი მომავალი, – გააპროტესტა საშამ.

– კარგი რა, – გაეცინა მუსიკოსს, – ჩვენ ყველანი მხოლოდ ლაბირინთში მორბენალი ვირთხები ვართ. გასასვლელებში საკეტი-კარია მოწყობილი, რომელსაც ის, ვინც ჩვენ შეგვისწავლის, ხან მალლა სწევს, ხან კი დაბლა. „სპორტივნაიაზე", თუ კარი დაშვებულია, ვერაფრით ვერ მოხვდები; აფხაჭუნე, რამდენიც გინდა. ხოლო თუ შემდეგი კარის მილმა მახეა, მაინც გაებმები მასში, თუნდაც წინასწარ იცოდე, რადგან სხვა გზა არ არსებობს. მთელი შენი არჩევანი ისაა, განაგრძო სირბილი თუ პროტესტის გამო უძრაობაში მოკვდე.

– ნუთუ გული არ გწყდება, რომ ასეთი ცხოვრება გაქვს? – მოილუშა საშა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– მე გული მწყდება, რომ ჩემი ხერხემლის წყობა არ მაძლევს საშუალებას, თავი ისე მაღლა ავწიო, რომ შევხედო იმას, ვინც ექსპერიმენტებს ატარებს, – უპასუხა მუსიკოსმა.

– არანაირი ლაბირინთი არ არსებობს, – ტუჩი მოიკვნიტა საშამ, – ვირთხებს კი ცემენტის გამოხვრაც შეუძლიათ.

– შენ მეამბოხე ხარ, – გაეცინა ლეონიდს, – მე კი შემგუებელი.

– ტყუილია, – თავი გააქნია საშამ, – შენ გჯერა, რომ ადამიანის შეცვლა შესაძლებელია.

– მინდა, მჯეროდეს, – დააზუსტა მუსიკოსმა.

ისინი მიტოვებულ ქვიშიან საგუშაგოს გასცდნენ. კოცონი ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი, ნაკვერჩხალი კი ისევ ელავდა. აქვე ეგდო გაქონილი, დაჭმუჭნილი ჟურნალი შიშველი ადამიანების ფოტოებით. კედელზე ნახევრად ჩამოგლეჯილი ჰანზას სამგზავრო დროშა ეკიდა.

ხუთი წუთის შემდეგ პირველ გვამს გადააწყდნენ. მკვდარში ადამიანი ძნელი ამოსაცნობი იყო. ხელ-ფეხი გადაეფარჩხა, თითქოს დაღლილი დასასვენებლად წამოწოლილიყო, და ისე დასივებულიყო, რომ ტანსაცმელი ტანზე შემოხეოდა. სახე ნებისმიერ ურჩხულზე საშინელი ჰქონდა.

– ფრთხილად, – ხელი სტაცა ლეონიდმა საშას, – გადამდებია!

– რა მნიშვნელობა აქვს?! – ჰკითხა გოგონამ, – წამალი ხომ არსებობს! სადაც მივდივართ, იქ ყველა ავადმყოფია.

წინიდან სროლის ხმები და ყვირილი მოისმა.

– დროულად მოვედით, – აღნიშნა მუსიკოსმა, – როგორც ჩანს, შენი მეგობრის მოსვლას არც კი დაელოდნენ.

საშამ შეშინებულმა შეხედა მუსიკოსს, მერე მგზნებარედ, დაბეჯითებით თქვა:

– არა უშავს, უბრალოდ, მათ უნდა ავუხსნათ! იმედი უნდა მივცეთ!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლია ჰერმეტულ კართან, მიწაზე, პირქვე კიდევ ერთი გვამი ეგდო – ამჯერად ადამიანი. მის გვერდით ხრიალებდა და შიშინებდა რკინის რადიოგადამცემი. მგონი, ვიღაც გუშაგის გაღვიძებას ცდილობდა.

გვირაბის გასასვლელთან მიმოყრილ ტომრებს ამოფარებული რამდენიმე ადამიანი ეგდო. მგონი, მათ შორის ერთი მეტყვიამფრქვევე და ორი ავტომატიანიც იყო. ეს იყო მთელი დაცვის ხაზი.

გვირაბის ვიწრო კედლის ბოლოში და პლატფორმის დასაწყისში ხალხის საშინელი მასა თავს ესხმოდა ალყაშემორტყმულებს. ერთმანეთში ირეოდნენ ავადმყოფობისგან დამახინჯებული ადამიანებიც და ჯანმრთელებიც. ზოგს ფანარი ჰქონდა, ზოგს კი სინათლე აღარ სჭირდებოდა.

ისინი, რომლებიც იწვნენ, გვირაბს იცავდნენ, მაგრამ ტყვიები გათავებოდათ, სროლის ხმა სულ უფრო იშვიათად ისმოდა და გათავხედებული ტალღა სულ უფრო და უფრო ახლოს მიიწევდა მათკენ.

– დამხმარე ძალა?! – მიუბრუნდა საშას ერთ-ერთი ალყაშემორტყმულთაგანი, – ბიჭები დაუკავშირდნენ „დობრინინსკაიას“! დამხმარე ძალა!

– ხალხნო! – დაუყვირა საშამ აბობოქრებულ ბრბოს, – წამალი არსებობს! ჩვენ ის ვიპოვეთ! თქვენ არ დაიხოცებით, მოითმინეთ! გთხოვთ, მოითმინეთ!

ხალხის ტალღამ მისი სიტყვები შთანთქა და უკმაყოფილოდ ამოაბოყინა. მეტყვიამფრქვევემ ბოროტად მიუშვა ჯერი და რამდენიმე ადამიანი კვნესით ჩაიკეცა. მასა დუღდა და წინ მიიწევდა, მზად იყო, გაეთელა, გაეგლიჯა საშაც, ლეონიდიც და ალყაშემორტყმულებიც.

მაგრამ რაღაც მოხდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯერ შეპარვით, მერე უფრო თავდაჯერებით, მძლავრად გაისმა ფლეიტის ხმა. ამაზე სულელური, ამაზე უადგილო არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო ამ სიტუაციაში. მცველებმა მუსიკოსს გაოგნებული სახით შეხედეს, ტალღა აღრიალდა, ახარხარდა და ისევ მიაწვა... ლეონიდისთვის სულერთი იყო. ის უკრავდა არა მათთვის, არამედ ალბათ თავისთვის – სწორედ იმ საოცარ მელოდიას, რომელმაც საშა მოხიბლა, რომელიც ყოველ ჯერზე ათეულობით ადამიანს იზიდავდა.

ალბათ სწორედ მოულოდნელობის ეფექტის წყალობით და არა ფლეიტის ჯადოსნობით, ტალღამ ზეწოლა შეასუსტა.

ასე იყო თუ ისე, სროლა შეწყდა, ლეონიდს დაკვრა არ შეუწყვეტია, ისე წავიდა წინ... თითქოს მის წინ ჩვეულებრივი პუბლიკა იყო, რომელიც ტაშსაც დაუკრავდა და ტყვიებსაც აჩუქებდა მას.

საშას წამით მოეჩვენა, რომ მსმენელებში მამა დაინახა – დამშვიდებული და მოღიმარი. აი, თურმე სად ელოდა ქალიშვილს...

გოგონას გაახსენდა: ლეონიდმა უთხრა, ეს მელოდია ტკივილს აყუჩებსო.

* * *

ჰერმეტული ჭიშკრის მიღმა მოულოდნელად ნაადრევი გუგუნი მოისმა. ნუთუ დესანტი დროზე ადრე მოვიდა?! ესე იგი, სიტუაცია „ტულსკაიაზე" არც ისე რთულადაა! იქნებ ბანდიტებმა უკან დაიხიეს და ჰერმეტული ჭიშკარი დაკეტილი დატოვეს?!

ჯგუფი დაიშალა, მებრძოლები ტიუბინგების შვერილებს მიღმა მიიმალნენ. ოთხნიღა დარჩნენ დენის მიხაილოვიჩის გვერდით – ჭიშკართან იარაღმომარჯვებულები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სულ ეს იყო. აი, საკეტი ნელ-ნელა გადაინევს გვერდით და რამდენიმე წუთის შემდეგ „სევასტოპოლსკაიას" ორმოცი მძიმედ შეიარაღებული მებრძოლი „ტულსკაიაზე" შეიჭრება. ნებისმიერი წინააღმდეგობა დაძლეული იქნება და სადგურს თვალის დახამხამებაში აიღებენ.

იმაზე მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე პოლკოვნიკს წარმოედგინა.

დენის მიხაილოვიჩმა ვერც კი მოასწრო აირწინაღების გაკეთების ბრძანების გაცემა.

* * *

კოლონამ ფორმა იცვალა, ახლა თითოეულ მწკრივში ექვსი ადამიანი იდგა და მთელ გვირაბს ავსებდა სიგანეზე. პირველმა მწკრივმა იარაღის ლულები ყალყზე შეაყენა, მეორემ კი – სნაიპერის შაშხანები გაამზადა. შავი ლავასავით წავიდნენ წინ – აუჩქარებლად და მტკიცედ.

ჰომეროსმა მომსვლელთა ფართო ზურგიდან თეთრი პროჟექტორის შუქზე მაშინვე დაინახა მთელი სცენა: რამდენიმე ჯარისკაცი, რომელიც სადგურს იცავდა, ორი გამხდარი ფიგურა – საშა და ლეონიდი, და საშინელი ქმნილებების ჯოგი, რომელიც მათ გარშემო ერტყა. მოხუცში ყველაფერი ჩაწყდა.

ლეონიდი უკრავდა საოცრად, წარმოუდგენლად, შთაგონებით, როგორც არასდროს. მახინჯი არსებების ურდო ხარბად უსმენდა მას. დაწოლილი ჯარისკაცებიც კი წამომდგარიყვნენ, რომ მუსიკოსი უკეთ დაენახათ. მისი მელოდია გამჭვირვალე კედლით ორად ჰყოფდა მტრებს, უფლებას არ აძლევდა მათ, ერთმანეთს შებმოდნენ უკანასკნელ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

– მზადყოფნა! – თქვა ათეულიდან ერთ-ერთმა შაოსანმა. რომელმა?!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთელი პირველი მწკრივი ცალ მუხლზე დაეშვა, მეორემ კი შაშხანები გადმოილო.

– საშა! – დაიყვირა ჰომეროსმა.

გოგონა სწრაფად შებრუნდა მისკენ, მაგრამ თვალები მკვეთრმა შუქმა დაუხუჭა. ხელი წინ გაიშვირა და თვალდახუჭული წავიდა ფანრების შუქისკენ, ნელა, როგორც ძლიერ ქარში.

სინათლისაგან დაბნეული ხალხის მასა აზუზუნდა, დაიკვნესა და შემჭიდროვდა...

ახალმოსულები იცდიდნენ.

საშა ახლოს მივიდა მათ მწყობრთან.

– სად ხარ? უნდა გელაპარაკო, გთხოვ!

მას არავინ უპასუხა.

– ჩვენ ვიპოვეთ ამ ავადმყოფობის წამალი! მისი განკურნება შესაძლებელია! არავის მოკვლა არაა საჭირო! წამალი არსებობს!

შავი ქვის ძეგლების საბრძოლო რაზმი დუმდა.

– გთხოვ! ვიცი, რომ შენ არ გინდა... შენ მხოლოდ მათ გადარჩენას ცდილობ... და საკუთარი თავის...

და ამ დროს საბრძოლო მწყობრის ზემოდან ყრუ ხმა მოისმა:

– გაიწიე, არ მინდა შენი მოკვლა!

– შენ არავის მოკვლა არ გჭირდება! წამალი არსებობს! – იმეორებდა სასოწარკვეთილი საშა და ნიღბიან, ერთნაირ ადამიანებს შორის მიაბიჯებდა, ცდილობდა მათ შორის ის ერთადერთი ეპოვა.

– წამალი არ არსებობს.

– რადიაცია! რადიაცია შველის!

– არ მჯერა!

– გთხოვ! – ყვირილი აღმოხდა საშას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

– სადგური უნდა გაიწმინდოს!

– ნუთუ არაფრის შეცვლა არ გინდა?! რატომ იმეორებ იმას, რაც ერთხელ უკვე გააკეთე მაშინ, შავებთან?! რატომ არ გინდა მიტევება?

ქანდაკება აღარაფერს პასუხობდა, ხალხი ახლოს მოიწევდა.

– საშა! – ვედრებით გადაუჩურჩულა მოხუცმა გოგონას, მაგრამ მას აღარაფერი ესმოდა.

– არაფრის შეცვლა არ შეიძლება. პატიებას ვერავის ვთხოვ, – ბოლოს და ბოლოს, გაისმა ხმა, – მე ხელი აღვმართე და... დავისაჯე.

– ყველაფერი შენშია, – უკან არ იხევდა საშა, – შენ შეგიძლია თვითონ გაითავისუფლო თავი! შეგიძლია დაამტკიცო! რატომ ვერ ხედავ, ეს ხომ სარკეა! ეს იმის ანარეკლია, რაც მაშინ გააკეთე, ერთი წლის წინათ! ახლა შეგიძლია სხვაგვარად მოიქცე... შეგიძლია მომისმინო. შანსი მისცე და თავადაც დაიმსახურო!

– მე ურჩხული უნდა გავანადგურო, – ხრინწიანად თქვა მწყობრმა.

– ვერ შეძლებ! – იყვირა საშამ, – ეს არავის არ შეუძლია! ის ყველაშია, ჩემშიც, მას ყოველ ჩვენგანში სძინავს! ის სხეულის, სულის ნაწილია... ხოლო როდესაც იღვიძებს... შეუძლებელია მისი მოკვლა, მისი ამოკვეთა! ის ისევ უნდა დაანანავო... უნდა მიაძინო...

უცებ ბრბოდან გამხდარი ჯარისკაცი გამოსხლტა, შავი მწყობრის გვერდით გაძვრა, ჰერმეტულ კართან მიირბინა, გადამცემის რკინის ყუთს ეცა, მიკროფონი მოხსნა და რაღაც ჩასძახა შიგ.... მაგრამ მოკლედ დაიყეფა მაყუჩიანმა იარაღმა და ჯარისკაცი ჩაიკეცა. სისხლის დანახვაზე ხალ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხის მასა გამოცოცხლდა: გაიფხორა, გაბრაზებული ალრიალდა.

მუსიკოსმა ბაგეზე მიიდო ფლეიტა და დაკვრა დაიწყო, მაგრამ მაგია გაფანტულიყო. ვილაცამ ესროლა. ლეონიდს ინსტრუმენტი გაუვარდა და ორივე ხელი მუცელზე იტაცა...

ცეცხლმტყორცნების სატყორცნ მილებს ცეცხლი მოედო. საბრძოლო რაზმმა ახალი იარაღი ამოიღო და ერთი ნაბიჯი წინ გადადგა.

საშა ლეონიდისკენ გაიქცა, მზად იყო ხალხის ტალღას შესჯახებოდა, რომელიც გარს შემოეხვია წაქცეულს და არ სურდა, გოგონასათვის დაეთმო ის.

– არა, არა! – თავს ველარ იკავებდა.

მერე ასეულობით მახინჯის წინააღმდეგ, მკვლელთა ლეგიონის, მთელი სამყაროს წინააღმდეგ მარტოდ დარჩენილმა ჯიუტად თქვა:

– სასწაული მინდა!

შორს დაიგრუხუნა, თაღები შეზანზარდა, ხალხი შეიკრა და უკან დაიხია. მოსულებმაც უკან გადადგეს ნაბიჯი. მიწაზე წვრილი ნაკადები მოედინებოდა, ჭერიდან პირველი წვეთები ეცემოდა, მუქი ნაკადები სულ უფრო მატულობდა...

– ამოხეთქა! – დაიყვირა ვილაცამ.

შავმა ადამიანებმა სასწრაფოდ დატოვეს სადგური, ჰერმეტული ჭიშკრისკენ დაიხიეს, მოხუციც მათ დაედევნა, თან საშას უყურებდა. გოგონა ადგილიდან არ იძროდა. ზემოდან წამოსულ წყლის ნიაღვარს სახესა და ხელებს უშვერდა და იცინოდა...

– ეს ხომ წვიმაა! – ყვიროდა ის, – ის ყველაფერს გადარეცხავს! ყველაფრის თავიდან დაწყება იქნება შესაძლებელი!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შავი დანაყოფი საკეტებს გასცდა, მათ გაჰყვა ჰომეროსიც. რამდენიმე მოსული ჰერმეტული კარის საკეტს დაანვა, „ტულსკაიას“ ჩაკეტვა და წყლის ნაკადის შეჩერება სცადა. საკეტი დანებდა და ნელა დაიძრა. მოხუცი უკან გავარდა, საშასკენ, რომელიც ჩასაძირად განწირულ სადგურზე დარჩა, მაგრამ მას ხელი სტაცეს და ჯანდაბაში მოისროლეს.

რაზმს ერთი შავოსანი გამოეყო, კარის ღრიჭოს მივარდა, ხელი გაუშვირა გოგონას და დაუყვირა:

– აქეთ, შენ მე მჭირდები!

წყალი უკვე წელამდე იდგა, უცებ ქერა თავმა ჩაყვინთა და გაუჩინარდა.

შავმა ადამიანმა ხელი გამოსწია და კარი დაიკეტა.

* * *

კარი მაინც არ გაილო. გვირაბი შეზანზარდა, საკეტის მეორე მხრიდან ფოლადის ფილას წყლის ტალღა შეეჯახა და აფეთქების ექომ იგრიალა. დენის მიხაილოვიჩი რკინის კარს მიეყრდნო, ყური მიუგდო... ლოყიდან სისველე მოიწმინდა, გაოცებულმა შეხედა სველ ჭერს.

– უკან მივდივართ! – ბრძანა მან, – აქ ყველაფერი დასრულებულია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეპილოგი

ჰომეროსმა ამოიოხრა და ფურცელი გადაშალა. რვეულში ორიოდე ცარიელი გვერდილა დარჩენილიყო. რა დაწეროს, რა განიროს და გამოტოვოს? ხელი კოცონისკენ გაიშვირა, რომ გათოშილი თითები გაეთბო და დაესვენებინა.

მან თავად ითხოვა სამხრეთის გვირაბში სამორიგეოდ გაშვება. აქ, სახით გვირაბისკენ, უკეთ მუშაობდა, ვიდრე შინ, „სევასტოპოლსკაიაზე", მკვდარი გაზეთების გროვაში, რომელსაც ასე უფრთხილდებოდა ელენა.

ბრიგადირი დანარჩენი გუშაგებისგან მოშორებით იჯდა, სინათლისა და სიბნელის გასაყარზე.

„საინტერესოა, რატომ აარჩია „სევასტოპოლსკაია" – ჰკითხა მოხუცმა თავის თავს, – ალბათ იყო რაღაც ამ სადგურში..."

ჰანტერმა მაინც არ მოუყვა მოხუცს, რა მოეჩვენა, „პოლიანკაზე", მაგრამ ჰომეროსმა იცოდა: ეს წინასწარმეტყველება კი არა, გაფრთხილება იყო.

დატბორილი „ტულსკაიადან" წყალმა ერთი კვირის შემდეგ გამოხეთქა, დარჩენილ წყალს კი წრიული ხაზიდან მოტანილი უზარმაზარი საქაჩებით ტუმბავდნენ. ჰომეროსი მოხალისედ წავიდა იქ პირველივე მზვერავებთან ერთად.

თითქმის სამასი ცხედარი. ზიზღიც დაივიწყა და სიბრალულიც, თავად იქექებოდა საშინელ ცხედრებში, ეძებდა, ეძებდა...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ის მერე კიდევ დიდხანს იჯდა იმ ადგილას, სადაც უკანასკნელად ნახა საშა. სადაც ვერ მოასწრო, ვერ გაბედა მასთან დაბრუნებულიყო და ან გადაერჩინა, ან მასთან ერთად დალუპულიყო.

უსასრულო მწკრივად მიედინებოდნენ ავადმყოფები და ჯანმრთელები – „სევასტოპოლსკაიასკენ", „კახოვსკაიას" ხაზის სამკურნალო გვირაბებში. მუსიკოსს ტყუილი არ უთქვამს, გამოსხივება მართლაც აჩერებდა ავადმყოფობას.

იქნებ ის საერთოდ არ იტყუებოდა? იქნებ, მართლაც იყო სადღაც ნამდვილი ზურმუხტქალაქი, მხოლოდ ჭიშკარი იყო მოსაძებნი... ან იქნებ ის სწორედ იმ კართან მიდიოდა, მაგრამ ჯერ არ დაემსახურებინა მისი გახსნა?

„ხოლო როდესაც წყალმა ამოხეთქა..." უკვე ძალიან გვიან იყო.

თუმცა, ზურმუხტქალაქი კი არ იყო კიდობანი, ნამდვილი კიდობანი თავად მეტრო იყო. ბობოქარი წყლისგან ნოეს, სემისა და ქამის – მართალის, გულგრილისა და არამზადას უკანასკნელი თავშესაფარი; ყველასი, ვისაც ანგარიში გასასწორებელი ჰქონდა.

ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ და ყველანი ნამდვილად ვერ დაეტეოდნენ ამ რომანში. ცარიელი ფურცლები თითქმის აღარ დარჩა. მისი წიგნი კიდობანი კი არა, ქალალდის გემი იყო და ყველა ადამიანს ვერ დაიტევდა. მაგრამ ჰომეროსს ეჩვენებოდა, რომ თითქმის გამოსდიოდა, ფრთხილი შტრიხებით რვეულის გვერდებზე რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი დაეტანა... ბრბოს კი არა, ადამიანის შესახებ.

„წასულებზე მოგონებები არ ქრება," – ფიქრობდა მოხუცი, – "მთელი ჩვენი სამყარო სხვა ადამიანების ფიქრებითა და საქმეებითაა ნაქსოვი, ზუსტად ისე, როგორც ყოველი ჩვენგანი მოზაიკის წინაპრებისგან მემკვიდრეობით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიღებული უამრავი დეტალისგან შევდგებით. მათ კვალი, თავიანთი სულის ნაწილი დატოვეს შთამომავლებისთვის. უბრალოდ, დაკვირვებაა საჭირო".

ქალალდისგან, მოგონებებისა და ნაფიქრისაგან შეკონწიწებულ მის გემს შეუძლია დროის ოკეანეში უსასრულოდ იცუროს, სანამ ვინმე არ აიღებს, არ დაათვალიერებს და არ მიხვდება, რომ ადამიანი არასოდეს შეცვლილა, სამყაროს დასასრულის შემდეგაც კი თავისი თავის ერთგული დარჩა. ღვთიურ ცეცხლს კი, რომელიც ერთხელ ჩაიდო მასში, ქარი აწვალებდა, მაგრამ არ აქრობდა.

მისი პირადი ანგარიში უკვე გასწორებული იყო.

ჰომეროსმა თვალები დახუჭა და მკვეთრი შუქით განათებულ, ბრწყინვალე სადგურზე აღმოჩნდა. პლატფორმაზე შეკრებილი ათასობით გამოპრანჭული ადამიანი იმ დროს ეკუთვნოდა, როცა თავად ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როცა აზრად არავის მოუვიდოდა, მისთვის ჰომეროსი დაეძახა, როცა მამის სახელითაც კი არ მიმართავდნენ. გამოპრანჭულებს ნელ-ნელა აქაური, მეტროში მცხოვრები ადამიანები ემატებოდნენ. ერთმანეთის დანახვა არ უკვირდათ, მათ რაღაც აერთიანებდათ...

ყველანი რაღაცას ელოდნენ, გვირაბის ბნელ თაღს შესცქეროდნენ. მოხუცი ახლა უკვე ცნობდა ამ სახეებს. აქ მისი ცოლ-შვილიც იყო, თანამშრომლებიც, კლასელები, მეზობლები და ორი საუკეთესო მეგობარი, აჰმედიც და საყვარელი არტისტებიც. აქ იყო ყველა, ვინც მას ახსოვდა.

აი, გვირაბი განათდა და სადგურზე უხმოდ შემოვიდა მეტროს მატარებელი – ნათელი ფანჯრებით, გაკრიალებული კედლებით, დაზეთილი ბორბლებით. მემანქანის კაბინა ცარიელი იყო, შიგ გაუთოებული თეთრი პერანგი და კიტელი ეკიდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ეს ჩემი ფორმა და ჩემი ადგილია", – გაიფიქრა მოხუცმა, კაბინაში შევიდა, ვაგონების კარი გააღო და დაასიგნალა.

ვაგონებში ხალხი შევიდა, სკამებზე დასხდნენ. ადგილი ყველას ეყო. დამშვიდებული მგზავრები ილიმებოდნენ. მოხუციც ილიმებოდა.

ჰომეროსმა იცოდა, რომ როგორც კი თავის წიგნში ბოლო წერტილს დასვამდა, ეს ბედნიერი ადამიანებით სავსე ელვარე შემადგენლობა „სევასტოპოლსკაიადან" უსასრულობაში გაემგზავრებოდა.

უცებ სულ ახლოს, გვერდიდან, ყრუ, არაადამიანური კვნესა მოესმა და ჯადოსნური სიზმრიდან გამოაფხიზლა. მოხუცი შეხტა, ავტომატს დასწვდა...

ბრიგადირი კვნესოდა. ჰომეროსი წამოდგა, დააპირა მისულიყო და ჰანტერისთვის დაეხედა, მაგრამ მან ისევ დაიკვნესა... ცოტა უფრო ხმამაღლა... ისევ... ახლა ცოტა ხმადაბლა...

ჰომეროსი ყურებს არ უჯერებდა – ბრიგადირი ხრიალით, მოუხერხებლად ღიღინებდა მელოდიას. ეშლებოდა, უკან ბრუნდებოდა და ჯიუტად თავიდან იწყებდა, ასწორებდა... ჩუმად მღეროდა... როგორც იავნანას.

ის მელოდია იყო, რომელსაც ლეონიდმა მაინც არაფერი დაარქვა.

საშას ცხედარი ჰომეროსმა „ტულსკაიაზე" მაინც ვერ იპოვა.

კიდევ რა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხიმკი
დიბენკოს ქუჩა
ბელომორსკაია
რეჩნოი ვაგზალი
ვოდნი სტადიონი
ვოიკოვსკაია
სოკოლი
აეროპორტი
დინამო
ბელორუსკაია
მაიაკოვსკაია
ტვერსკაია
ნოვოსლობოდსკაია
ალტუფევო
ბიბირევო
ოტრადნოე
ვლადიკინო
ვერხნიე ლიხობორი
ოკრუჟნაია
პეტროვსკო-რაზუმოვსკაია
ბუტირსკი ხუტორი
ტიმირიაზევსკაია
შერემეტევსკაია
დმიტროვსკაია
მარინა როშჩა
საველოვსკაია
მენდელეევსკაია
დოსტოევსკაია
მიტიშჩი
ჩელობიტევო
მედვედკოვო
ბაბუშკინსკაია
სვიბლოვო
ბოტანიკური ბაღი
ვედეენხა
ალექსეევსკაია
რიჟსკაია
მშვიდობის გამზირი
ტრუბნაია
ცვეტნოი ბულვარი
სრეტენსკი ბულვარი
კომსომოლსკაია
კრასნიე ვოროტა
ჩისტიე პრუდი
ტურგენევსკაია
ლუბიანკა
კუზნეცკი მოსტი
ოხოტნი რიადი
თეატრალნაია
ალექსანდროვის ბაღი
ბოროვიცკაია
ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა
რევოლუციის მოედანი
კიტაი-გოროდი
ტაგანსკაია
მარქსისტსკაია
ტრეტიაკოვსკაია
ნოვოკუზნეცკაია
პოლიანკა
კულტურის პარკი
ბარიკადნაია
ზუბოვსკაია
ფრუნზენსკაია
სპორტივნაია
ვორობიევი გორი
უნივერსიტეტი
ვერნადსკის გამზირი
იუგო-ზაპადნაია
ლენინის გამზირი
აკადემიჩესკაია
ფროფსოიუზნაია
ახალი ჩერიომუშკი
კალუჟსკაია
ბელიაევო
კონკოვო
თბილი ბუნაგი
იასენევო
ბიტცევსკის პარკი
ოლიმპიური სოფელი
ვოსტრიაკოვო
ტერეშკოვო
სოლნცევო
ვოროვსკოე შოსე
ნოვოპერედელკინო
ბელომორსკაია
ოკტომბრის ველი
პოლეჟაევსკაია
ბეგოვაია
1905 წლის ქუჩა
კრასნოპრესნენსკაია
მოლოდიოჟნაია
კუნცევსკაია
პიონერსკაია
ფილიევსკის პარკი
ბაგრატიონოვსკაია
ფილი
კუტუზოვსკაია
გამარჯვების პარკი
მინსკაია
ვინნიცკაიას ქუჩა
ოჩაკოვო
მიზურინის გამზირი
სტუდენჩესკაია
კიევსკაია
ფილიოვო
ბალჩუგი
ბაბუშკინსკაია
ბალაკინა
ბოლშევიკოვ
ბოლშევიკოვ
ბოლშევიკოვ